

გოცთქელდ ეფუჩაიმი  
**დუხიხი**



საბჭოთა მწეჩალი  
თბილისი  
1958

რედაქცია, შესავალი ნარკვევი და კომენტარები

ოთარ ჯინორიასი

\*

Redigiert, eingeleitet und mit Kommentaren versehen

von

OTHAR DSCHINORIA







## მეგრძოლი ჰუმანისტი

გოტოლდ ეფრაიმ ლესინგმა, დასავლეთ-ევროპული განმანათლებლობის ამ ერთ-ერთმა უდიდესმა წარმომადგენელმა, მართებულად დაიმკვიდრა სახელი ახალი, გოეთესა და შილერის გენიით გაბრწყინებული გერმანული ლიტერატურის „მამისა“.

XVIII საუკუნის ჩამორჩენილი, ეკონომიურად და პოლიტიკურად დაძაბუნებული გერმანიის ლიტერატურასა და მთელ კულტურას ლესინგი მოველინა როგორც მოაზროვნე და ხელოვანი, რომელმაც ისე გადმონერგა მშობლიურ ნადავზე თავისი ეპოქის მოწინავე, — უპირატესად, ინგლისელ და ფრანგ განმანათლებელთა, — იდეები და სულისკვეთებანი, რომ მათ ახალი შინაარსი შესძინა და ახალი სიცოცხლე შთაბერა.

საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც გარდაქმნა ლესინგმა მანამდე უბადრუკ მდგომარეობაში მყოფი, უცხოურ ნიმუშთადმი ეპიგონური მიმბაძველობის ნიშნით აღბეჭდილი გერმანული მწერლობა, ძალას, რომელმაც მას ერთბაშად აამლავა ეს მწერლობა იმ დროის უმადლეს კულტურულ დონემდე, წარმოადგენდა ფართო დემოკრატიზმი და ჰუმანიზმი — ღრმად ხალხური, როგორც ფეოდალურ, ისე ბურჟუაზიულ კლასობრივ ჩარჩოთა გადამლაზველი.

მიიჩნედა რა ლესინგამდელი გერმანული ლიტერატურის სისუსტის „ერთ-ერთ მთავარ მიზეზად“ ე. წ. „კომპეტენტურ მწერლებს“, — „მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეთა პროფესიულ, ამქრულ, პრივილეგირებულ სწავლულებს, დოქტორებს, უფერულ უნივერსიტეტულ მწერლებს“, რომლებიც „თავიანთი გაყინული ნაწნავებით, ზვიადი პედანტიზმითა და უბადრუკად წერილმანადისერტაციებით ჩადგნენ ხალხსა და სულს, ცხოვრებასა და მეცნიერებას, თავისუფლებასა და ადამიანს შუა“ — ახალგაზრდა მ ა რ კ ს ი აღნიშნავდა, „კომპეტენტურთა რანგს მიუკუთვნებელმა მწერლებმა შექმნეს ჩვენი ლიტერატურაო“ და ლესინგს ასახელებდა ამ მწერალთა პირველ ნიმუშად.

მრავალი ბურჟუაზიული განმანათლებლისაგან განსხვავებით, რომლებიც უნდობლად ეკიდებოდნენ ხალხის უდიდეს და უმნიშვნელოვანეს, ფიზიკურად მშრომელ ნაწილს, ლესინგი ხალხის სწორედ ამ ნაწილისთვის სამსახურში ხედავდა მწერლის უმადლეს დანიშნულებას; „თქვენი წინამორბედები, ჩემო მეგობარო, — სწერდა იგი პოეტ ლუდვიგ გლაიმს, — ხალხს უყურებდნენ მხოლოდ როგორც ადამიანური მოდგმის იმ ნაწილს, რომელიც ყველაზე ნაკლებად დაჭილდოებული გონებით; ამიტომაც ისინი სხვადასხვაგვარად მღეროდნენ კეთილშობილთათვის და მდაბიოთათვის; თქვენ პირველი ხართ, რომელმაც ნამდვილად გაიგეთ ხალხი და მისი ფიზიკურად მოქმედი ნაწილი იქონიეთ მხედველობაში, რომელსაც იმდენად გონება კი არ აკლია, რამდენადაც მისი გამოჩენის შესაძლებლობა. თქვენ ამიტომ კი არ გარევიხართ ხალხის ბრბოს, რომ უსარგებლო მსჭელობებით იგი შრომას მოგვეციინათ, არამედ იმისათვის, რათა მისი შრომა გაკავადილებინათ“.

მაგრამ ლესინგის ეროვნული ღვაწლი იმით არ ამოიწურება, რომ მან ახალ გერმანულ ლიტერატურას ჩაუყარა საფუძველი. ეს ღვაწლი იმაშიც მდგომარეობს, რომ ლესინგმა თავის დაქვეითებულ ქვეყანაში, სადაც არავითარი ობიექტური მონაცემები არ მოიპოვებოდა ფართო მასშტაბის სოციალ-პოლიტიკური ბრძოლის საწარმოებლად, ეს განახლებული ლიტერატურა აქცია საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლებისა და აღორძინების იარაღად, — კულტურულ ძალად, რომელსაც უსასტიკესი ჩაჯვრითა და გამანადგურებელი ომებით წელგატეხილი და დაქსაქსული გერმანული ხალხი სულიერად უნდა მოემზადებინა დემოკრატიული რევოლუციის მოსახდენად.

ამიტომ ლესინგის კულტურულ-ისტორიული დამსახურების შეფასებისათვის მხოლოდ ის ახალი იდეები და ესთეტიკური პრინციპები კი არაა საყურადღებო, რომელთა პირველ ნიშნუშებსა თუ ჩანასახებს ჩვენ ლესინგამდელ გერმანულ ლიტერატურაშიც უხვდებით (არაფერი რომ არ ვთქვათ ინგლისზე და საფრანგეთზე), არამედ ის მებრძოლი სული, რომლითაც ლესინგის მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობა იყო განმსჭვალული და რომლითაც იგი გერმანული კლასიკური ლიტერატურის ყველა კორიფეს აღმატება. ამ უკანასკნელთაც ნათლად ჰქონდათ შეგნებული ლესინგის ეს უპირატესობა, ხოლო რაოდენ შთამაგონებელ შემოქმედებას ახდენდა ლესინგის დიდბუნებოვანი პიროვნება მისი საქმის მიმდევრებსა და გამგრძელებლებზე, ამის მაღლიერ აღიარებას წარმოადგენენ ეკერმანისათვის გოეთეს მიერ თქმული სიტყვები: „ისეთი ადამიანი, როგორც ლესინგია, ჩვენ იმით გვკვირდება, რომ იგი სწორედ თავისი ხასიათით, თავისი სიმტკიცითაა დიადი. ასევე უკვირია და განათლებული ადამიანი ბევრია, მაგრამ სად მოიძებნება ასეთი ხასიათი!“

თავისი მორალური ბუნებით ლესინგი ერთ-ერთ ყველაზე ნათელ, კეშმარტივად გმირულ სახეს წარმოადგენს XVIII საუკუნის არა მხოლოდ გერმანულ, არამედ მთელ დასავლეთ-ევროპულ მწერლობაში. ამ მხრივ მისი ღირსეული ბადალი მხოლოდ დენი დიდრო თუ არის. მგზნებარე სიყვარული და უღრმესი პატივისცემა ადამიანისა, რაიც „ამაჰვეყნის ძლიერთა“ წინაშე პლებეურ სიამაყესა, ხოლო „მდაბიოთა“ მიმართ კეთილშობილურ სისადავეში ვლინდება; დაუშრეტელი ოპტიმიზმი, ჰბატუური ხალხის და სიხარული, რომელთაც ვერავითარი პირადი განსაცდელი ვერ ახშობს; თავგადადებული შრომისმოყვარეობა, რომელსაც მიღწეულით ფაუსტური დაუქმყოფილებლობა ასაზრდოვეს და ვაგნერისეული პედანტობის ნასახიც არ სცხია; შეუღრეკელი პრინციპულობა, მკაცრი მომთხოვნელობა როგორც საკუთარი თავის, ისე სხვათა მიმართ, რომელმაც სიმართლის არავითარი შერბილება და შენიღბვა არ იცის; უტეხი ნებისყოფა კეშმარტივებისა და სიკეთისათვის უკომპრომისო ბრძოლაში, — ასეთია „ნათან ბრძენის“ ავტორის ადამიანური და მოქალაქეობრივი თვისებები, სწორედ ამ თვისებათა მეოხებით გახდა იგი ღირსეული პატრიარქი ჰერდერისა და გოეთეს, შილერისა და ჰელდერლინის მიერ სრულქმნილი გერმანული კლასიკური ლიტერატურისა:

ლესინგის არც თუ ხანგრძლივი ცხოვრება (1729 — 1781) არ იყო მდიდარი ე. წ. „გარეგანი“ ამბებითა და საქმეებით. უამრავ „ჯიბის სახელმწიფოდ“ დანაწევრებულ გერმანიაში, რომელიც, ენგელის თქმით, „ერთიან ლმობად მსას“ წარმოადგენდა, სადაც მოსახლეობის ყველა ფენა იყო შეპყრობილი ფილისტერობის სენით, აპოლიტიკური, წვრილმანი ანგარებიანი ინტერესებით იყო გამსჭვალული, არავითარი ასპარეზი არ იყო მნიშვნელოვანი პრაქტიკული საზოგადოებრივი აქტივობის გამოსაჩენად. ამ დროის მოწინავე, არსებულით უქმყოფილო გერ-

მანელთა ერთადერთ სამოქმედო სარბიელს მეცნიერებისა და მხატვრულ შემოქმედების, კერძოდ ლიტერატურის სფერო წარმოადგენდა. ამ მიმართულებით წარმართა მთლიანად ლესინგის ცხოვრება და მოღვაწეობა. მაგრამ სამაგიეროდ ამ „თეორიულ“ სფეროში, რომელშიც „კომპენტენტური მწერლები“ უკბილოდ, არსებულისაგან განყენებულად ბკობდნენ იმაზე, რაც „უნდა იყოს“, მთელის სისრულითა და სიმამფრით გამოვიდნდა ლესინგის აქტიური, მეტრძოლი, რევოლუციური ხასიათი.

ლესინგი იყო ცოცხალი და გულმართალი ადამიანი, რომლისთვისაც ყოველ უცხო იყო როგორც ფარსიველური პურიტანიზმი, ისე პედანტური სიღარბაისლე. გოეთეს თქმით, „ლესინგი, კლოპშტოკისა და გლაიმის საწინააღმდეგოდ, არ დაჰკანკალებდა თავის პირად ღირსებას, რამდენადაც დარწმუნებული იყო, რომ ყოველ წამს შეეძლო მისი აღდგენა, და არ ერიდებოდა ხოლმე სამიკიტნოთა და მალალი საზოგადოების ფუქსავატ ყოფას, რამდენადაც მუდამ საპირობდა თავისი შინაგანი ბუნების ძლევაშოსილი ქმედების ძლიერი განცდებით შეწონასწორებას“, მართალია, ლესინგის სულიერმა აქტივობამ თითქმის მთლიანად წიგნთა საყაროში ჩაიათა. ჰერ კიდევ ადრე სიყმაწვილეში გამოიჩინოდა იგი უჩვეულო ნაყოთხოზით: „კვიცი, რომელიც ორმაგ საზარღოს მოთხოვსო“, — თქვა მოწვეულესინგზე მისმა ერთ-ერთმა მასწავლებელმა, ხოლო გვიან თვითონ ლესინგი აღიარებდა — „ჩემი ცხოვრების ნახევარი იმის შესწავლას მოუნდა, რაც სხვებს უფიქრიათო“; მაგრამ ეს აღიარება მხოლოდ იმას მიუთითებს, თუ რაოდენი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა „ლაოკონის“ ავტორი თავის მოღვაწეობას და უზარმაზარ ნაყოთხოზას ლესინგი ოდნეადაც არ უქცევია წიგნის კიად, ფოლიანტების ყდებში მომწყვედეულ მწიგნობრად. ამ მხრეადაც იგი ჰემშარიტად ფაუსტური ტიპია, რომლის დევიზი ის არის, რომ „ადამიანი მოქმედებისათვის (zum Tun) შეიქმნა და არა ბრძნობისათვის“ (zum Vernünfteln); ჰემშარიტ სიბრძნედ მას მხოლოდ ის ცოდნა მიაჩნდა, რომელიც მოქმედი ადამიანის საყუთარი გამოცდილების ნაყოფია, ცოცხალი სინამდვილის არსს ასახავს: „წიგნებღდან მოპოვებულ სხვათა გამოცდილებას, — ამბობდა აგი, — განსწავლულობა ჰქვია. საყუთარი გამოცდილება კი სიბრძნეა. ამ უკანასკნელის უმცირესი კაპიტალი პირველის მილონებზე მეტად ფასობს“.

მართალია, როგორც „გონების საყუნის“ შეიღსა და მით უფრო გერმანელს, რომელიც პრაქტიკაში მოისუსტებდა, ლესინგს ადამიანური ქმედითობის უშთაერეს სახედ აზროვნება მიაჩნდა. — „დიღხანს იცოცხლო, — თქვა მან, — იმას არ ნიშნავს, რომ ბევრი იცხოვრო, ხოლო დიღხანს თუ გიპზროვნია. ბევრიც გიცხოვრია“, — და მისი საყუთარი აქტივობაც აზროვნებით შემოიფარგლა. მაგრამ, სამაგიეროდ, მის ნაზრეეს არასოდეს მოკლებია სიხოველე და ძალა, რომელთა წყაროც იმდენად მისი უბადლო ანალიტიკური სიმამვილე და ლოგიკური სიხბადე კი არ იყო, რამდენადაც ბრძოლის უშრეტი ვნება, რომელიც მან გამოავლინა ისე კარბად, როგორც არც ერთმა სხვა გერმანიელმა მარქს-ენგელსამდე. ბრძოლაში იყო მისი არსებობის აზრი; როგორც პანინოჰ პინემ აღნიშნა, „იგი თავისი დროის ცოცხალი კრიტიკა იყო და მთელი მისი ცხოვრება პოლემიკას წარმოადგენდა“. მეტრძოლი იყო იგი თავისი მძლე გონების დიალექტიკური ხასიათით. რომელიც წინააღმდეგობრივ შეხედულებათა კიდიღში ექებდა ხოლმე ჰემშარიტებას და არა ე. წ. „უღდავო ჰემშარიტებათა“ უნაყოფო თანხმეერებაში; ბევრს, ამბობდა იგი, „როგორც ჩანს, ავიწყდება, რომ ესოდენ მრავალი მნიშვნელოვანი აზრის გარკვევას ჩვენ უბრალო წინააღმდეგობას (dem

ხოლო (Widerspruch) უნდა ვუმაღლოთ და რომ ქვეყანაზე ადამიანები ვერაფერში ვერ შეთანხმდებოდნენ, რომ ქვეყნად მათ არაფერზე ედავთ“<sup>1</sup>. მებრძოლი პუბლიცისტი იყო ლესინგი არა მხოლოდ თავისი პროგრესული იდეებით, — როგორც, მაგალითად, გოეთე, მასი უდიდესი მოწაფე და განმგებლობი, — არამედ, უწინარეს ყოვლისა. თავისი ღიბუნებოვანი ინდივიდუალობით, რომელიც ვერაფრითარ ხელყოფას. გარეგან შეზღუდვას ვერ ეგუებოდა, რამაც მას ხვედრად გაუთავებელი სილატაე არგუნა. ამ მხრივია მეტადრე საყურადღებო ის უტეხი სიამაყე, რომლითაც იცავდა ლესინგი თავისი პიროვნების შინაგან, ზნეობრივსა და შემოქმედებით თავისუფლებას სხვადასხვა ჯურის და მასშტაბის „მეცენატ“ მთავართა და „განათლებულ“ ხელისუფალთა „მზრუნველობისაგან“; ვაიმარის უხადრუი პერცოგის კარზე დამკვიდრებულ სხვა გერმანულ კლასიკოსთაგან, კილანდისა და გოეთესაგან, პერდერისა და შულერისაგან განსხვავებით, ლესინგი ახლოდაც არ გაჰკარებია კარის პოეტის საეალო „კარიერას“, მუდამ ცდილობდა „შემღობისამებრ განშორებოდა ყოველივეს, რასაც კარი ეწოდება“; მან პროფესორობაზეც კი თქვა უარი, რადგან ეს თანამდებობაც უნივერსიტეტის „მოამაგე“ მთავრის ტირანიულ ნებას დაუშორიილებდა მას. ლუკმა პურის მოპოვების აუცილებლობამ მხოლოდ ერთხელ აიძულა იგი მიეღო „სახელმწიფოებრივი“ თანამდებობა, — ბრაუნშვაიგის პერცოგისაგან „ნაწყალობევი“ ადგილი ეოლფენბუტელის ბიბლიოთეკარისა, — მაგრამ ამ ადგილზე იგი „როგორც ნაცემი“ გრძნობდა თავს და აქ გატარებული წლები (1771 — 81) მისი სულიერი ცხოვრების უმძიმესი ხანა იყო, რომელმაც მას საბოლოოდ გაუტეხა თავაულებელი შრომისა და გაჭირვებისაგან ნაადრევად შერყეული რკინის ორგანიზმი.

თავისი მებრძოლი ბუნების წყალობით ლესინგმა ყველაზე ნაკლებ უზლო ხარკი თავის თანამემამულეთა საერთო სენს — ფილისტერობას. კერძოდ, იგი ვადაქრით გაემიჯნა ამ უკანასკნელის ერთ-ერთ უმთავრეს მსოფლმხედველობრივ გამოვლენას, „პარმონიის“ კულტს, რომლის თანახმად „ბუნებრივი“ ადამიანური ყოფის იდეალს სიმშვიდე, „უშფოთველი სილიადე“ წარმოადგენს; იგი განსაკვირვებელი სიმახვილით ჩასწვდა ამ კულტის ანგარებიან, წვრილმან-ეგოისტურ არსს და მის საწინააღმდეგოდ ქებათა ქება შეასხა გრიგალს, როგორც ბრძოლის, სიცოცხლის, შემოქმედებისა და წინსვლის სიმბოლოს. „ჰოი, სულენო, — წყრომითა და გესლით მიმართავდა იგი იმ „ადამიანებს, რომელთაც ყველაფრის ისე დატოვება სურთ, როგორც ამის შესახებ თავიანთ პროფესორთაგან სმენიათ“, — ჰოი, სულენო, რომელთაც ბუნებიდან გრიგალის გაძევება გნებავთ, რადგანაც იგი აქ ერთ ზომალდს ქეიშაზე გარიყავს, იქ კი მეორეს კლდოვან ნაპირს მიამსხვრევეს! — ჰოი, ფარისეველნო! რამეთუ გიცნობთ თქვენ. ამ მარცხიანი ზომალდების თქვენ არაფერი გენადლევათ, თქვენ ზომ დააზღვევებდით მათ; თქვენ მხოლოდ თქვენი პატარა ზაღებთ გადარდებთ, თქვენი საყუთარი პატარა მყუდროება, პატარა სიამოვნება. ბოროტი გრიგალი!“

მიზანი კი ბრძოლისა, რომელსაც ლესინგმა დაუზოგავად შესწირა ცხოვრება, იყო ქვეშაობრტება.

<sup>1</sup> საგულისხმოა, რომ ამ ლესინგისეულ დებულებას შემდეგში ზუსტად იმეორებს გერმანული კლასიკური ლიტერატურის უდიდესი დიალექტიკოსი — გოეთე: „ის, რასაც ჩვენ ეთანხმებით, — ეუბნება იგი ეკერმანს, — აუღელვებელს გეტოვებს, და მხოლოდ ეთანხმობება აღძრავს სამოქმედოდ ჩვენ აზრს“ (III, 28 მარტი, 1827).

ქვეშარიტება მიაჩნდა მას ყოველივე ღირებულის, ნამდვილის ერთადერთ საზომად, სწამდა, რომ „არაფერია ღიდი, რაც ქვეშარიტი არაა“. ქვეშარიტება იყო მისთვის აბსოლუტური კანონი, რომელსაც ადამიანი, — თუკი მას თავის პრინციპად აირჩევს, — ისე უნდა დამორჩილდეს და მიჰყვეს, რომ ქმედების ყველა სხვა იმპულსი, განსჯის ყველა სხვა კრიტერიუმში უქუთავდოს; „მე არ ვიცი, — ამბობდა იგი, — ქვეშარიტებისათვის ბედნიერებისა და სიცოცხლის გაწირვა თუ არის სავალდებულო, მაგრამ ეს კი, ვიცი, სავალდებულოა: ქვეშარიტების ქადაგება თუ გასურს, იგი ან მთლიანად უნდა იქადაგო, ანდა სულ არა“. მისთვის ორგანულად უცხო იყო ქვეშარიტების გულგრილი, ობიექტივისტურ-მპერეტელური, აკადემიური „ტრფიალი“; ჭერ კიდევ 22 წლის ქაბუქმა წესად დიდო: „პ ა ტ ი ო ს ა ნ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ა რ კ მ ა ყ ო ფ ი ლ დ ე ბ ა ქ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ა ღ მ ო ჩ ე ნ ი თ, ი გ ი ა შ კ ა რ ა დ ღ ე ბ ა მ ი ს მ ხ ა რ ე ზ ე უ“.

თანაც, ქვეშარიტება ლესინგისათვის არასოდეს არ წარმოადგენდა განყენებულ „ფილოსოფიურ“, ფორმალ-ლოგიკურ ცნებას, რომელიც აზროვნების „აპრიორულ“ კანონებთან შესაბამისობაში ჰპოვებს თავის „განხორციელებას“. ქვეშარიტების უმაღლესი გამოვლენა მისთვის ადამიანობა იყო, ასე რომ ქვეშარიტებისათვის ბრძოლა ადამიანისათვის ბრძოლას უდრიდა.

უკვე 24 წლისამ ჩამოაყალიბა ლესინგმა თავისი მსოფლმხედველობის რევოლუციური „მარცლის“, თავისი სოციალ-პოლიტიკური და შემოქმედებითი მრწამსის გამომსახველი ფორმულა: „ა დ ა მ ი ა ნ ი ს უ კ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ ე ს ი ს ა ქ მ ე ა დ ა მ ი ა ნ ი ა“ (Die edelste Beschäftigung des Menschen ist der Mensch). ეს იყო ფორმულა, რომელმაც მთელი გერმანული კლასიკური ლიტერატურის დედაბირი, უმაღლესი მიზანი დასახა, და იგი თითქმის სიტყვა სიტყვით გაიმეორა ამ ლიტერატურის დამაგვირგვინებელმა გოეთემ: „კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს ს ა კ უ თ რ ი ვ ი ს ა მ ე ც ა დ ი ნ ო კ ა ც ი ა“ (Das eigentliche Studium der Menschheit ist der Mensch). ამ ფორმულამ სრულად გამოხატა ის პროგრესული, დემოკრატიული ტენდენცია, რომლითაც გერმანული კლასიკური ჰუმანიზმი თავისი წარმოშობა-განვითარების ისტორიულ ჩარჩოებს გასცილდა და რომლას უშუალოდ და საბოლოო მიმკვიდრე ერთადერთი ქვეშარიტად ჰუმანიტური კლასი, სოციალისტური პროლეტარიატი გახდა. და, როგორც თანამედროვე გერმანული კომუნისტი ლიტერატორი ვ ა ლ ტ ე რ ვ ი ქ ტ ო რ ი აღნიშნავს, პირველად მხოლოდ კ ა რ ლ მ ა რ ქ ს მ ა მისცა ნამდვილი, მეცნიერულად დასაბუთებული, პრაქტიკულად განხორციელებადი ხასიათი ამ ლესინგისეულ ფორმულაში ჩაქსოვილ „მომღვრებას, რომ ადამიანისათვის ადამიანია უმაღლესი არსება, ანუ კატეგორიული იმპერატივი, რომლის მოთხოვნით ყველა ის პირობა უნდა იქნას უკუვადებული, რაც კი ადამიანს დამდაბლებულ, დამონებულ, მივიწყებულ და შეზიზღებულ არსებად აქცევს“. ამ მხრივ უკვე ისაა ნიშანდობლივი, რომ პროლეტარიატის დიდი განმათავისუფლებელი ბრძოლის როგორც საწყისი. ისე საბოლოო პრინციპს მარქსი სწორედ ლესინგისებურად განმარტავს: „ფ ე ს ვ ი კ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა თ ვ ი ს თ ვ ი თ ა დ ა მ ი ა ნ ი ა“ (Die Wurzel für den Menschen ist aber der Mensch selbst).

მართალია, გოეთეს მსგავსად, ვერც ლესინგმა დასახა თავისი მალალ-ჰუმანისტური, ფართოდ-დემოკრატიული იდეალის განხორციელების სწორი სოციალ-პოლიტიკური გზები, და ამიტომაც ამ იდეალმა განყენებულ-თეორიული ხასიათი მიიღო; მაგრამ ეს გარემოება იმას როდი ნიშნავს, თითქოს ლესინგის იდეალი,

მისი გაცემა ადამიანის ცნებისა ყოველგვარ კონკრეტულ სოციალ-პოლიტიკურ შინაარსს ყოფილიყო მოკლებული. კემზარიტი ადამიანი ლესინგისათვის სრულებით არ იყო ტრანსცენდენტური, ყოველგვარი მატერიალური შინაარსისაგან გათლილი „ცნება“. რომელმაც თავისი იდეალური რაობის რეალიზაცია მხოლოდ ზენარულ სამყაროში უნდა კპოვოს. როგორც ამას კანტი ფიქრობდა. ამიტომაც ლესინგის ჰუმანისტური იდეალი სულაც არ წარმოადგენდა უნიადგო, განუხორციელებელ „კეთილ იცნებას“; პირიქით, იგი ძლიერ და საღ რეალისტურ ტენდენციას შეიცავდა, რომელიც გამოიხსნელი იყო მატერიალურ, პრაქტიკულ სინამდვილედ განხორციელებისაკენ. სახელდობრ, ადამიანისათვის ბრძოლა ლესინგს, უპირველეს ყოვლისა, იმ კონკრეტულ სოციალ-პოლიტიკურ ბორკილთა წინააღმდეგ ბრძოლად წარმოედგინა, რომლებიც ადამიანის უზუნაეს არსს — ადამიანობას თრგუნავდნენ. სწორედ ის, რომ ამ ბრძოლის წარმოებისათვის მინიმალური პირობებიც კი არ არსებობდა. აიძულებდა მას მუდმივ ევლო თავისი დამონებული ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში; ასე, მაგალითად, 1760 წლის 25 აგვისტოს მან ასე უპასუხა თავის მეგობარს ნიკოლის, რომელიც პრუსიის „თავისუფალ“ დედაქალაქში დაბრუნებას ურჩევდა: „დაე ბერლინში ვინმემ გაბედოს გამოსვლა და ქვეშევრდომთა უფლებებისათვის, ჩავერისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ ამოილოს ხმა, როგორც ამას ახლა საფრანგეთში და დანიაშიც კი აქვს ადგილი, და მაშინ გაიგებთ, თუ რომელი ქვეყანაა დღემდე ევროპის ყველაზე მონური ქვეყანა“.

ამავე დროს, კემზარიტი ადამიანისათვის ლესინგის ბრძოლას არ ჰქონდა ცალმხრივი, მხოლოდ ნეგატიური ხასიათი, იგი არ შემოფარგლულა იმდროინდელი გერმანიის ფეოდალურ-აბსოლუტისტური წყობილების მხილებითა და გამოებით, რითაც არსებითად ამოიწურა ე. წ. „ქარიშხლისა და შეტევის“ ტიპური (ლენცისა თუ კლინგერის მეგვარი) წარმომადგენელთა ინდივიდუალისტური მეამბონებობა. ლესინგის ანტიფეოდალურ პროტესტანტიზმს მაღალი, რევოლუციური პოლიტიკური მრწამსი სძენდა პოზიტიურ ხასიათს. თავისი ფსიქო-მორალური ბუნებით კემზარიტი ანუ თავისუფალი ადამიანი, როგორც მარქსი ამბობს, რესპუბლიკელია, და ლესინგიც რესპუბლიკელი იყო: „რესპუბლიკურ თავისუფლებას“, თქვა მან, „მე ყველგან შემოვიღებდი, რომ შემეძლოსო“.

მაგრამ საკმეც ის იყო, რომ იმდროინდელ გერმანიაში არავითარი ობიექტური პირობები არ იყო „რესპუბლიკური თავისუფლების“ შემოღებისათვის, და ეს ისევე კარგად ესმოდა ლესინგს, როგორც შემდეგ გოეთესაც და შილერსაც. ენგელსი აღნიშნავს, რომ მაშინ გერმანიაში „ყოველივე ჩამპალიყო, ირყეოდა, მზად იყო დამბობილიყო, და კეთილისმყოფელი ცვლოების იმედიც არ ჩანდა, რამედნადაც ერს იმის ძალაც კი არ შესწევდა, რომ დროთაყმეულ დაწესებულებათა ხრწნალი გვაში აღეგავა“. ამიტომაც, ლესინგის, როგორც რევოლუციის იდეოლოგის, წინაშე მხოლოდ გერმანული არქირეაქტიული ფეოდალური წყობილების განქიქებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოწოდების ამოცანა როდი დგებოდა. მას კიდევ უფრო მეტად მართებდა ამ ბრძოლისათვის ხალხისა და, პირველ რიგში, ბიურგერობის აღზრდა-მომზადება, ანუ გერმანული, ჭერ კიდევ თითქმის ჩამოუყალიბებელი ბურჟუაზიის იმ ისტორიულად შექმნილ ფილისტერულ მანკიერებათა მხილება და აღძვევა, რომელნიც მას რევოლუციურ კლასად ქცევის უნარს ართმევდნენ და ხელს უშლიდნენ ხალხი დაერაზმა და წარემართა განმათავისუფლებელი ბრძოლისაკენ. ლესინგს ღრმად ჰქონდა შეგნებული თავისი ეს ორმაგი ისტორიული ამოცანა და მისი კრიტიკული მუშაობაც ამ ამოცანის შესაბამისა „ორლესულობით“ ხასიათდებდა. მისი კრიტიციზმის



სწორედ ეს „ორლესულობა“ ხდის მას გერმანიაში რევოლუციური იდეოლოგიის მამამთავრად და სწორედ ამ ორივე მიმართულებით გააგრძელეს მისი განმანათლებლურა საქმე გერმანული კლასიკური ლიტერატურის კორიფეებმა — გოეთე და შილერმა.

მართალია, გოეთე-შილერის მსგავსად, ამ ამოცანის გადასაწყვეტ პრაქტიკულ საშუალებათა ძიებაში ლესინგი დაუძლეველ დაბრკოლებებს წააწყდა, რომლებმაც მთელ მის მსოფლმხედველობასა და მოღვაწეობას დაასვეს ნაკლებობის, წინააღმდეგობრიობისა და შეზღუდულობის, საბოლოოდ კი, უტოპიურობის დაღი.

ლესინგის გარკვეული წინააღმდეგობრიობა და შეზღუდულობა უკვე იმაში გამოიხატა, რომ იგი, — თავის სამშობლოში „რესპუბლიკური თავისუფლების“ დამკვიდრების შეუძლებლობიდან გამომდინარე, — რესპუბლიკის დამყარებას, ასე ვთქვათ, ზეგინდელი მომავლის საქმედ თვლიდა, ხოლო ზეაღინდელი დღისათვის „განათლებულ“ აბსოლუტურ მონარქიას სჯერდებოდა. მაგრამ ეს არ იყო მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის მთავარი ნაკლი. ჯერ ერთი, ამგვარი მონარქიის მოთხოვნას თუმცა კომპრომისული, მაგრამ მაშინდელი გერმანიისათვის მაინც პროგრესული ხასიათი ჰქონდა, როგორც ვალტერ ვიქტორი აღნიშნავს, „თავისი სამშობლოს საშინელი დაქსაქსულობის პირობებში ლესინგი უ ა ნ ე ე ს, შე ს ა ძ ე ბ ე ლ გამოსავალს ხედავდა ერთი მმართველის ყოლაში ნაცუვად ასეულებისა, არ ივიწყებდა რა იმის მნიშვნელობასაც, თუ როგორი იქნება მმართველობა“; ლესინგის აზრით, არსებულ მდგომარეობაზე უმჯობესი იქნებოდა, „რომ გერმანია ერთ (კურსივი ლესინგისაა — ო. ჯ.) ხელისუფალს ექვემდებარებოდეს, რომელიც ბუნებრივი სამართლიანობის პოზიტიური კანონებით განმტკიცებას შეძლებდა და ისურვებდა“. ხოლო მთავარი ისაა, რომ არსებითად ლესინგის აღმზრდელობითი, განმანათლებლური მოღვაწეობა იმთავითვე არა მონარქიული, არამედ სწორედ რესპუბლიკური იდეალისაკენ იყო გამიზნული. ლესინგი არასოდეს ყოფილა რაიმე, თუნდაც „განათლებული“ მონარქიის აპოლოგეტი, როგორც ამას ნათელი ბურჟუაზიული ისტორიკოსები ირწმუნებდნენ, რომელთაც ჯეროვანი პასუხი ჯერ კიდევ ფრანც მერიანმა გასცა. ლესინგის ჰუმანიტური იდეალი ყოველგვარ ჩავერას, ყოველნაირ შევიწროებას გამორიცხავდა და, ამდენად, პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა მონარქიას, რომლის არსი დესპოტიზმია. როგორც მთელი მისი მსოფლმხედველობა, ლესინგის პოლიტიკური მრწამსიც დემოკრატიზმის სულით იყო გამსჭვალული, ხალხის სუვერენულ საკუთრივ-ადამიანურ უფლებებს იცავდა; მისი მოღვაწეობა მთლიანად იქითკენ იყო მიმართული, რომ სათანადო პირობები შექმნილიყო ხალხის როგორც მატერიალური, ისე სულიერი შემოქმედებით ენერჯიის თავისუფალი, სრული გამოვლენისათვის; ამდენად იგი საბოლოოდ თავის ერისშვილებს ზრდიდა არა „განათლებულ“ მონარქიისათვის, არამედ დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, რომელიც ერთადერთი შესაფერისი სახელმწიფოებრივი ფორმა იყო სუვერენული ადამიანის იდეალისათვის და რომლის შენებას მხოლოდ ახლახან შეუდგნენ ლესინგის თანამემამულენი.

ლესინგის პოლიტიკური მსოფლმხედველობის მთავარი ნაკლი იმ არარევოლუციურ გზებსა და საშუალებებში მდგომარეობდა, რომელთაც იგი თავისი რესპუბლიკური მრწამსის განხორციელებისათვის სახავდა. მართალია, მისთვის სავსებით უცხო არ ყოფილა სინამდვილის რევოლუციური გზით გარდაქმნის იდეა და მის შემოქმედებაში არც თუ უმნიშვნელო ადგილი დაიკირა დემოკრატიული აჯანყების თემამ; ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ 1743 წელს შეუდგა იგი

მუშაობას ტრაგედიაზე „ს ა მ უ ე ლ ჰ ე ნ ზ ი“, რომელშიც სურდა განესახიერებინა იმავე წელს ბერნის რესპუბლიკის ბიურგერთა და გლეხების მიერ მოწყობილი შეთქმულება პატრიციების ოლიგარქიული რეჟიმის წინააღმდეგ; ხოლო უფრო გვიან იგი წერდა ტრაგედიას სპარტაკზე; მაგრამ თუნდაც ის გარემოება, რომ ეს ორივე „ანტიტირანიული ტრაგედია“ მას დაუმთავრებელი დაურჩა, იმას მოწმობს, რომ ლესინგმა სათანადოდ ვერ განიმტკიცა და ვერ დაიმკვიდრა ისტორიული განვითარების, როგორც რევოლუციური სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის პროცესის გაგება. საბოლოოდ იგი ევოლუციონისტურ-რეფორმატორულ თვალსაზრისს დაადგა, რომლის თანახმად კაცობრიობის პროგრესი ფანდატანობით ინტელექტუალურ-მორალური სრულქმნის პროცესს წარმოადგენს და რომელმაც მთელი გერმანული კლასიკური ლიტერატურისათვის „პროგრამული“ გამოხატულება პპოვა მის თხზულებაში „ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი მ ო ღ გ მ ი ს ა ღ ზ რ დ ა“ (1777 — 80).

ამრიგად, ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ ლესინგი არ დასდგომია რევოლუციური გადატრიალებისათვის სამზადისის გზას, რაშიც, უნდა ითქვას, იგი არა თუ გერმანელ, არამედ საერთოდ დასავლეთ-ევროპულ განმანათლებლებს შორის არ ყოფილა გამოჩაყლისი, რამდენადაც თვით დიდროსაც და რუსოსაც კი არასოდეს უქადაგნიათ სინამდვილის გარდაქმნის რევოლუციური მეთოდები (კერძოდ, რუსოც, როგორც ამას მისი „ემილი“ და „საზოგადოებრივი ხელშეკრულებაც“ მოწმობს, აღზრდის თვალსაზრისს ადგა). მაგრამ თავისი მსოფლმხედველობის ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი შინაარსით ლესინგიც, — დიდროსა და რუსოს, გოეთესა და შილერის მსგავსად, — სწორედ რევოლუციის იდეოლოგი იყო. საქმე ისაა, რომ, ერთი მხრივ, მისი პოზიტიური იდეალი, რომელიც შეურიგებლად, რადიკალურად უპირისპირდებოდა ძველ წყობილებას, უკვე თავისთავად კარნახობდა ამ წყობილების რევოლუციური გარდაქმნის აუცილებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ნეგატიური, კრიტიკულ-მამხილებელი მუშაობა იმ ნაკლოვანებათა წინააღმდეგაც იყო მიმართული, რომელიც ადმოფხვრას ხალხი რევოლუციური ბრძოლის სულითა და უნარით უნდა აღექურება.

ლესინგს არ მიუძღარათაჲს ფეოდალური დესპოტიზმის წინააღმდეგ „აკადემიური“ და „პლატონური“ ქადაგებისათვის: იგი კეშმარიტი რევოლუციონერის პათოსით, სიმახვილითა და სიმძაფრით ეწეოდა თავის იდეოლოგიურ ბრძოლას.

უპირველს ყოვლისა მან ეს ბრძოლა წარმართა მაშინდელ გერმანიაში ყველაზე გავრცელებულ რელიგიურ მოძღვრებათა წინააღმდეგ, რომელთაგან ერთი, ოფიციალური ლუთერანული ღვთისმეტყველება, ფეოდალურ-აბსოლუტისტური რეაქციის იდეოლოგიური იარაღი იყო, ხოლო მეორე, ლიბერალური ბიურგერობის ფენებში ფესვგადგმული პიეტიზმი, „მიწიერ განსაცდელთაგან“ მსხნელ გზად ღვთის „სიდიადისა“ და „სიკეთის“ წყნარ კვრეტას უსახავდა ხალხს. რელიგიურ საკითხებზე პოლემიკაში ლესინგი იმ დროის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს ანტირელიგიურ მონაროვნედ გვევლინება. თუმცა ამ მხრივაც იგი ბოლომდე თანმიმდევრული არ ყოფილა, აშკარა ათეიზმამდე არ მისულა, გარეგნულად ე. წ. ღვთისმით დაკმაყოფილდა, რომელიც განმანათლებელთა უმრავლესობის რელიგიურ მოძღვრებას წარმოადგენდა; მაგრამ მან მაინც იმდენი ადამიანური შინაარსი შეიტანა რელიგიის გაგებაში, ისე გასწმანდა იგი სპირიტუალიზმისა და მისტიციზმისაგან, იმდენად დაუქვემდებარა გონებასა და მეცნიერებას, რომ არსებითად რელიგიის ადგილზე ძლიერი მატერიალისტური ტენდენციით გამსჭვალული ეთიკა დააყენა.

ლესინგის ჰუმანისტურ სოციალურ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, — ისევე, როგორც მის რეალისტურ ესთეტიკურ თეორიასა და მხატვრულ პრაქტიკას, მკვეთრად გამოხატული მატერიალიზმი ედო ფილოსოფიურ სარჩულად. „იმას, რაც საზღვრებსა სდებს, — ამტკიცებდა ლესინგი, — მატერია ეწოდება. შეგრძნებები განსაზღვრავენ სულის წარმოდგენათა საზღვრებს; მაშასადამე შეგრძნებები მატერიას წარმოადგენენ. როგორც კი აღეძრა სულს წარმოდგენათა უნარი, მას შეგრძნებებიც კჭონდა, მაშასადამე იგი მატერიასთან იყო დაკავშირებული“. ცხადია, ლესინგისეული მატერიალიზმი არ იყო სრულყოფილი, მექანიციზმითა და სენსუალიზმით სცოდავდა; მაგრამ, ამავე დროს, იგი დიალექტიკის საგრძნობ ელემენტსაც შეიცავდა; გამოაცხადა რა სპინოზას მატერიალისტური ფილოსოფია ერთადერთ ჭეშმარიტ ფილოსოფიად, ლესინგმა დასძინა ამ ფილოსოფიის ცნობილი დიალექტიკური დებულების — *hen kai pan*-ის („ერთია ყოველი“) გამო: „ესაა ჩემი თვალსაზრისით... სხვა მე არაფერი ვიციო“. ცხადია, XVIII საუკუნის ყველა სხვა მატერიალისტის მსგავსად, ლესინგიც იდეალისტი რჩებოდა საზოგადოებრივ მოვლენათა გაგებაში, კერძოდ, გონებას მიიჩნევდა სოციალური პროგრესის მამოძრავებელ და მომწესრიგებელ ძალად; მაგრამ მის ამ სოციოლოგიურ იდეალიზმსაც გამსჭვალავდა საღი მატერიალისტური ტენდენცია: ბუნდოვნად მას მაინც ესმოდა, რომ „ის, რასაც მორალურ მიზეზებს უწოდებენ, სხვა არაფერია, თუ არა ფიზიკალურ მიზეზთა შედეგი“.

ბუნებრივია, რომ ლესინგის ჰუმანისტური მსოფლმხედველობა და იდეოლოგია ყველაზე სრულად გამოვლინდა რევოლუციური სულით გამსჭვალული ახალი გერმანული ლიტერატურისათვის ბრძოლაში, რამდენადაც იმდროინდელ გერმანულთ ისღა რჩებოდათ, რომ „უკეთესი მომავლის ერთადერთი იმედი ლიტერატურაში დაენახათ“ (ენგელსი).

ამ ბრძოლას ლესინგი ორი ზაზით აწარმოებდა — ესთეტიკურ-თეორიული და მხატვრულ-პრაქტიკული განხრით, რომლებიც მკვიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს, ისე რომ ლესინგის ძირითადი ესთეტიკური პრინციპები თავიანთ კონკრეტულ განხორციელებასა და დადასტურებას მის მხატვრულ ქმნილებებში ჰპოვებენ.



ლესინგის აღრინდელ ესთეტიკურ-თეორიულ შემოქმედებას აგვირგვინებს ეურნალი „წერილები უახლესი გერმანული ლიტერატურის შესახებ“, რომელსაც იგი 1759 — 65 წლებში აქვეყნებდა თავისი მეგობრების ფ. ნიკოლაისა და მ. მენდელსონის დახმარებით. ამ „წერილებში“, რომელთა უმნიშვნელოვანესი ნაწილი (პირველი რვა გამოშვება) თითქმის მთლიანად მის კალამს ეკუთვნის, ლესინგი აყენებს გერმანული ლიტერატურის ძირეული რეფორმის უმთავრეს ამოცანებს, მძაფრად ილაშქრებს „კომპენტენტური მწერლების“ წინააღმდეგ, ლიტერატურის ხალხურ-ნაციონალურ ნიადაგზე და მტკიცე რეალისტურ საფუძველზე დამკვიდრებისათვის, მისი გადაქცევისათვის ფეოდალურ რეაქციასთან ბრძოლის, ბიურგერობის რევოლუციური თვითშეგნების გაღვივების ბასრ იარაღად. სწორედ ამ „წერილებიდან“ იწყება, როგორც ნ. გ. ჩერნიშევიჩი აღნიშნავს, გერმანული ლიტერატურის ახალი ეპოქა.

„წერილებში“ ლესინგისეული კრიტიკის მთავარი საგანია გერმანული საკარო კლასიციზმის მეთაური გოტშედი, XVII — XVIII საუკუნეთა ფრანგული საკარო კლასიციზმის ეპიგონი, რომლის თეორიული შეხედულებები და მხატვრუ-

ლი შემოქმედება იმდენადვე სუსტად შეიცავდა ჰუმანიზმისა და რეალიზმის ელემენტს, რამდენადაც ძლიერ იყო გამსჭვალული გერმანული დესპოტური სამთავრო აბსოლუტიზმისადმი მონური მორჩილების სულით. ამავე დროს ლესინგი გაუსწორდა ზომიერი ბიურგერული ლიბერალიზმის თეორეტიკოს ბოდმერსაც, რომელიც, გოტშედის საწინააღმდეგოდ, ინგლისურ „ნიმუშებზე“ დაყრდნობით, თუმცა კი ქადაგებდა პიროვნებისა და გრძნობების თავისუფლებას, მაგრამ არსებითად და საბოლოოდ გოტშედზე ნაკლებ შეზღუდული და მავნე ფილისტერი არ იყო, მისტიკურ-მეჭრეტელურ პოეზიას იცავდა და, დესპოტიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის ნაცვლად, ხალხს ღვთისადმი სულაერი სწრაფვისა და შინაურ სიმყუდროვეში „მცირედით“ დაკმაყოფილებისაკენ მოუწოდებდა. როგორც გოტშედიანელთა, ისე ბოდმერიანელთა შემოქმედების სიყალბესა და უმწეობას ლესინგმა გადაჭრით დაუბიარა სპირა შექსპირისა და დიდროს რეალობი და ჰუმანიზმი, რომელთა გერმანულ ნიადაგზე გადმონერგვა, მისი აზრით, იმ ცხოველყოფილ ტრადიციის საფუძველზე უნდა მომხდარიყო, რომლის საუკეთესო გამომხატველიც ფაუსტის შესახებ ხალხური თქმულებები და პიესები იყო.

ლესინგის ესთეტიკური აზროვნების მწვერვალს წარმოადგენს მისი ორი გენიალური შრომა — „*ლაოკოონი ანუ ფერწერისა და პოეზიის საზღვრებისათვის*“ (1766) და „*ჰამბურგის დამატურგია*“ (1767 — 68). რომელიც გამოსავალი წერტილი კვლავ საკარო კლასიციზმის კრიტიკაა, ხოლო მიზანი — რევოლუციურ-დემოკრატიული სულით გამსჭვალული, რეალისტური ლიტერატურის დასაბუთება.

ლესინგის ამ უმთავრესი თეორიული შრომების და საერთოდ მისი ესთეტიკური მოძღვრების შინაარსის გასახსნელად საჭიროა კლასიციზმის სოციალურ-იდეოლოგიური რაობისა და ისტორიული ევოლუციის გათვალისწინება. ამის აუცილებლობას თენდაც ის ფაქტი ცხადყოფს, რომ საკარო კლასიციზმთან შეურიგებლად მებრძოლი ლესინგი, მრავალი სხვა განმანათლებლის მსგავსად, თვითონაც კლასიციზტია. მართლაც, ანტიკური ხელოვნების, როგორც მშვენიერებისა და ადამიანური ბუნების იდეალური, მარად სანიმუშო ნორმების განსაზღვრების აღქმა, ლესინგს ისევე ახასიათებს, როგორც ბუალოს; ანდა, ლესინგიც არისტოტელეს მიიჩნევს პოეტური ხელოვნების უმაღლეს ავტორიტეტად, და ბუალოს ედავება არა არისტოტელეზე დაყრდნობის გამო, არამედ მისდამი მიდგომის თვალსაზრისით. ერთი სიტყვით, საბჭოთა ლესინგოლოგის ვ. გრიბის შენიშვნისამებრ, „ლესინგი თავს ესხმოდა არა მათ (საკარო კლასიციზტთა — ო. ჯ.) ძირითად შეხედულებებს, როგორც ეს თითქოსდა მოსალოდნელი იყო, არა ანტიკურობის ყოველგვარი ხელოვნების ნორმად და იდეალად აღიარებას, არამედ მის იმ გაგებას, რომელიც გავრცელებული იყო XVII საუკუნეში.“

საქმე ისაა, რომ კლასიციზმი წარმოადგენს როგორც ესთეტიკურ, ისე პოლიტიკურ მსოფლმხედველობრივ ფორმას, რომელსაც, როგორც მარქსი აღნიშნავს, ფეოდალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ბურჟუაზიის იდეოლოგიები იყენებდნენ იმისათვის, რათა თავიანთი კლასის რევოლუციური „აღგზნება დიდი ისტორიული ტრავადიის სიმაღლეზე გაეჩერებინათ“; ამდენად, კლასიციზმი თავისი სოციალური არსით პრაგმატიკულ ბურჟუაზიულ იდეოლოგიურ მიმდინარეობასა და სტილს წარმოადგენს, რომელიც ჯერ კიდევ ადრე-რენესანსის ეპოქაში, ბურჟუაზიის კლასობრივი ჩამოყალიბებისა და რევოლუციური ანტიფეოდალური ბრძოლის დაწყებისაშივე იჩენს თავს და უმაღლეს (XIX საუკუნის დამდეგიდან) იწყებს კვდომას, გადაიქცევა თავის წინააღმდეგობად, „პაროდიად“ და „ფრასად“, როგორც კი გამარჯვებული ბურჟუაზია რეაქციული კლასი ხდება

და თავისი ბრძოლის ნამდვილ, „ბურჟუაზიულ-შეზღუდულ შინაარსს“ აშიშვლებს. XVII საუკუნეში, დასავლეთ ევროპაში არისტოკრატიული რეაქციის გაძლიერებისა და აბსოლუტისტური მონარქიის, როგორც კომპრომისული ფეოდალურ-ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი წყობილების, დამკვიდრების ხანაში, ადრე-რენესანსული კლასიციზმი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის: მისი პროგრესულ-ბურჟუაზიული არსი, მისი ჰუმანისტური და რეალისტური ტენდენციები, რომლებიც აქამდე შეუფერხებლად ვითარდებოდნენ, თუმცა კი ინარჩუნებენ წამყვან ძალას, მაგრამ ძლიერ იზღუდებიან არისტოკრატიული იდეოლოგიის საღრბობით; ამ გვიან-რენესანსულმა აბსოლუტისტურმა ანუ საკარო კლასიციზმმა ყველაზე ტიპიური სახე საფრანგეთში ნიილო, სულაც იგი ისეთნა დიდმა რეალისტებმა წარმოადგინეს, როგორნიც კორნელი და ბუალო, რასინი და მოლიერი არიან, — არისტოკრატიულ იდეოლოგიურ და ესთეტიკურ რეგლამენტაციას მებრძავად დაქვემდებარებული მწერლები. საკარო კლასიციზმის აღნიშნული წინააღმდეგობრივი ბუნებით განისაზღვრება მისდამი განმანათლებელთა დამოკიდებულებაც, რომლებიც ბურჟუაზიული კლასიციზმის განვითარების მესამე, უმაღლეს საფეხურს წარმოადგენენ. განმანათლებლები ხელალებითა და მთლიანად როდი უარყოფენ საკარო კლასიციზმს; ისინი ემიჯნებიან მას, როგორც გარკვეულ მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიურ სისტემას, რომლის ბურჟუაზიული არსი, სალი მარცვლი არისტოკრატიული ნაკუჭითაა შებოჭილი, ანუ იბრძვიან ამ ნაკუჭისაგან კლასიციზმის პროგრესული შინაარსის, ჰუმანისტურ-დემოკრატიული, მატერიალისტურ-რეალისტური ტენდენციების განთავისუფლებისა და განვითარებისათვის. ასე, მაგალითად, დიდროცა და ლესინგიც თავიანთი ესთეტიკის ძირეულ პრინციპად აღიარებენ „ბუნებისადმი მიბაძვის“ არისტოტელეუელ პრინციპს და ამ მხრივ მხოლოდ იმით განსწავლდებიან ბუალოსაგან, რომ მასზე უფრო ფართოდ და ღრმად ესმით როგორც „ბუნების“, ისე „მიბაძვის“ ცნება; ანდა, განმანათლებლური დრამის თეორეტიკოსები გადაჭრით გმობენ ე. წ. „სამი ერთიანობის“ კანონს, მაგრამ — არა მის სამთავე კომპონენტს, კერძოდ, არა „მოქმედების ერთიანობის“ არსებითად რეალისტურ მოთხოვნას, არამედ — „დროსა“ და „ადგილის“ ერთიანობის ხელოვნურ წესებს, რომლებიც დრამატული მოქმედების ბუნებრივ განვითარებას აფერხებენ. ამდენად განმანათლებლები ბუალოს თუ რასინის ანტი-გონისტები კი არ არიან მხოლოდ, არამედ მათი მემკვიდრეობის სალი, პოზიტიური შინაარსის უშუალო და პირდაპირი გამგრძელებლებიც. და, ცხადია, იგივე ითქმის ლესინგზედაც, რომელიც, გოეთე-შილერამდე, განმანათლებლური კლასიციზმის უდიდეს წარმომადგენლად გვევლინება.

მაგრამ მეორე მხრივ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ განმანათლებელთა უშრავლესობას — უფრო სწორად, ყველა განმანათლებელს ე. წ. „სენტიმენტალისტთა“ გამოკლებით, — საკარო კლასიციზმთან საერთო მსოფლმხედველობრივი ნაკლოვანებებიც აქვს. მართალია, ეს ნაკლოვანებანი, — პირველ რიგში, რაციონალიზმის აბსტრაქტულობა, და მატერიალიზმის მექანიციზმი, — განმანათლებელთა ესთეტიკაში შედარებით კლებულობენ, მაგრამ მაინც ართმევენ მათ საკარო კლასიციზმის შეზღუდულობის სრულად და საბოლოოდ დაძლევის უნარს, რასაც მკაფიოდ ადასტურებს თვით ლესინგის ესთეტიკური მოძღვრებაც.

„ლაოკონში“ ლესინგი აუშხედრდა საკარო-კლასიციზტურ — ე. წ. „აღწერილობითს“ პოეზიას, რომელსაც ყველაზე ტიპიური წარმომადგენლები XVIII ხუკუნის პირველი ნახევრის ინგლისში აღმოუჩნდა (ალექსანდრე პოუპი) და გერმანიაშიც ჰყავდა ეპიგონები. ამ პოეზიის მესვეურებს ესთეტიკურ ფორმულად აერჩიათ ჰორაციუსის გამოთქმა: „Ut pictura poesis“ („პოეზია მხატვრობის

მსგავსია“) და ესმოდათ ეს ფორმულა „მშვენიერების“. ბუალოსეული აბსტრაქტულ-რაციონალისტური გაგების შესაბამისად. ამ გაგებას თანახმად, მშვენიერება ხელოვნებაში გამოიხატება ე. წ. „გარეგანი ფორმით“. პლასტიკური სილამაზის სახით, რომელიც მდგომარეობს საგნის შემადგენელ ნაკვეთთა „პარმონიულობაში“, სტატიკურ სიმეტრიულობაში. ეს მეტაფიზიკური კონცეპცია სდევნიდა მშვენიერების ცნებიდან და მხატვრული განსახიერების სფეროდან ყოველგვარ მოძრაობასა და განვითარებას, კერძოდ — გრძნობათა დინამიკას, და ამავე დროს ხასიათდებოდა სპეციფიკურად არისტოკრატიული ტენდენციით: პლასტიკურ, გარეგან სილამაზეში გამოხატული „მშვენიერების“ „პარმონიული“ სრულქმნილება, მისი სიმკაცრე და მდგარობა, მიიჩნეოდა „ამაღლებულობისა“ და „მართლიულობის“ ნიშნად, ხოლო ამის შესაბამისად პოეზიას ეკისრებოდა მხოლოდ „დიდებულ“, კეთილშობილურ სურათთა და არსებათა განსახიერება, მაგალითად — მითოლოგიური ღვთაებებისა, მეფეებისა და გმირებისა, რომელთა „ლიაღმა“ ბუნებამ არავითარი „სიმახინჯე“ და „სისუსტე“, კერძოდ, არც გრძნობათა მოვლევარება ან მერყეობა და არც სხვა რაიმე ცვალებადობა და კვნება იცის. გერმანიაში ამ კონცეპციას რამდენიმედ დემოკრატიზირებული და ლიბერალიზირებული სახე მისცა ანტიკური სახვითი ხელოვნების გამოჩენილმა ისტორიკოსმა ვინკელმანმა, რომელიც მხატვრული, (როგორც სკულპტურული და ფერწერითი, ისე პოეტური) განსახიერების უმაღლეს ესთეტიკურ კანონად მიიჩნევდა ფიგურათა მდგომარეობისა და გამომეტყველების „კეთილშობილურ სისადავესა და უშფოთველ სილიადეს“.

ლესინგი მკვეთრად ასხვავებს ერთმანეთისაგან პლასტიკურ ხელოვნებათა და პოეზიის „საზღვრებს“ — ანუ ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ს, რომელთაც ხელოვნების ეს დარგები სინამდვილის ასახვისათვის, „ბუნების მიბაძვისათვის“ იყენებენ, და ო ბ ი ე ქ ტ ე ბ ს, რომლებიც ამ საშუალებათა შესაბამისად მათ სპეციფიკას შეჰფერის. ამ განსხვავების საილუსტრაციოდ ლესინგს მოაქვს გველთაგან ლაოკონისა და მისი შვილების გაგუდვის სიუჟეტი, რომელიც სხვადასხვაგვარად იქნა გამოხატული სკულპტურულ ქმნილებაში და პოეტურ ნაწარმოებში; ლესინგი მიუთითებს იმაზე, რომ ლაოკონის სულიერი და ფიზიკური ტკივილი ცნობილ ძველ ბერძნულ ქანდაკებაში გამოხატულია მხოლოდ თავშეკავებული, ყრუ კენესით, რომელიც გმირის მორალურ სილიადეს გვაგრძნობინებს, მაშინ როდესაც ვირგილიუსის „ენეიდაში“ ლაოკონი „საზარელ ყვირილს ალაღუნს ვარსკვლავებისაკენ“, რაც მას სახეს უმახინჯებს. ვინკელმანის საწინააღმდეგოდ, რომელიც უემპაოფილოდ შესცქერის ვირგილიუსს“, ლესინგი ამტკიცებს, რომ პოეტურ ქმნილებაში ლაოკონის შექძოლა და უნდა ეყვირა, სკულპტურულში კი — არა. ლესინგის არგუმენტაცია ასეთია: ხელოვნების, როგორც სინამდვილის მხატვრულად ამსახველის, საკუთრივი მიზანი — „მშვენიერებაა“ ანუ „სასიამოვნო შეგრძნების აღძვრა“, მაგრამ ამ საერთო მიზანს ხელოვნების ცალკეულ დარგებში სპეციფიკური საშუალებებითა და, ამის შესაბამისად, სხვადასხვა ფარგლებში აღწევენ; სახელდობრ, სახვითი ხელოვნებანი, რომელთაც „ბუნების“ ასახვის პლასტიკური ფორმები აქვთ, სიერცეში მოქმედებენ და უ პ ი რ ა ტ ე ს ა დ მატერიალურ საგანთა სტატიკურ მდგომარეობას, განფენილობას გამოხატავენ, ხოლო პოეზია, რომლის იარაღსაც მეტყველება წარმოადგენს, დროში მოქმედებს და უ პ ი რ ა ტ ე ს ა დ სულიერ მოვლენათა დინამიკას, თანმიმდევრობას განასხიერებს; ხოლო ამდენად, სკულპტურულ და ფერწერით ნაწარმოებში სხეულის რომელიმე ნაწილის „მახინჯად“ გამოხატვა ესთეტიკური შთაბეჭდილების მთლიანობას, „პარმონიულობას დაარღვევს, პოეტურ ნაწარმოებში კი „არავსთეტიკური

ელემენტი საეხებოთ დასაწეებოა, რადგანაც მის „მომენტალურ“ არაესთეტიკურ სემოქმედებას წინამორბედ და მომდევნო ესთეტიკურ ელემენტთა ერთობლიობა დარღვევას, რაც საბოლოოდ „მწვენიერის“ განვლას შექმნის. აქედან გამოიძინარე ლესინგი ასევე, რომ ხელოვნების ყოველ დარგს თავისთვის შესაფერისი სიუჟეტები მოეპოვება, რომ სახვით ხელოვნებათა საყუაროე, უშუალო ობიექტს: „პლასტიკური“ სიუჟეტები შეადგენენ, ხოლო პოეზიას „საზღვრების“ უფრო ვმოციური, სენტიმენტალური სიუჟეტები განეკუთვნება; ასე მაგალითად, ლესინგის თანახმად. მნატვარმა თვით „სილამაზე“ უნდა განასახიეროს, ხოლო პოეტებს აგი ურჩევს: „განასახიერეთ სიყვარული და აღფრთოვანება, რომელთაც სილამაზე იწვევს. და ამით განასახიერებთ თვით სილამაზესაც“. საბოლოო დასკვნა, რომელიც ლესინგს პლასტიკური ხელოვნებისა და პოეზიის „საზღვრების“ ამ გამოიგნის საფუძველზე გამოაქვს. ისაა, რომ პოეზია, რომლის სპეციფიკურ ობიექტს ყოფიერების დინამიკა, კერძოდ, ამ უქანსენლის გამოვლენის უმაღლესი და უნატიფესი სფერო — გრძნობათა საყარო — შეადგენს, „უფრო ფართო ხელოვნებაა“, რომ „მისთვის ისეთი მშვენიერებანი არიან მისაწვდომი, როგორთაც ვერასოდეს მიაღწევს ფერწერა“.

სახვითი ხელოვნებისა და პოეტური ხელოვნების „საზღვართა“ ლესინგისეულად დიდგენა ნათლად აშკლავნებს ლესინგის ესთეტიკური მოძღვრების თვისებრივად ახალ მიღწევებსაც, რომლებიც საერთოდ კლასიციისტური ესთეტიკის პოზიტივის რეალისტური არსის განვითარების უმაღლეს, განმანათლებლურ საფეხურს ახასიათებენ, და, ამავე დროს, მის მთავარ ნაკლოვანებებსაც, რომელთა წყალობითაც ლესინგი ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ აღწევს თავს წინამორბედ კლასიციისტთა — არა თუ მხოლოდ ვინკელმანისათვის, არამედ აგრეთვე ბუალოსთვისაც — დამახასიათებელ შეზღუდულობას.

ლესინგის ესთეტიკური მოძღვრების მთავარ თვისებრივ სიახლეს ის წარმოადგენს, რომ ლესინგს თავის წინამორბედებზე გაცილებით ფართოდ და ღრმად ესმის ხელოვნების „საზღვრები“ — მისი ობიექტი და დანიშნულება. მართალია, იგი ძირითადად ეთანხმება ვინკელმანს პლასტიკურ ხელოვნებათა თვისებების დიდგენაში, მაგრამ ვინკელმანისაგან განსხვავებით ამ თვისებებს მიიჩნევს პლასტიკურ ხელოვნებათა განსაკუთრებულ — მათი მატერიალური „საშუალებებით“ განპირობებულ — სპეციფიკად და არა საერთოდ ხელოვნების არსისა და შესაძლებლობების გამოხატულებად. თუკი ვინკელმანის აზრით, როგორც სახვითი, ისე ყოველგვარი ხელოვნების „მიზანების“ ანუ ასახვის სკანდალური კარგვანი „სილამაზე“ იყო, რომელიც განსახიერების სფეროდან ყოველივე „დისპარმონიულს“ სდევნის, როგორც „მხანჭას“ და „მდამალს“, — ლესინგის თანახმად, „ხელოვნება მიზანაჲს... მთელ ხილულ ბუნებას“ და არა მხოლოდ „სილამაზეს“, რომელიც „ხილულ ბუნებაში მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს“; მეტიც, ხელოვნების მთავარი ობიექტი „ხილული“ ბუნების გარეგანი, „გაყინული“ საგნობრივი ფორმები კი არაა, არამედ მათი „უჩაღვი“ არსი. რომელიც მოძრაობაში, ცვალებადობაში, ბრძოლაში, სოცოცხლესი მდგომარეობს. მართალია, ხელოვნების საგნის ამ განსაზღვრას საგრძნობლად ზღუდავს „მშვენიერის“, როგორც მატერული განსახიერების საყუაროე კრიტერიუმის აბსტრაქტული გაგება, რომელიც ლესინგს ჯერ კიდევ არსებობდალ საერთო აქვს ვინკელმანთან და სხვა აღრინდელ რაციონალისტებთან; სახელომბრ, თუმცა ლესინგი უკვე აღარაა იმ აზრის, რომ „მშვენიერების“ გამოვლენის ერთადერთი ფორმა „პარმონიული“ პლასტიკური სილამაზეა, მაგრამ მასაც „მშვენიერე-  
2. ლესინგი.

ბის“ ატრიბუტად მიაჩნია იდეალური „სრულყოფილება“, რომელიც „გონიერულის“ აბსოლუტურ, საყოველთაო და მარადიულ „ნორმებს“ ეთანხმება და რომელიც, „მახინჯი“, „უარყოფითი“ უპირისპირდება არაარსებობის, შემთხვევათის, არატიპიურის სახით. ამიტომაც ლესინგი მოითხოვს, რომ „მახინჯი“ მხოლოდ ცალკეულად და შეკრებილებულად იქნას განსაზღვრებული, რათა ხელოვნების ქმნილებამ ესთეტიკური შთაბეჭდილება წარმოქმნას, მშვენიერად განცდა აღძრას. მაგრამ, ამჟამად დროს, ლესინგი სულაც არ ღვება „წმინდა“ ესთეტიკურ ანუ ესთეტურ თვალსაზრისზე; მისი აზრით, ხელოვნების „მთავარი კანონი კემპარიტებაა“, რის შესაბამისადაც, „როგორც თვით ბუნება ხშირად სწორად სილამაზეს უმაღლესი მიზნებისათვის, ასევე მხატვარმაც უნდა დაუქვემდებაროს იგი ძირითად მისწრაფებას და არ ეცადოს იმაზე მეტად განსახიეროს, რამდენადაც მოათხოვს ამას სიმართლე...“ სიმართლე კი ისაა, რომ სინამდვილე მრავალფეროვანია, რთულია და წინააღმდეგობრივი, რომ ბუნებაში და მით უფრო საზოგადოებაში მშვენიერება ჩვეულებრივ სიმახინჯესთანაა „არეული“. და ლესინგიც სწორედ ამიტომ მიიჩნევს პოეზიას ხელოვნების უმაღლეს სახედ, რომ მას არა თუ „შეგრეულ“, დადებით და უარყოფით თვისებათა შემცველ ძოვლენათა განსახიერება ძალუძს მხოლოდ, არამედ „თავისი მიზნებისათვის მახინჯი ფორმების გამოყენებაც“. ამდენად ლესინგის ესთეტიკურ მოძღვრებაში იჭრება გარკვეული დიალექტიკური ნაკადი და ეს ნაკადი მის რეალიზმს აქტიურ, რადიკალურ და დემოკრატიულ ხასიათს ანიჭებს.

მაგრამ აქვე იჩენს თავს ლესინგის ესთეტიკური მოძღვრების მთავარი ნაკლიც. ეს ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ თავის დიალექტიკურ თვალსაზრისს ლესინგი უანზინდერულად ვერ აერთებს ხელოვნების ყველა სახეობაზე, კერძოდ, პლასტიკურ ხელოვნებაზე, რის გამოც ამ უკანასკნელს განახილავს როგორც პოეზიაზე უფრო „შეზღუდულ“ და „დაბალ“ დარგს. ამ ნაკლს, რომელიც პლასტიკური ხელოვნების გაგებაში ლესინგს ვინცელმანთან აახლოვებს, განაპირობებს ლესინგისეული მატერიალიზმის მექანიკური ხასიათი. როგორც ყველა მექანიკურ მატერიალისტს, კერძოდ სპინოზას, ლესინგსაც ვერ „გამოჰყავს“ მოძრაობა, სიცოცხლე მატერიალურიდან, რომელიც მას „თავისთავად“ ინერტულად, უცვლელად, უსიცოცხლოდ ეჩვენება; ცვალებადობას, მოძრაობას, დინამიზმს, როგორც ორგანიულის, იმანენტური აქტივობის ფორმას, ლესინგი მინც სპეციფიკურ „სულიერ“ უნარად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ ამ უნარის აღქმისა და გამოვლენის პირობად სულზე მატერიის უშუალო ზემოქმედებას აღიარებს. ამიტომაც, ლესინგის უანახმად, მატერია მხოლოდ იმ აზრით კი არაა სულის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომ მას შეგრძნებების მეშვეობით აშოქმედებს, არამედ იმ აზრითაც, რომ თავისი ინერტული, მდგარი ბუნებით იგი ბოკავს სულიერი აქტივობის გამოვლენას. სწორედ მატერიის ამ მექანიკური გაგების საფუძველზე ზღუდავს ლესინგი პლასტიკურ ხელოვნებას პოეზიაზე უფრო ვიწრო ფარგლებით: მისი აზრით სკულპტურისა და ფერწერის ნაკლები შესაძლებლობანი იმით ისაზღვრებიან, რომ მათ განკარგულებაში განსახიერების მდგარი მატერიალური ფორმებია, ხოლო პოეზიის უპირატესობას კი ის განაპირობებს, რომ იგი „მიზაძეის“ უფრო თავისუფალ, მოქნილ საშუალებას ფლობს, — მეტყველებას, რომელიც, თითქოს და, თავისა არსით არამატერიულია და, მამასადამე, მოძრავია და ქმელითი. ამიტომ, ამავე დროს, პლასტიკურ ხელოვნებათა და პოეზიის ამ „გამიჯნა“ ლესინგი როდესაც ლესინგს კატეგორიულ, მეტაფიზიკურ ხასიათს: რამდენადაც იგი „სულიერის“ ქმედებას განუტრედალ უკავშირებს მატერიას და, სპინოზას მსგავსად, იმ აზრისაა, რომ „მთელი მატერიალური სამყარო თავის უმცირეს ნაწილაკებამდე



განსულიერებული“, იგი სრულიადაც არ ართმევს პლასტიკურ ხელოვნებებს საერთოდ ხელოვნების უზენაესი საგნის — სულიერ მოძრაობათა სამყაროს — განსახიერების შესაძლებლობასა და ვალდებულებას; იგი მხოლოდ მათ სპეციფიკურად ადგენს, — იმას, რომ მხატვარი გარდნობებსა და განცდებს „მღვარი“ პლასტიკური ფორმით გაშუალდებული სახით გამოხატავს, და საგანგებოდ უსვამს ხაზს მხატვრობისა და პოეზიის არსობრივ ნათესაობას — უწოდებს მათ „დებს“, რომელთაგან პირველი „უმცროსია“, ხოლო მეორე — „უმცროსი“.

მაგრამ თუკი სახვითი ხელოვნების მიმართ ლესინგი გარკვეულად მცდარი აღმოჩნდა, სამაგიეროდ მის მიერ პოეზიის სპეციფიკურ თვისებად და ამოცანად დინამიკის განსახიერების აღიარებას უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა საერთოდ სიტყვიერი ხელოვნების, ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის. ამით ლესინგი მხოლოდ რეალიზმის არეს კი არ აფართოვებდა ლიტერატურაში, არამედ ახალ თვისობრივ საფეხურზედაც ამაღლებდა სანამდვილოს რეალისტურ განსახიერებას, კერძოდ, მისი შთავაზი პრობლემის — ტიპიურობის საკითხის დასა-გადაწყვეტას. არა მხოლოდ საკარო-კლასიციკლურ, არამედ განმანათლებლურ-რაციონალისტურ ესთეტიკაშიც ტიპიზაცია აბსტრაქტულ ხასიათს ატარებდა, რადგანაც ამ ესთეტიკის წარმომადგენლებს, — ბუალოს მეტად, ხოლო დიდროს ნაკლებად, — ტიპური სახის ნიშნებად მხოლოდ ისეთი თვისებები ნიშნავდათ, რომლებიც დასრულებულობით, უცვლელობით ხასიათდებიან. ლესინგისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, რაციონალისტური ესთეტიკის თანხმად, ტიპური სახეები წარმოადგენენ არა ციციხალ, ინდივიდუალურ ხასიათებს, არამედ „განსახიერებელ აბსტრაქტულ ცნებებს, რომლებსაც მუდმივი დამახასიათებელი ნიშნები უნდა ჰქონდეთ, რათა მათი ცნობა იყოს შესაძლებელი“. ლესინგი ამ თვალსაზრისს იმით უხდის ხარკს, რომ მას სახვითი ხელოვნებას მიმართ სტრუქტურა ძალაში, რომელიც, მისი აზრით, განსახიერების მხოლოდ სტატუტურ „საშუალებებს“ ფლობს და ამდენად ვერ გამოხატავს კონკრეტულ ფორმებში, ინდივიდუალურ ხასიათებში ზოგადის, ტიპურის გამოვლენას. პოეზია კი, — რამდენადაც მის საკუთრივ საგანს მოძრაობა შეადგენს, რომელიც მოვლენათა დაუმთავრებელ, გარდაამავალ, ცვალებად მდგომარეობას გამოხატავს და, ამდენად, პირველ რიგში მათ „წარმოვალ“, კერძო ნიშნებს ავლენს, — სწორედ ამ კერძო, ინდივიდუალურ ნიშნებს იყენებს განზოგადოების საშუალებად, „შემთხვევითისა“ და „წამიერის“ მეშვეობით გამოსახავს კანონზომიერის, არსებობის ანუ ტიპურის. ზოგადისა და კერძოს, ტიპურისა და ინდივიდუალურის ერთიანობის იდეა, რაიც ლესინგმა პოეზიას, ლიტერატურას დაუკანონა, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდ წვლილია, რომლითაც მან რეალისტური ესთეტიკური აზროვნება გაამდიდრა.

მხატვრული „მიზანძღვის“ საკუთრივ ობიექტად მოძრაობის გამოცხადებით ლესინგი რეალიზმის არესა და ხარისხს კი არ ზრდიდა მხოლოდ, არამედ რეალისტური ხელოვნების ჰუმანიტარულ არსსა და რევოლუციურ-დემოკრატიულ ხასიათსაც აყანონებდა. მართლაც, ხელოვნების უმთავრესი და უმაღლესი საგანი მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს, როგორც ბუნების უძლიერესი, უპატიურესი ქმნილება, რომელიც თავის თავს სინამდვილისადმი ენერგიული, ქმედითი, მეტრონიკი დამოკიდებულებით გამოავლენს. ამდენად, ლესინგი კატეგორიულად ემდგინება დადებითი უმანის ეპიკურ-მანისურულ იდეას, რომელსაც ბრძოლისათვის ბიურჯურობის უუნარობა განსაკუთრებს და თან არსებობს ატანისა და ეჭვითაა დადებითი უმანის თავისი იდეალის განსახიერებას ლესინგი რადიკალურად ეწინააღმდეგება, რომელსაც სრულიად უარყოფს.

მოდღმწედელობრივი შეზღუდელობის გამო, ვინკელმანს უახლოვდება. ქეშმე-  
რიტი აღამიანის ნიმუშად მას ძველ ბერძნული პოეტური სახე მიანიწია — სო-  
ლოკლეს ღი ლოკტე ტე, რომელსაც „ზეადამიანურობის“ შარავანდი არ მო-  
სავს და სრულეობითაც არ ეთავილება ადამიანურ „სისუსტეთა“ გამოჩენა,  
კერძოდ, ტიცილის განცდისას — „ტირილი, კენესა და ყვირილი“, რომელიც  
თავის ნამწველ აღამიანობას იმით აწკლავებს, რომ პანაწრეაღ, სტოიკურად კი  
არ იტანს ძალმორეობასა და ტანყვას, არამედ შეუპოვრად იბრძვის თავისი მორა-  
ლური მრწამსისა და მოქალაქეობრივი ვალის ერთგული. ლესინგის პუმანისტურ  
იდეალს წარმოადგენს „ადამიანი-გმირი“, რომელსაც „კენესა ადამიანისა აქვს,  
ხოლო საქმენი გმირისა“, რომელიც თავის თავში ერთდროულად განახორციელებს  
ბუნებრივ უშუალობასა და მორალურ სიდიადეს და, როგორც ასეთი, ცოცხალ მო-  
სილი დიდებულის სახით კი არ წარმოგვიდგება, არამედ ჩვეულებრივი,  
მაგრამ ძლიერი ადამიანის სახით გვევლინება. ესაა რევოლუციონარული დე-  
მოკრატიული იდეალი, რომლის განმხორციელებელი მხოლოდ ხალხი შეიძლება  
იყოს.

„ლაოკოონში“ დასაბუთებულ თავისი ესთეტიკური მოძღვრების ძირითად  
პრინციპებს ლესინგმა შედგომ განვითარებული და დაკონკრეტებული სახე მისცა  
„ჰამბურგის დრამატურგიაში“, რომელსაც შეადგენს 1767 — 68 წლებში ჰამბურ-  
გის თეატრში წარმოდგენილი პიესების გამო დაწერილი ასოთხი რეცენზია.

„ჰამბურგის დრამატურგიაში“ ლესინგი საკარო კლასიციტური დრამის იდეურ-  
მხატვრული შეზღუდელობის კრიტიკის გზით თეორიულ საფუძველს უყრის გერმა-  
ნულ განმანათლებლურ დრამატურგიას; ამ დრამატურგის პირველ კლასიკურ ნიმუ-  
შებს წარმოადგენენ ლესინგისავე დრამები, — „მინა ფონ ბარნჰელში“ და „ემი-  
ლია ვალოტი“, — ხოლო მისი განვითარების მწვერვალს გოეთესა და შილერის  
პიესები.

„ჰამბურგის დრამატურგიაში“ განხილულ ძირითად ესთეტიკურ პრობლემებს  
შორის, რომელთაც ემყარება რეალისტური დრამის ლესინგისეული თეორია, გან-  
საკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტიპიურობის საკითხი, რომლის გადასაწყვე-  
ტად აქ ლესინგი მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს წინ „ლაოკოონთან“ შედარებით.

უკვე „ლაოკოონში“ მიიწინია ლესინგს ტიპიზაცია რეალისტური განსახიერე-  
ბის, მხატვრული ასახვის უმთავრეს და აუცილებელ პირობად; იგი განასხვავებს  
აქ ორგვარ მიბაძვას — ერთი მხრივ, პირდაპირ, მარტივ, ემპირისტულ მიბაძვას,  
რომელიც გულისხმობს ყველაფრის ასახვას, რაც არის, და რომლის მიმდევარიც  
„მხოლოდ ასლის ამღებია“ და არა „დამოუკიდებელი გენიოსი“, ხოლო მეორე  
მხრივ კი ნაწვლიად მხატვრულ, შემოქმედებით მიბაძვას, რომელიც აბსტრაქ-  
ციითაა გაწვლებული ანუ ემყარება გონების განმარჯობებელ მუშაობას და  
გულისხმობს არსებითის, აუცილებელის, კანონზომიერის შერჩევას. მაგრამ „ლაო-  
კოონში“ ტიპიზაციის ხარისხს ჯერ კიდევ ძლიერ ბოკავს არსებითის, ზოგადის  
აბსტრაქტულ-რაციონალისტური ვაგება. ამ ვაგების თანახმად, არსებითი, ზოგადი  
წარმოადგენს „გონიერულს“, რომელიც დროისა და ვარემუებათა ცვლაში მხო-  
ლოდ გარეგან, კერძო ხასიათის ცვლილებებს განიცდის; ხოლო ტიპიური გვე-  
ლინება არსებითად დადებითი „მშვენიერის“ სახით, რომელსაც უარყოფითი  
უპირისპირდება, როგორც შემთხვევითი და არაკანონზომიერი „მახინჯი“. თუმცა  
უკვე „ლაოკოონში“ ამ აბსტრაქტულ-რაციონალისტურ თვალსაზრისს წართმეული  
აქვს ის დოგმატიკური ხასიათი, რომელიც მას საკარო-კლასიციტურ ესთეტიკაში,  
კერძოდ, ბუალოს მოძღვრებაში ჰქონდა, — სახელდობრ, აქ ლესინგი აღარ გამო-  
რიცხავს მხატვრული განსახიერების სფეროდან „შემთხვევით“ მახინჯს. მაგრამ

ამ უკანასკნელის განსახიერებას იგი მაინც მხოლოდ იმდენად თვლის შესაძლებლად, რამდენადაც ეს „დასაშვებია“ ხელოვნებისათვის, რომელიც „მიბაძავს ბუნების სრულყოფილებას“.

მართალია, არც „კამბურგის დრამატურგიაში“ ბოლომდე დაძლეული არსებობის, ზოგადის აბსტრუქტულ-რაციონალისტური გაცემა, მაგრამ აქ მაინც უფრო ღრმად და კონკრეტულადაა დამუშავებული ტიპიურობის, როგორც ზოგადისა და ინდივიდუალურის ერთიანობის, ჭერ კიდევ „ლაოკოონში“ არსებითად დიალექტიკურად დასმული პრობლემა.

„კამბურგის დრამატურგიაში“ ლესინგი მრავალგზის და სულ ახალ და ახალ ასპექტში ეხება მოვლენათა ტიპიზაციას, როგორც „ბუნებისადმი მიბაძვის“, სინამდვილის რეალისტური განსახიერების საფუძველს. ლესინგის თანახმად, მხატვრული ნაწარმოების შინაარსობრივი და ფორმალური რაობის, მისი „არსის“ მსაზღვრელ პრინციპს წარმოადგენს „ცალკეული პიროვნების განზოგადება, კერძო მოვლენის ამალღება ზოგად ტიპამდე“. „გენიოსს შეიძლება აანტერესებდეს მხოლოდ ისეთი მოვლენები, — წერს იგი, — რომლებიც ერთმანეთიდან გამომდინარეობენ, მხოლოდ მიზეზთა და შედეგთა ჯაჭვი. უკანასკნელთა ახსნა პირველთა მეშვეობით, მათი ერთმანეთთან შეთანხმება, შემთხვევითობის ყველგან გულმოდგინედ მოცილება და მოქმედების ისე წარმართვა, რომ ყველაფერი, რაც ხდება, ასე ხდებოდეს და სხვაგვარად შეუძლებელი იყოს, — აი მისი საქმე, თუ კი ის ისტორიულ საფუძველზე მუშაობს (ე. ი. სინამდვილეში მომხდარს განსახიერებს — ო. ჯ.) და მენსიერებაში უნაყოფოდ დაგროვილ მარაგს გონების მასაზრდოვებელ მასალად აქცევს“. ყოველი ჯანრის მხატვრული ნაწარმოების გმირებმა „უნდა იმეტყველონ და იმოქმედონ არა ისე, როგორც ეს მხოლოდ მათთვის შეიძლება იყოს, დამახასიათებელი, არამედ ისე, როგორც იმეტყველებდა და იმოქმედებდა ყველა, ვინც იმავე პირობებში იქნებოდა აღჭურვილი მათი თვისებებით“. ლესინგი ენიშნება ნატურალისტურ ტენდენციას, რომელმაც განმანათლებლურ ესთეტიკაში იზინა თავი არა მარტო საკარო კლასიციზტების, არამედ თვით განმანათლებელთა განყენებული ლოგიციზმის წინააღმდეგ მიმართული სენტიმენტალისტური რეაქციის სახით და რომელმაც ხელოვნების საგნად გამოაცხადა ერთეული, განუყოფელი ინდივიდი. „ვინც გამოწაკლისს განსახიერებს, — ამბობს იგი, — უსათუოდ არ განსახიერებს საესებით ბუნებრივ საგნებს“. მაგრამ, ამავე დროს, ლესინგი არც იმ განმანათლებელ რაციონალისტებს ეთანხმება, — კერძოდ, დიდროს, — რომლებიც, ბუალოს მსგავსად, ინდივიდუალურს გამორიცხავენ ტიპიურის სფეროდან; როგორც სენტიმენტალისტთა ნატურალიზმის, ისე რაციონალისტთა ლოგიციზმის საწინააღმდეგოდ, მას ტიპიური ესმის როგორც ინდივიდუალურისა და ზოგადის ერთიანობა, რომელიც თავის კონკრეტულ გამოვლენას, ცოცხალ გამოხატულებას პოულობს ხ ა ს ი ა თ ე ბ შ ი. განსხვავებით დიდროსაგან, რომელიც ხასიათს მიიჩნევდა ინდივიდუალურ კატეგორიად და, როგორც ასეთს, თვლიდა ტრაგედიისა და არა კომედიის ობიექტად, ლესინგი იმ აზრისაა, რომ „ხასიათები ტრაგედიაში ისევე ზოგადი უნდა იყოს, როგორც კომედიაში“ და საერთოდ — „როგორც ყველა პიროვნება, რომელიც პოეტურ მიბაძვაში გამოვლინდება“; ხოლო, მეორეს მხრივ, ზოგადი, ტიპიური სახე, ლესინგის თანახმად, მხოლოდ „ხასიათის წყალობით დააღწევს თავს მეტაფიზიკურ განყენებულობათა რიგს და იქცევა ცოცხალ პიროვნებად“. „ჩვენ ვუყურებთ ფაქტებს, — აცხადებს ლესინგი, — როგორც რაღაც შემთხვევითს, როგორც რაღაც ისეთს, რაც რამდენიმე პირისათვის შეიძლება იყოს საერთო, და პირიქით — ხასიათებს, როგორც რაღაც არსებითსა და ინდივიდუალურს“. ამიტომაც, ხასიათების განსახიერება წარმოადგენს მხატვ-

რული ნაწარმოების მთავარ, მისი ესთეტიკური და იდეური თვისებების განმაპირობებელ ფაქტორს, და კერძოდ — „ხასიათს ემყარება პიესის ინტრიგა და მორალი“.

„ჰამბურგის დრამატურგშიაც“ ტიპიური, როგორც ზოგადი, არსებითი, ლესინგს, ყველა რაციონალისტის მსგავსად, ჭერ კიდევ აბსტრაქტულად ესმის. იგი იზიარებს დიდროს თვალსაზრისს, რომლის თანახმად ტიპიური წარმოდგენს ამა თუ იმ „წოდებისათვის“, ე. ი. გარკვეული სოციალური კატეგორიისათვის, ან ამა თუ იმ ფსიქო-მორალური ფენომენისათვის „ბუნებრივად“ ნიშანდობლივ გვა-რობრივ თვისებათა გამოხატულებას; ამ თვალსაზრისის მიხედვით არსებობს მამის, მოსამართლის, ძენწის, მოთამაშის, სქოლასტიკოსი სწავლულის ტიპები ანდა ტიპიური ვნებები და განცდები, როგორც, მაგალითად, სიყვარული და მძულვარება, სინანული და მწუხარება, რომელთაც თავიანთი „ბუნება“ აქვთ და გარკვეულ საყოველთაოება ახასიათებთ. თუმცა აქ ტიპიური უკვე აღარაა მხოლოდ დადებითი, მაგრამ მაინც აბსტრაქტულ-მეტაფიზიკური ცნებაა, რამდენადაც დიდროსაც და ლესინგსაც იგი ესმით როგორც არსებითად უცვლელი და ნორმატიული „იდეალური“, — დადებითი თუ უარყოფითი, — რომელიც დროთა და გარემოებათა ცვლაში მხოლოდ ვარიაციას განიცდის ანუ რომლის ცალკეული სახესხვაობანი მხოლოდ „გადახრას“ თუ „დარღვევას“ წარმოდგენენ მისი „ბუნების“. უცვლელი „კანონზომიერების“ მიმართ.

მაგრამ, ამავე დროს, დიდროსაგან განსხვავებით, ლესინგი უკვე ცხადად ამჩნევს ტიპიურის ამ გაგების უკმარობას და დაყინებით ცდილობს მის დაძლევას.

ლესინგი არ ეთანხმება დიდროს, რომ ხელოვნება უნდა განასახიერებდეს „იდეალურ“ ხასიათებს, ე. ი. ისეთ დადებით თუ უარყოფით ხასიათებს, რომელთა კონკრეტული თვისებები და ქცევა არა თუ „არ ეწინააღმდეგება“, არამედ „სავსებით ეთანხმება“ მათი „წოდების ვალდებულებებს“, — რომ, მაგალითად, მოსამართლე არ შეიძლება იქნას წარმოდგენილი როგორც „სერიოზული ან ცერცეტი, გულითადი ან მკაცრი“, არამედ „აუცილებლად უნდა იყოს სერიოზული და გულითადი, თანაც ყოველთვის იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს ვასარჩევი საქმე“. ასეთ „იდეალურ ხასიათებს“ ლესინგი უწოდებს „წყალებს“ კლდეებს“, რომლებიც დამსხვრევით ემუქრებიან განსახიერების სიმართლის. პოეტური ნაწარმოების მხატვრულობას, სახეთა ბუნებრივობას.

დიდროს აბსტრაქტულოგიკისტური თვალსაზრისს ლესინგი უპირისპირებს „ე მ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ო ბ ი ს პ რ ი ნცი პ ს, რომელსაც იგი „ჰამბურგის დრამატურგიაში“ კიდევ უფრო მკვეთრად უდებს საფუძვლად სიმართლისა და ბუნებრივობის ცნებებს, ვიდრე „ლაოკოონში“. ლესინგი აღნიშნავს, რომ მხოლოდ იშვიათ, „ჩვეულებრივი ცხოვრებისათვის“ არაღამახასიათებელ მოვლენას წარმოდგენს „ხასიათი, რომელიც მუდამ განუხრელად მისდევს მისთვის გონებისა და სათნოების მიერ დასახულ გზას“; „ოცი საზოგადოებიდან, — წიგნს იგი, — როგორც ცხოვრებაში გვხვდება, უმალ ათს შეხედები ისეთს, სადაც მაშინ შევლთა აღზრდისას სრულიად საწინააღმდეგო გზებს იჩიევენ, ვიდრე ერთ-ერთს შეხვევას, როდესაც იდეალურ მამას ნახავ. თანაც ეს იდეალური მამა ყოველთვის უცვლელია და ტიპიური, ხოლო ამ ტიპისაგან გადახვევა ურიცხვია. მაშასადამე, ის პიესები, რომლებშიც იდეალური მამა იქნება განსახიერებელი, იქნება არა მხოლოდ უფრო ა რ ა ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი, არამედ უფრო ე რ ო ფ ე რ ო ვ ა ნ ი. ვიდრე ის პიესები, სადაც სხვადასხვა პრინციპთა მიმდევარი მამებია წარმოდგენილი“.

ამრიგად, ლესინგის თანახმად, მხატვრული განსახიერების უ შ უ ა ლ ო სა-



ბის, კომპოზიციის სიმეტრიულობის ანდა უანრობრივი სიწმინდის კანონები, რომელთა საფუძველზეცაა გააზრებული არა მხოლოდ ბუალის მოძღვრებაში, არამედ მთელ რაციონალისტურ-კლასიციტურ ესთეტიკაში არისტოტელეს რეალისტური პრინციპი „ბუნების ერთგულებისა“. „კანონებისადმი“ ლესინგის საერთო მიდრეკილება უშუალოდაა ნაკარნახევი ტიპიზაციის პრინციპით, რომელსაც იგი რეალისტურა განსახიერებას აუცილებელ პირობად მიიჩნევს. ასე, მაგალითად, ილაშქრებს რა „ბუნებისადმი მეტისმეტად ზუსტი მიბაძვის“ ანუ ნატურალიზმის წინააღმდეგ, მოითხოვს რა ფაქტთა ემპირიული მრავალსახეობიდან და აღრეულობიდან მოკლენათა არსებითი კავშირების გამოკლენას, სინამდვილის ტიპიზაციას, ლესინგი, ამავე დროს, აღნიშნავს, რომ „ხელოვნების არსს შეადგენს სიმეტრია, პროპორციების თანაშეზომილება და სისწორე“ და რომ „ან ბუნებისადმი მიბაძვა არ უნდა იყოს ხელოვნების პრინციპი, ანდა, თუკი ამ პრინციპით ვიხელნაწვანებდეთ, ხელოვნება აღარ დარჩება ხელოვნება“, უკეთეს მხატვრულ ნაწარმოებში „არც გეგმა, არც კავშირი და არც სალი გონიერება არ იქნება“.

ლესინგი ებრძვის არა რაციონალისტურ-კლასიციტური ესთეტიკის ძირითად კანონებს, არამედ იმ დოგმატიკურ-მეტაფიზიკურ ხასიათს, რომელიც ამ არსებობად რეალისტურმა კანონებმა საკარო-კლასიციტურ დოქტრინაში მიიღეს. მისი აზრით „წესები“ ხელოვნების არსს, საფუძველს შეადგენს, მაგრამ მათი „გადანაშარბეული“ დაცვა, კერძოდ, „მეტისმეტი სიმეტრია, პროპორციათა მეტისმეტი თანაშეზომილება და სისწორე“ გამომსახველობის ძალას, მრავალფეროვანებასა და სიციხველეს, ბუნებრივობას ართმევენ მხატვრულ ნაწარმოებს. ამასთანავე, ლესინგის თანახმად, „წესები“ კონკრეტულ სინამდვილეს, მოკლენათა ობიექტურ კანონზომიერებას უნდა შეესაბამებოდეს: „ქეშმარიტ კრიტიკოსს, — ამბობს იგი, — არავითარი წესები არ გამოაქვს თავისი გემოვნებიდან, მაგრამ თავისი გემოვნება აქვს აღზრდილი წესებზე, რომელთაც საგნის ბუნება მოითხოვს“.

მაგრამ რამდენადაც ლესინგს ჯერ კიდევ ვერ დაუძლევი საგანთა „ბუნებაზე“ აბსტრაქტულ-რაციონალისტური თვალსაზრისი, მისი ესთეტიკური მოძღვრებაც ბევრ ისეთ „წესს“ ადგენს, რომლებიც აშკარად (თუმცა საკარო-კლასიციტთა კანონებზე ნაკლებად) სყოდავენ მეტაფიზიკრობითა და დოგმატიზმით. ამას, ნათლად მოწმობს, მაგალითად, მისი დებულებანი-მოთხოვნები, რომ „ხასიათებში არ უნდა იყოს შინაგანი წინააღმდეგობები“ და რომ „სჯობს იყოს უბრალოდ განსხვავებული, ღირვე საპირისპირო ხასიათები“, ანდა რომ კომედიის ფუნქცია „სიცილია“ და არა „დაციწევა“ და მისთანანი.

მაგრამ, ამავე დროს, მთავარი, რაც აქ ლესინგს თვისებრივად განასხვავებს არა მხოლოდ საკარო კლასიციზმის, არამედ აგრეთვე განმანათლებლური რაციონალიზმის წარმომადგენლებისაგან, დიდროსაგანაც კი, ის არის, რომ მას თვითონ ესმის ნათლად განყენებული „გონებისა და სათნოების“ მოთხოვნებით ნაკარნახევი „წესების“ ცოცხალ სინამდვილესთან შეუთანხმებლობა. და რაკი ლესინგი იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ „წესების“ გარეშე შეუძლებელია ხელოვნება, იგი კატეგორიულად ილაშქრებს „სწავლული კრიტიკის“ წინააღმდეგ, რომელიც გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს „წესების“ დაცვას და ამით „არსს სწირავს მსხვერპლად ფორმას“. მისი აზრით, ხელოვანმა „წესები“ უნდა დაუქვემდებაროს „უმაღლეს მიზნებს“ — ბუნების ერთგულებას, სიმართლეს, შინაარსს, რომელიც თავის უშუალო გამოხატულებას ხასიათებში პოულობს; ამიტომაც, „წესების უმეცრესი დაცვა ვერ აანაზღაურებს ხასიათების განსახიერებაში დამუკბულ უმეცრეს შეცდომას“. უფრო მეტიც: ქეშმარიტ ხელოვანს, „გენიოსს“, ამ მიზნებას

მისაღწევად შეუძლია კიდევაც დაარღვიოს „წესები“; „პოი, ზოგად წესთა შემდგენელნი — წერს ლესინგი. — ჩაოდენ მტირად გესმით თქვენ ხელოვნება და ჩაოდენ ცოტა გცხიათ გენიოსისა, რომელმაც ის ნიმუშები შექმნა, თქვენი წესები რომ ემყარება, და რომელსაც შეუძლია იმდენი არღვიოს ისინი, რამდენსაც მოიხურებებს“.

აქ ლესინგის ესთეტიკური აზრი, რომელიც მრავლად შეიცავს თავისი არსით დიალექტიკურ მიგნებებს, დიალექტიკურად დასმულ პრობლემებს, თავისთვის საბოლოოდ დაუძლეველი დაბრკოლების წინაშე ჩერდება. ერთის მხრივ, თვლის რა „დრამატულ სიმახინჯედ“ ტრაგიკულისა და კომიკურის, „საზეიმო-სერაზუნელი ტონის სახუმარო-გასართობ ტონთან“ აღრევას, ლესინგი, ამავე დროს იძულებულია ლაპე დე ვეგას მიერ უნართა ამგვარი აღრევა იმის გამო გაამართლოს, რომ „თეთონ ბუნება გვემსახურება ნიმუშად ჩვეულებრივისა და ამაღლებულის, სახუმაროსა და სერიოზულის, მხიარულისა და სამწუხაროს შეხამებაში“. და პირიქით, აცხადებს რა, „გენიოსი დასცინის კრიტიკის ყველა... განსაზღვრასო“, იგი იქვე დასძენს: „მაგრამ არ შეიძლება იმის უძრყოფა, რომ დრამა თავის სიუჟეტებს საერთოდ იღებს კანონის საზღვართა ან ამ, ან იმ მხრიდან და ეხება საგნებს, რომლებიც კანონის განმგებლობას ექვემდებარებიან...“

საბოლოო „გამოსავალი“ ამ წინააღმდეგობიდან, რომელსაც ლესინგი პოულობს, ისაა, რომ იგი მხოლოდ მ ი ა ხ ლ ო ვ ე ბ ი თ, რ ე ლ ა ტ ი უ რ მ ნ ი მ ე ნ ე - ლ ო ბ ა ს ა ნ ი ქ ე ბ ს რ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ კ ა ნ ო ნ ე ბ ს, მხოლოდ თ ე ო რ ი უ ლ ფუნქციას აკისრებს ლოგიკის პრინციპთა შესაბამის „წესებს“, ისე რომ საგანგებოდ უსვამს ხასხ მ ი თ პ რ ა კ ტ ი კ უ ლ უ ქ მ ა რ ო ბ ა ს. მისი აზრით, კომედიაში და ტრაგედიაში განსაზღვრებული საგნები კანონებს ექვემდებარებიან „...მხოლოდ იმუნდო, რამდენადაც ისინი სასაილოში გა დ ა დ ი ა ნ, ანდა საშინელის სფეროში შე დ ი ა ნ“, „თვით წესებზე შედგენა, — წერს ლესინგი, — ცხადია, არაა ძნელი; ისინი მხოლოდ იმას მიუთითებენ, რაც გასაკეთებელია, მაგრამ იმას არ ვკისნისან, როგორ შეიძლება ამის მიღწევა. ენებათა გამოხატვა, რაზედაც ამ შემთხვევაში ყველაფერი დაიყვანება, ჭერ კიდევ მხოლოდ და მხოლოდ გენიოსის საიდუმლოებაა“.

და დასასრულ, ასევე „წყევტს“ ლესინგი თავის მიერ დიალექტიკურად დასმულ ტიპიურობის პრობლემასაც. აყენებს რა დებულებას, რომ ტიპიური ხასიათი უნდა წარმოადგენდეს ინდივიდუალურისა და ზოგადის, ჩვეულებრივისა და ვადკარბებულის ერთიანობას, ლესინგი საბოლოოდ ვერ პასუხობს კითხვას, თუ „როგორაა შესაძლებელი, რომ ტიპიური ხასიათი ერთდროულად იყოს ვადკარბებულიცა და ჩვეულებრივიც?“ აღნიშნავს რა, რომ „სწორედ ამაშია სიძნელე“, იგი აცხადებს, რომ არ დაუსახავს მიზნად „აეხსნა ყველა სიძნელე, რომელსაც წააწყდება“ და რომ იმითაც დაკმაყოფილდება, თუ კი მისი „თუნდაც წინააღმდეგობრივი“ აზრები სხვებს მოემსახურება „აზროვნების დერიტად“. მაგრამ ზოგადისა და ინდივიდუალურის ერთიანობის კონკრეტული არსის მიუწვდომლობის გამო ლესინგი სრულიადაც არ იღებს ხელს ტიპიურის ბუნების დიალექტიკურ გაგებაზე, მაინც ინარჩუნებს ამ გაგებას. — ტიპიურს, როგორც ზოგადის ხარისხამდე აყვანილ ინდივიდუალურს, იგი სახავს უმთავრეს თე ო რ ი უ ლ პ რ ი ნ ც ი პ ა დ, რომელიც ხელოვანს გზას უუკრევს „უემშარიტების უშუალო განსაზღვრებისაკენ“, უმაღლეს ესთეტიკურ ი დ ე ა ლ ა დ, რომელსაც პოეტი თუმცაღა ბოლომდე ვერ მიაღწევს, მაგრამ იმდენად უნდა უახლოვდებოდეს, „რამდენადაც ეს შესაძლებელია“.

ტიპიურობის პრობლემის ამგვარ გადაწყვეტაზე, მხატვრული ასახვის უშუალო რბივებად არა საყოთრივ ტიპიურის, არამედ უპირველეს ყოვლისა, მისი „იდეა-

ლური“ ნორმებისაგან „გადახვევათა“ აღიარებაზე აფუძნებს ლესინგი თავის დრამის თეორიას, რომლის თანახმად ტრაგედია და კომედია უნდა განასახიერონ კანონის „დარღვევათა“ ემპირიულ სინამდვილეში მომხდარი შემთხვევები.

ლესინგის დრამის თეორიაც, როგორც მისი მთელი ესთეტიკური მოძღვრება, მიმართულია კლასიციტური რეალიზმისა და ჰუმანიზმის საკარო აბსოლუტისტური რევლამენტაციის ჩარჩოებისაგან განთავისუფლებისაკენ და ახალი, რევოლუციური-განმანათლებლური, ფართოდ დემოკრატიული შინაარსით გამდიდრებისაკენ.

თუკი ბუალო „ბუნებისადმი ერთგულების“ დასაცავად „ქარისა“ და „ქალაქის“, ე. ი. უმადლესი არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის ცხოვრების „შესწავლას“ უჩრევდა დრამატიულ პოეტებს, ლესინგი კატეგორიულად აცხადებს, „მე უკვე დიდი ხანია იმ აზრისა ვარ, რომ კარი სრულებით არ არის ის ადგილი, სადაც პოეტს ბუნების შესწავლა შეუძლია“. თუ კი ბუალო ტრაგედიას, როგორც დრამის „მაღალ“ ეანრს, „მეფეთა“ და „გმირთა“ განსახიერებას ავალდებულებდა, ლესინგმა უკვე თავის ერთ-ერთ ადრინდელ თეორიულ შრომაში („მსჯელობანი-ცრმლიანი და ამაღლებელი კომედიისათვის“) წამოაყენა მოთხოვნა, რომ ტრაგედიის საგანი უნდა იყოს მესამე წოდების უბრალო ადამიანთა ყოფა-ცხოვრება, „მათი ამაღლებული ტანჯვები, რომელნიც მათ ნაკლებ არ ახასიათებთ, ვიდრე მეფეებსა და დიდებულთ“. „კამპურგის დრამატურგიაში“ ეს მოთხოვნა საფუძვლად ედება ლესინგის დრამის თეორიას. ლესინგი აქ „ბრძევებად“ ნათლავს იმათ, „ლისთვისაც გვარიშვილობაა ცხოვრებაში მთავარი“ და მხოლოდ ჩვეულებრივ ადამიანს, „წარჩინებულობის“ ყოველგვარი პირობითობისა და სიყალბისაგან თავისუფალ ხალხის შვილს მიიჩნევს დრამის ნამდვილ, ბუნებრივ გმირად. დემოკრატიული, პლებურური ჰუმანიზმის პოზიცია გამოსკვივის ლესინგის დებულებიდან: „პრინცი და გმირთა სახელებს შეუძლიათ ბრწყინვალეობა და დიდებულება შესძინან პიესას, მაგრამ ოდნავადაც ვერ მატებენ მას ამაღლებულობას. იმ ადამიანთა უბედურებანი, რომელთა მდგომარეობა ჩ ე ე ნ ს ა ს უახლოვდება ძლიერ, სრულიად ბუნებრივად, ყველაზე მეტად მოქმედებენ ჩ ე ე ნ ს სულზე და თუ კი ჩვენ თანავუგრძნობთ მეფეებს, უბრალოდ როგორც ადამიანებს თანავუგრძნობთ მათ და არა როგორც მეფეებს“.

„ბუნებრივობის“ ცნებაში ლესინგი აქსოვს ღრმა და ფართო ჰუმანიტიკურ-დემოკრატიულ შინაარსს, გულსინძობს ხალხის ჩვეულებრივი ქცევისა და მეტყველების ნორმებს, უშუალობასა და სისადავეს. თუკი საკარო კლასიციტები თავიანთ „წარჩინებულ“ გმირთა განცდებსა, ქცევასა და მეტყველებას არისტოკრატიული ეთიკების „წესებს“, გარეგნული „კეთილშობილებისა“ და „ზრდილობის“ მოთხოვნებს უქვემდებარებდნენ, ლესინგი მოუწოდებს დრამატიულ პოეტებს, „მ უ ღ ა მ უ ფ რ ო ა დ ა მ ი ა ნ უ რ ო ბ ა ზ ე ვ ი ზ რ უ ნ ო თ, ვ ი დ რ ე წ ე ს ი ი რ ე ბ ა ზ ე ო“. „თუ კი ბრწყინვალეობა და ეთიკეტი მანქანებად აქცევენ ადამიანებს, პოეტის საქმეა ეს მანქანები კვლავ ადამიანებად აქციოსო“, — შენიშნავს იგი და დასძენს: „არაფერი შეიძლება იყოს უბრალო ბუნებაზე მეტად ღირსეული და წესიერი. სიტლანქე და მოუხეშაობა ისევე შორს დგანან მასგან, როგორც მაღალფარდოვანება და ღვარჯნილობა შორდება ყოველივე ამაღლებულს“. მისი აზრით, საკარო-კლასიციტური ტრაგედიისათვის დამახასიათებელი „დახვეწილი, მაღალფარდოვანი, გაბლენილი მეტყველება არ ეთავსება გრძნობას, არ არის გრძნობის ქვემარტივი გამომხატველი და ვერც აღძრავს მას“, რის გამოც არ წარმოადგენს „ტრაგედიის ქვემარტივ ენას“; ტრაგედიის გმირებმა ისე უნდა იმეტყველონ, „როგორც ყოველი ადამიანი მეტყველებს“.



ლესინგის დრამის თეორიის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს მხატვრული „ილუზიის“ არისტოტელესეული გაგება, რომელშიც კონცენტრირებულია მისი ესთეტიკის რეალისტურ-დემოკრატიული არსი. ამ პრინციპის თანახმად დრამატურგს „უნდა შეეძლოს მთხრობელის თვალსაზრისიდან ყოველი მოქმედი პირის აღვილზე გადანაცვლება, არა ვნებათა აღწერა, არამედ მათი განვითარების საქმით ისე ჩვენება, რომ ეს განვითარება ხდებოდეს ნახტომების გარეშე. ილუზიის შემქმნელი ბუნებრივ თანმიმდევრულობით და რომ მაყურებელი, — სურს ეს თუ არ სურს, — თანაუგრძობდეს გმირებს“ — „დრამატული პოეტისტორიკოსი ხომ არ არის, — წერს ლესინგი, — იგი კი არ მოგვიტხოვს იმანერაც იყო, არამედ ხელახლად წარმოგვიდგენს მომხდარ ამბავს, და არა მხოლოდ ისტორიული ქვეშაირტების აღსაღგენად, არამედ სხვა, უფრო მაღალი მიზნით. ისტორიული ქვეშაირტება მისთვის მიზანი როდია, არამედ მხოლოდ მიზნისისაღწევი საშუალებაა. მას სურს ილუზია გამოიწვიოს და ამ ილუზიით „აჯვალეღვოს“. ანუ სცენაზე წარმოდგენილი ამბავი ისე ბუნებრივი, ისე ნამდვილუნდა ჩანდეს, რომ მას და მაყურებელს შორის სრული ერთიანობა მყარდებოდეს. რომ კაცი მისი გულგრილად, მშვიდად მკერეტელი, „მაყურებელი“ კი არ იყოს. არამედ მის უშუალო თანამონაწილედ გრძნობდეს თავს. განსახიერების სიყალბე არაბუნებრივი ხერხები „არღვევენ ილუზიას“ და გვაუბრთვებენ განსახიერებულ მოვლენისაგან, „გვიჩვენებენ, რომ იგი არის ცივი პოეტის გამოწვინი“. ასევე არღვევს „ილუზიას“ ყალბი, პომპეზური არისტოკრატიული „ეთილშობილებსა“ და ბრწყინვალეების“ ოჩოფეხებზე შეყენებულ „გმირთა განსახიერებაც: „ილუზია“ მხოლოდ მაშინ ხდება შესაძლებელი, როდესაც დრამის მოქმედი პირები ისევე ჩვეულებრივნი, ბუნებრივად ადამიანურნი არიან, როგორც მაყურებელი — ხალხი, რომელსაც თეატრი — ეს „ზნეობრიობის სკოლა“ — უნდა ეგსახერებოდეს.

და სწორედ თეატრის ამ მორალურ-აღმზრდელითი ფუნქციის თანსაზრისით ვგვევლინება „ილუზია“ პოეტის „უმადლეს მიზნად“. „ილუზიის“ გარეშე „ჩვენ ვერ თანაუგრძობთ იმას, რასაც პოეტი განსახიერებს“, მხოლოდ „ილუზიის“ შექმნით აღვიძრავს პოეტი განსახიერებულ ხასიათებისადმი „შისა და თანაღმობას“<sup>1</sup>, რომლებიც ე. წ. „კათარზისს“ იწვევენ ანუ მაყურებელს ზნეობრივად განწმენდენ, რასაც ლესინგი, არისტოტელესა და ყველა კლასიკოსის მსგავსად, მიიჩნევს დრამის უმთავრეს, საბოლოო ამოცანად. ლესინგის თანახმად. დრამატული პოეტი მაშინ კი არ ასრულებს ამ ამოცანას, როდესაც „თავის ფაბულას ისე გადმოსცემს, რომ მან რომელიმე დიდი ზნეობრივი ქვეშაირტება განმარტოს ან დაადასტუროს“; ასეთი ილუსტრირება არა თუ არაა აუცილებელი, არამედ „სრულებით არ არის საჭირო“. ნამდვილად ამ ამოცანას მხოლოდ მაშინ ასრულებს დრამატურგი, როდესაც „ილუზიის“ მეშვეობით თავის გმირთა ბედის თანამოზიანად აქცევს მაყურებელს. ანუ მხოლოდ რ ე ა ლ ი ს ტ რ ი დ რ ა მ ა ასრულებს თეატრის უმაღლეს დანიშნულებას — ევლინება ხალხს ზნეობრივ განმანათლებლად და აღმზრდელად.

მართალია, ლესინგის დრამის თეორიაც ვერ არის ჯერ კიდევ თავისუფალი რიგი ნაკლოვანებისაგან, რაც განპირობებულია საერთოდ (როგორც საკარო, ისე განმანათლებლური) კლასიციზმის ესთეტიკის მეტაფიზიკური შეზღუდულობით.

<sup>1</sup> გერმ. Mitleid — რუს. — сострадание — ჭარბულად იქნება თ ა ნ ა ლ მ ბ ა (იხ. საბა: ლმობა — ტკივილი, ელმობა — სტკიოდა, მღმობელი), ე. ი. გულ-შემატკივრობა და არა თ ა ნ ა გ რ ძ ნ ო ბ ა, რომლის ზაღალაა რუს. сочувствие — გერმ. Mitgefühl, mitempfinden.

კერძოდ, თუმცა ლესინგი, როგორც აღინიშნა, უკვე კრიტიკულად შესცქერის „იდეალურ ხასიათთა“ აბსტრაქტულ-ლოგიკისტურ კონცეფციას, მაგრამ ჭერ-კიდევ ვერ ძღვეს მას, რამდენადაც ხასიათებს თელის გამოხატულებად აბსტრაქტული, დროითა და სივრცით არსებითად განუპირობებელი „ადამიანური ბუნებისა“, რომელსაც „გარეგანი პირობები“ ანუ კონკრეტული სოციალურ-ისტორიული გარემო მხოლოდ გამოვლენის საშუალებად ემსახურება. ამითაა ნაკარნახევი ლესინგის დოგმატური მოთხოვნა დრამატული ხასიათის შინაგანი „შეთანხმებულობის“ შესახებ, რომლის თანახმად „ხასიათებში არ უნდა იყოს არავითარი შინაგანი წინააღმდეგობა; ხასიათები მუდამ ერთგვარანი, მუდამ თავისი თავის ერთგულნი უნდა იყვნენ; მათ შეუძლიათ ხან უფრო ძლიერ, ხანაც უფრო სუსტად გამოემჟღავნება, იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოქმედებენ მათზე გარეგანი პირობები, მაგრამ ამ პირობათაგან არც ერთი არ უნდა მოქმედებდეს ისე ძლიერ, რომ თეთრი შავად აქციოს“ ანუ ამა თუ იმ ხასიათში მისი „ბუნებისათვის“ უცხო ვნება აღძრას (ასე, მაგალითად, ლესინგის აზრით, „ბუნებამ სიყვარულისათვის შექმნა ქალი და არა სისასტიკისათვის“ და ამდენად „თეთრს შავად აქცევს“, ქალის ხასიათის „ბუნებას“ ამახინჯებს კორნელი, როდესაც კლემპატრას ისეთ ქალად წარმოგვიდგენს, „რომელიც თავისი ძალუფლების მოყვარულობის, თავისი შეურაცხყოფილი ქედმაღლობის დასაქმყოფილებლად ყოველგვარ ბოროტმოქმედებას სჩადის, მხოლოდ მაკიაველისეული წესების მიხედვით მოქმედებს“). ამავე გარემოებითაა განსაზღვრული ლესინგი მეორე არანაკლებ დოგმატური მოთხოვნა, რომ დრამატული (როგორც ტრაგიკული, ისე კომიკური) კონფლიქტი უთუოდ „შინაგანი“ უნდა იყოს, ე. ი. გმირის ხასიათს რაიმე მორალური ნაკლი უნდა ჰქონდეს, რომლითაც იქნება პირველ რიგში (და არა „გარეგანი პირობებით“) განსაზღვრული გმირის ტრაგიკული თუ კომიკური მდგომარეობა.

კლასიციტური დოგმატიკის ფარგლებში რჩება ლესინგი იმითაც, რომ თავისებურად მაინც ინარჩუნებს ტრაგედიისა და კომედიის, როგორც დრამის „მაღალ“ და „დაბალ“ ეანრთა არისტოტელურ-ბუალოსეულ გარჩევას: მისი აზრით, „ადამიანის ბუნების“ ზნეობრივი ნორმებისა და საზოგადოებრივ კანონთა დიდი, „საზარელი“ დარღვევები განეკუთვნება ტრაგედიის სფეროს, ხოლო მცირე, „სასაცილო“ დარღვევები — კომედიისას.

ამას გარდა ლესინგის დრამის თეორია ისეთი დოგმატებითაც იზღუდება, რომელთაც უფრო იმ დროის სპეციფიკურ-გერმანული ნიშანი, კერძოდ, ბიურგერული იდეოლოგიის სისუსტის დაღი აზის. ამ მხრივ, ყოვლის უწინარეს, ისაა აღსანიშნავი, რომ დრამატული ასახვის უშუალო საგანს ლესინგი შემოფარგლავს „ადამიანის ზნეობრივი ქცევის“ სფეროთი, წმინდა მორალური თემატიკით. იგი „არაბუნებრივად“ თელის გმირის ამა თუ იმ ზნეობრივი ნაკლით განპირობებულ დრამატული კონფლიქტის ფართოდ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ ურთიერთობათა პლანში გაშლას, როგორც ამას, მაგალითად, კორნელი, რასინი და ვოლტერი სჩადიან ხოლმე. ამავე რიგისაა მისი დებულებაც, რომ კომედია ცდილობს ადამიანი გამოასწოროს ს ი ე ლ ი თ, რომელიც ჰყურნავს, და არა დ ა ე ი ნ ე თ, რომელიც ჰქლავს. ეს თვალსაზრისი ფაქტიურად არსებობის უფლებას ართმევს მოლიერის „ტარტიუფის“ ტიპის ს ა ტ ი რ უ ლ კომედიას და შეესაბამება ვერმანელ განმანათლებლურ ლიტერატურაში სატირიკული ნაკადის საერთო მისუსტებს.

მაგრამ ყოველივე იმის მიუხედავად, ლესინგი თავის დრამის თეორიას

მანც ორნად და ფართოდ რეალისტური შინაარსით აესებს, რომელიც უშეალოდ პასუსობს თეატრის წინაშე მის მიერ დასმულ დიად განმანათლებლურ ამოცანას — „ქვეყნის საკეთილდღეოდ ზრდიდეს მძვინვარესა და ველურს ადამიანად და მოქალაქედ, მეგობრად და პატრიოტად“.

კერძოდ, თუმცა დრამატული კონფლიქტის უმთავრეს მსაზღვრელად ლესინგს გმირის მორალური ხასიათი მიაჩნია, მაგრამ ეს უკანასკნელი, მისი აზრით, უთუოდ ტიპიურ სოციალურ თვისებათა მატარებელი, არა შემთხვევათობისა და იშვიათობის, არამედ ზოგადობის, გავრცელებულობის ნიშნით აღბეჭდილ ღირსებათა და ნაკლოვანებათა მქონე უნდა იყოს. ტიპიურობის პრინციპს უდებს იგი საფუძვლად აგრეთვე, „შიშისა და თანაღმობის“, როგორც „კათარზისის“ პირობის, არისტოტელესეული კონცეფციის თავის გაგებას. ლესინგის თანახმად, არისტოტელე გულისხმობს არა იმ შიშს, რომელსაც ჩვენ სხვა პიროვნების მომლოდინე უბედურება აღგვიძრავს, სახელობრ, არა ამ პიროვნების გამო შიშს, არამედ — იმ შიშს, რომელიც ჩვენგანვე აღიძვრის ჩვენში... ეს არის იმის შიში, რომ ამ პიროვნების თავს დამტყდარი უბედურება შეიძლება ჩვენც არ აგვედეს; ესაა იმის შიში, რომ შესაძლოა ჩვენ თვითონ ვიქცეთ თანაღმობის საგნად... ეს შიში არის ჩვენს თავზე მომართული თანაღმობა“. მაგრამ ამგვარი შიში მაყურებელს მხოლოდ მაშინ იპყრობს, როდესაც მასა და ტრაგიკულ გმირს შორის „მსგავსება“, თვისობრივი ერთობა არსებობს: გმირის ლმობას მხოლოდ მაშინ ენიჭება ჩვენთვის მნიშვნელობა, „თუკი პოეტი იმაზე უარესად არ წარმოგვიდგენს მას, ვიდრე ჩვენა ვართ ხოლმე, თუკი ისე აფიქრებინებს და ამოქმედებს მას, როგორც ჩვენ ვიფიქრებდით ან ვიმოქმედებდით მის მღგობარეობაში, თუკი განასახიერებს მას ადამიანად, რომელიც იმავე მასალისაგან არის გაკეთებული, რაც ჩვენა ვართ“; სწორედ „ეს მსგავსება ბადებს იმის შიშს, რომ ჩვენი ბედიც ისევე აღვიღად დაემგვანება მისას, როგორც ჩვენ მას ვგევაართ, და ეს შიში ბადებს ჩვენს თანაღმობას“.

ასევე რეალისტურად, მახვილი სოციალურ-ისტორიული აღლოთი აქვს ლესინგს გამოჩნული ტრაგედიისა და კომედიის ფუნქციები. ტრაგედიას, როგორც ღრამის „მალალ“ ეანრს, აკისრებს იგი თავისი ეპოქის მთავარი კონფლიქტია, არისტოკრატისა და დემოკრატის შორის კიდილის ასახვას, ასრულეებიინებს განმანათლებლური იდეოლოგიის მთავარ კრიტიკულ ამოცანას — ამხილებიინებს სრწნადი ფეოდალურა საზოგადოების არსებით მანკიერებას, „არაბუნებრიობას“. თუკი საკარო-კლასიცისტური ტრაგედია მეფეებსა და დიდებულთ „ამალლებდა“, რომელნიც მასში ცალკეულ, თუნდაც არსებით ნაკლოვანებათაგან „განიწმინდებოდნენ“ ზოლმე, ლესინგი ტრაგედიის ღადებით გმირად, „კათარზისის“ რომ განიციღს, მესამე წოდების „უბრალო“, „ბუნებრივ“ ადამიანს აქცევს, ხოლო დიდებულებსა და მეღეთაუკი „ადამიანის ზნებრივ ბუნებასთან“ შეურიგებელ წინაღმდეგობაში მისულ უარყოფით პერსონაჟებად წარმოადგენს. ამრიგად იქცევა განმანათლებლურ-კლასიცისტური ტრაგედია მრინსანე რვეოლუციურ სამსჯავროდ, რომელიც „თავზარსა სცემს გვირგვინისან მკვლელებს“, ნიღაბსა ხღის „უმანკობის მორგუნველ ვერაგ ბორცნიქმედს, სისხლიან ტირანს, რომელსაც არ სჯის ან ვერ სჯის კანონი“. ხოლო კომედიას, რომელსაც, მისი აზრით, არა უიმედო ბორცნიქმედის დასჯა, არამედ ნაკლოვანა ადამიანის

ვაოსწორება, „განყურნება“ მართებს<sup>1</sup>, ლესინგი უსახავს, ასე ვთქვათ, „თვით-კრიტიკულ“ ამოცანას — ხალხის, ე. წ. „მესამე წოდების“ უბრალო, „ბუნებრივ ადამიანს, პირველ რიგში, ბიურგერს ზრდიდეს მორალურად სრულყოფილ პიროვნებად, რომელიც ღირსეულად და წარმატებით იტვირთავს საზოგადოებისა და ქვეყნის განმახლებლის, პროგრესისა და ჰუმანიზმისათვის მებრძოლის ისტორიულ მისიას.

თავისი რეალისტურ-დემოკრატიული არსით ლესინგის დრამის თეორია, რომლის პრინციპები, უპირველეს ყოვლისა, ლესინგისავე მხატვრულ პრაქტიკაში იქნა განხორციელებული. მტკიცე თეორიულ საფუძვლად დაედო გერმანულ განმანათლებლურ დრამას; ნ. გ. ჩერნიშევსკის თქმით, „ამბუტურგის დრამატურგია“ იქცა კოდექსად, „რომლის საფუძველზედაც გოეთეს „გიოც ფონ ბერლინინგნი“ და „ფაუსტი“, შილერის „ეპიკლები“ და „ეილჰელმ ტელი“ აღმოცენდა“, — უნდა აღვნიშნავთ, რომლებშიც სრულად და ძლიერამისილად გამოვლინდა მთელი გერმანული კლასიკური ლიტერატურის ჰუმანიტურ-რევოლუციური სული.



„ამბუტურგის დრამატურგის“ უკანასკნელ წერილში ლესინგი წერს: „მე არც მანხობინ ვარ და არც პოეტი. თუმცა ზოგჯერ პატივსა მღებენ და პოეტს სწავნიან, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ცუდად მიცნობენ. ასეთი საჭებური დასკვნის საფუძველს არ იძლევა ის რამდენიმე დრამატული ცდა, რაც მე გავბედე. ყველა მხატვარი როდია, ვინც ხელთ ფუნჯს იღებს და საღებავებს აზავებს“. ეს აღიარება, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ლესინგის ღიად თავმდაბლობას პოწმობს და მხატვრული შემოქმედებისადმი მკაცრ მომთხოვნელობას ამჟღავნებს, სწორი თვითდაკვირვების ნაყოფიც არის: მართლაც, ლესინგი-ხელოვანი საგრძნობლად ჩამოუვარდება ლესინგ-კრიტიკოსსა და ესთეტიკოსს. მაგრამ ამავე დროს, როგორც ნ. გ. ჩერნიშევსკიმ კარგად აღნიშნა, ლესინგ-მხატვრის „სისუსტე“ მხოლოდ შედარებათი იყო ანუ „პოეზიის ნიჭი მის უძლიერეს ტალანტს არ წარმოადგენდა“, თუმცაღა თავისთავად „საკმარისად ძლიერი იყო იმისათვის, რომ მის პირველსავე, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ ბავშვურ თხზულებებს უმაღლვე მიეუწვიათ ყურადღება და დაეყენებინათ ლესინგი მაშინდელი გერმანული ლიტერატურის ერთ-ერთ პირველ ადგილზე“, ამიტომაც იყო, რომ თავისი სიმწიფის დრამინდელი კმნიღებებით ლესინგმა თითქმის ისეთივე ღვაწლი დასდო გერმანული ხალხის სულიერ განახლებას, როგორც თავისი თეორიულ-კრიტიკული თხზულებებით.

დრამა იქცა როგორც საერთოდ დასავლეთ-ევროპული, ისე საკუთრივ გერმანული განმანათლებლური ლიტერატურის გაბატონებულ, წამყვან ენარად და ლესინგი ამ მხრივაც გვევლინება ტიპურ განმანათლებლად და კლასიკური გერმანული

<sup>1</sup> ლესინგის თანახმად, „სასაცილოა ყოველგვარი შეუსაბამობა, ყოველი კონტრასტი სინამდვილესთან“, მაგრამ კომედიურ ანტიკლს (და არა დაციონას) ეს თუ ის შეუსაბამობა ნაივლად მამის იწვევს, როდესაც ნიბი, ან სუესაბამისობის, წყაროა რაინე ცალკეული ნაკლი კაცისა, რომელიც საერთოდ, თავისი „დამარჩენი ბრწყინვალე თვისებებით“, დადებით ხასიათს წარმოადგენს, როგორც, მაგალითად, მოლიერის მიხანტროპი და რენიარის მოთამაშე (წერილი XXVIII).

ლიტერატურის მამამთავრად: თუმცა მას პოეზიის სხვა დარგებშიც უცდია ძალა, სწორედ დრამატურგია აღმოჩნდა ის სფერო, სადაც ლესინგი-მხატვარი სრული ძალით გამოვლინდა.

დრამატურგიული შემოქმედება ლესინგმა ადრე დაიწყო: 18 წლის ქაბუკმა. 1747 წელს, დაწერა თავისი პირველი პიესა „ახალგაზრდა სწავლულნი“, რომელსაც ერთმეორეზე მიაყოლა „მიზოგენი“ და „შინაბერა“ (1748), „ებრაელები“ და „თავისუფლად მოაზროვნე“ (1749), „განძი“ (1750). თუმცა მანინდელმა კრიტიკამ „გერმანელი მოლიერის“, სახელი არ დაიშურა ლესინგისათვის, მისი ეს ადრინდელი კომედიები, რომელთაც ჯერ კიდევ მოწაფური მიზნაძველობის ნიშანი ესვა, არ ქცეულან მნიშვნელოვან ლიტერატურულ და ავტორალურ მოვლენად.

ლესინგის პირველი დრამა, რომელშიც გერმანელი ლიტერატურისა და თეატრის განვითარებაში გარდატეხა მოახდინა და გერმანიის საზღვრებს გარეთაც მრავალგამოქაზნისი, იყო 1755 წელს დაწერილი და გამოქვეყნებული ტრაგედია „მისსარასამპსონი“.

ამ დრამის ისტორიული მნიშვნელობა უპირატესად იმით განისაზღვრება, რომ მასში დადებითად, სერიოზულად და თანაგრძნობით იყო განსახილველად უკვე არა რომელიმე პრინცი თუ დიდებული, რომლის ადამიანური ხასიათი ისტორიულ-ლეგენდარული სიუჟეტის „განსაკუთრებულ“, „განუშვორებელ“ სიტუაციებში გამოვლინდება, არამედ უაზრო ასული, ბიურგერი გოგონა, რომელიც ჩვეულებრივად და თანაც მისი ეპოქისათვის შეტად ტიპური საყოფაცხოვრებო შემთხვევის მსხვერპლი ხდება, რომელსაც ჯერ შეაყდენს წრფელი გულის, მაგრამ სუსტი ნებასყოფის თავაშვებული არისტოკრატი ქაბუკი, შექმნე კი მოსწამლავს ამ უკანასკნელის ბოროტი და ზნედაცემული ხასიათი. „სარა“ მნიშვნელოვნად აღმატება დრამის ამ ახალი ტიპის ინგლისურ და ფრანგულ პირველ ნიმუშებს, კერძოდ, ჟონილოს „ჯორჯ ბარნეულს ანუ ლონდონელ ვაქარსა“ (1731) და დენი დიდროს „უკანონო შვილსა“ (1757) და „ოჯახის მამას“ (1758). ლესინგის ერთ-ერთი თანამედროვე გერმანელი კომენტატორის შენიშვნისამებრ, „თუ კი დიდოს პიესა „მორალისტური ტენდენციით გამსკვალულ პროზაულად დრამატიზირებულ მეკლელობას წარმოადგენდა უფრო, ვიდრე ნამდვილ ტრაგედიას“, და არც დიდროს „ოჯახურ“ დრამებში იყო ჯერ კიდევ გამოსახული ტრაგიკული ხასიათები, ამ დრამებამდე ორი წლით ადრე შექმნილი „სარა“ ზოგადევროპული მასშტაბით იქცა პირველ ჰერმეტიკ ბერეუაზიულ ტრაგედიად, რომელშიც თუმცა ჯერ კიდევ რამდენადმე გაჭიანურებულად, მაგრამ მანამდე უხილავი დრამატიზმით

1 ლესინგს უწერია აგრეთვე ანაკრიონტული ოდები, დიდაქტიკური ლექსება, ვალექსილი და პროზაული იგაეები და ეპიგრამები, რომლებშიც თანამედროვეთა შორის მას გამოჩენილი ლირიკოსის სახელი მოუხვეჭეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი იგაეები და ეპიგრამები, სადაც დიდი გონებამახვილობითა და გესლოთაა გაცილებული როგორც არისტოკრატიულ, ისე ბიურგერული საზოგადოების მანკიერებანი — ანგარება და ძალაუფლებისმოყვარეობა, სიცრუე და სიმბღალე, მონური ქედმოხრილობა და საერთოდ ფალსიტერობის ყოველგვარი გამოვლენა. დამახასიათებელია მისი ასეთი ეპიგრამები: „ტიერთი მადალი საზოგადოების დარია: მსუბუქი ტრეტივებს, მძიმე კი მძალს უწევება“; „მეღვი იკითხა: რომელია უსაძაღლესი ცხველიო? ბრძენმა მიუთხა: გარეულთ შორის — ტიანნი, მიწაურთაგან — მლიქვნელიო“.

განსახიერდა „უბრალო“ ადამიანის „ამალღებული ტანჯვები“. ამიტომაც „სარამ“; რომელსაც ვერანაინაში მაყურებელი აღფრთოვანებით შეხვდა და მრავალი მიმბაძველი აღმოჩნდა, უცხოეთშიც იქონია წარმატება: 1764 წელს იგი ფრანგულად ითარგმნა, ხოლო 1789-ს ფილადელფიაში მისი ინგლისური თარგმანი გამოქვეყნდა; დიდრო გამოეხმაურა მას საგანგებო რეცენზიით, რომელშიც წერდა: „გერმანულმა გენიამ უკვე იბრუნა პირი ბუნებისაიკენ — ეს კემპარიტი გზაა. დაე მან ამ გზით იაროს“.

უკვე „სარამში“ იჩენს თავს ის „ორღესული“ კრიტიციზმი, — როგორც ფეოდალური არისტოკრატის გაბრწინლების მამხილებელი, ისე ბიურგერობის ფილისტრული უნიათობის მგომბელი, — რომელიც წითელ ზოლად გასდევს ჭკრ ლესინგისავე სიმწიფის დროინდელ დრამატურგიას, ხოლო შემდეგ გოეთე-შილერის შემოქმედებას, ე. ი. გერმანიის მთელ მაღალ განმანათლებლობას.

ფეოდალური საზოგადოება აქ მხილებულია უმთავრესად სარას უღირსი მიჯნურის მეღეოტის სახით.

შემოქმედებითი სიმწიფის კარიბჭესთან მდგარი ლესინგი კარგად იცდენს თავიდან დადებით თუ უარყოფით გმირთა ცალმხრივად, ერთ პლანში ხატვის საფრთხეს; კერძოდ, მისი მელეფონტი არ არის მხოლოდ მანკიერ თვისებათა გამომსახველი სქემატური ფიგურა, არამედ წარმოადგენს წინააღმდეგობრავ ხასიათს, რომლის თანდაყოლილი ბუნებრივი დირსებანი, — გულწრფელობა, მგრძობელობა, გულკეთილობა, — კონტრასტულად ჰფენენ შუქს შეძენილ სოციალურ ნაკლოვანებათ. ლესინგი მკვეთრად უსვამს ხაზს მელეფონტის ფსიქო-მორალური ქცევის სოციალურ წარმოშობასა და ხასიათს, მისი სიწამხდრეს. „...როდესაც გაგიცანით, უკვე ისე წამხდარი ბრძანდებოლით, რომ თქვენი გამოსწორების ყოველგვარი იმედი ამაო იყო. რა საშინელ ცხოვრებას ეწეოლით ჩვენი გაცნობის პირველსავე ხანებში ქალადის მოთამაშეთა და მანანწალათა უხამს საზოგადოებაში“, — ეუბნება მელეფონტს მისი მსახური ნორტონი და თან დასძენს: „მე ვუწოდებ მათ იმას, რანიც ნამდვილად იყენენ, და ყურადღებას არ ვაქცევ მათ ტიტულებს, რაინდობას და სხვა ამის მსგავსს.“ (1,3). მელეფონტის წინაშე მდგარ ზნეობრივ ვალდებულებას, — შეერთოს თავის მიერ შეცდენილი სარა, — წინ უდგას გაბატონებული საზოგადოებრივი „მორალი“, რომელიც არაფრით არ შეურიგდება „კეთილშობილი“ ვაჟის „მდაბიო“ ქალთან შეუღლებას; მელეფონტი უსაფუძვლოდ როდი ეუბნება ნორტონს, ჩემი და სარას დაქორწინება „არ შეიძლება ამ სამეფოში მოხდეს, თუ არ გვინდა თავი მთლად დავიღუპოთ“ (1, 5). მაგრამ მთავარი ეს „ობიექტური დაბრკოლება“ არ არის, რომლის დაძლევა მელეფონტს, როგორც ამას ნორტონი ურწვნის, თუნდაც „ამ სამეფოს“ მიტოვებით შეუძლია. და არც ის არის მთავარი, რომ იგი თავს იძულებულად თვლის ქორწინება მანამდე გადასდოს, ვიდრე წინასწარ თავისი მემკვიდრეობის საქმეებს არ მოაგვარებს. გადამწყვეტი ისაა, რომ, როგორც გადაგვარებულ არისტოკრატის პირშო, თვითონ მელეფონტი ვერ დგას თავისი ვალდებულების დონეზე. მელეფონტს წრფელად უყვარს სარა, მაგრამ ეს სიყვარული იმ ძალას არის მოკლებული, რომელიც ვნებას მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა, სერიოზულ საქმეთა იმპლუსად აქცევს ხოლმე. მელეფონტს დაკარგული აქვს ძლიერი, ნამდვილი გრძნობის უნარი და ეს უძლეურება მას ყველაზე უფრო ახასიათებს, როგორც დეგრადირებული კლასის ნაშუერს: მის რეპლიკას, რომ „მხოლოდ მდაბიო ხალხი მოვა აღტაცებაში, როგორც კი ბედა ოდნავ გაუღიმებს“, ნორტონი მიუგებს: „ალბათ იმიტომ, რომ მას კიდევ

შერჩენია გრძნობა, რომელიც დიდგვაროვანი უნელდება და უქრება ათასი არა-ბუნებრივი წარმოდგენის გამო“ (IV,3). და ასევე, როგორც დეგრადირებულში არისტოკრატია, მელეფონტი მორალურადაც არის უმწიო თავისი ვალდებულების შესასრულებლად. იმავე ნორტონის თქმისამებრ, ოჯახური ყოფა-ცხოვრება „მცირედი ეთანხმება“ მელეფონტის „შეხედულებებს“, არისტოკრატულ საზოგადოებაში გამოუმუშავებულს. სარა მას მხოლოდ სატრფოდ (უფრო სწორად — საყვარლად) უნდა, ვინაიდან, აღვირახსნილ ცხოვრებას შეჩვეული, იგი საერთოდ ვერავითარ ვალდებულებას ვერ ეგუება და, კერძოდ, ცოლქმრობაში მხოლოდ იძულებითი ერთგულების უღელს ხედავს; „როგორც ნამდვილია, რომ საუკუნოდ მეყვარება ჩემი სარა, — მოსთქვამს იგი, — ისევე ვერ შევკრიგებვიარ იმ აზრს, რომ იგი საუკუნოდ უნდა მიყვარდეს... უნდა მიყვარდეს!“ (IV,3). მას ზარავს „მწუხარე აზრი“, რომ „მთელი სიცოცხლის მანძილზე იქნება შებოკილი“ და, ამგვარი „განწყობილებით“ თვითონვე შეძრწუნებული აღიარებს: „ო, რა ურჩხული ვარ!... მაგრამ ამას ხომ განწყობილებაც კი არ ეთქმის. ეს უფრო ფანტაზიაა! წუელი ფანტაზია, რომელიც ჩემმა აღვირახსნილმა ცხოვრებამ დამიჩინა. ან მოვიცილებ მას თავიდან ან არა და — არ მსურს სიცოცხლე“ (IV,2). მელეფონტს შეგნებელი აქვს თავისი უვარჯისობა და გულწრფელადაც სურს გამოსწორება, — რაც მას ერთგვარი სიმპათიურობითაც კი ამკობს, — მაგრამ საქმეც ის არის, რომ სწორედ სისუსტის, სრული უმწიობის დალი აზის მის მთელ ფსიქო-მორალურ არსებას, რის გამოც იგი მერყეობს და საბოლოოდ თვითონვე უწყობს ხელს სარას მოკვდინებას მისი „დემონიური“ მოქიშპის, მარეუდას მიერ.

არანაკლებ რთულია და წინააღმდეგობრივი ბიურგერული საზოგადოების წარმომადგენლის, მელეფონტის სათნო სატრფოს, სარას სახეც.

სარა სულიერ, მორალურ ემანსიპაციის გზაზე დამღვარი „მდაბიო“ ასულია, რომლის გრძნობები და ფიქრები დიდბუნებოვანი სისხეტაკითა და კეთილშობილებითაა აღბეჭდილი. წინააღმდეგ მარტულისა, რომელსაც მისი მემკვიდრეობის გულისთვის სურს მელეფონტის ქმრად მოპოვება, და აგრეთვე მელეფონტისა, რომელიც ამავე მემკვიდრეობის მიღებით აპირობებს სარას ცოლად შერთვას, სარა წმინდა, უავარო სიყვარულს მინდობია, რომლის წინაშე არად ფასობს მატერიალური კეთილდღეობა; „თქვენ გინდათ, — საყვედურობს იგი მელეფონტს, — უწინარეს ყოვლისა მემკვიდრეობით კუთვნილი ქონება იხსნათ, გინდათ ჭერ წარმავალი სიმდიდრე იხსნათ და მე კი შეიძლება ამის ფასად მარადიული განძი დამაყარვენიოთ“ (1,7). სარა მალდება ყალბ საზოგადოებრივ მორალზე, რომელიც ყოველივეს ამართლებს, რასაც „კანონიერი“ სახე აქვს მიღებული თუ მიცემული; იგი თავის შემცდენელს იმისთვის კი არ თხოვს დაყინებით „კანონიერ შეუღლებას“, რათა ამით საზოგადოების თვალში აღიდგინოს „პატიოვნება“ და „ღირსება“, არამედ იმიტომ, რომ მხოლოდ ცოლ-ქმრის კავშირი აქვს მიჩნეული ნამდვილ ბუნებრივ და ზნეობრივ სახედ სიყვარულისა, რომლის წინაშე ძალას ჰკარგავს „ქვეყნად“ აღიარებულ-დამკვიდრებული ყველა პირობითობა და ცრურწმენა. „მე... არ მსურს ქვეყნად სხვა რამ პატივი, — ეუბნება... იგი მელეფონტს, — გარდა თქვენი სიყვარულისა. მე მსურს თქვენთან შეუღლება არა ქვეყნის დასანახად, არამედ მხოლოდ ჩემთვის... შეგიძლიათ არ გამომაცხადოთ თქვენს მეუღლედ, თუ ეს არა გსურთ. შეგიძლიათ ის მიწოდოთ, რაც თქვენი ნება იქნება. მე არ მსურს ვატარო თქვენი გვარა. შეგიძლიათ ჩვენი კავშირი ისე საიდუმლოდ შეინახოთ, როგორც ეს მოგეხსიათებათ. ჩემს თავს ამ კავშირის უღირსად ჩავთვლიდი, რომ მისგან სხვა რაიმე სარგებლობას გამოველოდე, გარდა ჩემი სინდისის დამშვიდებისა“ (1,7).

3. ლესინგი.

ეს თვისება სარას წარმოვედგენს დადებით გმირად, რომელიც ლესინგის განმანათლებლურ-პედაგოგიკურ მრწამსს გამოხატავს. მაგრამ, ამავე დროს, ეს თვისება შეადგენს სარას ხასიათის მხოლოდ იდეალურ „მარცვალს“, რომელსაც მანინდელი ბიურგუოლისათვის ნაშანდობლივი ნაკლოვანებანი ეკვირან და ბოქავერ რეალური „ნაჭკვის“ სახით. ყოვლის უწინარეს, სარა ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ განტვირთულა იმ საზოგადოებრივ ცრურწმენებისაგან, რომელთაც განდგომა და ვერ არის მტკიცედ დარწმუნებული თავისი ნაბიჯის მართებულებაში, საკმაოდ ფილისტერულად იურების იმის გამო, რომ „ასე ადვილად დასთმო თავისი სათნოება“, რისთვისაც მამის აღმფოთებისა და შეჩვენების ღირსია (III, 3), მთავარი კი ის არის, რომ მას აკლია საიმისო შინაგანი სიმტკიცე, რათა ქმედითად დაიკვას თავისი მრწამსი და გრძნობანი, თავისი ადამიანური უფლებანი. იგი არის მეტისმეტად პ ა ს ი უ რ ი, უანიციატივო, თავისი ბედისათვის ბრძოლის უნარს მოკლებული, მხოლოდ ვენებითი, „მგრძნობიარე“ არსება, რომელიც იმთავითვეა თავის მოწინააღმდეგეთა მსხვერპლად დაცემისათვის განწირული.

ამრიგად, — თავისი მთავარი „გმირის“ ამ უხერხულობის ასაქეტში, — „მის სარა სამსლინი“, ბიურგერული შინაარსის ეს პირველი გერმანული დრამა, ვრთი თანამედროვე გერმანული ლატერატორის, იოჰიმ მიულერის თქმით, „ამავე დროს წარმოადგენს ბიურგერულ სისუსტეთა და ზნეობრივი უქმარობის განკითხვასაც“.

მიულერი მართებულად შენიშნავს, რომ ამავე „საზოგადოებრივი წინააღმდეგობრიობის“ ნიშნითაა აღბეჭდილი ლესინგის მეორე — უკვე სიმწიფისდროინდელი — ბიურგერული ტრაგედიაც „ემილია გალოტი“. მაგრამ მანამდე ამავე ამოცანას, — ნამდვილი ემანსიპაციისათვის ბიურგერთა თუ, სულაც, გერმანელთა სულიერი უქმარობის მხილებას, — ემსახურება მოწიფული ლესინგის პირველი დრამატული ქმნილება — ცნობილი კომედია „მ ი ნ ა ფ ო ნ ბ ა რ ნ ჰ ე ლ შ ი“ (1763—67).

მოკლედ მისი სიუჟეტი ასეთია: დამთავრდა შეიღწილიანი ომი (1756 — 63); მამაცი და პატროსანი პრუსიელი მაიორი ფონ-ტელჰაიმი სამსახურიდან დაითხოვეს და სამართალში მისცეს; იმის ნაცვლად, რომ მკაცრად აეკრიფა კონტრიბუცია ტიურინგიაში<sup>1</sup>, მან ნებადართულ მინიმუმამდე შეუშკირა გაპარტახებულ ხალხს გადასახადი და სულაც თვითონ გადაიხადა მისი ნაწილი, რის სანაცვლოდ თამასუქი აიღო, რომელიც მის სასარგებლოდ ომის შემდეგ უნდა გაენადღებინებინა ტიურინგელთათვის პრუსიის ხელისუფლებას; მაგრამ ეს კეთილშობილური საქციელი, რომლის გამოც შეიყვარა იგი მდიდარმა საქსონელმა ასულმა მინა ფონ-ბარნჰელმა, იქცა მისი გალატაკებასა და შერცხვენის მიზეზად: პრუსიელმა ბიურგერატემა იქცა იქვე მიიტანეს, რომ მის მიერ წარდგენილი თამასუქი გადასახადის შემციურებისათვის მოღებული ქრთამია; ამის შემდეგ ტელჰაიმი, ულუქმაპუროდ დარჩენილი და ღირსებაშებლალული „ხეიბარი“, მინას უღირსად თვლის თავს და მისგან მალულად მიდის ბერლინში, სადაც მისი საქმე უნდა გაიჩრქეს; მინა მას კვალდაკვალ მიჰყვება, იმავე სასტუმროში ჩერდება, სადაც ტელჰაიმი დაბინავებულა, და ამაოდ ირწმუნებს, რომ მას წინანდებურად ღირსეულ კაცად და საქმროდ თვლის; ტელჰაიმი მანამდე დგას მტკიცე უარზე, ვიდრე მინა არ მოაჩვენებს თავს გალატაკებულად; ამასობაში მას გაამართლებენ კიდევ, მაგრამ ახლა მინა დღდება უარზე, ვიდრე არ ჩასთვლის, რომ საქმარისად დასაჯა მაიორი „ულმობელი სიყვარბისათვის“.

<sup>1</sup> ტიურინგია იმ დროს საქსონიის სამთავროს ოლქი იყო.



„მინა ფონ ბარნკელმი“ პირველი გერმანული დრამაა, რომლის სიუჟეტი თანამედროვე ნაციონალური სინამდვილიდან იქნა აღებული; „ეს არის,—წერს გოეთე აეტრობიოგრაფიაში, — პირველი ნამდვილი ცხოვრებიდან ამოკვეთილი, სპეციფიკური თანამედროვე შინაარსის მქონე თეატრალური ნაწარმოები, რომელმაც ამის გამო კიდევაც მოახდინა განუზომელი ზეგავლენა“.

ლესინგი მკვეთრად ხატავს თავისდროინდელი ფეოდალური სინამდვილის კრიტიკულ სურათს, კერძოდ, მძაფრად ამხელს პრუსიის ფრიდრიხ II-ისეულ აბსოლუტისტურ წყობილებას, რომელიც, კ. მარქსის თქმით, წარმოადგენდა „დესპოტიზმის, ბიუროკრატიზმისა და ფეოდალიზმის ნარევს“.

მოქმედების ფონს ქმნის ამოსავალი სიუჟეტური მოტივი: ტელაიმის, დამსახურებული და კეთილშობილი ოფიცრის, უსაფუძვლოდ დათხოვნისა და შეურაცხყოფის ფაქტი, რაც ფრადრიხის სახელმწიფოებრივი პრაქტიკის ყოველად გავრცელებულსა და ტიპიურ შემთხვევას წარმოადგენდა. მართალია, საბოლოოდ ტელაიმს „თვითონ“ მეფე ამართლებს, თამასუქსაც უნაღდებს და სამსახურში დაბრუნებასაც სთავაზობს („მიმომს ესოდენ მამაცი და მაღალგონიერი ადამიანის ღათობაო“, წერს მას), რამაც გერმანელ ნაციონალისტ ისტორიკოსებს საბაბი მისცა ფრადრიხის აბოლოგად გამოცხადებინათ ლესინგის ეს კომედია; მაგრამ სინამდვილეში, პირიქით, ტელაიმის ბედის ამგვარი „იდილიური“ შემობრუნება იმდენად აშკარად და მძაფრად ეწინააღმდეგება ფრიდრიხის დესპოტური და უპატიოსნო მმართველობის საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, რომ, მერინგის მოსწრებული შენიშვნისა არ იყოს, მაშინდელ მკითხველსა თუ მკურებელს შეეძლო აღქვა იგი მხოლოდ როგორც „ყველაზე უღმრთელი დაცინვა ფრიდრიხისეული რეჟიმის ნამდვილ ხერხებზე“. მხოლოდ ამ ასპექტში ზდება გასაგები ის „უმაღური“ უარი, რომელიც ტელაიმმა თავის „გულკეთილსა“ და „შემწყყნარებელ“ მეფეს იმ საბუთით უთხრა, რომ „ამაჴეყენის ძლიერთა სამსახური სახიფთოა და ამ ჯაფად, შევიწროვებად და დამცირებად არ ღირს, რასაც ჩვენგან მოითხოვსო“, (V, 9).

ამ სურათის ღირსსახსოვარ სახეებს წარმოადგენენ ხარბი და პირფერი სასტუმროს პატრონი, რომელიც პოლიციის დავალებით გულმოდგინედ ჯამუშობს თავის მდგომარეობს, და საეჭვო გვირგვინილობის ფრანგი, ტელაიმის ქარაფშუტა „მეგობარი“ რიკო დე-ლა მარლინიერი, რომლისმავარი პარაზიტებით აავსო ფრიდრიხმა თავისი „ეროვნული“ არმია. ამ სურათის კოლორიტული სახეა აგრეთვე მაიორის ყოფილი ვახმისტრი პაულ ვერნერიც, რომელიც თავისი უანგარო გულკეთილობითა და გულმართალი მზიარელებით, ღრმად ხალხურ ხასიათს წარმოადგენს, მაგრამ ამავე დროს ფრადრიხის არმიაში დანერგილი მილიტარისტული სულთა შერყენილი, უპრინციპო ავანტურისტად ქცეულა, რომელსაც ყოველგვარი ომი ხიბლავს,—იმისაგან დამოუკიდებლად, თუ ვინ და რისთვის აწარმოებს მას, — როგორც გამდიდრებისა და თავაშვებული ცხოვრების საშუალება.

ლესინგი მკაცრსა სდებს ომის კულტს; მისი ტელაიმში, რომელსაც მხოლოდ „უკიდურესი გაქირავების იძულებით“ უქცევია თავის ხელობად სამხედრო სამსახური, ასე არიგებს „პრინცი ერეკლეს“ მიერ სპარსეთში წარმოებულ ლაშქრობებზე მეოცნებე ვერნერს: „ჯარისკაცი ან სამშობლოსათვის უნდა იბრძოდეს, ან იმ საქმის სიყვარულით, რომლისთვისაც ომი წარმოებს. უმიზნო სამსახური — დღეს აქ, ხვალ სხვაგან — ყასბობას ნიშნავს და სხვას არაფერს“ (III, 7).

ამასთანავე, პიესის სიუჟეტი მიმართულია მაშინდელი გერმანიის ფეოდა-

ლური დაქუცმაცებულობისა და მასში მძიმე გარემოებებში შოკისა და შიშის წინააღმდეგ, რაც ჯერ კიდევ გოთემ აღნიშნა: „პრუსიისა და საქსონიის შორის სიძულვილი, ამ (ე. ი. შვიდწლიანმა — ო. ჯ.) ომმა რომ დანერგა, მის დამთავრებასთან ერთად ვერ გაქრებოდა. საქსონელები ახლა განსაკუთრებით მტკივნეულად გრძნობდნენ მეტისმეტად გააძაყებულ პრუსიელთაგან მიყენებულ ჭრილობას და, პოლიტიკური ზაფხულის მიუხედავად, დაუყოვნებლივ ვერ აღდგებოდა სულიერი ზავიც. სწორედ ეს უნდა განესახიერებინა ხსენებულ პიესას. საქსონელ ქალთა სილამაზე და მიმზიდველობა სძლევს პრუსიელთა მეტისმეტ თავმოყვარეობას, ქედმაღლობასა და სიკერაბეს, და პიესა ოსტატურად წარმოგვიდგინს უცნაურ და წინააღმდეგობრივ ელემენტთა შეერთებას მთავარ და მეორეხარისხოვან მოქმედ პირობა სახით“. ამასვე გაუსვა ხაზი ჩერნიშევსკიმაც: „საქსონელი ბარნჰელმისა და პრუსიელი ტელჰაიმის სიყვარული თითქოსდა. გვევლინება დაქუცმაცებულ გერმანულ ტომთა შერიგების, ერთს ეროვნულ გრძნობაში შერწყმის სიმბოლოდ და მთელ პიესა წარმოადგენს ტომობრივი შუღლის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტს, მოწოდებას დაზავებისაკენ, წარსულ წყენათა დავიწყებისაკენ, — მოწოდებას ეროვნული ერთიანობისაკენ“.

მაგრამ აღნიშნული ანტიფეოდალური კრიტიკული ტენდენცია, როდენ დიდოც არაა მისი მნიშვნელობა, არ ამოსწორავს „მინას“ იდეურ შინაარსს; იგი არა თუ ერთადერთი, არამედ თუნდაც მთავარი თემატიკური ელემენტიც არ არის, რომელიც პიესის ძირითადს პრობლემატიკასა და შესაბამის ენაობას აზღვრავს. „მინას“ ასეთ ელემენტს შეადგენს ხალხურ-„თვითკრიტიკული“ ტენდენცია, რომლის ობიექტად გვევლინება მაიორი ტელჰაიმი, — მინას „ანტაგონისტი“, — რომელსაც, მართალია, არისტოკრატიული „ფონ“-თანდებულო უმშვენებს გვარს, მაგრამ ნამდვილად უფრო ბიურგერის სოციალური იერაპეჯს, ვიდრე იუნკრისა.

ტელჰაიმის სახეში ფრიდრიხის ოფიცის ტიპი, როგორც მერიანი აღნიშნავს, ძლიერაა იდეალიზირებული, იქამდე, რომ „ლესინგმა მას ბევრი საკუთარი თვისება მიაკუთვნა“, და ამდენად, ცხადია, ხსენებულ ტიპის განსახიერების მიმართულებით როდია საქმე იმ სახის რეალისტური არისი. საქმე ის არის, რომ ლესინგი არც აპირებს ტელჰაიმის სახით ფრიდრიხის ოფიცის გამოყენებას, არამედ ცდილობს გამოხატოს თავისი ჰუმანისტური სულსიკვებების, კერძოდ, თავისი თვალსაზრისი ადამიანის ზნეობრივ სრულყოფილებაზე. თავისი ხალხსა მორალური ბუნებით ტელჰაიმი, უწინარეს ყოვლისა, თვით ლესინგის ორეულია, ე. ი. „იდეალური“ იუნკერს „კი არ განსახიერებს, არამედ პოტენციურ რევოლუციონერ-დემოკრატად გვევლინება; უებრო პატიოსნებასთან ერთად იგი დაჯილდოვებულია, მაჩქის სიტყვებით თუ ვიტყვი, იმ „საკუთარი ღირსების ადამიანურა გრძნობით“, რომელიც კაცს ყოველგვარ ჩაგვრისა და მონობის შეუტივებელ მტრად აქცევს და ამდენად იმ „თავისუფლების გრძნობას“ წარმოადგენს, რომელსაც, „ბერძნებთან ერთად ქვეყანას განწირვებულს, ხოლო ქრისტიანობასთან ერთად ზეციურ ბურჟუაზიაში გამჭრალს, ერთადერთს შეუძლია ხელახლად აქციოს საზოგადოება მათ უზენაეს მიზანთა განსახორციელებლად მოწოდებულ ადამიანთა კავშირად, ე. ი. დემოკრატიულ სახელმწიფოდ“.

ეს გარემოება, რომ თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული ეთიკური იდეალის გამოხატვლად ლესინგი პრუსიელი ოფიცის პიროვნებას ირჩევს, უმთავრესად იმას შედეგია, რომ მის გარემომცველ გერმანულ სინამდვილეში, სადაც ფილისტერულ-მონური მორჩილების „სული“ საყოველთაოდ მოდებული, მეტად-

რე კი ბიურგერობაში დაბუღებული სენი იყო, არ მოიპოვებოდა სხენებელი იდეალის შესაფერისი კონკრეტულ-წარმომადგენლობითი მასალა. ეს მიზეზი უკვე იმავე გოეთემ აღნიშნა, როდესაც ეკერმანთან საუბარში იმის გამო გამოთქვა სინანული, რომ „ეს არაჩვეულებრივი ადამიანი (ე. ი. ლესინგი — ო. ჟ.) ისეთ უბადრუკ ხანაში ცხოვრობდა, რომ ხელთ იმაზე უკეთესი მასალა არ ჰქონდა, რასაც თავის პიესებში ამუშავებდა“ და რომ, კერძოდ „თავის „მინა ფონ-ბარნ-ჰელმში“ მას იმიტომ მოუხდა პრუსიელთა და საქსონელთა კინკლაობისათვის მოეკიდა ხელი, რომ ამაზე უკეთესი ვერაფერი იპოვა“. რეალური ცხოვრებისეული მასალის ეს უქონლობა იყო იმის პირველი მიზეზი, რომ აქ, — თავისი მალაქ-ჰუმანისტური მრწამსის გამომსახველად პრუსიელი ოფიცრის გამოყენისას, — ლესინგი ისევე მიმართავს „შილერისადაც“, როგორც თვით შილერი, რომელსაც თავის რესპუბლიკურ სულისკვეთებათა „რუპორებად“ კარლ შოროსა და მარკო პოზას მსგავსი არისტოკრატები გამოჰყავს.

მაგრამ როგორც შილერის, ისე მისი მასწავლებლის, — ლესინგის, — რეალიზმის სიღრმე და ძალა სწორედ იმით განიზომება, რომ ისინი კი არ ჩქმალავენ თავიანთ იდეალსა და მის გამოსასახავად გამოყენებულ რეალურ მასალას შორის მძაფრ წინააღმდეგობას, არამედ, პირიქით, მთელი სიმძაფრით გამოაღვინენ მას, ისახევენ რა თავიანთ მთავარ შემოქმედებით ამოცანად მის პოზიტიურ ვადაწყვეტას, შეძლებისამებრ ქმედითად დაძლევენ. და ამიტომ ტელაიმიც როდი გვევლინება უნაკლო გმირად, არამედ გარკვეული ზნეობრივი მანკით, სახელდობრ, სწორედ იმ უარყოფითი თვისებებით ხასიათდება, — „მეტისმეტო თაემოყვარობით, ქედმაღლობითა და სიყვარულით“, — რომლებიც მას, გოეთეს შენიშვნებისამებრ, ვითარცა „პრუსიელს“ ახასიათებენ და უცხო ნაქუქის სახით ეყვიან და ბოკავენ, რყენიან მისი ხასიათის „ბუნებრივ“, ლესინგის მრწამსის გამომხატველ „იდეალურ“ არსს. ამდენად ტელაიმის სახე ზუსტად შეესაბამება ლესინგის ძირითად თეორიულ პრინციპებს, რომ ღრამა „იდეალურ ხასიათებს“ კი არ უნდა განასახიერებდეს, არამედ — კონკრეტული ცხოვრებისეული პირობებით. გამოწვეულ „კანონის დარღვევებს“ და რომ გმირის ღრამატულ ზედღრს მისი ხასიათისავე გარკვეული ნაკლი უნდა საზღერადეს.

თანაც, ტელაიმის აღნიშნული ნაკლოვანებანი საკუთრივ პრუსიულ მანკს როდი შეადგენდნენ; პრუსიულ-იუნკრულ ხასიათში უფრო მკვეთრად გამოვლენილი, ისინი მხოლოდ ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენდნენ იმ საზოგადო, მარქს-ენგელსის თანახმად, „გერმანული შორალისა და პატიოსნებისა“, რომელსაც ერთი მხრივ „პროვინციული შეზღუდულობისა“ და „კოსმოპოლიტური ყოფლოჩანობის“ ნიშანი აზის, ხოლო მეორე მხრივ, „მოკრძალებული ეგოიზმი“ უღვეს სარჩულად და რომლის ყველაზე ნორმალურ და „საერთო წარმომადგენლად“ გერმანიის „საშუალო კლასი“, ბურგერობა გაზოდიოდა. ამდენად, ტელაიმის ნაკლოვანებათა მხილება მხოლოდ „პრუსიულობის“ დაძლევისათვის ბრძოლას კი არ ნიშნავდა, არამედ ფილისტერობის იმ საყოველთაო არტახებისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაც იყო, რომლებიც მთელ გერმანელ ხალხს უხშობდნენ შორალური, სულიერი ემანსიპაციის უნარს.

ლესინგი დიდი ანალიტიკური სიმახვილითა და სინატიფით ხატავს ტელაიმის რთულ ხასიათს, რომლის გამოვლენებში, მინას თქმისამებრ, „ქარგი და ცუდი ერთმანეთშია არეული“ (IV, 6).

როგორც ითქვა, თავისი „ბუნებით“ ტელაიმი სპეტაკი და კეთილი ადამიანია, საკუთარი ღირსების იმ მალაღა, არსებითად რევოლუციურ-დემოკრატიული გრძნობით აღჭურვილი პიროვნება, რომლის გერმანელ ხალხში გაღვიძებასაც

ლესინგი მთავარ მიზნად უსახავდა თავის განმანათლებლურ მოღვაწეობას. მაგრამ ტელჰაიმს აქვს „ერთი ნაკლი“, რომელიც მას გარემომცველი ცხოვრებისგან „გადასადგება“, ფილისტერობის ნაქუქს აკრავს და თავის წინააღმდეგობად აქცევს მის აღნიშნულ დადებით თვისებებს. ეს ნაკლი იმავი მდგომარეობს, რომ მის საკუთარი ღირსების გრძობას გადააკარბეული თემოყვარების, მინას თქმით, „გადამეტებულ სიამაყის“, „ქედმაღლობის“ ხასიათი მიუღია. სწორედ ეს ნაკლი აქცევს მას კომედიურ გმირად: „განა ეს გადაქარბება არ არის?“ — ეკითხება ტელჰაიმს მინა იმის გამო, რომ სამსახურიდან თავის გადაყენებას იგი თავისი ღირსების შელახვად აღიქვამს, და თანაც დასძენს: „მე არ დამიწესებია, რომ ყოველგვარი გადაქარბება სიცილს იწვევს“ (IV, 6).

ამ ნაკლის მიხედვით ის არის, რომ თავისი ღირსებებით გარემომცველ საზოგადოებაზე დიდად ამაღლებულ ტელჰაიმს ჭერ კიდევ ვერ დაუძლეუია ამ საზოგადოების ყველა ზნეობრივი ცრურწმენა და, კერძოდ, თავად ღირსება ესმის ყალბად.

სწორედ აქ უბირისპირდება ერთმანეთს მინა და ტელჰაიმი: ისინი ერთმანეთს მხოლოდ „ღირსების კარნახით“ მოქმედებენ, მაგრამ თუკი ტელჰაიმს, მას შემდეგ რაც „სახელი“ გაუტყდა, „ღირსება“ მინაზე ხელის აღებას უკარნახებს, მინას სწამს, რომ „ღირსებას“, ყველაფრისაგან დამოუკიდებლად, ერთი რამ შეეძლო ეკარნახა ტელჰაიმისათვის: „არ უნდა მიატოვოთ პატიოსანი ქალიშვილი, რომელსაც უყვარხართ“ (IV, 6).

მინას აზრით, — და ეს აზრი თვით ლესინგის ეთიკურ კრედოს წარმოადგენს, — „ღირსება არის ღირსება“ და სხვა არაფერი, ე. ი. მას თავისი ერთადერთი, შინაგანი მსაზღვრელი აქვს კაცის კაცურობის, პატიოსნების, სინდისის სახით, რომლის წინაშე ძალას ჰკარგავს სიმდიდრე თუ სიღატავე, წოდება, სახელი და სხვა გარეშე ფაქტორები, რომლებითაც აღამიანის საზოგადოებრივი მდგომარეობა ფასდება ხოლმე. მინას კეთილშობილი ბიძა, გრაფი ფონ-ბრუხზალი ასე გამოსთქვამს ამ აზრს: „პატიოსანი აღამიანი ღირსიასი ყველ რულისა, როგორც ტანისამოსი იქ უნდა ჩაიცვას მან“ (V, 13). მინასაც ამ პრინციპის თანახმად უყვარს ტელჰაიმი. მას მხოლოდ თავისი კეთილი საქმით (გაპირებულ ტიურინგელთათვის გაწეული დახმარებით) შეაყვარა თავი მათთან; „ჭერ არცკი მენახეთ, რომ მარტო ამისთვის შემოიყვარდითო“, ეუბნება იგი ტელჰაიმს და დასძენს: „მტკაცედ გადაწვევით გავმხდარიყავი თქვენ. მეუღლე, თუნდაც ისეთი შავი და მახინჯი ყოფილიყავით, როგორც ვენეციელი მკერიო“ (IV, 6). და ოტელოს სახე აქ მხოლოდ მისი გარეგნობის გამო არ ჩანს მოტანილი: როგორც ოტელოსა და დეზდემონას სიყვარული აღმოცენდა სულიერი დაახლოების, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის საფუძველზე, ასევე მინასაც მარტო მისი აღამიანი ღირსების, სულიერი სილამაზის გამო უყვარს ტელჰაიმი და ამ სიყვარულისთვის ისევე არ აქვს მნიშვნელობა იმას, რომ მათორს ფული დაეკარგა და საზოგადოების თვალში სახელი გაუტყდა, როგორც მის კანის ფერს ანდა იმას, რომ ომის შედეგად იგი „ხეიბარი“ გახდა, „მარტო ერთ ხელს ამუშავებს“.

ხოლო მინას საწინააღმდეგოდ ტელჰაიმი ფიქრობს, რომ „ღირსება არ არის ჩვენი სინდისის ხმა ან რამდენიმე მართალი კაცის დამოწმება (IV, 6); მისი აზრით, კაცის ღირსებას მისი ნამუსი, კაცობა კი არ საზღვრავს, არამედ მარტო ის მდგომარეობა, რომელიც მას „საზოგადოებაში“ უქირავს, ის შეხედულება, რაც მასზე ამავე „საზოგადოებას“ აქვს შექმნილი. სწორედ ამიტომ თელის იგი „შებლალულად“ თავის ღირსებას, — რამდენადაც პატიოსანი კაცის სახელი გაუტყდა

და თანაც გადატყადა ანუ „მათხოვარი“ გახდა „საზოგადოების თვალში“ (in den Augen der Welt); და ამავე „საზოგადოებრივ აზრს“, — და არა სიყვარულს, — უქვემდებარებს იგი მინასთან თავის დამოკიდებულებასაც; მხოლოდ იმიტომ თვლის თავის თავს მინას უღირსად, რომ „მათხოვარი“ და სახელგატეხილი „ზეიმბარი“ „საზოგადოების თვალში“ ვერ იქნება მდიდარი და ბრწყინვალე ქალის ქმრობის ღირსი (IV, 6.)

ხოლო რაკი ტელაჰიმის თვალში კაცის ღირსება მისი პირად-ადამიანური თვისებებით არ ისაზღვრება, ე. ი. არა თავად მისგან, არამედ გარეშე ფაქტორებისაგანაა დამოკიდებული, იგი — ლესინგის საწინააღმდეგოდ — დაქანკალვებს თავის ღირსებას, უფროსის მის დაქარგვას და უკვე ამ შიშს მოსდევს თავდაცუთი რეაქციის სახით მისი ავადმყოფური თავმოყვარეობა, დიან; „გადაქარბებული სიამაყე“, „ქედმაღლობა“.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ღირსების ეს ყალბა გაგება, რომელიც კაცობას, „სინდისის ხმას“, სიკეთეს უგულვებლყოფს და საზოგადოებაში მოხვეწილ წარმატებას ირჩევს კრიტიკიუმად, მხოლოდ უბრალო ქედმაღლობად კი არ აქცევს, არამედ უფრო მაკენე უარყოფითი ზნეობრივი შინაარსითაც მსკველავს ტელაჰიმის ღირსების გრძნობას, გარკვეული ანგარების, ფარული ეგოიზმის, პატივმოყვარეობის დაღს ასვამს მის „გადამეტებულ სიამაყეს“.

ამ მხრივ, ყოვლის უწინარეს, ტელაჰიმის ის კეთაღშობილი საქციელი იქცევს ყურადღებას, რომელმაც მისი თავი მინას შეაყვარა. ტიურინგელთათვის დანშაობა ტელაჰიმს თითქოსდა წმინდა კაცთმოყვარეობამ გააწვეინა, მოყვასის იმ მაღალმა სიყვარულმა, რომელსაც არაერთი პირადი ინტერესი არ გააჩნია იმპულსად. მაგრამ ნამდვილად აგრ არ ყოფილა: ამ კეთილი საქციელის მის წინააღმდეგ შეტრიალებამ უმაღლესო ბოლო ტელაჰიმის კაცთა და სიკეთის მოყვარულობას, გააბოროტა იგი, ის ადამიანები შეაჯავრა, რომელთა შველას მისთვის სათნო კაცის სახელი უნდა მოეხევეკა. იმის თხრობას, თუ როგორ შეუღლებს ღირსება, ტელაჰიმი ასე ამთავრებს: „თქვენ ჩაფიქრდით, ჩემო ფროილიან? რატომ არ იციანთ? ჰა, ჰა, ჰა! მე კი ვიციანი“; და ამ ბოროტი სიცილით თეზარდაცემულ მინა მას ემუდარება: „ო, ნუ იციანთ, ტელაჰიმი!... ეს არის საშინელი სიცილი, რომელშიაც ისმის სიძულელი ადამიანხადმი. არა თქვენ არ ეყუთენით იმათ რიცხვს, რომელნიც ინანიებენ კეთილ საქციელს, თუ მას ცუდი შედეგები მოჰყვა მათთვის... თქვენი სიცილი მკლავს, ტელაჰიმი, თუ გწამთ სათნოება და განგება, ნუ იციანთ ასე!“ (IV; 6).

მაგრამ საქმეც ის არის, რომ ტელაჰიმი ადამიანებთან თავის ურთიერთობას ანგარებიან საფუძველზე, კერძოდ, თავის პატივმოყვარეობაზე აგებს. მართალია, ტელაჰიმის კეთილშობილი „ბუნების“ შესაბამისად მისი პატივმოყვარეობა კეთილ საქმეებში ეძებს ხოლმე დაკმაყოფილებას, მაგრამ ეს „ამაღლებულობა“, ცხადია, ვერ ცვლის მის (ამ პატივმოყვარეობის) ნეგატიურ, ეგოისტურ არსს, რომელიც უმადოდ მტყდუნდება, როგორც კი ტელაჰიმის პიროვნებას, მის „მე“-ს კრიტიკული სიტუაცია ექმნება.

ამას ცხადად მოწმობს თავის მსახურ იუსტთან და მეტადრე ვერნერთან ტელაჰიმის ქცევა, რომელსაც უმადურებისა და გულჭკვაობის, სიყვარბისა და ამპარტაუნების დალი დასმია. ჯერ ერთი თავისი ღირსების ყალბი გაგებით შეპყრობილი, იგი თაჰილობს თავისი ყოფილი ხელქვეითისაგან ფულის სესხებას; „მე არ შემფერის შენგან ფული ვისესხო“ (III, 7). — ეუბნება იგი პრუსიული პირდაპირობით ვერნერს, რომელშიც ყველაზე უწინ ვახმისტრს ხედავს და არა .კაცს,

რომელიც მას წრფელი გულით სთავაზობს მთელ თავის მონაგარს. ხოლო მისი მეორე და მთავარი არგუმენტი ის არის, რომ მას არ უნდა ვერნერის „მოვალე“ ვახდეს, „სწორედ ახლა“, ამ მდგომარეობაში“ ესესხოს, როცა არ შეუძლია დაუყოვნებლივ გადაიხადოს აღებული ვალი. საქმე ის არის, რომ მისმა „გადამეტრებულმა სიახაყემ“ იგი იმ პატივმოყვარეთა რიგს განუკუთვნა, რომლებიც მხოლოდ მწყალობელთა როლს თამაშობენ ხოლმე, მათკენ მიმართულ სიკეთეს კი სასტიკად გაურბიან, რადგანაც სხვათაგან „დაეალებულად“ ყოფნა მათს „ღირსებას“ ლახავს და თრგუნავს. „მაგრამ ძალიან ცუდია, — ეუბნება მას ფრანცისკა, მინას მსახური, — რომ ასე უფრთხილ იმ ადამიანებს, რომელთაც თქვენთვის კარგი სურთ“ (III, 10). „თქვენი გულკეთილება მტანჯავს... ჩამომხსენით!“ — კენესის იგი, როცა მინა თხოვს: „მომეციტ ხელი, ჩემო საყვარელო მათხოვარო!“ (II, 8). „აჰ! დღეს ასე სასტიკად რად მტანჯავენ საუკეთესო ადამიანები!“ — აღმოხდება მას, როცა ვერნერი მიაშიტი დაჟინებით სთავაზობს თავის ღუკატებს (III, 7). და ამ „ტანჯვის“ თავიდან ასაცილებლად მას შეუძლია, — ამის ნაცვლად, რომ მადლობის გრძნობით განიმსკვალოს, — ტლანქად და სასტიკადაც კი მოექცეს თავის კეთილისმსურველს; მხოლოდ იმისთვის, რომ „არაფერი ემართოს“, იგი მზადაა გარეთ გააგდოს, დაითხოვოს თავისი თავდადებული მოხუცი მსახური. იუსტი, რომელსაც უმისოდ უკვე აღარსად ეცხოვრება. დიახ, ეს მოთაქილეობა ეგოიზმის უნატიფესი და უმძიმესი გამოვლენაა და ვერნერიც, შესაძლოა, ამარტივებს, მაგრამ არსებითად, ცხადია, არ ცდება, როდესაც ტელპიშს განუმარტავს: „თუ ეს კეთილშობილი აზროვნებაა, გეფიცებით, დიდად უკუღმართიკაა“; „ვინც გაქირებების უამს არ გამომართმევს ფულს, როცა მე მაქვს და მას კი არა, ის თვითონაც არაფერს მომცემს, თუ გამოიჭირდა...“ (III, 7).

სწორედ ამავე პატივმოყვარეობის, ამ „ამაღლებული“, „პატიოსანა“ ეგოიზმის კარნახით იღებს იგი ხელს მინაზე. მართალია, იგი თითქოსდა უანგაროდ, მხოლოდ მინასთვის იღწევს, რომელსაც, თუ კი მას გაჰყვა, მოშურნენი დაგესლავენ, „ხეიბარსა“ და „მათხოვარს“ მისაღდა თავისი ქონებითო; „უღირსია ის სიყვარულთ, — არწმუნებს იგი მინას, — რომელსაც შეუძლია საყვარელი ქალი უყოყმანოდ ხელში ჩაუგდოს საზოგადოების საძულელილს“ (IV, 6). მაგრამ ამ „ალტრუისტულ“ საბუთს, რომელსაც, ჩანს, მისი ეგოისტური საქციელის მხოლოდ გამართლება ევალება, იქვე აბათილებს მეორე, „საბოლოო“ არგუმენტი: „უღირსია ადამიანი, თუ მას არ სცხვენია მთელს თავის ბედნიერებას უმადლოდ ეს ქალს, რომლის ბრმა სიყვარულმა...“ დიახ, როგორც იუსტისა და ვერნერის წინაშე, ასევე აქაც, მინასთან, მას უმძიმეს დაეალებულად იგრძნოს და საქმე სამადლობელად გადაიხადოს. ამიტომაცაა, რომ მინა, — სწორედ აქედან მოყოლებული, — იმის შესხენებით იწყებს მისთვის „ქუთის სწავლებას“, რომ „ადამიანებს ვრთმანეთი სრულიად უანგაროდ უნდა უყვარდეთ“ (IV, 6).

ასე ვლინდება ტელპიშის ხასიათის „კარგი“ და „ცუდი“ და ცხადი ხდება, რომ თავისი მორალური ბუნებით ტელპიშს შეეძლო ყოფილიყო სრულირებული ადამიანი, რომ ღირსების ყალბ გაგებას არ შეერყვნა და არ ექცია იგი ფილისტერული ეგოიზმით და პატივმოყვარეობით შეპყრობილ ინდივიდუალისტად, რომელიც, მართალია, ამა ქვეყნის ძლიერთა საამებლად „ძალიან ცოტას“ აკეთებს, მაგრამ ვალდებულების კარნახითაც — მხოლოდ „ცოტათი მეტს“, ხოლო „სამაგიეროდ ყველაფერს — საკუთარი ღირსების გამო“ (IV, 6).

სწორედ ამ ინდივიდუალიზმის მხილება და დაძლევის ცდა — ინდივიდუალ-

ლიზმისა, რომელსაც საყოთარი ღირსების გრძნობა ვალდებულების შეგნებისათვის დაუპირისპირებია, — წარმოადგენს ლესინგის ამ ბრწყინვალე კომედიის ძირითად პრობლემას, რომლის მნიშვნელობა თუნდაც იმით განიზოჯება, რომ მისი გადაწყვეტის შემდგომმა ცდებმა განსაზღვრა ლესინგის დიდ მოწაფეთა, გოეთესა და შილერის, შეიძლება ითქვას, ძირითადი მსოფლმხედველობრივ-შემოქმედებითი ტენდენცია.

დასასრულ, ლესინგის ამ ქმნილების კიდევ ერთი იდეური მოტივი უნდა აღინიშნოს: მისი ანტირაციონალიზმის მიზანდასახულობა, რომელიც უშუალოდ კვლავ გერმანელი ფილისტერისათვის დამახასიათებელი „განმსჯელი რეალიზმის“ სოლო საბოლოოდ ე. წ. „გონიერული ეგოიზმის“ ბურჟუაზიული კულტის წინააღმდეგაა მიმართული. ტელჰაიმის პატივმოყვარეობასა და ეგოიზმს „ღირსების“ მის გაგებას რომ გამსჭვალავენ, მკვეთრი რაციონალიზმის იერი დაქრავს. თავის „ღირსების“ ხმას, რომელიც მას გულს უეკრებებს, თანაღმობისა თუ თანაგრძნობის უნარს, მაღლობისა და სიბრაულის გრძნობებს უხშობს, ტელჰაიმი „სალი გონების“ ხმად მიიჩნევს, ხოლო მინას სიყვარულს, რომელმაც არავითარი გარეშე „მოსაზრებები“ არ იცის, „ბრმა საყვარულად“ ნათლავს. მინა კი კვლავ როგორც ლესინგის პოზიტორი თვალსაზრისის გამომხატველი უპირისპირდება მას: არა როგორც სარას მსგავსი მარტოოდენ განმცდელი, პასიურად სენტიმენტალური პიროვნება, არამედ როგორც აქტიური, თავდაცვისა და თვითგანმტკიცების ქმედითი უნარით აღჭურვილი ადამიანი, რომლის ხასიათში ბედნიერადაა შერწყმული გრძნობა და გონება, ტემპერამენტი და ნებისყოფა. ლესინგი ამ მხრივაც გვევლინება უშუალო შთაგონებულად თავისი დიდი მემკვიდრეებისა, გოეთესი და შილერისა, რომელთა სიმწიფისდროინდელ შემოქმედებას პარამონიულად შეწონასწორებული, გონებით განათლებული და გრძნობით გამთბარი ადამიანის იდეალი ასულდგმულებს.

ლესინგის დრამატურგიის კრიტიკულ-მამხილებელი ტენდენციის მწვერვალს წარმოადგენს სახელგანთქმული ტრაგედია „ემილია გალოტი“, რომელიც 15 წელიწადს, 1757-დან 1772-მდე, იწერებოდა.

აქ ლესინგს გამოყენებულა აქვს რომელიც ისტორიკოსის ტიტე ლივიუსის მიერ მოთხრობილი შემდეგი გადმოცემა: 449 წელს ჩ. წ. ა-მდე რომის რესპუბლიკის კონსულს აპიუს კლავდუსს მოუწოდებია პლებეა ლუციუს ვირგინიუსის ასულის ვირგინიას, პლებეი იცილუსის საცოლის, ხელთ ჩაგდება, რისთვისაც მონად გამოაცხადებინა და ცრუმფლობელთათვის მისაჩვეინა იგი თავის მოხელეებს; თავისი ქალის ნამუხის დასაცავად მამას ხანჯლით გაუგმირავს იგი ფორუმზევე, სადაც განაჩენი იქნა გამოტანილი, რასაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები მოჰყოლია: ხალხს აჯანყება მოუწყვია და დაუმხვია კლავდიუსის და მის დამქაშთა ტირანია, რითაც დაწყებულია პატრიციებთან გათანასწოებისათვის პლებეების ხანგრძლივი ბრძოლა.

1758 წლის 21 იანვარს ლესინგი აცნობებს თავის მეგობარს ნიკოლაის, რომ „ემილია გალოტი“ სახელწოდებით მოიფიქრა „ბიურგერული ვირგინია“ ანუ, „სახელდობრ, რომელ ვირგინიას ამბავს ჩამოაცალა ყოველივე, რაც მას მთელ სახელმწიფოსთვის ხდიდა საინტერესოს“; მე ვფიქრობდიო, განმარტავს ლესინგი, „რომ ამ ქალიშვილას ბედი, რომელიც მამამ იმტომ მოჰკლა, რომ მისი სათნოება მეტად უღირდა, ვიდრე მისი სიცოცხლე, თავისთავად საკმარისად ტრაგიკულია და ისედაც შეაძრწუნებს კაცის სულს, თუკი მთელი სახელმწიფოებრივი წყობილების გადატრიალება არ მოჰყვია შედეგად“. ამავე დროს, ეს ძველ-რო-

მაული აზრები ლესინგმა თავისდროინდელ იტალიაში გადაიტანა, რომელიც დაახლოებული იქნა სახალხო მღვდლობრძოლაში იყო, როგორც გერმანია, და საბოლოოდ „ემილიას“ სიუჟეტმა ასეთი სახე მიიღო:

სოფლის სიმეურდორობაში გაზრდილი ემილია, გალარობებული აზნაურის, პოლიციის ოფიცარი გალოტის ასული, დედასთან ერთად დასახლებულა „სატახტო“ ქალაქ გვასტალაში, სადაც მალე გახდა კეთილშობილი ახალგაზრდა გრაფის, აპიანის საცოლე. მაგრამ ერთ-ერთ მუქლისზე მისთვის თვალი მოუყარავს გვასტალას ტირანს, პრინც პეტროვ გონზავას, რომელსაც ამის შედეგად გული ასტრუბია თავის შორივ სატრფიანს, გრაფის ასულ ორსინაზე. ღრამის მოქმედება იმ დღეს სწარმოებს, როცა ემილია და აპიანი გვასტალადან საბიონეტაში, ოფიცარი მამულში, უნდა გაემგზავრონ ჯერის დასაწერად. ახალი ჟინით შეპყრობილი პრინცი გადასწყვეტს, რადაც უნდა დაუჯდეს დაეუფლოს ემილიას. საამისოდ ევრაგულ გეგმას აწყობს და ახორციელებს მისი კამერპერი (სახლბუფცესა) მარინელი: მის მიერ დაჭირებული ბანდიტები თავს დაესხმიან ჯერისდასაწერად გამგზავრებულ მინასა და აპიანსა, რომელთაც ემილიას დედა ახლავთ თან, მოქალაქენ ვაჟს, ხოლო ქალს, დედითურთ, ვითომდა თავშესაფარს მიუჩენენ პრინცის ქალაქგარეთ მდებარე ვილაში. მაგრამ პრინცის წადილთა აღსრულებას მიტოვებული ოტსინა გადაადგება — ემილიას ადგილსამყოფელს ოფიცაროს აცნობებს, რომელიც დროზედ მოდის და მოძალადის ხელყოფისაგან მის დასახსნელად, თანაც მისივე თხოვნით, ხანჯლით ჰკლავს თავის ქალს.

ჩანს, რომაული სიუჟეტის პოლიტიკური ელემენტი, — აჯანყების მოტივი, — ლესინგს მარტო იმიტომ არ უყუფვლია, რომ ინგლისურ-ფრანგული ნიმუშების მიხედვით „ოჯახური“ ტრაგედიის შექმნა ჰქონდა განზრახული. არც ის არის მიზეზი, რომ, თითქოს და, ლესინგი საერთოდ აჯანყების მტერია. პირიქითაა საფიქრებელი. საქმე ის არის, რომ ლესინგი „ბიურგერულ ვირგინიას“ წერს და არა რომაულს, ე: ო. თავისდროინდელ გერმანულ სინამდვილეს ასახავს, ხოლო ამ სინამდვილეში აჯანყება ობიექტურად შეუძლებელი იყო და „ემილიას“ შინაარსი გვარწმუნებს, რომ აქ ლესინგს სწორედ იმ სულიერ-მორალურ ფაქტორთა ჩვენება ჰქონდა დასახული მთავარ მაზნად, რომლებიც გამორიცხავდნენ გერმანიაში დესპოტიზმის წინააღმდეგ ხალხის აჯანყების შესაძლებლობას.

ამდენად, თუმცა მასში უშუალოდ პოლიტიკური მოტივები არაა წინა პლანზე გამოტანილი, (მაგალითად, მხოლოდ გაცვრით მოიხსენება, რომ ოფიცარი პრინცის პოლიტიკური მოწინააღმდეგეა, კერძოდ, ყველაზე მეტად შეეწინააღმდეგა, როცა მას საბიონეტას მისაკუთრება სურდა—I, 4), ლესინგის ამ „ოჯახურ“ ტრაგედიას მაინც არ აკლია პოლიტიკური ძლევალობა; პირიქით, თავისი პრობლემატიკითა და განწყობილებით იგი უშუალოდ უსწრებს წინ შილერის „ვერაგობა და სიყვარულს“, რომელსაც ფ. ენგელსმა „პირველი გერმანული პოლიტიკურად ტენდენციური დრამა“ უწოდა.

გვასტალას პრინცისა და მის კარისკაცთა სახეებით ლესინგი ტიპიზაციის დიდი ძალით ხატავს მამინდელა გერმანიის მიკროსოკოპიულ სამთავროებში, „ჭიბის მონარქიებში“ მძვინვარე ტირანისა. თანაც იგი ღრმა დამკვირვებლის სიზუსტით გვიჩვენებს, რომ ტირანი, რომლის პრინციპია, მარქსის თქმით, „შეზიზღებული და საზიზღარი, გაუკაცურებული ადამიანი“, თვითონ წარმოადგენს ხოლმე სულიერ აზარაობას და მისი ძლევაშობილება ჩვეულებრივ მხოლოდ მის დამქაშთა გულმოდგინებისა და მის ქვეშევრდომთა სიგლახის შედეგია.

ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მარინელის შავი ფიგურა,



რომელიც ვითარდა „ბოროტი სული“ შესჩენია გეასტალას პრინცი და მხოლოდ მის ბინძურ წაღილთა წამქეზებლისა და აღმასრულებლის როლს კი არ ასრულებს, არამედ „სამეფოს“ ნამღვილ განმგებლადაც გვევლინება. შილერის პრეზიდენტ ვალტერის ღირსიული წინაპარი, იგი არავითარი ბოროტების წინაშე არ დრკება, რათა თავის „მბრძანებელს“ ამოს და ამით იგი თავის მორჩილ იარაღად აქციოს. კარისკაცის სიხარბესა და პატივმოყვარეობას აღარავითარი აღამიანური აზრებისა და გრძნობებისათვის არ დაუტოვებია ადგილი მის სულში. მან აღამიანებთან დამოკიდებულების ერთადერთი კრიტერიუმი იცის: მათი ქონება და მდგომარეობა, ხოლო სათნოება, ნამუსი მხოლოდ შენიღბვის საშუალებად თუ გონებაბამხილეების სავარჯიშო საგნად აქვს გადაქცეული. იგი პირწაყვარდნილი ცინიკოსია, რომელიც სიყვარულს, — მამა-შვილისას, თუ ქალ-ვაჟისას, — „წვირილმანად“ მიიჩნევს, ქორწინებაში მხოლოდ „ცერემონიას“ ხედავს, ხოლო ქალს, — იქნება ეს „შმაგი ორსინა“ თუ სპეტაკი ემილია, — შესტკერის როგორც „საქონელს“, რომელსაც „მეორე ხელიდან“ უფრო იაფად ყიდულობენ ხოლმე, როცა მისა „პირველი ხელიდან“ შოვნა შეუძლებელია“ (1, 6). საერთოდ კაცში იგი ვერაფერს პოულობს წმინდას, ხელშეუხებელსა და პატივსაცემს: ყველაფერს მატროიდენ „უმნიშვნელო რამედ“ თვლის, რაკი ჰგონია, რომ ყველაფრის ყიდვა ან არადა ძლით მიტაცება შეიძლება.

ლესინგი მკვეთრად უსვამს ხაზს იმას, რომ გეასტალას ტირანი, რომელსაც თავის „სამფლობელოს“ განუყოფელ ბატონ-პატრონად მოაქვს თავი, ნამღვილად, კარისკაცთა ბოროტი ნების სათამაშოდ ქცეული უსუსური არსებაა (ლესინგის ამ მოტივმაც ჰპოვა შემდგომი განვითარება მის დიდ მოწაფეთა შემოქმედებაში, კერძოდ, შალერის „ღონ კარლოსის“ ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იმის ჩვენება, რომ ისეთი ძლევამოსილი ტირანიც კი, როგორც ფილაჟე მეორეა, მხოლოდ თავის „დაახლოვებულთა“, — პერტოგ ალბას, ბერ დომინგოს, — ნება-სურვილის განმხორციელებელი იარაღია). მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პრინცი მარინელის მსხვერპლია, ანდა რითიმე მასზე უკეთესია.

ერთი შეხედვით პრინცი არ ჩანს ისეთი დასრულებული არამზადა, როგორც მარინელი, რომლის სახე მხოლოდ შავი ფერითაა ნახატი. მისა პიროვნება თითქოსდა გარკვეული დადებითი თვისებებითაც კი ხასაათდება; იგი ერთგვარი სიწრფელისა და გატაცების, სიბრალულისა და სინანულის უნარსაც კი იჩენს და არ არის მარინელის „უცილურესობათა“ მომხრე. მაგრამ მისი ამგვარი „გაყეთილშობილებით“ ლესინგი ოდნავდაც არ მიდის რაიმე კომპრომისზე და არ არბილებს დესპოტიზმის მანკიერებისა და ბოროტების მხილებას. პირიქით! პრინცის აღნიშნული „ღირსებანი“ მხოლოდ უფრო მკვეთრად ცხადყოფენ იმას, თუ რამდენადაა მასში შერყენილ-დაკნინებული აღამიანი, თუ როგორაა იგი გადაგვარებული უნებისყოფო, ბილწ ვნებებს დამონებულ ეგოისტად. მისი „გრძნობიერება“, „სიკეთე“ ყოვლად ზერელე, ქარაფშუტული ხასიათისაა და უშალვე ქრება, როგორც კი თუნდაც ოდნავს შეხებაში მოდის მის წვრალმან და მდაბალ წაღილებთან, რომელთაც ვნებასაც კი ვერ უწოდებ, მხოლოდ ეინი თუ ეთქმის, და რომლებითაც ატრუებულს, მაგალითად, დომინიკელთა ტაძარში ემილიას საცთუნებლად აჩქარებულს, მას ისე „ენაღლეება“ კაცის ბედი, რომ მზად არის, — ოღონდაც არ დაყოვნდეს-და, — განუითხავად და „დიდი სიამოვნებათ“ მოაწეროს ხელი სასაკვდილო განაჩენს (1, 2). ამიტომაც მისი ყოველი თითქოსდა აღამიანური გრძნობა და სულსკეცობა დაუყოვნებლვე პაროდიად იქცევა ხოლმე და უმოწყალოდ აშიშვლებს მის ზნეობრივს სიმდაბლესა და არარაობას. ასე მაგალითად, იგი

აპიანის მოკვლით გულწრფელად აღწვთოებული ჩანს და მკვლელთა სასტიკად დასჯით იმუქრება, მაგრამ იქვე საესებით ბუნებრივად ჩასთვლის ამ ბოროტმოქმედებას, როცა ეტყვიან, რომ პირველად აპიანმა ესროლა ავაზაკებს; საქმე ისაა, რომ ემილიას მოტაცება თურმე მხოლოდ „ხუმრობა“ ყოფილა და აპიანიც, უთუოდ დამნაშავეა, რაკი ხუმრობის გაგების უნარი ვერ გამოუჩენია (IV, 1); ანდა: იგი ასევე „წრფელად“ და იოლად ურიგდება ამ მკვლელობას იმ მოტივით, რომ იგი მისთვის „სასარგებლოა“ და მხოლოდ იმ შემთხვევისათვის ნანობს „უბედური გრაფის“ საკვდილს, თუკი ის ამოდ ჩაივლის, ე. ი. თუ კი ამის შემდეგ მაინც ვერ ჩაიგდება ხელთ ემილიას (IV, 1). თანაც პრინცის ამ ზნეობრივ სიწამხდრეს სრული სულიერი უბადრულება ერთვის: გვასტალას „ხელისუფალი“ გვეკვლინება ყოველგვარ ინტელექტუალურ ძალასა და ნებელობით სიმტკიცეს მოკლებულ კაცუნად, რომელსაც წამდაუწუმ სასოწარკვეთილება იპყრობს, როგორც კი მის ეინს რაიმეს დაბრკოლება ელოდება ანდა მის ბოროტებას გამხელა ემუქრება. მისივე აღიარებისამებრ, მას მხოლოდ „პატარა დანაშაულისა“ არ ეშინია და ისიც იმ პირობით, თუკი ეს თანაც „ჩემი დანაშაული“ იქნება (IV, 1), ხოლო ემილიას მოტაცების შემდეგ თავის ვილაში ორსინას მოსვლისას ისე ფრთხება, რომ ლამის ტირილით სთხოვს შველს მარინელის და მზად არის მას ბოდიშაც კი მოუხადოს, მანამდე აპიანის მოკვლის გამო რომ გაკიცხა (IV, 2). მართალია, ბოლოს იგი ვითომდა „სწორდება“ კიდევ, „ნაღვლობს“ მომხდარს და მარინელის აძევებს; მაგრამ არც ეს ნიშნავს იმას, როგორც ზოგსა ჰგონია, რომ ლესინგმა თითქოს თანმიმდევრულობა ვერ გამოიჩინა და ბოლომდე არ ამხილა ტირანი, მას მორალური განდგურება აცდინა. პირიქით, პრინცი საბოლოოდ აქვდავენებს თავის ზნეობრივ უბადრულობას, როცა ემილიას გვამის წინაშეც კი არ ეშვება ლაჩრულ სიცრუეს და ცდილობს არა თუ მხოლოდ „ემშაქის“, ე. ი. მარინელის „მეგობრობას“, არამედ სულაც ადამიანის ბუნებას გადააბრალოს თავისი დანაშაული, როცა მკრეხელურად მოსთქვამს იმის გამო, რომ „ადამიანთა საუბედუროდ“ „ხელისუფალნიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან“ (V, 8).

დიან, ასე დაუნდობლად და ბოლომდე ამხელს ლესინგი ტირანიის ნამდვილ მორალურ რაობას: დესპოტი იმითმ ხელყოფს ადამიანობას, რომ თვითონაა კაცობისაგან განძარცველი და რაც უფრო მცირეა მისი პიროვნება, — უბადრუცი და უსუსური, — მით უფრო სრულად და ძლიერ, — ტიპიურად, — ამქვდავენებს იგი ტირანის უკაცურ, დანაშაულებრივ ბუნებას.

მაგრამ აქაც, — როგორც „სარასა“ და „მინაშა“, — ფეოდალური წყობილებას მხილება არ გვეკვლინება ერთადერთ მოტივად: „ემილიასიც“ არანაკლები ადგილი და მნიშვნელობა ენიჭება ბიურგერობისა და საერთოდ ხალხის იმ სულიერ ნაკლოვანებათა მხილებას, რომლებიც გაცილებით მეტად სძენდნენ ძლევამოსილებას გვასტალას პრინცის მსგავს გერმანელ „ჩიბის მონარქებს“, ვიდრე მარინელის-დაგვარ „ემშაქათა“ მხარდაქერა. სწორედ ამ მხრივ, — და არა მხოლოდ როგორც მონარქიული დესპოტიზმის უბრალო მსხვერპლი, — იქცევენ ყურადღებას „ემილიას“ დადებითი გმირები: თვით ემილია, აპიანი, ოდოარდო.

ემილიას სახისა და ამასთან ერთად მთელი პიესის „გასაღებს“ წარმოადგენს ემილიას „ტრაგიკული დანაშაულის“ საკითხი, რომელიც ცხარე დავის საგნად გადაიტყუია ლესინგოლოგებს.

ლესინგის დრამის თეორიის თანახმად, ემილია იმდენად გარეგანი ძალდატანების შედეგად კი არ უნდა დაღუპულიყო, რამდენადაც საკუთარი მიზეზის, თავისივე ხასიათის იმ ნაკლის გამო, რომელიც, ასე ვთქვათ, შიგნიდან სტეხს მისი სათნოების სიმაგრეს. და მართლაც, ემილია თვითონ აღიარებს, რომ პრინცის ძალ-

მომკრობისა კი არ ეშინია, არამედ მარტოდენ ცოუნებისა, რომლის წინაშეც თავს უძლურად გრძნობს. ვინ არ შეეწინააღმდეგება ძალმომკრობას? ის, რასაც ძალმომკრობა ჰქვია, არაფერია. ცოუნებმა ნამდვილი ძალმომკრობა, — ეუბნება ივი მამას და არჩევს უმაღლესი ხანჭლით მოილოს ბოლო, ვიდრე კანცლერ გრიმალდის „მზიარულებისა და განცხარების სახლში“ წაიღეს, სადაც მას (აპიანის მკვლელობის გამო მიმდინარე სასამართლო გამოძიების საბაბით) „დროებით“ გამწესებას უპირებს პრინცი; „მე არაფერზე არ ვაგებ პასუხს, — აღიარებს ემილია, — მე არ შემძლია ჩემს თავს ვებრძოლო. მე ვიცი გრიმალდის სახლს... მე იქ მხოლოდ ერთი საათი გავატარე დედაჩემთან ერთად და ჩემს სულში ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, რომ რელიგიის მთელმა სიმკაცრემ ძლივს შესძლო მისი დაწყნარება რამდენიმე კვირის განმავლობაში“ (V, 7).

სადაც რომ ააღელვა იგი ასე ძლიერ გრიმალდის სახლში? — უთუოდ, არა მარტო „მაღალი“ საზოგადოების ბრწყინვალე „მზიარება და დროსტარება“, რომელიც, ცხადია, ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენდა სოფლის სიმუდროვეში სადად აღზრდილ გოგონაზე, მაგრამ მინც ისე ვერ ააფორიაქებდა, რომ მის დამშვიდებას „რელიგიის მთელი სიმკაცრე“ „რამდენიმე კვირას“ მონდომებოდა. გაცილებით მეტად ის არის საფიქრებელი, რომ ამ სახლში მას ვიღაცის მიმართ უეცრივ ისეთი გრძნობა აღძვრია და დაუფლებია, რომელსაც მისი სათნოებისა და მდგომარეობის ქალის მხოლოდ შეძრწუნება შეუძლია. ხოლო იმას თუ გავიხსენებთ, რომ სწორედ გრიმალდის სახლში შეხვდა მას პირველად პრინცი, ადგილად მივხვდებით, რომ ის „ცოუნება“, შიგნიდან რომ აძაბუნებს ემილიას სათნოებას, პრინციისადმი მისი განწყობილება უნდა იყოს. მართალია, ის გარემოება, რომ პრინციას მიმართ ემილია გულგრილი ვერ არის, პიესაში პირდაპირ არაა გამოხატული, — რაც გოეთემ მთავარ ნაქალაქ კი ჩაუთვალა ღვინვას ამ ტრაგედიას, — მაგრამ არც ისე ბუნდოვნადაა მიანიშნებელი, რომ მისი დანახვა არ შეიძლებოდა. გრიმალდის სახლის გამო ემილიას აღნიშნული აღიარების გარდა ამ მხრის ის საშინელი თავზარი იქცევს ყურადღებას, რომელიც საქორწინოდ გამვზავების წინ ბენედიქტელთა ტაძარში მლოცველ ემილიას დასცა პრინცის მიერ სიყვარულს გამოცხადებამ. „ეიმედოვნებს, თავს საქმოდ დაეცულე, რომ მისთვის ერთი შეხედვით გეგრძნობინებინა ის ზიზღი, რომელსაც ის იმპახურებს“, — ეუბნება მას დედა, რის პასუხადაც — „ეგ ვერ მოვახეოე, დედაჩემო“, — სასოწარკვეთით აღმოხდება ემილიას; მას იმის „გამბედაობაც“ კი აღარ ეყო, თვალის გაესწორებინა პრინციისთვის და ისლა მოახეჩხა, რომ გაქცევა სცადა; პრინცი მას ტაძრის კარიბჭესთან დასწევია, ისევ გამოლაპარაკებია და მასაც გაუცია პასუხი, რის შედეგადაც ისე აქვს „გონება მთლად დაქარბული“, რომ არც ის ახსოვს, ერთმანეთს რაც უთხრეს, და არც ის იცის, თავის მღევარს როგორ დაუსხლტა. (II, 6). ისევ ცხადია, რომ ემილიას ასე სასტიკად დაბნევის ნამდვილი მიზეზი ვერც ის იქნებოდა, რომ სიყვარულში მას ესოდენ მაღალი პიროვნება გამოუტყდა და, მით უფრო, ვერც ის, რომ პრინციმა „ამბედაობა თავხელობა“ გამოიჩინა — ეკლესიაში, „წმინდა წიგნსახურებისას“ გაუბა ლაპარაკი „სილამაზზე“, „სიყვარულზე“. თანაც აქ ისაა საგულისხმო, რომ სწორედ თავისი „გაბედნიერების“, ე. ი. ჭკრისწერის ამ დღეს, როცა მისი ლოცვა „ისე გულწრფელი და მხურვალე“ უნდა ყოფილიყო, როგორც არასდროს, ემილიას უკვე პრინცის მისვლამდე ისე აქვს დარღვეული სულის სიმშვიდე, რომ სულაც უპირს ლოცვა; და ამის მიზეზსაც არაფერი აქვს საერთო იმ მღელვარებასთან, რომელიც ქალწულს ქორწინებისას იპყრობს ხოლმე; დიან, ეს მიზეზი იმის შეგრძნებაა, რომ იგი, მართალია,

„ისეც არ დაცემულა“, რომ „ცოდვის ჩადენის სურვილი“ აღძვროდა, მაგრამ შესაძლოა მისდა უნებურად „სხვისმა ცოდვამ“ აქციოს „თავის თანამონაწილედ“ (II, 6). და ამრიგად ცხადი ხდება, რომ ემილიას თუ არ უყვარს, ყოველ შემთხვევაში ისე მოსწონს პრინცი, რომ მის წინაშე თავს ჰკარგავს და საბოლოოდ იძულებული ხდება სიკვდილში ჰპოვოს თავისი ნაშუსის, ღირსების ხსნა.

და მამასადავე, თითქოს და, პრინციის უზნეო პიროვნებით ეს უნებლიე გატაცება უნდა წარმოადგენდეს ემილიას მთავარ ზნეობრივ დანაშაულს, რომელსაც ნაწილობრივ ის თუ ამსუბუქებს, რომ, ი. მიულერის დაკვირვებებისაგან, „მეტად საეჭვოა, მას ნამდვილად უყვარდეს გრაფი აპაანი“, რომელსაც, როგორც ჩანს, მხოლოდ მშობელთა ნებით მიყვება და რომლისადმი მის დამოკიდებულებაში ვალდებულებით ნაკარნახევი პატივისცემა უფრო იგრძნობა, ვიდრე სიყვარულის გზნება; ამასვე უნდა მიუჩინებდეს ის გარემოება, რომ თავიანთი ქორწინების დღეს აპაანი და ემილია სრულებითაც არ გვანან სიყვარულით აღგზნებულ ბედნიერ წყვილს: ორთავეს მელანქოლიური განწყობილება დაუფლებია, ემილია კი ყველა, რომ სიზმრად აპაანის მიერ ნაჩუქარი თვლები ეკეთა, რომლებიც „უცებ მარგალიტებად გადაიქცენ“, ხოლო „მარგალიტები ხომ ცრემლებს ნიშნავს“ (II, 7).

მაგრამ სინამდვილეში პრინციც გატაცება ისევე არ წარმოადგენს ემილიას მთავარ დანაშაულს, როგორაც აპაანისთან მისი უსიყვარულო კავშირი ამ დანაშაულის მხოლოდ შემამსუბუქებელ ფაქტორად ვერ ჩითვლება.

მართალია, აპაანი არაა მოკლებული ისეთ კეთილშობილურ თვისებებს, რომლებიც ოდოარდოსთან ერთად ემილიასაც აღუძრავდნენ მისადმი პატივისცემას. „ღირსეული ჰუმუი“, „პატიონებით აღსაესე კაცი“, — როგორც მას თვით პრინცი ახასიათებს, — იგი „ემსახურება, მაგრამ არ ემონის“ გვასტალას ხელისუფალს, აშკარად ვერ იტანს მარინელის ტიპის კარისკაცებს და „სასახლის კარზე არ ეძებს ბედნიერებას“: რუსოისტული განწყობილებებით შეპყრობილი, „სენტიმენტალური სულის“ კარნახით, — რაც „გონიერულ“ მარინელის სასაცილოდ არ ჰყოფნის, — „მდაბიო“ ემილიას ირჩევს ცხოვრების მეუღლედ. მაგრამ ამავე დროს მისი ეს კეთილშობილური თვისებები, კერძოდ, რუსოისტული განწყობილება, იმ ტიპურ-ფილისტერული მანკითაა შეზღუდულ-დამდაბლებული, — იმ „ინტერესთა მოკლებულობითა და წერილმანი ინტერესებით“, — რომელიც მარქსის თქმით, მაშინდელი გერმანიის მთელ საზოგადოებრივ ყოფას ახეამდა უბადრუკობის ბუქედს. სახელდობრ, აპაანის „ადამიანური“ მოთხოვნილებები იმაზე შორს არ მიდის, რომ მას, ოდოარდოს თქმით, „წინაპართა მამულში განუზრახავს თავის თავის ცხოვრება“ (II, 4), ანუ, მარინელის გესლიანი, მაგრამ მოსწრებული განმარტებით, „სურს თავისი გულის მბრძანებელთან ერთად პიემონტის ველებზე გაემგზავროს: ალპებში არჩევებზე ინადიროს და ზაზუნები წვრთნას“ (I, 6)<sup>1</sup>. და მის ამ ფილისტერულ „სულისკვეთებებს“ მთლიანად

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ „საზოგადოებისაგან“ განშორებისა და სოფლურ სიმუდროვეში პირადი კეთილსეუობის ნაჭუქში ჩაკეტვისაკენ ამ „რუსოისტულ“-ფილისტერულ მიდრეკილებას უკვე ტელჰაიმი იჩენს „მინაში“. „ასლა... ჩემი პატრიმოყვარეობა მხოლოდ და მხოლოდ ისაა, — ეუბნება იგი მინას მას შემდეგ, რაც „რეაბილიტაცია“ მიიღო, — რომ ვიყო მშვიდი და კმაყოფილი ადამიანი... ასეთ ადამიან-დ ვიქცევი თქვენს გვერდით, საყვარელო მინა, და ასეთად დავრჩები მარად. ლე ზეღლე შეგვავართოს უზუნაესმა კავშირმა. მერე მიმოვიხილავთ და

შეესაბამება ემილიასადმი მისი დამოკიდებულებაც, — ის გარემოება, რომ იმავე ი. მიულერის შენიშვნისამებრ, „იგი ემილიას როგორც ცოცხალ ადამიანს კი არ აღიქვამს, არამედ მასში მხოლოდ ღვთისმოსავ სათნოებათა განსხეულებას ხედავს“, მისივე თქმით — „ღვთისმოსავ ცოლს, რომელიც არ მეღიდურობს თავიანთ ღვთისმოსაობით“ (II, 7). ამით, აპიანი, ცხადია, თვითონ განაწყობს პრინციის სასარგებლოდ ემილიას, რომელსაც, მისივე თქმით, ისევე „ახალგაზრდული, თბილი სისხლი“ უჩქეფს ძარღვებში და ისეთივე „ადამიანურა გრძნობები“ აქვს, „როგორც სხვებს“ (V, 7). ანუ, როგორც მიულერი წერს, ამით „უნატიფესადაა მოტივირებული ემილიას შიში, რომ ვერ გაუმკლავდება მის წინაშე ბრწყინვალე კავალერის სახით წარმდგარი პრინციის ცოცხლებას, შიში, რომელიც მას იმას მიუხედავად იპყრობს, რომ ერთ ფრიეოლურ არისტოკრატიულ სახლში კარგად გაეცნო კარის ატმოსფეროს სიწმინდრეს და კარგადაც ესმის, თუ რა რღვევას უქადის ბიურგერულ ოჯახის საწმინდეს გახრწნილი არისტოკრატია, მასში პრინცითან ერთად რომ შემოიჭრება“.

და ამრიგად, სწორედ აპიანისთან მისი ასე უსიყვარულოდ დაცემიერება წარმოადგენს ემილიას მთავარ ზნეობრივ დანაშაულს, — უპირველეს ყოვლისა, მის შიერ საკუთარ ადამიანურ ბუნებაზე მოხდენილ ძალდატანებას, — რომლის მისაგებების სახითაც ექმნა მას პრინციის უბადრუტი პიროვნებით ცოცხება.

და აქვე ჩანს ემილიას ხასიათის ის ნაკლიც, რომელიც მისი ტრაგიკული ბედის პირველი მიზეზი გახდა. ემილია, როგორც ითქვა, მშობელთა სურვილისამებრ უნდა მიჰყვებოდეს აპიანის და არა თავისი ნებით და მისი ხასიათის ხსენებული ნაკლიც ის არის, რომ იგა, — სოფლურ-პატრიარქალური სიმუცდროვისა და კეთილსეიანობის ფილისტრერულ გარემოში გაზრდილი ქალი, — წარმოადგენს საკუთარი ნების უქონელ არსებას, განუფითარებელ პიროვნებას, რომელსაც დამოუკიდებელი არსებობის არათუ მხოლოდ უნარი, არამედ მოთხოვნილებაც კი არ აღძვრია. ემილია თავისი პირით აღიარებს ამას: „კარგად იცით, დედაჩემო, — ამბობს იგი, — როგორ მყერა თქვენი, რა ხალსით გემორჩილებით ყოველთვიც“; „მე ხომ საკუთარი ნება არ გამაჩნია თქვენი ნების პირისპირ“ (II, 6). და სხვისი ნებისადმი ამ მონური მორჩილების შედეგად სჩადის იგი თავის ნეორე დანაშაულებრივ შეცდომასაც: დედის რჩევით — და საკუთარი შეგნების საწინააღმდეგოდ — უმალავს აპიანის ეკლესიაში პრინცითან თავისი შეხვედრის ამბავს, რითაც თვითონვე უწყობს ხელს მარინელის ბორბტი გეგმის განხორციელებას. და დასასრულ, საკუთარი ნების ამ უქონლობას, სხვათაგან ამ დამოკიდებულებას უქცევია იგი პასიურ, უმწყო, არაპრაქტიკულ არსებად, რომლის გრძნობად და ინტელექტუალურ უნართა შორის ტრაგიკული შეუსაბამობა სუფევს. წინააღმდეგ მინას „პრომეთესებური“ ხასიათისა, რომლის აქტიობასა და ქმედითობას ის გა-

მოქცებით ამ უზარმაზარ მსოფლიოში ყველაზე წყნარს, ნათელსა და საამურ კუთხეს, რომელსაც მხოლოდ ბედნიერი ცოლ-ქმარი აკლდა, რომ სამოთხედ ქცეულიყო“ (V, 9). ხოლო „ემილიას“ შემდეგ ამ მიდრეკილების მხილებას კმაბუკი შილერი აქცევს თავის „ყაჩაღთა“ ერთ-ერთ ძირითად მოტავად: აქ თავისი რესპუბლიკური იდეის განუხორციელებლობაში დარწმუნებული კარლ შოარი მამა-პაპისეულ ხეთა ჩრდილში და ამალიას მკლავებში განცხრომაზე ოცნებობს და მხოლოდ მას შემდეგ აღდება შურის საძიებლად ყაჩაღობის გზას, რაც მის ამ ოცნების შესრულებას ფრანცის ოინები გადაეღობება.

ნაპირობებს, რომ მის გრძნობებს წინ ქუთა უსწრებს მეგზურად, ემილია „ეპი-მეოლესტერი“ ხასიათია<sup>1</sup>, რომლის გონება უშუალოდ გრძნობადი აღქმისა და პრაქტიკული ქმედებისას გამორთულია ხოლმე და მხოლოდ post factum, ე. ი. უკვე მომხდარის რეფლექსურ-თეორიული ათვისებისას შედის ძალაში. ემილიას ხასიათის ამ თავისებურებას, რომელიც მას ტიპიურ „გერმანელად“ წარმოგვიდგენს, ასე აღნიშნავს დედამისი: იგი ყველაზე მშინშარა და ამავე დროს ყველაზე ვაბედული ქალია. მას არასოდეს არ ძალუძს თავი გაართვას პირველ შთაბეჭდილებებს. მაგრამ მცირედი დაფიქრების შემდეგ საზრიანობა ისევ უბრუნდება და თავის თავს ეუფლება ხოლმე“ (IV, 8), და სწორედ მისი ეს ემოციურ-პრაქტიკული უმწეობა ხდის აუცილებელს მის სიკვდილს: მან იცის, რომ თავის გრძნობას ვერ გაუმკლავდება, თუ კი პრინცს უ შუ ა ლ ო დ, პ ი რ ი ს პ ი რ შეხვდა, ამგვარი შეხვედრის გარღვევალობის წინაშე დამდგარს, ისღა რჩება, რომ თავი მოიკლას.

ამგვარად ხდება ემილია იმდენად არა გაერგვანი ძალმომრეობის, რამდენადაც მის წინაშე საკუთარი უღონობის მსხვერპლი.

ღიახ, სხვა გამოსავლის პოვნის უნარი მას არ აღმოაჩნდა. ბევრჯერ აღნიშნულა, რომ თავის მოკვლის ნაცვლად მას მოძალადის მოკვლა უნდა ეცადა. საქმეც ის არის, რომ ემილიას აზრადაც არ მოსდის, რომ პრინცზე ხელის აღმართვა შეიძლება და იმასღა ევედრება ოდოარდოს, რომ „მანამ მოსწყვიტოს ვარდი, ვიდრე მას ქარიშხალი ფურცლებს გააცლის“ (V, 7), და ოდოარდოც უსრულდება ამ თხოვნას; მართალია, მანამდე ერთხელ წაეტანება იგა ხანჯალს, რათა პრინცსა და მარინელის გაუსწორდეს, მაგრამ მხოლოდ წამიერი აფექტის ძალით, ხოლო საბოლოოდ ზეცას, ვითარცა, „ყველა ჩვენგანის მსაჯულს“ ანდობს მათ განკითხვას.

თავის ქალთან ერთად ოდოარდო აქ წარმოგვიდგება როგორც ტიპიური ბიურგერი, რომელსაც, ი. მიულერის თქმით, „ქერ კიდევ გამბედაობა აქვია ხელისუფლის მოსაკლავად“ და „ისტორიულად აუცილებელი რევოლუციური გამოსავლის ნაცვლად ქერ კიდევ რელიგიურ-მორალური ხსენისა სჯერა ხოლმე“.

თანაც ლესინგი სრულიად ნათლად გვიჩვენებს, რომ არ ეთანხმება თავის გმირს, არ იზიარებს მის მართლმსაჯულებას.

ტელჰაიმის მსგავსად, ოდოარდო — ბევრი „ავტორისეული“, ე. ი. თვით ლესინგისათვის ნიშანდობლივი ღირსებით ხასიათდება. იგი განასახიერებს „მკაცრ“, „ეჯეკატურ სათნოებას“, რომელაც „უხეშია და ტლანქი“, მაგრამ ბოროტებასთან არავითარ კომპრომისზე არ მიდის; აღქურვილია პირადი ღირსებისა და დამოუკიდებლობის მაღალი გრძნობითა და მოთხოვნილებით, რომელთა ძალით ვერ ეგუება „მაღალი“ საზოგადოების ფუქსავატურ ყოფას, „ხმაურსა და დროს ტარებას“, ამკარად მტრობს „სასახლეს“, სადაც ისღა შეუძლია კაცს, რომ „ქედი იდრიკოს, იმლიქვენლოს, იხოხოს და ეცადოს ამაღლდეს სხვადასხვა მარინელებზე, რომ, ბოლოს, მიადწიოს იმ წარმატებას, რაც მისთვის სულაც არაა საქირა (II, 4). ყველა ეს თვისება კემმარიტი პლემბურ-რევოლუციური სულის პატრონად წარმოგვიდგენს ოდოარდოს, რომელიც, თანაც, ტელჰაიმის უმთავრესი ზნეობრივი ნაყ-

<sup>1</sup> ბერძნული მითოლოგიის სახელოვანი გმირი პრომეთე იყო ბრძენი, რომელმაც წინასწარ იცოდა იმის რაობა, რასაც აკეთებდა და რაც ხდებოდა (და ამიტომაც ერწვა Prometheus-ი, რაც ნაშნავს წინასწარმცნობს); ხოლო მისი ქუთამოკლე ძმა ეპიმეთე მხოლოდ მერე უხვდებოდა გაკეთებულ-მომხდარის ავსა თუ კარგს (და ამიტომაც ეძახდნენ Epimetheus-ს, რაც გვიანმცნობს ნიშნავს).

ლისაგან, პატივმოყვარე ქედმაღლობისაგან თავისუფალი ჩანს, „ამაყი თავმდაბლობით“ გამოირჩევა.

მაგრამ ოღოარდოც არაა უნაკლო. მასაც სჭირს თავისი ნაკლი, რომლის წყალობითაც ისიც, — როგორც ტელპაიმი მისი ქედმაღლობის შედეგად, — კვლავ მხოლოდ პოტენციურ რევოლუციონერად გვევლინება. ეს ნაკლი, რომელიც არც ტელპაიმისთვის იყო უცხო, მაგრამ მისი ხასიათის მთავარ მანკად არ ყოფილა წარმოდგენილი, ის არის, რომ აპიანის მსგავსად ოღოარდოს ინტერესთა და აქტიობის არე ვიწრო-ფილისტერული, განკერძოებულ-ოჯახური ყოფით შემოიფარგლება. მის „ეკეკატერ სათნოებას“ აკლია მოქალაქეობრივი მიზანდასახულობა. იგი ვერ მალდება ბოროტების წინააღმდეგ და სათნოების გამარჯვებისთვის საზოგადოებრივი მასშტაბით ბრძოლის იდეამდე. მართალია, როგორც ითქვა, იგი შეეწინააღმდეგა საბიონეტის მისაყუთრების პრინციპულ განზრახვას, მაგრამ ჩანს, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იქ მამული ჰქონდა. იგი მართო „მალაღი“ საზოგადოების ხმაურიან დროსტარებას კი არ ერიდება, არამედ საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების მღელვარებასაც გაუბრძის; ცხოვრების იდეალს მისთვის „უბიწოებისა და მყუდროების“ ნიშნით აღბეჭდილი ყოფა წარმოადგენს; მას ყველაფრით აკმაყოფილებს აპიანი, ყველაზე მეტად კი იმით ხიბლავს, რომ „წინაპართა ველებზე განუზრახავს თავისთვის ცხოვრება“. მოკლედ: შენს ოჯახში იყავ პატიოსანი და ბედნიერი, საზოგადოებას კი ღმერთი ფარვიდეს, შენგან ისიც კმარა, თუ კი მის ცუდს არ გაეკარები და გაკიცხავ — ესაა ოღოარდოს „ცხოვრების სიბრძნე“ და ლესინგაც თავისთვის ჩვეულებრივი ლოგიკური სიცხადითა და სიმკაცრით გვიჩვენებს ამ ფილისტერული „სიბრძნის“ უმწეობასა და კრახს. და სწორედ ამ „სიბრძნეს“ შეესაბამება ზუსტად ოღოარდოს საბოლოო გადაწყვეტილება; ამ „სიბრძნის“ თანხმად, კაცი მხოლოდ საკუთარი და თავისიანთა ბედის განგმებელ-განმკითხველი უნდა იყოს და ოღოარდოც მართო თავისი ქალის ხსნას თელის თავის საქმედ, ხოლო პრინციპსა და მარინელის დასჯის უფლებასა და ვალდებულებას ღმერთს უთმობს.

ამრიგად ცხადია, რომ ოღოარდოს „მართლმსაჯულებას“ ლესინგი მისი გზულუდულობის უშუალო შედეგის სახით წარმოგვიდგენს, და, ამდენად, არავითარი საიმიზო საფუძველი არ არის, რომ ოღოარდოს სისუსტე ლესინგს მივაწეროთ და ტრაგედიის ფინალი მისი შეზღუდულობის ნიშნად მივაჩნიოთ.

პირიქით, მოქმედების ობიექტური მსვლელობა ისეა წარმართული და, გოეთეს სიტყვებით რომ ვთქვათ. „უმალეს სფეროთა ვენბანი და ინტრიგები“ ისე „მძაფრად და მწარედაა ნაჩვენები“ რომ მკითხველ-მკაყურებელი მხოლოდ იმას მოელის, რომ ოღოარდო სწორედ პრინციპსა და მარინელის თავზე აღმართავს შურისძიებისა და მართლმსაჯულების მახვილს. აქ ორსინამ სწორედ სამაგისოდ მისცა მას, პრინციპს ვილაში უიარაღოდ მოსულს, თავისი ხანჯალი და თუკა ოღოარდო თავისი ამ ობიექტური ვალდებულების შეგნებამდე ვერ მალდება, ყოველი არაფილისტერის თვალში სწორედ ეს წარმოადგენს მის საკუთარ ტრაგიკულ დანაშაულს.

და სწორედ ამგვარად იქცა „ემილია გალოტი“, როგორც იგივე გოეთე ამბობს, გერმანულ განმანათლებლურ ლიტერატურაში ლესინგის მიერ გადადგმულ „ყველაზე გადაწყვეტ ნაბიჯად“ — რამდენადაც მასში მანამდე არნახული ძალით, კემშარტიად ტრაგიკული სიმძაფრით იქნა მხილებული როგორც ფეოდალურ-აბსოლუტისტური დესპოტიზმის დანაშაულებრივი მანკიერება, ისე მამინდელ გერმანიაში მისი სიმტკიცისა და ძალის მთავარი წყარო: მის წინააღმდეგ ქმედითი,

4. ლესინგო.

რევოლუციური ბრძოლისათვის ფილისტერობის სენით სულიერად დაძაბუნებული ბიურგერობის უუნარობა.

თუმცა ლესინგის დრამატურგიაში ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება უარყოფა და მტკიცება, კრიტიკა და დაცვა, ნგრევა და შენება, გაბატონებულ, მკარბ ასპექტს აწარად კრიტიკულ-ნეგატიური წარმოდგენს; ლესინგის ერთადერთი დრამა, სადაც იდეალის უშუალოდ პოზიტიურ ასპექტში ჩვენება დგება წინა პლანზე, მხოლოდ მისი უკანასკნელი დრამატიული ქმნილებაა, — „ნ ა თ ა ნ ბ რ ძ ე ნ ი“ (1779).

ეს ერთი შეხედვით თითქოსდა არც თუ მაინცდამაინც მნიშვნელოვანი გარემოება შემთხვევითი როლია: მასში ლესინგის მთელი შემოქმედებითი განვითარების კანონზომიერება იჩენს თავს.

როგორც ღრმა რეალისტს, ლესინგს არასოდეს არ აკმაყოფილებდა, — განსხვავებით, მაგალითად, ბიურგერობის ისეთი კლასიკურად ტიპური იდეოლოგიასაგან, როგორც კანტი იყო, — თავისი ჰუმანიტური იდეალის აბსტრაქტული, რეალური სინამდვილისაგან განყენებული, „წმინდა“ სახით წარმოდგენა და მტკიცება. იგი იბრძვის ამ იდეალის ამიერ, რეალურ ცხოვრებაში, კერძოდ თავის მშობლიურ-გერმანულ სინამდვილეში განსახორციელებლად და ამდენად ამ სინამდვილესთან წინააღმდეგობრივ მიმართებასა და კავშირში განსახიერებს მას. ცდილობს რა ქმედითად მოხსნას თავის იდეალსა და ცხოვრებისეულ რეალობას შორის არსებული მთავარი შეუსაბამობა, გამოძებნოს ამ შეუსაბამობის დაძლევის პრაქტიკული გზები, ლესინგი იმას უჩვენებს თავის თანამემამულეთ, თუ როგორ არღვევს, ასახიჩრებს და აძაბუნებს კეშმარიტად, „ბუნებრივი“ ადამიანის „იდეალურ ხასიათს“ მისი კონკრეტული გარემოცვა, კერძოდ ფეოდალური დესპოტიზმისა და ფილისტერული შეზღუდულობით დაკნინებული გერმანული სინამდვილე. ამ სინამდვილის მიერ დამახინჯებულ-დაუსტებულ ადამიანთა სახეებს წარმოადგენენ მისი უარყოფითი პერსონაჟებიცა (მელეფონტი, პრინცი, მარინელი) და დადებითი გმირებიც (სარა და ტელჰაიმი, ემილია და ოდოარდო), რომლებიც მარტო იმას კი არ გეჩვენებენ, თუ რაოდენ კონკრეტული ცხოვრებისეული შინაარსით ავსებს ლესინგი თავის „აბსტრაქტულ“-კლასიციისტურ თეორიულ პრინციპებს, არამედ იმასაც მოწმობს, თუ რამდენად არსებითად და შეუპოვრად იბრძვის იგი თავისი ხალხის გასანათლებლად, კეშმარიტად ადამიანური არსებობისათვის აღსაზრდელად. მაგრამ იმდროინდელს გერმანიაში, როგორც უკვე აღინიშნა, ისე „ჩამპალიყო ყოველივე“, რომ „კეთილის მყოფელი ცვილები იმედიც არ იყო“ და ამას, ცხადია, ისეთ უტეხ მებრძოლზედაც უნდა ემოქმედნა, როგორც ლესინგი იყო. საამისო სიმპტომატური ნიშნები უკვე „ემილიას“ ემჩნევა, რომელიც ლესინგის კრიტიკულ-მამხილებელი ძალთახმევის მწვერვალს წარმოადგენს: თუმცა ლესინგი აქ ფეოდალურ დესპოტიზმთან არავითარ კომპრომისზე არ მიდის და სრულიად უცილობელად ცხადყოფს „ძალმოშროების სისტემის“ დამოხობის აუცილებლობას, ტრაგედიის ფინალს მაინც სრული უპერსპექტივობის დალი ამჩნევია; მართალია, პრინციასა და მარინელის ბოროტება ბოლომდე მხილებული, მაგრამ რეალურად დაუსჯელი რჩება და, რაც მთავარია, იმას არ უჩანს პირი, რომ „არსება მისი მოკლეა“. და თუმცა „ემილიას“ შემდეგ ლესინგი ოდნავადაც არ ასუსტებს ფეოდალურ რეაქციასთან და ბიურგერულ ფილისტერობასთან თავის კიდილს, — კერძოდ, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გამანადგურებელ ომს უტყბადებს საერთოდ ყოველგვარ, მეტადრე კი ლუთერანულ საეკლესიო ორთოდოქსიას, რომელიც ხალხის ცნობიერების ჩახშობის უმთავრეს იარაღად ქცეულიყო, — მაგრამ



ამვე დროს მას სულ უფრო მეტად ეყარება თ ა ვ ი ს დ რ ო ი ნ დ ე ლ გერმანულ-სულეირი აღორძინების, მორალური ემანსიპაციის იმედი. სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1780-ს დაწერილი ცნობილ ტრაქტატში „ა დ ა მ ი ა ნ თ ა მ ო ღ გ მ ი ს ა ლ ზ რ დ ა, რომელიც მთელ შემდგომ გერმანულ კლასიკურ ლიტერატურას ექმნა პროგრამად, საზოგადოებრივ განვითარება მას ესახება ვითარცა „დიდი წელი ბორბლის“ ტრიალი, მხოლოდ „შეუმჩნეველი ნაბიჯით“ სვლა იდეალისაკენ<sup>1</sup>; და ამის შესაბამისად იგი თუმცა ბოლომდე რეალისტი ჩნება და თავისი იდეალის ადგილსამყოფელს კანტივით ზეცაში არ ეძებს, მაგრამ მაინც, — ისევე, როგორც შემდეგ გოეთეცა და შილერიც, — იძულებული ხდება, მისი განხორციელება შ ო რ ე უ ლ მ ო მ ა ვ ა ლ ს უ ანდერძოს. და სწორედ ამ მომავლისათვის განკუთვნილ ანდერძს გამოხატავს იგი თავის „ნათანში“, სადაც საკუთარი ესთეტიკურ-დრამატურგიული პრინციპების საწინააღმდეგოდ პირველად და უკანასკნელად წარმოადგინს ე. წ. „კონტრემპლატურ“ ანუ წმინაოთ თეორიულ-მკვრეტელურ პლანში ადამიანის „იდეალურ ხასიათს“, ე. ი. არა იმ მანკიერი სახით, რომელსაც მას „ამემად“ მისცემია, არამედ იმ სრულქმნილ სახით, როგორც მას უნდა ჰქონდეს ვითარცა „ბუნების ღვთაებრივ ქმნილებას“ და ყველაც ე ქ ე ბ ა, როცა, „ნათანის“ ერთი პერსონაჟის სიტყვებით რომ ვთქვათ, კვლია „შერმიწეული ბორკილებისაგან“ ხსნილი და მხოლოდ „ღელა-ბუნების პირველკაცშირთა“ მორჩილი კაცი „იმით დაკმაყოფილება, რომ იქნება ადამიანი“<sup>2</sup>.

ამ თეორიულ-მკვრეტელური პლანის შედეგია, რომ ლესინგი აქ მთლიანად „შილერიზაციის“ გზას ადგას, რასაც „ნათანის“ ის თავისებურებანი მოწმობენ, რომელთა გამოც ლესინგმაც მას „დრამატიული პოემა“ უწოდა დრამის ნაცვლად. აქ წარმოდგენილია რთული, მაგრამ საკმაოდ ხელოვნური სიტუაცია, სადაც ერთმანეთს ხედებიან სისხლით მონათესავე, მაგრამ სხვადასხვა რელიგიებით გათიშული ადამიანები: სულთანი სალადინი — მამადიანი და მისი ძმისწულები, გერმანიაში ქრისტიანად გაზრდილი მეტაძრე რაინდი და ნათანის მიერ ებრაულად აღზრდილი რეხა, რომელთაც საბოლოოდ ის აერთიანებს, რომ რელიგიურ ცრურწმენებზე მათში ნათანის სიბრძნე, კაცთმოყვარეობა, ადამიანი ამარჯვებს. მოქმედების ადგილია იერუსალაში, ხოლო დრო — ჯვაროსნულ ლაშქრობათა შებენელი ფანატისმით აღბეჭდილი ხანა, რომელსაც ლესინგი მხოლოდ იმიტომ მიმართავს, რათა მის კონტრასტულ ფონზე უფრო მკვეთრად წარმოგვიდგინოს თავისი ნათელი ჰუმანისტური მრწამსი. რომ ჯვაროსნულ ლაშქრობათა სინამდვილეს აქ მხოლოდ ფონის ფუნქცია ეკისრება იქედან ჩანს, რომ მის წარმომადგენლებსა, კერძოდ, ქრისტიანთა პატრიარქსა და დრამის დადებით გმირებს შორის წინააღმდეგობა კონფლიქტის სახეს არც კი იღებს და მთელი ამბავი მეტად ადვილად მთავრდება სიკეთის

<sup>1</sup> „იარე, განგებავ, შენი შეუმჩნეველი ნაბიჯით“, — წერს ლესინგი ერთ-ერთ ბოლო, 91-ე პარაგრაფში და იქვე დასძენს: „ოღონდ შენს თავში ნუ დამაეჭვებ მაგ შეუმჩნეველობით. მაშინაც კი ნუ დამაეჭვებ, სულაც რომ უკანსვლად მეჩვენოს შენი ნაბიჯები“ — ამ ვედრებაში ცხადად ჩანს, თუ როგორ ტრაგიკულად უმძიმდა ლესინგს თავის ევოლუციონისტურ-რეფორმისტულ თვალსაზრისზე იძულებითი დგომა.

<sup>2</sup> რომ თავის შორეულ მემკვიდრეთათვის წერს ლესინგი თავის „ნათანს“ და არა თანამედროვეთათვის, ამას მისი შემდეგი სიტყვებიც მოწმობს: „მე ჯერ არ ვიცი გიზმანის ისეთი ადგილი. სადაც ეს დრამა უკვე ახლა შეიძლება დადგმულიყო. მაგრამ გამარჯვება და ლენა იმ კუთხეს, სადაც ის პირველად დაიდგმება“

იმ ჭრობისათვის სრულიად არატიპიური ზეიმათ. კონკრეტულ-ისტორიული სი-  
მართლის ერთგული ლესინგი აქ იმით-ღა რჩება რომ „ველურ ევროპელებზე“  
შეუდარებლად განათლებულ და კულტურულ ე. ი. ჰუმანურ ადამიანებად წარ-  
მოადგენს აღმოსავლეთს, — ნათანსა და მის მეგობარს დავრიშ ალ-ჰაფის,  
საჰადინსა და მის დას ზიტას, — რომელთა სახეებსაც იყენებს თავის მომავლის  
იდეათა „რეპორებად“.

დრამის ცენტრალურ ეპიზოდს წარმოადგენს მოთხრობა სამი ბექდის შესახებ,  
რომლითაც ნათანი პასუხობს სალაღინის კითხვას, თუ რომელი „კანონი“ ანუ სარწ-  
მუნოებაა კემარითი: ებრაული, მაჰმადიანურა თუ ქრისტიანული. — უხსოვარი ხნის  
წინაა, — ყველა ნათანი, — აღმოსავლეთში ერთ კაცს ჰქონაა სასწაულებრივი  
ბექედი, რომლის ძალა ის იყო, რომ ვინაც მას რწმენით ატარებდა, ღმერთსაც  
უყვარდა და ხალხსაც; ამ კაცს თავისი უსაყვარლესი შვილისთვის უნადერძნია  
ეს ბექედი იმ პირობით, რომ მასაც თავისი უსაყვარლესი ვაჟისთვის გადაეცა  
ოგი: ასე გადაეცემოდა თაობიდან თაობას ეს ბექედი (რომელიც, თანაც, ოჯახში  
უფროსობასა და ბატონობას ანიჭებდა თავის მფლობელს) და ბოლოს ერგო სამი  
ვაჟის მამას, რომელმაც, — რაკი თანაბრად უყვარდა თავისი შვილები და არც  
ერთის განაწყენება არ სურდა, — ოჭრომქედელს კიდევ ორი მსგავსი ბექედი  
გააკეთებინა და სიკვდილის წინ თვითეულ მემკვიდრეს ისე გადასცა თითო ბექედი-  
ლი, რომ ყოველმა მათგანმა თავისი ჩათვალა ნამდვილად; ძმები, ცხადია, დაუყო-  
ნებლიე წაიკიდნენ და ხანგრძლივი უნაყოფო დავის შემდეგ მოსამართლეს ეახლ-  
ნენ, რომელმაც მათ განაჩენის გამოტანაზე უარი უთხრა, მაგრამ ასეთი ბრძნული  
რჩევა მისცა: იმას დასჯერდით, რაც ხელთა გაქვთ, და თვითეულმა იფიქრეთ, ჩემი  
ბექედია ნამდვილიო; შესაძლოა თქვენს მამას, რომელსაც ყველანი უყვარდით,  
არცა სურდა, რომ გვარში ერთი ბექდის წყალობით ტირანია დამკვიდრებუ-  
ლიყო; და თქვენც მიბაძეთ მამათქვენს ცრურწმენებისგან თავისუფალ, მიუკერ-  
ძებელ სიყვარულში და კეთილი საქმით გამოამქლავნეთ და განამტკიცეთ თქვენი  
ბექედების ძალა... თანაც ამ რჩევას მოსამართლე ასე ამთავრებს: თუ კი ბექდის ეს  
ძალა მომავალშიაც გააყვება თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს, მათ მოეუ-  
წოდებ, რომ ათასი წლის მერე ამავე ადგილას წარსდგნენ; მაშინ აქ სხვა, ჩემზე  
ბრძენი მოსამართლე დახედება მათ და განაჩენსაც ის გამოიტანს... (III, 7).

ამრიგად, ნათანის პასუხის თანახმად, სამივე რელიგიის კემარითობა თუ  
მცთარობა მათ მიმდევართა, მორწმუნეთა ზნეობრივი თვისებებით განისაზღვრება:  
ყოველი რელიგია კემარითია, თუ კი მას წრფელი, უნაგარო მიმდევრები ჰყავს,  
რომელნიც თავიანთი კეთილი საქმეებით სძენენ მას ძალას; ანუ რელიგიები მხო-  
ლოდ თავიანთი გარეგანი ნიშნებით, „სამოსითა და საქმელ-სასმელით“ განესხვა-  
ვებიან ერთმანეთს და არა საფუძვლით, თავიანთი არსით, რომელსაც სიკეთე,  
კაცის კაცისადმი სიყვარული შეადგენს. და ასევე, „კანონი“ უმაღლვე მცთარი  
ხდება, ცრურწმენად იქცევა, როგორც კი მისი მიმდევრები მის ჰუმანურ არსს  
ივიწყებენ და „ტანსაცემლის“ მიხედვით მის ერთადერთობას ამტკიცებენ ანუ  
ადამიანთა გვარში ერთი ბექდის ტირანიის დამყარებას ცდილობენ.

ასე იქცევა „ნათანი“ რჯულთშემწყნარებლობის, რწმენის თავისუფლების  
აპოლოგიად და ლანჯარსა სცემს ყოველგვარ რელიგიურ ფანატიზმს, — პირველ  
რიგში კი, ცხადია. ქრისტიანულს, — რომელსაც ლესინგი სხვა განმანათლებელთა  
მსგავსად მიიჩნევდა კაცობრიობის პროგრესისა და სრულქმნის უმთავრეს დაბრ-  
კოლებად.

მაგრამ, ამავე დროს. „ნათანის“ იდეური შინაარსი გაცილებით ფართოა და

ღრმა: არსებითად აქ ლესინგი რელიგიურ ფანატიზმთან ერთად, თავთ რელიგიასაც სცემს ლახვარს — მას ყველა იმ არსებით ნიშანს ართმევს, რომლითაც იგი რელიგიად გვევლინება.

უპირველეს ყოვლისა, ლესინგი მის მისტიკურ არსს აცლის რელიგიას, მის საფუძვლად რწმენის ნაცვლად გონებას მიიჩნევს. საწინააღმდეგოდ ტერტულიანეს ცნობილი ფორმულისა: „მწამს, რამეთუ უაზრობაა“, რომელშიც გენიალური სისრულათა და სიცხადითა გამოხატული არა მხოლოდ ქრისტიანობის, არამედ ყოველგვარი რელიგიის, ვითარცა რწმენის ირაციონალისტური ბუნება, ლესინგი იმ აზრისაა, რომ ყოველივე არაგონიერულა „ცურწმენას“ წარმოადგენს და არ შეიძლება სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდეს. და ამის შესაბამისად მისმა ნათანამაც, რომელიც უწინარეს ყოვლისა „გონების კაცია“, — მაგრამ არა ცალმხრივი, მშრალი რაციონალისტი: მინა ფონ-ბარნჰელმის მსგავსად, საღ გონებას მას ცოცხალი გარძობის უნარი უთბობს, — ღიახ, ამის შესაბამისად ნათანამ რეხა აღზარდა „იმდენად არა ებრაული სარწმუნოების კანონებითა, რამდენადაც თითქმის ყოველგვარი რწმენის გარეშე: ღეთის შესახებ ის შთაუწერდა მხოლოდ და მხოლოდ, რასაც ითხოვს ჩვენი გონება“ (IV, 2).

ხოლო „ჩვენი გონება“, რომელიც რეალურ, მატერიალურ სამყაროში ადამიანის დამკვიდრების იარაღს წარმოადგენს, იმას მოითხოვს, რომ იმიერი ღეთის სუფევის ნაცვლად ამიერი ადამიანის ბატონობა დამკვიდრდეს, რომ ცოცხალი, ბუნებრივი ადამიანი იქნას გაღმერთებული, მსახურებისა და განდიდების უმაღლეს საგნად ქცეული და არსებითად სწორედ აქეთკენა მიმართული ნათანის სიბრძნე, ღრამის ყველა „ლესინგისებური“ გმირის აზრთა წყობა.

მათი აზრით, ადამიანს „უპირველესი ვალდებულება“ ღმერთის წინაშე კი არ აკისრია, როგორც ამას პატრიარქი ირწმუნება, არამედ — მხოლოდ თავისი მოყვასის, კაცის წინაშე. ღეთის არსს სიკეთე წარმოადგენს და ადამიანი მაშინ იჩენს ღეთისადმი ერთგულებას როდესაც კეთილსაქმეს სჩადის, ხოლო კეთილის ყოფის საგანი კაცი შეიძლება და უნდა იყოს და არა ღმერთი; ანგელოსნიც კი — არათუ ღმერთი — არ სპირიტუალურ მსახურებასა და განდიდებას: მათ ვერ გაასუქებს და ვერ გაამდიდრებს ჩვენი მარხულობა და ქველმოქმედება, უფრო ღიღებულსა და ძლიერს ვერ გახდის ჩვენი აღფრთოვანება და რწმენა... ღეთისადმი ამგვარს ერთგულებასა და მსახურებას ნათანი უწოდებს „ფუქსა“ და „სასტიკ“ მეოცნებეობას: „იგი ღმერთს არ რეგებს, ხოლო ადამიანს მხოლოდ ზიანს აყენებს — მის ნამდვილ ვალდებულებას, მოყვასის სიყვარულს, კაცზე ზრუნვას ავიწყებინებს; ამ მეოცნებეობას ადამიანი ან ანგარების, „სიამაყის“ კარნახით აპყვება ხოლმე — აქაოდა ღეთის განდიდება მეც განმადიდებდსო, — ანდა, უბრალოდ, თავისი სისუსტით ნებდება, — რამდენადაც: „ოცნება მოკრძალებული უფრო ადვილი არის ხოლმე, ვიდრე მოქცევა სინდისიერი; სუსტი ნების ქმნილება, — ხშირად შეუგნებლადაც, — ეტანება ამგვარს ოცნებას, ოღონდ კეთილ საქმისგან დაიხსნას თავი“ (I, 2). ხოლო ის ღმერთი, რომელიც მხოლოდ იმას სენობს და წყალობს, ვინც მას ემსახურება და თავისთვის მსხვერპლის გაღებას ითხოვს, ცრუღმერთია, — როგორც რეხა ამბობს: „ვისია ღმერთი? ერთი

მიზნარ, ის რა ღმერთია, ვინც ეკუთვნის მარტოოდენ ერთ ადამიანს და ვინც თვის გულისთვის გვაომებს ხოლმე? (III, 4). სწორედ ასეთ ცრულმერთად გადაუქცევიათ თავიანთი ღმერთი ქრისტიანებს, რომელთაც, ზიტას თქმით, „ემაყებათ, იყვნენ მხოლოდ ქრისტიანები, კაცნი კი არა და თავიანთი მოძღვრის სახელის განსაღიღებლად, — რამდენადაც „მხოლოდ სახელი არის მათი ზრუნვის საგანი“, — სურთ მთელს ქვეყანაზე დაჩრდილონ და შეარცხვინონ სხვა „ყველა კარგი კაცის სახელი“ (II, 1). ქეშმარიტი ღმერთისთვის მთავარი და გადამწყვეტი კაცის სიკეთეა და არა ის, ვის სახელს სცემს ის თაყვანს: „თუ ბავშვი თქვენს წინ აღიზარდა სათნოც, ჭანმრთელიც, — ეუბნება ნათანს მორჩილი, — ჩანს, ღვთის თვალშიაც იგივე დარჩა, რაც იყო წინაა“ (IV, 7). და ნათანის ქეშმარიტი ღვთისმოსაობაც მის ებრაელობაში კი არ არის, არამედ მხოლოდ იმაში, რომ ყოველ ღარიბს თანაბარი „ხალისით და უანგარობით“ შეეღის, რამდენადაც „ებრაელი და ქრისტიანი, მაჰმადიანი და პარსი, მისთვის სულერთია ყოველი კაცი (II, 2); — რადგანაც მისი რწმენით: „ქრისტიანი და ებრაელი, პირველ ყოვლისა, არიან კაცნი, მხოლოდ კაცნი ამის შემდეგ კი ქრისტიანი და ებრაელი“ (II, 5). ხოლო ამ თვალსაზრისით არა მხოლოდ ქრისტიანულს, არამედ საერთოდ ყოველგვარს რწმენას რყენის და ბლაღავს პატრიარქი, როდესაც დაწვის ღირსად თელის იმ ებრაელს, რომელსაც თუმცა „ყოველად სათნოდ“, მაგრამ „ებრაულად“ აღუზრდია ქრისტიანი ბავშვი; და პირიქით, როგორც ებრაული, ისე ქრისტიანული საჩუქნოების ქეშმარიტი ბუნების თანახმად მოიქცა ნათანი, როდესაც წმინდა კაცთმოყვარეობის კარნახით მას შემდეგ იშვილა უპატრონოდ დარჩენილი ქრისტიანი გოგონა, რაც მას ქრისტიანებმა ცოლი და შეიდი ვაჟი დაუწვეს. „ქრისტიანი ხართ, ქეშმარიტადი ღმერთმანი, ღვთისმად ასეთი კარგი ქრისტიანი არავინ ყოფილა“, — ეუბნება იგივე მორჩილი ნათანს და ნათანიც მიუგებს: „რაც თქვენს თვალში მხდის ქრისტიანად, სწორედ იგივე ჩემს თვალში თქვენ გხდით ებრაულად“ (IV, 7).

ხოლო ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ნათანის სიბრძნე მხოლოდ ცალკეულ რელიგიებს შორის კი არ სპობს სხვაობას, რაკი მათ ერთ საფუძველზე ამკვიდრებს, არამედ საერთოდ ყოველგვარ რელიგიას სპობს, რამდენადაც ისეთი საფუძველზე ამკვიდრებს მას, რომელიც შეუზღველად ეწინააღმდეგება მის საკუთრებისა და ნამდვილ ბუნებას. სახელდობრ, თუკი ყოველი რელიგიის არსებით პრინციპს, — ღრმად ანტიჰუმანურსა და რეაქციულს, — დამკირებული ადამიანის განდაღებული ღვთისადმი მსახურება შეადგენს, ნათანი მას მხოლოდ კაცთმოყვარეობას, კაცთმსახურებას აკისრებს ანუ თავის სრულ წინააღმდეგობად აქცევს — ღრმად ჰუმანისტური და რევოლუციური სულით გამსჭვალულ ეთიკად, რომლის მრწამსიც ის არის, რომ „ადამიანის უკეთილშობილესი საქმეა ადამიანია“.

თანაც ამ ეთიკის არსებით თავისებურებას, რომელიც მას სპეციფიკურ-ღვთისმადისეულ ნიშანს სძენს, მისი სრული უანგარობა წარმოადგენს. ნათანი — და აგრეთვე სალადინიც — მხოლოდ კეთალი, წრფელი გულით სჩადიან სიკეთეს, — მარტოოდენ კაცთმოყვარეობის, გაპირვებულისადმი თანაღმობის კარნახით, — ისე რომ სანაცვლოდ არაფერს მოითხოვენ, რამეთუ უწყიან, რომ „ვინც ჩადენალი სიკეთისთვის ჭიღდოს მოელის, იმას ხომ ამით ეს სიკეთე უკანვე მიაქვს“ (V, 8).

ამ უანგარობითაც უპირისპირდება ნათანის სიბრძნე რელიგიას, რომელიც იმი-  
თაც რყვნის ზნეობრივად აღამიანს, რომ ამიერი მორჩილებისათვის მას იმიერ  
ანაზღაურებას ჰპირდება ხოლმე! და მეტიც: ამ უანგარობით უპირისპირდება  
ნათანის სიბრძნე თვით „საკუთრივ“ ე. ო. ბურჟუაზიულ-განმანათლებლურ  
ეთიკასაც, რომელსაც ე. წ. „სალი გონიერების“ ანუ, არსებითად, ბურჟუაზიული  
ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის, სარგებლის მოხვედის სული გამსჭვალავს. სწო-  
რედ ამგვარი „პრაქტიკული“ გონიერების „ცხოვრების სიბრძნედ“ აღიარებას ემიჯ-  
ნება ნათანი, როცა მწარედ შენიშნავს სალადინს, რომ „ხალხის თვალში“, — რომელ-  
საც, როგორც ვნახეთ, ტელჰაიმი ესოდენ გადაწყვეტ მნიშვნელობას აძლევდა, —  
„ბრძენი იმასვე ნიშნავს, რასაც ჰკვიანნი“, ხოლო ჰკვიანი მხოლოდ იმ კაცს ჰქვია,  
„ვინც თავის სასარგებლო საქმეებს აწესრიგებს“, რის თანახმადაც ყველაზე ჰკვია-  
ნი ის გამოდის, „ყველაზე მეტად ვინც ემონვის ანგარებას“ (III, 5).

ღიახ, ეს უანგარობა ხდის ნათანის სიბრძნეს, — მის მორალურ მრწამსს, —  
მართლაცდა მომავლის სიბრძნედ, ე. ო. იმ ზნეობრივი იდეალის გამოხატულებად,  
რომლის განხორციელება არამხოლოდ ფეოდალური, არამედ აგრეთვე ბურჟუა-  
ზიული საზოგადოების ანუ მთელი ძველი, სიხარბისა და შუღლის ვნებით გაუ-  
კაცურებული ქვეყნის მიღმა ძევს. მისი სპეტაკი კაცთმოყვარეობა აქცევს ნათანს,  
ჩვენ ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ „დიდა ნამუსის“ კაცად, რომელიც  
„თავის გარეითად სხვაზედაცა ფიქრობს, სხვაზედაცა სწუხს“ და „სხვისასაც ისე  
ერჩის, როგორც თავისას“. მართალია, ნათანის პიროვნებაში ეს დიდი ნამუსი  
ჯერ კიდევ ვერაა სათანადოდ ფართოდ და აქტიურად გამოვლენილი, საკუთრივ  
სოციალურ, პოლიტიკურ სფეროში ამოქმედებული, მაგრამ იგი მაინც წარმოგვიდ-  
გენს ნათანს მომავლის აღამიანად, თვისებრივად ახალ, კ ო ლ ე ტ ო ვ ი ს ტ უ რ  
არსებად, რომელსაც „გული იმოდენად აქვს გამოვლიძებული, რომ საქვეყნო საქ-  
მისათვის უცემს“, რომელიც „მართო ქვეყნისთვის დადებულ ღვაწლში ხედავს  
და მაგ ღვაწლის სიდიდით ზომავს კაცის აღამიანურს ღირსებას...“

და, დასასრულ, ესეც საგანგებოდაა აღსანიშნავი:

ნათან ბრძენის ამაღლებული სახით ლესინგმა მომავლის ქ ე შ მ ა რ ი ტ ი ა დ ა-  
მ ი ა ნ ი კ ი არ წარმოგვიდგინა მხოლოდ, არამედ ნ ა მ დ ვ ი ლ ი მ ე ბ რ ძ ო ლ ი ც  
გვიჩვენა, რომლის გარეშე „დიდი ნამუსი“ ვერაფერი აქცევს ხორცშესხმულ, პრაქ-  
ტიკულ რეალობად. სახელდობრ, ნათანის სიბრძნეს ის ავგირგვინებს, რომ მის  
ქემშარიტად სრულქმნილ პიროვნებაში ჰარმონიულად თანხმდებიან მგზნებარე

---

1 სხვათა შორის, ლესინგის აზრით „ქრისტიანი, როგორც მხოლოდ ქრის-  
ტიანი“ იმიტომაც არ გამოდგება დრამის გმირად, რომ „მის მიერ ჯილდოს სახით  
იმიერი ნეტარების ლოდინი იმ უანგარობას ეწინააღმდეგება, რომელიც, ჩვენი  
სურვილის თანახმად, თავიდან ბოლომდე უნდა ახსიათებდეს სცენაზე მიმდინარე  
მოქმედებას“ („ჰამბ. დრამატურგია“, წერ. II).

გული და დინჯი გონება და ურთერთს განუყრელად ერწყმინან რომანტიკოსი-  
ენტუზიასტი, რომელსაც იდეალისთვის თავის გაწირვა ძალუძს, და რეალისტი-  
პრაქტიკოსი, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი დონკიხოტობისაგან,— ისე,  
როგორც ამას ეს მცირე გაბაასება გვიჩვენებს (III, 7):

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ნათანს ასე ურყევად სჯერა

თვისი სიმართლე? აი ამას ეუწოდებ სიბრძნეს:

რომ სიმართლის გზას არასოდეს გადაუხვიო!

ქეშმარიტებას ყოველივე შესწირო მსხვერპლად —

სისხლი და ხორცი! საცოცხლე და ავლადიდება!

ნ ა თ ა ნ ი

ღიჯს, თუ კი ეს საპიროა და სასარგებლო.

ოთარ ჯინორია



მ ი ს

ს ა ჯ ა

ს ა მ ე ს მ ნ ი

ტ რ ა კ უ ლ ი ა

თ ა ჯ ტ მ ა ნ ი

ე ლ ი ს თ

ს თ მ ა ჯ ე ლ ი ს ა



## მოქმედი პირები

სერ უილიამ სამპსონი.

მის ხარა, მისი ქალიშვილი.

მელეფონტი.

მარუდი, მელეფონტის ძველი საყვარელი.

არაბელა, პატარა ბავშვი, მარუდის ქალიშვილი.

უაიტუელი, სამპსონის მოხუცი მსახური.

ნორტონი, მელეფონტის მსახური.

ზეტი, სარას მოახლე.

პანა, მარუდის მოახლე.

სასტუმროს პატრონი და რამდენიმე სხვა პირი.



## მოქმედება პირველი

### გამოსვლა პირველი

(სცენა წარმოადგენს სასტუმროს დარბაზს)

შემოდინ სერ უილიამ სამპსონი და უაიტუელი, სამკაურთა ტანაცმელში გამოწყობილნი.

სერ უილიამი. ნუთუ აქ არის ჩემი ქალიშვილი? აქ, ამ უბადრუკ სასტუმროში?

უაიტუელი. უეჭველია, მელეფონტმა განზრახ აირჩია საცხოვრებლად ყველაზე საძაგელი სასტუმრო. ბოროტი ადამიანები ყოველთვის სიბნელეს დაეძებენ ხოლმე, რადგან ისინი ბოროტები არიან. მაგრამ რას უშველის იმათ სიბნელე, გინდაც მთელ ქვეყანას დაემალონ, სინდისის ქენჯნას ხომ მაინც ვერ წაუშვენ. აჰ, თქვენ ისევ სტირით, ისევ სტირით, სერ! სერ!

სერ უილიამი. ნუ მიშლი ტირილს, ჩემო ძველო, პატიოსანო მსახურო. ან იქნებ იგი არ იმსახურებს ჩემს ცრემლებს?

უაიტუელი. ეჰ! იმსახურებს, სისხლიანიც რომ იყოს ეს ცრემლები.

სერ უილიამი. მამ ნუ დამიშლი.

უაიტუელი. ნუთუ ასე უნდა შემცდარიყო ვერე მშვენიერი. ძვირფასი, უმანკო ბავშვი, რომლის მსგავსი მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა! ეჰ, სარა! სარა! შენ ხომ ჩემს თვალწინ გაიზარდე. რამდენჯერ ამიყვანიხარ ხელში ჩვილი ბავშვი. შევხაროდი შენს ღიმილსა და ტიტინს. შენი ბავშვური სახიდან მაშინვე გამოკრთოდა პირველი ნიშნები გონიერებისა, გულკეთილობისა და...

სერ უილიამი. ო, გაჩუმიდი! ნუთუ დღევანდელი ჩემი უბედურება საკმარისად არ მისერავს გულს? ან იქნებ გინდა ტანჯვა

გამიორკეცო წარსული ბედნიერების მოგონებით? სხვა რამ მითხარი, თუკი სამსახური გინდა გამიწიო. დამძრახე, ბოროტებად ჩამომართვი ნაზი გრძნობა. გააზვიადე ჩემი ასულის დანაშაული. ზიზღით აღმავსე მის მიმართ, თუკი ძალგეძს. კვლავ აღმინთე შურისძიების გრძნობა მისი წყეული მაცთუნებლის მიმართ. მითხარი, სარა არასოდეს ყოფილა სათნო, რაკი ასე ადვილად გადაუღვა სათნოებას-თქო; თქვი, რომ მას არასოდეს ვყვარებივარ, რადგან ფარულად მიმატოვა.

უ ა ი ტ უ ე ლ ი. ეგ რომ ვთქვა, ტყუილი იქნება, უსირცხვილო, ბოროტი სიცრუე. იგი სიკვდილის სარეცელზეც არ მომცემს მოსვენებას და ბებერმა ცოდვილმა სასოწარკვეთით უნდა დავლიო სული. არა, სარას უყვარდა და უეჭველია, უეჭველი, რომ ახლაც უყვარს თავისი მამა. თუკი თქვენ ინებებთ, ამ სიყვარულში დარწმუნდეთ, სერ, დღესვე გიხილავთ მის მკლავებში.

ს ე რ უ ი ლ ი ა მ ი- დიახ, უაიტუელ, მხოლოდ ამ სიყვარულში მინდა დავრწმუნდე. აღარ ძალმიძს უიმისოდ ყოფნა. ის არის ჩემი სიბერის ნუგეში, და ვიღამ უნდა დამიტკბოს სიცოცხლის დარჩენილი მწუხარე დღეები, თუ არა იმან? თუ კიდეც ვუყვარვარ, დავიცი-წყებ მის შეცდომას. ეს იყო მიამიტი გოგონას შეცდომა, ხოლო გაქცევა მას სინანულმა შთააგონა. ასეთი შეცოდება უკეთესია ხოლმე, ვიდრე იძულებითი სათნოება. მაგრამ ვგრძნობ, უაიტუელ, ვგრძნობ, რომ ეს შეცოდება თუნდაც აშკარა დანაშაულიც იყოს, ანდა წინასწარ განზრახული ბიწიერება, მე მაინც შევუნდობ. სულ არარაობას, სჯობს მანკიერ ქალიშვილს მაინც ვუყვარდე.

უ ა ი ტ უ ე ლ ი. შეიშრეთ ცრემლი, ძვირფასო სერ. ფეხის ხმა მესმის. ალბათ სასტუმროს პატრონი მოდის ჩვენს შესახვედრად.

## ბამოსვლა მმორაე

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. ს ე რ უ ი ლ ი ა მ ი, უ ა ი ტ უ ე ლ ი.

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. ასე ადრე, ბატონებო, ასე ადრე რამ მოგიყვანათ? კეთილი იყოს, კეთილი, თქვენნი მობრძანება. უაიტუელ! უეჭველია ღამითაც გივლიათ. ხომ? ეს ის ბატონია, ვისზეც გუშინ მელაპარაკე?

უ ა ი ტ უ ე ლ ი. დიახ, ის არის, და იმედი მაქვს, რომ პირობის თანახმად...

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. მოწყალეო ბატონო, მზად ვარ გამსახუროთ. რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, მეცოდინება თუ არა

თქვენი აქ მოსვლის მიზეზი და რატომ გნებავთ ჩემთან მალულად ყოფნა? სასტუმროს პატრონი ბინის ქირას იღებს და უფლებას აძლევს თავის სტუმრებს ის აკეთონ, რაც ჭკუაში დაუჯდებათ. თუმცა, როგორც უაიტუელმა მითხრა, თქვენ გსურთ ცოტა არ იყოს თვალყური ადევნოთ იმ უცხო ბატონს, ვინც ეს რამდენიმე კვირაა თავისი ახალგაზრდა მეუღლით ჩემთან ცხოვრობს. მაგრამ იმედი მაქვს, მას არავითარ უპიამოვნებას არ მიაყენებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემს სახლს სახელს გაუტეხთ და ზოგიერთი პიროვნება ჩემთან ფეხს აღარ შემოდგამს. ჩვენისთანა კაცს კი ყველა ჯურის ადამიანი სჭირდება.

ს ე რ უ ი ლ ი ა მ ი. ნუ გეშინიათ; ოღონდ წამიყვანეთ იმ ოთახში, უაიტუელმა ჩემთვის რომ შეგიკვეთათ. მე აქ პატიოსანი განზრახვით მოვედი.

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. სრულებითაც არ მსურს თქვენი საიდუმლოება შევიტყო, მოწყალეო ბატონო. ცნობისმოყვარეობა სულაც არ მჩვევია. მე, მაგალითად, ადრევე შემეძლო გამეგო, თუ ვინ არის ის უცხო ბატონი, რომელსაც თქვენ ყურადღება მიაქციეთ. მაგრამ ეს მე არა მსურს. თუმცა იმდენი მაინც გამოვირკვიე, რომ ის ბატონი ქალთან ერთად გამოპარული უნდა იყოს. ეს პატარა ქალბატონი კი, ქალბატონია, თუ ვინც არის, მთელი დღე ჩაკეტილია თავის ოთახში და ტირის.

ს ე რ უ ი ლ ი ა მ ი. ტირის?

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. დიახ. ტირის... მაგრამ, თქვენო მოწყალეობავ, თქვენ რაღა გატირებთ? ჩანს, ეს ქალი თქვენი მახლობელი უნდა იყოს. იქნებ თქვენ...

უ ა ი ტ უ ე ლ ი. ნუღარ გვაყოვნებ.

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. მობრძანდით. მხოლოდ ერთი კედელი დაგაცილებთ იმ ქალს, რომელიც თქვენთვის ასე მახლობელია და ვინც იქნებ...

უ ა ი ტ უ ე ლ ი, ჩანს, შენ ყველა ხერხსა ხმარობ, რომ გაიგო, ვინ...

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. არა. უაიტუელ, მე არაფრის გაგება არ მინდა.

უ ა ი ტ უ ე ლ ი. აბა, წაგვიყვანე ჩვენთვის განკუთვნილ ოთახში, ვიდრე სასტუმროში ყველა გამოიღვიძებდეს.

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. მაშ გამომყევით. მოწყალეო ბატონო! (გაღს.)

## გამოსვლა მისამი

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი ს ო თ ა ხ ი.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი (ჩაუცმელი საყარძელში ზის). კიდეც ერთი ღამე, რომელსაც წამების დროსაც კი ვერ გავატარებდი უარესად!.. ნორტონ!.. ადამიანის სახეს უნდა შევხედო, თორემ კიდეც თუ მომიხდა ჩემს ფიქრებთან განმარტოება, ისინი შორს გამიტაცებენ. ჰეი, ნორტონ! ისევ სძინავს. მაგრამ განა შეუბრალებელი არა ვარ, რომ ამ საწყალ ეშმაკს ძილის საშუალებას აღარ ვაძლევ? რა ბედნიერია იგი!.. მაგრამ მე არ მინდა, ჩემს ახლოს ვინმე ბედნიერი იყოს. ნორტონ!

ნ ო რ ტ ო ნ ი (შეშლის). რას მიბრძანებთ, ბატონო?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ჩამაცვი! რას ჩამოგტირის ცხვირ-პირი? როცა მე შევიძლებ მეტ ხანს ვიძინო, შენც ნებას მოგცემ, უფრო ღიბხანს გეძინოს ხოლმე. თუკი აღარ გინდა შენი მოვალეობა სცნო, ცოტა თანაგრძნობა მაინც გამიწიე.

ნ ო რ ტ ო ნ ი. თანაგრძნობა, ჩემო ბატონო? თქვენ გაგიწიოთ თანაგრძნობა? მე უკეთ ვიცი, სადაც არის იგი საჭირო.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. სად?

ნ ო რ ტ ო ნ ი. ეჰ!, ნება მიბოძეთ, ჩაგაცვათ, და ნურათფერს მკითხავთ.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ჯალათო! ის არ მეყოფა, რომ სინდისის ხმა მსაყვედურობს, - ახლა შენს საყვედურებსაც უნდა ვუსმინო? მესმის, რასაც ამბობ. ვიცი, ვისაც თანაუგრძნობ. მაგრამ მე მინდა ხალხი როგორც იმის, ისე ჩემ მიმართაც სამართლიანი იყოს. საესებით მართალი ხარ: ნუ გამიწევ თანაგრძნობას. მწყევლე და მკრულე გულიგულში, მაგრამ დასწყევლე შენი თავიც.

ნ ო რ ტ ო ნ ი. ჩემი თავიც?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. დიახ, რადგანაც იმ არამზადას ემსახურებო, რომელსაც მიწა არც კი უნდა ატარებდეს, და იმიტომაც, რომ შენცა ხარ მისი ხელისშემწყობი.

ნ ო რ ტ ო ნ ი. მეც ვარ თქვენი ხელისშემწყობი? რანაირად?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. იმნაირად, რომ ამის შესახებ გაჩუმებული იყავი.

ნ ო რ ტ ო ნ ი. ჩინებულია! მაგრამ ხომ იცით, როცა თქვენ ვნებით იყავით აღგზნებული, ერთი სიტყვაც რომ წამომცდენოდა, დამიჯდებოდა სიცოცხლის ფასად. ამას გარდა, როდესაც გაგიცანით, უკვე ისეთი წამხდარი ბრძანდებოდით, რომ თქვენი გამოსწორების ყოველგვარი იმედი ამაო იყო. რა საშინელ ცხოვრებას ეწე-

ოღით ჩვენი გაცნობის პირველსავე ხანებში ქალაქის მოთამაშეთა და მაწანწალების უხამს საზოგადოებაში, — მე ვუწოდებ მათ იმას, რაინც ნამდვილად იყვნენ, და ყურადღებას არ ვაქცევ მათ ტიტულებს, რაინდობასა და სხვა ამის მსგავსს, — დიახ, ამ ხალხში გაანიავეთ მთელი ქონება, რომელსაც შეეძლო თქვენთვის გზა გაეკაფა დიდი, საპატიო ადგილისაკენ. ამასთან, თქვენი უწესო დამოკიდებულება ყოველგვარი წოდების ქალებთან, განსაკუთრებით იმ კაპას მარეუდთან...

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. დამიბრუნე, დამიბრუნე იგივე ცხოვრება: ახლანდელთან შედარებით იგი სათნოებით იყო აღსავსე. მე გავანიავე ჩემი ქონება, კეთილი. ამისათვის სასჯელი მელის და თავის დროზე გამოვციდი კიდევაც, რაც კი რამ სიღარიბეს მძიმე და დამამცირებელი გააჩნია. მე დავდიოდი უზნეო ქალებთან; კეთილი და პატიოსანი. მე უფრო ხშირად ვტყუვდებოდი, ვიდრე ვატყუებდი და, ვინც კი შევაცდინე, მარტოოდენ მათივე სურვილით. მაგრამ... მაშინ ჯერ კიდევ არც ერთი დაღუპული. სათნოება არ აწვა ჩემს სულს. ჯერ კიდევ არც ერთი უმანკო არსება არ ჩამეგდო გაუგონარს უბედურებაში. არც ერთი სარა არ გამიტაცნია საყვარელი მამის სახლიდან და ძალა არ დამიტანებია მისთვის, გაპყლოდა არამზადას, რომელიც საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის. მე მაშინ... ვინ მოღის ჩემთან ასე ადრე?

### გამოსვლა მერთხე

ბ ე ტ ი. მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ნ ო რ ტ ო ნ ი.

ნ ო რ ტ ო ნ ი. ეს ბეტია.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. უკვე ადექი, ბეტი? რას აკეთებს შენი ფროილანი?

ბ ე ტ ი. რას აკეთებს? (სლუყუნით) შუალამე კარგა ხნის გადასული იყო, რომ როგორც იქნა დავიყოლიე დაწოლილიყო. მას რამდენიმე წამს ეძინა, მაგრამ, ღმერთო ჩემო! რა ძილი უნდა ყოფილიყო ეს? უეცრად წამოიწია, გადმოხტა და მკლავებში ჩამივარდა, როგორც უბედური არსება, რომელსაც მკვლეელი უკან მისდევს. მთლად კანკალებდა და გაფითრებულ სახეზე ცივ ოფლს ასხამდა. მე ყოველი ღონე ვიხმარე, რომ დამემშვიდებინა, მაგრამ იგი გათენებამდე ჩუმი ცრემლებით მპასუხობდა. ბოლოს რამდენჯერმე გამომგზავნა თქვენს კარებთან, რომ გამეგო, ადექით თუ არა. მათ თქვენთან სურს ლაპარაკი. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მისი დამშვიდება. მოიღეთ მოწყალება, კეთილო ბატონო, დააწყნარეთ იგი. გული გამისკდება, მან ასეთი რამ კიდევ რომ გაიმეოროს.

მელეფონტი. წადი, ბეტი, და უთხარი, რომ ერთ წამში მასთან ვიქნები.

ბეტი. არა, მას სურს თვითონ მოვიდეს თქვენთან.

მელეფონტი. მამ ასე უთხარი, რომ ველოდები... ოჰ!

(ბეტი გადის.)

### გამოსვლა მხუთე

მელეფონტი. ნორტონი.

ნორტონი. ოჰ, ღმერთო ჩემო! საბრალო მის!

მელეფონტი. მაგ წამოძახილით ვის გინდა გული აუჩუყო? შეხედე. ბავშვობის შემდეგ ეს პირველი ცრემლია, რომელიც ჩემს ლოყაზე მოგორავს. ცუდი სამზადისია ნუგეშის მაძიებელი სევდიანი ქალის მისაღებად. რატომ ეძებს ის ნუგეშს ჩემთან? მაგრამ მამ სადღა უნდა ეძიოს? თავი უნდა შევიკავო. (ცრემლს მოიწმენს.) სად არის ჩემი წინანდელი სიმბტიკე, რომლითაც შემეძლო მშვიდად მეცქირა ცრემლმორეული ლამაზი თვალებისათვის. სად გაჰქრა ჩემი თვალთმაქცობის ნიჭი, რომლის შეწვევითაც ისეთ სახეს მივიღებდი, როგორც მინდოდა, და იმას ვიტყოდი, რასაც ვისურვებდი. აი, ახლა ის მოვა და მოუგერიებელი ცრემლებით მოყვება ტირილს. შემკრთალი, დარცხვენილი დავდგები მის წინ; მსჯავრდადებული ცოდვილივით ვიდგები მის წინაშე. ის მაინც მირჩიე, როგორ მოვიქცე, რა ვქნა? რა უნდა ვუთხრა?

ნორტონი. გააკეთეთ, რასაც ის მოგთხოვთ.

მელეფონტი. მაშინ ახალ სისასტიკეს ჩავიდუნ მის მიმართ. იგი უსამართლოდ მკიცხავს, რომ ასე ვაყოვნებ ჯვრისწერას, რაც არ შეიძლება ამ სამეფოში მოხდეს, თუ არ გვინდა თავი მთლად დავიღუპოთ.

ნორტონი. მამ მიატოვეთ ეს სამეფო. რაღას აყოვნებთ? რატომ გადის ამ ყოყმანში ღღეები და კვირები. მე მაინც დამავალეთ ეგ საქმე. ხვალვე უეჭველად გადაბარდებით გემზე. ეგების მას ზღვაზე მთლიანად არ გაჰყვეს სევდა-ნალღელი, მისი თუნდაც ნაწილი რომ ჩამოიცილოს და სხვა ქვეყანაში...

მელეფონტი. მეც მაგის იმედი მაქვს. ჩუმად! ის მოდის. ო, როგორ მიცემს გული.

### გამოსვლა მემამსე

სარა. მელეფონტი. ნორტონი.

მელეფონტი (მიდის სარას შესაგებებლად). თქვენ მოუსვენრად გაგიტარებიათ ღამე, საყვარელო მის...

ს ა რ ა. ეჰ, მელეფონტი, ნეტავ მხოლოდ ეგ იყოს და მეტა არაფერი.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. (მსახურს). დაგვტოვე!

ნ ო რ ტ ო ნ ი. (გაპლისას). არც ვისურვებდი აქ დარჩენას. თუნდაც ყოველი წამისათვის ოქროთი დაგესაჩუქრებინეთ.

### გამოსვლა მთავრიდან

ს ა რ ა. მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. თქვენ სუსტადა ხართ, ძვირფასო მის. დაბრძანდით, გეთაყვა.

ს ა რ ა. (ჯღაბა). ძალზე ადრე შეგაწუხეთ; ხომ მაპატიებთ. ჩემს საჩივრებს კვლავ დილიდან რომ ვიწყებ?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. უძვირფასესო მის! თქვენ გინდათ მითხრა, რომ არ შეგიძლიათ მომიტყეოთ, რადგან აი კიდეც დადგა ერთი დილა და მე მაინც ბოლო ვერ მოვუღე თქვენს ჩივილს.

ს ა რ ა. ო, რაღა არ შემეძლო თქვენთვის მომეტყვეებინა! თქვენ იცით, რაც უკვე გააპატიეთ. მაგრამ მეცხრე კვირა, უკვე მეცხრე კვირა დაიწყო დღეს, მელეფონტი, და ამ უბადრუკ ჰერ ქვეშ ისეთივე მდგომარეობაში ვიმყოფები, როგორშიც აქ მოსვლის პირველ დღეს გიყავი.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მაშ თქვენ ენვი შეგაქვთ ჩემს სიყვარულში?

ს ა რ ა. მე თქვენს სიყვარულში ეჭვი შემაქვს? არა, მე ისე ძლიერ, ისე ძლიერ ვგრძნობ ჩემს უბედურებას, რომ არ შემიძლია ეს უკანასკნელი, ერთადერთი ნუგეშიც წარვიზოცო.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მაშ როგორ შეუძლია ჩემს სარას. ამ უბრალო ცერემონიალის დაყოვნებაზე ასე შემოფოთდეს?

ს ა რ ა. ეჰ, მელეფონტი, რატომ უნდა მესმოდეს მე ეგ ცერემონიალი სულ სხვანაირად? ცოტათი მაინც გაიზიარეთ ქალის შეხედულება ამ საკითხზე. მე წარმოდგენილი მაქვს, რომ მასში მდგომარეობს ზეცის კურთხევა. ამაოდ ვცდილობდი მე გუშინ, მთელი საღამოს განმავლობაში, შემეტვისებინა თქვენი აზრი და ჩემი გულიდან გამედევნა ის ეჭვები, რომელთაც თქვენ ახლა, — და ეს პირველი შემთხვევა კი არაა, — ჩემი უნდობლობის ნაყოფად მიიჩნევთ. მე ვეკამათებოდი საკუთარ თავს და ისე გონებამახვილიც აღმოვჩინდი, რომ ჩამეხშო ჩემი გონება, მაგრამ გული და შინაგანი გრძნობა ერთბაშად ძირს ამხოზდნენ ყველა შენობას, რომელთა აგებასაც მე ასეთი ტანჯვა-წვალებით ვცდილობდი. შუა ძილში შემომესმა მრისხანე ხმები, საწამებლად რომ აეკვიატნენ ჩემს ფანტაზიას. ო, რა სახეები, რა საშინელი სახეები ირეოდნენ ჩემს ირგვლივ! სიამოვნებით მივიჩნევდი მათ სიზმრებად...

მელე ფონტი. რაო? ნუთუ ჩემი გონიერი სარა მათ სხვა რაშედ მიიწეკდა? სიზმრებია, ძვირფასო მის, სიზმრები!.. რა უბედურია ადამიანი! ნუთუ შემოქმედმა მისთვის საკმარისი ტანჯვა ვერ გაჰინახა სინამდვილის სამეფოში? ნუთუ მას დასჭირდა, რომ ადამიანის ტანჯვათა გასამრავლებლად შეექმნა კიდევ უფრო ვრცელა სამყარო წარმოსახვებისა?

სარა. ნუ ემდურებით ზეცას! მან ეს წარმოსახვები ჩვენს ნებას დაუშორჩილა. ისინი ჩვენს მოქმედებაზე არიან დამოკიდებულნი: თუ ეს მოქმედება ჩვენს მოვალეობასა და სათნოებასთანაა შეთანხმებული, მაშინ მათი თანამგზავრი წარმოსახვებიც ჩვენს სიმშვიდესა და სიამოვნებას ემსახურებიან. მხოლოდ ერთადერთ მოქმედებას. მელეფონტი, ერთადერთ წყალობას, რომელსაც მოიღებს ჩვენზე საუკუნო მშვიდობის მაუწყებელი, შეუძლია განკურნოს ჩემი აშლილი ფანტაზია. ნუთუ ჩემი გულისათვის რანდენიმე დღით ადრე არ გააკეთებთ იმას, რასაც ოდესმე მაინც გააკეთებთ? შემობრალეთ და დაფიქრდით, რომ თუკი ამით წარმოსახვის ტანჯვებისაგან გამათავისუფლებთ, ეს წარმოსახული ტანჯვებიც ხომ ტანჯვებია და იმისთვის, ვინც მათ განიცდის, ნამდვილ ტანჯვებს წარმოადგენენ. ახ, ნეტავ შემეძლოს წუხანდელი საშინელებანი იმის ნახევარი სიძაღთ ვადმოგკეთ, როგორც მე განვიცადე!.. ტირილითა და გოდებით. ამ ჩემი ერთადერთი საქმიანობით, დაღლილი, ნახევრად ავალდახუჭული ჩავწეკი სარეცელში. ჩემს არსებას ესაჭიროებოდა ერთი წუთით შესვენება, რომ ახალ ცრემლთათვის მოეკრიბა ძალღონე, მაგრამ ჯერ კარგადაც არ ჩამძინებოდა, რომ საშინელ ფრილო კლდის პირას აღმოვჩნდი. თქვენ წინ მიმიძღვებოდით, მე კი მოგდევდით უკან გაუბედავი, მერყევი ნაბიჯებით, რომელთაც ხანდახან ძალას მატებდა თქვენი მზერა, დროდადრო რომ მტყორცნიდით ხოლმე. უეცრად უკნიდან შემომესმა ალერსიანი ძახილი, რომელიც მიზრძანებდა შევჩერებულიყავ. ეს იყო მამაჩემის ხმა. საბრალო ჩემო თავო! ნუთუ მისი დავიწყება არაფრით არ შეგიძლია? ეპ! იქნებ იმასაც ასეთივე უღმობელი სამსახური გაუწია მესხიერებამ? იქნებ იმასაც არ შეუძლია ჩემი დავიწყება? მაგრამ მან მე დამივიწყა. ეს ნუგეშია! სასტიკი ნუგეში მისი სარასათვის! მომისმინეთ, მელეფონტი სწორედ მაშინ, ამ ნაცნობი ხმის გაგონებაზე უკან მოხედვა რომ დავაპირე, ფეხი ამისხლტა, შეეტორტმანდი და უფსკრულში უნდა გადავჩეხილიყავი, მაგრამ დროზე შემაკავა ჩემივე მსგავსმა არსებამ. ის იყო, მინდოდა მხურვალე მადლობა მეთქვა, რომ მან უბიდან ხანჯალი ამოიძრო. „იმისათვის გადაგარჩინეო, შესძახა, რომ მომიკა-



ლიო!" მომიქნია ხანჯალი და ოჰ! ტკივილისაგან გამომეღვიძა. ფხიზელიც ვგრძნობდი სასიკვდილო ჭრილობის სიმწვავეს, მაგრამ არ მიგრძენია ის სიამოვნება, როგორც ამ ჭრილობას ახლავს ხოლმე: შეგრძნება იმასა, რომ სიცოცხლის დასრულებასთან ერთად წამებასაც ბოლო ეღება.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ოჰ! ძვირფასო სარა, სიტყვას გაძღვეთ, რომ თქვენს წამებას ბოლო მოეღება სიცოცხლის დასრულების გარეშე, რაც უთუოდ ჩემი სიცოცხლის დასასრულიც შეიქნებოდა. დაივიწყეთ ეგ საშინელი უაზრო სიზმარი.

ს ა რ ა. თქვენგან მოველი იმ ძალას, რომლითაც შეეძლებ ამის დავაწყებას. სიყვარულია ეს თუ ცთუნება, ბედნიერებაა თუ უბედურება, მან ჩამაგლო მე თქვენს მკლავებში. თქვენ გეკუთვით ჩემი გული და მარად თქვენი ერთგული ვიქნები. მაგრამ ჯერ არ გეკუთვნით იმ მსაჯულის წინაშე, რომელიც თავის კანონთა მცირედი დარღვევის გამოც კი იმუქრება სასჯელით...

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. დაე მხოლოდ მე დამატყდეს თავს მთელი ეს სასჯელი.

ს ა რ ა. ისეთი რა უნდა დაგატყდეთ თავს, რომ მეც არ მომხვდეს?.. ყალბად ნუ გაიგებთ ჩემს დაჟინებულ ჩაგონებას. სხვა ქალა, ასეთივე მცდარი ნაბიჯით თავისი პატიოსნება რომ დაეკარგა, ალბათ კანონიერი შეუღლების გზით თავისი ღირსების თუნდაც ნაწილობრივ აღდგენას ეცდებოდა. მე კი, მელეფონტ, ამაზე სულ არა ვფიქრობ, რადგან არ მსურს ქვეყნად სხვა რამ პატივი, გარდა თქვენა სიყვარულისა. მე მსურს თქვენთან შეუღლება არა ქვეყნის დასანახად, არამედ მხოლოდ ჩემთვის. და თუ ასე მოხდა, მაშინ სიამოვნებით მივიღებ ჩემს შერცხვენას, თითქოს არაფრად არ მიმაჩნდეს ჩემი ღირსება. შეგიძლიათ არ გამომაცხადოთ თქვენს მეუღლედ, თუ ეს არა გსურთ. შეგიძლიათ ის მიწოდოთ, რაც თქვენი ნება იქნება, მე არ მსურს ვატარო თქვენი გვარი. შეგიძლიათ ჩვენი კავშირი ისე საიდუმლოდ შეინახოთ, როგორც ეს მოგუხასიათებათ. ჩემს თავს ამ კავშირის უღირსად ჩავთვლიდი, რომ მისგან სხვა რაიმე სარგებლობას გამოველოდე, გარდა სინდისის დამშვიდებისა.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. გეყოფათ, მის, თორემ თქვენს თვალწინ ახლავე თავს მოვიკლავ. ო, რა ბედშავი ვარ, რომ გამხედარობა არა მყოფნის, უფრო მეტად გაგაუბედუროთ! გაიხსენეთ, რომ მე მომენდეთ, როგორც ხელმძღვანელს, დაფიქრდით, რომ მე მოვალე ვარ ორივეს სასიკეთოდ შორს ვიქცეო და რომ ახლა ყური უნდა მოვუყრუო თქვენს საჩივრებს, რათა მთელი თქვენი სიცოცხლის მან-

ძილზე უფრო მწვავე საჩივრები არ მოვისმინო, ნუთუ დაგავიწყდათ ის, რასაც ხშირად გეუბნებოდით ჩემი თავის გასამართლებლად?

ს ა რ ა. არ დამვიწყებია, მელეფონტ. თქვენ გინდათ, უწინარეს ყოვლისა, იხსნათ მემკვიდრეობით კუთვნილი ქონება. თქვენ გინდათ ჯერ იხსნათ წარმავალი სიმდიდრე და მე კი შეიძლება ამის ფასად მარადიული განძი დამაკარგვინოთ.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ეჰ! სარა, თქვენთვის რომ ყველა წარმავალი სიმდიდრე ისევე ხელმისაწვდომი იყოს, როგორც თქვენი სათნოებისათვის მარადიული განძია მისაწვდომი...

ს ა რ ა. ჩემი სათნოებისათვის? ნუ ახსენებთ ჩემთან მაგ სიტყვას! წინათ ის ჩემთვის ტკბილად ჟღერდა, ახლა კი საზარელ გრგვინვასავით მესმის.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. რაო? მაშ იმას, ვინც სათნოა, აღარც ერთი შეცდომა არ უნდა მოუვიდეს? ერთადერთ შეცდომას ნუთუ ისეთი საბედისწერო ძალა აქვს, რომ შეუძლია მთელი რიგი შეუბღალავი წლები გაანადგუროს? მაშინ აღარც ერთი ადამიანი სათნო არა ყოფილა. მაშინ სათნოება მოჩვენება ყოფილა, რომელიც სწორედ იმ წუთს უჩინარდება ჰაერში, როცა გგონია, რომ მაგრად გიჭირავს ხელში. მაშინ სად არის ისეთი ბრძენი, რომელიც ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობას ჩვენსავე ძალებს შეუფარდებს? მაშინ ჩვენი არსებობის მთავარი მიზანი ის ყოფილა, რომ მუდამ დასჯისაკენ მივისწრაფოდეთ. მაშინ... მაგრამ არა! მე მეშინია ყველა იმ საზარელი შედეგისა, რომელშიც შეიძლება თქვენმა სულმოკლეობამ გაგაბათი არა, ძვირფასო მის. თქვენ ისევ ის სათნო სარა ხართ, რომელიც იყავით ჩემი გაცნობის საბედისწერო დღემდე. თუ თქვენს თავს ასე სასტიკად სჯით, მაშინ მე როგორი თვალითღა უნდა შემომხედოთ!

ს ა რ ა. სიყვარულის თვალით, მელეფონტ.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ო, მაშინ მაგ სიყვარულის გულისათვის, მაგ დიდსულოვანი სიყვარულის გულისათვის, რომელიც არად აგდებას ჩემს სულმდაბლობას, მუხლმოყრილი გვედრებით: დამშვიდდეთ და კიდევ რამდენიმე დღე მოითმინოთ.

ს ა რ ა. რამდენიმე დღე! ერთი დღეც კი რარივ ხანგრძლივია.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. წყეული ანდერძი! წყეულიმც იყოს მომაკვდავი ბიძაჩემის სისულელე; მან თავისი ქონება მხოლოდ იმ პირობით მიანდერძა, თუ ხელს შევეთავაზებ ნათესავ ქალს, რომელსაც ისევე ვძულვარ, როგორც მე იგი. თქვენ, ჩვენ თავისუფალ მისწრაფებათა მტარვალნო, თქვენ მოგეწერებათ ყველა ის უბედურება და დანაშაული, სადამდეც მივყევართ თქვენს ძალმომრეობას... ოხ, რომ შემეძლოს ამ სამარცხვინო მემკვიდრეობისაგან განთავისუფლება! ვიდ-

რე მამაჩემის ქონება ჩემი არსებობისათვის საკმარისი იყო, მე ამ მემკვიდრეობას ყოველთვის ზიზღით ვეკიდებოდი და იმის ღირსადაც კი არასოდეს ჩამითვლია, რომ ამ საკითხზე ჩაეფიქრებულყავი. მაგრამ ახლა, ახლა, როცა მთელი ქვეყნის საუნჯეს მხოლოდ იმისათვის ვინატრებ, რომ ის ჩემი სარას ფერხითი დაედო, ახლა, როცა მხოლოდ იმაზე უნდა ვიზრუნო, რომ საზოგადოებაში ისეთი ადგილი დაიკავოთ, როგორც თქვენს წოდებას შეეფერება, იძულებული ვარ ამ მემკვიდრეობაში ვეძიო ჩემი თავშესაფარი.

ს ა რ ა. რომელიც შეიძლება ბოლოს მაინც წაგივიდეთ ხელიდან.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. თქვენ ყოველთვის ცუდს იფიქრებთ ხოლმე. არა, ის ქალი, რომელსაც ეს ანდერძი ისევე შეეხება, როგორც მე, წინააღმდეგი არაა გარკვეული პირობით შევთანხმდეთ. ნაანდერძევი ქონება ჩვენ თანატოლად უნდა გავანაწილოთ და, ვინაიდან მას არ შეუძლია ჩემთან ერთად ისარგებლოს მთელი ამ ქონებით, იმითაც კმაყოფილი დარჩება, თუ ნახევარი ქონებით მისგან გამოვისყიდი ჩემს თავისუფლებას. ყოველ საათს ველი უკანასკნელ ცნობებს ამ საქმის შესახებ, რომლის დაყოვნების გამოც გვიხდება ამდენ ხანს აქ ყოფნა. როგორც კი მივიღებ ამ ცნობებს, აქ ერთ წუთსაც აღარ გავჩერდები. ძვირფასო სარა, ჩვენ მაშინვე გავემგზავრებით საფრანგეთში, სადაც ჰპოვებთ ახალ მეგობრებს, რომელთაც ახლავე ახარებთ თქვენი ნახვისა და დაახლოების მოლოდინი. და ეს ახალი მეგობრები უნდა იქნან ჩვენი შეუღლების მოწმენი.

ს ა რ ა. ისინი იქნებიან ჩვენი შეუღლების მოწმენი? ულმობელო! მაშ ეს შეუღლება ჩემს სამშობლოში არ უნდა მოხდეს? მაშ ჩემს სამშობლო როგორც დამნაშავემ უნდა დავტოვო? ნუთუ გგონიათ, რომ ასეთ მდგომარეობაში გამბედაობა მეყოფა, ზღვას მივინდო? ვისაც დაღუპვისაგან მხოლოდ ერთი მოქანავე ფიცრით დაშორებულს შეუძლია იყოს გულგრილი, იმას ჩემსაზე უფრო მშვიდი ან უფრო გამოფიტული გული უნდა ჰქონდეს. ყოველი ტალღა, რომელიც ჩვენს გემს დაეჯახება, სიკვდილის ხმასავეთ ჩამესმება ყურში. ქარის ყოველი დაბერვა წყევლა-კრულვას მომიტანს ჩემი სამშობლოს ნაპირებიდან და უმცირესი ღელვაც კი ჩემს თავზე გამოტანილ სასიკვდილო განაჩენად მომეჩვენება... არა, მელეფონტ, არა მგონია, რომ ასე შეუბრალებლად მომექცეთ. თუ თქვენ საბოლოო შეთანხმებამდე ვიცოცხლე, მან აქ არ უნდა მოგვისწროს. მან იმ დღემდე არ უნდა მოგვისწროს, ვიდრე არ დამავიწყებთ ტანჯვა-წამებით აღსავსე ხანგრძლივ დღეებს, აქ ცრემლთა ფრქვევაში რომ გავატარე. ეს იქნება წმიდათა წმიდა დღე... ოხ! რომელი დღე იქნება ეს, ბოლოს და ბოლოს?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ნუთუ არ გეხმობ, ძვირფასო მის, რომ აქ ჩვენს შეუღლებას მოაკლდება ის საზეიმო ელფერი, რომელიც მას უნდა მიეცეთ?

ს ა რ ა. წმიდა საიდუმლოებას საზეიმო ელფერი არ მატებს სინტიციტს.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მაგრამ...

ს ა რ ა. გაოცებული ვარ. ნუთუ თქვენ ასეთი უმნიშვნელო რამ გინდათ მოიპაბაბოთ? ო, მელეფონტი, მელეფონტი! მე რომ ურყევ კანონად არ მიმელო, არასოდეს დავეჭვებულყავი თქვენი სიყვარულის სიწრფელეში, მაშინ ამ გარემოებას შეეძლო... მაგრამ კმარა; შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ სწორედ ახლა შემეპარა ეჭვი თქვენს სიყვარულში.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. თქვენი დაეჭვების პირველი წამი ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი წამი იქნება. ოჰ, სარა! რითი დავიმსახურე, რომ თუნდაც მომავალში შეიძლება რაიმე ეჭვი დაგებადოთ? მართალია, ის გულწრფელი აღსარებები, რომლებითაც ჩემი წარსული უწესო ცხოვრება უყოყმანოდ გადმოგიშალეთ, თქვენს თვალში პატივისცემას ვერ მომიხვეჭენ, მაგრამ მათ ხომ ჩემდამი ნდობა მაინც უნდა გაეღვიძებინათ! გარყვნილმა მარჯულმა გამახვია თავის ბაღეში, რადგან მე იმ ქალისადმი ვგრძნობდი რაღაც ისეთს, რასაც ხშირად სიყვარულს ეძახიან. მაგრამ იშვიათად თუ აღმოჩნდება ნამდვილი სიყვარული. შეიძლება მე ახლაც მისი სამარცხვინო ბორკილი მეტარებინა, რომ ზეცას არ შევბრალებოდი, რომელმაც, ალბათ, მთლად უღირსად არ მიიჩნია ჩემი გული, რომ უკეთესი ალით აღენთო. თქვენი დანახვა, ძვირფასო სარა, და მარჯულისთანა ყველა ქალის დავიწყება ერთი იყო. მაგრამ რა ძვირად დაგიჯდათ ჩემი გამოსხნა. მე უკვე ძლიერ შევეთვისე ბიწიერებას, თქვენ კი მასზე არავითარი წარმოდგენა არა გქონდათ...

ს ა რ ა. ნულარ გავიხსენებთ მაგას...

### გამოსვლა მერვე

ნ ო რ ტ ო ნ ი. მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ს ა რ ა.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი რა გინდა?

ნ ო რ ტ ო ნ ი. ის იყო სახლიდან გავედი, რომ ვიღაც მსახურმა ეს წერილი მომაჩვენა ხელში. მისამართი თქვენს სახელზეა, ბატონო ჩემო.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ჩემს სახელზე? ვინ იცის აქ ჩემი სახელი? (დახედავს მისაზრთს) ღმერთო!

ს ა რ ა. შეგეშინდათ?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. სრულიად უმიზეზოდ, ძვირფასო მის, როგორც ვხედავ. მე ეს ხელი სხვისი მეგონა.

ს ა რ ა. ვისურვებ, რომ წერილის შინაარსი თქვენთვის ისევე სასიამოვნო იყოს, როგორც თვითონ ისურვებთ.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ვფიქრობ, მნიშვნელოვანს არაფერს არ უნდა შეიცავდეს.

ს ა რ ა. მარტო ყოფნისას კაცს ნაკლები ძალ-ღონის დაძაბვა სჭირდება, თავის თავს რომ დაეუფლოს. ნება მიბოძეთ, წავიღე ჩემს ოთახში.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მგონი რალაცას ვარაუდობთ კიდევ?

ს ა რ ა. არაფერს, მელეფონტ.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი (გააცოლებს). ერთ წუთში თქვენთან ვიქნები. ძვირფასო მის.

### ბამრსვლა მაცხრე

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ნ ო რ ტ ო ნ ი.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი (იხვ წერილს დასცქერის). ღმერთო სამართლიანო! ნ ო რ ტ ო ნ ი. ვაი თქვენ, თუ იგი მხოლოდ სამართლიანია!

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ნუთუ ეს შესაძლებელია? კვლავ ვხედავ ამ საზიზღარ ხელს და შიშისაგან არა ვქვავდები? ის არის? განა ის ხელი არ არის? რაღა მეეჭვება? ნაწვილად ის არის! ოჰ. მეგობარო, მარვუდის წერილია! რომელმა ფუჩიამ. რომელმა სატანამ ასწავლა მას ჩემი ადგილსამყოფელი? რაღა სურს ჩემგან? გასწი ახლავე და მიიღე ზომები, რომ აქედან დაუყოვნებლივ გაუენგზავროთ. მაგრამ მოიცა! შეიძლება ეს საჭირო არ იყოს. იქნებ ჩემმა ზიზღით სავსე გამოსათხოვარმა წერილებმა მარვუდს ისეთივე ზიზღით ჩემთან შეხვედრის სურვილი გაუღვიძეს? აი! გახსენი წერილი; წაიკითხე. მე თვითონ ვერ გამიბედიდა.

ნ ო რ ტ ო ნ ი (კითხულობს). „თუ ინებებთ და მცირედ ყურადღებას მიიქცევთ, მელეფონტ, იმ სახელს, რომელსაც ამ ბარათის ბოლოში ნახავთ, მიხვდებით, რომ სულაც არ იყო საჭირო გრძელი წერილი მომეწერა...“

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. წყეულიმც იყოს მისი სახელი! ო, ნეტავ არასოდეს გამეგონა! ცოცხალთა სიიდან რომ შეიძლებოდეს მისი ამოსლა!

ნ ო რ ტ ო ნ ი (განაგრძობს კითხვას). „თქვენს მოძებნაში სიყვარული დამეხმარა და მანვე შემიმსუბუქა ამ ძებნით გამოწვეული ტანჯვა-წვალება“.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. სიყვარული? ბოროტმოქმედო! შენ ჩირქს ცხებ სახელს, რომელიც მხოლოდ სათნოებას შეჰფერის!

ნ ო რ ტ ო ნ ი. (განაგრძობს). „სიყვარულმა მეტიც შემაძლებინა...“

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მაკანკალებს...

ნ ო რ ტ ო ნ ი. „მან შთამაგონა უკან გამოგდევნებოდი“...

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მოღალატე! რასა კითხულობ? (გამოსტაცებს წერილს ხელიდან და თვითონ კითხულობს.) „მან შთამაგონა უკან გამოგდევნებოდი. მე აქა ვარ, ახლა კი თქვენზეა დამოკიდებული, ჩემს მოსვლას დაელოდებით, თუ აქეთ დამასწრებთ. მარგული“. ეს რა მეხი დამატყდა თავს! იგი აქ არის! სად იმყოფება ნეტავ? ამ თავხედობისათვის მან სიცოცხლით უნდა აგოს პასუხი.

ნ ო რ ტ ო ნ ი. სიცოცხლით? მარგულის ერთი შემოხედვა საკმარისი იქნება, რომ კვლავ მის ფერხთით გაერთხათ. შოიფიქრეთ, თუ რას აპირებთ! მარგულს არ ესაუბროთ, თორემ თქვენი საბრალო სარა მთლად დაიღუპება.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. უბედური ვარ! არა, მე მას უნდა ველაპარაკო, ვიდრე სარას ოთახში მომძებნის, და ამ უდანაშაულო არსებაზე გადამონათხევს მთელ თავის ცოფს.

ნ ო რ ტ ო ნ ი. ბატონო ჩემო...

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ნულარაფერს მეტყვი! ერთი მიჩვენე, (დახედავ! წერილს.) თავისი მისამართი თუ აქვს აღნიშნული. აი, აქ არის, წამო, წამიყვანე. (გაღიან.)

## მოქმედება მეორე

### გამოსვლა პირველი

სცენა წარმოადგენს მარჯულის ოთახს სხვა სასტუმროში.

მარჯუდი (დილის ხალათით). ჰანა.

მარჯუდი. ბელფორდმა ხომ გადასცა წერილი დანიშნულებისამებრ, ჰანა?

ჰანა. დიახ, გადასცა.

მარჯუდი. თვითონ მას?

ჰანა. მის მსახურს.

მარჯუდი. ვერც კი წარმომიდგენია, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს წერილი. ცოტა აღელვებული არ გეჩვენები, ჰანა? მართლაც, ცოტათი მოუსვენრად ვგრძნობ თავს... მოლალატე! მაგრამ წყნარად! სიბრაშემ არ უნდა შემიბყროს. თავის შეკავება, სიყვარული, ხვეწნა-ვედრება, აი ის ერთადერთი იარაღი, რომელიც უნდა გამოვიყენო მის წინააღმდეგ, როცა მისი სუსტი მხარე კარგად ვიცი.

ჰანა. თუ იგი ყოველივე ამას მტკიცედ დახვდება?

მარჯუდი. მტკიცედ დახვდება?.. მაშინ გაგბრაზდება კი არა, კიდევაც გაეშმაგდება. მე ამას ვგრძნობ, ჰანა, და ახლავეც კი მზადა ვარ ავენთო.

ჰანა. თავი შეიკავეთ, ის შეიძლება ამ წუთსაც მოვიდეს.

მარჯუდი. მოვა კი? ხომ არ გადაწყვიტა, რომ უფრო მტკიცედ თავისთან დამხვდება? მაგრამ იცი, ჰანა, უმთავრესად ვისზე ვამყარებ იმის იმედს, რომ ის ორგული ტრფობის ახალ საგანს ჩამოვაცილო? — ჩვენს ბელაზე.

ჰანა. მართალი ბრძანდებით. იგი მელფონტის სათაყვანო კერპია და ძალზე ჰკვიანურად მოიქეცით, თან რომ წამოიყვანეთ.

მარჯუდი. თუკი მისი გული ძველი სიყვარულის მიმართ აღმოჩნდება ყრუ და უგრძნობელი, თავისი სისხლხორცის ენას მაინც

გაიკვებს. ამ რამდენიმე ხნის წინათ მან იმ საბაბით წამართვა ბავ-  
შვი. რომ ისეთი აღზრდა უნდა მიეცე, როგორსაც შენ ვერ მისცემო.  
მხოლოდ ეშმაკობით დავტყუე ჩემი გოგონა აღმზრდელ ქალს, რო-  
მელსაც მელეფონტიმა იგი ჩააბარა და წინასწარ იმაზე მეტი გადა-  
უხადა. რაც მთელი წლის განმავლობაში ერგებოდა. გამოქცევის წინა-  
ღვს მან სასტიკად გააფრთხილა ეს ქალი, არ მიეღო ვიღაც მარცუდი,  
რომელიც შეიძლება მასთან მისულიყო და ბავშვის დედად გამოე-  
ცხადებინა თავი. ამ ბრძანებამ კარგად მიმახვედრა, თუ როგორ გვა-  
სხვავებს იგი მე და ბელას. მელეფონტი ისე უყურებს მას, როგორც  
თავისი არსების ძვირფას ნაწილს, მე კი, როგორც უბედურ ქმნილე-  
ბას, მეტისმეტად რომ მოპყირკებული მთელი თავისი სიმშვენიერით.

ჰ ა ნ ა. რა უმადურობაა!

მ ა რ ვ უ დ ი. ეჰ, ჰანა, უმადურობა გარდაუვალი შედეგია იმ  
სამსახურისა, რომლისთვისაც ყოველგვარი მადლობა უმნიშვნელო  
გასანრჯელო იქნებოდა. რატომ გავუწიე მას ეს ავბედითი სამ-  
სახური. ნუთუ წინასწარ ვერ დავინახე, რომ იგი მელე-  
ფონტის თვალში თავის ღირსებას მუდამ ვერ შეინარჩუნებდა? რომ  
ამ სამსახურის ფასი განისაზღვრება იმ დაბრკოლებებით, რომლე-  
ბითაც ჩვენ სიამოვნებას ვამკობთ ხოლმე და რომ იგი იმ სიტუა-  
ციებთან ერთად ჰქრება, რომელსაც დროის უღმობელი ხელი შეუმი-  
წევდა. მაგრამ აუცილებლად წარხოცს ჩვენი სახიდან?

ჰ ა ნ ა. ო, ქალბატონო, ჯერ კიდევ დიდხანს ნუ შეგაშინებთ ეს  
უღმობელი ხელი. მე ვხედავ, რომ თქვენმა სილამაზემ ახლდა მი-  
აღწია თავისი გაფურჩქნის ხანას და რომ თქვენი მშვენიერება ახალ-  
ახალ თავყანისმცემლებს შეგქენდათ, მისთვის ამის უფლება რომ  
მიგეცათ.

მ ა რ ვ უ დ ი. გაჩუმდი, ჰანა! შენ ისეთ დროს მეპირფერები,  
როდესაც ჩემთვის ყოველგვარი პირფერობა საეჭვო ხდება. სისულე-  
ლეა, ვიფიქრო ახალ-ახალ თავყანისმცემელთა შექენაზე, როცა იმის  
ძალაც აღარ შემწევს, რომ შექენილი შევინარჩუნო.

### გამოსვლა მეორე

მ ს ა ხ უ რ ი. მ ა რ ვ უ დ ი. ჰ ა ნ ა.

მ ს ა ხ უ რ ი. ქალბატონო, თქვენთან ნებავთ საუბარი.

მ ა რ ვ უ დ ი. ვინ არის?

მ ს ა ხ უ რ ი. მგონი, სწორედ ის ბატონია, თქვენ რომ წე-  
რილი გაუგზავნეთ. ყოველ შემთხვევაში, მას ის მსახური ახლავს,  
რომელმაც წერილი გამომართვა.



მარკუდი. მელეფონტი! ჩვენა შეპოიყვანე! (მასური გაღის.)  
ოპ, პანა, აი ის მოვიდა! როგორ იქილ? რა ვუთხრა? როგორი სა-  
ხით შევხვდე? ეს გამომეტყველება თუ არის საკმაოდ მშვიდი? შე-  
მომხედე!

პანა. შეუძლებელია მას მშვიდი ეწოდოს.

მარკუდი. მაშ ამახ?

პანა. სიკეკლუსე შეშაბატე.

მარკუდი. იქნებ ასე?

პანა. მეტისმეტად ნაღვლიანია.

მარკუდი. ამ დიმილით რომ შევამკო?

პანა. საუცხოოა! ოღონდ უწრო თავისუფლად... მოდის.

### განმარტვლა მენამე

მელეფონტი. მარკუდი. პანა.

მელეფონტი (შემოდის მკაცრი, დაღვრემილი სახით.) მარკუდი!

მარკუდი (ხელებგაშლილი, ღამილით გაქანება მისკენ). მელეფონტი!

მელეფონტი (განზე). მკვლელი! რა თვალთ შემომხედა!

მარკუდი. უნდა მოგეხვიოთ, ჩემო მუხანათო, ძვირფასო  
ლტოლვილო! თქვენც გაიზიარეთ ჩემი სიხარული! თავს რატომ არი-  
დებთ ჩემს ალერსს?

მელეფონტი. მარკუდი, მე შეგონა, სხვაგვარად მიმიღებდით.

მარკუდი. რატომ სხვაგვარად? იქნებ უფრო ალერსიანად?  
უფრო აღტაცებით? ეპ, მე მართლაც უბედური ვარ, რომ ისე ვერ  
გამოვხატავ, როგორც ვგრძნობ!.. ხედავთ, მელეფონტი, ხედავთ, რომ  
სიხარულსაც თავისი ცრემლები აქვს? აი მოცურავენ ეს ცრემლები.  
შვილნი უტკბესი ნეტარებისა!... მაგრამ, ვაი, რომ ამოდ! მელეფონ-  
ტის ხელი მათ არ შემისრობს.

მელეფონტი. წავიდა ის დრო, მარკუდი, როცა მაგგვარი სა-  
უბრით მაჯადობდით. ახლა სულ სხვა კილოთი უნდა მელაპარა-  
კებოდეთ. აქ იმისათვის მოვედი, რომ თქვენი უკანასკნელი საყვე-  
დურები მოვისმინო და მათ პასუხი გავცე.

მარკუდი. საყვედურები? რა საყვედური უნდა გითხრათ, მე-  
ლეფონტი? არაფერი.

მელეფონტი. მაშ რისთვის დაგჭირდათ აქ მოსვლა?

მარკუდი. ეპ, რა უცნაური კაცი ხართ, მელეფონტი! რა-  
ტომ მაიძულებთ გავიხსენო ის უმნიშვნელო ამბავი, რომელაკ  
იმ წამსვე გააბათიეთ, როცა გავიგე? ნუთუ საყვედურს იმსახურებ?

ის ხანმოკლე ორგულობა, რომლის მიზეზი თქვენი ავხორცობაა და არა თქვენი გული? დაე ამაზე ერთად ვიცინოთ.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. სცდებით. ჩემი გული გაცილებით მეტ მონაწილეობას იღებს ამ გატაცებაში, ვიდრე ოდესღაც ერია ჩვენს მრუშობაში, რომლის გახსენებაც ახლა ზიზღის გარეშე არ შემიძლია.

მ ა რ ვ უ დ ი. ძალზე კეთილი გული გაქვთ, მელეფონტ. იგი ყოველთვის უჯერებს თქვენს წარმოსახვას. გამიგონეთ, მე უფრო უკეთ ვიცნობ მას, ვიდრე თქვენ თვითონ. ის რომ საუკეთესო გული არ იყოს, ნუთუ ასე გავწვავლდებოდი მის შესანარჩუნებლად.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. შესანარჩუნებლად? გეუბნებით: ის თქვენ არასოდეს არ გკუთვნებიათ.

მ ა რ ვ უ დ ი. მე კი გეტყვით, რომ ის ახლაც მე მეკუთვნის.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. რომ ვიცოდე, მარვუდ, ჩემი გულის თუნდაც ერთი კუნჭული კვლავ თქვენ გეკუთვნით, მას აქვე, თქვენ თვალწინ ამოვიგლეჯდი მკერდიდან.

მ ა რ ვ უ დ ი. თქვენ დაინახავდით, რომ მასთან ერთად ამოგლეჯდით ჩემს გულსაც. და მაშინ, მაშინ ეს ამოგლეჯილი გულები ბოლოს და ბოლოს მოახერხებდნენ შეერთებას, რასაც ასე ხშირად ეძებდნენ ჩვენს ბაგეებზე.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი (განზე). ო, რა გველია! ახლა ყველაზე უკეთესი ის იქნება, რომ გავიტყე... მოკლედ მითხარით, მარვუდ, რატომ გამომიდექით უკან? ოღონდ მითხარით უბრალოდ, მაგ ღიმილისა და შემოხედვის გარეშე, ჩემთვის ცთუნების მთელ ჯოჯოხეთს რომ წარმოადგენს.

მ ა რ ვ უ დ ი. (გულითადად). მომისმინე, ჩემო ძვირფასო მელეფონტ. კარგად მესმის, რაც გემართება. ჟინმა და სილამაზით გატაცებამ მთლად დაგიმორჩილეს. დაე ასე იყოს! საჭიროა მათ ნება მივცეთ, რომ იბობოქრონ. წინააღმდეგობის გაწევა სისულელეა. თუ თავისუფალ გასაქანს მისცემთ, ისინი თანდათან მიყურდებიან და ბოლოს კი მთლად ჩაკვდებიან. ისინი თავისთავად გაქარწყლდებიან. ნუთუ შეგიძლია, თავქარიანო, მისაყვედურო, რომ ოდესმე ვჭვინანობა დამიწყია, როცა სხვა, ჩემზე გაცილებით ლამაზ ქალები შენს თავს დროებით მტაცებდნენ ხოლმე? მე ხომ ყოველთვის გრთავდი ასეთი გატაცების ნებას და ამით უფრო მოგებული ვრჩებოდი, ვიდრე წაგებული? შენ კვლავ უბრუნდებოდი ჩემს მკლავებს უწინდელზე მეტად მგზნებარე და გულწრფელი და ეს მკლავებიც შენთვის მძიმე ბორკილები კი არ იყო, არამედ მხოლოდ მსუბუქი ჯაჭვები. განა მე თვითონ არ ვიყავი შენი მესაიდუმლე, როცა მეტი აღარაფერი გრჩებოდა ჩემთვის გასანდობი, გარდა იმ ალერ-

სისა, რომელსაც მე მტაცებელი და სხვებს უძღვნიდი? რატომ გგონია, რომ, შენს წინაშე ჯიუტობას გამოვიჩინე, რის უფლებაც ახლა უფრო ცოტა მაქვს, ვიდრე ოდესმე, ანდა, შეიძლება, სულაც აღარ გამაჩნია? თუ გული ჯერ კიდევ არ გაგგრილებია, იმ ლამაზ სოფელს გოგონას ისევ პირველი გატაცებით ეტრუი და უიმისოდ გაძლება ჯერ არ შეგიძლია, მაშინ ვინ გიშლის, მასთან დარჩე, ვიდრე ამას საჭიროდ ჩასთვლი? განა ამის გამო უგუნური ნაბიჯი უნდა გადასდგა და მასთან ერთად გაიქცე ამ სამეფოდან?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მარჯულ, თქვენ ისეთი ხასიათის პატრონი ხართ, რომ სწორედ ასეთი ლაპარაკი შეგფერიოთ. თქვენი ხასიათის სისაძაგლე მხოლოდ იმის შემდეგ შევიცანი კარგად, რაც ჩემმა სათნო მეგობარმა ქალმა მასწავლა სიყვარულის გარჩევა ავხორცობისაგან.

მ ა რ ვ უ დ ი. შეხედე ერთი მაშ შენი ახალი მბრძანებელი მალალ ზნეობრივ გრძნობათა პატრონიც ყოფილა? თქვენ, მამაკაცებმა, თვითონაც არ იცით, რა გინდათ ხოლმე. ხან ჩვენი ორაზროვანი სიტყვები და უწმაწური ხუმრობა მოგწონთ, ხანაც აღტაცებაში მოჰყევხართ მხოლოდ და მხოლოდ სათნოებაზე საუბარს, როცა თავს ისე მოგაჩვენებთ, გეგონებათ, შვიდივე ბრძენი ერთად ალაპარაკალო. მაგრამ ყველაზე უარესი ის არის, რომ თქვენ ერთიც გბეზრდებათ და მეორეც. ჩვენ შეგვიძლია თავი მოგაჩვენოთ ჭკვიანდაც და თავქარიანდაც, სერიოზულადაც და მხიარულადაც, მაგრამ ასეც და ისეც ამაო რჩება ჩვენი ცდა, რომ ერთგული გაგხადოთ. შენი მშვენიერი წმინდანის რიგიც დადგება. ვფიქრობ, ეგ დღეც ძალიან შორს აღარ არის. შენ ახლა სიყვარულის ძლიერ პაროქსიზმს განიცდი, რაც, ჩემი აზრით, ორი ან, სულ დიდი, სამი დღე გაგრძელდება. მას მოჰყვება სიყვარულის შედარებით მშვიდი პერიოდი. ამისთვის მომიცია ერთი კვირის ვადა. მეორე კვირაში ამ სიყვარულს მხოლოდ შემთხვევით, გაკვრითლა გაიხსენებ, მესამე კვირაში კი იგი მოგონებად გადაგექცევა. და ეს მოგონებაც რომ მოგბეზრდება, ისე სწრაფად გადახვალ სრულ გულგრილობაზე, რომ მეოთხე კვირისათვის შენი ახლანდელი გატაცების კვალიც კი არ დარჩება. მთელი ეს ისტორია დაახლოებით ერთ თვეს გაგრძელდება. ამ ხნის შემდეგ კი, მელეფონტ, ისევ გაპატიებ ყველაფერს, ოღონდ ნება მომეცი, თვალყური გადავწო.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ამაოდ იმარჯვებთ, მარჯულ, ყველა იმ იარაღს, რომლითაც წინათ ასე წარმატებით ახერხებდით ჩემზე მოქმედებას. პატიოსანი გადაწყვეტილება მიცავს თქვენი სინაზისა და გონება-მანვილობისაგან. ყოველ შემთხვევაში, აღარ მსურს კიდევ ვიყო

რომელიმე მათგანის მსხვერპლი. მე მივდივარ და მხოლოდ ერთს გეტყვით: ამ რამდენიმე დღეში მიხილავთ ისეთი კავშირით შეზო-  
ჭილს, რომელიც ყოველგვარ იმედს მოგისპობთ, რომ ოდესმე და-  
ვუბრუნდები თქვენს ბიწიერ მონობას. რა თქმა უნდა, ჩემი მოქმე-  
დების გამართლება უკვე მოგხსენდათ იმ წერილიდან, რომლია  
თქვენთვის გადმოცემაც ვგრძნე ჩემი წამოსვლის წინ.

მ ა რ ვ უ დ ი. კარგია, რომ ეს წერილი გამახსენეთ. ერთი მით-  
ხარით ვის დააწერინეთ?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. თქვენ ფიქრობთ, რომ მე თვითონ არ დამი-  
წერია?

მ ა რ ვ უ დ ი. შეუძლებელია! დასაწყისი, სადაც რაღაც თანხას  
ანგარიშობთ, რომელიც ვითომ ჩემთან გაფლანგეთ, ვილაც მიკიტანს  
უნდა დაეწეროს, ისევე, როგორც დანარჩენი ღვთისმეტყველური  
აზღაუბდა — რომელიღაც კვაკერს. მიუხედავად ამისა, მზადა ვარ  
ახლავე გადამწყვეტი პასუხი გაგცეთ ამ წერილზე. უმთავრეს სა-  
კითხს რაც შეეხება, იცოდეთ, რომ ყველა საჩუქარი, რომელიც მო-  
მიძღვენით, ხელუხლებელი დარჩა. თქვენ მიერ მოცემული საბანკო  
ბილეთი და ბრილიანტები არასოდეს არ ჩამითვლია ჩემს საკუთრე-  
ბად, და აი ახლა ყველაფერი თან წამოვიღე, რომ ისევ იმ ხელებს  
დავუბრუნო, რომელთაგანაც მივიღე ისინი.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ყველაფერი დაიტოვეთ, მარგულ.

მ ა რ ვ უ დ ი. მე არაფერი არ მსურს დავიტოვო ამ საჩუქრები-  
დან. რა უფლება მაქვს მათზე, თუკი თქვენზე არავითარი უფლება  
აღარ მექნება? თუნდაც აღარ გიყვარდეთ, ჩემ მიმართ სამართლიან-  
ობა მაინც უნდა გამოიჩინოთ და არ მიმაკუთვნოთ იმ უნამუსო  
საყვარლების რიცხვს, რომლებსთვისაც სულ ერთია, ვისი ქისით  
გამიდრდებიან. ოღონდ წამომყევით, მელეფონტ, თქვენ შეგიძლიათ  
ერთ წამში გახდეთ ისევე მდიდარი, როგორიც, შესაძლოა, დარჩე-  
ბოდით, — თუმცა შესაძლოა, არც დარჩენილიყავით, — მე რომ არ  
შეგხვედროდით...

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ეგ რა ბოროტი სული ლაპარაკობს თქვენი  
ბაგეებით, ჩემს დასალუპავად რომ მიუღია ფიცი? ავხორცი მარგული  
ასე კეთილშობილურად ვერ იაზროვნებს.

მ ა რ ვ უ დ ი. თქვენ ამას კეთილშობილებას უწოდებთ? მე კი  
ეს მხოლოდ უბრალო სამართლიანობად მიმაჩნია. არა, ბატონო  
ჩემო, არა; მე არ მოვითხოვ, რომ ჩემ მიერ თქვენი საკუთრების  
უბრალო დაბრუნება განსაკუთრებულ რამედ ჩასთვალოთ. მე ეს  
არაფრად მიღირს და ამისათვის თქვენგან წარმოთქმულ უმნიშვ-  
ნელო მადლობასაც კი შეურაცხყოფად მივიღებდი, რადგან ეს ხომ

იგივე იქნებოდა, ჩემთვის რომ გეთქვათ; „მარჯულ, თქვენ უმსგავს მატყუარად მიმაჩნდით, გამაღლობთ, რომ არ ისურვეთ ჩემი მოტყუება“.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. კმარა, ქალბატონო, კმარა! გაერბივარ თქვენგან, რადგან ავი ბედი შემუქრება დიდსულოვნების ბრძოლაში ჩამითრიოს, მე კი ამ ბრძოლაში დამარცხებას ყველაზე ნაკლებად ვისურვებდი.

მ ა რ ვ უ ლ ი. მაშ გაიქცით, მაგრამ თან წაიღეთ ყოველივე ისიც, რაც კი მე თქვენს თავს გამახსენებს. ლატაკი, ყველასაგან მოძულე ბული, ღირსებააყრილი და მეგობრებისაგან მიტოვებული, ერთხელ კიდევ მაინცა ცვდი, თქვენს გულში ჩემდამი თანაგრძნობა გავადვიძო. მინდა, უბედურ მარჯულში მხოლოდ ის საბრალო არსება დაგანახოთ, რომელმაც თქვენ შემოგწირათ ყველაფერი: ნამუსი, ღირსება, სათნოება და სინდისი. მინდა გაგახსენოთ ის პირველი დღე, როცა მნახეთ და შეგიყვარდით, ის პირველი დღე, როცა გნახეთ და შემეყვარდით; აგრეთვე ისიც, თუ პირველად რარიგ ენის ბორძიკით, დარცხვენით გამომიტყდით სიყვარულში, ჩემს ფერხთით დამხოზილი. გაგახსენებთ ჩემი სანაცვლო გრძნობის პირველ აღიარებასაც, რომელიც ძალით მათქმევინეთ; იმ ნაზ შემოხედვებსა და მხურვალე კოცნას, ამ აღიარებას რომ მოჰყვნენ; გაგახსენებთ იმ მრავლისმთქმელ დუმილსაც, როცა ჩვენ დაძაბული გონებით ვწვდებოდით ერთმანეთის იდუმალ გულის წადილს და მიზნედილ თვალებში ვკითხულობდით ერთმანეთის ფარულ სულიერ განცდებს; იმ მღელვარე მოლოდინსაც მოახლოვებული სიტკბოებისას და მის დამათრობელ სიხარულს, იმ შვებით აღსავსე ტკბილ გარინდებას, რომლის დროსაც ისვენებდნენ ჩვენი დაქანცული სულები, რათა ხელახლა მისცემოდნენ აღფრთოვანებას. ყოველივე ამას გაგახსენებთ, შემდეგ კი მოგეხვევით მუხლებზე და დაჟინებით დაგიწყებთ იმ ერთადერთი საჩუქრის თხოვნას, რომელზეც უარს თქვენ ვერ მეტყვით და რომელიც მე გაუწითლებლად შემეძლია მივიღო. ეს საჩუქარია — თქვენი ხელით სიკვდილი...

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ულმობელო! მე თვითონ მსურდა შემომეწირა სიცოცხლე. მოითხოვეთ, ეს მოითხოვეთ, ოღონდ ჩემს გულს ნულარ ისაკუთრებთ. უნდა მიგატოვოთ, მარჯულ, ან საშინელ ურჩხულად ვიქცე. ამასაც დანაშაულს ვწადივარ, ახლა აქ რომ ვდგევარ და გისმენთ. მშვიდობით! მშვიდობით!

მ ა რ ვ უ ლ ი. (შეაჩერებს). უნდა დამტოვოთ? მაშ რა გინდათ რომ დამემართოს? მე ხომ ახლანდელი ჩემი მდგომარეობით თქვენა ქმნილება ვარ. მაშ მოიქცით ისე, როგორც ნამდვილ შემოქმედს შეჰფერის. მას მანამდე არ აქვს უფლება ხელი აიღოს თავის

ქმნილებაზე, ვიდრე მის მთლიანად დამსხვრევას არ განიზრახავს. ეპ, პანა, ვხედავ. მარტო ჩემი მულარა უქლურია. წალი, მოიყვანე ჩემი შუამავალი, რომელმაც ახლა შეიძლება ერთბაშად იმაზე მეტი დამიბრუნოს, რაც ჩემგან მიუღია (პანა გაღის).

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ვინ შუამავალი, მარეუდ?

მ ა რ ვ უ დ ი. ის შუამავალი, რომლის წართმევასაც გულით ისურვებდით. იმედი მაქვს ბუნების ჩივილი უფრო მოკლე გზით მოაღწევს თქვენს გულამდე...

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. შიში მიბყრობს... ნუთუ თქვენ...

### გამოსვლა მემოთხე

(ა რ ა ბ ე ლ ა. პ ა ნ ა. მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი, მ ა რ ვ უ დ ი).

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ამას რას ვხედავ? ის არის!.. როგორ გაბედეთ, მარეუდ...

მ ა რ ვ უ დ ი. იქნება მე არა ვარ მისი დედა? მოდი, ჩემო ზელა, მოდი; შეხედე შენს მფარველსა და მეგობარს, შენს... ეპ! დაე მას საკუთარმა გულმა უთხრას, რა შეიძლება იყოს ის შენთვის მფარველსა და მეგობარზე უფრო მეტი.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი (სახეს მიიბრუნებს). ღმერთო ჩემო, აქ რა მომეღის?

ა რ ა ბ ე ლ ა (შეშინებული მიუახლოვდება). აპ, ეს თქვენ ბრძანდებით, ჩემო ბატონო? თქვენ ბრძანდებით ჩვენი მელეფონტი?.. არა, ქალბატონო, ის არ არის. ის რომ იყოს, ნუთუ მე არ შემომხედავდა? ნუთუ არ მომეხვეოდა? ის ხომ წინათ ასე იქცეოდა. მე უზედური ბავშვი ვარ! ნეტა რით გავაბრაზე ეს ადამიანი, ეს ძვირფასი ადამიანი, რომელიც ნებას მრთავდა ჩემი თავისთვის მისი ქალიშვილი მეწოდებინა?

მ ა რ ვ უ დ ი. სდუმხართ, მელეფონტ? ამ უდანაშაულო ბავშვს შეხედვის ღირსადაც კი არა სთვლით?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ოპ!

ა რ ა ბ ე ლ ა. იგი ოხრავს, ქალბატონო. რა დაემართა? რითი შეგვიძლია დავეხმაროთ? მე ვერ ვუშველი? გერც თქვენ? მაშინ მასთან ერთად ჩვენც ოხვრა დავიწყოთ... აპ! როგორც იქნა, შემომხედა, არა, ისევ ამარიდა თვალი! ზეცას შეჰყურებს, რა უნდა? რასა სთხოვს ზეცას? დაე ზეცამ ყველა სურვილი აუსრულოს, თუნდაც ამის გამო მე ყველაფერზე უარი მითხრას.

მ ა რ ვ უ დ ი. მიდი, შვილო, მიდი, ფეხებში ჩაუვარდი. ჩვენი მიტოვება უნდა, სურს სამუდამოდ მიგვატოვოს.

ა რ ა ბ ე ლ ა (დაემხობა მუხლებზე მის წინ). აი უკვე მის ფერხ-

თითა ვარ, როგორ? თქვენ გინდათ მიგვატოვოთ? სამუდამოდ მიგვატოვოთ? განა ჩვენთვის მთელ საუკუნედ არ გადაიქცა ის ღრო, თქვენ რომ სხვაგან იყავით? კიდეც უნდა დაკარგოთ? თქვენ ხომ ხშირად გვეუბნებოდით, მიყვარხართო. ნუთუ მათ სტოგებენ ხოლმე, ვინც უყვართ? მაშ, მე არ უნდა მიყვარდეთ, რადგან არასოდეს არა მსურდა თქვენი განშორება. არასოდეს, და არც ახლა მსურს.

მ ა რ ვ უ დ ი. მეც შეგეშველები ხვეწნა-მულარაში, ჩემო გოგონავ; ოღონდ შენც დამეხმარე... აჰა, მელეფონტი, მეც თქვენს ფერხთითა ვარ.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი (აყვებს მარვულს, რომელიც დაჩქებას აძირებს) მარვულ, საშიშარო მარვულ... და შენც, ჩემო ძვირფასო ბელს (წამოაყენებს). შენც ილაშქრებ შენი მელეფონტის წინააღმდეგ?

ა რ ა ბ ე ლ ა. მე თქვენ წინააღმდეგ?

მ ა რ ვ უ დ ი. რა გადაწყვიტეთ, მელეფონტი?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ის, რაც არ უნდა გადამეწყვიტა, მარვულ, რაც არ უნდა გადამეწყვიტა.

მ ა რ ვ უ დ ი (ეხვება). ახ, მე ხომ ვიცი, რომ თქვენი გულის პატიოსნება ყოველთვის სძლედა თქვენს ვნებათა სიჯიუტეს.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ნულარ მიტევთ. მე უკვე ისა ვარ, რადაც გინდოდათ გექციეთ: ფიცის გამტეხი, მაცთუნებელი, ყაჩაღი, მკვლელი.

მ ა რ ვ უ დ ი. ასეთი იქნებით, თქვენი წარმოდგენით, რამდენიმე დღეს, შემდეგ კი მე დამიმადლებთ, რომ ასეთი ნამდვილად არ გახდით. მხოლოდ ერთს გთხოვთ: ჩვენთან ერთად დაბრუნდეთ უკან.

ა რ ა ბ ე ლ ა. (ალერსით). ო, დიახ! დაბრუნდით.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. თქვენთან ერთად დავბრუნდე? მერედა, შემიძლია?

მ ა რ ვ უ დ ი. მაგაზე ადვილი არაფერია, თუკი მოისურვებთ.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მაგრამ ჩემი მის...

მ ა რ ვ უ დ ი. თქვენი მის კი დარჩეს იქ, სადაც არის!..

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ა! ბარბაროსო! მაგ სიტყვებმა ჩამახედეს თქვენი გულის სიღრმეში... ნუთუ მე. არამზადა, გონს აღარ მოვალ?

მ ა რ ვ უ დ ი. ჩემი გულის სიღრმეში რომ ჩაგუხედათ, მაშინ დანახავდით, რომ იგი უფრო თანაუგრძნობს თქვენს მისს, ვიდრე თქვენ თვითონ. მე ვლახარაკობ ნამდვილ თანაგრძნობაზე, რადგან თქვენი თანაგრძნობა მხოლოდ ანგარებისა და გულწვილობის შედეგია. თქვენ საერთოდ შორს შესტოპეთ ამ თავგადასავლით. ვთქვამთ, რომ თქვენ, ქალებთან ხანგრძლივი ურთიერთობის მეოხებით მათს შოტყუებაში გამოცდილმა მამაკაცმა, გადასწყვიტეთ თქვენი თვალთმაქცობის ხელოვნება ამ ახალგაზრდა არსების მიმართაც გამოგეყენ. ლესინგი

ნებიანთ და მანამდე არ მოისვენეთ, ვიდრე მიზანს არ მიაღწიეთ, — ეს კიდეც არაფერი, აქ შეგიძლიათ თქვენი ვნებიანი ტემპერამენტით გაიმართლოთ თავი. მაგრამ თქვენ ხომ მოხუც მამას ერთადერთი ქალიშვილი მოსტაცეთ; სიცოცხლე გაუმწარეთ პატიოსან მოხუცს, რომელსაც ერთი ფეხი უკვე სამარეში უდგას; თქვენი სიამოვნების გულისათვის დაარღვიეთ ბუნების უმტიციესი კავშირი. ამაში, მელეფონტი, ამაში ვერაფრით ვერ გაიმართლებთ თავს. მაშ ეცადეთ ახლაც გამოასწოროთ თქვენი შეცდომა, რამდენადაც ეს შესაძლებელია დაუბრუნეთ მტირალ მამას მისი იმედი და გაგზავნეთ გულუბრყვილო გოგონა მშობლიურ სახლში, რათა ეს სახლი, რომელიც შეარცხვინეთ, არ გააპარტახოთ კიდევაც.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ისლა მაკლია ჩემი სინდისიც აამხედროთ ჩემ წინააღმდეგ! მაგრამ ვთქვათ, რომ თქვენს სიტყვებში სიმართლე იყოს; ნუთუ მე ისეთი შუბლგარეცხილი არამზადა უნდა ვყოფილიყავი, რომ საბრალო მისისათვის ასეთი წინადადებით მიმემართა?

მ ა რ ვ უ დ ი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ უკვე წინასწარ მოვიფიქრე, როგორ გიხსნათ ამ მოუფიქრებელი ნაბიჯისაგან. როგორც კი გავიგე, სადაც იმყოფებოდით, მაშინვე ვაცნობე ამის შესახებ მოხუც სამპსონს. იგი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა და მაშინვე წამოსვლა დააპირა. მიკვირს, რომ აქამდე ჯერ არ მოსულა.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. რას ამბობთ?..

მ ა რ ვ უ დ ი. თქვენ მხოლოდ მშვიდად დაელოდეთ მოხუცის მოსვლას და მისს ნუ შეამჩნევინებთ, რომ ამის შესახებ რაიმე იცით. ახლა კი აღარ მსურს აქ მეტ ხანს დაგაკავოთ. დაბრუნდით მასთან, თორემ შეიძლება ეჭვირ აიღოს. მაგრამ იმედი მაქვს, დღეს კიდეც განახავთ.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ო, მარჯულ, რა განწყობილებით მოვედი აქ და როგორით გტოვებთ. ერთი მაკოცე, ჩემო საყვარელო ბელა...

ა რ ა ბ ე ლ ა. ეს ერთი კოცნა თქვენთვის, მეორე კი ჩემთვის. ოლონდ მალე დაბრუნდით ისევ; გთხოვთ (მელეფონტი გაღის).

## გამოსვლა მხუთთ

მ ა რ ვ უ დ ი. ა რ ა ბ ე ლ ა. ჰ ა ნ ა.

მ ა რ ვ უ დ ი (მძიმედ ამოისუნთქავს). გავიმარჯვეთ, ჰანა! მაგრამ რარიგ ძნელი გზით მივალწიეთ ამ გამარჯვებას. მომეცი სკაიი. საშინელ მოქანცულობასა ვგრძნობ (ჯღაბა). დროზე დამნებდა, ერთი წაშიც რომ კიდეც დაეყოვნებინა, მაშინ მას სულ სხვაგვარ მარჯულს ვანახებდი.



ჰ ა ნ ა. რა საოცარი ქალი ბრძანდებით. ქალბატონო. ნეტავ ისეთი კაცი მაჩვენა, რომ თქვენ გაგიმკლავდეთ.

მ ა რ ვ უ დ ი. ის კიდევაც დიდხანს გამიმკლავდა. რა თქმა უნდა, რალა თქმა უნდა, იმას არ ვაპატიებ, რომ კინალამ მის ფერხით არ მომიხდა დაჩოქება.

ა რ ა ბ ე ლ ა. ო, არა! თქვენ მას ყველაფერი უნდა აპატიოთ. ის ხომ ისეთი კარგია, ისეთი კეთილი.

მ ა რ ვ უ დ ი. გაჩუმდი, სულელო გოგო!

ჰ ა ნ ა. რა გზითლა არა სცადეთ მისი ხელში ჩაგდება! მაგრამ, ვფიქრობ, მასზე არაფერს უმოქმედნია ისე, როგორც იმ უანგარობას, რომლითაც შესთავაზეთ, უკან მიეღო ყველა მისი საჩუქარი.

მ ა რ ვ უ დ ი. მეც ეგრე ვფიქრობ. ჰა-ჰა-ჰა! (იციანს ვესლიანად).

ჰ ა ნ ა. რატომ იცინით, ქალბატონო. მხოლოდ განგებ თუ შესთავაზეთ, შეიძლება ძვირად დაგჯდომოდეთ. რალას იზამდით, სიტყვაზე რომ დაეჭირეთ?

მ ა რ ვ უ დ ი. კმარა, გეთაყვა, უნდა იცოდეთ, ვისთანა გაქვს საქმე.

ჰ ა ნ ა. ეგეც მართალია. მაგრამ თქვენც, ჩემო მშვენიერო ბელა, ჩინებულად წარმართეთ თქვენი საქმე, ჩინებულად!

ა რ ა ბ ე ლ ა. როგორ? განა შემეძლო სხვანაირად მოექცეულიყავი? მე ხომ ის დიდი ხანია არ მენახა. (მარუდს). ხომ არ მიბრაზდებით, ქალბატონო, მელეფონტი ასე რომ მიყვარს? თქვენც იმასავით მიყვარხართ, სწორედ იმასავით.

მ ა რ ვ უ დ ი. კარგი, კარგი, ამჯერად გააპატიებ, რომ მასზე მეტად არ გიყვარვარ.

ა რ ა ბ ე ლ ა. (ქვითინით). მხოლოდ ამჯერად?

მ ა რ ვ უ დ ი. სტირი კიდევაც? მერედა, რა გატირებს?

ა რ ა ბ ე ლ ა. აჰა, მე არა ვტირი. ოღონდაც ნუ გამიბრაზდებით. მინდა ორივე ისე ძლიერ, ისე ძლიერ მიყვარდეთ, რომ მეტი არ შეიძლებოდეს.

მ ა რ ვ უ დ ი. ვნახოთ, ვნახოთ.

ა რ ა ბ ე ლ ა. რა უბედური ვარ.

მ ა რ ვ უ დ ი. გაჩუმდი-მეთქი... მაგრამ ეს რალას ნიშნავს?

### გამოსვლა მემამხნე

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მ ა რ ვ უ დ ი. ა რ ა ბ ე ლ ა, ჰ ა ნ ა.

მ ა რ ვ უ დ ი. ასე მალე რატომ დაბრუნდით, მელეფონტ? (ღეზუღეზუა).

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. (გაცხარებით). იმიტომ, რომ მხოლოდ რამდენიმე წამი დამჭირდა გონს მოსასვლელად.

მ ა რ ვ უ დ ი. ოჰო!

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. თქვენ თავზარი დამეცით, მარვუდ, მაგრამ მაინც ვერ ამაღლებთ. თქვენმა ცდამ ამოდ ჩაიარა. როგორც კი თქვენი ოთახის მომწამლველ ჰაერს გავშორდი, დამიბრუნდა ძალა და გამბედაობა, რომ თქვენი საშიშარი მახიდან დროზე დამეღწია თავი. განა მე, არამზადა, საკმაოდ არ ვიცნობ მარვუდის ხრიკებს?

მ ა რ ვ უ დ ი (გაცხარებით). რას ნიშნავს ევ ლაპარაკი?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ჭეშმარიტებასა და გულისწყრომას.

მ ა რ ვ უ დ ი. წყნარად, მელეფონტ, თორემ მეც მაგ კილოთი დაგიწყებთ ლაპარაკს.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. დავბრუნდი იმისათვის, რომ არ მინდა კიდევ ერთი წამითაც კი შეგიყვანოთ შეცდომაში, რითაც თქვენსავე თვალში მხოლოდ ზიზღს თუ დავიმსახურებდი.

ა რ ა ბ ე ლ ა (შეშინებული). ოჰ! ჰანა!

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ისე მრისხანედ მიყურეთ, როგორაც გენებოთ. რაც უფრო მძვინვარედ შემომხედავთ, მით უკეთესი. როგორ შეიძლებოდა მარვუდსა და სარას შორის თუნდაც ერთი წუთით შეეყოყმანებულიყო და კინაღამ პირველის მხარეზე გადავხრილიყავი?

ა რ ა ბ ე ლ ა. აჰ, მელეფონტი..

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ნუ კანკალებთ, ბელა. მე აქ თქვენი გულისთვისაც დავბრუნდი. მომეცით ხელი და გაბედულად გამომყევით.

მ ა რ ვ უ დ ი (ორივეს აკავებს). ვის უნდა გამოჰყვეს, მოლა-ლატევ?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. თავის მამას.

მ ა რ ვ უ დ ი. გამეცა, უბედურო! ჯერ მაგისი დედა გაიცანი.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ვიცნობ მას, იგი თავისი სქესის შემარცხენელია...

მ ა რ ვ უ დ ი. ჰანა! გაიყვანე ბელა!

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. დარჩით, ბელა (ცდილობს შეაჩეროს).

მ ა რ ვ უ დ ი. ძალადობას ნუ მიმართავთ, მელეფონტ, თორემ...

(ჰანა და ბელა გადიან.)

მ ა რ ვ უ დ ი. აი ახლა მარტონი ვართ. აბა ერთხელ კიდევ მითხარით, მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი, ვილაც სულელ გომბიოს შემწიროთ მსხვერპლად?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. (გაცხარებო). მსხვერპლად შეგწიროთ? თქვენ გინდათ გამახსენოთ, რომ ძველად ღმერთებს ფრიად უწმინდურ ცხოველებსაც სწირავდნენ მსხვერპლად.

მ ა რ ვ უ დ ი. (დაცინიო). უბრალოდ სთქვით, რად გინდათ ეგ მეცნიერული ქარაგმები?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მაშ პირდაპირ გეტყვი, გადავწყვიტე ისე არასოდეს არ გაგიხსენოთ, რომ საშინელი წყევლა-კრულვა არ შემოგივალთ. ვინა ხართ თქვენ და ვინ არის სარა? თქვენ ავხორცა, ანგარებით აღსავსე უსირცხვილო მრუში ბრძანდებით, რომელსაც ისიც კი აღარ ახსოვს, ოდესმე უმანკო თუ იყო. თქვენ მიმართ არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის: მე მხოლოდ იმით ვისარგებლე, რითაც ჩემ გარეშე მთელ საკაცეთს შეეძლო ესარგებლა. თქვენ მეძებდით, მე კი არა. და ახლა თუ ვიცო, ვინც არის მარვუდი, ეს ძალზე ძვირად მიღირს. იგი დამიჯდა ჩემი მღვთმარეობის, ღირსებისა და ბედნიერების ფასად...

მ ა რ ვ უ დ ი. მე კი ვისურვებდი, რომ ის შენი ნეტარების ფასადაც დაგჯდომოდა, ურჩხულო! განა შენზე უარესია ეშმაკი, რომელიც სუსტ ადამიანებს შეაცდენს, ბოროტებას ჩადენინებს და მათვე დააბრალებს ხოლმე. რა გესაქმება შენ ჩემს უმანკობასთან ან რაში გეკითხება, სად და როდის დავკარგე იგი? თუკი ჩემი სათნოება არ მოგიძღვენი ჯილდოდ, ჩემი პატიოსანი სახელი ხომ მაინც შემოგწირე. სათნოება კი ქალს პატიოსანი სახელზე ძვირად როდი უღირს. რას ვამბობ? ძვირად? პატიოსანი სახელის გარეშე სათნოება სხვა არაფერია, თუ არა გამოგონილი უაზრობა, რომელსაც ჩვენთვის არც სიმშვიდე მოაქვს და არც ბედნიერება. მხოლოდ პატიოსანი სახელი აძლევს სათნობას ერთგვარ მნიშვნელობას, თვითონ კი იოლად შეუძლია უიმისოდ წასვლა. როგორიც არ უნდა ვყოფილიყავი, ვიდრე შენ შემოგხედებოდი, მტარვალო, ქვეყნის თვალში ხომ მქონდა უმწიკვლო ქალის სახელი. მხოლოდ შენი წყალობით გაიგო ხალხმა, რაც ვიყავ. მხოლოდ ჩემი თანხმობის წყალობით, მანამ მიმელო შენი გული, ვიდრე ხელს შემთავაზებდი.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. სწორედ ეგ თანხმობაა შენი უდიდესი დანაშაული, უნამუსოვ!

მარვუდი. მაგრამ გახსოვს, რა სულმდაბალი ოინბაზობით მიმიყვანე ამ თანხმობამდე? განა შენ არ მარწმუნებდი, რომ თითქოს არავისთან არ შეგეძლო აშკარად შეკავშირება, რაღაც მემკვიდრეობის დაკარგვის გარეშე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვის უნდა გაგენაწილებინა? ახლა კი მასზე უარის თქმის დრო დადგა? და უარი უნდა სთქვა არა ჩემი გულისათვის, არამედ სხვისთვის?

მელეფონტი. ჭეშმარიტ სიამოვნებას მგვრის შეგატყობინოთ, რომ ამ მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებული სიძნელეები მალე დაძლეული იქნება. დაკმაყოფილდით იმით, მამაჩემისაგან მიღებული ქონება რომ გამაფლანგვინეთ, და მომეცით შესაძლებლობა, სხვა, გაცილებით ნაკლები, ქონება თქვენზე უფრო ღირსეულ მეუღლესთან მოვიხმარო.

მარვუდი. აჰა! ახლა ვხედავ, რატომაც ჯიუტობ. კარგი, ერთ სიტყვასაც აღარ დავკარგავ შენთან. რაც იქნება, იქნება! სრული ომედი გქონდეს, რომ ყოველ ღონეს ვიხმარ შენს დასავიწყებლად. პირველი კი, რასაც ამ მიზნის მისაღწევად გავაკეთებ, აი, ეს იქნება... შენ გამიგებ! თრთოდე ბელას გამო! მისი სიცოცხლე შთამომავლობას ვეღარ შეუნახავს ჩემი უკუგდებული სიყვარულის ხსოვნას; ჩემი მრისხანება შესძლებს ამას. ხედავდე ჩემში ახალ მეღესს.

მელეფონტი (შეზინებული). მარჯედ...

მარვუდი. ან კიდევ უფრო მკაცრი დედის სახელი თუ იცი, მას გაორმაგებულს დაინახავ ჩემში! საწამლაგი და ხანჯალი იქნება ჩემი შურისძიების იარაღი. მაგრამ არა, საწამლაგი და ხანჯალი მეტად ღმობიერი იარაღია. ისინი მეტისმეტად სწრაფად მოჰკლავენ ჩვენს შვილს. მე როდი მსურს, რომ იგი მხოლოდ მკვდარი ვიხილო; მინდა მის სიკვდილს ვუტკირო! ნელი წამებით წავშლი, დავამახინჯებ და მთლად გავაქრობ შენს მსგავს ნაკვებებს მისი სახიდან. ხარბი ხელით დავუწყებ გლეჯას ასოს ასოსაგან, ძარღვს ძარღვისაგან, ნერვს ნერვისაგან და მათ უმცირეს ნაკუწებს მაშინაც კი არ შეკუწყვეტ ჭრასა და შანთვას, როცა მათგან უგრძობელი ლეშის გარდა აღარაფერი დარჩება. მაშინ... მაშინ ვიგრძნობ შურისძიების მთელ სიტკბობებს!

მელეფონტი. მთლად გაშმაგდით, მარვუდ...

მარვუდი. შენ მაგონებ, რომ ჩემს სიშმაგეს დამნაშავის წინააღმდეგ არ მივმართავ. ჯერ მამა უნდა გავისტუმრო, იგი უკვე იმქვეყნად უნდა იყოს, როცა მისი ქალიშვილის სული კენესა-გოდებით თან გაჰყვება... (უბიდან ხანჯალს ამოიძრობს და მელეფონტისაკენ გაეჭანება). მაშ მოკვდი, მოღალატე!

მელეფონტი (ხელში სწვდება და ხანჯალს გამოჰლეჯს). უგუნუ-

რო დედაკაცო! რაღა შემიშლის ხელს, ახლა ეს ფოლადი შენს-  
კენ რომ შევაბრუნო? მაგრამ იცოცხლე... შენი დასჯა უნამუსო ხელს  
უნდა მიენდოს.

მ ა რ ვ უ დ ი (ხელების მტვრევით). ღმერთო ჩემო, ეს რა ჩავე-  
დინე? მელეფონტ...

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მაგ მონანიებით ვერ შემაცდენ. კარგად ვიცი,  
რასაცა ნანობ. იმას კი არა ნანობ, რომ ხანჯალი უნდა დაგეკრა,  
არამედ იმას, რომ ვერ დამკარი.

მ ა რ ვ უ დ ი. დამიბრუნეთ უკან ეგ გზას აცდენილი ხანჯალი!  
მომეცით და ახლავე დაინახავთ, ვისთვისაც იყო იგი გალესილი: მხო-  
ლოდ ამ მკერდისათვის, სადაც კარგა ხანია მეტანჯება გული, რო-  
მელიც უმალ სიცოცხლეს შეეღევა, ვიდრე თქვენს სიყვარულს.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ჰანა!

მ ა რ ვ უ დ ი. რას აპირებთ, მელეფონტ?

### გამოსვლა მირკვი

ჰ ა ნ ა (შეშინებული). მ ა რ ვ უ დ ი, მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. გაიგე, ჰანა, რა ფურიაა შენი ქალბატონი.  
იცოდე, რომ არაბელას შენ მოგთხოვ.

ჰ ა ნ ა. ოჰ, ქალბატონო, ასე როგორ გაცეცხლდით!

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. უდანაშაულო ბავშვს მალე მივუჩენ უშიშარ  
ადგილს. მართლმსაჯულება კი მოახერხებს ლაგამი ამოსდოს ასეთ  
მრისხანე დედას. (წასვლას დააირებს.)

მ ა რ ვ უ დ ი. საით მელეფონტ? რა გასაკვირია, რომ ტკივილის  
სიმწვავემ გონება დამიბნელა? მაგრამ ვინ მიმიყვანა ამ არაბუნებრივ  
უკიდურესობამდე? განა თქვენ თვითონ არა? სადღა იპოვნის ბელა  
უფრო საიმედო თავშესაფარს, თუ არა ჩემთან? ჩემი ბავ, მართალია,  
მის წინააღმდეგ მძვინვარებს, მაგრამ ჩემი გული მაინც დედის გუ-  
ლად რჩება. ოჰ, მელეფონტ! დაივიწყეთ ჩემი გაშმაგება და რომ მაპა-  
ტიოთ, იფიქრეთ, რამ მიმიყვანა აქამდე.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მხოლოდ ერთი გზით შეგიძლიათ დამავიწყოთ  
ეგ გაშმაგება.

მ ა რ ვ უ დ ი. რა გზით?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. იმ გზით, რომ დაუყოვნებლივ დაბრუნდეთ  
ლონდონში. არაბელას იქ სხვისი თანხლებით გამოვგზავნი. თქვენ  
მასთან აღარაფერი გესაქმებათ.

მ ა რ ვ უ დ ი. კარგი, ყველაფერზე თანახმა ვარ, მაგრამ უკანასკ-  
ნელად ამ ერთადერთ თხოვნაზე მაინც ნუ მეტყვით უარს. ნება მომე-  
ცით ერთხელ მაინც ვნახო თქვენი სარა.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ეგ რისთვისღა გინდათ?

მ ა რ ვ უ დ ი. მის გამოხედვაში რომ ამოვიკითხო მთელი ჩემი მომავალი ბედ-იღბალი. მინდა თვალნათლივ დავრწმუნდე, ღირსია თუ არა ისეთივე ღალატისა, როგორიც მე განმაცდევინეთ... შემეძლება თუ არა იმედი მქონდეს, რომ თუნდაც ოდესმე დამიბრუნდება ოქვენი სიყვარული.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ამაო იმედია!

მ ა რ ვ უ დ ი. ვინ იქნება ისე სასტიკი, რომ უბედურს იმედიც კი მოუსპოს? სარას გამოვეცხადები არა როგორც მარვუდი, არამედ როგორც თქვენი ნათესავი. თქვენც ასე გააცანით ჩემი თავი. თქვენ ზვითონ უნდა დაესწროთ ჩვენს შეხვედრას. გეფიცებით ყველა წმინდანს, რომ არაფერს ვაწყენინებ. უარს ნუ მეტყვით ამ თხოვნაზე. თორემ ალბათ ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ მას ჩემი ნამდვილი სახით ვამოვეცხადო.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ეგ თხოვნა, მარვუდ (რამდენიმე ხნის დაფიქრების შემდეგ)... შემიძლია აგისრულოთ. მაგრამ ამის შემდეგ ხომ მაშინვე დასტოვებთ ამ ქალაქს?

მ ა რ ვ უ დ ი. რასაკვირველია; უფრო მეტსაც შეგპირდებით. მე თვითონ დაგიხსნით, თუკი ეს კიდეც შესაძლებელია, მამამისის მოულოდნელი ჩამოსვლისაგან.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ეგ სულაც არ არის საჭირო. იმედი მაქვს, რომ მეც მამატიებს თავის ქალიშვილთან ერთად. ხოლო თუ კი თავის ქალიშვილს არ აპატიებს, ისიც მეცოდინება, როგორც უნდა შევხვდე მას; მივდივარ, რომ თქვენი სტუმრობის შესახებ ვაცნობო ჩემს მისს. მაგრამ სიტყვა არ გასტეხოთ, მარვუდ (გაღის).

მ ა რ ვ უ დ ი. ეჰ, ჰანა! ვაი, რომ ჩვენი ძალაც ისევე დიდი არაა, როგორც ჩვენი მრისხანება! წავიდეთ, ჩაცმა მიშველე. ჩემს განზრახვას აღარ გადავთქვამ. ოღონდ მომიხერხდეს მისი აღსრულება. წავიდეთ!

## მოქმედება მესამე

### ბამოსვლა პირველი

ოთახი პირველ სასტუმროში

სერ უილიამი. უაიტჰელი.

სერ უილიამი. აჰა, უაიტჰელ, მიუტანე სარას ეს ბარათი. ესაა ბარათი მოსიყვარულე მამისა, რომელსაც მხოლოდ ის აწუხებს, რომ თავის გვერდით აღარ ჰყავს შვილი. უთხარი, რომ ამ ბარათით წინასწარ გამოგაგზავნე და მინდა მხოლოდ მის პასუხს დაველოდო, ვიდრე მასთან თვითონ გამოვცხადდებოდე და კვლავ ჩავიკრავდე გულში.

უაიტჰელი. მე მგონია, კარგად იქცევით, ასე რომ ამზადებთ მას ამ შეხვედრისათვის.

სერ უილიამი. ამ გზით კარგად გამოვარკვევ მის სულიერ განწყობილებას და საშუალებას მივცემ ჩემთან პირისპირ შეხვედრამდე წერილობით გამოთქვას ყოველივე, რაც კი სინანულს მისთვის სამარცხვინოდ მიუჩნევია. ეს წერილობითი აღიარება მას უფრო ნაკლებად დაარცხვენს და მეც ნაკლებ ცრემლად დამიჯდება.

უაიტჰელი. შემიძლია გკითხოთ, სერ, თუ რა გადასწყვეტით მელეფონტის თაობაზე?

სერ უილიამი. ეჰ, უაიტჰელ, რომ შემეძლოს მასში ჩემი ასულის სატრფო არ დაინახო, ძალზე სასტიკ რამეს დაგუპირებდი. მაგრამ რაკი ეს შეუძლებელია, შენც კარგადა ხედავ, იგი დაზღვეულია ჩემი გულისწყომისაგან. ამ უბედურებაში მე თვითონ ჩავიდინე უდიდესი შეცდომა. მე რომ არა, სარა ვერ გაიცნობდა ამ საშიშარ კაცს. ერთ საქმეში მისგან დავალებულად ვთვლიდი თავს და ნება დავრთე სრულიად თავისუფლად ევლო ჩემს სახლში. ბუნებრივია, რომ მადლიერებამ და ყურადღებამ, რომელთაც მის მიმართ ვიჩენდი, ჩემი გოგონაც აიძულა მას პატივისცემით მოპყრობოდა. ასევე ბუნებრივია ისიც, რომ მისი ზნის კაცი ახალგაზრდა ქალის ყურადღებამ

წახალისა, საქმე უფრო შორს წაეყვანა. იგი საკმაოდ მოხერხებულად აღმოჩნდა, რომ პატივისცემა სიყვარულად გადაექცია, ვიდრე მე რაიმეს შევამჩნევდი და მისი ყოფა-ქცევის შესახებ ცნობებს შევკრებდი, უბედურება უკვე მოხდა და მე, რა თქმა უნდა, კარგს ვიზამდა, თუ მაშინვე შევურიგდებოდი მას და ყველაფერს ვაპატიებდი. მე კი მოვიხდომე ვაჟისადმი შეუბრალებელი ვყოფილიყავი და ის კი ვეღარ მოვისაზრე, რომ ამით მარტო მის მიმართ როდი ვიქნებოდი უღმობელი. ძალზე ნაგვიანევი მრისხანებისაგან რომ თავი შემეკავებინა, ამით სარას გაქცევას მაინც შევუშლიდი ხელს... და აი რა დღეში ჩავვარდი, უაიტუელ! იძულებული ვარ თვითონვე ვიზრუნო ჩემი ქალის დასაბრუნებლად და თავი ბედნიერადაც კი ჩავთვალო, თუკი შევძელი მის შემცდნელს შვილი ვუწოდო. რადგან ვინ იცის, შეელება თუ არა იმ თავის მარჯულსა და სხვა მისთანებს გოგონას გულისათვის, ვინც მის სურვილებს არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს და არაფერი გაეგება იმ ხელოვნებისა, რომლითაც გარყვნილი ქალმა მამაკაცს აბამს?

უ ა ი ტ უ ე ლ ი. არა, სერ, შეუძლებელია, რომ ადამიანი ეგრე ბოროტი იყოს.

ს ე რ უ ი ლ ი ა მ ი. ეგ იმეო, კეთილო უაიტუელ, შენს სათნოებას სდებს პატივს. მაგრამ რატომ არის ასევე მართალი, რომ ადამიანი ბოროტების საზღვრები გაცილებით შორსაც კი აღწევს?.. ახლა წადი და შეასრულე, რაც გიბრძანე. ყურადღება მიაქციე სარას სახის ყოველ მოძრაობას, როცა იგი ჩემი წერილის კითხვას დაიწყებს. ჯერ ცოტა ხანია, რაც იგი სათნოებას გადადგომია და ვერ მოასწრებდა შეესწავლა ფარისევლობა; რომლის ნიღაბსაც მხოლოდ გამოუსწორებელი მანკიერება მიმართავს ხოლმე. სარას სახეზე მთელ მის სულს ამოიკითხავ. შეუმჩნეველი არ გამოსტოვო არც ერთი ნაკვთის შერხვევა, რომელიც მამისადმი გულგრილობის, ჩემი აბუჩად აგდების გამომხატველი იქნება. თუ შენ ეს უბედური აღმოჩენა მოახდინე, თუ კი სარას აღარ ვუყვარვარ, მაშინ იმედი მაქვს, როგორმე შევძლებ ჩემი თავი დავძლიო და იგი ბედის ანაბარა მივატოვო. მე ამისი იმედი მაქვს, უაიტუელ! აჰ! ნეტავ ამ მკერდში არა ძკვრდეს გული, რომელიც ამ იმედს უარყოფს.

(გაღიან სხვადასხვა მხარეს).



## გამოსვლა მეორე

### სარას ოთახი

მის სარა. მელეფონტი.

მელეფონტი. ცუდად მოვიქეცი, ძვირფასო მის, რომ იმ წერილის გამო ცოტათი შემფოთებული დაგტოვეთ.

სარა. ო, არა, მელეფონტ, მე მას სრულებითაც არ შეეუშვოთებივარ. ხომ შეიძლება გიყვარდეთ და მაინც თქვენი საიდუმლო გქონდეთ.

მელეფონტი. მაშ თქვენ მაინც გგონიათ, ეგ რაღაც საიდუმლოება იყო?

სარა. მაგრამ ისეთი, რომელიც მე სულაც არ მეხება. ეს კი ჩემთვის საკმარისი უნდა იყოს.

მელეფონტი. თქვენ ძალიან გულკეთილი ხართ. მაგრამ ნება მომეცით საიდუმლოება ახლავე გაგიმჟღავნოთ. ის ჩემი ნათესავისაგან მოწერილი რამდენიმე სტრიქონი იყო. მას გაუგია, აქ რომ ვიმყოფები. ამ ქალაქზე გავლით იგი ლონდონს მიემგზავრება და სურს ჩემთან მოლაპარაკება. ამასთან სულითა და გულით სურს პატივი დასდოთ და ნება მისცეთ, რომ თქვენ გაახლოთ.

სარა. მე ყოველთვის მესიამოვნება, მელეფონტ, იმ ღირსეულ ბირთა გაცნობა, რომელნიც თქვენს ოჯახს ეკუთვნიან. მაგრამ თქვენვე განსაჯეთ, განა შემიძლია, მას თამამად შევხედო?

მელეფონტი. თამამად? რატომაც არა? იმის გამო, რომ მე მიყვარხართ? ეს მართალია, მის, თქვენ შეგეძლოთ უფრო ღიდგვაროვანი და მდიდარი კაცისათვის მიგეძღვნათ თქვენი სიყვარული. უნდა გრცხვენოდეთ, რომ გული მხოლოდ გულში გასცვალეთ და ამ გაცვლის დროს მხედველობიდან გამოგრჩათ თქვენი ბედნიერება.

სარა. ალბათ თვითონვე ხვდებით, თუ რაოდენ მცდარად განმარტავთ ჩემს ნათქვამს.

მელეფონტი. უკაცრავად, მის; თუ თქვენს ნათქვამს მცდარად განვმარტავ, ამას შეიძლება არც ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა.

სარა. რა ჰქვია თქვენს ნათესავს?

მელეფონტი. იგი ლედი სოლმსი გახლავთ. თქვენ ალბათ ჩემგან გაქვთ გაგონილი მისი სახელი.

სარა. არ მახსენდება.

მელეფონტი. შემიძლია გთხოვოთ მისი მიღება?

სარა. მთხოვოთ, მელეფონტ? თქვენ ხომ შეგიძლიათ ეს მიბრძანოთ.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ეგ რა თქმაა! არა, მის, მას არ უნდა ხედეს თქვენი ნახვის ბედნიერება. ლედი სოლმსს, რასაკვირველია, ეს გულს ატკენს, მაგრამ ბედს უნდა შეურიგდეს. მის სარას აქვს თავისი მიზნუბები, უარი თქვას მის მიღებაზე, და მე ამ მიზნუბებს მათი ცოდნის გარეშეც კი დიდ პატივსა ვცემ.

ს ა რ ა. ღმერთო ჩემო! რა აჩქარებული კაცი ბრძანდებით, მელფონტი! მე დაველოდები ლედის და შეძლებისდაგვარად ვეცდები ისე შევხვდე, როგორც მის ღირსებას შეეფერება. კმაყოფილი ხართ?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ახ, მის, ნება მომეცით, გულახდილად გამოგიტყდეთ ჩემს პატივმოყვარეობაში. მინდა მთელი ქვეყნის წინაშე თქვენით ვიამაყო. თქვენისთანა პიროვნების მფლობელობით რომ არ მომქონდეს თავი, ჩემს თავს ვუსაყვედურებდი, სარას სათანადოდ ვერ ვაფასებ-მეთქი. მივდივარ და ახლავე წარმოგიდგენთ ლედის. (გაღის.)

ს ა რ ა (მარტო). ნეტავ იგი იმ ამაყ ქალებს არ ეკუთვნოდეს, რომელთაც ისე სწამთ საკუთარი სათნოება, რომ ჰგონიათ, ყოველგვარ ადამიანურ სისუსტეზე მაღლა ვდგევართო. ისინი მსოლოდ ზიზღით გადმოგვხედავენ ხოლმე და ორაზროვანი მხრების აჩეჩვით გამოხატავენ მთელ თანაგრძნობას, რომელსაც, მათი აზრით, ჩვენ ვინახაურებთ.

## ბ ა მ ო ს ს ვ ლ ა მ მ ს ა მ ე

უ ა ი ტ უ ე ლ ი. ს ა რ ა.

ბ ე ტ ი (სცენის უკან). შემოვიდეს, თუ კი მას პირადად მის სარასთან სურს საუბარი.

ს ა რ ა (მოიხედავს). ვის სურს პირადად ჩემთან საუბარი? ამას ვის ვხედავ? ნუთუ ეს შესაძლებელია? შენ ხარ, უაიტუელ?

უ ა ი ტ უ ე ლ ი. რა ბედნიერი ვარ, რომ, როგორც იქნა, ჩვენს მის სარას ისევ ვხედავ!

ს ა რ ა. ღმერთო! რა მომიტანე, უაიტუელ? უკვე მესმის, მესმის. შენ მამაჩემის სიკვდილის ცნობა მოგაქვს! იგი ცოცხალი აღარ არის. ღირსეული ადამიანი, საუკეთესო მამა! ის ცოცხალი აღარ არის და მე, მე, უბედურმა, დავაჩქარე მისი სიკვდილი.

უ ა ი ტ უ ე ლ ი. აჰ, მის...

ს ა რ ა. მითხარი, ჩქარა მითხარი, რომ მას სიცოცხლის უკანასკნელი წუთები ჩემზე ფიქრმა არ გაუმწარა, რომ მან დამივიწყა; რომ ისევე მშვიდად მოკვდა, როგორც ოდესღაც ჩემს ხელში სიკვდილს აპირებდა; რომ უკანასკნელი ლოცვის დროსაც კი არ გავხსენებია...

უ ა ი ტ უ ე ლ ი. კარგი, კმარა, თავს ნუ იწამებთ მაგ მცდარი წარმოდგენებით! მამათქვენი ცოცხალია, ისევ ცოცხალია პატიოსანი სერ უილიამი.

ს ა რ ა. ისევ ცოცხალია? ნუთუ მართლა ისევ ცოცხალია? ო, ნეტა დიდხანს და ბედნიერად იცოცხლოს კიდევ! დე ღმერთმა ჩემი სიცოცხლის ნახევარი შემატოს! ნახევარი? უმადური ვიქნებოდი, რომ არ გამეწირა ყველა წელიწადი, რაც კიდევ მიწერია, რათა მისი სიცოცხლის თუნდაც რამდენიმე წამი გამომესყიდა! მაგრამ ის მაინც მითხარი, უაიტუელ, რომ მამაჩემს არ გაძნელებია უჩემოდ ცხოვრება, რომ ის იოლად შეეღობა თავის ქალიშვილს, რომელმაც ასე ადვილად დასთმო თავისი სათნოება. მითხარით, რომ ჩემმა გაქცევამ ის აღაშფოთა, მაგრამ არ დაამწუხრა, რომ იგი მწყევლის, მაგრამ არა დარღობს ჩემზე.

უ ა ი ტ უ ე ლ ი. ეჰ, სერ უილიამი კვლავ ნაზი მამაა, როგორც მისი სარა — მუდამ მოყვარული შვილი.

ს ა რ ა. რას ამბობ? შენ ხარ უბედურების მაცნე, ყველაზე საშინელი უბედურების, რაც კი ჩემს აუბედითს ფანტაზიას ოდესმე წარმოსახვია. იგი ისევ ისევ გრძნობიერი მამაა? მაშ კიდევ ვუყვარვარ? მაშ მე მგლოვობს? არა, არა, ის ამას არ იზამს; მან არ უნდა ქნას ეს. ნუთუ ვერა ხედავ, რარივ დაამძიმებს ჩემს დანაშაულს ყოველი ოხვრა, რომელიც მას ჩემ გამო აღმოხდება? განა ყოველ ცრემლს, მამაჩემს რომ დავაღვრევი, ჩემი ცოდვილებისა და უმადურების განმეორებად არ ჩამითვლის ზეცის მართლმსაჯულება? ამაზე ფიქრიც კი თავზარსა მცემს. მე მას ცრემლს ვაღვრევი? ცრემლს? და ეს ცრემლი სიხარულის ცრემლი არ არის?.. უარპყავი ჩემი ნათქვამი, უაიტუელ! მან ხომ ჩემ გამო მხოლოდ მცირე მღელვარება გამოსცადა, სწრაფად წარმავალი მღელვარება, რომელსაც გონების ოღნავი ძალდატანება ადვილად ამშვიდებს ხოლმე. ცრემლებამდე არ მისულა საქმე. ხომ მართალია, უაიტუელ, რომ მას არ უტირია?

უ ა ი ტ უ ე ლ ი (ცრაჰლებს იწმინდს). არა, მის, ცრემლებამდე არ მისულა საქმე.

ს ა რ ა. ეჰ! შენი ბაგეები უარყოფენ, მაგრამ შენი საკუთარა ცრემლები კი ამას ადასტურებენ.

უ ა ი ტ უ ე ლ ი. გამომართვით ეს წერილი, მის. იგი თვითონ მისგან არის გამოგზავნილი.

ს ა რ ა. ვისგან? მამაჩემისგან? ჩემდამი?

უ ა ი ტ უ ე ლ ი. დიახ. გამომართვით. აქედან უფრო მეტს გაიგებთ, ვიდრე მე სიტყვით გადმოცემას შევძლებ. მამათქვენს ეს საქმე

სხვა ვინმესთვის უნდა დაევალებინა, ჩემთვის კი არა. მეგონა, ამით გავიხარებდი, თქვენ კი ეს სიხარული მწუხარებად გადამიქცეით.

ს ა რ ა. მომეცი, პატიოსანო უაიტუელი მაგრამ არა, მანამ არ გამოგართმევ, ვიდრე არ მეტყვი, რა შეიძლება მასში ეწეროს.

უ ა ი ტ უ ე ლ ი. რა შეიძლება ეწეროს? სიყვარული და პატიება.

ს ა რ ა. სიყვარული? პატიება?

უ ა ი ტ უ ე ლ ი. და შესაძლოა გულახდილი სინანულიც, რომ მამობრივი ძალაუფლება გამოიყენა ბავშვის წინააღმდეგ, რომელსაც. წესით, მამობრივი ლმობიერებით უნდა მოპყრობოდა.

ს ა რ ა. მამ შენთვის დაიტოვე ეგ სასტიკი წერილი!

უ ა ი ტ უ ე ლ ი. სასტიკი? ნურაფრის გემინიათ. მასში ჰპოვებთ სრულ თავისუფლებას, სურვილისამებრ განაგოთ თქვენი გული და ხელი.

ს ა რ ა. სწორედ ეგ არის, რომ მაშინებს. იმისათვის მეყო გამბედაობა, რომ დამემწუხრებინა ისეთი მშობელი, როგორც მამაჩემია. მაგრამ იმას ვუცქირო, რომ სწორედ ამ მწუხარების, ჩემგან უარყოფილი თავისი სიყვარულის წყალობით ურიგდება ის ყველაფერს, რაც კი ჩემმა უბედურმა გატაცებამ ჩამადენინა, — ამას, უაიტუელ, ამას ველარ ავიტან. მისი წერილი ყოველივე იმას რომ შეიცავდეს, რაც ასეთ შემთხვევაში განრისხებულ მამას შეუძლია ცხარედ და მკვახედ წარმოსთქვას, მაშინ თუმცა შიშითა და თრთოლვით, მაგრამ მაინც შევძლებდი მის წაკითხვას. როგორმე მაინც ვეცდებოდი თავი დამეცვა მამაჩემის მრისხანებისაგან, რომ ამით ის კიდევ უფრო მეტად გამებრაზებინა. მაშინ იმით მაინც დავიმშვიდებდი თავს, რომ ძლიერს მრისხანებაში იგი დარდსა და ნალველს ველარ მიეცემოდა და ეს მრისხანება საბოლოოდ ჩემდამი მწვავე სიძულვილად გადაექცეოდა. ხოლო როცა კაცს ვინმე სძულს, მასზე უკვე აღარა ნალვლობს. მამაჩემი ისევ დამშვიდდებოდა და მეც უფლება მექნებოდა ჩემი თავისთვის აღარ შესაყვედურებინა, რომ მამა სამუდამოდ გავაუბედურე...

უ ა ი ტ უ ე ლ ი. ეჰ, მის, მაგ საყვედურის უფლება კიდევ უფრო ნაკლებ გექნებათ, თუკი ახლავე მიუბრუნდებით მამის სიყვარულს, რომელიც ყველაფრის დავიწყებას აპირებს.

ს ა რ ა. სცდები, უაიტუელ. ჩემი დაბრუნების წადილს ალბათ ისე ძლიერ შეუპყრია, რომ ყველაფერზე თანახმაა. მაგრამ როგორც კი ამ წადილს აისრულებს, თავისი სისუსტისა თვითონვე შერცხება. პირქუში უკმაყოფილება დაეუფლება და ისე არასოდეს არ შემომხედავს, რომ გულში არ დამადანაშაულოს, თუ რატომ მივიყვანე ასეთ დათმობამდე. დიახ, რომ შემეძლოს ეს უმწარესი განსაცდელი ავაშორო, როდესაც ის ჩემ გამო თავს უკიდურეს ძალას ატანს, რომ

შემძლოს ყველაფერი შევწირო იმ დროს, როცა ის ყველაფრის ნებასა მრთავს — მაშინ სულ სხვა იქნებოდა. მაშინ სიამოვნებით მივიღებდი შენგან ამ წერილს, მისი კითხვისას გავიოცებდი მამობრივი სიყვარულის ძალას და ისე დავემხობოდი მამის ფერხთით, როგორც მონანიე და მორჩილი ასული, რომ არც კი ვეცდებოდი ბოროტად გამომეყენებინა ეს სიყვარული. მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებდი ყოველივეს შესრულებას, რის ნებასაც იგი მრთავს, თუკი იმას არ მივაქცევდი ყურადღებას, თუ რარიგ ძვირად დაუჯდა მას ეს ნებართვა. და თუნდაც კმაყოფილი ვიყო საქმის ამგვარი დაბოლოებით, მაინც ხომ, გამიელვებს აზრი, რომ მამა მხოლოდ ყასიდად იზიარებუ ჩემს სიამოვნებას, გულში კი ალბათ ოხრავს; ერთი სიტყვით, ისე უწყობს ხელს ჩემს ბედნიერებას, რომ თავისას სამუდამოდ უარყოფს... ნუთუ ისურვებ, რომ ასე მოხდეს, უაიტუელ?

უ ა ი ტ უ ე ლ ი. ნამდვილად არ ვიცი, რა გიპასუხოთ მაგ კითხვაზე.

ს ა რ ა. რა უნდა მიპასუხო? უკანვე წაიღე შენი წერილი. თუ მამაჩემი ჩემ გამო უნდა გაუბედურდეს, მაშინ მეც მინდა უბედურადავრჩე. ახლა ყოველ წუთს იმას ვევედრები ზეცას, რომ მთელი უბედურება მხოლოდ მე დამატეხოს, მამის გარეშე კი ბედნიერი რომ ვიყო, ამის გაგონებაც არა მსურს.

უ ა ი ტ უ ე ლ ი (თვალის არიდებით). მგონი ნამდვილად მომიხდება ამ კეთილი ბავშვის ოდნავ მოტყუება, რომ წერილი წაგაკითხო.

ს ა რ ა. რას ამბობ, მანდ შენთვის?

უ ა ი ტ უ ე ლ ი. ჩემთვის იმას ვამბობ, რომ ძლიერ უვარგისი ზერხი ვიხმარე, რათა წერილის წასაკითხად წამექეზებინეთ.

ს ა რ ა. ნუთუ?

უ ა ი ტ უ ე ლ ი. ამდენი ველარ ვიფიქრე. ცხადია, თქვენ უკეთ განსჯით ყოველივეს, ვიდრე რომელიმე ჩვენგანი. არ მინდოდა შემეშინებინეთ. წერილი იქნებ ძალზე მკაცრიც არის და თუ გითხარით, იგი მხოლოდ სიყვარულს და პატიებას შეიცავს-მეთქი, მხოლოდ იმიტომ, რომ პირადად მე მსურდა ასე ყოფილიყო.

ს ა რ ა. მართლა? მაშ მომეცი ეგ წერილი. მე მას წავიკითხავ. თუ ჩვენ იმდენად უბედურნი ვართ, რომ მამის რისხვას ვიმსახურებთ, ამ რისხვას იმდენად მაინც უნდა ვცეთ პატივი, რომ მას სრული გასაქანი მივცეთ. ხოლო თუ მის თავიდან აცილებას შევეცდებით, შეურაცხყოფას უპატივცემლობასაც დაუშმატებთ. ამ რისხვას მთელი მისი ძალით შევიგრძნობ. ხომ ხედავ. უკვე ვკანკალებ... მაგრამ ასეც უნდა. მირჩევნია ვკანკალებდე, ვიდრე ცრემლსა ვღვრიდე. (გაპანაა წერილს.) აი უკვე გახსნილია! მე ვთრთოი., მაგრამ ამას რასა ვხე-

დავ? (კითხულობს). „ჩემო ერთადერთო უსაყვარლესო შვილო.“  
აა! შე ბებერო მატყუარავ, ეს არის განრისხებული მამის სიტყვები?  
გა-წი, მეტს აღარ წავიკითხავ.

უ ა ი ტ უ ე ლ ი. აჰ, მის, მიუტყვევებ მოხუც მსახურს. ჩემს ცხოვრებაში ნამდვილად ეს პირველი შემთხვევაა, განზრახ რომ ვიცრუე. ვინც თავის სიცოცხლეში ერთხელ ნიიტყუებს და ისიც ასეთი კეთილი მიზნით, ის კიდევ როდია ბებერი მატყუარა. ეგ გულსა მტკენს, მის. განა არ ვიცი, რომ კეთილი განზრახვა ყოველთვის როდი ამართლებს ადამიანის მოქმედებას, მაგრამ სხვა რა ვქნა? ასეთი კეთილი მამისათვის წაუკითხავი წერილი დამებრუნებინა? ამას ვერასვჯით ვერ შევძლებ. მირჩვენია წავიდე, სადაც კი ჩემი უძლური მუხლები წამიყვანენ და მამათქვენს თვალთ არასოდეს დავენახვო.

ს ა რ ა. რაო? შენც გინდა მიატოვო?

უ ა ი ტ უ ე ლ ი. მაშ რა ვქნა, თუ წერილს არ წაიკითხავთ. განაგრძეთ კითხვა. დავ იმ პირველ, წინასწარგანზრახულ სიცრუეს, ჩემს თავს რომ ვუსაყვედურებ, მოპყვეს კარგი შედეგი. თქვენც უფრო სწრაფად დაგავიწყდებათ ჩემი ტყუილი და მეც უფრო მალე შევიძლებ იგი ჩემს თავს ვაპატიო. მე ერთი უბრალო, გულუბრყვილო კაცი გახლავართ და არაფერი შემიძლია გიპასუხოთ იმ მიზეზებზე, რომელთა გამო არ შეგიძლიათ ან არ გსურთ წერილის წაკითხვა. არც ის ვიცი, სამართლიანია თუ არა ეს მიზეზები, მაგრამ ეს საგსებით ბუნებრივად მაინც არ მეჩვენება. მე კი ასე ვიფიქრებდი, მის: მამა მაინც მამაა ყოველთვის, შვილი კი, თუნდაც ერთხელ შეცდეს, მაინც კეთილი შვილი რჩება. თუკი მამა აპატიებს შვილს შეცდომას, მაშინ შვილმაც ისე უნდა დაიჭიროს თავი, რომ სრულებითაც აღარ იფიქროს ამ შეცდომაზე. ან კი ვის ეხალისება ისეთი რამეს გახსენება, რაც ერჩივნა სულაც არ მომხდარიყო მის ცხოვრებაში. ჩანს თქვენ მუდამ მხოლოდ თქვენს შეცდომაზე ფიქრობთ, მის, და გკონიათ, რომ იგი თქვენს წარმოდგენაში უნდა გააზვიადოთ და ამ გაზვიადებული წარმოდგენით დაიტანჯოთ თავი. ჩემი აზრით კი, თქვენ იმაზეც უნდა იფიქროთ, რომ მომხდარი გამოასწოროთ. მაგრამ როგორღა გამოასწორობთ, თუ კი თვითონვე ისპობთ ამის ყოველგვარ საშუალებას? ან იქნებ გეძნელებათ მეორე ნაბიჯის გადადგმა, როცა ასეთმა კეთილმა მამამ პირველი უკვე გადადგა.

ს ა რ ა. ეკალივით მესობა გულში შენი მიაპიტი სიტყვები! სწორედ ეს ვერ ამიტანია, რომ მამაჩემმა უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი. მეტი რაღა გინდა? განა ის მარტო პირველ ნაბიჯს გადასდგანს? მას ყველა ნაბიჯის გადადგმა მოუხდება, რადგან მე ვერც ერთს ვერ გადავდგამ მის შესახებდრად. რა მანძილითაც დავმორდი,

იმავე მანძილით უნდა მომიახლოვდეს. თუკი მაპატიებს, მაშინ მთელი დანაშაულიც უნდა მომიტეგოს და იმასაც უნდა შეურიგდეს, რომ ამ დანაშაულის შედეგთა საკუთარი თვალთ ცქერა მოუხდება, ნუთუ შეიძლება მამას ეს მოეთხოვოს?

უ ა ი ტ უ ე ლ ი. არ ვიცი, მის, სწორად მესმის თუ არა, მაგრამ მგონი იმის თქმა გნებავთ, რომ მამათქვენი იძულებული ხდება ძალზე ბევრი გაპატიოთ და ვინაიდან მას ეს ძლიერ გაუძნელებია. თქვენ გრცხვენიათ, მისგან ეს პატიება მიიღოთ. თუ ასე ფიქრობთ. ის მაინც მითხარით, განა მიტევენა სათნო გულს სიამოვნებას არ გვრის? ჩემს ცხოვრებაში მე იმდენად ბედნიერი არა ვყოფილვარ, რომ მაგგვარი სიამოვნება ხშირად განმეცადა. მაგრამ იმ მცირედსაც კი, რაც განმიცდია, ახლაც სიხარულით ვიხსენებ. წაშინ მიპყრობდა რაღაც ისე წყნარის, ისე დამამშვიდებელის, ისე ზეციურის გრძობა, რომ არ შემეძლო არ მეფიქრა იმ დიად, დაუშრეტელ ღვთიურ სიკეთეზე, რომლის მთელი შინაარსი ჩვენ, ცოდვილ არსებათ, მარადიულ პატიებად გვევლინება. მსურდა ყოველ წამს მეპატიებინა და, მრცხვენოდა, რომ მხოლოდ წვრილმანთა მიტევენა მიხდებოდა. ჩემს თავს ვეუბნებოდი: მომაკვდინებელ უსიამოვნებათა, უმძიმეს შეურაცხყოფათა მიტევენა უნდა იყოს ის ნეტარება, რომელიც მთლად მოიცავს ადამიანის სულს. და თქვენ კი, მის, ნუთუ არ გასურთ მამათქვენს განაცდევინოთ ეს უმაღლესი ნეტარება?

ს ა რ ა. ოჰ! განაგრძე. უაიტუელ, განავრძე!

უ ა ი ტ უ ე ლ ი. კარგად ვიცი, არიან იმკვარი ჯურის ადამიანები, რომელნიც ყველაზე უზალისოდ პატივებს იღებენ, და მხოლოდ ინიტომ, რომ მათ არ იციან, სხვებს როგორ უნდა მიუტევონ. ესენი ამაყი, უდრეკი ადამიანები არიან, რომელთაც არაფრია დიდებით არ სურთ გამოტყდნენ, რომ უმართებლოდ მოიქცნენ. მაგრამ თქვენ, მის, მათ რიცხვს არ ეკუთვნით. თქვენ ისეთი მოყვარული და ისეთი ნაზი გული გაქვთ, როგორც ქალთა შორის მხოლოდ საუკეთესოს შეიძლება ჰქონდეს. ამასთან, თქვენს შეცდომასაც აღიარებთ. მაშ რაღა გაბრკოლებთ? — მაგრამ მაპატიეთ, მის, მე ყბეღო ბერიკაცი ვარ და უმაღვე უნდა შემემჩნია, რომ თქვენი უარი გამოწვეულია მხოლოდ ღირსსაქებარი სიფრთხილითა და უმანკო მოკრძალებით. ის ადამიანები, რომელნიც უიდ წყალობას მაშინვე, დაუფიქრებლად მიიღებენ ხოლმე, იშვიათად არიან ამ წყალობის ღირსნი. ის კი, ვინც ყველაზე მეტად იმსახურებს ასეთ წყალობას, ყველაზე ნაკლებ ენდობა ხოლმე თავის თავს. მაგრამ ამ უნდობლობასაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი.

ს ა რ ა. კეთილო მოხუცო მამავ, შენ, მგონი დამიყოლიე.

უ ა ი ტ უ ე ლ ი. ოჰ, ღმერთო დიდებულო! თუ მართლა ასეთი ბედნიერება მსცდა, ნამდვილად კეთილი სული შემწვევია ლაპარაკში. მაგრამ არა, მის, ჩემი სიტყვები ამ შემთხვევაში მხოლოდ იმას ემსახურებოდა, რომ თქვენთვის დრო მოეცათ თვითონვე დაფიქრებულიყავით და ამ სასიხარულო შეკრთომის შემდეგ ოდნავ მაინც გონს მოსულიყავით. ახლა კი წაიკითხავთ წერილს, ხომ მართალია? ო, ახლავე წაიკითხეთ!

ს ა რ ა. წავიკითხავ, უაიტუელ! ო, რა ქენჯნის, რა ტკივილის ატანა მომიწევს!

უ ა ი ტ უ ე ლ ი. ტკივილის, მის, მაგრამ სასიამოვნო ტკივილისა.

ს ა რ ა. გაჩუმდი! (ღიწყებს წერილის კითხვას ჩუმად).

უ ა ი ტ უ ე ლ ი (განზე). ოჰ! ნეტავ ის თვითონ უყურებდეს მას.

ს ა რ ა (რამდენიმე წაზის კითხვის შემდეგ). ეჰ, უაიტუელ, რა მამა მყავს! ჩემს გამოქცევას ის უბრალოდ შინ არყოფნას უწოდებს. ეს რბილი სიტყვები ჩემს დანაშაულს უფრო ზრდის (განაგრძობს კითხვას და ისევ შუწყეტს). ერთი მომისმინე! იგი იმედოვნებს, რომ კიდევ მეყვარება. იმედოვნებს! (კითხულობს და ისევ თავს ანებებს). ის მთხოვს... მთხოვს? მამა მთხოვს თავის შვილს? თავის დამნაშავე შვილს? რასა მთხოვს ნეტავ? (კითხულობს ჩუმად). იგი მთხოვს, რომ დავიწყებას მივცე მისი ნაჩქარევი სიმკაცრე და მეტ ხანს აღარ დაკსაჯო ჩემი განშორებით. ნაჩქარევი სიმკაცრე? დაკსაჯო? (კვლავ განაგრძობს კითხვას და ისევ შეჩერდება:) კიდევ მეტიც! მადლობასაც კი მიხდის, მადლობას, იმის გამო, რომ შესაძლებლობა მივეცა მთელი სისრულით შეეცნო მშობლიური სიყვარული. ბედუკუდმართი შესაძლებლობა! ნეტავ ისიც დაემატებინა, რომ ამ შესაძლებლობამ მას ბავშვური ურჩობის საზღვრებიც სრულად შეაცნობინა (ისევ კითხულობს:) არა, ამას არ ამბობს, ერთი წუთითაც არ მახსენებს ჩემს დანაშაულს (განაგრძობს თავისთვის კითხვას.) მას სურს მოვიდეს და წაიყვანოს თავისი შვილები! თავისი შვილები? უაიტუელ! ეს კი ყოველივეს აღემატება! ნუთუ სწორად წავიკითხე? (ისევ თავისთვის კითხულობს.) ნეტავ მიწა გამეპოს! იგი ამბობს, დიანაც რომ შვილად მერგება ის კაცი, ურომლისოდაც ასულს დავკარგავო. ოჰ, ნეტავ არასოდეს ჰყოლოდა იგი, ეს უბედური ასული! წადი, უაიტუელ, მარტო დამტოვე. იგი პასუხს მოითხოვს და მეც ახლავე უნდა ვუბასუხო. ერთი საათის შემდეგ მომაკითხე. მადლობას გიძღვნი, ასე რომ გაისარჯე. შენ პატიოსანი აღამიანი ხარ. ცოტანი არიან მსახურნი, თავიანთ ბატონთ ეგრე რომ მეგობრობენ.



უ ა ი ტ უ ე ლ ი. ნუ მარცხვენთ, მის. ყველა ბატონი რომ სერ უილიამივით იყოს, მაშინ მსახურნი არაკაცები უნდა იყვნენ, რომ მათთვის სიცოცხლე არ გასწირონ (გაღს).

### გამოსვლა მეოთხე

ს ა რ ა (წეროლას დასაწერად ჯდება). ვინმეს ოდესმე რომ ეთქვა, ამგვარ წერილზე პასუხის გაცემა მოგიხდებაო!.. და ასეთს პირობებშიო!.. დიახ, კალამი მიჭირავს ხელში. მაგრამ ვიცი კი, რა დავწერო? რასა ვფიქრობ, რასა ვგრძნობ? ნეტა, საერთოდ რასა ფიქრობს ხალხი, როცა ერთ წამში ათასი ფიქრი გაუელვებს თავში? ან რასა გრძნობს, როცა გული ჭარბი გრძნობისაგან ასე გაბრუებული აქვს?.. მაგრამ მაინც უნდა დავწერო. პირველად ხომ არ მიჭირავს კალამი ხელში? რამდენჯერ გაუწევია მას მცირე სამსახური, როცა თავაზიანობაზე თავაზიანობით და მეგობრობაზე მეგობრობით უნდა გამეცა პასუხი. ახლა კი ნუთუ უმნიშვნელოვანესი სამსახურის გაწევაზე მეტყვის უარს? (ცოტა ხანს დაფიქრდება და რამდენიმე სტროქონს დასწერს). ეს უნდა იყოს დასაწყისი? ძალიან ცივი დასაწყისია. ნუთუ შევიძლებ მისი სიყვარულიდან დავიწყო? არა, ჩემი დანაშაულიდან უნდა დავიწყო პასუხის წერა (წაშლის და ხელახლა წერს.) მეტიხმეტად ზერელედ ხომ არ ვეკიდები ყველაფერ ამას? სირცხვილს ყველგან შეიძლება ჰქონდეს თავისი ადგილი, მაგრამ იქ კი არა, სადაც ჩვენს შეცდომებს ვადიარებთ! იმის როდი უნდა შემეშინდეს, რომ გადავაჭარბებ, თუკი დანაშაული უმკაცრესი ფერებით წარმოვსახე... აჰ! ხელს რატომღა მიშლიან?

### გამოსვლა მხუთე

მ ა რ ვ უ ლ ი. მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ს ა რ ა.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ძვირფასო მის. მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ ლედი სოლმსი, ჩემი ერთ-ერთი ნათესავი, რომლისგანაც ყველაზე მეტად ვარ დავალებული.

მ ა რ ვ უ ლ ი. გთხოვთ მომიტევეთ, მის, რომ გავბედე და თავს ნება მივეცი საკუთარი თვალით დავრწმუნებულიყავი ჩემი ბიძაშვილის ბედნიერებაში. მე მას უსრულყოფილეს ქალს ვუსურვებდი, თქვენი დანახვისთანავე რომ არ დავრწმუნებულიყავი, რომ ასეთი უბადლო ქმნილება მას უკვე უბოვნია.

ს ა რ ა. ძალზე დიდ პატივსა მღებთ, ლედი. ასეთი პირფერობა ყოველთვის გამაწითლებდა; ახლა კი იგი თითქმის ფარულ საყვედურად უნდა მიმედო, ლედი სოლმსს რომ არა ვთვლიდე უალრესად

დიდსულოვან ადამიანად, რომელიც არ ისურვებს უბედურ ქალს თავისი ვონიერებისა და სათნოების უპირატესობა აგრძნობინოს.

მარვედი (ცაზა). ჩემთვის ძალზე სამწუხარო იქნებოდა, მის, ჩენი მეგობრული განწყობილება სხვაგვარად რომ აგეხსნათ. (განზე) მშვენიერია!

მელეფონტი. ნუთუ შეიძლებოდა, ლედი, ასეთი სილამაზის, ასეთი თავმდაბლობის მიმართ გულგრილად დარჩენილიყავით? მართალია, ამბობენ, რომ ლამაზი ქალი იშვიათად თუ მიუზღავს სამართალს მეორე ლამაზ ქალსო, მაგრამ ეს ხომ იმ ქალებს ეხება, რომელნიც ან ნეტისმეტად მედიდურნი არიან თავიანთი უპირატესობით ანდა თვითონ ვერ ამჩნევენ ამ უპირატესობას. თქვენ ერთავეს კი არც ერთი გჭირთ და არც მეორე! (მარვედს, რომელიც ჩაფიქრებული დგას). ხომ სწორია, ლედი, რომ ჩემი სიყვარული სრულებითაც არ არის მიკერძოებული? ხომ მართალია, რომ ჩემს სარას საქებრად ბევრი რამ გითხარით, მაგრამ იმდენი როდი მიტყვამს, რასაც ახლა თქვენ თვითონ ხედავთ? მაგრამ ასე რამ ჩაგაფიქრათ? (ჩუმაჯ მარვედს) თქვენი როლი გავიწყდებათ.

მარვედი. ნებას მრთავთ გითხრათ? თქვენი ძვირფასი მეგობრით აღტაცებამ მის ბედ-იღბალზე დამაფიქრა. გულს მომხვდა, რომ მას მშობლიურ ქვეყანაში არ მოუწევს თავისი სიყვარულის ნაყოფით დატკობა. გამახსენდა, რომ იგი იძულებულია დასტოვოს მამა და თანაც, როგორც მითხრეს, ძალზედ ნაზი მამა, რათა თქვენ მოგეკუთვნოთ და თავი ველარ შევიკავე სურვილისაგან, რომ იგი თავის მამას შეურიგდეს.

სარა. აჰ! ლედი, როგორ გიმადლით მაგ სურვილს. იგი იმას იმსახურებს, რომ მთელი ჩემი სიხარული გაგიზიაროთ. თქვენ ჯერ კიდევ არ გეცოდინებათ, მელეფონტი, რომ ლედის სურვილი მანამღე ასრულდა, ვიდრე იგი ამის თქმას ინებებდა.

მელეფონტი. მაგით რის თქმა გინდათ, მის?

მარვედი (განზე) ეს რას უნდა ნიშნავდეს?

სარა. სწორედ ახლა მივიღე მამიჩემის წერილი. უაიტუელმა მომიტანა. აჰ, მელეფონტი, რა კარგი წერილია!

მელეფონტი. ჩქარა გამაგებინე ყველაფერი. რისი უნდა მეშინოდეს? რისი იმედი უნდა მქონდეს. ისევ ისეთი მამაა, ჩვენ რომ გამოვექეციოთ? თუ ასეა, სარას იმდენად ხომ ვუყვარვარ, რომ მას კიდევ უფრო შორს გაექცეს? ოჰ! თქვენთვის რომ დამეჯერებინა, ძვირფასო მის, უკვე შეერთებული ვიქნებოდით კავშირით, რომელსაც ანგარებინანი მოსაზრებანი ადვილად ვერ დაარღვევდნენ. ამ წუთს მთელ იმ უბედურებას ვგრძნობ, რომელიც შეიძლება დამატეხოს

ჩვენმა გამოაშკარავებულმა ადგილსამყოფელმა. ის მოვა და ხელიდან გამომტაცებს თქვენს თავს! ო, რარიგ მძულს ის არაწადა, ვინც ჩვენ მასთან დაგვაბეზლა! (მრისხანედ გადახედავს მარჯულს.)

ს ა რ ა. რარიგ მიხარია, საყვარელო მელეფონტ, ჩემს გამო ასე რომ ღელავთ! და რა ბედნიერი ვართ ორივე, ეგ ღელვა რომ ამოაო! აი, წაიკითხეთ მისი წერილი (მიუბრუნდება მარჯულს; ამასობაში მელეფონტი წერილს თავისთვის კითხულობს). ლედი, მას გააოცებს მამაჩემის სიყვარული; მამაჩემის? აჰ! ის ხომ ახლა მისი წამაც არის.

მ ა რ ვ უ დ ი. (განვიფრებულა). ნუთუ ეს შესაძლებელია?

ს ა რ ა. რასაკვირველია, ლედი, საბაბი გაქვთ, ეს ცვლილება გაიკვიროთ. ის ჩვენ ყველაფერს გვაბატეებს; ჩვენ ახლა მის თვალწინ გვეყვარება ერთმანეთი; იგი გერთავს ამის ნებას; კიდევაც გვიბრძანებს ამას. გულის სიღრმემდე ჩამწვდა მისი გულკეთილობა! აბა, რას იტყვი, მელეფონტ? (მელეფონტი ბარათს დაუბრუნებს.) სდუმხართ? არა, ეგ ცრემლი, თქვენს ღაწვებზე რომ მოგორავს, გაცილებით მეტს ამბობს, ვიდრე თქვენი ბაგე იტყობდა.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. რა დიდად ვაფნე ჩემს თავს მე უკუნურმა.

ს ა რ ა. ო, ნება მომეცით ეგ ცრემლები კოცნით შეგიმშრალო.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. რატომ მივაყენეთ მწუხარება ასეთ ღვთაებრივ ადამიანს? დიახ, ღვთაებრივ ადამიანს, რადგან პატივბაზე უფრო ღვთაებრივი რაღა იქნება? ასეთი ბედნიერი დასასრულის შესაძლებლობა რომ წარმოგვედგინა, მაშინ, ცხადია, მის მისალწევად ასეთ ძალდატანებით საშუალებებს არ მივმართავდით, ასეთ კეთილ ბოლოს მხოლოდ ხვეწნა-ვედრებით მივალწევდით. რა ნეტარება მელის! მაგრამ როგორ ტკივილს მომაყენებს იმის შეგნება, რომ ამ ნეტარების ღირსი არა ვარ.

მ ა რ ვ უ დ ი (განზე). მე კი ყოველივე ამის მოსმენა მიხდება.

ს ა რ ა. მაგგვარი აზრებით სავესებით ამართლებთ ჩემს სიყვარულს.

მ ა რ ვ უ დ ი (განზე). ო, რამდენი ძალა უნდა დავატანო ჩემს თავს.

ს ა რ ა. თქვენც, მშვენიერო ლედი, უნდა წაიკითხოთ მამაჩემის წერილი. როგორც ჩანს, ისე დიდ მონაწილეობას ღებულობთ ჩვენს ბედობლაში, რომ ამ წერილის შინაარსს გულგრილად ვერ მოუკიდებთ.

მ ა რ ვ უ დ ი. მე გულგრილად, მის? (ბარათს აიღებს).

ს ა რ ა. მაგრამ თქვენ მაინც ძალზე დაფიქრებული მეჩვენებით. ძალზე დაღონებული...

მ ა რ ვ უ დ ი. დაფიქრებული, მის, მაგრამ დაღონებული კი არა.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. (განზე). ღმერთო ჩემო! თავი არ გასცეს!

ს ა რ ა. მერედა, რატომ?

მ ა რ ვ უ დ ი. ორთავეს გამო მეშინია. მამათქვენის ეს მოულოდნელი გულკეთილობა თვალთმაქცობა ხომ არ არის, ცბიერება?

ს ა რ ა. ო, არა, ლედი, ნამდვილად არა. ოღონდ წაიკითხეთ ეგ წერილი და თვითონვე მიხვდებით. თვალთმაქცობა, მულამ ცივია ხოლმე, ასეთი გრძნობით ვერ იმეტყველებს. (მარვულა თავისთვის კითხულობს.) არ შეეჭვდეთ. მელეფონტი, გვედრებით; სიტყვას გაძლევთ, რომ მამანემი თვალთმაქცობით თავს არ დაიმცირებს. რასაც არა ფიქრობს, იმას არც იტყვის, და ცბიერება მისთვის უცნობი ბიწიერებაა.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მაგაში მე სრულიად დარწმუნებული ვარ. ძვირფასო მის... მაგრამ ლედის უნდა ვაპატიოთ მისი ეჭვი, რადგან იმ კაცს არ იცნობს, ვისაც ეგ ეჭვი ეხება.

ს ა რ ა (მარვული წერაღს უბრუნებს.) ამას რასა ვხედავ, ლედი? თქვენ გაფითრდით? კანკალებთ? რა მოგივიდათ?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. (განზე) როგორი შიში მაქვს: აქ რატომ მოვიყვანე?

მ ა რ ვ უ დ ი. არაფერია, მის. ცოტა თავბრუ დამესხა, მალე გამივლის. ალბათ ღამის ჰაერმა მაწყინა მგზავრობის დროს.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. თქვენ მაშინებთ, ლედი... სუფთა ჰაერზე გასვლას ხომ არ ინებებთ? დახწულ ოთახში ადვილად ვერ მომჯობინდებით.

მ ა რ ვ უ დ ი. თუ ასე ფიქრობთ, მომეცით ხელი.

ს ა რ ა. მე გაგაცილებთ, ლედი.

მ ა რ ვ უ დ ი. გმადლობთ თავაზიანობისათვის, მის. საშიშო არაფერია...

ს ა რ ა. მამ იმედი მაქვს, მალე ისევ ვნახავთ ერთმანეთს.

მ ა რ ვ უ დ ი. თუ ნებას დამრთავთ, მის (მელეფონტს გაჰყავს იგი).

ს ა რ ა (მარტო). საბრალო ლედი! ძალზე გულთბილი ადამიანი არა ჩანს, მაგრამ არც უცხვირბირია და ამაყი... ისევ მარტო ვარ. ნუთუ შემიძლია ეს რამდენიმე წუთი, რაც ალბათ დამცალდება, უკეთეს რაიმეს შევწირო, ვიდრე პასუხის დამთავრებას (აპარებს წერის განვრცობას).

## ბამოხვლა მემკვსა

ბ ე ტ ი, ს ა რ ა.

ბ ე ტ ი. ძალიან ხანმოკლე სტუმრობა კი იყო, აი!

ს ა რ ა. დიახ, ბეტი, ეს ლედი სოლმსია, ჩემი მელეფონტის ნათესავი. უეცრად ოდნავი სისუსტე იგრძნო. სად არის ახლა?

ბ ე ტ ი. მელეფონტმა კარებამდე მიაცილა.

ს ა რ ა. მამ წავილა?

ბ ე ტ ი. ეგრე მგონია. მაგრამ რაც მეტს გიყურებთ, მის,— მაპა-ტიეთ სითამამე, — მით უფრო გამოცვლილი მეჩვენებით, თქვენნი მზერა რაღაც სიმშვიდეს, კმაყოფილებას გამოხატავს. ან ლედის მოსვლამ გასიამოვნათ ასე, ანღა იმ მოხუცმა მოგიტანათ ძალზე სასიამოვნო ამბავი.

ს ა რ ა. უკანასკნელი, ბეტი, უკანასკნელია მართალი. ის კაცია მამაჩემმა გამოგზავნა. რა გრძნობიერი წერილი მინდა წაგაკითხო! შენი კეთილი გულით ხშირად გიტირია ჩემთან ერთად, ახლა ჩემი სიხარულიც გაიზიარე. მე ისევ ბედნიერი ვიქნები და შევიძლებ ერთ-გული სამსახურისათვის დაგასაჩუქრო.

ბ ე ტ ი. რას ბრძანებთ, რა სამსახურის გაწევა შემეძლო ამ რაღაც ცხრა კვირის განსაჯლობაში?

ს ა რ ა. მთელი ჩემი დანარჩენი სიცოცხლის მანძილზე იმაზე მეტს ვერ შეიძლებ, რაც ამ ცხრა კვირაში მემსახურე. მადლობა ღმერთს, ამ ცხრა კვირამ უკვე გაიარა. წამოდი, ბეტი. მელეფონტი ალბათ ისევ მარტოა და მინდა კიდევ რაღაცაზე მოველაპარაკო. სწორედ ახლა მომივიდა აზრად, რომ ძალიან კარგი იქნებოდა, მელეფონტმაც რომ ჩემთან ერთად მისწეროს მამაჩემს, რომელსაც უთუოდ ესიამოვნება მისგან მადლობის მიღება. წავიდეთ! (მიღიან).

## გამოსვლა მთავრი

### დ ა რ ბ ა ზ ი

ს ე რ უ ი ლ ი ა მ ს ა მ ა ს ო ნ ი. უ ა ი ტ უ ე ლ ი.

ს ე რ უ ი ლ ი ა მ ი. ო, უაიტუელ, როგორი ბალზამი აბკურე ჩემს დაჭრილ გულს შენი მოთხრობით. ისევ გამოვცოცხლდი. სარაა დაბრუნების მოახლოება თითქოს ისევე მიბრუნებს ახალგაზრდობას, როგორც მისმა გაქცევამ სამარეს მიშაახლოვა. მას ისევ ვუყვარვარ! მეტი რაღა მინდა? ჩქარა დაბრუნდი მასთან, უაიტუელ. ერთი წამიც კი ვერ მომიცდია, ვიდრე სარას კვლავ არ ჩავიკრავ გულში ამ მკლავებით, რომელთაც სიხარულით ვუწვდიდი სიკვდილს. რარიგ მენატრებოდა სიკვდილი ჩემი მწუხარების წუთებში! და რაოდენ საზარლად მომეჩვენება ამიერიდან, ახლად გაბედნიერებულს. ცხადია, მოხუცი გაკიცხვის ღირსია, როცა ასე ამაკრებს ჯაჭვს, რომლითაც ჯერ კიდევ დაკავშირებულია ეჭუყანასთან: მით უფრო მძიმე იქნება მისთვის საბოლოო განშორება... მაგრამ ღმერთი, რომელმაც ახლა

ასე მოწყალედ გადმომხედა, ამ განშორების გადატანასაც გამიადვილებს. განა იმისათვის მოილო ასეთი სიკეთე, რომ იგი ბოლოს დალუპვის მიზეზად გადამიქციოს? განა იმისთვის მიბრუნებს ქალიშვილს, რათა. ჩემი აღსასრულის საათი რომ დაჰკრავს, ღრტვინვა დამაწყებინოს? არა, არა, იგი იმიტომ მიბრუნებს სარას, რომ შესძლებლობა მომეტეს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში საკუთარ თავზე ვიზრუნო. დიდება შენდა, მარადიულო სიკეთე! რაოდენ სუსტია მოკვდავ ბაგეთა მადლობა! მაგრამ მალე, მალე შევძლებ მისდამი მიძღვნილს მარადისობაში მის ღირსეულად განდიდებას.

უ ა ი ტ უ ე ლ ი. გულით მიხარია, სერ, რომ სიკვდილის წინ კიდევ მეღირსა, კმაყოფილს გხედავდეთ! დამერწმუნეთ, რომ თქვენი მწუხარება თითქმის ისევე განვიცადე, როგორც თქვენ თვითონ. თითქმის და არა მთლად ისევე, რადგან მანის წამება ასეთ შემთხვევაში აუწერელი უნდა იყოს.

ს ე რ უ ი ლ ი ა მ ი. ჩემო კეთილო უაიტუელ, დღეიდან თავს ნუღარ ჩასთვლი ჩემს მსახურად. დიდი ხანია ჩემგან დამსახურებული გაქვს, რომ სიბერე წესიერად გაატარო. ისეთ პირობებს შეგიქმნი, რომ შენს უკანასკნელ დღეებს ჩემზე ცუდად არ გაატარებ. მოვსაპობ ჩვენს შორის ყოველგვარ განსხვავებას. შენც კარგად იცი, რომ იმ ქვეყნად ეს განსხვავება ისედაც მოსაპოვებია... ოღონდ ამჯერად ისევ დარჩი ძველი მსახური. რომელსაც არასოდეს არ გაუცრუებია ჩემი იმედი. წადი და ყურადღებით იყავ, რომ პასუხი მაშინვე მომიტანო, რა წამსაც მზად იქნება.

უ ა ი ტ უ ე ლ ი. მივდივარ, სერ, მაგრამ ამით თქვენ როდი გიწვევთ სამსახურს. ეს არის ჯილდო, რომლითაც ჩემი სამსახურისათვის მასაჩუქრებთ. დიახ, ნამდვილად ასეა.

(გაღიან სხვადასხვა მხარეს.)

## მოქმედება მეოთხე

გამოსვლა პირველი

მელეფონტის ოთახი

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ს ა რ ა.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. დიახ, ძვირფასო მის, დიახ, მე ამას გავაკეთებ, მე მოვალე ვარ ეს გავაკეთო.

ს ა რ ა. რარიგ კმაყოფილი ვარ თქვენი.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მე მართლაც უნდა ვიკისრო მთელი დანაშაული. მე ერთი ვარ დამნაშავე და პატიების თხოვნაც მე შევალემა.

ს ა რ ა. არა. მელეფონტი, ნუ წამართმევთ ჩვენი საეროო შეც-  
ჯომის უდიდეს წილს, მე რომ მეკუთვნის. იგი ჩემთვის ძვირფასია,  
ა სასჯელსაც არ იმსახურებდეს: აკი სწორედ მან დაგარწმუნათ,  
რომ ჩემი მელეფონტი მთელ ქვეყანას ნირჩვენია... მაგრამ ნუთუ  
ლეიდან მართლა შემეძლება, თქვენი სიყვარული მამაჩემის სიყვა-  
რულს შევუერთო? თუ მხოლოდ სასიამოვნო სიზმარში ვარ? როგორ  
მქინია. რომ გაქრეს ევ სიზმარი და ისევ ძველებურად მწუხარეს  
გაომეღვიძოს!.. მაგრამ არა, ეს სიზმარი არ არის. ნამდვილად ვარ  
უწრო ბედნიერი, ვიდრე ამას ოდესმე წარმოვიდგენდი, შესაძლოა  
იმზე ბედნიერიც, რასაც კი ჩვენი ხანმოკლე სიცოცხლე გვანიჭებს  
ხოვმე. იქნებ ნეტარების ეს სხივი მხოლოდ იმიტომ მეცხადება ასე  
შორდან და მხოლოდ იმიტომ მიახლოვდება ასე მაცდურად, რა-  
თა რთბაშად ისევ გაპქრეს წყვილიაღში და უცბად მიმატოვოს  
უკუ! ლამეში, რომლის საშინელებას ეს წუთიერი განათება კი-  
დევ იფრო ძლიერ მაგრძნობინებს... ეს რა წინათგრძნობები მტან-  
ჯავენ. ნუთუ ეს მართლა წინათგრძნობებია, მელეფონტი, თუ  
მხოლოდ ჩვეულებრივი შეგრძნებები, რომლებიც განუყრელად თან

სდევნ დაუმსახურებელი ბედნიერების მოლოდინსა და მისი დაკარგვის შიშსა. ო, როგორ მიძგერს გული, რა უწესრიგოდ მიცემს! ჯერ მძლავრად, აჩქარებით! მერე კი ნელა, შიშითა და თრთოლვით! ხოლო შემდეგ ისევ ჩქარობს, გეგონება უკანასკნელად ჰფეთქავსო. საბრალო გული!

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. სისხლის მღელვარება, რომელიც ელდას მოსდევს ხოლმე, დაცხრება, მის, და გულიც ისევ მშვიდად განაგრძობს ძგერას. მის არც ერთ შეკუმშვას არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენს მოპაველთან და ჩვენ, — მაპატიეთ, ძვირფასო სარა, — გაიცხვის ღირსნი ვიქნებით, თუ სისხლის მექანიკურ წნევას საშინელ წინასწარმეტყველად ჩავთვლით... მე არაფერს არ დაეზოგავ თქვენი პატარა შინაგანი მღელვარების დასაცხრომად. ახლავე მივწერ და, იმედი მაქვს, სერ უილიამი კმაყოფილი დარჩება ჩემი გულწრფელი მონანიებით, ჩემი მღელვარე გრძნობების გამოხატვითა და ნაზი მორჩილების შეპირებით.

ს ა რ ა. სერ უილიამი? ეჰ, მელეფონტ, უკვე დროა უფრო აღერსიან სახელს მიეჩვიოთ, მამაჩემი მამათქვენიცაა, მელეფონტ...

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. რასაკვირველია, მის, ჩვენი კეთილი, ძვირფასი მამა! მე ჯერ კიდევ ძალზე პატარა გავხდი იძულებული ამ სახელის ხსენება შემეწყვიტა და პატარასავე მომიხდა დედის ტკბილი სახელის დავიწყებაც.

ს ა რ ა. თქვენ დავიწყეთ და მე კი... მე ერთხელაც არა მღირსებია მისი წარმოთქმა. მან სიცოცხლე მაჩუქა და მოკვდა... ოჰ, ღმერთო! ჩემცა უნებურად გავხდი დედის მკვლელი. და რა ბევრი უკლდა... რაღა უკლდა, სულ ცოტადა იყო საჭირო... რომ მამის მკვლელიც გავმზადარიყავი! მაგრამ უნებური კი არა, წინასწარ განზრახული მკვლელი! და ვინ იცის, იქნება უკვე ვარ კიდევაც? განა ის წლები, დღეები და წამები, ჩემგან მიყენებულმა მწუხარებამ რომ შეუმოკლა, მე არ გამოვტაცე? თუნდაც ბედმა ღრმა მოხუცებულობამდე აცოცხლოს, სინდისი მაინც მისაყუედურებს, შენ რომ არ ჰყოლოდი იქნებ მეტ ხანს ეტოცხლო. ამ მწუხარე საყუედურს, ცხადია, ავცდებოდი, ჩემს სიყმაწვილეს მეგზურად დედა რომ ჰყოლოდა!.. მისი დარიგება, მისი მაგალითი ჩემს გულს ალბათ... როგორ ნაზად მიცქერით, მელეფონტ! მართალი ხართ. შესაძლოა დედის სიყვარულს ისე შევებოჭე, რომ მელეფონტს აღარ მიგკუთვნებოდი. მაშ რატომღა ვნატრობ იმას, რაზეც ზრქენმა ბედმა მხოლოდ სიკეთის კარნახით მითხრა უარი? მისი ვადაწყვეტილება ყოველთვის საუკეთესოა. ოღონდ ჩვენ რიგინად ვისარგებლოთ იმით, რითაც მან დაგვაჯილდოვა: დაგვაფასოთ მამა, რომელსაც ჩემთვის არასოდეს უგრძნობინებია უღედობა, მამა,



რომელიც თქვენც დაგავიწყებთ ობლობას. რა მომხიბლავი ოცნებაა! იგი მხიბლავს და თითქმის მავიწყებს, რომ სულის სიღრმეში მაინც რაღაც მოძრაობს, რაც ხელს მიშლის ვირწმუნო ეს ოცნება. ნეტავ რა არის ეს ურჩი რაღაც?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ეს რაღაც, ძვირფასო სარა, როგორც თვითონვე სთქვით, არის ბუნებრივი შიში, რომელსაც დიდი ბედნიერების მიღწევისას გრძნობს ადამიანი. ეჰ, თქვენი გული უბედურებაზე ფიქრს უფრო იოლად შეეგუა, ვიდრე ახლა ბედნიერებაზე ფიქრს ეჩვევა! მაგრამ როგორც სწრაფი ტრიალის შემდეგ დამჯდარ ადამიანს ერთხანს კიდევ ეჩვენება, რომ საგნები მის ირგვლივ ტრიალებენ, სწორედ ასევე ელდანაკრავი გულიც ერთბაშად ვერ დამშვიდდება ხოლმე. იგი ერთხანს ისევ თრთის და კანკალებს და ჩვენ მას სრული თავისუფლება უნდა მივცეთ, რომ თავისთავად დაცხრეს და მოისვენოს.

ს ა რ ა. მჯერა ეგ, მელეფონტ, მჯერა; რადგან ამას თქვენ ამბობთ, რაკი ეს მე მსურს... მაგრამ მეტს ნულარ დავაყოფნებთ ერთმანეთს. წავალ და ჩემს წერილს დავამთავრებ. თქვენსას ხომ წამსკითხებთ, ჩემსას რომ გიჩვენებთ?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ჩემს ყოველ სიტყვას წარმოგიდგენთ განსახილველად: მხოლოდ იმის გარდა, რისი თქმაც თქვენს გასამართლებლად მომიწევს, რადგან ვიცი, ისე უდანაშაულოდ არ თვლით თავს, როგორც სინამდვილეში ხართ (მატ.ლებს სარას.)

## გამოსვლა მმრსმ

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი (მარტო)

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი (ღრმად ჩაფაქრებული რამდენჯერმე გაივლ-გამოივლის). რა გამოცანა ვარ ჩემივე თავისათვის! რად შემოდლია ჩავთვალო თავი? სულელად? ბოროტმოქმედად? თუ ორივედ? ოჰ, რა ცბიერი ხარ, ჩემო გულო! მე მიყვარს ანგელოზი, როგორი სატანაც არ უნდა ვიყო... ან კი მიყვარს? დიახ, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, მიყვარს. ვიცი, ათას სიცოცხლეს შევწირავდი მას, რომელმაც თავისი სათნოება შემომწირა! შევწირავდი. ახლაც, ამ წუთშიც კი დაუფიქრებლად შევწირავდი... და მაინც, მაინც... მეშინია, ეს ჩემს თავს ვუთხრა... და მაინც... როგორ უნდა გავიგო ეს?.. მაინც მაძრწუნებს წამი, როცა იგი ქვეყნის წინაშე სამუდამოდ ჩემი გახდება... ახლა უკვე ვეღარ ავიცდენ ამ წამს, რადგან მამაც შეგვირიგდა. მისი დიდი ხნით გადაღებაც აღარ ძალმიძს. მისმა ამდენ ხანს დაყოვნებამ ისედაც საკმაოდ მარტუნა მძიმე საყვედურები. მაგრამ რაოდენ მძიმეც არ ყოფილიყო ეს საყვედურები, ისინი ჩემთვის მაინც უფრო

ასატანი იყო, ვიდრე ეს მწუხარე აზრი, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე შებოჭილ ვიქნები... მაგრამ განა ახლაც შებოჭილი არა ვარ? რასაკვირველია, ვარ და ეს მესიამოვნება კიდევც. რა თქმა უნდა, უკვე მისი ტყვე ვარ. მაშ რაღა მსურს?.. აი რა!.. ახლა ისეთი ტყვე ვარ, რომელსაც პატიოსან სიტყვაზე უშვებენ ხოლმე: ეს მსიამოვნებს! რატომ არ შეიძლება, ეს ასევე დარჩეს? რატომ უნდა ვიყო მიჯაჭვული, და თავისუფლების საცოდავ ჩრდილსაც კი მოკლებული? დიახ, მიჯაჭვული? სარა სამპსონი, ჩემი სატრფო! რამდენი ნეტარებაა ამ სიტყვებში! სარა სამპსონი, ჩემი მეუღლე! და აი, ამ ნეტარების ნახევარი უკვე გაქრა! და მეორე ნახევარიც მალე გაჰქრება. ო, რა ურჩხული ვარ! და ამგვარი განწყობილებით უნდა მივწერო მამამისს?.. მაგრამ ამას ხომ განწყობილებაც კი არ ეთქმის; ეს უფრო ფანტაზიაა! წყეული ფანტაზია, რომელიც ჩემმა აღვირახსნილმა ცხოვრებამ დამიჩემა! ან მოვიცილებ მას თავიდან, ან არა და — არ მსურს სიცოცხლე.

### გაგონსვლა მესამე

ნორტონი, მელეფონტი

მელეფონტი. ხელს მიშლი, ნორტონ!

ნორტონი. მაშ მამატიეთ, ბატონო ჩემო... (წასვლას დააჩერებს)

მელეფონტი. არა, არა, დარჩი. ძალიან კარგია, რომ ხელს მიშლი. რა გინდა?

ნორტონი. ბეტისაგან ძალზე სასიხარულო ამბავი გავიგე და მოსალოცად მოვედი.

მელეფონტი. ალბათ მამის შერიგებას მილოცავ, არა? გმადლობ.

ნორტონი. მაშ ზეცამ კიდევ ინება თქვენი გაბედნიერება.

მელეფონტი. თუ კი მას ეს სურს... ხომ ხედავ, ნორტონ, მე საეხებით სამართლიანად ვუდგები ჩემს თავს... თუ კი ეს სურს, ცხადია, არა ჩემ გამო.

ნორტონი. თუკი ამას აღიარებთ, მაშინ მას თქვენ გამოცა სურს.

მელეფონტი. ჩემი სარას გულისათვის, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი სარასათვის. თუკი ზეცამ რამდენიმე უცოდველის გამო მთელ ცოდვილ ქალაქს მიუტევა უკვე გამოტანილი სასჯელი, მას შეუძლია ერთი ცოდვილიც აიტანოს, რომლის ბედსაც მისთვის სასურველი არსება ინაწილებს.

ნორტონი. ძალზე სერიოზულად და მგრძნობიარედ ლაპარაკობთ, მაგრამ განა ასეთნაირად გამოხატავენ სიხარულს?

მელეფონტი. სიხარულს, ნორტონ? იგი ჩეჩოვის აღარსებობს.

ნორტონი. ნებას მომცემთ თავისუფლად ვილაპარაკო? (დავირეებით შეზღავს).

მელეფონტი. შეგიძლია.

ნორტონი. ამ დილით მისაყვედურეთ, თითქოს მეც მიმიძღოდეს ბრალი თქვენს დანაშაულში, რაკი მასზე ჩემი შეხედულება არ გამომიტყვამს. მაშ მომიტყვეთ, თუ დღეიდან უფრო იშვიათად გავჩუმდე ხოლმე.

მელეფონტი. ოღონდაც არ დაგავიწყდეს შენი ადგილი.

ნორტონი. არ დამავიწყდება, რომ მსახური, რომელიც შეიძლებოდა უკეთესი ვინმე გამხდარიყო, რომ... აფსუსი სხვაგვარად წარემართა თავისი ცხოვრება. დიახ, თქვენი მსახური გახლავართ, მაგრამ არ ვისურვებ, თქვენთან ერთად დამიწყონ წყევლა.

მელეფონტი. ჩენთან ერთად? და ახლა რატომღა მეუბნება მაგას?

ნორტონი. იმიტომ, რომ საკმაოდ გაკვირებული ვარ, რადგან სულ სხვა განწყობილებაზე დამდგარსა გხედავთ, ვიდრე ეს წარმომედგინა.

მელეფონტი. არ შეტყვი, რა წარმოგედგინა?

ნორტონი. რამ თქვენ. დიდად აღფრთოვანებულს გნახავდით.

მელეფონტი. მხოლოდ მღაბიო ხალხი მოვა აღტაცებაში, როგორც კი ბედი ოღნავად გაულიძებს.

ნორტონი. ალბათ იმიტომ, რომ მღაბიო ხალხს ჯერ კიდევ შერჩენია გრძნობა, რომელიც დიდგვაროვანთ უნელდება და უქრება ათასი არაბუნებრივი წარმოდგენის გამო. მაგრამ თქვენს სახეს მართო გრძნობათა ზომიერება როდი აწერა, არამედ გულგრილობაც, ყოყმანიცა და უკმაყოფილებაც...

მელეფონტი. კინდ ასეც იყოს. ნუთუ დაგავიწყდა, სარას გარდა აქ კიდევ ვინ არის? მარუდის აქ ყოფნა...

ნორტონი. ამას შეეძლო შეეწუხებინეთ, მაგრამ სულით მაინც ვერ დაგცემდათ. თქვენ სხვა რაღაც გადარდებთ. შეიძლება დიდადა ვცდები, მაგრამ მაინც მგონია, რომ უფრო კმაყოფილი იქნებოდით, მამა რომ ჯერ კიდევ არ შეგრიგებოდათ. იმ მდგომარეობის მოახლოვება, რომელიც ასე მცირედ ეთანხმება თქვენს შეხედულებებს...

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ნორტონ! ნორტონ! შენ საზარელი ბოროტი სული უნდა ყოფილიყავი, ანდა ახლაც ხარ, თუ კი შევიძლია ასე მიმიხვდე. რაკი მიხვდი, უარყოფასაც აღარ დავიწყებ. ეს მართალია; როგორც ნამდვილია, რომ საუკუნოდ მეყვარება ჩემი სარა, ისევე ვერ შევირგებივარ იმ აზრს, რომ იგი საუკუნოდ უნდა მიყვარდეს... უნდა მიყვარდეს!.. მაგრამ ნუ გეფიქრება; მე დავძლევ ამ სულელურ ახირებას. ანდა იქნებ, შენი აზრით, ეს ახირება არ არის? ვინ მათვალვებს. რომ ქორწინება იძულებად მივიჩნიო? არცა მსურს იმაზე მეტად ვიყო თავისუფალი, რაც ქორწინების შემდეგ ვიქნები.

ნ ო რ ტ ო ნ ი. ეგ მოსაზრებები ძალიან კარგია. მაგრამ მარვუღა, მარვუღი თქვენს ძველ ცრურწმენებს მიემხრობა და მეშინია, მეშინია...

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. იმის გეშინია, რაც არასოდეს მოხდება. დღესვე ნახავ, მარვუღი ლონდონისაკენ გაემგზავრება, რაკი ჩემი... ასე ვთქვათ, სისულელე ვაღიარე, იმასაც აღარ დავიმაღავ, რომ მარვუღს დიდი შიში ვაჭამე და ის ჩემს წარბის ერთ შერხევასაც კი დაემორჩილება.

ნ ო რ ტ ო ნ ი. რაღაც დაუჯერებელს მეუბნებით.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. აი, შეხედე, ეს მომაკვდინებელი რკინა მას გამოგტაცე ხელიდან (უჩვენებს ხანჯალს, რომელიც მარვუღს წაართვა.) როცა მან, საშინლად გააფთრებულმა, დააპირა, ამით გული გაეპო ჩემთვის. ახლა ხომ გჯერა, რა მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიე? თუმცა პირველად ცოტაღა დააკლდა და კინაღამ ისევ არ გადაძაცვა ყულფი თავზე. იმ მოღალატემ არაბელაც თან მოიყვანა.

ნ ო რ ტ ო ნ ი. არაბელა?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ჯერ კიდევ ვერ გამომიჩვენებია, რა ოინებით დაიბრუნა ბავშვი. მაგრამ ისიც კმარა, რომ იმ წარმატებას მაინც ვერ მიაღწია, რომლის იმედიც უთუოდ ჰქონდა.

ნ ო რ ტ ო ნ ი. ნება მიბოძეთ გავიხარო თქვენი სიმტკიცით და ვირწმუნო, რომ უკვე სანახევროდ გამოსწორებულხართ. მაგრამ, რაკი ჩემთან გულახდილი საუბარი ინებეთ, ესეც მითხარით: რად დასჭირდა მარვუღს, რომ აქ ლედი სოლმისის სახელით გამოცხადდა?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მას სურდა, რაღაც უნდა დასჯდომოდა, თავისი მეტოქე ენახა. მე დავეთანხმე მის თხოვნას ნაწილობრივ შეწყნარების, ნაწილობრივ წინდაუხედაობის, ნაწილობრივ კი მისი დამცირების სურვილის გამო — რათა მისთვის მეჩვენებინა უბადლო ქალი. შენ თავს იქნევ, ნორტონ?

ნ ო რ ტ ო ნ ი. ამას მე ვერ გავბედავდი.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ვერ გაბედავდი? არსებითად იმაზე მეტი არა-

ჯერი გამიბეღია, რისი გაბეღვაც უარის შემთხვევაში მომიხდებოდა. იგი ეცდებოდა აქ მარჯულის სახელით გამოცხადებულიყო. ასე რომ, მისი ამგვარი სტუმრობა მაინცდამაინც საშიში არაა, მაგ ქალისაგან უარესს უნდა მოელოდეს კაცი.

ნორტონი. ღმერთს უმადლოდეთ, რომ ამ ამბავმა ასე მშვიდობიანად ჩაიარა.

მელეფონტი. ჯერ მთლად არ ჩაუვლია. ნორტონ, მარჯული ცოტა შეუძლოდ შეიქმნა, ისე რომ გამოუშვიდობებლად მოუხდა წასვლა. კიდეც მოვა აქ. მოვიდეს! კრაზანას, ისარს რომ დაკარგავს (უთითებს ხანჯალზე, რომელსაც ისევ უბეში ინახავს.). ხომ ბზუილის მეტი აღარაფერი შეუძლია, მაგრამ, თუ ამითაც მოგვაბეზრა თავი, მათ ბზუილიც ძვირად დაუჯდება. ნგონი, ვილაც მოდის! თუ ეს მარჯულია, დამტოვე. ის არის. წადი! (ნორტონი გადის.)

### განოსვლა ნორტონი

მელეფონტი. მარჯული.

მარჯული. უეჭველია, ძალზედ არ გესიამოვნებათ ჩემი ხელმეორედ მოსვლა.

მელეფონტი. ძლიერ მიხარია, მარჯულ, თქვენმა გულყრამ რომ უშედეგოდ ჩაიარა. ხომ უკეთესად გრძნობთ თავს?

მარჯული. დიახ, ცოტათი!

მელეფონტი. მამ კარგად ვერ მოქცეულხართ, რომ აქ მოსვლით კიდეც შეიწუხებთ თავი.

მარჯული. გამაღობთ, მელეფონტი, თუ ამას ჩემზე ზრუნვა გალაპარაკებთ, გეუბნებით. არც იმას გიწყენთ, თუ მაგ სიტყვებით სხვა რამეს გულისხმობთ.

მელეფონტი. მოხარული ვარ, ასე დამშვიდებულს რომ გხედავთ.

მარჯული. ქარიშხალმა გადაიარა, დაივიწყეთ, რაც მოხდა, გევედრებით.

მელეფონტი. ოღონდ თქვენ ნუ დაივიწყებთ თქვენს პირობას, მარჯულ, და მე სიამოვნებით დავივიწყებ ყველაფერს... მაგრამ რომ ვიცოდე ამას შეურაცხყოფად არ მიიღებდით, მაშინ კკითხავდით...

მარჯული. მკითხეთ, რაც გნებავთ. მელეფონტი. თქვენ უკვე აღარ შეგიძლიათ ჩემი შეურაცხყოფა. რისი შეკითხვა გსურდათ?

მელეფონტი. როგორ მოგწონათ ჩემი სარა?

მარჯული. კითხვა ბუნებრივია. ჩემი პასუხი ასე ბუნებრივად

არ მოგეჩვენებათ, მაგრამ მაინც ნაკლებ მართალი არ იქნება... ძალიან მომეწონა.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ალტაცებული ვარ თქვენი მიუკერძოებლობით. მაგრამ განა შეეძლო იმას, ვინაც მარჯულის სიტუარფის ფასი იცოდა, ცუდი არჩევანი მოეხდინა?

მ ა რ ვ უ დ ი. მაგ პირფერობისაგან, — თუკი შეიძლება ამას პირფერობა ეწოდოს, — შეგეძლოთ დაგენდეთ, მელეფონტ. იგი არ ეთანხმება ჩემს განზრახვას, რომ დაგივიწყოთ.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ნუთუ გინდათ მაგ განზრახვის სისრულეში მოყვანა თქვენდამი უხეში მოპყრობით გაგიაღვილოთ? დაე ჩვეულებრივი ნუ იქნება ჩვენი განშორება. ვეცადოთ ისე დავცილდეთ ერთმანეთს, როგორც ჭკვიან ხალხს შეპფერის, რომელიც საჭიროების წინაშე უკან იხევს ხოლმე; დავცილდეთ ყოველგვარი გამწარებისა და განრისხების გარეშე, ისე, რომ ერთიმეორისადმი განსაზღვრული პატივისცემაც შევინარჩუნოთ. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ ოდესღაც ასე მახლობლები ვიყავით...

მ ა რ ვ უ დ ი. ოდესღაც მახლობლები? მე არ მინდა ეგ გავიხსენო. ერთი სიტყვაც აღარ მითხრათ მაგის შესახებ! რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს, ის კი სულ ერთია, როგორ მოხდება. მაგრამ კიდეც ერთი სიტყვა არაბელას შესახებ. თქვენ არ დამიტოვებთ მას?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. არა, მარჯუდ.

მ ა რ ვ უ დ ი. ეს საშინელებაა, თქვენ არ შევიძლდათ მისი მამა იყოთ და გინდათ, რომ დედაც წაართვათ.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მე შემიძლია მისი მამა ვიყო და ვიქნებო: კიდეც.

მ ა რ ვ უ დ ი. მაშ ეგ ახლავე დამიმტკიცეთ.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. როგორ?

მ ა რ ვ უ დ ი. ნება მომეცით ის სიმდიდრე, რომელიც მე მომბარებთ, არაბელას გადავცე, როგორც მამისეული მემკვიდრეობა. დედის მემკვიდრეობას რაც შეეხება, ვისურვებდი მისთვის უკეთესი რაზ: მებანდერძა, ვიდრე ჩემი დედობით მოგვრილი სირცხვილი.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ეგრე ნუ ლაპარაკობთ, მე მოვუვლი არაბელას და ისე უზრუნველვყოფ, რომ დედამისს არ ჩავაყენებ მძიმე მდგომარეობაში. ხოლო თუ ბელა ჩემს დავიწყებას აპირებს, ყველაზე უწინ ის დაივიწყოს, რაც კი ჩემგან მოცემული გააჩნია. არაბელასაგან ძლიერ დავალებული ვარ, არასოდეს დანავიწყდება, რომ ამ ბავშვმა, თუმცა თავისდაუნებურად, ჩემს ნამდვილ ბედნიერებას შეუწყობ ხელი. დიახ, მარჯუდ, გულითად მადლობას გიძღვნი, რომ ჩვენი ადგილსამყოფელი გააგებინეთ სარას მამას, რომელსაც,

მხოლოდ ჩვენი მისაქართის უცოდინარობა უშლიდა ხელს, თორემ უფრო ადრე შეგვირიგდებოდა.

მ ა რ ვ უ დ ი. ნუ მაწამებთ მაგ მადლობით, რომლის დამსახურებაც არასოდეს მნდომია. სერ უილიამი გახლავთ კეთილი, ბებური სულელი; ჩანს, ის სხვაგვარად ფიქრობს, ვიდრე მის ადგილზე მე ვიფიქრებდი. სარას მე ვაპატიებდი, ხოლო მის მაცთუნებელს...

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მარვულ!...

მ ა რ ვ უ დ ი. მართალია; მაცთუნებელი ხომ თქვენ თვითონა ხართ, მე ვლუმვარ... ნებას მომცემთ მის სარას გამოვემშვიდობო?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. სარას არ ეწყინებოდა, მის უნახავადაც რომ გამგზავრებულიყავით.

მ ა რ ვ უ დ ი. მელეფონტ, მე არ მიყვარს ჩემი როლის ნახევრად შესრულება, და არც უცხო სახელს ამოფარებულს მსურს თავაზიანი ქცევის უცოდინარ ქალად ჩამთვალონ.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. თუ თქვენს პირად სიმშვიდეს უფროსილდებით, თვითონვე უნდა მოერიდოთ იმ პიროვნებასთან ხელმეორედ შეხვედრას, რომელმაც გარკვეული აზრები უნდა აღგიძრათ.

მ ა რ ვ უ დ ი (დამცინავი ღიმილით). ჩანს თქვენს თავზე უკეთესი შეხედულებისა ხართ, ვიდრე ჩემზე. თუნდა კიდევაც გეფიქრათ, რომ თქვენს გამო უნუგეშობას მივეცემი, ხმამალა მაინც არ უნდა გეთქვათ. მის სარამ გარკვეული აზრები უნდა აღმიძრას? გარკვეული, არა? რა თქმა უნდა. მაგრამ უპირველეს ყოვლისა ის აზრი, რომ ხშირად საუკეთესო ქალიშვილსაც კი შეუძლია უბადრუკი ადამიანის შეყვარება.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ჩინებულია, მარვულ, ჩინებულია! აი ახლა სწორედ ისეთ განწყობილებასზე ბრძანდებით, როგორზეც დიდი ხანია თქვენს ნახვას ვნატრობდი. თუმცა, როგორც უკვე გითხარით, კიდევაც მერჩივნა, რომ ჩვენ რამდენადმე მაინც შეგვძლებოდა ურთიერთპატივისცემის შენარჩუნება. მაგრამ შეიძლება ეს კიდეც მოხერხდეს, აღელვებული გული რომ დამშვიდდება. ნება მიბოძეთ რამდენიმე წუთით მარტო დაგტოვოთ. მინდა მის სამპსონი მოგიყვანოთ.

### გამოსვლა მახუთი

მ ა რ ვ უ დ ი.

მ ა რ ვ უ დ ი (ირგვლივ მიმოიხედავს). ნუთუ მარტო ვარ? მაშ შემიძლია ერთხელ მაინც თავისუფლად ამოვისუნთქო და სახის დამახული კუნთები ბუნებრივად მოვუშვა? ერთი წამით ისევ ნამდვილ მარვულად უნდა ვიქცე. რომ კვლავაც ავიტანო თვალთმაქცობის სიმ-  
მ. ლესინგი

ძივე. ო, როგორ მძულხარ, სულმდაბალო თვალთმაქცობავ! იმიტომ  
კი არა, რომ გულწრფელობა მიყვარს, არამედ იმიტომ, ულონო შუ-  
რისგების უბადრუკ თავშესაფარს რომ წარმოადგენ. რასაკვირველია,  
არ გიკადრებდი, რომელიმე მბრძანებელს თავისი ძალ-ღონით ანდა  
ზეცას თავისი მეხით რომ აღვეჭურვე. მაგრამ დაე, მხოლოდ ჩემს  
მიზანთან მიმიყვანე! დასაწყისის მიხედვით, შემიძლია ამის იმედო-  
ვიქონიო; და მელეფონტიც, როგორც ჩანს, უფრო უშიშრად გრძნობს  
თავს. თუკი გამივიდა ეშმაკობა და მის სარასთან მარტოდ საუბარი  
მოვახერხე... მაშინ... დიახ, ჯერ მაინც გამოურკვეველია, ეს რაიმეს  
თუ მიშველის. სიმართლე, რომელიც მელეფონტის შესახებ შემიძლია  
ვაცნობო სარას, მისთვის ალბათ სულაც არ იქნება ახალი; ცილის-  
წამებას არ დაუჯერებს და მუქარასაც ზიზღით მოეპყრობა, მაგრამ  
მან მაინც უნდა მოისმინოს ჩემგან სიმართლეც, ცილისწამებაც და  
მუქარაც! ცუდი იქნებოდა, თუ ეს ყველაფერი მის გულში არავი-  
თარი ნესტარს არ ჩასტოვებდა. მაგრამ ჩუ! ისინი მოდიან. მე ახლა  
მარვუდი აღარა ვარ. მე ერთი უბადრუკი უარყოფილი ქალი ვარ,  
ვინც წვრილმანი ხრიკებით ცდილობს სირცხვილის თავიდან აცი-  
ლებას. მე გასრესილი გველი ვარ, რომელიც იკლაკნება და ცდი-  
ლობს ქუსლში მაინც უკბინოს თავის მკვლელს.

### გამოსვლა მემკვსე

ს ა რ ა. მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მ ა რ ვ უ დ ი.

ს ა რ ა. ძლიერ მიხარია, ლედი, რომ თქვენს გამო ამაოდ შევ-  
შვოთებულვარ.

მ ა რ ვ უ დ ი. გმადლობთ, მის. ეს შემთხვევა იმდენად უმნიშვ-  
ნელო იყო, რომ სულაც არ ღირდა თქვენს შეწუხებად.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ლედის თქვენთან გამომშვიდობება სურს,  
ქვირფასო სარა.

ს ა რ ა. ასე გეჩქარებათ, ლედი?

მ ა რ ვ უ დ ი. უნდა ვიჩქარო, რადგან ლონდონში მიმეღიან.

ს ა რ ა. ნუთუ დღესვე აპირებთ გამგზავრებას?

მ ა რ ვ უ დ ი. ხვალ დილით ადრე.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ხვალ დილით ადრე, ლედი? მე კი მეგონა  
დღესვე გაემგზავრებოდით.

ს ა რ ა. ჩვენი ნაცნობობა, ლედი ასეთი წუთიერი შეხვედრით  
იწყება... იმედი მაქვს რომ მომავალში უფრო ახლო ნაცნობობის  
ღირსს გამხდით.

მ ა რ ვ უ დ ი. მე მეგობრობასა გთხოვთ, მის.



მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. შემიძლია დაგარწმუნოთ ძვირფასო სარა, რომ ლედის ეს თხოვნა სავსებით გულწრფელია, თუმცა ახლავე უნდა გითხრათ, რომ ალბათ დიდი ხნის მანძილზე აღარ მოგიწევთ ერთიმეორის ნახვა. ლედი ძალიან იშვიათად თუ მოახერხებს ჩვენთან მოსვლას...

მ ა რ ვ უ დ ი (განზე). პირდაპირ უმიზნებს.

ს ა რ ა. მელეფონტ, თქვენ ამით ძლიერ სასიამოვნო იმედს მტაცებთ.

მ ა რ ვ უ დ ი. მე გაცილებით მეტს ვკარგავ ამით, კეთილო მის.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მაგრამ ნამდვილად, ლედი, ხვალ დილაამდე არ აპირებთ გამგზავრებას?

მ ა რ ვ უ დ ი. შეიძლება მანამდეც (განზე). ჯერ კიდევ არავინ მოდის!

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ჩვენც აღარ გავჩერდებით აქ მეტ ხანს. ხომ მართალია, ძვირფასო მის? კარგი არ იქნება, ჩვენს პასუხს რომ დაუყოვნებლივ გავეყვით? სერ უილიამი, ცხადია, არ გვიწყენს აჩქარებას.

### გამოსვლა მუხვილი

ბ ე ტ ი. მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ს ა რ ა. მ ა რ ვ უ დ ი.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. რა გინდა, ბეტი?

ბ ე ტ ი. თქვენთან გადაუდებელი მოლაპარაკება სურთ.

მ ა რ ვ უ დ ი. (განზე). აა! სწორედ ახლაა საქმე...

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ჩემთან? გადაუდებელი? ეხლავე მოვალ. ლედი, ხომ არ ინებებთ თქვენი სტუპრობის დასრულებას?

ს ა რ ა. რატომ, მელეფონტ? ლედი იმდენ სიკეთეს გამოიჩინა, რომ თქვენს დაბრუნებამდე მოიცდის.

მ ა რ ვ უ დ ი. მაპატიეთ მის, მე ვიცნობ ჩემს ბიძაშვილ მელეფონტს და მირჩევნია მასთან ერთად გავიდე.

ბ ე ტ ი. იმ უცნობს, ბატონო, თქვენთვის მხოლოდ ორიოდე სიტყვის თქმა სურს. ამბობს, ერთი წამის დაკარგვაც კი არ შემიძლია...

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. წადი, წადი, ახლავე მასთან გავჩნდები. ჩემი ვარაუდით, მის, ეს საბოლოო ცნობა უნდა იყოს იმ შეთანხმების შესახებ, რომელზედაც მოგახსენებდით (ბეტი გაღის.)

მ ა რ ვ უ დ ი (განზე) ჩინებული ვარაუდია!

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. მაგრამ, მაინც, ლედი...

მ ა რ ვ უ დ ი. ო, თუ კი მიბრძანებთ, მაშინ ნება მიბოძეთ, მის.

ს ა რ ა. არავითარ შემთხვევაში, მელეფონტ: ხომ არ მომაკლებთ ამ სიამოვნებას, ლედი სოლმსი თქვენს დაბრუნებამდე გავართო?

მელეფონტი. თქვენ ეს გსურთ, მის?

სარა. ნულარ აყოვნებთ, ძვირფასო მელეფონტ, ოღონდ მალე კი დაბრუნდით. მაგრამ მხიარული სახით. თქვენ უკვეელია უსიამოვნო ცნობას ელით. ნურაფრის დარდი ნუ გექნებათ; მე უფრო ის მინდა ვნახო, თუ რამდენად ძალგიძთ თქვენს მემკვიდრეობას ჩემი თავი არჩიოთ, ვიდრე ვიცოდე, რომ ეს მემკვიდრეობა მიღებული გაქვთ...

მელეფონტი. თქვენი ნება იყოს. (მარჯულს) ლედი, ერთ წამში დავბრუნდები (გაღის.)

მარკუდი (განზე). გზა მშვიდობისა!

## ზამოსვლა მირვე

სარა. მარკუდი.

სარა. ჩემი კეთილი მელეფონტის თავაზიანობაში ზოგჯერ სიყალბე გამოერევა ხოლმე. თქვენც ხომ ამჩნევთ ამას, ლედი?..

მარკუდი. ალბათ მე ისე ვარ შეჩვეული მის ქცევას, რომ ასეთ რამეს ველარ ვამჩნევ.

სარა. არ დაბრძანდებით, ლედი?

მარკუდი. თუ ნებას მომცემთ, მის... (განზე, იმ დროს როჯა სხდებიან). უსარგებლოდ არ უნდა გავაცდინო ეს ხელსაყრელი წუთები...

სარა. მითხარით, ლედი, როგორა ფიქრობთ, განა უბედნიერესი ქალი არ ვიქნები ჩემს მელეფონტთან?

მარკუდი. თუ კი მელეფონტი შეიფერებს თავის ბედნიერებას, მაშინ მის სარა სახარბიელოს გახდის მის ხვედრს. მაგრამ...

სარა. მაგრამ... და თანაც ასეთი ფიქრობიერი პაუზა, ლედი...

მარკუდი. მე გულწრფელი ვარ, მის...

სარა. მით უფრო პატივსაცემი...

მარკუდი. ჩემს გულწრფელობას ხშირად წინდაუხედაობამდე მიყვევარ ხოლმე. ჩემი „მაგრამ“ ამის საბუთია. ძლიერ დაუფიქრებელი „მაგრამ“.

სარა. არა მგონია, რომ ლედის სურდეს, რომ ამით კიდევ უფრო შემაშფოთოს. ძალზე მკაცრი თანაგრძნობა უნდა იყოს, როცა მხოლოდ გაგრძნობინებენ ბოროტებას, რომელიც შეუძლიათ დაგანახონ.

მარკუდი. სრულებითაც არა, მის, ნეტისმეტად დიდ მნიშვნელობას აწერთ ჩემს „მაგრამს“. მელეფონტი ჩემი ნათესავია...

სარა. მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება უმცირესი შენიშვნაც კი, რომელიც მის საწინააღმდეგოდ გაქვთ სათქმელი.

მ ა რ ვ უ დ ი. მაგრამ თუნდ მელეფონტი ჩემი ძმაც იყოს, მაინც უნდა გითხრათ, რომ მე უყოყმანოდ ავამხედრებდი მის წინააღმდეგ ქალიშვილს, თუკი შევამჩნევდი რომ მელეფონტი მას უმართებულოდ ექცევა. ჩვენ, ქალებმა, ერთი ჩვენთაგანის შეურაცხყოფა ყველას შეურაცხყოფად უნდა მივიჩნიოთ და ვაქციოთ საერთო საქმედ, რომელშიც დაუფიქრებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა დამნაშავეს დამაც და დედამაც.

ს ა რ ა. ეს შენიშვნა...

მ ა რ ვ უ დ ი. უკვე მინათებდა გზას ხანგამოშვებით, საექვრო შემთხვევების დროს.

ს ა რ ა. მე კი მიქადის... უკვე ვკანკალებ...

მ ა რ ვ უ დ ი. არა, მის; თუ კანკალს დაიწყებთ, უმჯობესია სხვა რამეზე ვილაპარაკოთ...

ს ა რ ა. სასტიკო ლედი!

მ ა რ ვ უ დ ი. გული მტკივა, რომ თქვენ კარგად ვერ მიმიხვდით. როცა თავს მის სამპსონის ადგილას წარმოვიდგენ, ვფიქრობ, რომ ნამდვილად წყალობად მივიღებდი ყოველ ცნობას, რომელსაც მომავლიდნენ იმ აღამიანზე, ვისთანაც ჩემი ბედის დაკავშირებას ვაპირებ.

ს ა რ ა. მაგით რისი თქმა გნებავთ, ლედი? განა არ ვიცნობ უკვე ჩემს მელეფონტს? მერწმუნეთ, მე მას ისევე კარგად ვიცნობ, როგორც საკუთარ სულს. ვიცი, რომ მას ვუყვარვარ...

მ ა რ ვ უ დ ი. და სხვებიც...

ს ა რ ა. უყვარდა. ესეც ვიცი. განა მანამდევე უნდა ვცვარებოდი, როცა ჩემ შესახებ ჯერ კიდევ არაფერი არ იცოდა? ნუთუ შემიძლია ვისურვო, ვყოფილიყავი ერთადერთი მისთვის მოსაწონი არსება? განა თვითონვე არ უნდა გამოვუტყდე ჩემს თავს, რომ ვცდილობდი, მისთვის თავი მომეწონებინა? ნუთუ მელეფონტი არ არის იმდენად მომხიბლავი, რომ ეს მისწრაფება ბევრში აღეძრა? ამიტომაც განა ბუნებრივი არ არის, თუ ზოგიერთის მისწრაფებას წარმატება ხვდა?

მ ა რ ვ უ დ ი. თქვენ მას ისევე მხურვალედ და თითქმის იმავე საბუთებით იცავთ, რომლებითაც მე არა ერთხელ მომხდომია მისი დაცვა. მას რომ უყვარდა, ეს არ არის დანაშაული. კიდევ უფრო ნაკლები დანაშაულია, რომ ის უყვარდათ. მაგრამ თავქარიანობა დანაშაულია.

ს ა რ ა. ყოველთვის არა; მე მგონია, რომ იგი ხშირად სიყვარულის საგნით არის გამოწვეული, რომელიც იშვიათად იმსახურებს მუდმივ სიყვარულს.

მარვედი. მის სამპსონის ზნეობრივი მრწამსი, როგორც ჩანს, ძლიერ მკაცრი არ უნდა იყოს.

სარა. მართალია; სრულებითაც არ არის მკაცრი ჩემი მრწამსი, რომლითაც ხელმძღვანელობას იმათ ვთავაზობ, ვინც თვითონ აღიარებს თავის შეცდომებს. და იგი არც უნდა იყოს მკაცრი. რადგან აქ საქმე იმას კი არ ეხება, რომ საზღვრები დაგიწესოთ, რომელთაც სათნოება სიყვარულს უდებს; არამედ მხოლოდ იმას, რომ შევეუნდოთ ადამიანურ სისუსტეს, თუკი მან ამ საზღვრებში დარჩენა ვერ შესძლო, და რომ ამ სისუსტისაგან გამომდინარე შედეგები გონების კანონებით განვსაჯოთ. თუ, მაგალითად, მელეფონტს ვილაც მარვედი უყვარს და ბოლოს მას სტოვებს, თვით ამ სიყვარულის მიმართ ეს კარგიც არის... უბედურება იქნებოდა, მელეფონტს რომ სამუდამოდ ჰყვარებოდა გახრწნილი ქალი მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ოდესღაც უყვარდა.

მარვედი. მაგრამ, მის, განა თქვენ იცნობთ იმ მარვედს. რომელსაც ასე დარწმუნებით უწოდებთ გახრწნილს?

სარა. მე ვიცნობ მას მელეფონტის აღწერით.

მარვედი. მელეფონტის? ნუთუ არასოდეს მოგსვლიათ აზრად, რომ მელეფონტი საკუთარი საქმის სანდო მოწმე ვერ იქნება?

სარა. მხოლოდ ახლა ვამჩნევ, ლედი, რომ თქვენ ჩემი გამოცდა გნებავთ, მელეფონტი უთუოდ გაიღიმებს, როცა მოუყვებით, თუ როგორი თავგამოდებით ვიცავდი მას.

მარვედი. მომიტევეთ, მის, მელეფონტმა არაფერი არ უნდა გაიგოს ამ საუბრის შესახებ. თქვენ იმდენად კეთილშობილი ხართ, რომ არ მოისურვებთ, მეგობრული გაფრთხილებისთვის მადლობის ნაცვლად ჩემს ნათესავს წამაჩხუბოთ. მე ასე მხოლოდ იმიტომ ვლაპარაკობ მის წინააღმდეგ, რომ ისე განვიცდი ჩემი სქესის მრავალი უმშვენიერეს; არსების მიმართ მელეფონტის უღირს ქცევას, თითქოს მე თვითონ მეტანჯოს მის გამო.

სარა. მე არავისი წაჩხუბება არ მინდა, ლედი; და ვისურვებდი, რომ სხვებსაც არ ჰქონდეთ ეს განზრახვა.

მარვედი. გნებავთ, რამდენიმე სიტყვით გადმოგცეთ მარვედის ამბავი?

სარა. რა ვიცი... თუმცა კარგი, მოყვებით, ლედი; მხოლოდ იმ პირობით, რომ მაშინვე შეწყვიტოთ თქვენი მოთხრობა, როგორც კი მელეფონტი დაბრუნდება. მან შეიძლება იფიქროს, რომ მე თვითონ მოვიწოდებ ყოველივე ამის გამორკვევა, მე კი სულაც არ მსურს, რომ მელეფონტმა მისთვის საზიანო ცნობისმოყვარეობა მომაწეროს.

მარვედი. თქვენ რომ არ დაგესწროთ, მეც სწორედ ასეთ-სავე სიფრთხილეს გთხოვდით. მან ექვიც კი ვერ უნდა აიღოს, რომ

მარკუდი იყო ჩვენი საუბრის საგანი; და თქვენც იმდენ სიფრთხილეს გამოიჩინეთ, რომ ამის შესახებ მასთან არაფერს იტყვიოთ. ახლა კი მისმინეთ! მარკუდი კარგი ოჯახის ქალია. იგი ახალგაზრდა ქვრივი იყო, როცა ერთ-ერთ მის მეგობარ ქალთან მელეფონტმა გაიცნო. ამბობენ, რომ ის ლამაზი იყო და არც ეშხი ჰკლებია, ურომლისოდაც სილამაზე მკვდარი იქნებოდა. მის პატიოსან სახელს ლაქა არ ეცხო. მხოლოდ ერთი რამ აკლდა: ქონება. ყველაფერი, რაც კი გააჩნდა — და ამბობენ, რომ ის ოდესღაც მდიდარი ყოფილა — იმ მამაკაცის განთავისუფლებას შესწირა, რომლისთვისაც უარი ვერაფერზე ეთქვა მკს შემდეგ, რაც თავისი გული და ხელი მიუძღვნა.

ს ა რ ა. ეს, ჭეშმარიტად, კეთილშობილური ხასიათია, ლედი; ვისურვებდი, რომ მას უკეთესი სურათი დაემშვენებინა.

მ ა რ ვ უ დ ი. ქონების უქონლობის მიუხედავად მის ხელს მაინც ეძიებდნენ მამაკაცები, რომელთაც გულით სურდათ მისი გაბედნიერება. ამ მდიდარ და ცნობილ თაყვანისმცემლებში მელეფონტიც გამოერია. მისი წინადადება სერიოზული იყო და ფუფუნებას, რომელსაც ის მარკუდს ჰპირდებოდა, ყველაზე ნაკლებ ემყარებოდა მისი იმედები. მას მარკუდთან პირველმავე საუბარმა დაანახა, რომ საქმე აქვს არა ეგოისტ, არამედ ნაზი გრძნობით აღსავსე ქალთან, რომელიც სასახლეს ქოხს ამჯობინებს, თუ სასახლეში გულგრილ პიროვნებასთან მოუხდება ცხოვრება, ხოლო ქოხში კი საყვარელ ადამიანთან.

ს ა რ ა. აი, კიდევ ერთი თვისება, რომლის ღირსადაც არა ვცნობ მარკუდს. მეტად ნულარ შელამაზებთ მას, ლედი თორემ, ბოლოს, იძულებულს გამხდით, შევიბრალო.

მ ა რ ვ უ დ ი. მელეფონტი მზად იყო მას ქორწინებით დაკავშირებოდა, როდესაც ცნობა მიიღო, რომ ბიძა მოუკვდა, რომელაც მთელ თავის ქონებას იმ პირობით უტოვებდა, თუკი შეირთავდა ვიღაც შორეულ ნათესავს. რადგან მარკუდმა მისი გულისთვის უფრო მდიდარი თაყვანისმცემლები უარპყო, მელეფონტსაც არაფრით არ უნდოდა, რომ მისთვის ქალს ეჯობნა დიდსულოვნებით. მან გადასწყვიტა მანამდე არ ეთქვა მარკუდისათვის მემკვიდრეობის შესახებ, ვიდრე მასზე დაქორწინებით არ დაჰკარავდა უფლებას ამ მემკვიდრეობაზე. ხომ მართალია, მის, რომ ეს დიდებულად იყო მოფიქრებული?

ს ა რ ა. ო, ლედი, ჩემზე უკეთ ვინ იცის, რომ მელეფონტს უკეთილშობილესი გული აქვს!

მ ა რ ვ უ დ ი. მაგრამ რა ქნა მარკუდმა? მან ფარულად გაიგო. უკვე გვიან შელამაზებულზე, რაც მელეფონტს მის გამო გადაეწყვიტა.

მელეფონტი დილით მივიდა მის სანახაავად, მაგრამ მარვული უკვე წასულიყო.

ს ა რ ა. სად? რატომ?

მ ა რ ვ უ დ ი. მელეფონტს მხოლოდ მისი წერილიღა დახვდა. მარვული სწერდა, არავითარ შემთხვევაში არ იფიქრო, რომ ოდესმე კიდევ შემხვდეთ. თუმცა ვერ უარყყოფ, რომ მიყვარხარ, მაგრამ სწორედ ამიტომ ვერ გადაგადგმევენებ ნაბიჯს, რომელსაც თავის დროზე უეჭველად ინანებო. იგი მელეფონტს ათავისუფლებდა პირობისაგან და სთხოვდა, დაუყოვნებლივ შეესრულებინა ანდერძში მოცემული პირობა, რათა დაპატრონებოდა იმ ქონებას, რომელიც წარჩინებულ კაცს შეუძლია უკეთეს რაიმესთვის გამოიყენოს, ვიდრე უგუნურად შესწიროს ვიღაც ქალის სიამოვნებას.

ს ა რ ა. ნება მიბოძეთ გკითხოთ, ლედი, რატომ აწერთ მარვულს ასეთ მშვენიერ სურვილებს? ლედი სოლმსს შეიძლება ჰქონდეს ამისი უნარი, მაგრამ მარვულს არა; მარვულს, ცხადია, არა.

მ ა რ ვ უ დ ი. გასაკვირი არ არის, მის, რომ თქვენ მარვულის წინააღმდეგ ხართ განწყობილი... მელეფონტმა პირდაპირ ჰკუა დაკარგა მარვულის ასეთი გადაწყვეტილების გამო. მან ყოველ მხარეს დაგზავნა ხალხი მის მოსაძებნად და ბოლოს იპოვა კიდევ.

ს ა რ ა. რადგან თვითონვე ეპოვნინა, უეჭველია.

მ ა რ ვ უ დ ი. ნუ იძლევით გესლიან შენიშვნებს, მის! თქვენისთანა ნაზი შეხედულებების მქონე ქალს ეგ არ შეჰფერის. მან ის იპოვაო, ვამბობდი, მაგრამ იპოვა თავის სიტყვაზე უარყევად მდგარი. მარვულს არაფრის დიდებით არ უნდოდა მიეღო მისი ხელი და ყველაფერი, რასაც მელეფონტმა მასთან მიალწია, ის იყო რომ ქალი დაბრუნებას შეჰპირდა. ისინი შეთანხმდნენ თავიანთი ქორწინება იმ დრომდე გადაედოთ, ვიდრე ნათესავი ქალი ხანგრძლივი ლოდინით არ გაბეზრდებოდა და იძულებული არ გახდებოდა რაიმე შეთანხმება შეეთავაზებინა. ამასობაში მარვულს, ცხადია, არ შეეძლო უარი ეთქვა მელეფონტთან ყოველდღიურ შეხვედრებზე, რომელნიც სხვას არაფერს წარმოადგენდნენ, თუ არა მეგობრობის ფარგლებში ჩაყენებული შეყვარებულის მოკრძალებულ სტუმრობას. მაგრამ მგზნებარე ტემპერამენტი ძნელად თუ შესძლებს, რომ ეს ვიწრო ფარგლები არ გადალახოს! მელეფონტი აღჭურვილია ყველაფრით, რაც მამაკაცს ჩვენთვის საშიშსა ხდის. არავის შეუძლია ეს უკეთ იცოდეს, ვიდრე თვითონ მის სარა სამპსონმა იცის.

ს ა რ ა. ოჰ!

მ ა რ ვ უ დ ი. თქვენ ოხრავთ! მარვულსაც არა ერთხელ უოხრავს თავის სისუსტეზე და ახლაც ოხრავს.

ს ა რ ა. კმარა, ლედი, კმარა; თქვენი საუბრის ეს შეტრიალება, ჩემი აზრით, უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩემი გესლიანი შენიშვნა. რომელიც ამიკრძალებოდა.

მ ა რ ვ უ დ ი. მე არ განმიზრახავს თქვენი შეურაცხყოფა, მაგრამ მსურდა თქვენთვის ისე წარმომედგინა უბედური მარჯუდი, რომ უფრო სწორად შეგძლებოდათ მისი განსჯა... ერთი სიტყვით, სიყვარულმა მელეფონტს მიანიჭა მეუღლის უფლება და იგი უკვე აღარ თვლიდა საჭიროდ, რომ ეს უფლება კანონიერი გაეხადა. რა ბედნიერი იქნებოდა მარჯუდი, რომ მისი სირცხვილი მხოლოდ მას, მელეფონტსა და ღმერთს სცოდნოდათ! რა ბედნიერი იქნებოდა, რომ საბრალო გოგონას მთელი ქვეყნისათვის არ ემცნო ის, რაც მას სურდა საკუთარი თავისთვისაც კი დაეფარა.

ს ა რ ა. რას ბრძანებთ, ლედი? გოგონა...

მ ა რ ვ უ დ ი. დიახ, მის, უბედური გოგონა სარა სამპსონის ჩარევით ყოველგვარ იმედს კარგავს, რომ ოდესმე მოუხდება ზიზლის გარეშე შესძლოს თავისი მშობლების ხსენება.

ს ა რ ა. საშინელი ცნობაა! და ეს დამიძალა მელეფონტმა?.. განა შეიძლება ეს დაგიჯერო, ლედი?

მ ა რ ვ უ დ ი. უთუოდ შეგიძლიათ დაიჯეროთ, მის, რომ მელეფონტმა ალბათ ბევრი სხვა რამეც დაგიმალათ.

ს ა რ ა. ბევრი სხვა? ამაზე მეტი რაღა შეეძლო მას ჩემთვის დაემალა?

მ ა რ ვ უ დ ი. ის, რომ მას მარჯუდი დღესაც უყვარს.

ს ა რ ა. თქვენ ბოლოს მომიღებთ, ლედი!

მ ა რ ვ უ დ ი. დაუჯერებელია, რომ სიყვარული, რომელიც ათწელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, ასე სწრაფად გაქრეს. შეიძლება იგა მცირე ხნით დაიჩრდილოს, დიახ, მხოლოდ მცირე ხნით დაიჩრდილოს, რის შემდეგაც ახალი ძლიერებით აღმოზრწყნდება უთუოდ. მე შემძლია დაგისახელოთ მის ოკლაფი, მის დორკასი, მის მოორი და მრავალი სხვა, რომელნიც მარჯუდს იმ კაცის ჩამოცილებით ემუქრებოდნენ, რომელმაც ისინი ბოლოს სასტიკად მოატყუა. მელეფონტს ერთი განსაზღვრული წერტილი აქვს, რომლის იქეთაც თავს არავის წაატყუებინებს, და როგორც კი აიძულებენ, რომ თავისი აზრი ნათლად გამოთქვას, მაშინვე განზე გახტება ხოლმე. თუნდაც ვთქვათ, მის, რომ თქვენ ერთადერთი ბედნიერი იყოთ, რომელიც მელეფონტს მისთვის ყოველმხრივ არახელსაყრელ ვითარებაში დაუკავშირდა, ვთქვათ, მელეფონტი იქამდის მიიყვანეთ, რომ დააძლევინეთ ფორმალური უღლის ზიზლი, რომელიც ძველ-რბილში აქვს გამჯდარი; ნუთუ ეს შეგინარჩუნებდათ მის გულს?

ს ა რ ა. ო, რა უბედური ვარ! ეს რა მესმის!

მ ა რ ვ უ ლ ი. სრულებითაც არა. მაშინ იგი საჩქაროდ ისევ იმის მკლავებს მიაშურებს, ვინც მის თავისუფლებაზე არცთუ დიდად ეჭვიანობს. თქვენ მხოლოდ გერქმევათ მისი მეუღლე, ის კი ნამდვილი მეუღლე იქნება.

ს ა რ ა. ნულარ მაწამებთ მაგ საშინელი წარმოსახვებით! უმჯობესია მირჩიოთ, ლედი, გევედრებით მირჩიოთ, როგორ მოვიქცე. თქვენ უნდა იცნობდეთ მელეფონტს. თქვენ გეცოდინებათ, რით შეიძლება მის თვალში ფასი მიეცეს იმ კავშირს, რომლის გარეშეც უწრფელესი სიყვარულიც კი უწმინდურ ვნებად რჩება.

მ ა რ ვ უ ლ ი. ჩიტის დაჭერა რომ შეიძლება, მის, ეს, რა თქმა უნდა. კარგად ვიცი. მაგრამ როგორ მივალწიოთ, რომ მას გალია თავისუფალ მინდორზე მეტად ეამოს, ამაზე კი რა მოგახსენოთ. ამიტომ ჩემი რჩევა იქნებოდა, იგი სულაც არ დაგეჭირათ და თავი დაგეზღვიათ იმ წყენისაგან, რომელიც ამოო ცდას მოსდევს ხოლმე. მხოლოდ იმით დაკმაყოფილდით, მის, რომ ჩიტი თქვენს მახესთან ძლიერ ახლოს ნახეთ; და ვინაიდან იმის გათვალისწინება შეგიძლიათ, რომ მახეში შეტყუებული ჩიტი მას ნამდვილად გაგლეჯს, თქვენს მახეს გაუფრთხილდით და მასში ჩიტს ნუ შეიტყუებთ.

ს ა რ ა. არ ვიცი, სწორედ მესმის თუ არა ეგ ორაზროვანი შედარება, ლედი....

მ ა რ ვ უ ლ ი. თუ კი მან გაგაჯავრათ, ეს იმას ნიშნავს, რომ გაგიგიათ მისი აზრი. ერთი სიტყვით, როგორც საკუთარმა, ისე სხვის საჩვენებლობამ, გონიერებამ და სამართლიანობამ ხელი უნდა ააღებინოს მის სამპსონს მამაკაცზე, რომელზეც ყველაზე მეტი უფლება მარვულსა აქვს. თქვენ ამჟამად, მის, ჯერ კიდევ ისე ხართ მელეფონტთან დაკავშირებული, რომ შეგიძლიათ მას, არ ვამბობ, რომ პატიოსანად, მაგრამ მაინც სახალხოდ შერცხვენის გარეშე ჩამოსცილდეთ. შეყვარებულთან ერთად მცირე ხანს გაუჩინარება, ცხადია, ერთგვარი ლაქაა, მაგრამ ისეთი ლაქა, რომელსაც დრო წაშლის. რამდენიმე წლის შემდეგ ყველაფერი დაგიწყებას მიეცემა და მდიდარი მემკვიდრეობის მქონე ქალს ყოველთვის გამოუჩინდებიან მამაკაცები, რომლებიც ამ ამბავს დიდ ყურადღებას არ მიაქცევენ. მარვული თქვენს ადგილზე რომ იყოს და თავისი შემჭკნარი სილამაზისათვის მეუღლეს ხოლო თავისი უმწეო ასულისათვის მამას არ საჭიროებდეს, ნამდვილად ვიცი, უფრო დიდსულოვანად მოექცეოდა მის სამპსონს, ვიდრე მის სამპსონი ექცევა მას, როცა თავს სამარცხვინო დაბრკოლებებით იმართლებს.



ს ა რ ა (უმაყოფილოდ წამოდგება). ეს უკვე მეტისმეტია! ნუთუ ასე უნდა ლაპარაკობდეს მელეფონტის ნათესავი? ო, რა უღირსად გლალატობენ, მელეფონტი! ახლა მივხვდი, ლედი, თუ რატომ არ სურდა მელეფონტს ჩემთან მარტოდ დაეტოვებინეთ. მან ალბათ უკვე იცის, თუ რა საშინელია თქვენი ენა. გესლიანი ენა! მკვახედ ვლაპარაკობ! მაგრამ ლედიმ საკმაოდ დიდხანს ილაპარაკა მოური-დებლად. ერთი მითხარით, რითი მოიპოვა მარვუდმა ასეთი დამცველი, რომელიც მთელ თავის ნიჭსა და ძალას არ ზოგავს, რომ მის შესახებ ასეთი ბრწყინვალე რომანი შემითხზას; და ყოველგვარ ოინს მიმარ-თავს, რათა იმ მამაკაცის პატიოსნებაში დამაუკვოს, რომელიც ადა-მიანია, და არა ურჩხული. განა ეს მხოლოდ იმიტომ არ მითხარით, რომ მარვუდი მელეფონტისაგან შექენილი ქალიშვილით ამაყობს? განა იმისთვის არ დამისახელეთ ესა თუ ის მოტყუებული ქალი, რათა ჩემთვის ნათლად მიგვხვედრებინათ, რომ კარგს ვიზამდი. თუ თვითონვე დავუთმობდი ჩემს ადგილს გამოუსწორებელ კახბას?

მ ა რ ვ უ დ ი. ნუ ცხარობთ ასე, ახალგაზრდა ქალბატონო! გა-მოუსწორებელი კახბაო? თქვენ ზოგჯერ საეგებისო სიტყვებს ხმა-რობთ, რომელთა ძალასაც არ უფიქრდებით.

ს ა რ ა. განა მარვუდი სწორად ასეთი არ გამოდის თვით ლედი სოლმსის აღწერითაც? კეთილი, ლედი, თქვენ მისი მეგობარი ხართ, შეიძლება უახლოესი მეგობარიც. მე ამას არა გსაყვედურობთ, რად-გან ქვეყანა ისე არ არის მოწყობილი, რომ ყველას მხოლოდ სათნო მეგობრები ჰყავდეს. მაგრამ მე რით დავიმსახურე, რომ მისდამი მე-გობრობის გამო ასე მამცირობთ? მე რომ მარვუდის გამოცდი-ლება მქონოდა, ნამდვილად არ გადავდგამდი იმ მცდარ ნაბიჯს. რომელიც მარვუდთან მათანაბრებს. და კიდევაც რომ გადამედგა, ათ წელს მაინც არ დაგყოფდი ამ მდგომარეობაში. ერთია, როცა უცო-დინარობის გამო წააწყდები ბიწიერებას, ხოლო სულ სხვაა, როდეს-საც იცი, რომ სცოდავ, და მაინც ეგუები ამას... ოჰ, ლედი, რომ იცო-დეთ, რამდენ მონანიებად, რა სინდისის ქენჯნად, რა შიშის ფასად დამიჯდა ჩემი შეცდომა! ჩემი შეცდომაო! ვამბობ; რადგან რატომ-ღა უნდა მოვექცე თავს ასე მკაცრად და ბოროტმოქმედებად ჩავთ-ვალო ჩემი საქციელი? თვით ზეცა აღარ ჩასთვლის მას შეცდომად; იგი სასჯელს ამხდის და ისევე მაჩუქებს მამას... თქვენ მე მაშინებთ, ლედი, როგორ ერთბაშად შეგეცვალათ სახე. ალი მოგედოთ; გაფარ-თობულ თვალეებში სიშმაგე გეხატებათ; კბილთა ღრჭიალი... აჰ! თუ ასე გაგაბრაზეთ, ლედი, პატიებასა გთხოვთ. მე გულფიცხი სულელი ვარ. რაც მითხარით, ცხადია, ბოროტი მიზნით არ გითქვამთ. დაივი-წყეთ ჩემი წინდაუხედაობა. რით შემიძლია დაგამშვიდოთ? როგორ

შევძლო, რომ თქვენში ისეთივე მეგობარი ვპოვო, როგორც მარვუდმა პპოვამ? ნება მიბოძეთ, ლედი, ნება მიბოძეთ ეს დაჩოქილმა გთხოვოთ. (მუხლებზე ეწვება.) თქვენი მეგობრობა გთხოვოთ და თუ ამას ვერ მივიღებ, სამართლიანობა მაინც მაღირსოთ და მე და მარვუდი არ გაგვატოლოთ.

მარვუდი (ამაყად რამდენიმე ნაბიჯით დაიხვეს უკან, ხარას იმავ მდგომარეობაში სტოვებს). სარა სამბსონის ეს ყოფა ისე სიამოვნებს მარვუდს, რომ ამით თავისი სახელის გაუმხილებლად ვერ გაიხარებს... მაშ იცოდეთ, მის, მე ის მარვუდი ვარ, რომელთანაც თქვენი შედარებაც არ შეიძლება და რომლის წინაშეც ახლა დაჩოქილი ბრძანდებით.

სარა (შიშით აღვისილ: წამოხტება და აცახცახებული დაიხვეს უკან.) თქვენ მარვუდი ხართ? აჰ! ახლა გიცანი... ახლა გიცანი ჩემო მოსისხლე მხსნელო, სიზმარში რომ ხანჯლით გამომეცხადე. ის არის! გაიქეც, უბედურო სარა! მიხსენით, მელეფონტი! იხსენით თქვენი სატრფო! და შენც მამაჩემო, ხმა გამე! სად ისმის შენი ტკბილი ხმა? და სად მივაშურო ამ ხმას? აქ?.. თუ იქ? მიშველეთ, მელეფონტი! მიშველეთ, ბეტი! აი, მან აღმართა თავისი მომაკვდინებელი ხელი! მიშველეთ! (გარბის.)

## გამოსვლა მესხრე

მარვუდი.

მარვუდი. რა უნდა ამ დამთხვეულს? ო, იგი რომ მართალს ამბობდეს და მე შევძლო მასზე მომაკვდინებელი ხელის აღმართვა! აი, ამ დღისთვის უნდა გავფრთხილებოდი ჩემს ფოლადს, მე სულელი! რა ნეტარებაა, გული გაუგმირო შენს ფეხებთან თავისი ნებით დამხობილ მეტოქეს!.. ახლა როგორღა მოვიქცე?.. ნილაბი ავიხადე უკვე. მელეფონტს შეუძლია ამ წუთშივე მოვიდეს. გავექცე მას? თუ დაერჩე და მოვუცადო? დაველოდები, მაგრამ არა უსაქმოდ. შეიძლება ჩემი მსახურის მოხერხებულმა ოინბაზობამ მელეფონტი კიდევ კარგა ხანს დააკავოს!.. ვხედავ, რომ აქ ჩემი ეშინიათ. მაშ რატომ უკან არ გავყევი მას? რატომ არა ვცდი უკანასკნელ საშუალებას, რომელიც შემიძლია მის წინააღმდეგ გამოვიყენო? მუქარა სუსტი იარაღია. მაგრამ სასოწარკვეთილება არ უგულვებელყოფს არავითარ მუქარას, რა უმწოც არ უნდა იყოს იგი. მშიშარა გოგო, რომელიც ჩემი სახელის გაგონებისთანავე თითქმის გონებაშერყეული და გრძნობამიხდილი გარბის, ადვილად შესძლებს, საშინელი სიტყვები საშინელ საქმედ მიიღოს... მაგრამ მელეფონტი?.. მელეფონტი მას

კვლავ გაანჩნევენ და დაარიგებს, რომ სასაცილოდ აიგდოს ჩემი მუქარა. დაარიგებს? შეიძლება არც დაარიგოს. ადამიანები თავიანთი საქმის დასასრულს ყოველთვის რომ ხედავდნენ, იშვიათად თუ მოჰკიდებდნენ მას ხელს. განა მეც ყოველგვარი უბედურებისათვის უკვე მზად არა ვარ?.. ხანჯალი სხვებისთვის მქონდა, საწამლაჳი კი ჩემთვის. საწამლაჳი ჩემთვის! დიდი ხანია მას ჩემთან ვატარებ, დიდი ხანია, რაც აქ, ჩემი გულის მახლობლად, ელის ის შესაძლებლობას გამიწიოს სამწუხარო სამსახური აქ, სწორედ იმ ადგილას, სადაც ოდესღაც, ბედნიერს დროში, თაყვანისმცემელთა პირფერულ ბარათებს ვინახავდი ხოლმე... ჩვენთვის ასევე უეჭველ, მაგრამ უფრო ნელა მოქმედ საწამლავს... ო, ნეტა მას მარტო ჩემს სისხლში არ მოუხდეს შეჭრა. ო, ნეტა იმ მოლაღატეს... მაგრამ რაღას ვაყოვნებ და ნატვრაში ვაცდენ დროს? წინ! მე არც მას და არც ჩემს თავს არ უნდა ვაცალო გონს მოსვლა. გულმშვიდად ვის რა გაუბედნია.

## მოქმედება მისთვის გამოსვლა პირველი

ს ა რ ა ს ო თ ა ხ ი.

ს ა რ ა (მისუსტებული საფარქელში წევს). ბეტი.

ბ ე ტ ი. ცოტა უკეთ ხომ არა გრძნობთ თავს, მის?

ს ა რ ა. უკეთ, ბეტი? ოჰ, ნეტა მელეფონტი მალე დაბრუნდეს, ხომ გაგზავნე მასთან ვინმე?

ბ ე ტ ი. ნორტონი და სასტუმროს პატრონი წავიდნენ მის საძებნელად.

ს ა რ ა. ნორტონი კეთილი ადამიანია, მაგრამ ფიცხია. სრულე-ბითაც არ მინდა, რომ ჩემი გულისათვის უკმეხი რამ უთხრას თავის ბატონს. მარვულისავე ნაანზობის მიხედვით, მელეფონტი არაფერში არ არის დამნაშავე. ხომ მართალია, ბეტი, შენც ხომ უდანაშაულოდ თვლი მელეფონტს? მარვუდი კვალდაკვალ დასდევს მელეფონტს; მან რა უნდა ქნას? ის ბრაზობს, შმაგობს, მელეფონტის მოკვლას აპირებს ხედავ, ბეტი? ეს საფრთხე ხომ მე შევეუქმენი მელეფონტს. მაშ ვინ-და, თუ არა ჩე? ბოლოს, ბოროტმა მარვუდმა ჩემი ნახვა მოინ-დომა, უამისოდ არ ისურვა ლონდონში დაბრუნება. მელეფონტს შე-ეძლო, რომ ამ უბრალო თხოვნაზე უარი ეთქვა? მეც ხომ ხშირად გა-მომითქვამს მარვუდის ნახვის სურვილი. მელეფონტმა კარგად იცის. რომ ჩვენ ცნობისმოყვარე არსებანი ვართ. და თუ მე თვითონ არ და-მეყინა, მარვუდი მის დაბრუნებამდე ჩემთან დარჩენილიყო, რა თქმა უნდა, მელეფონტი მას თან წაიყვანდა. ასე გამოვიდოდა: მე მარვუდს ვნახავდი და არც მეცოდინებოდა, რომ ის ვნახე. შეიძლება ეს პატარა ტყუილი ოდესმე სიამოვნებას მომანიჭებდა კიდევაც. ერთი სიტყვით ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. ახლა კი ცოტა შევ-შინდი, მეტი არაფერი! ეს ხანმოკლე გულყრა არაფერს ნიშნავს. შენ ხომ იცი, ბეტი, რომ მე ეს მჩვევია ხოლმე.

ბ ე ტ ი. მაგრამ ასე ძლიერ გულშეწუხებული, მის, არასოდეს არ მინახიხართ.

ს ა რ ა. ამაზე ნულარაფერს მეტყვი. უთუოდ, კეთილო ბეტი, შენ ძალიან გაგაწვალე.

ბ ე ტ ი. თვითონ მარგულიც შემოთოებული ჩანდა იმ საფრთხის გამო, რომელშიც იმყოფებოდით. დაჟინებით მოვთხოვე მარგულს, საჩქაროდ გასცლოდა აქაურობას, მაგრამ მას არაფრით არ უნდოდა ოთახიდან მანამდე გასვლა, ვიდრე თვალები ცოტათი არ გაახილეთ და მე თქვენთვის წამლის დალევინება არ შევძელი.

ს ა რ ა. ბედნიერებად უნდა ჩავთვალო ის ამბავი რომ გული შემიწუხდა, ვინ იცის, რისი მოსმენა არ მომიხდებოდა. ტყუილად კი არ გამომყვა ის ჩემს ოთახში. ვერ წარმოიდგენ როგორ გამეწარდი. უცბად გამახსენდა წუხელ ნანახი საშინელი სიზმარი და გამოვიქეცა შემულილივით, რომელმაც არ იცის, სად და რატომ გარბის. მაგრამ მელეფონტი კიდევ არ მოდის!.. ოპ!..

ბ ე ტ ი. როგორ კენესით, მის? როგორ გაყრჩოლებთ?..

ს ა რ ა. ღმერთო, ეს რა გრძნობა იყო...

ბ ე ტ ი რალა გემართებათ?

ს ა რ ა. არაფერი, ბეტი. მჭვალა! მაგრამ ერთი კი არა, თითქოს ათასი მჭვალი მედგას! მაგრამ დანშვიდდი, უკვე გამიარა.

### გამოსვლა მორჩე

ნ ო რ ტ ო ნ ი. ს ა რ ა. ბ ე ტ ი.

ნ ო რ ტ ო ნ ი. მელეფონტი ამ წუთში აქ გაჩნდება.

ს ა რ ა. აი, ეს კარგია, ნორტონ. სად იპოვე?

ნ ო რ ტ ო ნ ი. ვიღაც უცნობმა გაიტყუა თვით ქალაქის ჭიშკრამდე, სადაც თითქოს ვიღაც ბატონი ელოდებოდა მეტად მნიშვნელოვან საქმეზე მოსალაპარაკებლად. დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ უცნობმა ძლიერ მოხერხებულად გაუხვია გვერდზე და მიეფარა უბედურება არ ასცდება, თუ სადმე ხელთ ჩაუვარდა მელეფონტს. რომელიც პირდაპირ გაშმაგებულია.

ს ა რ ა. უთხარი, რაც აქ მოხდა?

ნ ო რ ტ ო ნ ი. ყველაფერი.

ს ა რ ა. მაგრამ, იმგვარად, რომ..

ნ ო რ ტ ო ნ ი. მე მაგაზე ფიქრი არ შემეძლო. საკმარისია, რომ იცის. კვლავ როგორ შეგაშინათ თავისი წინდაუხედაობით.

ს ა რ ა. ო, არა, ნორტონ; ამაში მე თვითონ ვარ დამნაშავე.

ნორტონი. რატომ გკონიათ, რომ მელეფონტი ყოველთვის უეჭველად მართალია? — ოღონდ მობრძანდით, ბატონო ჩემო; სიყვარულმა უკვე ყველაფერი მოგიტევათ.

### ბამოსვლა მისამე

მელეფონტი, ნორტონი. სარა. ბეტი.

მელეფონტი. ოჰ, მის, ეს თქვენი სიყვარული რომ არა...  
სარა. მაშინ ჩვენ ორს შორის ყველაზე უბედური მე ვიქნებოდი. თუ სხვაგან ყოფნისას ჩემს განსაცდელზე ცუდი არაფერი შეგემთხვავთ, მე კმაყოფილი ვარ.

მელეფონტი. მე არ ვიმსახურებ ასე ალერსიან მიღებას.  
სარა. მომიტევეთ, ისე უღონოდ ვარ, რომ მეტი ალერსით ვერ გლებულობთ. მხოლოდ თქვენ საამებლად ვისურვებდი, თავი უკეთ მეგრძნო.

მელეფონტი. ჰა, მარჯულ, ეგ ლალატი კიდევ გქონდა შემონახული! ის არამზადა, რომელმაც ქუჩიდან ქუჩამდი და კუთხიდან კუთხეში ესოდენ იღუმალი სახით მატარა, ცხადია მისგან იყო მოგზავნილი. ხომ ხედავთ, ძვირფასო მის, ეს ოინი მარჯულს იმისთვის დასჭირდა, რომ თქვენგან ჩამოვეცილებინე... ტლანქი ოინია უეჭველად; და სწორად ამიტომ, ამ სიტლანქის გამო, ვერ მოვისაზრე, რომ ეს ოინი იყო. მაგრამ ტყუილად არ დასჭირდებოდა მას ეს ლალატი! ჩქარა, ნორტონ, წადი მის ბინაში და ნურსად გაუშვებ მარჯულს, ვიდრე მე არ მივალ.

სარა. რისთვის გინდათ ეგ, მელეფონტ? გთხოვთ მარჯულის გულსათვის.

მელეფონტი. გასწი (ნორტონი გაღის.)

### ბამოსვლა მიოთხე

სარა. მელეფონტი. ბეტი.

სარა. ღონემიხდილ მტერს, რომელიც უკანასკნელ უნაყოფო შეტევაზე გადავიდა, იმის ნება მაინც მიეცით, რომ მშვილად გაემგზავროს აქედან, მარჯული რომ არა, მე ხომ ბევრი რამ არ მეცოდინებოდა...

მელეფონტი. ბევრი რამ? რა არის ეს ბევრი?

სარა. ის, რასაც თქვენ თვითონ არ მეტყობით. მელეფონტ. — შეკრით? — მაშ კარგი, ვეცდები ისევ დავივიწყო ყველაფერი, რადგან თქვენ არ გინდათ, რომ ეს ვიცოდე.

მელეფონტი. არა მგონია, რომ ისეთს რამეს დაიჯერებთ. რაც ჩემდა საზიანოდ მხოლოდ გააფთრებული ცილისმწამებლის ექვიანობას შეეძლო შეეთხზა.

სარა. ამაზე სხვა დროს! მაგრამ რატომ არ ისურვეთ უწინარეს ყოვლისა ჩემთვის გეცნობებინათ ის საშიშროება, თქვენ ძვირფას სიცოცხლეს რომ ემუქრებოდა? ეს ხომ მე, მელეფონტ, მე გავლესე ის მახვილი, რომლითაც მარჯულს თქვენი გაგმირვა სურდა...

მელეფონტი. ეგ საშიშროება არც ისე დიდი იყო. მარჯულს ბრმა გაშმაგება ამოქმედებდა, მე კი დამშვიდებული ვიყავი და მისი თავდასხმაც მარცხით უნდა დამთავრებულიყო. ოღონდ მის მეორე თავდასხმას ხომ არ მოჰყოლია მეტი წარმატება, მელეფონტზე მის სარას კარგი შეხედულების წინააღმდეგ მიმართულ თავდასხმას? ამისი, ეგონებ, მართლაც უნდა მეშინოდეს... არა, ძვირფასო სარა, ნულარ დამიმალავთ, რა გითხრათ მან ჩემზე?

სარა. კეთილი. — თქვენს სიყვარულში ოდნავაც დაეჭვებულა რომ ეყოფილიყავი, მელეფონტ, გააფთრებული მარჯული ამასაც ნამდვილად გამიქრობდა. ცხადია, მას ესწის, რომ ჩემ გამო იმას კარგავს, რაც კი ყველაზე ძვირფასი გააჩნია. იგი ამას რომ ვერ ხვდებოდეს, უფრო წინდახედულად იმოქმედებდა.

მელეფონტი. ძალე სათანადოდ შევაფასებ მის მძინვარე ექვიანობას, მის უსაზღვრო თავბედობასა და მის მუხთალ ვერაგობას!.. მაგრამ, მის, ჩანს, გინდათ კვლავ აერიღოთ ჩემს კითხვაზე პასუხს და არ გამიმჩილოთ...

სარა. არა, გაგიმხელთ; რაც უკვე ვთქვი, ეს მხოლოდ შესაგალი იყო. მაშ, მელეფონტს რომ ეუყვარვარ, ეს უდავოდ ცხადია. მაგრამ ნეტავ არ დავრწმუნებულებიყავი, რომ მის სიყვარულს გარკვეული ნდობა აკლია, რომელიც ჩემთვის ისეთივე მომხიბლავი იქნებოდა, როგორც თვით სიყვარული. ერთი სიტყვით, ძვირფასო მელეფონტ... ნეტავ, ამ უეცარმა შეჭირვებამ ასე რატომ გამიძვალა ლაპარაკი?.. უკვე ყველაფერს გეტყვით, ისე, რომ აღარ დაუწყებ ძებნას იმ ფრთხილ გამოთქმებს, რომლებითაც უნდა შემერბილებინა ჩემი მონაცხრობი. მარჯულმა მოიხსენია სიყვარულის საწინდარი, ხოლო ყბედმა ნორტონმა — ოღონდ მას აბატიეთ ეს — მითხრა ერთი სახელი; ერთი სახელი, მელეფონტ, რომელმაც თქვენს გულში სხვა სინაზე უნდა აღძრას, ვიდრე ჩემ მიმართ გრძნობთ...

მელეფონტი. ნუთუ ეს შესაძლებელია? მერედა, იმ უსირცხვილომ თვითონვე აღიარა თავისი უნაბუსობა? ოჰ, მის, შემიბრალებთ... თქვენ ხომ ახლა ყველაფერი იცით, რაღად გინდათ, რომ ეს ჩემი ბაგიდანაც მოისმინოთ. იგი თქვენს თვალებს არასოდეს არ დაენახვე-

9. ლუბინგი

ბა. ეს პატარა უბედური, რომელსაც არაფერი აქვს დასაძრახისი, დედის გარდა.

ს ა რ ა. ესე იგი ის მაინც გიყვართ, ხომ?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ისე ძლიერ, მის, ისე ძლიერ, რომ ვერ უარ-  
ვყოფ ამას.

ს ა რ ა. ჩინებულია, მელეფონტი! ო, როგორ მიყვარხართ მაგ სიყვარულის გამოც. დიდად შეურაცხმყოფდით, თუ თქვენს შვილს გულიდან ამოიგდებდით, რათა ამით ჩემი გული მოგეგოთ. თქვენ უკვე იმითაც ნაწყენინეთ, რომ დამემუქრეთ, ჩემს თვალებს არ დაანახოთ თქვენი გოგონა. არა, მელეფონტი; თქვენ მიერ უზენაესის წინაშე დადებული ერთ-ერთი აღთქმა ის უნდა იყოს, რომ არაბელას არ მოიშორებთ. სახიფათოა, რომ თავისი დედის ხელში იგი თავისი მამის უღირსი გამოვა. ისარგებლეთ ორივეს შიშარტ თქვენი უფლებით და ნება მიბოძეთ დავიკავო მარკუდის ადგილი. მომანიჭეთ ბედნიერება, რომ ჩემს მეგობრად აღვზარდო ის, რომელსაც თქვენ სიცოცხლე მიანიჭეთ. ის იქნება ჩემთვის იგივე მელეფონტი ქალთა შორის. ო, რა ბედნიერი დღეები იქნება, როცა მამაჩემი, თქვენ და არაბელა ჩემი ბავშვური მოკრძალების, ჩემი გულითადი სიყვარულისა და ჩემი მზრუნველი მეგობრობის გამო შექმნით ცილობას. ბედნიერი დღეები! მაგრამ ეჰ! ეს ჯერ კიდევ შორეული მომავლის საქმეა... მაგრამ შეიძლება მათ შესახებ მომავალმა არაფერი იცის და ისინი მხოლოდ ბედნიერებისკენ ჩემს მსურვალე სწრაფვაში არსებობენ... რაღაც გრძნობა, მელეფონტი, ჯერ განუსვდელი გრძნობა სხვა მხარეს აპყრობს ჩემს თვალებს! მოკრძალებით აღსავსე ჩრდილთა ბნელს ნაარჯის!.. ეს რა შემართება? (სახეზე ხელს ააფარებს.)

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. რა უეცარი გადასვლაა გაოცებიდან შიშზე. ჩქარა გაიქეცი, ბეტი! შველა უნდა. რა გაწუხებთ, დიდსულოვანო სარა? ციურით სულთ! რატომ მიმალავს თქვენს მშვენიერ მზერას ევ შურიანი ხელი? (სახიდან ხელს მოაფილებს.) აჰ, თქვენი სახის გამომეტყველება საშინელ, მაგრამ გულმოდგინედ დაფარული ტკივილებს ამჟღავნებს! მაგრამ მაინც შურიანია ევ ხელი, ჩემთვის ამ გამომეტყველების დაფარვას რომ ცდილობს. ნუთუ მე არ უნდა თანავუგრძნო თქვენს ტკივილებს, მის? რა უბედური ვარ, რომ მათი მხოლოდ თანავგრძნობა შემიძლია! რომ არ შემიძლია, მხოლოდ მე განვიცადო ევ ტკივილები! აჩქარდი, ბეტი!

ბ ე ტ ი. სად გავეშურო?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ხედავ და მეკითხები? ექიმთან!

ს ა რ ა. დარჩი! ტკივილები ყუჩდება. მეტს აღარ შეგაშინებთ, მელეფონტი.



მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ბეტი, რა ღაფმართა მას? ეს მარტო გულის-  
წასვლის შედეგი არ არის...

### ბამოსვლა მისთვის

ნ ო რ ტ ო ნ ი. მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ე. ხ ა რ ა. ბ ე ტ ი.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. უკვე დაბრუნდი, ნორტონ? ძალიან კარგი:  
აქ უფრო საჭირო იქნები.

ნ ო რ ტ ო ნ ი. მარჯუდი წასულა...

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. დაე თან გაპყვეს მას ჩემი წყევლა? წასულა?  
სად? დაე ყველა უბედურება და სიკვდილი და, თუ კი შესაძლებელია.  
მთელი ჯოჯოხეთი შემოხვდეს გზაზე! ზეცამ თავს მუხი დაატეოს  
და ფეხქვეშ მიწაც გაეპოს, რომ შთაინთქას ეგ ურჩხული დედაკაცი!..

ნ ო რ ტ ო ნ ი. აქედან თავის ბინაზე დაბრუნებისთანავე ეტლში  
შეგარდნილა არაბელასა და მოსამსახურე ქალთან ერთად და უბრა-  
ლებია ცბენები ოთხით გაეგუნებინათ. ეს დალუქული წერილი კი  
თქვენთვის დაუტოვებია.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი (იღებს ბარათს). ჩემთვის? წავიკითხო თუ  
არა, მის?

ს ა რ ა. მაშინ წავიკითხეთ, როცა უფრო დამშვიდებული იქნებით.  
მელეფონტი.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. უფრო დამშვიდებული? და განა შემძლია  
მანამდე დაემშვიდდე. ვიდრე მარჯულზე შურს არ ვიძიებ და თქვენ,  
ძვირფასო მის, საშიშროების გარეშე არ დაგიგულვებ?

ს ა რ ა. შურისძიებაზე ნურაფერს გამაგონებთ. შურისძიება ჩვენ  
არ გვმართებს! თქვენ მაინც აღრობთ ლუქს? აჰ. მელეფონტი, რატომ  
ხდება ასე, რომ როცა საღი და ღონიერი ვაკვს სხეული. უფრო ნაკ-  
ლებ შეგვწევს ზოგი სათნოების უნარი, ვიდრე მაშინ, სუსტნი და  
მოდუნებულნი რომ ვართ? როგორ გუუცხოვებთ თქვენ სიმშვიდე და  
ლმობიერება, მე კი როგორ არაბუნებრივად მეჩვენება აფექტის მო-  
უთმენელი სიფიცხე!.. ნუ შემატყობინებთ მაგ ბარათის შინაარსს.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ნეტა რა აგი სული მაქვს, რომ არ დავე-  
მორჩილოთ? ჩემს უნებურად გავხსენი ეს წერილი და ჩემს უნებურ-  
რადვე უნდა წავიკითხო.

ს ა რ ა (იღროს, როცა მელეფონტი თავისთვის კითხულობს). რო-  
გორ ეშმაკურად ახერხებს ადამიანი თავის გაორებას და თავისი  
ვნებებისაგან სხვა პიროვნების შექმნას, რომელსაც შეუძლია ყველა-

ფერი გადააბრალოს, რასაც კი თვითონვე უარყოფს. -- მომეცი ჩემი ცხენილი, ბეტი! ვგრძნობ ახალი შიშის ნოაზლოვებას და ეგ საჭირო იქნება ჩემთვის. ხედავ, რა შთაბეჭდილებას ახდენს მასზე ეს უბედური წერილი! მელეფონტი! ღმერთო! იგი გაოგნებული დგას! აქეთ ბეტი! მას მიაწოდე ფხენილი! მას ჩემზე უფრო სჭირდება.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი (ხელს კრავს ბეტიას, რომელსაც ხელში ფხენალი უჭირავს). არ მომეკარო, უბედურო! შენი წამალი საწამლაგია!

ს ა რ ა. რას ამბობთ? გონს მოღით! ან იქნება მას ველარა სცნობთ?

ბ ე ტ ი. მე ბეტი ვარ, გთხოვთ მიიღოთ.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. უბედურო, სჯობდა, რომ სულ არ დაბადებულყავ! გასწი! გამასწარ! ვიდრე ჩემს მრისხანებას არ შეწირვიხარ. რომელიც შენზე დიდ დამნაშავეს ვერ დასტყდომია თავს!

ს ა რ ა. მაგას რად ამბობთ! მელეფონტი, საყვარელო მელეფონტი!..

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. უკანასკნელად აღმოგზდათ და ამიერიდან არასოდეს დასცდებით ღვთაებრივ ბაგეებს ეს „საყვარელო მელეფონტი“!.. თქვენს ფერხთით, სარა... (ეზოზა მას წან.) მაგრამ რა მინდა თქვენს ფერხთით? (იხუფ წამოხტება.) გაგიმხილოთ? მაშ გაგიმხილოთ? დიას, გაგიმხელთ, მის, რომ თქვენ შემოძულვებთ, რომ თქვენ უნდა შემ ძულლოთ! თქვენ არ უნდა გაიგოთ ამ წერილის შინაარსი; არა, ჩემგან არა!.. მაგრამ თქვენ მას გაიგებთ... თქვენ... აქ რაღას დგახართ უააქ მოდ და მილურსაშულებივით? იჩქარე, ნორტონ, ყველა ექიმი შეკრიბე! დახმარება ეძიე, ბეტი! დაე, ეს დახმარება ისევე მოქმედი იყოს, როგორც შენი შეცდომაა!.. არა, აქ დარჩით! მე თვითონ წავალ...

ს ა რ ა. სად მიდიხართ, მელეფონტი? რა დახმარებისთვის? რომელ შეცდომაზე ლაპარაკობთ?

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ღვთაებრივი დახმარებისთვის, სარა, ანდა არაადამიანური შურისძიებისთვის! თქვენ დაღუპული ხართ, ძვირფასო მის! და მეც დავიღუპე! ნეტავ მთელი ქვეყანაც ჩვენთან ერთად დაიქცეს!..

### ბ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი მ მ ვ ს ე

ს ა რ ა. ნ ო რ ტ ო ნ ი. ბ ე ტ ი.

ს ა რ ა. იგი წავიდა! მე დავიღუპე? რისი თქმა უნდა ამით? შენ გესმის ეს, ნორტონ? მე ავად ვარ, ძალიან ავად; მაგრამ თუნდაც უკიდურესობა დავუშვათ, რომ მოგკვდები, განა ეს იმას ნიშნავს, რომ დავიღუპე? შენგან რაღა უნდოდა მას, საბრალლო ბეტი? ხელლებს.

იმტკრევ? ნუ დაღონდები: შენ მისთვის, რა თქმა უნდა, არავითარი შეურაცხყოფა არ მიგიყენებია. ის ისევ მოვა გონს. ჩემთვის ღაინც დეკრებინა და წერილი არ წაეკითხა! ისედაც უნდა მიმხვდარიყო. რომ ეს წერილი მარჯულის უკანასკნელ საწამლავს შეიცავდა.

ბ ე ტ ი. რა საშინელი მიხვედრაა! ო, არა, ეს შეუძლებელია. ეს არა მჯერა...

ნ ო რ ტ ო ნ ი (სვენას სიდრმისკენ მიღს). მამათქვენის მოხუცი მსახურია, მის...

ს ა რ ა. შემოუშვი, ნორტონ!

### გამოსვლა მშვიდად

უ ა ი ტ უ ე ლ ი. ს ა რ ა. ბ ე ტ ი. ნ ო რ ტ ო ნ ი.

ს ა რ ა. შენ ჩემი პასუხისათვის მოხვედი, კეთილად უაიტუელ. იგი მზად არის, მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი აკლია. მაგრამ რატომ ხარ ასე დაღვრევილი? უთუოდ გითხრეს, რომ ავადა ვარ.

უ ა ი ტ უ ე ლ ი. და კიდევ მეტიც!

ს ა რ ა. რომ საეჭვოდ ავადმყოფი ვარ? მე ამას უფრო მელეფონტის დიდი შიშის მიხედვით ვასკვნი, ვიდრე ლეითონა ვგრძნობ. ნუთუ უბედური სარას დაუმთავრებელი წერილით მოგიხდება კიდევ უფრო უბედურ მამასთან მისვლა, უაიტუელ? უკეთესის იმედი ვიქონიოთ! ხელამდის ხომ მოიცდი? იქნებ რამდენიმე კარგი წუთი ვიხელთო შენს გასასტუმრებლად. ახლა კი, მგონი, ვერ შევძლებ ამას გაკეთებას. ეს ხელი მკვდარივით მკილია გაბუქებულ მხარზე, ნუთუ მთელი სხეულიც ასევე იოლად კვდება, როგორც ხელ-ფეხი? შენ ხომ უკვე მოხუცი ხარ, უაიტუელ, და ალბათ შორს აღარა ხარ ამ უკანასკნელი წუთისაგან... მერწმუნე, თუ კი ის, რასაც მე ვგრძნობ, სიკვდილის მოახლოებას ნიშნავს, მაშინ სიკვდილის მოახლოება არც ისე მწარე ყოფილა... ოჰ! ნუ მიაქცევ ყურადღებას ამ წამოძახილს! ისეც ხომ არ იქნება, რომ კაცი სულ უწვალებლად მოკვდეს. უგრძნობლად ადანიანი ვერ იარსებებს; და უწვალებლადაც ვერ გაიტანს თავს. მაგრამ, ბეტი, რატომ არ ეშვები ასეთ უნუგემო წუბილს?

ბ ე ტ ი. ნება მიბოძეთ, მის, ნება მიბოძეთ, გაგერიდოთ.

ს ა რ ა. წადი, კარგად ვიცი, რომ ყველას არ ძალუძს მომაკვდიანთან დარჩენა. უაიტუელი დარჩეს ჩემთან. და შენც ნორტონ, ძალიან

დამავალე, თუ შენს ბატონს მომიძებნი. საშინლად მინდა მისი აქ ყოფნა.

**ბ ე ტ ი** (გასვლისას). ოჰ, ნორტონ, მე ხომ წამალი მარვუდმა ნიშაწოდა!

### ბამოსვლა მერვე

**უ ა ი ტ უ ე ლ ი. ს ა რ ა.**

**ს ა რ ა.** უაიტუელ, თუ გინდა, რომ სიყვარული გამოიჩინო და ჩემთან დარჩე, ასეთ სევდიან სახეს ნუ დამანახებ. რატომ სდუმხარ? ილაპარაკე! და თუკი შემიძლია გთხოვო, მამაჩემზე ილაპარაკე. გამიმეორე ყველაფერი, რაც ამ რამდენიმე საათის წინ სანუგეშო ნიშნადი. გამიმეორე, რომ მამაჩემი შემირიგდა და მომიტევა. გამიმეორე ეს და დაუმბტე, რომ მარადიული ზეციური მამა ასეთივე მოწყალე იქნება. ხომ მართალია, შემიძლია ამ იმედით მოვკვდე? ასეთ დღეში შენს მოსვლამდე რომ ჩავვარდნილიყავ, არ ვიცი რა მომივიდოდა! სასოწარკვეთილი ვიქნებოდი, უაიტუელ. იმ ადამიანის სიძულვილით დამძიმებულმა დასტოვო ქვეყანა, რომელიც თავისი ბუნების წინააღმდეგ მოქმედებს, როცა ჩვენი სიძულვილი უხდება... რა საშინელი აზრია! უთხარი მას, რომ მე მონანიების, მადლობისა და სიყვარულის ცოცხალი შეგრძნებით მოვკვდი. უთხარი მას... ოჰ!.. ვერც კი გამომიტევამს, თუ როგორ საგსეა ჩემი გული მისი სიკეთით! სიცოცხლე, რომელიც მაჩუქა, მისი უმცირესი მადლი იყო. როგორ მინდა, ჩემი მიმქრალი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები მის ფერხით დავლიო!

**უ ა ი ტ უ ე ლ ი.** ნამდვილად გინდათ მისი ნახვა, მის?

**ს ა რ ა.** როგორც იქნა დაილაპარაკე, რომ ჩემს მგზნებარე, ჩემს უკანასკნელ სურვილზე ეჭვი გამოგეთქვა?

**უ ა ი ტ უ ე ლ ი.** სადღა ვიპოვო სიტყვები, რომელთაც ამდენი ხანია ვეძებ? მოულოდნელი სიხარული ხომ ისევე სახიფათოა, როგორც მოულოდნელი შიში. მე მეშინია მხოლოდ იმ მეტად ძლიერი შთაბეჭდილებისა, რომელიც შეიძლება მისმა მოულოდნელმა შეხვედრამ მოახდინოს თქვენს ნაზ სულზე.

**ს ა რ ა.** ვის გულისხმობთ? ვისმა მოულოდნელმა შეხვედრამ?

**უ ა ი ტ უ ე ლ ი.** მამათქვენის, მის! გამაგრდით!

### ბამოსვლა მცხრა

**ს ე რ უ ი ლ ი ა მ ს ა მ პ ო ნ ი. ს ა რ ა. უ ა ი ტ უ ე ლ ი.**

**ს ე რ უ ი ლ ი ა მ ი.** შენ ძალიან შეგაგვიანდა აქ, უაიტუელ-მე უნდა ვნახო იგი.

ს ა რ ა. ვისი ხმა...

ს ე რ უ ი ლ ი ა მ ი. ოჰ! ჩემო შვილო!

ს ა რ ა. აჰ, მამაჩემი! მომეხმარე, უაიტუელ, მომეხმარე, რომ ფერსთით ჩავუვარდე (წაშოღოვას დააბრებს და სისუსტისაგან ისევ საყარძელში ეყვება). ხომ ის არის? თუ ეს მხოლოდ ზეცის მიერ ჩემს სანუგეშებლად მოვლენილი გამოცხადებაა, იმ ანგელოსის მსგავსი. რომელიც ძლიერს გასაძლიერებლად ეჩვენა? დამლოცე, ვინც უნდა იყო, უზენაესის მოციქული მამაჩემის სახით, თუ თვით მამაჩემი!

ს ე რ უ ი ლ ი ა მ ი. ღმერთმა დაგლოცოს, ჩემო შვილო! დამ- შვილდი (როცა სარა კიდევ სცდის, რომ მის წინ მუხლებზე დაეცეს) სხვა დროს, რომ მოლონიერდები, სიამოვნებით განახავ ჩემს მოცახცახე მუხლებზე მოხვეულს.

ს ა რ ა. ახლა, მამაჩემო, ან არასოდეს. მალე უკვე აღარ ვიქნები! დიდ ბედნიერებად ჩავთვლი, თუ რამდენიმე წამი კიდევ დამცალდა. რომ ჩემი გულის ვარამი გადაგიშალოთ. თუმცა წამები კი არა, ხან- გრძლივი დღეები, მთელი ცხოვრებაც დამჭირდებოდა, რომ ყველაფე- რი შეთქვა, რაც დამნაშავე, მონანიე, დასჯილმა ქალმა შეიძლება უთხრას შეურაცხყოფილ, დიდსულოვან, მონიკვარულე მამას. ჩემი შეცდომა, თქვენი პატიება...

ს ე რ უ ი ლ ი ა მ ი. სისუსტის გამო შენს თავს ნუ ჰკიცხავ და დანაშაულის გამო მე დამსახურებას ნუ მაწერ. თუ კი იმას მახსენებ, რომ გაპატიე, ამით ხომ იმასაც მახსენებ, რომ პატიებას ვყოყმანობ- დი. რატომ მაშინვე არ გაპატიე? რატომ გაიძულე გამომქცეოდი? დღესაც კი, როცა უკვე გაპატიე, რისთვისღა ველოდი შენს პასუხს? მე უკვე მთელ დღეს გავიხარებდი შენთან, მაშინვე რომ მომეშურებინა შენი მკლავებისათვის. კიდევ რაღაც ფარული უკმაყოფილება უნდა ჩარჩენილიყო მოტყუებული გულის იღუმალს კუნჭულში, თუ კი მე, ვიდრე ჩემს სიყვარულს დაგიბრუნებდი, იმაში დარწმუნება მოვინდო- მე, რომ შენ ძველებურად გიყვარვარ. ნუთუ მამა ასე ანგარებიანად უნდა მოიქცეს? ნუთუ მხოლოდ ის უნდა გვიყვარდეს, ვისაც ჩვენ ვუყვარვართ? გამკიცხე, საყვარელო სარა, გამკიცხე; მე უფრო იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორ გავიხარებდი შენით, ვიდრე თვით შენზე... და თუ კი უნდა დამეკარგა იგი, ეს სიხარული?.. მაგრამ ვინ ამბობს, რომ მე ის უნდა დავეკარგო? შენ იცოცხლებ; კიდევ დიდხანს იცოცხ- ლებ! მოიშორე ეგ შავბნელი ფიქრები. მეღეფონტი აზვიადებს საშიშ- როებას. მან მთელი სახლი დააყენა ფეხზე და თვითონ გაიქცა ექი- მებთან, რომლებიც ამ უბადრუკ კუთხეში ალბათ არც კი მოიძევებიან.

მე დავინახე მისი შმაგი შიში, მისი უიმედო მწუხარება. ისე რომ მან ვერც კი შეამჩნია. ახლა კი ვიცი, რომ მას გულწრფელად უყვარხარ. ახლა ვუთმობ მას შენს თავს. აქ დაველოდები და შენს ხელს თვითონვე მივცემ ხელში. რასაც წინათ მხოლოდ იძულებით ვიზამდი, ამახლა სიამოვნებით ვიზამ, რაკი ვხედავ, როგორ ძვირფასი ხარ მისთვის... მართალია, რომ აქ თვითონ მარჯული იყო და მან შეგაშინა ასე? მხოლოდ ამის გაგება შეეძელი შენი ბეტის მოთქმიდან. მაგრამ რას ვიკვლევ შენი ავადმყოფობის მიზეზებს, როცა მისი შემსუბუქების საშუალებაზე უნდა ვიფიქრო? ვხედავ, რომ ყოველ წუთს სულ უფრო და უფრო სუსტდები, ამას ვხედავ და გულხელდაკრეფილი ვდგევარ, რა ვქნა, უაიტუელ? საით გავიქცე? როგორ მოვიქცე? ქონება გავიღო თუ სიცოცხლე? მითხარი რამე!

ს ა რ ა. კეთილო მამავ, ახლა ყოველგვარი დახმარება ფუჭი აღმოჩნდება. თუნდაც თქვენი სიცოცხლე შემოიწვიროთ, ეს ფასდაუღებელი მსხვერპლი გაიღოთ, ესეც ამაო იქნება.

### გამოსვლა მათი

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ს ა რ ა. ს ე რ უ ი ლ ი ა მ ი. უ ა ი ტ უ ე ლ ი.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ნუთუ ვხედავ ამ ოთახში კიდეც შემოსვლას? ცოცხალია კიდეც?

ს ა რ ა. ახლოს მოდით, მელეფონტ.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. კიდეც უნდა ვიხილო თქვენი სახე? არა, მის; მე დავბრუნდი ყოველგვარი ნუგეშისა და დახმარების გარეშე. მხოლოდ სასოწარკვეთილებას მოვცევარ ისევ.— მაგრამ ამას ვის ვხედავ? ნუთუ თქვენ, სერ? უბედურო მამავ! თქვენ საშინელი სცენის სანახავად მოსულხართ. რატომ უფრო ადრე არ მოხველით? დაგავვიანთაღ თქვენი ქალის საშველად მოსვლა! მაგრამ — დამშვიდდით! — იმის სანახავად არ დაგიგვიანიათ, თუ რა საშინლად იძიეთ შურა!

ს ე რ უ ი ლ ი ა მ ი. ასეთ წამში, მელეფონტ, ნუ იხსენებთ, რომ ჩვენ მტრები ვიყავით! ჩვენ უკვე აღარა ვართ მტრები და არც ოღესმე ვიქნებით. ოღონდ იხსენით ჩემი ქალიშვილი და ამით თქვენს მეუღლეს შეინარჩუნებთ.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ჯერ ყოვლისშემწლე ღმერთად მაქციეთ და შემდეგ გაიმეორეთ თქვენი თხოვნა. — მე ძალიან ბევრი უბედურება შეგამთხვით, ძვირფასო სარა, მაგრამ იმას ვერ ვიფიქრებდი, რომ უკანასკნელი მათგანის მაუწყებელიც მე ვიქნებოდი. თქვენ უნდა მოკვდეთ და წერე იცით, ვიპი ხელით იღუპებით?

ს ა რ ა. არ მსურს ეგ ვიცოდე, ჩემთვის ისიც უეღმეტია. რომ აქაში ექვის შეტანა შემიძლია.

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. თქვენ უნდა გაიგოთ ეს; რადგან, ვინ იცის: იქნებ უდანაშაულოზე მიიტანოთ ექვი? აი, რას სწერს მარგული (კოხულობს.) „როცა ამ ბარათს წაიკითხავთ, მელეფონტ, თქვენა ორგულობა ღირსეულ სასჯელს მიიღებს. მე სარას გაუუმზაღლე, ვინც ვიყავი, და მას შიშისაგან გული წაუვიდა. ბეტი ყოველნაირად ცდილობდა იგი კვლავ გრძნობაზე მოეყვანა. მე შევნიშნე, რომ მან გვერდზე დადო დამამშვიდებელი ფხვნილი და უცებ თავში ბედნიერი აზრი მომივიდა — შემეცვალა იგი საწამლაკით. თავი ძლიერ შეწუხებულად და დახმარების მდომელად მოვაჩვენე და ყველაფერი თვალით მოვაშაღდე. ჩემი თვალით დავინახე, როგორ მიაღებინეს მას ის ფხვნილი და მაშინვე წამოვედი გამარჯვებული. შურისძიებამ და მძვინვარებამ მკვლელი გამხადეს. მაგრამ მე არ მინდა ერთი იმ ჩვეულებრივ მკვლელთაგანი ვიყო, ვინც ვერ გაბედავს თავისი ნამოქმედრით დაიტრატახოს. მე დოუვერის გზას ვადგევარ. შეგიძლიათ გამომეკილოთ და ჩემი საკუთარი ხელნაწერი წარმომიდგინოთ, როგორც ბრალდება ჩემს წინააღმდეგ. თუ საშუალებას მომცემთ ნაცსადგურაშდე მივალწიოთ, მაშინ იქ დავტოვებ არაბელას, მისთვის ყოველგვარი ვნების მიუყენებლად. მანამდის კი ის მძევლად მეყოლება: მარგული“. ახლა უკვე ყველაფერი იცით, მის. აი, სერ, შეინახეთ ეს ქაღალდი. თქვენ უნდა მკვლელს პასუხი აგებინოთ და ამისათვის ეს აუცილებლად დაგჭირდებათ, — ო, რა თავზარდაცემული დგას.

ს ა რ ა. მომეცით აქ ეგ ქაღალდი მელეფონტ. მინდა ჩემი თვალით დავრწმუნდე (მელეფონტი აქლევს მას წერილს, სარა ერთი წუთით დახედავს მას), ნუთუ კიდევ მექნება იმდენი ძალა? (ხუფს წერილს.)

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. რას შვრებით, მის!

ს ა რ ა. მარგული თავის ბედს ვერსად გაექცევა: მაგრამ არც თქვენ და არც მამაჩემი არ უნდა გაბოხვიდეთ მის ბრალმდებლად. მე ვკვლები და შეუნდობ იმ ხელს, რომლის შეწვევითაც ღმერთს წარგუდგები. ოჰ, მამაჩემო, რა მწარე ნაღველი დაგეუფლათ. მაინც მიყვარხართ, მელეფონტ, და თუ თქვენი სიყვარული დანაშაულია, რა დანაშავე მივდივარ იმ ქვეყნად! ნეტა შემეძლოს იმის იმედი ვიქონიო, ძე, ვუასო მამა, რომ ქალიშვილის მაგიერ ვაჟიშვილს შიიღებთ! და მასთან ერთად ქალიც გეყოლებათ, თუ არაბელას შვილად აიყვანათ. თქვენ უნდა დააბრუნოთ ის, მელეფონტ, ხოლო დედას კი მიეცით გაქცევის ნება. რაკი მამაჩემს ვუყვარვარ, რატომ არ უნდა მქონდეს უფლება, რომ მისი სიყვარული ისე განვაგო როგორც მემკვიდრეობა? მე გიანდერძებთ ამ მამობრივ სიყვარულს თქვენ და არაბელას.

ხანდახან მასთან საუბარში მოიხსენიეთ ერთი მეგობარი ქალი, რომლის მაგალითი არაბელას იმას ასწავლის, თუ როგორი სიფრთხილეა საჭირო სიყვარულში! — უკანასკნელად დამლოცე მამაჩემო! ვინ გაბედავს უზენაესის ნების დაგმობას? ანუგეშე შენი ბატონი, უაიტუელ. მაგრამ შენც ასევე უნუგეშოდ დამწუხრებული დგებარ, თუმცა ჩემი სახით არც ქალიშვილს ჰკარავ, არც სატროფოს!..

ს ე რ უ ი ლ ი ა მ ი. ჩვენ უნდა ჩაგვეგონებინა შენთვის მხნეობა შენი მიმქრალი მშერა კი ჩვენ გვაგმხნევენს. ჩემო უკვე არა მიწიერო ასულო, უკვე ნახევრად ანგელოზო! მწუხარებისგან გაქედილი მამის დალოცვამ რა უნდა არგოს სულს, რომელსაც ზეცის ყველა მადლი გადმოფრქვევია. იმ სინათლის ერთი სხივი დამიტოვე, რომელიც ასე გამაღლებს ყოველივე ადამიანურზე. ანდა ღმერთს, ღმერთს, შეევედრე, რომელიც უეჭველად შეისმენს ღვთისმოსავი მომაკვდავია თხოვნას, შეევედრე, რომ ეს დღე ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი დღეც იყოს.

ს ა რ ა. გამოცდილი სათნოება ღმერთმა სამაგალითოდ დიდხანს უნდა დასტოვოს ამქვეყნად, ნადრევად კი მხოლოდ სუსტ სათნოებას იხმობს, რომელმაც შეიძლება ვერ აიტანოს ძალზედ ბევრი გამოცდა... ვის გადმოსდის ეს ცრემლები, მამაჩემო? ისინი ცეცხლის წვეთებივით ხვდებიან ჩემს გულს; და მაინც... მაინც ისინი ისე საშინლად არ მეჩვენებიან, როგორც მდუმარე სასოწარკვეთილება. მოიშორეთ იგი თავიდან, მელეფონტი!.. სინათლე მიქრება თვალებში... ეს უკანასკნელი ამოკენესა იყო! ბეტიც მაფიქრებს და მხოლოდ ახლა ვხვდები, რატომ იმტკრევედა ხელებს შეშინებული. საბრალო გოგო! ნურვინ უსაყვედურებს მას წინდაუხედაობას; მის შეცდომას მისი გული ამართლებს, რომელმაც ცბიერება არ იცის და მაშასადამე არც სხვისგან მოელის ცბიერებას. წამი ახლოვდება! მელეფონტი... მამა...

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. იგი კვდება! აჰ! მინდა ერთხელ კიდევ ვაკოცო ამ გაცივებულ ხელს (ვცაპა მუხლზე სარას წინ). არა, ვერ გავებედავ მის შეხებას! ამბობენ, თითქოს მოკლეულის სხეულს, როგორც კა მას მკვლეელი შეეხება, მაშინვე სისხლი დაუწყებს დენას. მერედა, ვინ არის მისი მკვლეელი? განა მე უფრო არა ვარ, ვიდრე მარჯუდი? (წაჰადგება) აი, მკვდარია, სერ; ახლა მას ჩვენი აღარ ესმის: მაშ დამწყევლეთ! თქვენი ბოღმა გადმოანთხიეთ ჩემგან დამსახურებული წყევლა-კრულვით! არც ერთი ეგ წყევლა არ ამცდეს და ყველაზე საშინელი ორკეცი ძალით აღსრულდეს! რაღას გაჩუმებულხართ? იგი მოკვდა; ნამდვილად მოკვდა! და მეც ისევე მხოლოდ მელეფონტი ვარ



მე უკვე აღარა ვარ თქვენი ნაზი ასულის მიჯნური, ვინც მისი გულისთვის უნდა შეგებრალეხინათ... ეს რაღასა ნიშნავს? სულაც არ მსურს, რომ სიბრალულით მიცქიროთ! ეს თქვენი ქალიშვილია! მე კი მისი შემცდენი ვარ! დაფიქრდით სერ!.. როგორ მოვიქცე, რომ თქვენი რისხვა უკეთ გამოვიწვიო! ეს გაფურჩქვნილი სილამაზე, რომელზეც მხოლოდ თქვენ გქონდათ სრული უფლება, თქვენი სურვილის წინააღმდეგ მე მოვიტაცე! ჩემი გულისთვის დაივიწყა თავი ამ გამოუცდელმა სათნოებამ! ჩემ განო დაუსხლტა იგი საყვარელი მამის მკლავებს! და ჩემს გამო მოკვდა კიდეც!.. თქვენი მოთმინება მაწამებს, სერ! გამაგონეთ, რომ თქვენ მამა ხართ.

ს ე რ უ ი ლ ი ა მ ი. მე მამა ვარ მელეფონტ, თანაც იმდენად, რომ უპატივცემულოდ ვერ მოვეპყრობი ჩემი ქალიშვილის უკანასკნელ სურვილს. მოდი მოგეხვიო ჩემო შვილო, ასე ძვირად მოპოვებულო!

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი. ასე არა, სერ! ამ წმინდანმა იმაზე მეტი ბრძანა, რის შესრულებაც ადამიანის ბუნებას ძალუძს! თქვენ ვერ შესძლებთ ჩემს მამობას.. აი, შეხედეთ, სერ (უბიდან ამოიღებს ხანჯალს). ეს ის ხანჯალია, რომელიც მარჯუდმა დღეს ჩემზე აღმართა. ჩემდა საუბედუროდ მომიხდა მისი განიარაღება. სარა ახლაც ისევ ცოცხალი იქნებოდა, მე რომ მარჯულის ეჭვიანობის მსხვერპლი გამხდარიყავა. თქვენ ახლაც გეყოლებოდით ქალიშვილი, გეყოლებოდით უმელეფონტოდ. ჩემზე არ არის დამოკიდებული იმის შეცვლა, რაც უკვე მოხდა; მაგრამ მომხდარის გამო თავის დასჯა — ეს უკვე ჩემი საქმეა (დაიკრავს ხანჯალს და ეცემა სარას სავარძელთან).

ს ე რ უ ი ლ ი ა მ ი. შეაჩერეთ, უაიტუელ! კიდევ ახალი უბედურება დაატყდა ჩემს დაჩაგრულ თავს! ო, ნეტავი აქ გაცივებული მესამე გული ჩემი იყოს!

მ ე ლ ე ფ ო ნ ტ ი (მომაკვდავი). ვგრძნობ, რომ არ ანიცდენია!.. აი, თუ ახლა მიწოდებთ შვილს, სერ, და როგორც შვილს ჩამომართმევთ ხელს, დამშვიდებული მოკვდები (სერ უილიამი ეხვევა მას). აქ თქვენ მოისმინეთ არაბელას შესახებ, რომლისთვისაც მომაკვდავი სარა გთხოვდათ. მეც იმასვე გთხოვდით, მაგრამ იგი იმდენადვე მარჯულის შვილიც არის, რამდენადაც ჩემი. რა უცნაური გრძნობა მიპყრობს. შემიწყალე! გამჩენო, შემიწყალე!

ს ე რ უ ი ლ ი ა მ ი. თუ ჩვენს ვედრებას ძალა ექნება, უაიტუელ. ვევედროთ შემოქმედს, რომ მას მოწყალე ექნეს. იგი კვდება! ოჰ! ის უფრო უბედური იყო, ვიდრე მანკიერი...

## გამოსვლა მთავრდება

ნორტონი იგივენი.

ნორტონი. ექიმები მოვიდნენ, სერ...

სერ უილიამი. თუ მათ საოცრების მოხდენა შეუძლიათ, შემოვიდნენ!.. ნულარ დამტოვებ მეტ ხანს, უაიტუელ, ამ საშინელ ადგილას, ისინი ერთ სამარეში უნდა დაიმარხონ. წავიდეთ, სასწრაფო ზოპები მივიღოთ, შემდეგ კი არაბელაზე ვიფიქროთ... ვინც არ უნდა იყოს. ჩემი ქალიშვილის ნაანდერძევია...

(გადიან და ფარდა ეშვება.)

ე ი ნ ა

უ მ ნ

ბ ა რ ნ კ ე ლ ი

ა ნ უ

ჯ ა რ ი ს კ ა ს ი ს  
ბ ე ლ ნ ი ე რ ა ბ ა

კ მ ბ ე ლ ი ა

თ ა რ კ მ ა ნ ი

გ ი თ რ გ ი  
ნ ა ლ ი რ ა ძ ი ს ა

## მოქმედი პირები

მაიორი ფონ-ტელჰაიმი, საშახსურიდან გადაყენებული

ვინა ფონ-ბარნჰელმი

კრაფი ფონ-ბრუსზალი, მინას ბიძა

ჟრანციჰა, მინას მოახლე

იუსტი, მაიორის მსახური

პაულ ვერნერი, მაიორის ყოფილი ეახმისტრო

სასტუმროს პატრონი

გელოვიარე მანდილოსანი

ფელდეიგერი

რიკო დე ლა მარლინიერი

მსახურები

მოქმედება შენაცვლებით წარმოებს ხან სასტუმრო დარბაზსა და ხან მის  
ვერდიტ მღებარე ოთახში.

## მომქმედება პირველი

### გამოსვლა პირველი

იუსტი. (ზის კუთხეში, თვლენს და ლაპარაკობს სიზმარში). არამ-  
ზადავ! გვითხოვ?.. მხნედ, ძმობილო!.. ჰკა მაგას, ძმობილო! (ხელა  
მოქნევს და გამოვლიძება). დახე! ისევ ის? დავხუჭავ თუ არა თვალს,  
მაშინვე ჩხუბს აფუტეხავ ბოლმე სასტუმროს ბატრონს. აჰ, რაც  
მე მაგისტვის სიზმარში მუშტი გამირტყავს, ნეტავი ნამდვილად  
იმის ნახევარი მაინც მოხვედროდა! აგერ, გათენებულა კიდევ! მალე  
ჩემი საბრალლო ბატონი უნდა მოვძებნო. მე თუ მკითხავ, ამ წყევულ  
სახლში ფეხი აღარ უნდა შექოღვას. ნეტავ სად გაათია ღამე?

### გამოსვლა მეორე

სასტუმროს ბატონი და იუსტი.

სასტუმროს ბატონი. დილა მშვიდობისა, ბატონო იუსტი.  
დილა მშვიდობისა! ეჰე, ასე აღრე უკვე ზეზე ხართ? თუ ჯერ არც კი  
დაწოლილხართ?

იუსტი. რაც გინდა, ისა თქვი.

სასტუმროს ბატონი. მე მარტო დილა მშვიდობისა  
გისურვებ და მგონი დავიმსახურე, რომ ბატონმა იუსტმა მიპასუხოს,  
დიდად გმადლობთო.

იუსტი. დიდად გმადლობთ!

სასტუმროს ბატონი. როცა კაცი ხეირიანად ვერ ისევ-  
ნებს, ყოველთვის ცუდ გუნებაზეა. სანაძლეოს ვღებ, ბატონი მაიორ!  
შინ არ დაბრუნებულა და თქვენ იმას ელოდებოდით.

იუსტი. რას არ მიხვდება ეს კაცი!

სასტუმროს ბატონი. მე ასე მგონია, მხოლოდ მგონია.  
იუსტი (ზურგს შეაქცევს და წასვლას დააჩივებს). მშვიდობით!

სასტუმროს ბატონი (შეაჩერებს). მოითმინეთ, ბატო-  
ნო იუსტი!

იუსტი. რა გნებავთ?

სასტუმროს ბატონი. ეჰ, ბატონო იუსტი! მაინც არ მინ-

და ვიფიქრო, ბატონო იუსტი! რომ გუშინდელივით დღესაც გულმო-  
სული ხართ ჩემზე. ვინაა ისეთი, რომ მთელი ღამე გულისწყრომით  
გაატაროს?

იუსტი. ბე! ამაღამაც და შემდეგაც ყოველთვის გულმოსულა  
ვიქნები.

სასტუმროს პატრონი. მერე განა ეს ქრისტიანულა  
ქცევაა?

იუსტი. ოღონდაც, სწორედ ისევე, როგორც ქრისტიანულაა  
პატიოსანი ადამიანის ბინიდან გაძევება, პირდაპირ ქუჩაში გაგდება  
მხოლოდ აბიტომ, რომ ქირის გადახდა დაავიანა.

სასტუმროს პატრონი. ფუ, ვინ უნდა იყოს ასეთი  
ულმერთო?

იუსტი. მორწმუნე ქრისტიანი — სასტუმროს პატრონი... მერე  
ჩემს ბატონს! ასეთ ადამიანს! ასეთ ოფიცერს!

სასტუმროს პატრონი. მე ის ბინიდან გავაძევე? ქუჩაში  
გავაგდე? მე პატივს ვცემ, როგორც ოფიცერს და დიდად თანაფუგრძნობ  
კიდევ სამსახურიდან გადაყენების გამო. მხოლოდ გამოუვალმა მდგო-  
მარეობამ მაიძულა და სხვა ოთახი შეეთავაზე... ნულა იფიქრებთ ამაზე  
ბატონო იუსტი. (ემახის მახურს). ჰეი!.. ამას სხვანაირად მოვაგვარებ. (შე-  
მოდის მახური) მოგვართვი ჭიქა, ბატონ იუსტის ნებავე ყელი გაისვე-  
ლოს! კარგი რამ აირჩიე!

იუსტი. ამაოდ ირჯებით, ჩემო ბატონო. საწამლავად გადაამქ-  
ცეს სასმელის წვეთები, რომელითაც... მაგრამ არ მინდა ამ უზმომზე  
ტყუილუბრალოდ დავიფიცო.

სასტუმროს პატრონი (მამართავს მახურს, რომელსაც მოაქვს  
ლიქოპი და ჭიქა). მოიტა აქ და წადი! აბა, ბატონო იუსტი! ეს არის  
შესანიშნავი, მაგარი, საამური და ჯანის მომგვრელი სასმელი!  
(მაწვდის სასე ჭიქას). ამას შეუძლია ნამარბულევე კუჭში წესრიგი  
დაამყაროს.

იუსტი. ბარემ არ უნდა დამელია, მაგრამ... რატომ უნდა  
გაეწირო ჩემი ჯანმრთელობა ამ ბრიყვის გულისათვის? (გამოართმევს  
ჭიქას და გადაჰკრავს).

სასტუმროს პატრონი. გაამოს, ბატონო იუსტი!

იუსტი (დაუბრუნებს ჭიქას). არა უშავს რა! მაგრამ თქვენ-  
ჩემო ბატონო, მაინც ბრიყვი ბრძანდებით!

სასტუმროს პატრონი. როგორ გეკადრებათ, როგორ გე-  
კადრებათ!.. აბა ჩქარა ერთიც. ცალ ფეხზე დგომა ძნელია.

იუსტი (გადაჰკრავს). რაც მართალია მართალია: კარგია, ძა-  
ლან კარგია!.. თქვენი შემზადებულია, ჩემო ბატონო?

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. რას ბრძანებთ! ნამდვილი ღანცის ლიქიორია! წმიდა, ორმაგი „ორაგული“!

ი უ ს ტ ი. ხომ ხედავთ, ჩემო ბატონო, ფარისევლობა რომ შენებლოს, ასეთი ჩინებული ლიქიორისთვის უთუოდ მოგეფერებოდით, მაგრამ არ შემიძლია მაინც ის უნდა ვთქვა, რაც გულზე მაწიქს... ბრიყვი ბრძანდებით, ჩემო ბატონო!

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. ჩემს სიცოცხლეში არავინ უთქვამს ეს ჩემთვის. აბა, კიდევ ერთი, ბატონო იუსტ! ყოველივე კარგი სამეზობაა!

ი უ ს ტ ი. როგორც გნებავთ! (გადაკრავს). კარგია, მართლაც კარგია!.. მაგრამ ჭეშმარიტებაც კარგი რამეა... მაინც ბრიყვი ბრძანდებით.

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. ეს რომ მართალი იყოს, განა ასე გულდამშვიდებით მოგისმენდი?

ი უ ს ტ ი. დიახ, ბრიყვი ადამიანი ძალიან მომთხენია.

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. ხომ არ მიირთმევთ კიდევ, ბატონო იუსტ? ოთხად დაგრეხილი თოკი მაგარია!

ი უ ს ტ ი. არა, გადაჭარბებული არაფერი ვარგა, მერე ეს რას გიშველის, ჩემო ბატონო? უკანასკნელ წვეთამდე რომ გამოვცალო ბოთლი, მაინც ჩემსას ვიტყვი. ფუი თქვენ, სასტუმროს ბატონო. ასეთი კარგი ღანცის ლიქიორი გაქვთ და ასეთი ცუდი წნე!.. ჩემი ბატონისთანა ადამიანს, რომელიც ამდენხანს შენთან ცხოვრობს, რომელსაც არაერთი კრიალა ტალერი გამოსცინცლეთ, რომელსაც მთელ თავის სიცოცხლეში ერთი ჰელური ვალიც არ ჰქონია, მასი აქ არ ყოფნიას ბარგი ოთახიდან გამოუყარო მხოლოდ იმიტომ, რომ ორიოდე თვის ქირა დააგვიანა და წინანდებურად ხარჯვა აღარ შეუძლია!

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. კი მაგრამ თუ ოთახი აუსცილებლად მჭირდებოდა? განა წინასწარ არ ვიცოდი, თუ ბატონ მაციორს მოგუცდიდით, ის თავისი ნებით დასცლიდა ბინას? ნუთუ გაწილებული უნდა გავესტუმრებინა უცხო ქალბატონი? სხვისთვის როგორ უნდა მიმეცა გულდამშვიდებით ასეთი გემრიელი ლუკმა? დარწმუნებული ვიყავი, სხვაგან ვერც კი იშოვნოდა თავშესაფარს. ასლა სასტუმროები გავედილია ხალხით. მერე ასეთი ახალგაზრდა, მშვენიერი და თავაზიანი მანდილოსანი ქუჩაში უნდა დარჩენილიყო? თქვენა ბატონი დიდად კეთილშობილი ადამიანია და ამას არასოდეს არ მოითმენდა. მერე რას ჰკარგავს? განა სამაგიერო ოთახი არ მივეცი?

ი უ ს ტ ი. სამტრედეს უკან! მერე რა სანახაობა იშლება თვალწინ: მეზობლის შემპყვარტლული საკვამურები...

სასტუმროს პატრონი. ხედიც შესანიშნავი იყო, ვიდრე ის წყეული მეზობელი იქ სახლს ააშენებდა. მაგრამ სხვაფრივ ოთახი კობწიაა და შპალერიც გაკრულია...

იუსტი. გაკრული იყო!

სასტუმროს პატრონი. რას ბრძანებთ, ერთ კედელზე შპალერი ახლაც არის. იქვე გვერდით თქვენი ოთახიცაა, ბატონო იუსტი. რა უჭირს იმ ოთახს? ბუხარიც აქვს. მართალია, ზამთარში ცოტა ბოლავს...

იუსტი. სამაგიეროდ ზაფხულში ოთახს ალამაზებს. ბატონო, მე მგონია, დაგვცინი კიდეც.

სასტუმროს პატრონი. რას ბრძანებთ, ბატონო იუსტი, ბატონო იუსტი!..

იუსტი. ცეცხლს ნუ უკიდებთ ბატონ იუსტს, თორემ...

სასტუმროს პატრონი. მე გიკეთებთ ცეცხლს? ეს დანციგის ლიქიორის ბრალია!..

იუსტი. ისეთი ოფიცერი, როგორიც ჩემი ბატონია! ან იქნებ გგონიათ, რაკი სამსახურიდან გადაყენებულია, ოფიცერი აღარაა და კისერს ვერ მოვიგრეხთ? ბატონო მიკიტნებო, გახსოვთ, ომის დროს როგორ ხელში უკვდებოდით ყველას? მაშინ ყოველი ოფიცერი სახელოვანი ადამიანი იყო და ყოველი ჯარისკაცი — პატიოსანი და მამაცი ჯეელი. ნუთუ ამ ორიოდე დღის მშვიდობიანობამ ასე გაგადიდგულათ?

სასტუმროს პატრონი. რატომ ცხარობთ, ბატონო იუსტი?

იუსტი. მინდა და ვცხარობ...

### გამოსვლა მისამე

ფონ-ტელჰაიმი, სასტუმროს პატრონი, იუსტი.

ფონ-ტელჰაიმი (შემოსვლის უშალ). იუსტი!

იუსტი (მას ჰგონია, რომ სასტუმროს პატრონი ეძახის). იუსტიო? განა ასე ახლოს ვიცნობთ ერთმანეთს?

ფონ-ტელჰაიმი. იუსტი!

იუსტი. მე ვფიქრობ, რომ თქვენთვის ბატონი იუსტი ვარ. სასტუმროს პატრონი (დაინახავს მათს). სს! სს! ბატონო, ბატონო, ბატონო იუსტი!.. მოიხედეთ! თქვენი ბატონი... .

ფონ-ტელჰაიმი. იუსტი, შენ, მგონია, ჩხუბობ? მე რა გიბრძანებ?

სასტუმროს პატრონი. ო, მოწყალეო ხელმწიფე! ჩხუ-



ზობო? ღმერთმა დაგვიფაროს! როგორ გავბედავ მე, თქვენი უმორჩილესი მონა, წავეჩხუბო კაცს, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება თქვენ გემსახუროთ.

იუსტი. აჰ, ერთი პანლური ამომაკვრევეინა ამისთვის!

სასტუმროს პატრონი. იუსტი თავის ბატონს იცავს. თუმცა ცოტათი ცხარობს, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი საქციელი მართებულია. სწორედ ამიტომ უფრო მეტად ვაფასებ, სწორედ ამიტომ მიყვარს.

იუსტი. კბილები არ უნდა ჩაეუმტვრიო წიხლით?

სასტუმროს პატრონი. ოღონდ სამწუხაროა, რომ ტყუილუბრალოდ ცხარობს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, მოწყალეო ხელმწიფევე, არ განმირისხდებით, რომ... უკიდურესმა აუცილებლობამ...

ფონ-ტელჰაიმი. ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, ჩემო ბატონო! მე თქვენი მმართველს. ჩემი არყოფნის დროს ოთახიდან გამასახლეთეს იმას ნიშნავს, რომ ვალი უნდა გადავიხადო და სადმე სხვაგან მოვნახო ბინა. სავესებით ბუნებრივია.

სასტუმროს პატრონი. სხვაგან? გადასვლას აპირებთ, მოწყალეო ხელმწიფევე? ვაი, უბედურო ჩემო თავო! ვაი, დაღუპულო ჩემო თავო! არაფრის გულისთვის! სჯობს ისევ იმ ქალბატონმა გაანთავისუფლოს პინა. ბატონ მაიორს არ შეუძლია, ბატონ მაიორს არ სურს თავისი ოთახი დაუთმოს ქალბატონს. ოთახი მაიორისაა. ქალბატონი უნდა გაბრძანდეს იქიდან. მე ვერაფერს ვუშველი... მივლივარ, მოწყალეო ხელმწიფევე..

ფონ-ტელჰაიმი. მიგობარო, გინდათ მეორე სისულელე ჩაიღინოთ? ოთახში ის ქალბატონი უნდა დარჩეს.

სასტუმროს პატრონი. მოწყალეო ხელმწიფევე, ნუთუ ფიქრობთ, რომ არ გენდობოდით, ბინის ქირაზე ვშიშობდი?.. განა არ ვიცი, საკმარისია მხოლოდ მოისურვოთ და ქირას მაშინვე გაისტუმრებთ?.. საწერ მაგიდაში ფულით სავსე ქისა დაგრჩენიათ... ზედ აწერია: „ხუთასი ტალერი ლუიდორებით“... ის იქვე ხელუხლებლად არის შენახული...

ფონ-ტელჰაიმი იმედი მაქვს გაუფრთხილდებით, როგორც ჩემს დანარჩენ ნივთებს... იუსტი ჩაიბარებს მათ, როცა ანგარიშს გაგისწორებთ.

სასტუმროს პატრონი. მართალი გითხრათ, ძალიან შემეშინდა, როცა ის ქისა ვიპოვე. მოწყალეო ხელმწიფევე, მე ყოველთვის გთვლიდით წესიერ და წინდახედულ ადამიანად, რომელიც არასოდეს არ გაფლანგავს მთელს თავის ქონებას... მაგრამ მაინც...

რომ მცოდნოდა რამე იმ ნაღდ ფულზე, რომელიც საწერ მაგიდაში იღო...

ფონ-ტელჰაიმი. მაშინ უფრო თავაზიანად მომეპყრობოდი. მესმის... შიბრძანდით, ბატონო. თავი დამანებეთ. რალაც სათქმელი მაქვს ჩემს მსახურთან...

სასტუმროს პატრონი. მაგრამ, მოწყალეო ხელმწიფევე...

ფონ-ტელჰაიმი. წავიდეთ აქედან, იუსტი! ეს ვაჟბატონი ნებას არ მაძლევს მის სახლში გითხრა, თუ რა უნდა გააკეთო.

სასტუმროს პატრონი. უკვე მივდივარ, მოწყალეო ხელმწიფევე! მთელი ჩემი სახლი მზადაა თქვენი სამსახურისათვის.

### გამოსვლა მმოთხე

ფონ-ტელჰაიმი, იუსტი.

იუსტი (ფუნს დაბაკუნებს და აფურთხებს მიმავალ სასტუმროს პატრონს). ფუ!

ფონ-ტელჰაიმი. რა მოხდა?

იუსტი. ლამის ბრაზმა დამახრჩოს.

ფონ-ტელჰაიმი. ეს სულ შენი სისხლჭარბობის ბრალია.

იუსტი. თქვენ... თქვენ პირდაპირ ველარ გცნობთ, ჩემო ბატონო. მიწა გამისქედეს, თუ ნამდვილი მფარველი ანგელოსი არ იყოთ ამ ცბიერი და გულქვა არამზადასი! თუნდ სახარხოებელაზე ამიყვანონ, თავი მომკვეთონ ან შუაზე გამხლიჩონ, მე მაგას... მე მაგას მაინც აი ამ ხელებით წავახრჩობდი, კბილით დაგვლეჯდი.

ფონ-ტელჰაიმი. მხეცო!

იუსტი. მხეცი სჯობია მაგისთანა ადამიანს.

ფონ-ტელჰაიმი. მერე რა გინდა?

იუსტი. მე მინდა თქვენ იგრძნოთ, რა დიდი შეურაცხყოფა მოგაყენათ ამ კაცმა.

ფონ-ტელჰაიმი. მერე?

იუსტი. სამაგიერო უნდა მიუზღოთ... მაგრამ არა, ეს გაიძვერა თქვენი შურისძიების ღირსიც არაა.

ფონ-ტელჰაიმი. მაშ შენ დაგავალო? პირველად მეც ასე ვფიქრობდი. მინდოდა თვალით არ ვენახე მაგ კაცს, და დანახარჯა შენი ხელით გამეგზავნა. წარმოდგენილი მაქვს, რა ზიზლით აღვსილი გამომეტყველებით მიახლიდი ფულს თავში.

იუსტი. აჰ! შესანიშნავი შურისძიება იქნებოდა!

ფონ-ტელჰაიმი. მაგრამ ეს შემდეგისთვის უნდა გადავლოთ. ახლა ერთი ჰელერიც არა მაქვს! არც ვიცი, სად ვიშოვო.

იუსტი. სულ არაფერი გაქვთ? მაშ ვისია ის ხუთასი ტალერი ოქრო, სასტუმროს პატრონს რომ უპოვნია თქვენს საწერ მაგიდაში?

ფონ-ტელჰაიმი. ეს ფული შესანახად მაქვს მობარებული.

იუსტი. ეს ის ასი პისტოლი? ხომ არაა, რომელიც თქვენმა ძველმა ვახშისტრმა მოგიტანათ ამ ოთხი თუ ხუთი კვირის წინათ?

ფონ-ტელჰაიმი. სწორედ ისაა, პაულ ვერნერის მოტანილი; რატომაც არა?

იუსტი. ჯერ არ დაგიხარჯიათ? ჩემო ბატონო, თქვენ შეგიძლიათ როგორც გინდათ ისე მოიხმაროთ ეგ ფული. მე ვაგებ პასუხს.

ფონ-ტელჰაიმი. მართლა?

იუსტი. მე ვერნერს ვუამბე, როგორ გაწვალებენ ფულის მიღებაზე მთავარ სამხედრო სალაროში. მან ახლა იცის...

ფონ-ტელჰაიმი. რომ მე უთუოდ მათხოვარი გაეხდები, ან უკვე გაგზდი... დიდად გმადლობ, იუსტი... და ამან აიძულა ვერნერი გაეყო ჩემთვის თავისი უკანასკნელი გროშები? კიდევ კარგი, რომ გავიგე... აი რას გეტყვი, იუსტი: შენი ანგარიშიც შემიდგინე ახლავე. ჩვენ უნდა გავშორდეთ ერთმანეთს.

იუსტი. როგორ? რა?

ფონ-ტელჰაიმი. კმარა. ხმა არ ამოიღო! ვილაც მოდის...

#### გამოსვლა მეხუთე

მგლოვიარე მანდილოსანი, ფონ-ტელჰაიმი. იუსტი.

მანდილოსანი. გთხოვთ მაპატიოთ შეწუხებისათვის.

ფონ-ტელჰაიმი. ვინ გნებავთ, ქალბატონო?

მანდილოსანი. ის ღირსეული აღაშინანი, რომელთანაც მაქვს პატივი ლაპარაკისა. ვერ მიცანით? მე თქვენი ყოფილი შტაბ-როტმისტრის\* ქვრივი ვარ.

ფონ-ტელჰაიმი. ღმერთო ჩემო! როგორ გამოცვლილხართ, პატივცემულო ქალბატონო!

მანდილოსანი. ახლად ნაავადმყოფარი გახლავართ. ქმრის დაკარგვის დარღმა ლოგინად ჩამავდო. მაპატიეთ, რომ ასე ადრე შეგაწუხეთ, ბატონო მაიორო. მე მივდივარ სოფელში, სადაც პირველ ხანს ერთი კეთილი, მაგრამ ჩემპავეთ უბედური მეგობარი ქალი შემიფარებს.

ფონ-ტელჰაიმი. (იუბა) წადი, დავეტოვე მარტო!

#### გამოსვლა მეექვსე

მანდილოსანი და ფონ-ტელჰაიმი.

ფონ-ტელჰაიმი. ილაპარაკეთ თამამად, პატივცემულო ქალბატონო! ჩემი ნუ მოგერიდებათ თქვენი უბედურების გამო. იქნებ შემიძლია რითიმე დავეხმაროთ?

მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი. ბატონო მაიორო...

ფ ო ნ - ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. თანავუგრძნობ თქვენს მწუხარებას, პატივცემულო ქალბატონო! რით შემიძლია გემსახუროთ? თქვენ იცით, რომ თქვენი მეუღლე ჩემი მეგობარი იყო, — დიახ, მეგობარი. მე მუდამ ძუნწი ვიყავი ამ სიტყვის წარმოთქმაზე.

მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი. ვინ იცის ჩემზე უკეთ, რაოდენ ღირსი იყავით თქვენ იმისი მეგობრობისა, ხოლო ის თქვენი. თქვენ იქნებოდით მისი უკანასკნელი მოგონება, თქვენი სახელი იქნებოდა უკანასკნელი სიტყვა, რომელსაც წარმოთქვამდა მისი მომავლადი ბაგეები, რომ მკაცრ ბუნებას ეს უპირატესობა მისი უბედური შვილისა და უბედური მეუღლისათვის არ მიენიჭებია.

ფ ო ნ - ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. იკმარეთ, ქალბატონო! მე ვიტყვებდი თქვენთან ერთად, მაგრამ ცრემლი გამიშრა. შემიბრალებო! თქვენ იპდროს მოხვედით, როცა მე ადვილად შემიძლია შევცოდო და სამღურავი ვუთხრა განგებას. ო, ჩემო გულწრფელო მარლოვ! თქვით მალე, პატივცემულო ქალბატონო, მიბრძანეთ! თუ შევძლებ გემსახუროთ, თუ შევძლებ...

მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი. აქედან ვერ წავალ, თუ მის უკანასკნელ სურვილს არ შევასრულებ. სიკვდილის წინ გაიხსენა, რომ თქვენა ვალი ჰქონდა და ფიცი ჩამომართვა, პირველ შეძლებისთანავე გაისტუმრეო. გაეყიდე მისი ეტლი და მოვედი ვალის გადასახდელად.

ფ ო ნ - ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. როგორ, პატივცემულო ქალბატონო, ამისთვის მობრძანდით?

მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი. დიახ, ამისთვის. ნება მომეცით ფული მოგართვათ.

ფ ო ნ - ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. არა, ქალბატონო! მარლოვს ჩემი მართებდა? არა მგონია. მოითმინეთ, ვნახავ. (იღებს უბის წიგნაკს და ათვალიერებს). ვერაფერს ვპოულობ.

მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი. ხელწერილი, ალბათ, დაგეკარგათ, მაგრამ ეს არაფერსა სცვლის... ნება მომეცით...

ფ ო ნ - ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. არა, ქალბატონო! მე ასეთი საბუთები არ მეკარგება. და თუ ხელწერილი არა მაქვს, ეს იმის დამამტკიცებელია, რომ იგი არც არასოდეს მქონია, ან ვალი უკვე გადაიხადა და ხელწერილი დაფუბრუნე.

მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი. ბატონო მაიორო!..

ფ ო ნ - ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. სწორედ ასეა, პატივცემულო ქალბატონო. მარლოვს არაფერი მართებს ჩემი. არც კი მახსოვს, როდისმე მესესხა ფული თუ არა. მერწმუნეთ, ეს ასეა, ქალბატონო. მე კი მართლა მისი მოვალე დავრჩი. ვერასოდეს გადავუხადე სამაგიერო იმ ადა-

მიანს, რომელიც მთელი ექვსი წელიწადი ჩემთან იყოფდა ჭირსა და ლხინს. სახელსა და საფრთხეს. არ დამავიწყდება, რომ მას შვილდარჩა. ის ჩემი შვილიც იქნება, რა წამს საშუალება მომეცემა მამობა გავუწიო. ის დახლართული მდგომარეობა, რომელშიაც ამჟამად ვიმყოფები...

მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი. კეთილშობილო ადამიანო! ნურც ჩემზე იფიქრებთ ცუდად. გამონართვით ფული, ბატონო მაიორო. ეს მაინც დამამშვიდებს...

ფ ო ნ - ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. გარწმუნებთ, ეს ფული მე არ მეკუთვნის! კიდეც რა არის საჭირო თქვენს დასამშვიდებლად? თქვენ ხომ არ ისურვებდით, რომ ჩემი მეგობრის დაობლებული შვილი გამექურდა? დიახ, ქურდობა იქნებოდა ეს, ქალბატონო, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ეს ფული მას ეკუთვნის, მასვე შეუნახეთ.

მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი. მესმის თქვენი განზრახვა. ოღონდ მომიტევეთ, თუ ჯერ კიდეც კარგად არ ვიცი, როგორ უნდა მივიღო ქველმოქმედება. მაგრამ თქვენ საიდან იცით, რომ დედა მზადაა შვილისათვის იმაზე მეტი გააკეთოს, რასაც გააკეთებდა საკუთარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად? მე მივდივარ...

ფ ო ნ - ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. მიბრძანდით, ქალბატონო, მიბრძანდით! გზა მშვიდობისა! მე არ გთხოვთ, თქვენი ამბავი მომწეროთ. ვინ იცის, მან ჩემამდე მოაღწიოს მაშინ, როცა მე უკვე ვეღარას გარებთ. მაგრამ კიდეც ერთი სიტყვა, პატივცემულო ქალბატონო; კინალამ დამავიწყდა უმთავრესი. მარლოვს კიდეც ერგება ფული ჩვენი ყოფილი ლეგიონის სალაროდან. მისი პრეტენზიებიც სამართლიანია ისე, როგორც ჩემი. თუ მე გადამიხადეს, გადაუხდიან იმასაც. მე ვარ ამისი თავდები...

მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი. ო, ჩემო ბატონო... მაგრამ უმჯობესია ენა დავიდუმო. კეთილი საქმის განზრახვას ზეცა ისე აფასებს, როგორც მის შესრულებას. ჯილდოდ მოგეზღოთ მისი მადლი და ჩემი ცრემლი (მიღის).

### გამოსვლა მიწვიდა

ფ ო ნ - ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. საბრალო, კეთილი ქალი! არ დამავიწყდეს მისი ბარათის მოსპობა. (ამოიღებს უზის წიგნაკიდან ხელწერილს და ხვეს). ვინ იქნება იმის თავდები, რომ გაჭირვება არ მაიძულებს როდისმე ვისარგებლო ამ ბარათით.

## გამოსვლა მერვე

იუსტი. ფონ-ტელჰაიმი.

ფონ-ტელჰაიმი. შენ აქა ხარ?

იუსტი (ოჯალბს იწმენდს). დიახ.

ფონ-ტელჰაიმი. ტიროდი?

იუსტი. არა, სამზარეულოში ანგარიშს ვადგენდი. საშინელი კვამლი იდგა. აი ჩემი ანგარიში, ბატონო!

ფონ-ტელჰაიმი. მომეცი!

იუსტი. შემიბრალებთ, ბატონო! კარგად ვიცი, რომ თქვენ თვათონ არაღის შეუბრალებიხართ, მაგრამ...

ფონ-ტელჰაიმი. რა გინდა?

იუსტი. მე სიკვდილს ვარჩევდი თქვენთან განშორებას.

ფონ-ტელჰაიმი. აღარ შემიძლია ჩემთან დაგტოვო. უნდა ვისწავლო უმოსამსახუროდ ცხოვრება. (გამოართმევს ანგარიშს და კითხულობს). „რა მართებს ჩემი ბატონ მაიორს: სამსახევარი თვის ჯამაგირი, თვეში 6 ტალერი, სულ 21 ტალერი. ამა თვის ბირველი რიცხვიდან დაუნარჯე სხვადასხვა წვრილმანზე 1 ტალერი, 7 გროში და 9 ფენიგი. სულ 22 ტალერი, 7 გროში და 9 ფენიგი“. კეთილი. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამ თვის მთელი ჯამაგირი მოვცე.

იუსტი. ნახეთ მეორე გვერდიც, ბატონო მაიორო.

ფონ-ტელჰაიმი. კიდევ გერგება? (კითხულობს). „რა მმართებს ბატონი მაიორისა: ჩემს მაგიერ ფერშალს მიეცა 25 ტალერი. მკურნალობის დროს მოვლა-მეთვალყურეობაში გადახდილია 35 ტალერი. ჩემს სახლდამწვარ და გაძარცვულ მამას ჩემი თხოვნით მიეცა სესხად 50 ტალერი, თუ არ ჩავთვლით იმ ორ ცხენს, რომლებიც აჩუქა მაიორმა სანხედრო ნადავლიდან. სულ 114 ტალერი. ამას უნდა გამოაკლდეს შემოაღნიშნული 22 ტალერი, 7 გროში და 9 ფენიგი. ამრიგად ბატონი მაიორისა მმართებს 91 ტალერი, 16 გროში და 3 ფენიგი“. შენ, ჩემო ძმაო, გაგიყებულხარ!..

იუსტი. მე კარგად ვიცი, რომ უფრო ძვირად დაგიჯდათ ჩემი შენახვა, მაგრამ ეს სიაში არ შემიტანია, — ტყუილ-უბრალოდ დაუნარჯავდი მელანს. დაუმსახურებლად ნაჩუქარი ლიფრეაც\* რომ წამართვათ, სულ ერთია თქვენი ვალიდან მინც ვერ ამოვალ. უმჯობესია ლაზარეთში დამაგლოთ და იქ ამომხდეს სული.

ფონ-ტელჰაიმი. განა ვინ გგონივარ? შენ ჩემი არაფერი გამართებს, და მინდა რეკომენდაცია გაგიწიო ერთ ნაცნობთან. იქ უკეთ იქნები, ვიდრე ჩემთან.

ი უ ს ტ ი. არაფერი მმართვეს და მაინც გარეთ მაგდებთ?

ფონ-ტელჰაიმი. სწორედ იმისათვის, რომ არაფერი შემართოს შენი.

ი უ ს ტ ი. ამისათვის? მხოლოდ ამისათვის? როგორც უეჭველია ის, რომ მე მმართვეს თქვენი, აგრეთვე უეჭველია ისიც, რომ თქვენ ჩემი მოვალე არ ბრძანდებით. ამიტომ გარეთ გასაგდები არაფერი მჭირს. თქვენ როგორც გნებავთ, ბატონო მაიორო, მე კი ვრჩები, ნე უნდა დავრჩე...

ფონ-ტელჰაიმი. მერე შენი სიკერბე, შენი ჯიუტობა, შენი თავაშვებული ტყვეა იმათთან, რომელთაც, შენი აზრით, უფლება არა აქვთ სიტყვა შემოგკადროს? შენი ცბიერი ბოროტება, შენი შურისმაძიებლობა?..

ი უ ს ტ ი. რამდენიც გნებავთ, გამაშავეთ: მაინც ვერ ვიფიქრებ, რომ ჩენს ძაღლზე უარესი ვიყო. გასულ ზამთარს არბის გასწვრივ მივდიოდი ბინდისას და უცბათ წყნარად მომესმა. უნაღ დავეშვი ქვევით, ხმას გავეკიდე. მეგონა, წყალწალებულ ბავშვს გადავარჩინეთქი და ბუდელი კი შემრბა ხელში. ცხვირ კარგი საქმეა-ნეთქი, გავიფიქრე. აზღუნა ძუნძულით. მაგრამ მე არ ვარ ბუდელების მოტრფილელი. გავაგდებ, არ მცილდება, ცხემ, მაინც არაფერი გამოდის. მთელი ღამე გარეთ ვაშყოფე. კარებთან იწვა. მოშიაბლოვებოდა თუ არა, მაშინვე ღებხ ვკრავდი. წამოიწმუტუნებდა, მომაჩერებოდა თვალებში და კულის ქნევას მოჰყვებოდა. მას აქვთ ჯერ ერთი ლუჯა მა ბურცე არ უნახავს ჩენგან, მაგრამ მაინც მართო მე მიგონებს, მართო ნე მიკარებს აბლო. ხტის, კუნტრუშობს, თინბაზობს. უშნო ძაღლია, მაგრამ შეტინაშეტად კეთილი. თუ ამის შემდეგაც ასე მოიქცა, ალბათ, დაგებლევ ბუდელების სიძულვილს.

ფონ-ტელჰაიმი. (თავითვის). სწორედ ისე, როგორც მე — იუსტისას. არა, ჩანს ქვეყანაზე მთლად საძაგელი ადამიანები არ არიან!.. იუსტ, ჩვენ ისევ ერთად ვიცხოვრებთ.

ი უ ს ტ ი. რა თქმა უნდა!.. როგორ უნდა გასძლოთ უნიამსახურიოდ? დაგავიწყდათ თქვენი ქრიალობები, დაგავიწყდათ, რომ მართო ცალ ხელს სმარობთ? თქვენ ხომ ტანისამოსის ჩაცმაც კი აღარ შეგიძლიათ. მე თქვენთვის აუცილებელი ვარ, და ტრამპანში ნუ ჩამომერთმევა, თუ ვიტყვი: მე ისეთი მსახური ვარ, ბატონო მაიორო, რომელსაც გაჭირვების დროს თავისი ბატონისათვის მათხოვრობაც შეუძლია და ქურდობაც.

ფონ-ტელჰაიმი. იუსტ, ჩვენ ერთად ვერ ვიცხოვრებთ...

ი უ ს ტ ი. კარგია, იკმარეთ!

## გამოსვლა მისხრა

მ ს ა ხ უ რ ი, ფ ო ნ-ტ ე ლ ჰ ა ი მ ი, ი უ ს ტ ი.

მ ს ა ხ უ რ ი. სს! მეგობარო!

ი უ ს ტ ი. რა ამბავია?

მ ს ა ხ უ რ ი. არ შეგიძლია მაჩვენო ის ოფიცერი, რომელიც გუშინ ამ ოთახში ცხოვრობდა? (მოუთითებს სცენის გარეთ იმ ოთახზე, საიდანაც შემოვიდა).

ი უ ს ტ ი. ეს ძნელი არაა. გადასაცემი გაქვთ რამე?

მ ს ა ხ უ რ ი. ის, რასაც ჩვეულებრივ გადავცემთ ხოლმე, როცა გადასაცემი არაფერი გვაქვს: კომპლიმენტი. ჩემმა ქალბატონმა შეიტყო, რომ მისი გულისთვის თქვენი ბატონი ოთახიდან გაუსახლებიათ. ჩემმა ქალბატონმა იცის თავაზიანი ქცევის წესები, და აი ბოდიში. უნდა მოვიხადო მის წინაშე.

ი უ ს ტ ი. მიღი და მოიხადე ბოდიში. აგერ, მანდ დგას ჩემი ბატონი.

მ ს ა ხ უ რ ი. ვინ არის? რა ჰქვია?

ფ ო ნ-ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. მეგობარო, მე უკვე გავიგე რა დავალებაც გქონიათ. ეს უკვე გადაჭარბებული თავაზიანობაა შენი ქალბატონის მხრივ. მე ამას ვაფასებ. გადაეცი მას ჩემი მადლობა... რა ჰქვიათ თქვენს ქალბატონს?

მ ს ა ხ უ რ ი. რა ჰქვია? ბატივცემულ ფროილანის უწოდებენ.

ფ ო ნ-ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. გვარი?

მ ს ა ხ უ რ ი. გვარი ჯერ არ გამიგია, არ მიკითხავს და არცაა ეს ჩემი საქმე. მე ისე ვახერხებ, რომ მეტწილად ყოველ ექვს კვირაში ვიცვლი ბატონებსა და ქალბატონებს. ეშმაკსაც არ შეუძლია ამდენი გვარის დახსომება!

ი უ ს ტ ი. ყოჩაღ, მეგობარო!

მ ს ა ხ უ რ ი. ამ ქალბატონთან სულ რამდენიმე დღის წინათ მივედი ღრეზდენში. მგონი აქ თავის დანიშნულს ეძებს...

ფ ო ნ-ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. კმარა, მეგობარო. მე მხოლოდ გვარის გაგება მინდოდა და არა მისი საიდუმლოებისა. წადი!

მ ს ა ხ უ რ ი. მეგობარო! მე ვერ გავუძლებდი ამ ბატონს.

## გამოსვლა მათი

ფ ო ნ-ტ ე ლ ჰ ა ი მ ი, ი უ ს ტ ი.

ფ ო ნ-ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. მოახერხე, იუსტ, მოახერხე, რომ მალე გავშორდეთ აქაურობას. ამ უცნობი ქალის თავაზიანობა უფრო აუ-



ტანელია, ვიდრე სასტუმროს პატრონის სიბრიყვე. აჰა, გამომართვი-  
ეს ბეჭედი, ერთადერთი ძვირფასი ნივთი, რომელიც დამრჩა. არა-  
სოდეს არ მომივიდოდა აზრად, რომ ასე გამოვიყენებდი ამ სამკა-  
ულს!.. დააგირავე! მოითხოვე ოთხმოცი ფრიდრიხსლორი. სასტუმ-  
როს პატრონის ანგარიში ოცდაათს არ უნდა აღემატებოდეს. გაისტუმ-  
რე მისი ვალი და გამოართვი ჩემი ნივთები. კი მაგრამ სად წაიღებ?  
სადაც გინდა. რაც უფრო იაფ სასტუმროს მონახავ — მით უკეთესი.  
მე აქვე მახლობელ კაფეში ვიქნები. მივიღივარ. ყველაფერი მოაგვა-  
რე. როგორც საჭიროა.

ი უ ს ტ ი. ნუ შეწუხდებით, ბატონო მაიორო!..

ფ ო ნ - ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. (დაბრუნდება). რაც მთავარია, არ დაგა-  
ვიწყდეს დამბაჩები, საწოლის თავზე ჰკიდია.

ი უ ს ტ ი. არაფერი არ დამავიწყდება.

ფ ო ნ - ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. (ისევ დაბრუნდება). კიდევ ერთი: თან წამო-  
იყვანე შენი პუდელიც. გესმის, იუსტ? (წიღის).

### გამოსვლა მითმართებთ

ი უ ს ტ ი. ის აქ არ დარჩება. ამაზე თვითონ იზრუნებს... ჰმ! ეს  
ძვირფასი ბეჭედი კიდევ შერჩენია ჩემს ბატონს, და იმის მაგიერ,  
რომ თითზე ჰქონოდა გაკეთებული, ჯიბით ატარებდა?.. ხედავ, სას-  
ტუმროს პატრონო, ჩვენ არც ისე ლატაკები ვყოფილვართ, როგორც  
თქვენ გეჩვენებათ. სწორედ იმასთან, იმასთან დაგაგირავებ, ლამაზო  
ბეჭედო! ვიცი, გულზე გასკდება, რომ შენს ფასს საულ იმის სახლში  
არ დავხარჯავთ!.. აჰ...

### გამოსვლა მითოკავებთ

პ ა უ ლ ვ ე რ ნ ე რ ი, ი უ ს ტ ი

ი უ ს ტ ი. ბიჭოს, ვერნერი! გამარჯობა, ვერნერ! კეთილი იყოს  
შენი მობრძანება ქალაქში!

ვ ე რ ნ ე რ ი. წყეულიმც იყოს სოფელი! ველარ შეკრვეულ-  
ვარ. გაიხარეთ. ბიჭები, გაიხარეთ! ახალ-ახალი ფულები ჩამოვიტანე!  
სად არის მაიორი?

ი უ ს ტ ი. უნდა შეგხვედროდა: ეს არის კიბეზე ჩაიარა.

ვ ე რ ნ ე რ ი. მე უკანა კიბიდან ამოვედი. როგორ ბრძანდება?  
გასულ კვირასვე შენეძლო აქ ვყოფილიყავი, მაგრამ..

ი უ ს ტ ი. მერე? რამ დაგაბრკოლა?

ვ ე რ ნ ე რ ი. იუსტ, ხომ არაფერი გაგივია პრინც ერეკლეზე?

იუსტი. ერეკლე? არ ვიცი, ვინ არის.

ვერნერი. ნუთუ არაფერი იცი აღმოსავლეთის დიდ გმირზე?

იუსტი. კარგად ვიცნობ აღმოსავლეთის მოკვებს, რომელთაც ახალწლის ღამეს ხელში ვარსკვლავები უჭირავთ და კარდაკარ დახეტებებიან.

ვერნერი. შეკაი კაცო, ჩანს, გაზეთებსაც ისევე იშვიათად კითხულობ. როგორც ბიბლიას. მამ არ იცნობ პრინც ერეკლეს? იმ მამაც ვაჟკაცს, რომელმაც სპარსეთი დაიპყრო და დღეს თუ ხვალ ოტომანთა პორტაში შეიჭრება? ნადლობა ღმერთს, დედაძინის ზურგზე სადღაც კიდევ წარმოებს ომი! კარგა ხანს მეგონა, აქ ისევ აირევა მონასტერი-მეთქი. მაგრამ ყველანი სხედან და თავის ტყავს უფრთხილდებიან. არა, ჯარისკაცი ვიყავი და ისევ ჯარისკაცი უნდა გავხდე! ერთი სიტყვით... (ფრაზიოლად მაშინხდავს, ყურს ხომ არავინ მიგდებსო). საიდუმლოდ უნდა გაგანდო, იუსტი, სპარსეთში მივდივარ, რომ მისი უმადლესობის პრინც ერეკლეს მთავარსარდლობით ერთი ორჯერ გავილაშქრო თურქებზე.

იუსტი. შენ?

ვერნერი. მე! მე ამას უსათუოდ ვიზამ. ჩვენი წინაპრები გულმოდგინედ ებრძოდნენ თურქებს და ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, თუ გვინდა პატიოსანი ვაჟკაცები და ნამდვილი ქრისტიანები ვიყოთ. რა თქმა უნდა, კარგად მესმის, რომ თურქებთან ბრძოლაში იმ სიამოვნების ნახევარსაც ვერ ვიგრძნობთ, რასაც ფრანგებთან შეგიღება გვაძლევს. სამაგიეროდ მით უფრო მეტი დამსახურება ექნება მხედარს როგორც აქ, ისე საიქიოში. თურქების ხმლები სულ აღმასებითაა მოჭედლილი...

იუსტი. მერე ასეთი ხნლით შუა უნდა გაზიზონ თავი? ამისთვის ერთ მილსაც არ გავივლი. მგონი არც შენ იქნები ისეთი უგუნური, რომ შენი მშვენიერი კარ-მიდამო მიატოვო.

ვერნერი. ო, მე ის თან მიმაქვს! მიხვდი? მამული უკვე გავყიდე...

იუსტი. გაჰყიდე?

ვერნერი. სს!.. აი აქ მაქვს ასი დუკატი. ეს ფუშინ მივიღე გაყიდული მამულის ანგარიშში; მაიორს მოვუტანე...

იუსტი. მაიორს რად უნდა ეს ფული?

ვერნერი. რად უნდაო? გაფლანგოს, წააგოს, იქეიფოს, რაც უნდა ის უყოს. მას ფული უჭირს... ძალიან ცუდია, რომ მის კუთვნილს არ აძლევენ. მე ვიცი, რასაც ვიზამდი მაგის ადგილზე! ვეტყვოდი: ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი-მეთქი, და პაულ ვერნერთან ერთად სპარსეთისაკენ გავწევდი!. პრინც ერეკლეს უთუოდ გაგებული

ექნება მაიორ ტელპაივის ამბავი, მის ყოფილ ვახმისტრს პაულ ვერ-  
ნერს კი, მგონი, ჯერ არ უნდა იცნობდეს. იცი, რა გადაგვხდა კაცენ-  
პოიზერთან?

ი უ ს ტ ი. გინდა გიამბო?

ვე რ ნ ე რ ი. მე მიაბზო? კარგი დისპოზიციის გაგება შენი  
ტინის ძალას აღემატება. არავითარი სურვილი არა მაქვს მარგა-  
ლიტი დაფუგო წინაშე ღორთა. აჰა, გამომართვი ასი ღუკატი და მა-  
იორს გადაეცი. უთხარი ესეც შეეინახოს. ახლა ბაზარში უნდა წავი-  
დე. ორი ვისპელი ჭვავი გავგზავნე გასასყიდად. იმის მოგებასაც  
მაიორს ჩავაბარებ.

ი უ ს ტ ი. ვერნერ, შენ ამას გულით აკეთებ, მაგრამ ჩვენ არ  
გვინდა შენი ფული. შენვე გქონდეს ეგ ღუკატები. შენი ასი პისტო-  
ლიც ხელუხლებელია და როცა მოისურვებ, შეგიძლია უკანვე მიიღო.

ვე რ ნ ე რ ი. დახე! მაიორს ფული გაუჩნდა?

ი უ ს ტ ი. არა.

ვე რ ნ ე რ ი. ისესხა?

ი უ ს ტ ი. არა.

ვე რ ნ ე რ ი. მამ რით ცხოვრობთ?

ი უ ს ტ ი. რასაც ვხარჯავთ, გვაწერენ, ხოლო როცა ამაზე  
უარს გვეუბნებიან და სახლიდან გვითხოვენ, მაშინ ვაგირავებთ იმ  
ნივთებს, რომლებიც გადავვრჩა და სხვაგან გადავბარდებთ ხოლ-  
მე... ყური დამიგდე, პაულ, ამ სასტუმროს პატრონს ერთი ოინი უნ-  
და ვუყოთ.

ვე რ ნ ე რ ი. აწყენინა რამე მაიორს? მე მზად ვარ!

ი უ ს ტ ი. რას იტყვი, საღამოზე რომ ჩავუსაფრდეთ და როცა  
ჩვენი სასტუმროს პატრონი სამიკიტნოლან გამობრძანდება, ერთი  
ლაზათიანად მივბეგვოთ?

ვე რ ნ ე რ ი. საღამოზე?.. ჩავუსაფრდეთ?.. ორი ერთის წინა-  
აღმდეგ? ეს არ ვარგა.

ი უ ს ტ ი. სახლს ცეცხლი წავუკიდოთ?

ვე რ ნ ე რ ი. ცეცხლი წავუკიდოთ? ძმობილო, როგორ გეტყობა  
აღალში ეთრეოდი და ჯარისკაცად ნამყოფი არა ხარ!.. ფუ!..

ი უ ს ტ ი. თუ გინდა ქალიშვილი შეეუსციდინოთ? თუმცა ის წყე-  
ული ისეთი გონჯია...

ვე რ ნ ე რ ი. ო, მამ პირველნი არ ვიქნებით! ყოველ შემთხვე-  
ვაში, თანაშემწე არ დაგჭირდება. მაინც რა დაგემართათ? რა მოხდა?

ი უ ს ტ ი. წამოდი, სასწაულებს გაიგონებ!

ვე რ ნ ე რ ი. როგორც ვხედავ, აქ ეშმაკს აუწყვეტია.

ი უ ს ტ ი. სწორედ ასეა, წავიდეთ.

ვე რ ნ ე რ ი. მით უკეთესი! მამ სპარსეთისკენ, სპარსეთისკენ!

## მოქმედება მეორე

### გამოსვლა პირველი

მინას ოთახი. მინა ფონ-ბარნჰელში, ფრანცისკა.

მინა. (აცვია დილის საშინაო კაბა. უყურებს საათს). ფრანცისკა, ჩვენ ძალიან ადრე ავდექით. ეს დღე ნელა გაივლის.

ფრანცისკა. ვინ დაიძინებს ამ წყეულ დიდ ქალაქებში? ეტლები, ღამის გუშაგები, დაფდაფები, კატები, კაპრალეები... აბრა-ხუნებენ, ყვირიან, დოღს სცემენ, კნავიან, ილანძლებიან... ღამე მაინც მოასვენონ ადამიანი!.. ერთ ფინჯან ჩაის ხომ არ მიირთმევთ, ქალბატონო?

მინა. ჩაის გუნებაზე არა ვარ.

ფრანცისკა. ვუბრძანებ ჩვენი შოკოლადი მოადუღონ.

მინა. მოადუღებინე შენთვის.

ფრანცისკა. ჩემთვის? როგორც მარტონხელას ლაყბობა არ შემიძლია, ისე უთქვენოდ ჭამა... რა თქმა უნდა, დღე ნელა გაივლის... გულის გასაყოლებლად ტანისამოსი მაინც გავისინჯოთ, აი თუნდაც ის კაბა, რომლითაც პირველი იერიშის მიტანას ვაპირებთ.

მინა. რომელ იერიშზე ლაპარაკობ, როცა მე მხოლოდ იმისათვის მოვსულვარ აქ, რომ კაპიტულაციის პირობების შესრულება მოვითხოვო.

ფრანცისკა. ბატონი ოფიცერი, რომელიც აქედან გავაძევეთ და მერე ბოდიში შეგუთვალეთ, ვგონებ, დიდად თავაჭიანი კაცი არ უნდა ბრძანდებოდეს, თორემ თავი უნდა შეეწუხებინა და ჩვენი მონახულების ნებართვა ეთხოვა.

მინა. ყველა ოფიცერი ტელპაიმი ხომ არ არის! მართალი გითხრა, მას ბოდიშით მივმართე მხოლოდ იმისათვის, რომ, ვიფიქრე, შემთხვევა მომეცემა და ტელპაიმის ამბავს შევიტყობ-მეთქი. ფრან-

ცისკა, გული მეუბნება: შენი მგზავრობა კეთილად დამთავრდება, უთუოდ იპოვიო.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. გული, ქალბატონო? გულს ადამიანი დიდად არ უნდა ენდოს. გულს უნდა ენას აამოს. ენაც რომ ჩვეული იყოს ისა სთქვას, რაც გულსა სწადია, მაშინ რამდენი ხანია მოდაში იქნებოდა შემოსული პირზე კლიტის დადება.

მ ი ნ ა. ჰა, ჰა! პირზე კლიტის დადება! ეს სწორედ მე მომიხდებოდა.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. დიახ, სჯობია არავის აჩვენოთ ეგ მშვენიერი კბილები, ვიდრე ყოველ წუთს გაამხილოთ გულისნადები.

მ ი ნ ა. რაო? შენ ასეთი თავდაჭერილი ხარ?

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. არა, ქალბატონო. მაგრამ ძალიან მინდა ასეთი ვიყო. ჩვენ იშვიათად ვლაპარაკობთ იმ სათნოებაზე. რომელიც გვაქვს, სამაგიეროდ მით უფრო ხშირად ვახსენებთ იმას, რომელიც არ გავაჩნია.

მ ი ნ ა. იცი, ფრანცისკა? შენ კარგად შენიშნე.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. კარგად? ეს ისე, უცბად მომივიდა თავში.

მ ი ნ ა. იცი, განსაკუთრებით რატომ მომეწონა ეგ აზრი? პირდაპირ ჩემს ტელჰაიმზეა გამოჭრილი.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. თქვენ ყოველთვის ტელჰაიმი გახსენდებათ.

მ ი ნ ა. მისი მეგობრები და მტრები ამბობენ, ტელჰაიმი უმამაცესი ადამიანია მთელს დედამიწის ზურგზეო. მაგრამ ვის შეუძლია თქვას, რომ თვითონ მას ოდესმე ელაპარაკოს სიმამაცეზე? მას ალალმართალი გული აქვს, მაგრამ პატიოსნება და კეთილშობილება — ეს ისეთი სიტყვებია, რომლებიც არასოდეს წარმოუთქვამს.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. მაშ რომელ სათნოებაზე ლაპარაკობს იგი?

მ ი ნ ა. არც ერთზე არ ლაპარაკობს, რადგან მას ყველა სათნოება აქვს.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. მეც სწორედ ეს მინდოდა გეთქვათ.

მ ი ნ ა. მოიცა, ფრანცისკა, მაგონდება. ის ხშირად ლაპარაკობს მომჭირნეობაზე. ჩვენ შორის დარჩეს, ფრანცისკა, მე ვფიქრობ, ის დიდი მფლანგველი უნდა იყოს.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. მე კიდევ ერთს დაუვმატებ, ქალბატონო. ხშირად მომოსმენია მისი სიტყვები თქვენდამი ურყევ ერგულებაზე. რას იტყოდით, ბატონი ტელჰაიმი ქარაფშუტაც რომ იყოს?

მ ი ნ ა. უბედურო!. მაგას სერიოზულად ფიქრობ, ფრანცისკა?

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. რა ხანია მას აქვთ, რაც წერილი არ მოუწერია თქვენთვის?

მინა. აჰ! მას აქეთ, რაც ზავი დაიღო, მხოლოდ ერთხელ ნონწერა.

ფრანცისკა. კიდევ ერთი ოხვრა ზავის გამო! საკვირველია! მშვიდობიანობას უნდა გამოესწორებინა ის ბოროტება, რაც ომმა მოგვაყენა, მან კი ის სიკეთეც მოსპო, რომელიც ომის დროს წარმოიშვა. დიდი თავნება კია ეს მშვიდობიანობა!.. რა დიღბანს გრძელდება!.. რა მოსაწყენია დრო, როცა ასე ცოტაა ახალ-ახალი ანზები... ამაოდ მუშაობს ფოსტა წესიერად; წერილებს აღარავინ წერს, რადგან დასაწერი არაფერი აქვთ.

მინა. „ომი გათავდა, მწერდა იგი, და მე ვუახლოვდები ჩემი ნატურის აღსრულებას“. მაგრამ ეს მხოლოდ ერთხელ მომწერა, მხოლოდ ერთხელ...

ფრანცისკა. ის გვაიძულებს ჩვენ თვითონ ავჩქარდეთ მისი სურვილების შესასრულებლად. ოღონდ ვიპოვოთ და პასუხს მერე ვაგებინებთ. ვინ იცის, სურვილი აისრულა კიდევ, და აქ შევიტყოთ..

მინა. (შეშინებული და გაცხაჩებით). რომ მოკვდა?

ფრანცისკა. მოკვდა თქვენთვის. ქალბატონო, სხვა ქალთან ჩახუტებული.

მინა. ჩემო მტანჯველო! მოიცა, ფრანცისკა, ის გაგახსენებს ამას!.. მაგრამ ეჰ, იყბედე! არა და დაგვეძინება... მისი ლეგიონი დაშალეს ზავის დადების შემდეგ. ვინ იცის, რა დავიდარბაში გაება ანგარიშებისა და ჩვენებათა ჩამორთმევის დროს? ვინ იცის, რომელ ლეგიონში და ისიც რა შორეულ პროვინციაში გადაისროლეს? ვინ იცის, რა პირობებში ჩაუარდა?.. ვიღაც აკაკუნებს.

ფრანცისკა. მობრძანდით!

### გამოსვლა მმორკე

სასტუმროს პატრონი, მინა, ფრანცისკა.

სასტუმროს პატრონი. (კარებიდან შემოჰყოფს თავს). ნება მიბოძეთ, პატივცემულო ქალბატონო!..

ფრანცისკა ჩვენი სასტუმროს პატრონი ბრძანდება? შემოდით ოთახში.

სასტუმროს პატრონი. (ყურზე გაღებული აქვს კალაში, ხელში უჭირავს ქალაღი და სამღენე). მოვედი, პატივცემულო ქალბატონო, რომ უშიშრობისად გისურვოთ დილა მშვიდობისა. (ფრანცისკას). აგრეთვე თქვენც, ჩემო ლამაზო გოგონა.

ფრანცისკა. რა თავაზიანია!

მინა. გმადლობთ.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. ჩვენც გისურვებთ დილა მშვიდობისას.

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. ნება მომეცით გკითხოთ, პატივცემულო ქალბატონო, როგორ მოისვენეთ წუხელ ჩემს უბადრულ ჰერქვეშ?

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. ჰერი არც ისე ცუდია, ჩემო ბატონო; საწოლები კი შეიძლებოდა უკეთესი ყოფილიყო.

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. რა მესმის? ცუდად გეძინათ? იქნებ იმიტომ, რომ მეტიხმეტად დაღლილი ბრძანდებოდით მგზავრობის შემდეგ.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. შეიძლება.

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. უეჭველად, უეჭველად! მაგრამ. პატივცემულო ქალბატონო, თუ ყველაფერი ისე არ არის მოწყობილი როგორც ეს თქვენს კეთილშობილებას ესიამოვნება, საკმარისია მხოლოდ მიბრძანოთ...

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. კეთილი, ბატონო, კეთილი! არც ისე გაუბედავადამიანები გახლავართ, მით უმეტეს სრულიად უადგილო იქნებოდა ასეთი მორიდება სასტუმროში. ჩვენ გეტყვით, რაც არ მოგვწონს.

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. ამის გარდა. მე მოვედი თქვენთან... (გაშოიძრობს ყურიდან კალაშს).

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. ბრძანეთი..

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. უეჭველია მოგესხენებათ, პატივცემულო ქალბატონო, ჩვენი პოლიციის ბრძნული განკარგულებანი.

მ ი ნ ა. სრულიად არაფერი ვიცი, ბატონო.

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. ჩვენ, სასტუმროს პატრონებს ნაბრძანები გვაქვს არც ერთი უცხოელი, რა წოდებისა და სქესისაღუნდა იყოს, ოცდაოთხ საათზე მეტი არ გავაჩეროთ სასტუმროში. თუ წერილობით არ ვაცნობებთ სათანადო დაწესებულებას მათ სახელს, სამშობლოს, ხასიათს, იმ საქმეს, რომელმაც ისინი აქ მოიყვანა, დაახლოებით რამდენ ხანს აპირებენ აქ დარჩენას და სხვადა სხვა.

მ ი ნ ა. დიდი სიამოვნებით.

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. მაშ, პატივცემულო ქალბატონო, თუ ნებას მომცემთ... (მიღის მაგიდასთან და საწურად ემზადება).

მ ი ნ ა. დიდი სიამოვნებით... ჩემი გვარია...

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. ცოტა მომითმინეთ!.. (წერს). „აბაწლის აგვისტოს 22-ს „ესპანეთის მეფე“-ში დაბინავდნენ...“ ახლა მიბრძანეთ თქვენი გვარი, პატივცემულო ქალბატონო.

მ ი ნ ა. ფროილან ფონ-ბარნჰელმი.

სასტუმროს პატრონი (წერს). ფონ-ბარნჰელმი... მობრძანდა? საიდან, პატივცემულო ქალბატონო?

მინა. ჩემი მამულიდან, რომელიც საქსონიაშია.

სასტუმროს პატრონი (წერს). თავისი მამულიდან, რომელიც საქსონიაშია. ხომ ასეა, საქსონიიდან, პატივცემულო ქალბატონო? საქსონიიდან?

მინა. მერე? რატომაც არა? განა აქ შეცოდებად ითვლება საქსონიიდან მოსვლა?

სასტუმროს პატრონი. შეცოდება? ღმერთმა დაგიფაროს! ეს რაღაც ახალი შეცოდება იქნებოდა.. მაშასადამე, საქსონიიდან? დიახ! საქსონიიდან! საყვარელი საქსონია.. მაგრამ, თუ არ ვცდები, პატივცემულო ქალბატონო, საქსონია პატარა არაა, იქ არას მრავალი — როგორ ვთქვა — ოლქი, პროვინცია... ჩვენი პოლიცია მეტად ზუსტია, პატივცემულო ქალბატონო...

მინა. მესმის. ტურინგიის მამულიდან.

სასტუმროს პატრონი. ტურინგიიდან! დიახ, ეს უმჯობესია, პატივცემულო ქალბატონო, ეს უფრო ზუსტია... (წერს და კოხულობს). ფროილან ფონ-ბარნჰელმი, მობრძანდა თავისი მამულიდან, რომელიც ტურინგიაში აქვს, მას თან ახლავენ კამერფრაუ და ორი მსახური.

ფრანცისკა. კამერფრაუ? ეს, ალბათ, მე შეხება.

სასტუმროს პატრონი. დიახ, ჩემო ლამაზო გოგონა.

ფრანცისკა. მაშინ კამერფრაუს მადეიერ ჩასწერეთ კამერიუნგფერ... თქვენ სთქვით, პოლიცია მეტად ზუსტიაო. ეს კი გაუგებრობას გამოიწვევს და შეიძლება დავიდარაბასაც გადაკიდოს გაახოვების დროს. მე ხომ ჯერ ისევ ქალიშვილი ვარ, და ფრანცისკას მიწოდებენ. ჩემი გვარია ვილიგ, ფრანცისკა ვილიგ. მეც ტურინგიელი ვარ. მანჩიემი მეწისქვილედ იყო ქალბატონის ერთ-ერთ მამულში, რომელსაც კლანინრამსდორფი ეწოდება. ახლა ეს წისქვილი ჩემს ძმასა აქვს. მე სულ პატარა მომიყვანეს და ქალბატონთან ერთად აღმზარდეს. ჩვენ ტოლებიცა ვართ, მომაგალ უფლის მირქმის დღეს ოცდაერთი წლისა შევსრულდებით. მე ყველაფერი შევისწავლე, რაც ჩემმა ქალბატონმა. სასიამოვნო იქნება, თუ პოლიცია ახლოს გამიცნობს.

სასტუმროს პატრონი. კეთილი, ჩემო ლამაზო გოგონა, მე ამას დავიხსომებ შემდგომი შეკითხვებისათვის. ახლა მიბრძანეთ, პატივცემულო ქალბატონო, რა საქმეზე მობრძანდით?

მინა. საქმე?



სასტუმროს პატრონი. იქნებ თხოვნა უნდა მიართვათ მის უდიდებულესობას მეფეს?

მინა. ო, არა!

სასტუმროს პატრონი. ან უზენაეს სასამართლოს კოლეგიას?

მინა. არც იმას!

სასტუმროს პატრონი. ან...

მინა. არა, არა! მე მოვედი აქ ჩემს პირად საქმეზე.

სასტუმროს პატრონი. შესანიშნავია, პატივცემულო ქალბატონო. მაგრამ რა ეწოდება ამ თქვენს პირად საქმეს?

მინა. მას ეწოდება... ფრანცისკა, იმე ვფიქრობ, აქ დაკითხვას აწარმოებენ.

ფრანცისკა. ჩემო ბატონო, პოლიციას ხომ არ შეუძლია მოგვთხოვოს, რომ ჩვენ მას ქალის საიდუმლოებანი გაგუზიაროთ?

სასტუმროს პატრონი. რა თქმა უნდა, ჩემო ლამაზო გოგონა, პოლიციას სურს იცოდეს ყველაფერი, ყველაფერი და განსაკუთრებით საიდუმლოებანი.

ფრანცისკა. ხედავთ, ქალბატონო? არაფერი გაეწყობა.. მამ მომისმინეთ, ჩემო ბატონო... მაგრამ იცოდეთ, ეს ჩვენსა და პოლიციას შორის უნდა დარჩეს!..

მინა. ნეტავ რას ეტყვის ეს დამთხვეული?...

ფრანცისკა. ჩვენ აქ მოვედით იმისათვის, რომ მეფეს ერთი ოფიცერი მოვტაცოთ.

სასტუმროს პატრონი. როგორ? რაო? ჩემო გოგონა! ჩემო გოგონა!

ფრანცისკა. ან იმისათვის, რომ თვითონ ოფიცერმა მოგვიტაცოს. ორივე ერთია.

მინა. ფრანცისკა, გაგიყდი?.. ბატონო, ეს გიქმაჟა დაგცინით.

სასტუმროს პატრონი. ვერ დავიკერებ! ჩემისთანა პატარა კაცზე რამდენიც სურს იმდენი იცინოს, მაგრამ პატივცემულ პოლიციაზე...

მინა. იცით რას გეტყვით, ბატონო?.. არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე ამ საქმეში. ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, თუ მთელს ამ გამოკითხვას და ჩაწერას გადასდებთ ბიძაჩემის მოსვლამდე. მე უკვე აგინხენით გუშინ, რატომ არ მოვიდა ის ჩემთან ერთად. აქედან ორი მლის მანძილზე მის ეტლს მარცხი შეემთხვა და მას არ უნდოდა, რომ ამის გულისათვის მე ეთელი ღამე გამეტარებინა გზაში. ამიტომ წამოვედი წინ. სულ ბევრი, ოცდაოთხ საათში აქ გაჩნდება ბიძაჩემი.

სასტუმროს პატრონი. კეთილი, პატივცემულო ქალბატონო, მოუყვადლოთ.

მინა. მას შეუძლია ჩემზე უკეთ გასცეს პასუხი თქვენს შეკითხვებს. მან იცის, ვის რა უნდა უთხრას, რა აჩვენოს და რა დაფაროს.

სასტუმროს პატრონი. მით უკეთესი! რასაკვირველია, რასაკვირველია, ახალგაზრდა გოგონას (მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებით უცქრის ფრანცისკას) არ მოეთხოვება, რომ მან სერიოზულ საგანზე სერიოზულ ხალხთან სერიოზულად იმსჯელოს...

მინა. ოთახები მზად გაქვთ ბიძაჩემისათვის?

სასტუმროს პატრონი. ყველა მზადაა, პატივცემულო ქალბატონო, ერთის გარდა...

ფრანცისკა. საიდანაც, ალბათ, კიდევ უნდა გააძევოთ რომელიმე პატიოსანი ადამიანი?

სასტუმროს პატრონი. საქსონელი კამერიუნგფერები. პატივცემულო ქალბატონო, მეტად გულშემატკივარი ადამიანები ყოფილან.

მინა. თქვენ მაინც არ მოიქცით კარგად. უკეთესი იქნებოდა. ჩვენთვის გეთქვათ უარი.

სასტუმროს პატრონი. როგორ, პატივცემულო ქალბატონო, როგორ?

მინა. მე მითხრეს, რომ ოფიცერი, რომელიც ჩვენი გულისათვის გაასახლეთ...

სასტუმროს პატრონი. ის გადაყენებული ოფიცერია. პატივცემულო ქალბატონო..

მინა. თუნდაც ასე იყოს!..

სასტუმროს პატრონი. მისი საქმე წასულია!

მინა. მით უარესი ის, ალბათ, დიდად დამსახურებული ადამიანია.

სასტუმროს პატრონი. მე ხომ გითხარით, სამსახურიდან გადაყენებულია-მეთქი.

მინა. ყველა დამსახურებულ ადამიანს როდი იცნობს მეფე. სასტუმროს პატრონი. ო, შეჭველია ყველას იცნობს. ყველას იცნობს.

მინა. მაგრამ ხომ არ შეუძლია ყველა დააჯილდოვოს?

სასტუმროს პატრონი. ყველა დაჯილდოვებული იქნებოდა, თუ შესაფერისად მოიქცეოდნენ. მაგრამ ეს ვაჟბატონები ომის დროს ისე ცხოვრობდნენ, თითქოს ომი სამარადისოდ გასტანდა, თითქოს „შენი“ და „ჩემი“ სამუდამოდ მოისპო. ახლა ყველა სასტუმრო და სადგომი გაჭედილია ამ ხალხით და ყოველ მეპატრონეს ყური ცქვიტად უნდა ეჭიროს. მე ამას კიდევ იაფად გადავურჩი. თუმ-

ცა მას ფული აღარ ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ ზოგიერთი ძვირფასი ნივთი ღარჩა. რა თქმა უნდა, კიდეც ორი-სამი თვე შემეძლო გულდამშვიდებული ვყოფილიყავი, მაგრამ ასე მაინც უმჯობესია... პატივცემულო ქალბატონო, თქვენ, უქველია, გესმით ოქრომჭედლობის საქმე?..

მ.ი.ნ.ა. არც ისე.

ს.ა.ს.ტ.უ.მ.რო.ს.პ.ატ.რო.ნ.ი. რას ბრძანებთ, მოწყალეო ხელმწიფევი!.. მე უნდა გაჩვენოთ ერთი ბეჭედი, ძვირფასი ბეჭედი. მართალია, პატივცემულო ქალბატონო, თქვენც მშვენიერი ბეჭედი გიკეთიათ ხელზე, და რაც უფრო ვაკვირდები, მით უფრო მაოცებს მისი მსგავსება ჩემს ბეჭედთან... ო, შეხედეთ ამას, შეხედეთ! (იღებს ბულიდან ბეჭედს და აწვდის მინას). როგორ ლაპლაპებს! მარტო შუა ბრილიანტი ხუთ კარატზე მეტს იწონის.

მ.ი.ნ.ა. (სინჯავს ბეჭედს). სადა ვარ? რას ვხედავ? ეს ბეჭედი...

ს.ა.ს.ტ.უ.მ.რო.ს.პ.ატ.რო.ნ.ი. ამას ღვიძლ ძმასაც არ მიჰყიდის კაცი ათასხუთას ტალერზე ნაკლებს.

მ.ი.ნ.ა. ფრანცისკა!.. შეხედე!

ს.ა.ს.ტ.უ.მ.რო.ს.პ.ატ.რო.ნ.ი. ერთი წუთიც არ დაეფიქრებულვარ, ისე მივეცი ოთხმოცი პისტოლი გირაო.

მ.ი.ნ.ა. ვერ იცანი, ფრანცისკა?

ფრანცისკა. ის არის!.. ბატონო, ვინ მოგცათ ეს ბეჭედი?

ს.ა.ს.ტ.უ.მ.რო.ს.პ.ატ.რო.ნ.ი. რაო, ჩემო გოგონა? განა თქვენ რაიმე უფლება გაქვთ ამ ბეჭედზე?

ფრანცისკა. ჩვენ არ გვაქვს უფლება ამ ბეჭედზე? მაგ ბეჭედის ბუდეს შიგნიდან ქალბატონის ვენზელი უნდა ჰქონდეს. აჩვენეთ, ქალბატონო.

მ.ი.ნ.ა. ისაა, სწორედ ის!.. როგორ ჩავიგარდათ ხელში ეს ბეჭედი?

ს.ა.ს.ტ.უ.მ.რო.ს.პ.ატ.რო.ნ.ი. მე? პატიოსანი გზით... პატივცემულო ქალბატონო, პატივცემულო ქალბატონო, ნუ ჩამაგდებთ ამის გულისათვის ზარალსა და უბედურებაში. მე რა ვიცი, ვისი სახელი აწერია ბეჭედს? ომის დროს მრავალმა ნივთმა გამოიცვალა პატრონი, ზოგმა თავისი მფლობელების სურვილით, ზოგმა მათ დაუკითხავად. ომიც ეგაა. მრავალი ბეჭედი გადმოვიდა ჩვენში საქსონიიდან... დამიბრუნეთ ბეჭედი, პატივცემულო ქალბატონო, დამიბრუნეთ!

ფრანცისკა. ჯერ სთქვით, ვინ მოგცათ ეს?

ს.ა.ს.ტ.უ.მ.რო.ს.პ.ატ.რო.ნ.ი. ერთმა ადამიანმა, რომლისგანაც არასოდეს არ მოველოდი ამას, ერთმა სხვა მხრივ კარგმა ადამიანმა...

მინა. ყველაზე საუკეთესო ადამიანმა მთელს დედამიწის ზურგზე, თუ მართლა იმისაგან მიიღეთ, ვისაც ეკუთვნოდა... ჩქარა მომიყვანეთ აქ ის კაცი! ეს თვითონ ისაა, ან ყოველ შემთხვევაში მისი ნაცნობი.

სასტუმროს პატრონი. ვინ? ვინ მოგიყვანოთ, პატივცემულო ქალბატონო?

ფრანცისკა. არ გესმით? ჩვენი მაიორი.

სასტუმროს პატრონი. მაიორი? დიახ, ის მაიორია. ვინც თქვენს მოსვლამდე ცხოვრობდა ამ ოთახში; ეს ბეჭედიც იმან მომცა.

მინა. მაიორი ფონ-ტელპაიმ?

სასტუმროს პატრონი. დიახ, ფონ-ტელპაიმ! თქვენ იცნობთ მას?

მინა. ვიცნობ? აქ არის? ტელპაიმი აქ არის? ის? ის ცხოვრობდა ამ ოთახში? მან დააგირავა ეს ბეჭედი? როგორ ჩავარდა ასეთ გაჭირვებაში? სად არის? მას თქვენი მართებს? ფრანცისკა, მომიტანე ზარდახშა! (ფრანცისკა შავილაზე სღამს ზარდახშას და ხსნის). რამდენი მართებს თქვენი? კიდევ ვისი მართებს? აქ მომიყვანეთ ყველა მისი მოვალე. აი, ფული, აი, თამასუქები. ეს ყველაფერი იმისია!

სასტუმროს პატრონი. რა მესმის?

მინა. სად არის, სადა?

სასტუმროს პატრონი. ერთი საათის წინ ჯერ კიდევ აქ იყო.

მინა. საძაგელო ადამიანო! როგორ მოეპყარით ასე უღმობელოდ, ასე მკაცრად, ასე უწყალოდ?

სასტუმროს პატრონი. მაპატიეთ, მოწყალეო ბატონო...

მინა. ჩქარა, ახლავე მონახეთ და მოიყვანეთ.

სასტუმროს პატრონი. მისი მსახური, ალბათ, ჯერ აქაა. თუ გნებავთ, მოწყალეო ბატონო, ის მოსძებნის!

მინა. როგორ თუ მნებავს? ჩქარა, გაიქეცი! მართო ამ ერთი დახმარებისათვის მზად ვარ დავივიწყო მთელი თქვენი უმსგავსი საქციელი.

ფრანცისკა. სწრაფად, ბატონო, ჩემო! მოჰკურცხლეთ! (ხელი-კრით გაჰყავს ოთახიდან).

## გამოსვლა მისამე

მ ი ნ ა და ფ რ ა ნ ც ი ს კ ა.

მ ი ნ ა. ახლა კი ვიპოვე, ფრანცისკა! აი ნახავ, მე ის ვიპოვე! მეც არ ვიცი, რა მემართება სიხარულისაგან გაიხარე ჩემთან ერთად, ძვირფასო ფრანცისკა! თუმცა შენთან სიხარულს რა უნდა? მაგრამ არა, უნდა გაიხარო, ჩემთან ერთად, ჩემი გულინათვის. მომიხსლოვდი, ჩემო საყვარელო, დაგასაჩუქრებ და შენც იხარებ ჩემთან ერთად. თქვი, რით დაგასაჩუქრო, ფრანცისკა? რა უფრო მოგწონს ჩემი ნივთებიდან? რა უფრო გინდა გქონდეს? აჰა, აილე რაც გინდა, ოღონდ გაიხარე! რატომ არ იღებ? მოიცა! (ხელს ჩაჰყოფს ზარდახში) აჰა, ძვირფასო ფრანცისკა, (აქლევს ფულს) იყიდე, რაც გულით მოგწონს. მოძიხოვე კიდევ, თუ ეს არ კმარა, ოღონდ გაიხარე ჩემთან ერთად! მარტოხელა ადამიანი სიხარულშიაც ბრაღიანო. აჰა, გამო მართვი...

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. თითქოს ვიპარავდე, ქალბატონო. თქვენ მთვრალი ხართ სიხარულისაგან, მთვრალი.

მ ი ნ ა. გოგონა, მე ჭირვეული ვარ სიმთვრალეში. გამომართვი, თორემ... (ძალით ჩაუღებს ხელში ფულს). აბა, გაბედე მადლობის გადახდა!.. მოიცა, კარგია გამახსენდა (კიდევ იღებს ფულს ზარდახშიდან) ეს ფული, ძვირფასო ფრანცისკა, შეუნახე იმ დაჭრილ, ღარიბ ჯარისკაცს რომელიც პირველი მოგემართავს დახმარებისათვის.

## გამოსვლა მერთხე

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი, მ ი ნ ა, ფ რ ა ნ ც ი ს კ ა.

მ ი ნ ა. სთქვით, მოვა თუ არა?

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. ისეთი საძაგელი და გაუთლელი ვინმე ბრძანდება, რომ...

მ ი ნ ა. ვინ?

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი. მისი მსახური. უარს ამბობს, არ დაუვძახებო.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. აქ მომგვართოს რეგენი. მაიორის ყველა მსახურს კარგად ვიცნობ. ნეტავი რომელი უნდა იყოს?

მ ი ნ ა. ახლავე აქ მოიყვანეთ. როცა გენახავს, მაშინ უთუოდ წავა. (სასტუმროს პატრონი მიღის).

## ბამოსვლა მახუთე

მინა, ფრანცისკა.

მინა. აჰ, როდის ველირსები იმ წუთს? მაგრამ, ფრანცისკა, შენ ისევე უგრძნობელი ხარ. არ გინდა ჩემთან ერთად გაიხარო?

ფრანცისკა. გულით მინდა, მაგრამ..

მინა. მაგრამ რა?

ფრანცისკა. მაიორი კი ვიპოვეთ, მაგრამ ვინ იცის, რა ჰდგომარეობაშია? თუ მხედველობაში მივიღებთ ყოველივე იმას, რაც შევიტყვეთ, უეჭველია, ცუდად ყოფილა მისი საქმე. ჩანს, რაღაც უბედურება დასტყდომია თავს. ეს მიკლავს გულს.

მინა. გულს გიკლავს? მოდი ამისთვის მოგეხვიო, ჩემო საყვარელო სიყვრმის მეგობარო! ამას არასოდეს არ დავიფიწყებ. მე მხოლოდ შეყვარებული ვარ, შენ კი — კეთილი გულის ადამიანი.

## ბამოსვლა მემამხსე

სასტუმროს პატრონი, იუსტი, მინა, ფრანცისკა.

სასტუმროს პატრონი. ძლივსძლივობით მოვიყვანე.

ფრანცისკა. რა უცნობი სახეა! ამას არ ვიცნობ.

მინა. მეგობარო, შენ მაიორ ფონ-ტელჰაიმს ემსახურები?

იუსტი. დიახ.

მინა. სად არის შენი ბატონი?

იუსტი. აქ არაა.

მინა. ხომ შეგიძლია მონახო?

იუსტი. დიახ.

მინა. არ შეგიძლია ახლავე წახვიდე?

იუსტი. არა.

მინა. შენ ამით დამავალებ.

იუსტი. ეჰ!

მინა. შენს ბატონს კი სამსახურს გაუწევ.

იუსტი. შეიძლება ვერა..

მინა. რატომ ფიქრობ ასე?

იუსტი. თქვენ ის უცნობი ქალბატონი არა ბრძანდებით, ამ დილას ბოდიში რომ შემოუთვალეთ ჩემს ბატონს?

მინა. დიახ.

იუსტი. მაშ მე მართალი ვყოფილვარ.

მინა. შენმა ბატონმა იცის ჩემი სახელი?

იუსტი. არა, მაგრამ იგი ისევე ვერ იტანს მეთისმეტად თავა-  
ზიან მანდილოსნებს, როგორც ბრიყვ სასტუმროს პატრონებს.

სასტუმროს პატრონი. ეს, ალბათ, მეც მეხება, არა?

იუსტი. დიახ.

სასტუმროს პატრონი. მერე ჩემს მაგიერ პატივცემულ ქალბატონს ხომ არ უნდა აზღვევინო? წადი და სასწრაფოდ მოიყვანე შენი ბატონი.

მინა. ფრანცისკა, მიეცი რამე!

ფრანცისკა. (ხელში სჩრის ფულს) ჩვენ არ გთხოვთ მუქ-  
თად გვემსახუროთ.

იუსტი. მე კი არ მინდა დაუმსახურებლად ავიღო ფული.

ფრანცისკა. ჰოდა, ერთი მეორის საბადლო იქნება.

იუსტი. არ შემიძლია, ბატონმა მიბრძანა ოთახის დაცლა. ახ-  
ლა ამას ვაკეთებ, ამიტომ, გთხოვთ, ნუ მაყოვნებთ. როცა საქმეს მო-  
ვრჩები, მაშინ გადავცემ თქვენს თხოვნას. ის აქვე კაფეშია, და თუ  
სხვა უკეთესს საქმეს ვერ იპოვის, რატომაც არ მოვა. (აპირებს წასვლას).

ფრანცისკა. მოითმინეთ... ეს ქალბატონი განლაგეთ ბატონ  
მაიორის... და..

მინა. დიახ, დიახ, მისი და.

იუსტი. მე უკეთ ვიცი, რომ მაიორს დები არა ჰყავს. ამ ექვს  
თვეში ორჯერ გამგზავნა კურლანდიაში თავისი ოჯახის სანახავად.  
თუმცა დები მრავალნაირია..

ფრანცისკა. თავხედო!

იუსტი. როცა ჩაგაცივდებიან, იძულებული ხარ თავხედურად  
მოიქცე! (მიღს).

ფრანცისკა. დახე ამ უსინდისოს!

სასტუმროს პატრონი. აკი გითხარით. დაანებეთ თავი! ახლა უკვე ვიცი სად ყოფილა მისი ბატონი. მე თვითონ მოვიყვან  
ახლავე... მხოლოდ გემუდარებით, პატივცემულ ქალბატონო, ბო-  
დიში მომხადეთ ბატონი მაიორის წინაშე, რომ ჩემდა საუბედუროდ  
ასეთ დამსახურებულ ადამიანს, ჩემდა უნებურად...

მინა. ოღონდ ჩქარა წადით, ბატონო. ყველაფერს მე მოვაგ-  
ვარებ. (სასტუმროს პატრონი მიღს). ფრანცისკა, დაეწიე და უთხარი,  
ჩემი სახელი არ გაუმხილოს (ფრანცისკა გაუღვწება სასტუმროს პატრონს).

### გამოსვლა მთავრიდან

მინა. შემდეგ ფრანცისკა.

მინა. იგი კვლავ ჩემია!.. მარტო ვარ? ტყუილად კი არ დავრ-  
ჩი მარტო. (გულზე ხელს დაიკრებს). არა, მე მარტო არა ვარ! (აღა-

აყრობს თვალს). ღვთისადმი მიმართული მადლობა ყველაზე სრულყოფილი ღოცვაა!.. იგი ჩემია, ჩემი (ხელაყრობილი). მე ბედნიერი ვარ! მიხარია! გახარებული ქმნილების ხილვა — აი ყველაზე დიდი ნეტარება შემოქმედისათვის!.. (შემოდის ფრანცისკა) უკვე აქა ხარ, ფრანცისკა?.. გებრალება? მე არ მებრალება. უბედურებაც კარგია. იქნებ განგებამ იმისათვის წაართვა ყველაფერი, რომ ყველაფერივე ჩემის სახით დაუბრუნოს უკან!

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. შეიძლება ერთ წუთში აქ გაჩნდეს... თქვენ კი საშინაო ტანისამოსი გაცვიათ, ქალბატონო. ხომ არ გამოიცვლით საჩუქაროდ?

მ ი ნ ა. დამანებე თავი, გთხოვ! დღეიდან ის უფრო ხშირად მნახავს ამ უბრალო ტანისამოსში, ვიდრე მორთულს.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. ო, რა კარგად იცით, როდის რა მოგიხდებათ. ჩემო ქალბატონო!

მ ი ნ ა. (მცირე დაფიქრების შემდეგ). სწორია, გოგონა, შენ ახლაც ჭეშმარიტება თქვი.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. ლამაზ ქალს უბრალო ტანისამოსი უფრო ამშვენებდა.

მ ი ნ ა. განა საჭიროა ქალი უთუოდ ლამაზი იყოს?.. მაგრამ იქნებ აუცილებელიცაა, რომ ლამაზ ქმნილებად მიგვაჩნდეს თავი. არა, ოღონდ მისთვის, მხოლოდ მისთვის ვიყო ლამაზი!.. ფრანცისკა, თუ ყველა ქალიშვილი ისეთია, როგორაც მე თავს ვგრძნობ ახლა, მაშინ ჩვენ განსაცვიფრებელი არსებანი ვყოფილვართ... ნაზნი და ამაყნი, გულკეთილნი და პატივმოყვარენი, გულმხიარულნი და ღვთისმოშიშარნი... შენ ვერ გამიგებ. მე თვითონ კარგად არ მესმის, რა მემართება... სიხარულს თავს მიბრუებს.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. გამაგრდით, ჩემო ქალბატონო, ფეხის ხმა მესმის...

მ ი ნ ა. როგორ უნდა გავმაგრდე? განა შემიძლია გულდამშვიდებით შევხედე?

### გამოსვლა მერვე

ფონ-ტელჰაიმი, სასტუმროს პატრონი, მინა, ფრანცისკა.

ფონ-ტელჰაიმი. (შემოდის, დაინახავს მინას და გაეშურება მისკენ) აჰ! ჩემო მინა!

მ ი ნ ა. (შეეშება). აჰ! ჩემო ტელჰაიმი!

ფონ-ტელჰაიმი. (შეჩრდება და უკან დაიწევს). მამაკით, პატივცემულო ფროილაინ... აქ როგორ გაჩნდით, ფროილაინ ფონ-ბარნჰელმ?



მინა. ეს არც ისე მოულოდნელი უნდა იყოს თქვენთვის. (უახლოვდება ტელეპაიზს, რომელიც სულ უკან-უკან იწევს) მე უნდა გაპატიოთ, რომ ისევ თქვენი მინა ვარ? დაე, ღმერთმა შეგინდოთ, რომ ისევ ფროილან ფონ-ბარნჰელმი ვარ!..

ფონ-ტელჰაიმი. ძვირფასო ფროილან... (შებვლავს სასტუმროს პატრონს და მბრებს აჩეჩავს).

მინა. (შეამჩნევს სასტუმროს პატრონს და ანიშნებს ფრანცისკას). ჩემო ბატონო...

ფონ-ტელჰაიმი. თუ ორივენი არ ვცდებით...

ფრანცისკა. ერიპა, ბატონო, ეს ვინ მოგვიყვანეთ? ჩქარა წადით და მონახეთ ნამდვილი ტელეპაიმი.

სასტუმროს პატრონი. ვანა ის არაა? ისაა, ის!

ფრანცისკა. არა, არა! წამოდით ჩქარა! მე თქვენი ქალი-შვილისათვის ჯერ დილა მშვიდობისა არ მომიხსენებია.

სასტუმროს პატრონი. ო, ეს მეტისმეტი პატივისცემაა... (ადგილიდან არ იძვრება).

ფრანცისკა. (ხელს წააგლებს): წავიდეთ, მენიუ შევადგინოთ. ვნახოთ, რით გაგვიმასპინძლებით...

სასტუმროს პატრონი. დღეს მოგართმევთ, ჯერ ერთი...

ფრანცისკა. ჩუმად, ჩუმად! ქალბატონმა არ გაიგოს, რას მიართმევთ სადილად, თორემ მადა დაეკარგება. წავიდეთ, ეს მარტო მე უნდა მითხრათ. (ძალით გაჰყავს გარეთ).

## გამოსვლა მისცხრი

ფონ-ტელჰაიმი, მინა.

მინა. აბა, ახლაც ვცდებით?

ფონ-ტელჰაიმი. ნეტავ ასე იყოს! მაგრამ თქვენ ერთადერთი ხართ ამ ქვეყანაზე და ეს თქვენა ხართ!

მინა. რა საჭიროა ეს მორიდება! რაც ერთმანეთისათვის სათქმელი გვაქვს, ის ყველას შეუძლია მოისმინოს.

ფონ-ტელჰაიმი. აქ რამ მოგიყვანათ. აქ რას ეძებთ, პატივცემულო ფროილან?

მინა. ახლა აღარაფერს. (მოუახლოვდება და უნდა მოეხიოს). უკვე ვიპოვე ყველაფერი, რასაც ვეძებდი.

ფონ-ტელჰაიმი. (უკან დაიხვეწს). თქვენ ეძებდით ბელნიერ ადამიანს, რომელიც თქვენი სიყვარულის ღირსი იქნებოდა, ჰპოვეთ კი... უბედური არსება.

მინა. მაშ ალარ გიყვარვართ?.. სხვა გიყვართ?

ფონ-ტელჰაიმი. იმას, ვისაც შეუძლია თქვენს შენდეკ სხვა ვინმე შეიყვაროს, თქვენ არასოდეს არ ჰყვარებინხართ, ჩემო ფროილან.

მინა. თქვენ მხოლოდ ერთი ისარი ამომადრეთ გულიდან. მე თუ დავკარგე თქვენი სიყვარული, განა სულ ერთი არაა, რამ წარმტაცა იგი — გულგრილობამ თუ ვიღაც უფრო მონხიბლველმა არსებამ?.. ალარ გიყვარვართ და არც სხვა ვინმე გიყვართ?.. უბედური ადამიანი ჰყოფილხართ, თუ სიყვარულის გრძნობა დაჰკარგეთ.

ფონ-ტელჰაიმი. მართალია, ძვირფასო ფროილან, უბედურ ადამიანს არავინ არ უნდა უყვარდეს. მას დაუმსახურებია მწარე ხედრი, თუ არ შეუძლია თავისი თავი ჰძლიოს, თუ ის საკუთარ უბედურებას გაუზიარებს იმას, ვინც უყვარს... რა მძიმეა ეს გამარჯვება. მას შემდეგ, რაც გონიერებამ და აუცილებლობამ მიბრძანეს დამევიწყებინა მინა ფონ-ბარნჰელმ... რამდენი ძალა შევალე ამას! მაგრამ ახლა უკვე იმედი მომეცა, რომ ესოდენი ტანჯვა ამაოდ არ ჩამივლის... და აი, ჩემს წინაშე გაჩნდით, ჩემო ფროილან!

მინა. არ ვიცი, სწორად გავიგე თქვენი აზრი თუ არა?.. მოითმინეთ, ჩემო ბატონო! ჯერ გავერკვიოთ, სადა ვართ, თორემ ამაზე მეტად აგვერევა გზა! ნება მომეცით ერთადერთი კითხვა მოგცეთ.

ფონ-ტელჰაიმი. მკითხეთ, რაც გნებავთ, ჩემო ფროილან...

მინა. მიპასუხებთ თუ არა პირდაპირ, მიუკიბავად? თქვით მხოლოდ ჰო ან არა.

ფონ-ტელჰაიმი. მე მინდა ასე გიპასუხოთ... თუ შევძლებ...

მინა. თქვენ ეს შეგიძლიათ. მაშ ასე: მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ძალა დაატანეთ თქვენს თავს ჩემი დავიწყებისათვის... გიყვარვართ ისევ თუ არა, ტელჰაიმ?

ფონ-ტელჰაიმი. ჩემო ფროილან, ეს კითხვა...

მინა. თქვენ დამპირდით, რომ მიპასუხებდით ან ჰოს, ან არას.

ფონ-ტელჰაიმი. მე დავუმატე: თუ შევძლებ—მეთქი.

მინა. თქვენ ეს შეგიძლიათ. თქვენ უნდა იცოდეთ, რა ხდება თქვენს გულში... გიყვარვართ ისევ... ტელჰაიმ?.. ჰო თუ არა?

ფონ-ტელჰაიმი. თუ ჩემი გული...

მინა. ჰო თუ არა?

ფონ-ტელჰაიმი. ჰო!

მინა. ჰო?

ფონ-ტელჰაიმი. ჰო, ჰო!.. მაგრამ..

მინა. მოთმინება!.. ჯერ ისევ გიყვარვართ. ეს ჩემთვის საკმარისია. ხედავთ, სადამდე მივდი, როგორი ტონით გელაპარაკებით?

საზიზღარი, მელანქოლიური, აბეზარი ტონით. ახლა ისევ ჩემს საკუთარ ტონს დაუბრუნდები... აბა, ჩემო საყვარელო უბედურო, გიყვარვართ და თქვენი მინაც ისევ თქვენ გეკუთვნით, მაგრამ მაინც უბედურად მიგაჩნიათ თავი? ხომ ხედავთ, მინა ისეთივე თავდაჯერებული და ჯულელია, როგორც იყო. როგორც წინათ, ახლაც ოცნებობს, რომ მთელს თქვენს ბედნიერებას იგი შეადგენს... აბა, მიამბეთ თქვენი უბედურების ამბავი. მინდა ვსცადო, გადავწონი მე მას თუ არა.

ფონ-ტელჰაიმი. ჩემო ფროილან, არა ვარ დაჩვეული ჩივილს.

მინა. შესანიშნავია! ტრაბახის შემდეგ ყველაზე მეტად ჯარისკაცში მე მძულს ბედის ჩივილი... მაგრამ მაინც შესაძლებელია შშვიდად და გულგრილად ილაპარაკოს ადამიანმა როგორც თავის სიმამაცეზე, ისე თავის უბედურებაზე.

ფონ-ტელჰაიმი. რაც არსებითად იგუფე ტრაბახი და ჩივილი გამოვა.

მინა. ო, ჩემო გაუტეხელო, მაშინ არ უნდა ჩაგეთვალათ თავი უბედურად. ან ყველაფერი უნდა სთქვათ, ან — ენა დაიღმით. გონიერებამ და აუცილებლობამ გიკარნახეს ჩემი დავიწყება? ჰე ძლიერ მიყვარს გონება, დიდად პატივს ვცემ აუცილებლობას... მაგრამ ნება მომეცით მოვისმინო თქვენგან, რაოდენ გონივრულია ეს გონება და აუცილებელი ეს აუცილებლობა.

ფონ-ტელჰაიმი. კეთილი- მაშ მომისმინეთ, ჩემო ფროილან... თქვენ მიწოდებთ ტელჰაიმს. სახელი იგივეა... მაგრამ ნუთუ გგონიათ, მე ის ტელჰაიმი ვარ, რომელსაც თქვენს სამშობლოში იცნობდით?.. მხნე, იმედიანი, დიდების წყურვილით აღსავსე, სულითა და ხორციით ძლიერი ადამიანი, რომელსაც გზა ხსნილი ჰქონდა სახელისა და ბედნიერებისაკენ. თუ იმჟამად ის ჯერ კიდევ არ იყო თქვენი გულისა და ხელის ღირსი, იმედი ჰქონდა, რომ მიადწევდა ამას. ახლა ისე შემიძლია ვიწოდებოდე ტელჰაიმად, როგორც საკუთარი თავის მამად. ორივენი წარსულს ეკუთვნიან. მე ახლა ის ტელჰაიმი ვარ, რომელიც სამსაუხრიდან გადააყენეს, პატივყარილი, ხეიბარი და მათხოვარი. თქვენ იმ ტელჰაიმს დაჰპირდით ცოლობას. ჩემო ფროილანი; გასურთ თუ არა შეასრულოთ ეს დაპირება?

მინა. რა ტრაგიკულად ჟღერს თქვენი სიტყვა!.. მაგრამ, ძვირფასო, რადგან მე ტელჰაიმები უგონოდ შემიყვარდა, ვიდრე იმ ტელჰაიმს ვიპოვიდე, ჩემს წინაშე მდგომმა უნდა გამომიყვანოს გაჭირვებიდან. მომეცით ხელი, ჩემო საყვარელო მათხოვარო! (ხელს წააგლებს).

ფონ-ტელჰაიმი. (ქუღს შიფარებს სახეზე და მიბრუნდება). ეს მე-  
ტისმეტია! სადა ვარ? ჩამომეხსენით, ფროილიანი! თქვენი გულკეთი-  
ლობა მტანჯავს... ჩამომეხსენით!

მინა. რა გეპართებათ? სად მიდისართ?

ფონ-ტელჰაიმი. შორს თქვენგან!

მინა. შორს ჩემგან? (გულში ჩაიკრავს მის ხელს) მეოცნებე!

ფონ-ტელჰაიმი. სასოწარკვეთილება სულს ამომხდის აქვე,  
თქვენს ფერხთით.

მინა. შორს ჩემგან?

ფონ-ტელჰაიმი. დიახ, თქვენგან... აღარასოდეს, აღარასო-  
დეს არ უნდა გნახოთ... გადაწყვიტე, მტყიცედ გადაწყვიტე... არავი-  
თარი სიმდაბლე არ ჩავიდინო... თქვენ კი ნება არ მოგცეთ უგუნური  
ნაბიჯი გადასდგათ... ჩამომეხსენით, მინა! (ხელოდან გაუსხლტება და  
მიდის).

მინა. განა მინა ამას აიტანს? ტელჰაიმი! ტელჰაიმი!

## მომხმელება მესამე

### გამოსვლა პირველი

#### დარბაზი

იუსტი (ხელში წერილი უჭირავს). კიდევ შემოვლგი ფეხი ამ დაწყევლილ სახლში!.. მაიორმა წერილი გამომატანა ამ ქალბატონთან, რომელსაც მისი დობა სურს. ნეტავი აქ არაფერი გაიჩარხოს, თორემ წერილების ტარებას ბოლო არ მოელება... ეჰ, სიამოვნებით თავიდან მოვიშორებდი ამას, მაგრამ ოთახში შესვლა არ მეხალისება... როგორ დამაყრიან ხოლმე კითხვებს ეს დედაკაცები!.. მე კი პასუხის გაცემა მეზარება!.. დახე, კარები იღება. მეც ეს მინდოდა. ოთახის ფისუნია მობრძანდება!

### გამოსვლა მეორე

ფრანცისკა, იუსტი.

ფრანცისკა. (ლაპარაკობს იმ კარებში, საიდანაც შემოვიდა). ნუსწუხდებით, ყური ცქვიტად მიჭირავს... დახე! (დინახავს იუსტს) პირდაპირ ზედ წავაწყდი. მაგრამ რას გავაწყობ ამ პირუტყვეთან!

იუსტი. თქვენი მონა-მოსამსახურე.

ფრანცისკა. მე შენისთანა მსახურს არ ვინდომებდი.

იუსტი. მომიტევეთ, ეს მხოლოდ სიტყვის მასალაა!.. მაიორმა წერილი გამომატანა თქვენს ქალბატონთან, პატივცემულ ფროილანთან... თავის დასთან... ხომ ასეა თავის დასთან.

ფრანცისკა. მომეცი აქ. (გამოსტაცებს ხელიდან წერილს).

იუსტი. ჩემი ბატონი გთხოვთ კეთილინებოთ და გადასცეთ ეს წერილი. ჩემი ბატონი გთხოვთ აგრეთვე კეთილინებოთ და... ოღონდ არ იფიქროთ, რომ ამას მე გთხოვთ...

ფრანცისკა. თქვი!

იუსტი. ჩემს ბატონს გზა-კვალი არ აერევა. მან იცის, რომ ქალბატონებისკენ მიმავალი გზა კამერიუნგფერების ხელშია.. წარმოდგენილი მაქვს!.. ჩემი ბატონი გთხოვთ კეთილინებოთ და მოახსენოთ: შეგიძლიათ თუ არა ხუთმეტრიოდე წუთი დაუთმოთ სასაუბროდ...

ფრანცისკა. მე?

იუსტი. მაპატიეთ, თუ ისე არ მოგმართეთ, როგორც საჭირო იყო... დიახ, თქვენს.. მხოლოდ ხუთმეტრიოდე წუთი, მაგრამ სრულიად მარტოდმარტო, პირისპირ, საუბარი საიღუმლოდ უნდა დარჩეს. მას დიდად მნიშვნელოვანი საქმე აქვს თქვენთან.

ფრანცისკა. კეთილი! მეც ბევრი მაქვს სათქმელი... მობრძანდეს, მე მუდამ მზად ვარ.

იუსტი. როდის უნდა მობრძანდეს? როდისაა თქვენთვის უფრო მოსახერხებელი მისი მიღება? როცა დაბინდდება თუ?..

ფრანცისკა. ეგ ვითომ რაო? შენს ბატონს შეუძლია მობრძანდეს, როცა ნებავს. ახლა კი შეგიძლია აიბარგო აქედან!

იუსტი. დიდი სიამოვნებით! (აირებს წასვლას).

ფრანცისკა. მოიცა!.. კიდევ ერთი სიტყვა.. სად არიან მაიორის სხვა მსახურები?

იუსტი. აქა-იქ, ყველგან.

ფრანცისკა. სადაა ვილჰელმი?

იუსტი. კამერდინერი? ის მაიორმა სამოგზაუროდ გაისტუმრა.

ფრანცისკა. ოპოი ფილიპე? ის სადღაა?

იუსტი. იეგერი? ის მაიორმა სხვას მიაბარა შესანახად.

ფრანცისკა. ალბათ იმიტომ, რომ სანადიროდ. აღარ დადის. მარტინი რაღა იქნა?

იუსტი. მეეტლე? ცხენზე შეჯდა და წავიდა.

ფრანცისკა. ფრიცი?

იუსტი. შათირი? წარჩინება ებოძა.

ფრანცისკა. შენ სადღა იყავი, როცა მაიორი ტურინგიას იყო საზამთრო ბანაკში? მაშინ არ ემსახურებოდი?

იუსტი. როგორ არა, მე მაშინ მეჯინიბე ვიყავი, მაგრამ ლაზარეთში ვიწვექი.

ფრანცისკა. მეჯინიბე? ახლა?

იუსტი. ახლა ყველას მაგიერობას ვეწევი: კამერდინერიც ვარ. იეგერიც, შათირიც და მეჯინიბეც.

ფრანცისკა. საოცარია!.. დაითხოვა ასეთი კარგი, გამრჯელი  
კაცები და ყველაზე უხეირო დასტოვა სახლში ნეტავი ვიცოდე, რა  
ნახა ბატონმა შენში?

იუსტი. შესაძლებელია ნახა ის, რომ მე პატიოსანი კაცი ვარ.

ფრანცისკა. ო, რა განწირულია კაცი, როცა მას პატიოსნე-  
ბის მეტი არაფერი გააჩნია. ვილჰელმი სულ სხვანაირი იყო...  
ის ბატონმა სამოგზაუროდ გაისტუნრა?

იუსტი. დიახ, გაუშვა, რადგან გამგზავრება ვერ დაუშალა.

ფრანცისკა. როგორ?

იუსტი. ო, ვილჰელმი დიდი პატივით იმოგზაურებს.  
მაიორის მთელი გარდერობი თან წაიღო.

ფრანცისკა. როგორ, ტანისამოსითურთ გაიპარა?

იუსტი. ამის თქმა ძნელია, მაგრამ როდესაც ჩვენ ნიურნ-  
ბერგიდან წამოვედით, ის უკან არ გამოგვეყოლია.

ფრანცისკა. ოჰ, ის გაიძვერა!

იუსტი. მერე რა ყოჩალი იყო! იცოდა გაპარსვა, თმის დახუ-  
ჭუჭება, სიტყვა-პასუხი... და ქალების მოხიზლვა. ხომ მართალია?

ფრანცისკა. მაიორის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, იეგერს  
არ მოვიშორებდი თავიდან. რა გამრჯელი და ნიჭიერი ყმაწვილი  
იყო! თუ ნადირობაში აღარ გამოადგა, სხვა საქმეს მაინც მისცემდა.  
მერე ვის მიაბარა შესანახად?

იუსტი. შპანდაუს კომენდანტს.

ფრანცისკა. შპანდაუს ციხის კომენდანტს? რა სანადირი-  
უნდა ჰქონდეს ციხის სანგრებში?

იუსტი. ო, ფილიპეს იქ ნადირობისთვის არცა სცალია.

ფრანცისკა. აბა რას აკეთებს?

იუსტი. ურიკას დაათრევს.

ფრანცისკა. ურიკას დაათრევს?

იუსტი. მაგრამ მართო სამი წლით.. პატარა შეთქმულება  
მოაწყო მაიორის ასეულში: უნდოდა ექვსი კაცით გაპარულიყო  
ფორბოსტის ხაზით.

ფრანცისკა. მიკვირს! დახე მაგ ავაზაკს!

იუსტი. ოჰ, ყოჩალი ყმაწვილია! მერე რა იეგერი იყო ჩვენს  
ირგვლივ მთელი ორმოცდაათი მილის მანძილზე იცოდა ყოველი  
ბილიკი და საძრომი ჭაობებსა და ტყეებში. სროლაც როგორ ემარ-  
ჯებოდა!..

ფრანცისკა. კარგია, მაიორს ის ყოჩალი მეეტლე მაინც  
შერჩა!

იუსტი. შერჩა კი?

ფრანცისკა. შენ გვონებ თქვი: მარტინი წავიდაო. ხომ დაბრუნდება, არა?

იუსტი. თქვენ ასე ფიქრობთ?

ფრანცისკა. სად წავიდა?

იუსტი. უკვე მეათე კვირაა, რაც საბანაოდ წაიყვანა ბატონი მაიორის უკანასკნელი, ერთადერთი ცხენი.

ფრანცისკა. და აქამდე არ დაბრუნებულა? აჰ, ის სათოკე. ისა!

იუსტი. ვინ იცის, იქნებ ეს ყოჩალი მეეტლე წყალმაც წაიღო!.. მერე რა კარგი მეეტლე იყო! მთელი ათ წელიწადი მუშაობდა ვენაში. ბატონი ველარ იშოვის ასეთ მეეტლეს. ერთს შეუჭყივლებდა გაჭუნებულ ცხენებს და უნალ აღგილზე გააშეშებდა ხოლმე! ამასთან მშვენიერი ექიმბაშიც იყო.

ფრანცისკა. ახლა მე უკვე მეშინია ჯკითხო, რა წარჩინება ებოძა შათირს.

იუსტი. არა, არა. ეს მართალია. ახლა ის მედოლეა გარნიზონის ლეგიონში.

ფრანცისკა. ერიჰა!

იუსტი. ფრიცი ერთ გარყვნილ დედაკაცს გადაეკიდა, ღამეს გარეთ ათევდა, ბატონის სახელით ვალებს იღებდა, და ათასს სხვა სისაძაგლეს სჩადიოდა. ერთი სიტყვით, მაიორმა შეატყო, რომ ფრიცი ყოველნაირად ცდილობდა მალა აწეულიყო (ხელით აჩვენებს, როგორ ახრჩობენ ადამიანს). ახლა მაიორმა ის კეთილ გზაზე დააყენა.

ფრანცისკა. ოჰ, ის გაიძვერა!

იუსტი. სამაგიეროდ შესანიშნავი შათირი იყო. როცა მაიორი ორმოცდაათი ნაბიჯით დააყენებდა ხოლმე წინ, მერე საუკეთესო იორლა ცხენითაც ვერ ეწეოდა. ფრიცი კი, ვფიქრობ, ას ნაბიჯსაც დაუთმობს სახრჩობელას და, თავს მოვიჭრი, თუ ვერ დაეწიოს... ყველანი თქვენი კარგი მეგობრები იყვნენ, ქალბატონო, არა? ვილჰელმიც, ფილიპეც, მარტინიც, ფრიციც?.. ახლა კი ნება მომეცით დაგემშვიდობოთ. (მიდის).

### გამოსვლა მისამე

ფრანცისკა, შემდეგ სასტუმროს პატრონი.

ფრანცისკა (სერიოზულად თვალს გააყოლებს იუსტს). მე დავიმსახურე ეს ჯესლიანი სიტყვა!.. გმადლობ, იუსტ. მე ვერ ვაფასებდი პატიოსნებას. ამ გაკვეთილს არ დავივიწყებ... აჰ, უბედურო ადამიანო! (გამოტრიალდება, აპირებს ქალბატონის ოთახში შესვლას, ამ დროს შემოდის სასტუმროს პატრონი).



სასტუმროს პატრონი. მოითმინეთ, ჩემო ლამაზო გოგონა.

ფრანცისკა. ახლა დრო არა მაქვს, ბატონო...

სასტუმროს პატრონი. ერთი პაწია წუთით!.. ბატონ მაიორისაგან ცნობები აღარ არის? შეუძლებელია მართლა წასულიყო.

ფრანცისკა. რაო?

სასტუმროს პატრონი. განა ქალბატონმა არ გაიბოთ?.. ჩემო ლამაზო გოგონა, როდესაც ქვევით სამზარეულოში დაგტოვეთ, შემთხვევით ისევ დარბაზში დაგბრუნდი...

ფრანცისკა. შემთხვევით... თუ ყურის დასაგდებად?

სასტუმროს პატრონი. რატომ ხართ ჩემზე ასეთი აზრისა, ჩემო გოგონა? ცნობისმოყვარე სასტუმროს პატრონზე საძაგელი არაფერია ქვეყანაზე. ცოტა ხანს ვიდექი აქ, და უცებ გაიხსნა თქვენი ქალბატონის ოთახის კარი. მაიორი გამოვარდა იქიდან, უკან ქალბატონი მოჰყვებოდა; ორივენი ისე აღელვებული იყვნენ, სახეარეულა, ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ... უნდა გენახათ მხოლოდ... ქალბატონი აკავებდა, ის მაინც ხელიდან გაუსხლტა. ქალბატონი ხელახლა დაეჭიდა: „ტელჰაიმ!..“ — „ფროილიან, განანებეთ თავი...“ „— სად მიდიხართ?..“ და ასე კიბეძღე მიჰყვა. შემეშინდა, ქალბატონი კიბეზე არ ჩაითრიოს-მეთქი. მაგრამ მაიორი ხელახლა გაუსხლტა ხელიდან. ქალბატონი კიბის თავზე დარჩა, თვალს არ აშორებდა, უძახოდა, ხელებს იმტვრევდა... უცებ მოტრიალდა, ფანჯარასთან მიიბრინა, ფანჯრიდან ისევ კიბეს ეცა, კიბიდან — დარბაზში შევარდა, წინ და უკან დარბოდა. მე აქ ვიდექი. სამჯერ ჩამიარა, მაგრამ ვერ შემამჩნია. ბოლოს შემომხედა. მაგრამ, ღმერთო დამიფარე, მგონი თქვენ ვეგონე, ჩემო გოგონა. „ფრანცისკა“, მომმართა მე და დამაშტერდა, „ახლაც ბედნიერი ვარ?“ შემდეგ თვალები ჭერს ჰიპაყრო და ხელახლა წამოიძახა: „ახლაც ბედნიერი ვარ?“ მერე ცრემლები მოიწინდა. გაიღიმა და ისევ შემეკითხა: „ფრანცისკა, ახლაც ბედნიერი ვარ?..“ მართალი გითხრათ, არ ვიცოდი, რა მექნა. ქალბატონი მივარდა თავისი ოთახის კარებს, მერე ისევ გამოტრიალდა ჩემსკენ და მითხრა: „მოდი, ფრანცისკა, აბა ვინ გებრალბდა ახლა?..“ და ამ სიტყვებით შევიდა ოთახში.

ფრანცისკა. ოჰ, ბატონო, ეს დაგსიზმრებიათ.

სასტუმროს პატრონი. დამსიზმრებია? არა, ჩემო ლამაზო გოგონა, ადამიანს ასე დაწვრილებით არაფერი ესიზმრება. ოჰ, დიდად დავაჰაჩუქრებდი იმას, — მე ცნობისმოყვარე არა ვარ, — მაგრამ მაინც დავასაჩუქრებდი, ვინც ამის გასაღებს მომცემდა.

ფრანცისკა. გასაღებს? ჩვენი ოთახისას, ბატონო ჩემო? შიგნიდან უკეთია. წუხელ გადაუწნაცვლეთ ადგილი, რადგან გვეშინოდა.

სასტუმროს პატრონი. ეს გასაღები კი არაა. მე მინდა ვთქვა, ჩემო ლამაზო გოგონა, გასაღები, ესე იგი ახსნა-განმარტება, ან უკეთ, სარჩული ყოველივე იმისა, რაც ვნახე...

ფრანცისკა. ხედავთ, რა სდომებია! აბა, მშვიდობით, ბატონო. მალე გავვიმასპინძლებით?

სასტუმროს პატრონი. ჩემო ლამაზო გოგონა, არ დამავიწყდეს, რაც მართლა სათქმელი მქონდა.

ფრანცისკა. სთქვით, ოღონდ მოკლედ...

სასტუმროს პატრონი. ჩემი ბეჭედი ისევ თქვენს ქალბატონსა აქვს. მე მას ჩემსას ვუწოდებ...

ფრანცისკა. არ დაგეკარგებათ.

სასტუმროს პატრონი. ამაზე არა ვწუხვარ. მინდოდა მხოლოდ გამეხსენებინა. ხომ ხედავთ, სრულიადაც არ მინდა დავიბრუნო. ჩემთვის ნათელია, საიდან იცის მან ამ ბეჭდის ამბავი და რატომ ჰკავს იგი იმ ბეჭედს, რომელსაც თვითონ ატარებს. მას იგი უკეთ შეინახავს. მე ის სრულებით არ მჭირდება. მე მინდა მხოლოდ თქვენს ქალბატონის ანგარიშს დავაწერო ის ასი პისტოლი, რომელიც მასში გადავიხადე. ხომ სამართლიანად ვლაპარაკობ, ჩემო ლამაზო გოგონა?

### გამოსვლა მეოთხე

პაულ ვერნერი, სასტუმროს პატრონი, ფრანცისკა.

ვერნერი. აი ისიც!

ფრანცისკა. ასი პისტოლი? მე კი შეგონა, მხოლოდ ოთხმოცი იყო.

სასტუმროს პატრონი. დიახ, თქვენ მართალსა ბრძანებთ, მხოლოდ ოთხმოცდაათია, ოთხმოცდაათი. ასე ჩავწერ, ჩემო ლამაზო გოგონა, ასე ჩავწერ.

ფრანცისკა. ყველაფერი მოგვარდება, ბატონო.

ვერნერი. (ზურგიდან მიუახლოვდება ფრანცისკას და მოულოდნელად მხარზე ხელს დაარტყამს) გოგონა, გოგონა!

ფრანცისკა (შეკრთება). აპ!

ვერნერი. ნუ გეშინიათ! გოგონა, გოგონა, რა ლამაზი ბრძანდებით, თქვენ აქაური არ უნდა იყოთ. უცხოელი ლამაზი ქალები ფრთხილად უნდა იყვნენ. გოგონა, გოგონა, ერიდეთ ამ ვაჟბატონს! (მოუთითებს სასტუმროს პატრონზე).

სასტუმროს პატრონი. ღმერთო ჩემო! რა მოულოდნელად გამახარეთ, ბატონო პაულ ვერნერ! კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება! აჰ, ისევ ისაა, რაც იყო: მხიარული, ხუმარა, პატიოსანი ვერნერი!.. მე უნდა მერიდოთ, ჩემო ლამაზო გოგონა! ჰა, ჰა, ჰა!

ვერნერი. საერთოდ მაგისგან თავი შორს გეჭიროთ!

სასტუმროს პატრონი. ჩემგან! ჩემგან! განა ასეთი საშიში ვარ? ჰა, ჰა, ჰა!.. გესმით, ჩემო ლამაზო გოგონა? როგორ მოვწონთ ეს ხუმრობა?

ვერნერი. თქვენისთანა ადამიანებმა ასე იციან: სიმართლეს ხუმრობად გადააქცევენ ხოლმე.

სასტუმროს პატრონი. სიმართლეს? ჰა, ჰა, ჰა! სულ ერთი მეორეზე უკეთესი ხუმრობა! ხომ ასეა, ჩემო ლამაზო გოგონა? ეს კაცი მართლა ჭკუამახვილია. მე საშიში ვარ?.. მე?.. დიახ, ოციოდე წლის წინათ ასე იყო. დიახ, დიახ, ჩემო ლამაზო გოგონა, მაშინ მე საშიში ვიყავი, და ბევრი ამაში დაგეთანხმებოდათ. მაგრამ ახლა...

ვერნერი. ოჰ, ბებერო სულელო!

სასტუმროს პატრონი. საქმეც ისაა! როცა ვბერდებით, ჩვენი საშიშროებაც ქრება. თქვენც ამაზე უკეთესი ხედური არ მოგვლით, ბატონო ვერნერ!

ვერნერი. ეშმაკმა წაგიღოს!.. ამის პამპულობას ბოლო არ უჩანს! ჩემო ლამაზო, რასაკვირველია, დამიჯერებთ: მე იმდენად გონიერი ვარ, რომ ასეთ საშიშროებაზე არ ვილაპარაკებდი. ერთმა ეშმაკმა მიატოვა ეს ბებერი, სამაგიეროდ შვიდი სხვა ჩასძრომია სულში.

სასტუმროს პატრონი. ერთი ყური დაუგდეთ ამას! რა მოხერხებულად შეატრიალებს ხოლმე ყველაფერს!.. სულ ახალ-ახალი ხუმრობით გვიმასპინძლდება! ო, ბატონო, პაულ ვერნერი შესანიშნავი ადამიანია!.. (ფრანკისკას, ვითომ ყურში უჩურჩულებს) შეძლებულია და ჯერ უცოლო. აქედან სამი მილის სავალზე მშვენიერი მამული აქვს. ომიანობის დროს ბევრი ქონება მოხვეჭა. ჩვენი ბატონი მაიორის ვახმისტრი იყო. ო, ის მისი მეგობარია, საუკეთესო მეგობარი! სასიკვდილოდ თავს გასწირავს მისი გულისათვის!

ვერნერი. დიახ! ეს ვაჟბატონიც ჩემი მაიორის მეგობარია! ისეთი მეგობარი, რომ მაიორს ცემით უნდა მოეკვლევიანებინა ის.

სასტუმროს პატრონი. რაო? როგორ? არა, ბატონო ვერნერ, ეს უკვე ცუდი ხუმრობაა. მე არა ვარ ბატონი მაიორის მეგობარი?.. არა, ეს ხუმრობა არ მესმის.

ვერნერი. იუსტმა მიაბზო თქვენი ოინები.

სასტუმროს პატრონი. იუსტიმა? მეც ისე მომეჩვენა, თითქოს იუსტი ლაპარაკობდა თქვენი პირით. იუსტი ბოროტი და ბილწი ადამიანია. მაგრამ აი, აქაა ეს ლამაზი გოგონა. ამას შეუძლია გაგცეთ პასუხი. სთქვას: მე არა ვარ მაიორის მეგობარი? არავითარი სამსახური არ გამიწევია მისთვის? ან რატომ არ უნდა ვიყო მისი მეგობარი? დამსახურებული ადამიანი არ ბრძანდება თუ? მართალია, უბედურება შეემთხვა, სამსახურიდან გადააყენეს, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას? მეფეს არ შეუძლია ყველა დამსახურებულ ადამიანს იცნობდეს; და რომ იცნობდეს კიდევ, ყველას ხომ ვერ დააჯილდოვებს.

ვერნერი. თვითონ ღმერთმა უკარნახა ეს სიტყვები!. მაგრამ იუსტი... რა თქმა უნდა, არც იუსტი ბრძანდება დიდი ვინმე, მაგრამ მატყუარა კი არაა. და თუ მართალია ის, რაც მითხრა...

სასტუმროს პატრონი. იუსტის სახელს ნუ გამაგონებთ! როგორც ვთქვი, დაე, ამ ლამაზმა გოგონამ გასაჯოს. (ყურში უჩურჩულებს ფრანცისკას) თქვენ იცით, ჩემო გოგონა, ბეჭდის ამბავი! უამბეთ ეს ბატონ ვერნერს. მაშინ უკეთ გამიცნობს. და რომ არ იფიქროს, თითქოს ჩემდამი პირფერობა გალაპარაკებთ, მე არ მინდა დავესწრო ამ საუბარს. მე წავალ აქედან, უთუოდ წავალ. თქვენ კი, ბატონო ვერნერ, უნდა მითხრათ, უნდა მითხრათ, ბილწუცილისმწამებელია თუ არა იუსტი? (გაღის.)

### გამოსვლა მძესთე

პაულ ვერნერი. ფრანცისკა.

ვერნერი. ლამაზო, ჩანს, თქვენ იცნობთ ჩემს მაიორს.

ფრანცისკა. მაიორ ფონ-ტელპაიმს? რასაკვირველია, ვიცნობ ამ შესანიშნავ ადამიანს.

ვერნერი. განა მართლა შესანიშნავი ადამიანი არაა? ხომ კარგად ეპყრობით?

ფრანცისკა. მთელი სულით და გულით.

ვერნერი. მართლა? იცით, გოგონა, ახლა უფრო ლამაზად მეჩვენებით... მაგრამ რაზე ლაპარაკობდა სასტუმროს პატრონი, რა სამსახური გაუწია მან ჩვენს მაიორს?

ფრანცისკა. არაფერი ვიცი. იქნება მას უნდა ის სიკეთე მიაწეროს თავის თავს, რომელიც უბედნიერესი შემთხვევის გამო მისმა თაღლითურმა საქციელმა გამოიწვია.

ვერნერი. მაშ იუსტის ნაამბობი მართალი ყოფილა. (იყურება იქითკენ, საითაც სასტუმროს პატრონი წავიდა) შენი ბედი, რომ წახვედი!.. მართლა გაასახლა ოთახიდან?.. ასეთ კაცს ასეთი ოინი უყონ, მერე

ისიც იმიტომ, რომ ამ ვირისთვის ჰგონებია მაიორს ფული შემოე-  
ლიათო მაიორი და უფულო!

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. ოჰო! მაშ მაიორს აქვს ფული?

ვ ე რ ნ ე რ ი. ბზესავით თავზესაყრელი! არც კი იცის, რამდენი  
აქვს. არც კი იცის, ვის მართებს მისი. მე თვითონ მმართველს და აი  
ახლა მოვუტანე ძველი ვალიდან დარჩენილი გროშები. უყურეთ,  
გოგონა, ამ ქისაში (ამოიღებს ჯიბიდან ჭისას) ასი ლუიდორია, ხოლო  
ამ პაკეტში (იღებს მეორე ჯიბიდან) ასი დუკატია. ეს ყველაფერი იმისია!

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. მართლა? მაშ რატომ აგირავენს ნივთებს?  
ბეჭედი დაუგირავენბა...

ვ ე რ ნ ე რ ი. დაუგირავენბა? არ დაიჯეროთი იქნებ მას უნდოდა  
თავიდან მოეშორებინა ეს უსარგებლო ნივთი?

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. ეს უსარგებლო ნივთი არაა! ეს უძვირფასესი  
ბეჭედი მან საყვარელი ქალისაგან მიიღო.

ვ ე რ ნ ე რ ი. საქმეც ესაა საყვარელი ქალისაგან! დიახ, დიახ!  
ასეთი ნივთები ხშირად გვახსენებენ იმას, რასაც სიამოვნებით  
დავივიწყებდით. ამიტომაც ვიშორებთ თავიდან.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. როგორ?

ვ ე რ ნ ე რ ი. საზამთრო ბინები ჩინებული რამაა ჯარისკაცი-  
სათვის! საქმე არა აქვს, თავის გარეგნობაზე ზრუნავს, მოწყენილო-  
ბა აიძულებს ზამთრის გასატარებლად ნაცნობობა გაიჩინოს. იმ  
კეთილი გულის გოგონას კი ჰგონია, ეს დაახლოვება სამუდამოა.  
ვერც კი გაიგებ, ისე მოხერხებულად წამოგეცმება თითზე ბეჭედი.  
ხშირად სიამოვნებით წაიძრობ საკუთარ თითს, ოღონდ თავი დააღ-  
წიო ამ ბეჭედს.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. ოჰო! მაიორსაც ემართებოდა ასე?

ვ ე რ ნ ე რ ი. რა თქმა უნდა. განსაკუთრებით საქსონიაში, თითო  
ხელზე რომ ათი თითი ჰქონოდა, ოცივე ბეჭედებით ექნებოდა  
შემკული.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა (თვისთვის). ეს ძალიან საოცარია და შემოწმე-  
ბას საჭიროებს... ბატონო მემამულევე, ანუ ბატონო ვახშისტრო...

ვ ე რ ნ ე რ ი. ლამაზო, თუ თქვენთვის სულ ერთია, მე უფრო  
მესიამოვნება, თუ ბატონ ვახშისტრს დამიძახებთ.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. ბატონო ვახშისტრო, აი აქა მაქვს მაიორის  
წერილი ჩემს ქალბატონთან. საჩქაროდ წავიღებ და ახლავე დაგ-  
ბრუნდები. იქნებ კეთილინებოთ და მომიცადოთ. მე კიდეც სიამოვნ-  
ებით ვილაყებელი თქვენთან.

ვერნერი. გიყვართ ლაყობა, გოგონავ? როგორც გნებავთ, მიბრძანდით. მეც სიამოვნებით ვლაყობო ხოლმე. გელოდებით.  
ფრანცისკა. ო, მომიცადეთ ოღონდი (მიღის).

### გამოსვლა მემკვსე

პაულ ვერნერი. ამ გოგონას არა უშავს, მაგრამ არ უნდა დავბირებოდი მოგიცდი-მეთქი... უმჯობესი იყო მაიორი მომეძებნა... ჩემი ფული არ უნდა და ნივთებს კი აგირავებს? ეჰ, როგორ შეეფერება ეს მაიორის ხასიათს!.. ერთი ეშმაკური აზრი მომდის თავში... ორი კვირის წინათ ქალაქში ვიყავი და როტმისტრ მარლოვის ცოლა გინახულე. საბრალო ქალი მაშინ ლოგინად იყო ჩაყარდნილი. შემომჩივლა: ჩემს ქმარს ოთხასი ტალერი ემართა მაიორისა და როგორ გაეისტუმრო, არ ვიციო. დღეს ვფიქრობდი, კიდეც ვნახავ-მეთქი... მინდოდა მეთქვა: როცა ჩემი მამულის ფულს ავიღებ, შემიძლია ხუთასი ტალერი გასესხოთ-მეთქი... ყოველ შემთხვევისათვის ცოტა-ოდენი ფული უნდა გადავანარჩუნო. ვინ იცის, იქნებ ბედმა მიმტყუნოს სპარსეთში... მაგრამ ქალი სადღაც წასულა და მისი კვალიც აღარ ჩანს. უეჭველია, მაიორის ვალს მაინც ვერ გადაიხდიდა... ჰო, ასე მოვიტყევი, და რაც უფრო მალე გავაკეთებ ამას, მით უკეთესი... ნუ გამიწყდება ჩემი გოგონა, მე ვერ მოვუცდი (მიღის ფიქრებში გარული და უცებ ზედ შეეჩეხება მაიორს.)

### გამოსვლა მევზიდი

ფონ-ტელჰაიმი, პაულ ვერნერი.

ფონ-ტელჰაიმი. რამ ჩაგაფიქრა, ვერნერ?

ვერნერი. ეს თქვენა ხართ? წასვლას ვაპირებდი, ვიფიქრე, ბატონ მაიორს ახალ ბინაზე ვეწვევი-მეთქი.

ფონ-ტელჰაიმი. ალბათ იმისათვის, რომ ყურები გამომიჭედო ძველი სახლის ბატრონის გინებით. იმას ნუ გამახსენებ.

ვერნერი. დიახ, სხვათა შორის, ამასაც ვიზამდი. მაგრამ საკუთრივ მე მინდოდა მადლობა გადამეხადა თქვენთვის იმის გამო, რომ კეთილინებეთ და ჩემი ასი ლუიდორი შემინახეთ. იუსტმა დამიბრუნა. რასაკვირველია, უფრო სასიამოვნო იქნებოდა, თუ ამ ფულს კიდევ რამდენიმე ხანს შემინახავდით. მაგრამ თქვენ გადასულხართ ახალ ბინაზე, რომელსაც არც თქვენ იცნობთ, არც მე. ვინ იცის, როგორ მოეწყობით. შეიძლება ფული კიდევაც მოგპარონ და მერე მისი ანაზღაურება მოგიხდებათ. რა გაეწყობა!.. სიფრთხილეს თავი არ ასტკივია ამიტომ მეც ველარ მოგაბარებთ ფულს.

ფონ-ტელჰაიმი. (ღიმილით). რა დღიდან გახდი ასეთი წინ-  
დახედული, ვერნერ?

ვერნერი. ცხოვრება გვასწავლის წინდახედულებას. ჩვენს  
დროში ძნელია ფულის გამოზოგვა... მერე მე კიდევ ერთი დაეალება  
მაქვს თქვენთან, ბატონო მაიორო, როტმისტრ მარლოვის ქვრივისა-  
გან. ახლა პირდაპირ იქიდან მოვდივარ. მის ქმარს ოთხასი ტალერი  
მართებია თქვენი. აი, გამომატანა ასი ღუკატი ვალის ანგარიშში.  
დანარჩენს მომავალ კვირას გამოგზავნის. შეიძლება ჩემი ბრალია,  
რომ მთელი ვალი არ მოგიტანეთ. საქმე ისაა, ჩემიც ემართა ოთხმო-  
ციოდე ტალერი. მას ეგონა ამ ვალისათვის ვესტუმრე, — ნამდვილად  
ასეც იყო, — და აი თქვენთვის გადადებულ ფულს მოაკლო და მე  
მომცა. რასაკვირველია, მე უფრო მესაჭიროება ჩემი ორიოდე გროში,  
ვიდრე თქვენ ის ასი ღუკატი; ერთ კვირას როგორმე იოლად წახ-  
ვალთ (ზიარვის ღუკატებს.)

ფონ-ტელჰაიმი. ვერნერ!

ვერნერი. რას მიცქერით ასე დაჟინებით? გამომართვით,  
ბატონო მაიორო.

ფონ-ტელჰაიმი. ვერნერ!

ვერნერი. რა მოხდა? რატომ ჯავრობთ?

ფონ-ტელჰაიმი (გამწარებული ხელს შემოიკრავს შუბლში და  
უხსნ დაკრავს იატაკზე). იმიტომ, რომ აქ ოთხასი ტალერი არაა!

ვერნერი. თქვენ ვერ გამიგეთ, ბატონო მაიორო!

ფონ-ტელჰაიმი. საქმეც ისაა, რომ კარგად მესმის შენი  
სიტყვები!.. აჰ, დღეს ასე სასტიკად რად მტანჯავენ საუკეთესო ადა-  
მიანები!

ვერნერი. რასა ბრძანებთ?

ფონ-ტელჰაიმი. შენ მხოლოდ სანახევროდ შეგეხება ეს!..  
წადი, ვერნერ! (თვიდან იცილებს ვერნერის ხელს).

ვერნერი. წავალ, ოღონდ გამომართვით ფული.

ფონ-ტელჰაიმი. აბა რას მიპასუხებ, ვერნერ, თუ გეტყვი,  
რომ მარლოვის ქვრივი ამ დღით თვითონ იყო ჩემთან?

ვერნერი. რაო?

ფონ-ტელჰაიმი. რომ მას აღარაფერი მართებს ჩემი?

ვერნერი. მართლა?

ფონ-ტელჰაიმი. რომ მან უკანასკნელ გროშამდე გადამიხა-  
და ვალი? რას მეტყვი ამაზე?

ვერნერი (წუთით ჩაფიქრება). ვიტყვი, ვიცრუე-მეთქი, ვიტყვი,  
რომ ტყუილი საძაგლობაა მხოლოდ იმიტომ, რომ მას მოკლე ფეხები  
აბია-მეთქი.

ფონ-ტელჰაიმი. შეგრცხვება?

ვერნერი. რაღა უნდა ქნას იმან, ვინც მაიძულებს ვიცრუო? იმას კი არ უნდა შერცხვეს? იცით, ბატონო მაიორო, თუ ვიტყვი, თქვენი საქციელი არ მეწყინა-მეთქი, ესეც ტყუილი იქნება, მე კი აღარ მინდა ვიცრუო.

ფონ-ტელჰაიმი. ნუ მიწყენ, ვერნერი! ვიცი შენი კეთილი გულისა და სიყვარულის ამბავი. მაგრამ მე არ მესაჭიროება შენი ფული!

ვერნერი. არ გესაჭიროებათ? თქვენ გირჩევნიათ ნივთები გააყიდოთ, დააგირაოთ და ყბედ ხალხს თავი გააკიღვინოთ?

ფონ-ტელჰაიმი. დე, ყველამ იცოდეს, რომ ხელცარიელი დაერჩი. რა საჭიროა ადამიანებს იმაზე მდიდრად მოვაჩვენო თავი, ვიდრე ვარ.

ვერნერი. რატომ უნდა იფიქრონ, რომ ღარიბი ხართ?.. როცა მეგობარს ფული აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენცა გვქონია.

ფონ-ტელჰაიმი. მე არ შემფერის შენ ფული დაგესესხო.

ვერნერი. არ შეგფერით?.. გახსოვთ ერთხელ ბრძოლაში მტერმა და მზემ ისე დაგვაცხუნა, რომ სული გვეხუთებოდა.. სწორედ იმჟამად თქვენი ჯილავდარი სადღაც გადაიკარგა თავის ღვინიანად. თქვენ არ იყავით, მოხვედით და მითხარით: ვერნერი, წყალი ხომ არა გაქვს, დამალევინეო. მე რომ მათარა გამოგიწოდეთ, ხომ გამომართვით და წყურვილი მოიკალით?.. მაშინ ეს შეგფეროდათ?.. სულწაწყმედილი ვიყო, თუ მაშინ იმ აშშორებული წყლის ერთი ყლუპი უფრო ძვირფასი არ ყოფილიყო, ვიდრე მთელი ეს ფურჩი (ჯიბიდან იღებს და ტელჰაიმს გაუწოდებს ლუიდორებით სავსე ქისას). გამომართვით, ძვირფასო მაიორო! ვითომ ესეც წყალია. ფულიც ხომ ყველასთვის გააჩინა ღმერთმა.

ფონ-ტელჰაიმი. შენ მტანჯავ. არ გესმის? არ მინდა შენი მოვალე გავხდე.

ვერნერი. ჯერ თქვით, არ შემფერისო, ახლა ამბობთ, არ მინდაო, პო, ეს სხვა საქმეა. (ოდნავ წყენით) არ გინდათ ჩემი მოვალე გახდეთ? მაგრამ უკვე ჩემი მოვალე ხართ, ბატონო მაიორო! ან იქნება არაფერი გმართებთ იმ ადამიანისა, რომელმაც ერთხელ სასიკვდილოდ მოქნეული ხმალი აგარიდათ, მეორედ კი მტერს ხელა მოჰკვეთა და გულში დამიზნებული ტყვიისაგან გიხსნათ? ამის მეტი რა უნდა გემართოთ ამ ადამიანისა? იქნებ ჩემს კისერს უფრო ნაკლები ფასი აქვს, ვიდრე ამ ქისას? თუ ეს კეთილშობილი აზროვნებაა, გეფიცებით, დიდად უკუღმართიცაა.



ფონ-ტელჰაიმი. ვის ეუბნები ამას, ვერნერ? ჩვენ მარტო ვართ. ახლა შემძლია ეს გითხრა, თორემ ვინმეს რომ გაეგო, ტრაზახობაში ჩამომართმევდა. სიამოვნებით გეთანხმები, რომ ორჯერ გადამარჩინე სიკვდილს. მაგრამ, მეგობარო, შემთხვევა რომ ყოფილიყო, განა მეც ასე არ მოვიქცეოდი შენი გულისათვის?

ვერნერი. დიახ, შემთხვევა რომ ყოფილიყო. ვის შეეპარება ამაში ეჭვი, ბატონო მაიორო? რამდენჯერ მინახავს თქვენი თავგანწირულება ხიფათში ჩავარდნილი ჯარისკაცის გადასარჩენად.

ფონ-ტელჰაიმი. მაშასადამე!

ვერნერი. მაგრამ...

ფონ-ტელჰაიმი. რატომ არ გინდა ისე გაიგო ჩემი სიტყვა, როგორც საჭიროა? მე არ შემფერის შენგან ფული ვისესხო. მე არ მინდა შენი მოვალე გავხდე. სწორედ ახლა არ მინდა, ამ მდგომარეობაში, რომელშიაც ვიმყოფები.

ვერნერი. ასე, ასე. თქვენ გინდათ ეს უფრო ხელსაყრელი დროისთვის გადასდოთ. თქვენ გინდათ მაშინ მესესხოთ ფული, როცა ამის საჭიროება არ გექნებათ, როცა თქვენ ფულიანი გახდებით, მე კი — უფულო.

ფონ-ტელჰაიმი. არ უნდა ისესხო, როცა ვერ გადაიხდი.

ვერნერი. თქვენისთანა ადამიანი სამუდამოდ უფულოდ ხომ არ დარჩება?

ფონ-ტელჰაიმი. შენ ცხოვრებას იცნობ!.. მით უფრო არ უნდა ესესხო იმას, ვისაც თვითონ ესაჭიროება თავისი ფული.

ვერნერი. დიახ, მე სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი! რად მინდა ფული? სადაც ვახმისტრი დასჭირდებათ, იქ თავსაც გავიტან.

ფონ-ტელჰაიმი. შენ ფული გჭირდება იმისათვის, რომ ვახმისტრზე ღეტი გახდე. შენ ისეთ ასპარეზზე უნდა გამოხვიდე, სადაც უფულოდ ღირსეული ადამიანებიც კი კულში მისჩანჩალებენ სხვებს.

ვერნერი. წარმატებაზე არც ვფიქრობ. მე კარგი ვახმისტრი ვარ. შეიძლება ცუდი როტმისტრი გამოვსულიყავი, და უეჭველია უფრო უარესი გენერალი. რამდენი მაგალითია ასეთი.

ფონ-ტელჰაიმი. ნუ მაიძულებ ცუდი აზრი ვიქონიო შენზე, ვერნერ! არ მესიამოვნა იუსტის ნაამბობი. მამული გაგიყიდა და გინდა ქვეყანაზე იხეტიאלო. ნუ მაიძულებ ვიფიქრო, რომ შენ სამხედრო საქმე კი არ გიყვარს, არამედ ის ველური, თავაშვებული ცხოვრება, რომელიც საუბედუროდ წასთანაა დაკავშირებული. ჯარისკაცი უნდა იბრძოდეს ან სამშობლოსათვის, ან იმ საქმის სიყვა-

რულით, რომლისათვისაც ომი წარმოებს. უმიზნო სამსახური — დღეს აქ, ხვალ სხვაგან — ყასბობას ნიშნავს და სხვას არაფერს.

ვერნერი. კეთილი, ბატონო მაიორო, დაგიჯერებთ. თქვენ უკეთ იცით, რა უნდა აკეთოს ადამიანმა. ღე მინდა თქვენთან დავრჩე... მაგრამ, ძვირფასო მაიორო, ჯერ ეს ფული გამომართვით. დღეს არა, ხვალ გადაწყდება თქვენი საქმე. ბევრ ფულს მიიღებთ. მაშინ მოგე-  
ბით დამიბრუნებთ. მე ამას სარგებლის გულისათვის ვაკეთებ.

ფონ-ტელჰაიმი. ამაზე კრინტი არ დასძრია

ვერნერი. სულწაწყმედილი ვიყო, თუ მარტო სარგებელი არ მაინტერესებდეს. მე ხანდახან მიფიქრია: ვინ იცის, რა მომელის სა-  
ბერის ჟამს? ვაი თუ გავლატაკდე? ყველაფერი დაგვკარგო? კარდაკარ  
ვიარო სამათხოვროდ? მაგრამ მაშინვე ვეტყოდი ხოლმე ჩემს თავს:  
არა, მათხოვრობა არ დაგჭირდება. მიხვალ ტელჰაიმთან, ის გაგი-  
ყოფს უკანასკნელ ფენიგს, ის შეგინახავს სიკვდილამდე. იქნასთან შე-  
გიძლია მოჰკვდე პატიოსან ადამიანად.

ფონ-ტელჰაიმი. (ხელს მოჰკიდებს ვერნერს). მეგობარო, ახლა  
კი ასე არ ფიქრობ?

ვერნერი. არა, ახლა ასე აღარ ვფიქრობ... ვინც გაჭირვების  
ჟამს არ გამომართმევს ფულს, როცა მე მაქვს და მას კი არა, ის  
თვითონაც არაფერს მომცემს, თუ გამიჭირდა... კეთილი (დააპირებს  
წასვლას).

ფონ-ტელჰაიმი. ადამიანო, ნუ მაშმაგებუ სად მიდიხარ?  
(აკეუბს). პატიოსნებას გეფიცები, ჯერჯერობით ფული მაქვს. პატი-  
ოსნებას გეფიცები, შენ იქნები პირველი და ერთადერთი ადამიანი.  
რომელსაც გაჭირვებისას მივმართავ... კმაყოფილი ხარ?

ვერნერი. დიახი მომეცით ხელი, ბატონო მაიორო.

ფონ-ტელჰაიმი. აჰა, ბაულ!.. ახლა კმარა ამაზე. მე სალაპა-  
რაკო მაქვს ერთ ქალიშვილთან.

## გამოსვლა მხრეში

ფრანცისკა გამოდის თავისი ქალბატონის ოთახიდან.

ფონ-ტელჰაიმი, ბაულ ვერნერი.

ფრანცისკა (შემოსვლისთანავე). ისევ აქა ხართ, ბატონო ვახ-  
მისტრო? (შეაშრევს ტელჰაიმს) თქვენც აქ ბრძანდებით, ბატონო  
მაიორო?.. ერთი წუთის შემდეგ აქ გაეჩნდები. (სწრაფად ბრუნდება  
ოთახში.)

## ბამოსვლა მცხრბი

ფონ-ტელჰაიმი, პაულ ვერნერი.

ფონ-ტელჰაიმი. ის არის!.. როგორც ვხედავ, შენ მას იცნობ, ვერნერ.

ვერნერი. დიახ, ვიცნობ ამ გოგონას.

ფონ-ტელჰაიმი. რამდენადაც მახსოვს, ამ ზამთარს შენ ჩემთან ტურინგიაში არ ჰყოფილხარ.

ვერნერი. არა, მე მამის ლაიპციგში ჯარისათვის ტანისამოსს ვიძენდი.

ფონ-ტელჰაიმი. მამს საიდან იცნობ?

ვერნერი. ჩვენი ნაცნობობა მხოლოდ ახლა დაიწყო, დღეიდან. მაგრამ პირველი გაცნობა უფრო მხურვალეა.

ფონ-ტელჰაიმი. როგორც ჩანს, მისი ქალბატონიც გინახავს — ფროილან ფონ-ბარნჰელმ?

ვერნერი. მისი ქალბატონი გასათხოვარია? მან მითხრა. მაიორი იცნობს ქალბატონსო.

ფონ-ტელჰაიმი. არ იცოდი? მე ის ტურინგიაში გავიცანა.

ვერნერი. ახალგაზრდაა?

ფონ-ტელჰაიმი. კი.

ვერნერი. ლამაზია?

ფონ-ტელჰაიმი. ძალიან.

ვერნერი. მდიდარია?

ფონ-ტელჰაიმი. ძალიან.

ვერნერი. ქალბატონიც ისეთი მოწყალე თვალთ გიცქერით. როგორც მოახლე? თუ ეს ასეა, ეს ხომ შესანიშნავი იქნებოდა!

ფონ-ტელჰაიმი. რა გინდა ამით სთქვა?

## ბამოსვლა მებათა

შემოდის ფრანცისკა, ხელში წერილი უჭირავს. ფონ-ტელჰაიმი, პაულ ვერნერი.

ფრანცისკა. ბატონო მაიორო...

ფონ-ტელჰაიმი. ძვირფასო ფრანცისკა, მე ჯერ არ მომილოცავს შენთვის ის ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულა.

ფრანცისკა. რა თქმა უნდა, გუნებაში უკვე მომილოცავდით. ვიცი, ჩემი კეთილისმოსურნე ბრძანდებით. მეც აგრეთვე. მაგრამ ძალიან ცუდია, რომ ასე უფრთხით იმ ადამიანებს, რომელთაც თქვენთვის კარგი სურთ.

ვერნერი. (თავისთვის). აჰა, ახლა კი ვხედავ. სწორედ ასეა.

ფონ-ტელჰაიმი. როგორ სჭრის ჩემი ბედი, ფრანცისკა!..

წერილი გადაეცი?

ფრანცისკა. დიახ, ახლა თქვენ გადმოგცემთ (აწვდის წერილს).

ფონ-ტელჰაიმი. პასუხია?

ფრანცისკა. არა, თქვენს საკუთარ წერილს უკანვე გიბრუნებთ.

ფონ-ტელჰაიმი. რაო? არ სურს წაკითხვა?

ფრანცისკა. ძალიანაც სურდა, მაგრამ... ხელნაწერის გარჩევა გაგვიჭირდა.

ფონ-ტელჰაიმი. ცუდლუტო!

ფრანცისკა. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბარათების წერა იმათთვის არაა მოგონილი, ვისაც შეუძლია პირადად მოელაპარაკოს ადამიანს, თუ კი მოისურვებს.

ფონ-ტელჰაიმი. ესეც საბაბი! მან უნდა წაიკითხოს ეს წერილი. აქ ჰპოვებს იგი ჩემი საქციელის გამართლებას... ყველა საფუძველს და მიზეზს.

ფრანცისკა. ჩემს ქალბატონს უნდა ყოველივე ეს მოისმინოს და არა წაიკითხოს.

ფონ-ტელჰაიმი. თვითონ მე მომისმინოს? რომ მისმა ყოველმა სიტყვამ, სახის ყოველმა ცვალებადობამ გზა-კვალი ანიბნინოს? რომ მისი თვალების ყოველ გამოხედვაში ვგრძნობდე ჩემს უდიდეს დანაკარგს?

ფრანცისკა. შებრალება მაინც არ იქნება! გამომართვით. (აძლავს წერილს). ჩემი ქალბატონი გელოდებათ სამი საათისათვის. აპირებს გასეირნებასა და ქალაქის დათვალიერებას. თქვენ უნდა ეახლოთ თან.

ფონ-ტელჰაიმი. მე უნდა გავაცილო?

ფრანცისკა. რით დამასაჩუქრებთ, ბატონო მაიორო, თუ მე შინ დავრჩები და მარტო თქვენ ახლდებით ფროილიანს?

ფონ-ტელჰაიმი. სრულიად მარტო?

ფრანცისკა. მშვენიერ დახურულ ეტლში!

ფონ-ტელჰაიმი. შეუძლებელია!

ფრანცისკა. დიახ, დიახ. ეტლში ბატონი მაიორი ერთ ადგილზე იქნება მიკრული. იქ კი ვეღარ გაგვისხლტება ხელიდან. სწორედ ამიტომაც ვაწყობთ ამას... ერთი სიტყვით, თქვენ მობრძანდებით, ბატონო მაიორო, სრულ სამ საათზე... ამის გარდა, თქვენ გასურდათ საიდუმლოდ მომლაპარაკებოდით? რას მიბრძანებთ?.. აჰ, დამავიწყდა, ჩვენ მარტო არა ვართ. (უყურებს ფერნერს).

ფონ-ტელჰაიმი. არა, ფრანცისკა. მაგის თანადასწრებითაც ისე უნდა ვიგრძნოთ თავი, თითქოს ჩვენს მეტი აქ არავინ იყოს. მაგრამ რაკი ფროილიანმა წერილი არ წაიკითხა, სათქმელიც აღარაფერი მაქვს.

ფრანცისკა. მაგის თანადასწრებითაც? განა თქვენ ისეთი საიდუმლოება არა გაქვთ, რომ ის ვახმისტრმა არ იცოდეს?

ფონ-ტელჰაიმი. არა, არავითარი.

ფრანცისკა. მე მაინც ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, თუ ყველა საიდუმლოებას არ გაანდობდით მას.

ფონ-ტელჰაიმი. რაო?

ვერნერი. რატომ, ლამაზო?

ფრანცისკა. განსაკუთრებით ზოგიერთ საიდუმლოებას მაინც... და განა თუ ერთს, რატომ ყველა ოცს არა, ბატონო ვახმისტრო? (ასწავს ხელებს და აჩვენებს თითებს.)

ვერნერი. სს! სს! ჩემო ლამაზო, ჩემო ლამაზო!

ფონ-ტელჰაიმი. რას ნიშნავს ეს?

ფრანცისკა. წუთი!... და თითი შემკულია, ბატონო ვახმისტრო! (ყესით აჩვენებს თითზე ბეჭდის გაკეთებას).

ფონ-ტელჰაიმი. რას აკეთებ?

ვერნერი. ჩემო ლამაზო, მე ხომ ვხუმრობდი.

ფონ-ტელჰაიმი. ვერნერ, რამდენჯერ მიტყვამს შენთვის, ასეთ რამეზე ქალებთან ხუმრობას უნდა ერიდო-მეთქი. დაგავიწყდა?

ვერნერი. ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი, მართლა დამავიწყდა!.. ჩემო ლამაზო, გთხოვ...

ფრანცისკა. კეთილი, თუ ეს ხუმრობა იყო... ამ ჯერზე მიპატიებია.

ფონ-ტელჰაიმი. თუ აუცილებლად უნდა მოვიდე, ის მაინც მოახერხე, ფრანცისკა, რომ წინასწარ წერილი წაიკითხო. ეს გამათავისუფლებს ტანჯვისაგან, ხელახლა ვიფიქრო და ვილაპარაკო იმაზე, რასაც სიამოვნებით დავივიწყებდი. აჰა, გადაეცი. (გაღმობრუნებს წერილს და აპირებს გადასცეს, მაგრამ უცებ შეამჩნევს, რომ კონვერტა გახსნილია). თვალი ხომ არ მატყუებს? ფრანცისკა, წერილი გახსნილია.

ფრანცისკა. ადვილი შესაძლებელია. (სიჯავს წერილს) მართლა გახსნილია. ვის უნდა გაეხსნა? ჩვენ არ წავგიკითხავს, ბატონო მაიორო, მართლა არ წავგიკითხავს. ჩვენ არც გვინდა ნისი წაკითხვა. დაე, მაგის დამწერი თვითონ მოვიდეს. მობრძანდით. მაგრამ იცით რა, ბატონო მაიორო? ასე ნუ მოხვალთ... ჩექმებითა და ულაზათოდ დავარცხნილი. რასაკვირველია, გეპატიებათ... თქვენ ხომ არ იყო-

დით, რომ შეგხვდებოდით... ფეხსაცმელი გამოიცვალეთ და თმა დაიხუჭუჭეთ... თორემ მეტად თავზეხელაღებული, მეტად პრუსიული შეხედულება გაქვთ.

ფონ-ტელჰაიმი. გმადლობ, ფრანცისკა.

ფრანცისკა. ისეთი შეხედულება გაქვთ, თითქოს სამხედრო ბანაკში გაგითვისებინათ ღამე.

ფონ-ტელჰაიმი. შეიძლება გამოიცანი კიდევ.

ფრანცისკა. ჩვენც ახლავე მოვიკაზმებით და მერე ვისადილებთ. სიამოვნებით მიგიწვევდით სადილზე, მაგრამ შესაძლებელია თქვენმა სტუმრობამ მადა დაგვიკარგოს. ხედავთ, ჩვენ არც იმდენად შეყვარებულნი ვართ, რომ ჭამა დაგვაფიწყდეს.

ფონ-ტელჰაიმი. მოვდივარ! ფრანცისკა, მოაწაღე ფროილანინი ჩვენი შეხვედრისათვის... ვშიშობ, უბადრუკად არ ვეჩვენო მასაც და ჩემს თავსაც... წამოდი, ვერნერ, ერთად ვისადილოთ.

ვერნერი. აქ, სასტუმროს სასადილოში? ერთ ლუემასაც ვერ ჩაველაპავ.

ფონ-ტელჰაიმი. ჩემს ოთახში.

ვერნერი. ახლავე მოვდივარ. მხოლოდ ერთ სიტყვას ვეტყვი ამ გოგონას.

ფონ-ტელჰაიმი. ეს მომწონს! (მიღს).

### გამოსვლა მითერთგვით

პაულ ვერნერი, ფრანცისკა.

ფრანცისკა. რას მეტყვით, ბატონო ვახმისტრო?

ვერნერი. ჩემო ლაიზო, მომავალი შეხვედრისათვის მეც ხოპ არ დამჭირდება სუფთად ჩაცმა?

ფრანცისკა. მობრძანდით ისე, როგორც გნებავთ, ბატონო ვახმისტრო. ჩემს თვალებს არაფერი ექნებათ საწინააღმდეგო. სამაგიეროდ ყური ცქვიტად უნდა მეჭიროს... ბეჭდებით შემკული ოცი თითი! აი, აი, ბატონო ვახმისტრო!

ვერნერი. არა, გოგონა, სწორედ ამზე მინდოდა თქვენთან ლაპარაკი. ეს ხუმრობა უნებურად წამომცდა! ერთი ბეწო სიმართლე არაა მასში. ადამიანს ერთი ბეჭედიც ეყოფა. ასჯერ გამიგონია მაიორისაგან: რა ვერაგი უნდა იყოს ჯარისკაცი, რომ ქალიშვილი შეაცდინოსო!.. მეც ამ აზრისა ვარ, ჩემო გოგონა. დამიჯერეთ!.. სადილზე მაგვიანდება!.. გაამოთ, ლამაზო! (მიღს.)

ფრანცისკა. აგრეთვე თქვენც, ბატონო ვახმისტრო!.. ასე მგონია, მომწონს ეს კაცი!.. (აპირებს ოთახში შესვლას, მაგრამ შეხვდება იქიდან გამოსულ მინას.)

## გამოსვლა მთორკმბიბ

მ ი ნ ა . ფ რ ა ნ ც ი ს კ ა .

მ ი ნ ა . მაიორი უკვე წავიდა?.. ასე მგონია, თითქოს საკმაოდ დავმშვიდდი ახლა და შემოძლია აქვე შევხვდე მაიორს.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა . მე წინდა ამაზე მეტად დავამშვიდდით.

მ ი ნ ა . მით უკეთესი მისი წერილი! ოჰ, მისი წერილი! ყოველი სტრიქონი ლაპარაკობდა პატიოსნებით აღსაესე. კეთილშობილად ამიანზე. ყოველი სიტყვა, რომლითაც უარს ანბობდა ჩემთან შეუღლებაზე, მის სიყვარულს ამტკიცებდა... ია, რასაკვირველია, შეამჩნევდა, რომ წერილი წავიკითხეთ. ღაჟე!.. თლონდ მოვიღებ. უთუოდ მოვა, არა?.. მაგრამ მე მგონია, ფრანცისკა, მის საქციელში ცოტა არ იყოს გაღამებებული სიამაყე გამოსჭვივის. თუ კაცი არ გრძნობს მადლობას საყვარელი ქალის მიმართ, რომელმაც ზედნიერება მიანიჭა მას, — ეს ქედმაღლობაა, მიუტევებელი ქედმაღლობა! ღა თუ ამას იგი მკაცრად მაგრძნობინებს, მაშინ, ფრანცისკა...

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა . უარს ეტყვი?

მ ი ნ ა . რას ანბობ? აღარ გებრალეზა? არა, ჩემო სულელო, ვინ იქნება ისეთი ქალი, რომ ერთი ნაკლისათვის ხელი აიღოს მამაკაცზე? არა! მაგრამ აზრად მომივიდა ასეთივე ქედმაღლობით გავაწვალო ცოტათი.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა . ჩანს, მართლა დამშვიდებულხართ, ქალბატონო, როცა უკვე ეშმაკობაზე დაგიწყიათ ფიქრი.

მ ი ნ ა . ნე მართლა დავმშვიდდი. წავიღებ. შენც უნდა ითამამო შენი როლი ამ საქმეში. (შეღიან ოთახში.)

## მოქმედება მეოთხე

მინას ოთახი

### ზამოხვლა პირველი

მინა — ავკია საუცხოოდ და მდიდრულად, მაგრამ გემოვნებით; ფრანცისკა. დგებიან მაგიდიდან, რომელსაც მსახური ალაგებს.

ფრანცისკა. ვერ დავიჯერებ. ქალბატონო, რომ მაძლარი იყოთ.

მინა. შენ ასე ფიქრობ. ფრანცისკა? მაგრამ თუ სადილობამდეც არა მშობილა?

ფრანცისკა. ჩვენ პირობა დავდეთ არ გვეხსენებია ის სადილობისას. მაგრამ პირობა უნდა დაგვედო აგრეთვე, რომ არც კი ვიფიქრებდით იმაზე.

მინა. ოღონდაც, მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, სხვა არაფერზე.

ფრანცისკა. მე ეს შევნიშნე. ხან ერთ საგანზე ჩამოგიგდეთ ლაპარაკი, ხან მეორეზე, თქვენი პასუხი კი ყოველთვის შეუსაბამო იყო. (მორე მსახურს შემოაქვს ყავა.) აი, მოგვართვეს ოცნების აღმძვრელი სასმელი, საამური, მელანქოლიური განწყობილების მომგვრელი ყავა!

მინა. ოცნება! მე როდი ვოცნებობ. მე მხოლოდ იმ გაკვეთილზე ვფიქრობ, რომელსაც ის მიიღებს ჩემგან. ხომ კარგად გესმის ჩემი აზრი, ფრანცისკა?

ფრანცისკა. ოღონდაც! მაგრამ უკეთესი იქნება, თუ გაგვანთავისუფლებდა ამისგან.

მინა. ნახავ, რა კარგად ვიცნობ ტელჰაიმს. ადამიანი, რომელიც ხელს იღებს ჩემზე, როცა ესოდენ მდიდარი ვარ, მთელ მსოფლიოს შეებრძოლება ჩემი გულისათვის, თუ გაიგო, რომ უბედური და მიტოვებული ვარ.

ფრანცისკა (ძლიერ სერიოზულად). ეს უთუოდ უსაზღვრო სიამოვნებას უნდა ჰკერიდეს უფაქიზესი თავმოყვარეობის ადამიანს!



მინა. რა მკაცრი მსაჯული ხარ! ხედავთ! ჯერ მედიდურობა დამწამა, ახლა — თავმოყვარეობა. მე თავი დამანებე, საყვარელო ფრანცისკა, და შენს ვახმისტრს, როგორც გინდა, ისე მოექეცი.

ფრანცისკა. ჩემს ვახმისტრს?

მინა. დიახ, და რამდენიც უნდა უარპყო, ეს მართალია... ის ჯერ არ მინახავს, მაგრამ შენი ლაპარაკიდან დავასკენი, რომ უთუოდ შენი ქმარი გახდება.

### გამოსვლა მმორა

რიკო დე ლა მარლინიერი, მინა, ფრანცისკა.

რიკო. (სცენის გარეთ). Est-il permis, Monsieur le Major?<sup>1</sup>

ფრანცისკა. ვინ უნდა იყოს? ჩვენ გვკითხულობენ? (მიღის კარებთან).

რიკო. Parbleu!<sup>2</sup>, შევცდი... Mais non.<sup>3</sup> არ შევმცდარვარ... C'est sa chambre.<sup>4</sup>

ფრანცისკა. ქალბატონო, ეს ბატონი უეჭველად აქ მაიორ ფონ-ტელჰაიმს ეძებს.

რიკო. სწორედ ასეა! Le Major de Tellheim; juste, ma belle enfant, c'est lui que je cherche. Oú est-il?<sup>5</sup>

ფრანცისკა. ის აღარ ცხოვრობს აქ.

რიკო. Comment?<sup>6</sup> ჯერ კიდევ ოცდაოთხი საათის წინ ის აქ ცხოვრობდა, და ახლა აღარ ცხოვრობს? მაშ სად არის ახლა?

მინა (მიუახლოვდება). ჩემო ბატონო..

რიკო. Ah, Madame... Mademoiselle... მომიტევეთ, პატივცემულო ქალბატონო.

მინა. ჩემო ბატონო, თქვენი შეცდომა საბოლოოდ არ გახლავთ, და თქვენი გაოცებაც სავსებით ბუნებრივია. ბატონმა მაიორმა დიდი თავაზიანობა გამოიჩინა, და თავისი ოთახი მე დამითმო, როგორც უცხოელს, რომელსაც გაუძნელდებოდა აქ ბინის შოვნა.

რიკო. Ah, voilà de ses politesses! C'est un très galant-homme que ce Major!<sup>7</sup>

<sup>1</sup> შეიძლება, ბატონო მაიორო?

<sup>2</sup> დალაზეროს ეშმაკმა!

<sup>3</sup> მაგრამ არა.

<sup>4</sup> ეს მისი ოთახია.

<sup>5</sup> მაიორ: ტელჰაიმს. სწორია, ჩემო ლამაზო გოგონა, იმას ეძებ. სად არის?

<sup>6</sup> როგორ?

<sup>7</sup> აი ამას ჰქვიან თავაზიანობა! ეს მაიორი მეტისმეტად გალანტურია.

მინა. თვითონ სად დაბინავდა... სწორე გითხრათ, უნდა მრცხვენოდეს, რომ ეს არ ვიცი.

რიკო. თქვენმა ნოწყალებამ ეს არ იცის. C'est dommage; j'en suis fâché.<sup>1</sup>

მინა. რასაკვირველია, მე ეს უნდა გამეგო. უეჭველია, მისი მეგობრები ისევ აქ მოიკითხავენ.

რიკო. მე მისი დიდი მეგობარი ვარ, პატივცემულო ქალბატონო.

მინა. ფრანცისკა, უენ არ იცი?

ფრანცისკა. არა, ქალბატონო.

რიკო. მე ძალიან წინდა წაიორის ნახვა. მე მოვუტანე მას nouvelle,<sup>2</sup> რომელიც დიდად გაახარებს.

მინა. მით უნეტეს ენაობა, რომ არ ვიცი... მაგრამ იმედი მაქვს, მალე მექნება მასთან საუბარი. თუ სულ ერთია თქვენთვის ვინ აცნობებს ამ სასიამოვნო ამბავს, მაშინ გთხოვთ, ჩემო ბატონო...

რიკო. მესმის. Mademoiselle parle français? Mais sans doute; telle que je la vois!.. La demande était bien impolie; Vous me pardonnerez, Mademoiselle...<sup>3</sup>

მინა. ჩემო ბატონო...

რიკო. არა? თქვენ არ ლაპარაკობთ ფრანგულად, პატივცემულო ქალბატონო?

მინა. ჩემო ბატონო, საფრანგეთში მე ვეცდებოდი მელაპარაკა ფრანგულად. მაგრამ რა საჭიროა ეს აქ? მე ვხედავ. თქვენ გესმით ჩემი ლაპარაკი. მეც ალბათ გავიგებ თქვენს ლაპარაკს, ჩემო ბატონო. სთქვით, რა ენაზედაც გნებავთ.

რიკო. კეთილი, კეთილი! მე შემძლია ვილაპარაკო გერმანულადაც. Sachez donc, Mademoiselle,<sup>4</sup> — მინდა ვაცნობო თქვენს ნოწყალებას, რომ მე სადილად გახლდით მიწვეული მინისტრთან... მინისტრთან... მინისტრთან... რა ეწოდება? გრძელ ქუჩაზე რომაა? ფართო მოედანზე?..

მინა. მე თვითონ სრულიად არ ვიცნობ ამ ქალაქს.

რიკო. აჰა, სამხედრო დეპარტამენტის მინისტრთან. მე სადილად გახლდით მიწვეული. მე à l'ordinaire<sup>5</sup> ვსადილობდი მასთან.

<sup>1</sup> სანწყუბარო; მწყინს.

<sup>2</sup> ამბავი.

<sup>3</sup> ქალბატონო, ლაპარაკობთ ფრანგულად? თქვენი შესახედაობა ამყლავნება, რომ უეჭველად!.. ეს შეკითხვა უზრდელობა იყო. მომიტყვეთ, ქალბატონო.

<sup>4</sup> მამ იცოდეთ, ქალბატონო.

<sup>5</sup> ჩვეულებრივ.

საუბარი შევხო მაიორ ფონ-ტელჰაიმს; est le ministre m'a dit en confidence, car Son Excellence est de mes amis et il n'y a point de mystères entre nous,<sup>1</sup>— მე მინდა ვსთქვა: მისმა აღმატებულებამ საიდუმლოდ მითხრა — ჩვენი მაიორის საქმე დასასრულს უახლოვდება და საკეთილო ბოლოც ექნებაო. მან მეუფს წარუდგინა rapport<sup>2</sup> და მეუფემ გადასწყვიტა tout-à-fait en faveur du Major.— Monsieur, m'a dit Son Excellence, Vous comprenez bien, que tout dépend de la manière, dont on fait envisager les choses au roi, et Vous me connaissez. Cela fait un très joli garçon que ce Tellheim, et ne sais-je pas que Vous l'aimez? Les amis de mes amis sont aussi les miens. Il coûte un peu cher au roi ce Tellheim, mais est-ce que l'on sert les rois pour rien? Il faut s'entr'aider en ce monde; et quand il s'agit de pertes, que ce soit le roi, qui en fasse et non pas un honnêt-homme de nous autres. Voilà le principe, dont je ne me dépars jamais.<sup>3</sup> რას იტყვიტ ამის შესახებ, თქვენო მოწყალეებავ? ხომ ყოჩალია? Ah que Son Excellence a le soeur bien placé.<sup>4</sup> ის მე მარწმუნებდა au reste,<sup>5</sup> რომ თუ მაიორს ჯერ არ მიუღია une lettre de la main<sup>6</sup> — მეფის წერილი, დღეს infailliblement<sup>7</sup> მიიღებსო.

მინა. რასაკვირველია, ჩემო ბატონო, ეს ამბავი უაღრესად სასიამოვნო იქნება მაიორ ფონ-ტელჰაიმისათვის. მე ვისურვებდი მხოლოდ შესაძლებლობა მქონოდა მომეხსენებია მაიორისთვის მეგობრის ვინაობა, რომელსაც ესოდენ გული შესტკივა მისთვის.

რ'კო. თქვენო მოწყალეებავ, თქვენ გსურთ იცოდეთ ჩემა სახელი? Vous voyez en moi...<sup>8</sup> თქვენო მოწყალეებავ, თქვენს წინაშე

<sup>1</sup> მინისტრმა გამანდო, — ის ჩემი ნეგობარია და არაფერს მიმაღავს.

<sup>2</sup> მოხსენება.

<sup>3</sup> საჯებით მაიორის სასარგებლოდ. ბატონო, მითხრა მისმა აღმატებულებამ, შვენიერად გესმით. რომ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარედგინება საქმე მეფეს, — თქვენ კი კარგად მიცნობთო. ტელჰაიმი შესანიშნავი ადამიანი და განა არ ვიცი, რომ ის გიყვართო? მეგობრის მეგობარი ჩემი მეგობარიცააო. ტელჰაიმი ცოტა ძვირად უჯდება მეფეს, მაგრამ განა მეფეებს უფასოდ ემსახურება ვინმე? ამ ქვეყნად ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, და როდესაც საქმე ზარალს ეხება, დე ის მჯერს მოუვიდეს და არა ჩვენი წრის რიგიან ადამიანს. აი პრინციპი, რომელსაც არასოდეს არ ვღალატობ.

<sup>4</sup> აჰ, რა კეთილი გული აქვს მის აღმატებულებას.

<sup>5</sup> ბოლოსდაბოლოს.

<sup>6</sup> საკუთარი ხელით დაწერილი წერილი.

<sup>7</sup> აუცილებლად.

<sup>8</sup> თქვენს წინაშე დგას.

დგას... le Chevalier Riccaut de la Marlinière, Seigneur de Pret-  
au-val, de la branche de Prens d'or.<sup>1</sup> თქვენო მოწყალეზავ, თქვენ  
გაოცებული ხართ, რომ მე ესოდენ, დიდი, დიდი გვარის ჩამომავალა  
ვარ, qui est veritablement du sang royal... Il faut le dire; je  
suis sans doute le Cadet de plus aventureux, que la maison  
a jamais eu...<sup>2</sup> თერთმეტი წლისამ დავიწყე სამსახური. Affaire  
d'honneur-მა<sup>3</sup> მაიძულა გამოვექცეულიყავი. შემდეგ მე ვემსახურე-  
ბოდი მის უწმინდესობას — ბაბა, სან-მარინოს რესპუბლიკას, პოლო-  
ნეთის გენერალს და გენერალურ შტატებს, ვიდრე გამოვემგზავრე-  
ბოდი აქეთკენ. Ah, Mademoiselle, que je voudrais n'avoir  
jamais vu ce pays-là.<sup>4</sup> გენერალურ შტატებს რომ დავეტოვებინე  
სამსახურში, ახლა, სულ ცოტა, ობერსტი ვიქნებოდი. აქ კი კაცი სულ  
კაპიტანად უნდა დარჩეს და ამჟამად გადაყენებულიც კი გახლავარ.

მ ი ნ ა. ეს დიდი უბედურებაა.

რ ი კ ო. Oui, Mademoiselle, me voilà reformé, et par-là mis  
sur le pavé!<sup>5</sup>

მ ი ნ ა. ძალიან ვწუხვარ.

რ ი კ ო. Vous êtes bien bonne, Mademoiselle.<sup>6</sup> არა აქ დამსა-  
ხურებას არ სცნობენ. ნუთუ შეიძლება ასეთი ადამიანის დათხოვნა?  
ადამიანისა, რომელიც ამ სამსახურში გაკოტრდა? მე იქ დავხარჯე  
ოციათასამდე Livres.<sup>7</sup> რაღა დამჩნა ახლა? Tranchons le mot, je  
n'ai pas le sou et me voilà exactement vis-à-vis du rien.<sup>8</sup>

მ ი ნ ა. მეტის-მეტად სამწუხაროა.

რ ი კ ო. Vous êtes bien bonne, Mademoiselle.<sup>9</sup> მაგრამ რო-  
გორც იტყვიან ხოლმე: ერთ უბედურებას მეორე მოსდევს. Qu'un

<sup>1</sup> კავალერ რიკო დე ლა მარლინიერ, პრეტ-ო-ვალის მფლობელი, დე პრან  
დ'ორის ჩამომავალი.

<sup>2</sup> რომლის ძარღვებში მართლაც სჩქენს მეფის სისხლი... უნდა აღვიარო:  
ამ გვარის ნაშიერთა შორის მე ყველაზე მეტი გადამხლომია თავს.

<sup>3</sup> დუელმა.

<sup>4</sup> აა, ქალბატონო, რა მოხარული ვიქნებოდა, რომ არასოდეს არ მენახა  
ეს ქვეყანა.

<sup>5</sup> დიას, ქალბატონო, მე გადამაყენეს სამსახურიდან და ეს ქუჩაში გაგდებას  
უღრის.

<sup>6</sup> თქვენ ფრიად თავაზიანი ბრძანდებით, ქალბატონო.

<sup>7</sup> ლივრი.

<sup>8</sup> ვიტყვი გულახდილად: ერთი გროში არა მაქვს და არც არავითარი იმედია,  
რომ მქნება.

<sup>9</sup> თქვენ ფრიად თავაზიანი ბრძანდებით, ქალბატონო.

malheur ne vient jamais seul.<sup>1</sup> მეც ასე დამემართა. რაღა res-  
source უნდა ჰქონოდა ჩემი წარმოსობის რიგიან ადამიანს, თუ არა  
ბანქოს თამაში. მე მუდამ ბედი მქონდა თამაშში, როცა ისედაც ბედ-  
ნიერი ვიყავი. ახლა კი, როცა ყისმათი ხელიდან წამივიდა, Made-  
moiselle, je joue avec un guignon qui surpasse toute croyance.<sup>2</sup>  
უკვე ხუთმეტე დღე იქნება, რაც ერთხელაც არ მომიგია. გუშინ სამ-  
ჯერ წავაგე. Je sais bien, qu'il y avait quelque chose de plus que  
le jeu. Car parmi mes pontes se trouvaient certaines dames...<sup>3</sup>  
მე აღარ ვილაპარაკებ. მანდილოსნებთან გალანტური ყოფაქცევაა სა-  
ჭირო. დღეს რევანშზე მიზიპატივებს; mais... Vous m'entendenez,  
Mademoiselle,<sup>4</sup> კაცმა ჯერ უნდა საცხოვრებელი ფული იშოვნოს და  
მერე — ბანქოში წასაგები.

მ ი ნ ა. მე არ მინდა ვიფიქრო, ჩემო ბატონო...

რ ი კ ო. Vous êtes bien bonne, Mademoiselle...<sup>5</sup>

მ ი ნ ა (გაიხმობს ფრანცისკა). ფრანცისკა, ძალიან მეცოდება ეს  
ადამიანი. ხომ არ გამიწყურება ცოტაოდენი ფული რომ შევთავაზო?

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. არა, ასეთ შთაბეჭდილებას არ სტოვებს.

მ ი ნ ა. კეთილი!.. ჩემო ბატონო, მე ასე გავიგე, რომ თქვენ თა-  
მამოთ, ბანკი გიჭირავთ და, რა თქმა უნდა, შეიძლება მოიგოთ კი-  
დეც. უნდა გამოგიტყდეთ, მეც ძალიან მიყვარს ბანქოს თამაში.

რ ი კ ო. Tant mieux, Mademoiselle, tant mieux! Tous les  
gens d'esprit aiment le jeu à la fureur.<sup>6</sup>

მ ი ნ ა. მე ძალიან მიყვარს შოგება და სიამოვნებით გავწეკ  
რისკს ისეთ ადამიანთან, რომელმაც თამაში იცის. ხომ არ ინებებთ,  
ჩემო ბატონო, თქვენს საზოგადოებაში მიმიღოთ? წილი ჩამიღოთ  
თქვენს ბანკში?

რ ი კ ო. Comment, Mademoiselle, Vous voulez être de  
moitié avec moi? De tout mon coeur.<sup>7</sup>

მ ი ნ ა.<sup>1</sup> დასაწყისისათვის უმნიშვნელო თანხას ჩამოვდივარ.  
(იღებს ფულს ზარდახშიდან).

<sup>1</sup> უბედურება არასოდეს არ მოდის კენტად.

<sup>2</sup> ქალბატონო, ისე არა მწყალობს ბედი თამაშში, რომ პირდაპირ დაუ-  
ჯერებელია.

<sup>3</sup> კარგად ვიცი, რომ აქ თამაშის გარდა, რაღაც სხვაიც იყო. ჩემს პონტერებზე  
რამდენიმე მანდილოსანიც ერიო.

<sup>4</sup> მაგრამ... თქვენ გესმით რის თქმაც მწაღია, ქალბატონო.

<sup>5</sup> თქვენ ფრიად თავზიანი ბრძანდებით, ქალბატონო.

<sup>6</sup> მით უკეთესი, ქალბატონო, მით უკეთესი! ყველა გონიერ ადამიანს გაგიკებთ  
უყვარს თამაში.

<sup>7</sup> როგორ, ქალბატონო, თქვენ გინდათ სანახევროდ ვითამაშოთ? თანახმა ცარ  
სულით და გულით.

რ ი კ ო. Ah, Mademoiselle, que Vous êtes charmante!<sup>1</sup>

მ ი ნ ა. აი ჩემი უკანასკნელი მოგება. სულ ათი პისტოლია. მრცხენია ასეთი პატარა თანხისათვის...

რ ი კ ო. Donnez toujours, Mademoiselle, donnez!<sup>2</sup> (გამართ-  
ევს ფულს).

მ ი ნ ა. უტყველია, ჩემო ბატონო, თქვენი ბანკი მეტად დიდია.

რ ი კ ო. რა თქმა უნდა, მეტად დიდია. ათი პისტოლი? თქვენს მოწყალეებას მესამედი წილი ექნება ჩემს ბანკში, pour le tiers.<sup>3</sup> მართალია, მესამედი ეს ცოტა ბევრია, მაგრამ მშვენიერ მანდილოსანს კაცმა ყველაფერი უნდა დაუთმოს. მე ვულოცავ ჩემს თავს, რომ liaison<sup>4</sup> დავაწყარე თქვენთან et de ce moment je recommence à bien argurer de ma fortune.<sup>5</sup>

მ ი ნ ა. მაგრამ თქვენს თამაშს მე ვერ დავესწრები, ჩემო ბატონო.

რ ი კ ო. რა საჭიროა თქვენი მოწყალეების დასწრება? ჩვენ, მოთამაშენი, ერთმანეთს კეთილსინდისიერად ვეპყრობით.

მ ი ნ ა. თუ ბედმა გაგვიღიმა, ჩემო ბატონო, ჩემი წილი მომიტანეთ, მაგრამ თუ წავაგებთ...

რ ი კ ო. მაშინ თქვენ მომავლდით ახალ რეკრუტებს. ხომ ასეა, თქვენო მოწყალეება?

მ ი ნ ა. რეკრუტები დიდხანს არ გვეყოფა. ამიტომ უმჯობესია ფულს გაუფრთხილდეთ, ჩემო ბატონო.

რ ი კ ო. განა ვინა გგონივართ, თქვენო მოწყალეება? დოყლაპია? რევენი?

მ ი ნ ა. ბოდიშს ვიხდი...

რ ი კ ო. Je suis des Bons, Mademoiselle. Savez-vous ce que cela veut dire.<sup>6</sup> მე გაწრთენილი მოთამაშე გახლავარ.

მ ი ნ ა. მაგრამ არა მგონია, ბატონო ჩემო, რომ თქვენ...

რ ი კ ო. Je sais monter un coup...<sup>7</sup>

მ ი ნ ა (გაოცებული). ნუთუ?...

რ ი კ ო. Je file la carte avec une adresse...<sup>8</sup>

<sup>1</sup> აკ, ქალბატონო, რა მოშხიბლავი ბრძანდებით.

<sup>2</sup> მოშეცით, ქალბატონო, მოშეცით, სულ ერთია, რაც არის.

<sup>3</sup> მესამედი წილი.

<sup>4</sup> ურთიერთობა.

<sup>5</sup> და ამ წუთიდან მე ვუწინასწარმეტყველებ ჩემს თავს ბედის დაბრუნებას.

<sup>6</sup> მე მუდამ ხელმარჯვედ ვთამაშობ. თქვენ გესმით, რას ნიშნავს ეს?

<sup>7</sup> თ! მე ვიცი ზოგიერთი ოინი...

<sup>8</sup> მე ძალიან მარჯვედ შემოძლია ერთი ქალაღი გამოვცვალო მეორეზე.

მინა. შეუძლებელია!..

რიკო. Je fais sauter la coupe avec une dextérité...<sup>1</sup>

მინა. მაგრამ თქვენ ხომ არ იკადრებთ, ბატონო?

რიკო. რას არ ვიკადრებ? რას, ქალბატონო? Donnez-moi un pigeonneau à plumer. etc...<sup>2</sup>

მინა. არაკეთილსინდისიერად ითამაშებთ? მოატყუებთ?

რიკო. Comment, Mademoiselle? Vous appelez cela<sup>3</sup> მოტყუებას? Corriger la fortune, l'enchaîner sous ses doigts, être sûr de son fait,<sup>4</sup> ამას უწოდებთ გერმანელები მოტყუებას? მოტყუებას! ო, რა ღარიბია თქვენი გერმანული ენა! რა უხეში ენა!

მინა. არა, ბატონო, თუ ასე ფიქრობთ...

რიკო. Laissez-moi faire, Mademoiselle,<sup>5</sup> და გული დაიმშვიდეთ! რა თქვენი საქმეა, როგორ ვითამაშებ?.. კმარა! ხვალ თქვენი მოწყალეობა მე მნახავს ან ასი პისტოლით, ან ვერასოდეს ველარ მიხილავთ... Votre très humble, Mademoiselle, votre très humble...<sup>6</sup> (საჩქაროდ მიდის).

მინა (გაოცებული და ნაწყენი გააყოლებს თვალს). მე უკანასკნელი შირჩევენია, ბატონო, უკანასკნელი!

### გამოსვლა მესამე

მინა. ფრანცისკა.

ფრანცისკა (აღშოთებული). პირდაპირ აღარ ვიცი, რა ვთქვა! ჩინებულია! ჩინებულია!

მინა. შეგიძლია დამცინო: მე ეს დავიმსახურე. (მცირე ფიქრს შემდეგ, დამშვიდებული) ნუ დამცინი, ფრანცისკა, მე ეს არ დანიმსახურებია.

ფრანცისკა. ჩინებულია! დიდი სიკეთე მოიმოქმედეთ. ერთ თაღლითს დაეხმარეთ, რომ ისევ ფეხზე დამდგარიყო.

მინა. ღე მეგონა, რომ უბედურ ადამიანს ვეხმარებოდი.

ფრანცისკა. ყველაზე უფრო ჩინებული ისაა, რომ ეს გაიძვერა თავის ტოლ-ამხანაგად გთვლით. აჰ, უნდა დავეწიო და წავგლიჯო ფული. (წასვლას დააიჩრებს).

1 მე შემიძლია ქალღლის მოხერხებულად გადაჭრა.

2 მომეცით არიფი ვინმე გასაფუქნელად და...

3 როგორ, ქალბატონო? თქვენ ამას უწოდებთ...

4 ბრმა ბედისწერის თამაშში შესწორების შეტანას, მის ხელში გამოჭერას, ღარწმუნებით მოქმედებას.

5 ნება მომეცით თავისუფლად ვიმოქმედო, ქალბატონო.

6 თქვენი უმდაბლესი მონა, ქალბატონო, თქვენი უმდაბლესი...

მ ი ნ ა. ფრანცისკა, ყავა გაცივდება. მოამზადე.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. ფული უნდა დააბრუნოს, ვითომ თქვენ გადაიფიქრეთ, აღარ გსურთ მისი კომპანიონი იყოთ. ათი პისტოლი! ხომ ნახეთ, ქალბატონო, რომ მათხოვარი იყო. (მონა თვითონ ამზალებს ყავას). მერე ვინ აძლევს მათხოვრებს ამდენ ფულს? თანაც ცდილობთ ააცლინოთ დამცირება, რომ თვითონ გთხოვოთ მოწყალება? მათხოვარი არად აგლებს იმ ქველმოქმედს, რომელიც დიდსულოვნობას იჩენს და თავის მხრით არ სცნობს, რომ იგი მათხოვარია. ღმერთმა ნუ იცის, როგორ მიიღო მან ეს წყალობა და ახიცაა თქვენზე! (მონა მოაწვდის ფინჯანს ფრანცისკას). გსურთ კიდევ მეტად ამიღელვოთ სისხლი? არ მინდა ყავა. (აჯავრებს ფრანკს): „Parbleu, თქვენო მოწყალება, აქ არ სცნობენ დამსახურებას!“ რასაკვირველია, არ სცნობენ, თუ ასეთ ჩამოსახრჩობ თაღლითებს ნებას აძლევენ თავისუფლად ისეირნონ.

მ ი ნ ა (სვამს ყავას, ლაპარაკობს მშვიდად და დაფიქრებით). შენ ასე კარგად იცნობ კეთილ ადამიანებს, როდისღა ისწავლი ღმობიერად მოეპყრა ცუდებს? ისინიც ხომ ადამიანები არიან... და ხშირად არც ისე უვარგისნი, როგორც გევიჩვენება... საჭიროა მხოლოდ მათში კარგი თვისებები აღმოვაჩინოთ. მე მგონია, ეს ფრანგი მხოლოდ პატივმოყვარეა. მარტო ამ პატივმოყვარეობისათვის მოგვაჩვენა თავი გაიძვერა მოთამაშედ. მას არ სურს დავალებულად მეჩვენოს და სამადლობოდ გაიხადოს საქმე. შესაძლოა ის ახლა წავა, წვრილ ვალებს გაისტუმრებს და დანარჩენი ფულით მშვიდად და მომჭირნობით იცხოვრებს, ვიდრე ეყოფა, იცხოვრებს ისე, რომ ბანქოს თამაში ფიქრადაც არ მოუვა. თუ ეს მართლა ასეა, საყვარელო ფრანცისკა, მაშინ დაე, კიდევ მოვიდეს რეკრუტებისათვის. (მოაწვდის ფინჯანს) აჰა, გამომართვი! მაგრამ განა უკვე დრო არაა, რომ ტელჰაიმი მოსულიყო?

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. არა, ქალბატონო! არც ერთი ვიცი, არც მეორე, — არც კარგი თვისებების აღმოჩენა ცუდ ადამიანებში, არც ცუდი თვისებებისა — კარგებში.

მ ი ნ ა. ხომ უთუოდ მოვა, არა?

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. უმჯობესია არ მოვიდეს! თქვენ შენიშნეთ ამ საუკეთესო ადამიანში ცოტაოდენი ქედმაღლობა და ახლა გინდათ მკაცრად დასცინოთ ამისათვის?

მ ი ნ ა. ისევ დაუბრუნდი. ამას?.. კმარა, მე ახლა ასე მსურს.. თუ ჩამიშლი ამ თამაშს, თუ ისე არ ილაპარაკებ და ისე არ მოიქცევი, როგორც შევპირდით ერთმანეთს!.. მარტო დარჩები მასთან და მაშინ.. აგერ, ვგონებ, მოდის.



## გამოსვლა მეოთხე

პ ა უ ლ ვ ე რ ნ ე რ ი, შემოდს გაჭიმული, თითქოს სამსახურში მოვიდო; მ ი ნ ა. ფ რ ა ნ ც ი ს კ ა.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. არა, ეს მხოლოდ მისი ძვირფასი ვახმისტრია. მ ი ნ ა. ძვირფასი ვახმისტრი? ვის მიეკუთვნება ეს სიტყვა „ძვირფასი“?

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. ქალბატონო! ნუ გააწითლებთ ამ კაცს... რა ვნებავთ, ბატონო ვახმისტრო? რა მოგვიტანეთ?

ვ ე რ ნ ე რ ი (ყურადღებას არ აქცევს ფრანცისკას და პირდაპირ მიდის მინასთან). პატივცემულო ფროილან ფონ-ბარნჰელმ, მაიორ ფონ-ტელჰაიმმა მიბრძანა მე — ვახმისტრ ვერნერს, გადმოგცეთ მისი თავმდაბალი სალაპი და გაცნობოთ, რომ იგი ახლავე გეახლებათ.

მ ი ნ ა. რატომ დაიგვიანა?

ვ ე რ ნ ე რ ი. მოგვიტყვეთ, მოწყალეო ხელმწიფე. ჯერ სამი საათი არ იყო, როცა სახლიდან გამოვედი, მაგრამ გზაში სამხედრო მოლარე შეგვხვდა და მაიორს გამოელაპარაკა. რადგან საუბარი ამ ვაჟბატონებთან ჩვეულებრივ დიდხანს გრძელდება, ბატონმა მაიორმა მანიშნა წამოვსულიყავი და მომეხსენებინა თქვენთვის ეს ამბავი.

მ ი ნ ა. ძალიან კარგი, ბატონო ვახმისტრო. ვისურვებ მხოლოდ, რომ სამხედრო მოლარემ კარგი რამ უთხრას ბატონ მაიორს.

ვ ე რ ნ ე რ ი. ეს ვაჟბატონები ასეთ რაშეებს იშვიათად ეუბნებიან ოფიცრებს. ხომ არ მიბრძანებთ რამეს, მოწყალეო ხელმწიფე? (დააპირებს წახვლას).

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. საით, ბატონო ვახმისტრო? განა ერთმანეთთან სალაყო აღარაფერი გვაქვს?

ვ ე რ ნ ე რ ი (ჩუმად და სერიოზულად ფრანცისკას). ოღონდ აქ არა, ჩემო ლამაზო! ეს ხომ უცროს-უფროსობის, სუბორდინაციის, შებღალვა იქნებოდა. — მოწყალეო ხელმწიფე...

მ ი ნ ა. გმადლობთ შეწუხებისათვის, ბატონო ვახმისტრო. მესიამოვნა თქვენი გაცნობა. ფრანცისკას ბევრი კარგი რამ უთქვამს ჩემთვის თქვენს შესახებ. (ვერნერი მოუქნელად თავს უკრავს და მიდის.)

## გამოსვლა მხუთე

მ ი ნ ა. ფ რ ა ნ ც ი ს კ ა.

მ ი ნ ა. ეს არის შენი ვახმისტრი, ფრანცისკა?

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა. ვერ გისაყვედურებთ ამ დამცინავი სიტყვისათვის — „შენიო“... დიახ, ქალბატონო, ეს ჩემი ვახმისტრია. უეჭველია, მან თქვენზე ცოტა გახევებული, მოუქნელი ადამიანის შთაბეჭ-

დილება დასტოვა. ახლა მეც თითქმის ასეთად წომეჩვენა. მაგრამ მე კარგად მესმის: ის ფიქრობდა, რომ თქვენს წინაშე ისე უნდა დაეჭირა თავი, როგორც პარაღზე, სადაც ჯარისკაცები ხის თოჯინებს უფრო ჰგვანან, ვიდრე მამაკაცებს. თქვენ ის უნდა ნახოთ და მოუსმინოთ, როცა თავს თავისუფლად გრძნობს.

მინა. სიამოვნებით ვნახავდი.

ფრანცისკა. ჯერ ისევ დარბაზშია. არ შეიძლება წავიდე და ცოტა ხანს ვილაყბო მასთან?

მინა. გწუხვარ, რომ უარი უნდა გითხრა ამ სიამოვნებაზე. აქ უნდა დარჩე. ფრანცისკა. ჩვენს საუბარს უნდა დაესწრო... მე კიდეც ერთი აზრი მომივიდა თავში. (წაბრობს თითიდან ბეჭედს). გამომართვი ეს ბეჭედი, შეინახე და სამაგიეროდ მაიორის ბეჭედი მომეცი.

ფრანცისკა. რისთვისაა ეს საჭირო?

მინა (როცა ფრანცისკა იღებს მაიორის ბეჭედს). მე თვითონ არ ვიცი კარგად. მაგრამ ვგრძნობ, გამომადგება... კარებს აკაკუნებენ... მომეცი ჩქარა! (გაიკეფებს ბეჭედს.) ის არის!

### გამოსვლა მემკვსე

ფონ-ტელჰაიმი — ისევ ის ტანისამოსი აცვია, მაგრამ შეუსრულებია ფრანცისკას მითითებანი; მინა. ფრანცისკა.

ფონ-ტელჰაიმი. ფროილიან, მაპატიეთ, დანავციანდა.

მინა. ო, ბატონო მაიორო, ნუ მოვეპყრობით ერთმანეთს ასეთი სანძებლო სიმკაცრით. ხომ მობრძანდით. ხოლო სიამოვნების მოლოდინი ხომ იგივე სიამოვნებაა. აბა? (ღიმილით უყურებს სახეში.) ძვირფასო ტელჰაიმი, განა ამას წინათ ისე არ მოვიქცეით, როგორც ბავშვები?

ფონ-ტელჰაიმი. დიას, როგორც ბავშვები, ფროილიან. როგორც ბავშვები, რომელნიც გაკერბდებიან ხოლმე მაშინ, როცა უსიტყვო მორჩილება უნდა გამოიჩინონ.

მინა. კეთილო მაიორო, ჩვენ გვინდა ქალაქი დავათვალიეროთ, მერე კი — ბიძაჩემს შევხვდეთ.

ფონ-ტელჰაიმი. როგორ?

მინა. ხედავთ: ჩვენ ერთმანეთისათვის უმთავრესიკი ვერ გვითქვამს ჯერ-კიდე. დიას, დღეს ბიძაჩემი უნდა მოვიდეს. მხოლოდ შემთხვევის ბრალია, რომ მე ერთი დღით ჩამოვუსწარი მას.

ფონ-ტელჰაიმი. გრაფი ფონ-ბრუხზალი? დაბრუნდა?

მინა. ომიანობამ აიძულა იტალიაში გამგზავრებულიყო, მშვიდობიანობამ დააბრუნა იგი უკან... ეს ნუ შეგაშფოთებთ, ტელჰაიმი.

უკვე თავიდან ავიცილეთ უდიდესი დაპრკოლება, რომელიც მოელოდა ჩვენს შეუღლებას ბიძაჩემის მხრით...

ფონ-ტელჰაიმი. ჩვენს შეუღლებას?

მინა. ბიძაჩემი თქვენი მეგობარია. მას მრავალი ადამიანისგან ბევრი კარგი რამ სმენია თქვენს შესახებ და ეს მეგობრობისათვის საკმარისია. მას უდიდესი სურვილი აქვს ბირადად გაიცნოს ის ადამიანი, რომელიც მისმა ერთადერთმა მეგუვიდრემ აირჩია. ის მოვა აქ იმისათვის, რომ, როგორც ბიძამ, როგორც მეურვემ და მამამ ჩაგაბაროთ თქვენ ჩემი თავი.

ფონ-ტელჰაიმი. აჰ, ფროილან, რატომ არ წაიკითხეთ ჩემი წერილი? რატომ არ ისურვეთ მისი წაკითხვა?

მინა. თქვენი წერილი? დიახ, გამახსენდა, თქვენ გამომიგზავნეთ წერილი. როგორ იყო, ფრანცისკა? წაიკითხეთ თუ არა? მერე რას მწერდით, ძვირფასო ტელჰაიმ?

ფონ-ტელჰაიმი. მხოლოდ იმას, რაც ღირსებამ მიკარნახა.

მინა. ესე იგი არ უნდა მიატოვოთ პატროსანი ქალიშვილი, რომელსაც უყვარხართო? ცხადია, ამას გიკარნახებთ ღირსება. რასაკვირველია, საჭირო იყო წერილის წაკითხვა. მაგრამ ის, რაც არ წამიკითხავს, შემოძლია მოვისმინო.

ფონ-ტელჰაიმი. დიახ, თქვენ უნდა მოისმინოთ ეს...

მინა. არა, მოსმენაც არაა საჭირო. ეს თავისთავად ცხადია. ნუთუ თქვენ შეგიძლიათ ასეთი საზიზღარი საქციელი ჩაიდინოთ და უარი მითხრათ! იცით თუ არა, რომ აწით ჩირქი ნომეცხება საშუალოდ? თითოთი საჩვენებელი ვიქნები ჩემი თანამემამულე ქალებისათვის. „აი ის, — იტყვიან ისინი, — აი ფროილან ფონ-ბარნჰელმი, რომელსაც ეგონა მამაცი ტელჰაიმის ცოლი გახდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ მდიდარია. თითქოს შეიძლებოდეს მამაცი კაცების ყიდვა.“ ასე ილაპარაკებდნენ, რადვან ყველა ჩემი თანამემამულე ქალი შურით მიცქერის. მათ არ შეუძლიათ უარჰყონ, რომ მდიდარ ვარ. მაგრამ იმის გაგონებაც კი არ სურთ, რომ უამისოლად საკმაოდ კარგი ქალიშვილი ვარ, ჩემი ქმრის ღირსი. ხომ მართალია, ტელჰაიმ?

ფონ-ტელჰაიმი. დიახ, ძვირფასო ფროილან, მართლაც რომ ასეთები არიან თქვენი თანამემამულე ქალები. დიახაც შურით აღივსებიან, თუ მისთხოვდებით სამსახურიდან გადაყენებულ ოფიცერს, რომელსაც ღირსება შეუღლებს... ხეიბარს, მათხოვარს!

მინა. ამას თქვენს თავზე ლაპარაკობთ? თუ არ ვცდები, რაღაც ამგვარი ამ დღითაც გავიგონე. აქ კარგი და ცუდი ერთმანეთშია არეული. მოდით დაწვრილებით განვიხილოთ ორივე. სამსახურიდან

გადაგაყენეს? თქვენ ასე სთქვით. მე მეგონა თქვენი ლეგიონი უბრალოდ დაშალეს. როგორ მოხდა, რომ უსანაახუროდ დასტოვეს თქვენისთანა დამსახურებული კაცი?

ფონ-ტელჰაიმი. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ძლიერი ამა ქვეყნისა დარწმუნდნენ, რომ არის ჯარისკაცი, რომელმაც მათი სიამოვნებისათვის ძალიან ცოტას აკეთებს, მოვალეობის კარნახით — ცოტა მეტს, სამაგიეროდ ყველაფერს — საკუთარი ღირსების გამო. მაშ რა ვალდებულება უნდა ეგრძნოთ ასეთი ჯარისკაცის მიმართ? ზავის შემდეგ მრავალი ჩემისთანა აღარაა მათთვის საჭირო, და, ბოლოსდაბოლოს, მათ არც არავინ სჭირდებათ.

მინა. თქვენ ისე ლაპარაკობთ, როგორც უნდა ლაპარაკობდეს ადამიანი, რომელსაც თავის მხრივ არაფრად ესაჭიროება ამა ქვეყნის ძლიერთა დახმარება. და ახლა ისინი უფრო ნაკლებად გესაჭიროებათ, ვიდრე ოდესმე. მე სიამოვნებით როდი გავუნაწილებდი თქვენს თავს ამ ადამიანებს; ამიტომ დიდი მადლობა უნდა გამოვუცხადო მათ, რომ უარი სთქვეს ბატონ მაიორზე... მე თქვენი მბრძანებელი ვარ, ტელჰაიმი. სხვა ბატონები არ გჭირიათ... რომ სამსახურიდან გადაყენებულს შეგხვდებოდით — ოცნებაც კი არ შემეძლო ასეთ ბედნიერებაზე!.. მაგრამ თქვენ მარტო გადაყენებული როდი ხართ, — რალაც დაგემართათ კიდევ. რა დაგემართათ? ჰო, ხეიბარიო, მგონი ასე სთქვით. აბა (ახეღ-დახედავს), ეს ხეიბარი საკმაოდ თავმთელია და წელში გამართული, მას საკმაოდ ჯანმრთელი და ძლიერი ადამიანის გამომეტყველება აქვს... ძვირფასო ტელჰაიმი, თუ თქვენ ფიქრობთ იმათხორეთ, როგორც დაშავებულმა, გიწინასწარმეტყველებთ, რომ საექვოა ვინმემ გამოგიწოდოთ მოწყალება; ეს შეიძლება მხოლოდ ჩემისთანა გულკეთილმა ქალიშვილებმა ჩაიდინონ.

ფონ-ტელჰაიმი. საყვარელო მინა, მე ახლა მესმის მხოლოდ გიჟმაჟი ქალიშვილის ლაპარაკი.

მინა. მე კი თქვენი საყვედურიდან გავიგე მხოლოდ ორი სიტყვა: „საყვარელო მინა“. აღარ ვიგვიყებ. ახლა მახსენდება, რომ მართლაც ოდნავ დაშავებული ბრძანდებით. ტყვიამ ოდნავ დაგიღუნათ მარჯვენა ხელი. თუ კარგად დავუფიქრებდი, ეს არც ისე ცუდია მით უფრო უზრუნველყოფილი ვიქნები ცემისაგან.

ფონ-ტელჰაიმი. ფროილან!

მინა. თქვენ გინდათ სთქვათ, რომ სამაგიეროდ თვითონ არ იქნებით უზრუნველყოფილი ჩემგან. არა, ძვირფასო ტელჰაიმი, იმედი მაქვს, რომ აქამდე არ მიმიყვანთ.

ფონ-ტელჰაიმი. თქვენ გეხალისებათ სიცხილი, ფროილანი. ვწუხვარ, არ შემიძლია ვიცინო თქვენთან ერთად.

მინა. რატომაც არა? რატომ ხართ სიცილის წინააღმდეგი? განა არ შეიძლება სიცილშიაც იყო სერიოზული? ძვირფასო მაიორო, სიცილი უფრო გვინარჩუნებს გონიერებას, ვიდრე წყენა. დამამტკიცებელი საბუთიც თქვენს წინაშეა. თქვენი მოცინარი (ეგობარი უფრო სწორად მსჯელობს მაიორ ტელჰაიმის მღვთმარეობაზე, ვიდრე თვითონ ის. თქვენ სამსახურიდან გადაგაყენეს და ეს ღირსების შელახვად მიგაჩნიათ. ტყვია მოგხვდათ მკლავში და ხეიბრად სთვლით თავს. განა ეს სწორია? განა ეს გადაჭარბება არაა? მე არ დამიწესებია, რომ ყოველგვარი გადაჭარბება სიცილს იწვევს. სანაძლეოს ვღებ, რომ თუ თქვენს მათხოვრობას გავჩხრეკავ, ესეც ვერ გაუძლებს გამოცდას. თქვენ შეგეძლოთ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ დაგეკარგათ მოწყობილობა, შეიძლება თქვენი თანხებიც დაკარგულიყო ამა თუ იმ ბანკირთან, შეიძლება არავითარი იმედი არ გქონოდათ სამსახურის საქმეებისათვის გაცემული ავანსის განაღდებაზე... მაგრამ განა ამის გამო მათხოვარი ხართ? არაფერიც რომ არ გქონდეთ იმის მეტა, რასაც ბიძაჩემი მოგცემთ...

ფონ-ტელჰაიმი. ბიძათქვენი, ძვირფასო ფროილან, არაფერს არ მომიცემს.

მინა. არაფერს, ორი ათასი პისტოლის მეტს, რომელიც თქვენ ასე დიდსულოვნად ასესხეთ ჩვენს წოდებათა წარმომადგენლებს.

ფონ-ტელჰაიმი. აჰ, ნეტავი წაგეკითხათ ჩემი წერილა, ფროილან.

მინა. დიახ, წავიკითხე კიდევ! მაგრამ ის, რაც იქ ეწერა ამის შესახებ, ნამდვილი გამოცანა გახლავთ ჩემთვის... ვერ გამიგია, როგორ ჩავითვალეს ბოროტმოქმედებად ეს კეთილშობილი საქციელი?... ამიხსენით, ძვირფასო მაიორო...

ფონ-ტელჰაიმი. თქვენ გახსოვთ, ძვირფასო ფროილან; რომ ბრძანება მივიღე უდიდესი სიმკაცრით ამეკრიფა თქვენს მხარეში კონტრიბუცია, რომელიც სულ ნაღდად უნდა გადაეხადათ. მე არ მინდოდა მიმემართა სიმკაცრისათვის და დანაკლისი თანხა თვითონ შევიტანე წინასწარ.

მინა. რასაკვირველია, მახსოვს. ჯერ არც კი მენახეთ, რომ მარტო ამისათვის შემიყვარდით.

ფონ-ტელჰაიმი. წოდებათა წარმომადგენლებმა თამასუქა მომიცეს და ზავის დადებისას მე მინდოდა ის წარმედგინა გასანადგებელ დავალიანებათა სიაში შესატანად. თამასუქი მიიღეს, ხოლო სადაოდ სცნეს ჩემი უფლებები ამ თამასუქზე. როდესაც ვარწმუნებდით, რომ ნაღდი ფული მქონდა გადახდილი, მისმენდნენ, მაგრამ დამცინავად იღიმებოდნენ. ეს თამასუქი გამოაცხადეს ქრთამად, წოდება-

თავან მიღებულ საჩუქრად, თითქოს იმის სანაზღაუროდ, რომ ასე მალე დაკთანხში იმათგან კონტრიბუციის უმცირესი თანხის აღებაზე მაშინ. როდესაც ამის უფლება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მქონდა. ასე წამივიდა ხელიდან თამასუქი და თუ ის განაღდებული იქნა, მე მაინც, უქველია, ვერაფერს მივიღებ. სწორედ ამას ვთვლი ჩემი ღირსების შელახვად, ჩემო ფროილან, და არა სამასახურიდან გადაღწევას, რასაც მე თვითონ მოვიტხოვდი, თუ თავად არ ისურვებდნენ... თქვენ ჩაფიქრდით, ჩემო ფროილან? რატომ არ იცინით? ჰა, ჰა, ჰა! მე კი იცინი.

მ ი ნ ა. ო, ნუ იცინით, ტელჰაიმ! გეშუღარებით! ეს არის საშინელი სიცილი, რომელშიაც იამის სიძულვილი ადამიანისადმი, არა, თქვენ არ ეკუთვნით იმათ რიცხვს, რომელნიც ინანიებენ კეთილ საქციელს, თუ მას ცუდი შედეგები მოჰყვა მათთვის. არა, შეუძლებელია ამ ცუდმა შედეგებმა დიდხანს გასტანოს. კემშარტება უნდა გამოირკვეს. ბიძაჩემისა და ყველა ჩვენი წოდების წარმომადგენელთა დამოწმება...

ფ ო ნ - ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. ბიძათქვენის! წოდებთა! ჰა, ჰა, ჰა!

მ ი ნ ა. თქვენი სიცილი მკლავს, ტელჰაიმ! თუ გწამთ სათნოება და განგება, ნუ იცინით ასე! მე არ მომისმენია ამ სიცილზე მეტად შეჰაძრწუნებელი წყევლა. წარმოვიდგინოთ ყველაზე უარესი შემთხვევა. თუ აქ საბოლოოდ დაგიკარგავენ სამართალს, ჩვენში ასე არ მოიქცევიან. არა, ჩვენ დაგაფასებთ, ჩვენ არ შეგვიძლია არ დაგაფასოთ, ტელჰაიმ! თუ ჩვენს წოდებებს იოცის ოდენა გრძნობა აქვთ პატიოსნებისა, მე ვიცი, როგორც უნდა მოიქცნენ. მაგრამ რას ვბოდავ? რა საჭიროა ყოველივე ეს! წარმოვიდგინოთ, ტელჰაიმ, რომ თქვენ ერთ ბედუჭულმართ ღამეს დაჰკარგეთ ორი ათასი პისტოლი. ბანკოს თამაშში მეფემ უბედურება მოგიტანათ, სამაგიეროდ მით უფრო კეთილგანწყობილი იქნება დამა (უნუნებს თავის თავზე.) მერწმუნეთ, განგება ყოველთვის აჯილდოვებს პატიოსან ადამიანს და ხშირად წინასწარაც. ამ საქმის გამო თქვენ დაჰკარგეთ ორი ათასი პისტოლი, სამაგიეროდ მიჰოვნეთ მე. ეს შემთხვევა რომ არ მომხდარიყო, არასოდეს არ მოვისურვებდი თქვენს გაცნობას. ხომ გახსოვთ, მიუპატიებლად გამოვცხადდი იმ პირველ საღამოზე, სადაც თქვენი შეხვედრის იმედი მქონდა. მე მხოლოდ თქვენთვის მოვედი იქ. მოვედი მტკიცე გადაწყვეტილებით — მყვარებოდი, — მე უკვე მიყვარდით... მტკიცედ გადაწყვიტე გავმხდარიყავი თქვენი მეუღლე, თუნდაც ისეთი შავი და მახინჯი ყოფილიყავით, როგორც ვენეციელი მკარი. მაგრამ თქვენ არც შავი ხართ, არც მახინჯი და ისეთი ეჭვიანიც არ იქნებით. მაგრამ, ტელჰაიმ, ტელჰაიმ, მაინც

დიდად ჰგეხხართ შასი ო, ეს მკაცრი, ქედმოუხრელი მამაკაცება, რომელნიც მუდამ გაშტერებული თვალებით შესცქერიან ღირსების აჩრდილს მათი გრძნობიერება დაჩლუნგებულია სხვა განცდებისათვის! მე მომბაჰყარით თქვენი თვალი! მე, ტელპაიმ! (ღრმად ჩაფიქრებულ ტელპაიში უძრავად უყურებს ერთ წერტილს.) რაზე ფიქრობთ? არ გესმით ჩემი სიტყვები?

ფონ-ტელპაიმი (გონებაგაფანტულად). დიახს! მაგრამ მითხარით, ჩემო ფროილაინ, როგორ მოხვდა მაგრი ვენეციის სამსახურში? განა მას სამშობლო არ ჰქონდა? რატომ შესწირა მან თავისი მკლავა და სისხლი უცხო ქვეყანას?

მინა (შეშინებული). რა დაგემართათ, ტელპაიმ? დროა გაათავოთ ლაპარაკი. წავიდეთ! (ხელს წააგლებს). ფრანცისკა, უბრძანე მოგვართვან ეტლი.

ფონ-ტელპაიმი (ხელიდან გაუსხლტება შინას და გაემართება ფრანცისკასთან). არა, ფრანცისკა! მე უარი უნდა ვთქვა თქვენი ქალბატონის თანამგზავრობაზე. ჩემო ფროილაინ, საღი გონება მაინც დამიტოვებდა და გამათავისუფლებდა. თქვენი სიტყვები გონებას დამიხშობენ. მე წინააღმდეგობას გიწევთ, ვიდრე ძალა მყოფნის. მაგრამ სანამ შემრჩენია ჭკუა, მოისმინეთ, ფროილაინ, ჩემი მტკიცე გადაწყვეტილება, რომელზედაც ვერაფერი ამალბინებს ხელს ამ ქვეყნად. თუ ბედი აღარ გამიღიმებს თამაშში, თუ ყველაფერი არ შეიცვლება ჩემს ცხოვრებაში, თუ...

მინა. მე სიტყვა უნდა გაგაწყვეტინოთ, ბატონო მაიორო! (ფრანცისკას) ჩვენ ჯერ რს უნდა გვეთქვა, ფრანცისკა! შენც არ გამახსენე! ჩვენი საუბარი სულ სხვანაირი იქნებოდა, თუ იმ კარგი ამბავით დავიწყებდი, რომელიც კავალერ დე ლა მარლინიერმა მოგვითხანა.

ფონ-ტელპაიმი. კავალერ დე ლა მარლინიერი? ვინ არის? ფრანცისკა. შეიძლება ჩინებული ადამიანიც იყოს, ბატონო მაიორო, ოღონდ...

მინა. ფრანცისკა, ჩუმად!.. ისიც სამსახურიდან გადაყენებულ ოფიცერია, უწინ პოლანდიაში მსახურობდა.

ფონ-ტელპაიმი. აჰ, ლოიტენანტი რიკო!

მინა. მარწმუნებდა, რომ თქვენი მეგობარია.

ფონ-ტელპაიმი. მე კი გარწმუნებთ, რომ არ ვეკუთვნი მის მეგობრების წრეს.

მინა. არ ვიცი, რომელმა მიწინსტრმა აცნობა, რომ თქვენი საქმე კეთილ დასასრულს უახლოვდება, რომ მეფის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი წერილი უკვე გზაშია.

ფონ-ტელჰაიმი. როგორ უნდა შეხვედროდა რიკო პინისტრს? მაგრამ ვგონებ მართლა რაღაც მოხდა ჩემს საქმეში. ახლახან სამხედრო მოლარემ მაცნობა, რომ მეფემ გააუქმა ჩემს წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები და მე შემიძლია უკან წავეიღო წერილობით მიცემული პირობა, რომ ფესს არ მოვიცვლიდა აქედან. ვიდრე საბოლოოდ არ გამათავისუფლებდნენ. ეს არის და ეს. მათ ალბათ უნდათ, ამით გამისტუმრონ. მაგრამ სცდებიან. არსად არ წავალ. დე. უკიდურესმა გაპირვებამ ბოლო მომიღოს ჩემი ცილის-წამებლების თვალწინ...

მინა. კერძი ადამიანი!

ფონ-ტელჰაიმი. მე მოწყალეობას არ ვთხოვლობ. მე სამარ-ჟალს ვეძებ. ჩემი ღირსება...

მინა. ისეთი ადამიანის ღირსება, როგორიც თქვენ ხართ...

ფონ-ტელჰაიმი (ცხარედ). არა, ჩემო ფროილან. ყველაფერა შეგიძლიათ განსაჯოთ კარგად, ხოლო ეს კი არა. ღირსება არ არის ჰვენის სინდისის ხმა ან რამდენიმე მართალი კაცის დამოწმება.

მინა. არა, არა. მე კარგად ნესმის. ღირსება არის ღირსება.

ფონ-ტელჰაიმი. ერთი სიტყვით, ჩემო ფროილან... თქვენ არ დამამთავრებინეთ სიტყვა... მე მინდოდა მეთქვა: თუ ასე შეურაცხ-მყოფელად მართმევენ იმას, რაც მე შეკუთვნის, თუ ჩემი შეზღაღული სახელი არ იქნება აღდგენილი, არ შემიძლია, ჩემო ფროილან, თქვენ კეკუთვნოდეთ. საზოგადოების თვალში მე ამისი ღირსი არ ვიქნები. ფროილან ფონ-ბარნჰელმს შეჰფერის სახელშეუზღაღავი ქმარი. უღირსია ის სიყვარული, რომელსაც შეუძლია თავისი საყვარელი არსება უყოყმანოდ ხელში ჩაუგდოს საზოგადოების სიძულვილს. უღირსია ადამიანი, თუ მას არ სცხვენია მთელ თავის ბედნიერებას უმადლოდეს ქალს, რომლის ბრმა სიყვარულმა...

მინა. სერიოზულად ამბობთ ამას, ბატონო მაიორო? (უცპო ზურგს შეაქცევს). ფრანცისკა!

ფონ-ტელჰაიმი. ნუ მიწყენთ, ჩემო ფროილან.

მინა (ფრანცისკას) სწორედ ახლაა დრო! რას მირჩევ, ფრან-ციხა?..

ფრანცისკა. არაფერს. მაგრამ, ცხადია, მაიორი უკვე საზღ-ვარს სცილდება.

ფონ-ტელჰაიმი (შეაწყვეტილებს სიტყვას). თქვენ ჯავრობთ. ჩემო ფროილან...

მინა (დაუბნით). მე? სრულიადაც არა.

ფონ-ტელჰაიმი. მე რომ ნაკლებ მიყვარდეთ, ჩემო ფრო-ილან...



მინა (იმავე ტონით). ო, რასაკვირველია, ეს უბედურება იქნებოდა ჩემთვის!.. მაგრამ იცით, ბატონო მაიორო, არც მე მინდა გაგაუბედუროთ... აღამიანებს ერთმანეთი სრულიად უანგაროდ უნდა უყვარდეთ. კიდევ კარგი, რომ გულახდილობა არ გამოვიჩინე. შეიძლება თქვენს თანაგრძნობას მოეცა ის, რაც სიყვარულმა არ მალირსა. (ნელა იძრობს ხელიდან ბეჭედს).

ფონ-ტელჰაიმი. რა გინდათ ამით სთქვათ, ფროილიან?

მინა. არა, აღამიანმა არასოდეს არ უნდა გახადოს სხვა ვინმე იმაზე უფრო ბედნიერი ან უბედური, რაც ის არის. ამას მოითხოვს ჭეშმარიტი სიყვარული! მე თქვენ გენდობით, ბატონო მაიორო. თქვენ მეტისმეტად ღირსეული ბრძანდებით იმისათვის, რომ სიყვარული ჯეროვნად ვერ განსაჯოთ.

ფონ-ტელჰაიმი. თქვენ დამცინით, ჩემო ფროილიან.

მინა. აი გიბრუნებთ იმ ბეჭედს, რომლითაც ერთგულეზ შემომფიცეთ. (აწვდის ბეჭედს). დე, იყოს ასე! ჩვენ აღარ ვიცნობთ ერთმანეთს!

ფონ-ტელჰაიმი. რა მესმის?

მინა. ეს გაოცებთ?.. გამომართვით, ჩემო ბატონო... ეგონებ, თქვენი ლაპარაკი ცარიელი პრანჭვა არ იყო?

ფონ-ტელჰაიმი (გამოართმევს ბეჭედს). ღმერთო! ამას ამბობს მინა!

მინა. თქვენ არ შეგიძლიათ გახდეთ ჩემი მხოლოდ ერთ გარკვეულ შემთხვევაში, მე კი — არავითარ შემთხვევაში. თქვენი უბედურება შესაძლებელია, ჩემი კი — უუჭველი... მშვიდობით! (აბრუნებს წასვლას).

ფონ-ტელჰაიმი. სად მიდიხართ, უსაყვარლესო მინა?

მინა. ბატონო მაიორო, თქვენ ახლა შეურაცხყოფას მაყენებთ ასეთი ინტიმური მომართვით.

ფონ-ტელჰაიმი. რა დაგემართათ, ჩემო ფროილიან? სად მიდიხართ?

მინა. დამანებეთ თავი!.. მომეცით საშუალება დაგმლო ჩემი ცრემლები. მოღალატე! (მიდის.)

### გამოსვლა მშვიდად

ფონ-ტელჰაიმი. მისი ცრემლები!.. და მე ის უნდა მივატოვო? (სურს უკან გაყვეს).

ფრანცისკა (აკეპს). არა, ბატონო მაიორო! ხომ არ გნებავთ საწოლ ოთახშიაც შეჰყვეთ?

ფონ-ტელჰაიმი. მისი უბედურება!.. განა უბედურებაზე არ ლაპარაკობდა?

ფრანცისკა. რასაკვირველია, უბედურებაა თქვენი დაკარგვა, მას შემდეგ რაც...

ფონ-ტელჰაიმი. მას შემდეგ, რაც... რაა მას შემდეგ? აქ რაღაც იმალება. რა მოხდა, ფრანცისკა? სთქვი, მიპასუხე.

ფრანცისკა. მე მინდოდა მეთქვა: მას შემდეგ, რაც ესოდენ დიდი მსხვერპლი გაიღო მან თქვენთვის.

ფონ-ტელჰაიმი. მსხვერპლი გაიღო ჩემთვის?

ფრანცისკა. მომისმინეთ, მოკლედ ვიტყვი... ეს თქვენთვისაა ძალიან კარგი, რომ ამრიგად გაითავისუფლეთ თავი... რატომ არ უნდა გითზრათ? ახლა შეუძლებელია ეს საიდუმლოდ დარჩეს... ჩვენ სახლიდან გამოვიქცით!.. გრაფ ფონ-ბრუხზალმა მემკვიდრეობა ჩამოართვა ქალბატონს იმიტომ, რომ არ მოისურვა მისგან არჩეულ საქმროს გაპყოლოდა ცოლად. ამის შემდეგ ყველამ ზურგი შეაქცია. ყველამ მიატოვა. რა უნდა გვექნა? ჩვენ გადავწყვიტეთ მოგვეძინა ის ადამიანი, რომელსაც...

ფონ-ტელჰაიმი. ჩემთვის საკმარისია. წამოდი, მუხლი უნდა მოვიდრიკო მის წინაშე და პატიება ვთხოვო.

ფრანცისკა. რას ბრძანებთ? სჯობს წახვიდეთ და ბელს მადლობა შესწიროთ...

ფონ-ტელჰაიმი. საცოდავო! ვინ გგონივარ?.. არა, ძვირფასო ფრანცისკა, შენ ამას გულით არ მიჩივებ. მომიტევე ჩემი გულისწყრომა!

ფრანცისკა. ნულა მაცოცხლებთ ამდენ ხანს. უნდა ვნახო, რას აკეთებს ქალბატონი. ადვილი შესაძლებელია, რამე დაემართა წადით. სჯობს სხვა დროს მობრძანდეთ, თუ მოსვლა გწადიათ. (მიდის იქით, საითაც მიზნა წაიღა.)

## ბამოხვლა მირკვი

ფონ-ტელჰაიმი.

მაგრამ, ფრანცისკა!.. ო, გელოდებით აქ!.. არა, ეს უფრო მნიშვნელოვანია! თუ კი სერიოზულად შეხედავს საქმეს, უთუოდ წაპატიებს... ახლა კი მჭირდება, პატიოსანო ვერნერი!.. არა, მინა, მოლალატე არა ვარ. (საჩქაროდ მიდის.)

## მოქმედება მისუთი

ღარბაზი

გამოსვლა პირველი

ფონ-ტელჰაიმი. ვერნერი. შემოდინ სხვადასხვა კარიდან.

ფონ-ტელჰაიმი. აჰ, ვერნერ! მე კი ყველგან დაგეძებ. სად გადაიკარგე?

ვერნერი. მე კიდევ თქვენ გეძებდით, ბატონო მაიორო. ყოველთვის ასე ხდება ხოლმე, როცა კაცს ეძებ... ძალიან კარგი ამბავი მოგიტანეთ...

ფონ-ტელჰაიმი. აჰ, ახლა შენი ახალი ამბები არ მესაჭიროება. მე შენი ფული მინდა. ჩქარა, ვერნერ, მომეცი, რაც გაქვს. მერე უცადე მიშოვნო კიდევ... რაც შეიძლება ბევრი.

ვერნერი. ბატონო მაიორო!.. შეჩვენებული ვიყო, თუ მართალს არ ვამბობდი: მაშინ გამომართმევს ფულს, როცა თვითონ შესძლებს გაასესხოს-მეთქი.

ფონ-ტელჰაიმი. ხომ არ გინდა თავი დაიძვრინო?

ვერნერი. რომ დასაყვედრებელი არაფერი მქონდეს, თქვენ ფულს მართმევთ მარჯვენა ხელით და მიბრუნებთ მარცხენათი.

ფონ-ტელჰაიმი. ნუ მაყოვნებ, ვერნერ! მე გულწრფელად მინდა დაგიბრუნო, მაგრამ როდის და როგორ?.. ღმერთმა უწყის!

ვერნერი. მაშ ჯერ არ იცით, რომ სასახლის საღაროში ბრძანება მიიღო თქვენი ვალი გაისტუმროს? მე ახლახან გაგიგე...

ფონ-ტელჰაიმი. რას რომავ? თავს რად იტყუებ? ნუთუ არ გესმის, ეს რომ მართალი იყოს, პირველი მე შევიტყობდი?.. ერთი სიტყვით, ვერნერ, ფული! ფული!

ვერნერი. თქვენი ნებაა... სიამოვნებით! აქ რაღაც მაქვს. აა. ასი ლუიდორი, ესეც ასი ლუკატი... (გადასცემს ტელჰაიმს).

ფონ-ტელჰაიმი. ვერნერ, ეს ასი ლუიდორი წაუღე იუსტს. ახლავე გამოისყიდოს ბეჭედი, რომელიც ამ დილას დაუგირავებია... სადღა მიშოვნი კიდევ ფულს, ვერნერ?.. მე გაცილებით მეტი მჭირდება.

ვერნერი. ნება მომეცით ამაზე მე ვიზრუნო... ამ ქალაქში ცხოვრობს ის კაცი, რომელმაც ჩემი მამული იყიდა. მართალია, ორი კვირის ვადა მივეცი, მაგრამ ფული მზად უწყვია და თუ ნახე-ვარპროცენტს დავუკლებ...

ფონ-ტელჰაიმი. ასე, კეთილო ვერნერ!.. ხომ ხედავ, მე მხოლოდ შენგან მოველი შევლას!.. ყველაფერი უნდა გაგანდო. ახალგაზრდა ქალი, რომელიც ამ სასტუმროში ცხოვრობს, — შენ ის გინახავს, — უბედურია...

ვერნერი. ოჰ, რა სამწუხაროა!

ფონ-ტელჰაიმი. მაგრამ ხვალ ის ჩემი ცოლი იქნება.

ვერნერი. აჰ, რა სასიხარულოა!

ფონ-ტელჰაიმი. ხვალზევით კი მასთან ერთად მივემგზავრები აქედან. მე შემიძლია და მინდა კიდევ წასვლა. უმჯობესია აქ ყველაფერი ბედის ანაბარა მივაგდო! ვინ იცის, სად მომელის იღბალი. თუ გინდა, წამოდი ჩემთან, ვერნერ. ჩვენ ხელახლა დავიწყებთ სამსახურს.

ვერნერი. მართლა?.. მაგრამ მხოლოდ იქ, სადაც ომია, ბატონო მაიორო!

ფონ-ტელჰაიმი. აბა მაშ სად?.. წადი, ძვირფასო ვერნერ. ჩვენ კიდევ მოვილაპარაკებთ ამაზე.

ვერნერი. პოი, ძვირფასო მაიორო!.. ხვალზევით? რატომ ხვალ არა?.. მე ყველაფერს მოვამზადებ. სპარსეთში, ბატონო მაიორო, ჩინებული ომია. თქვენ რას ფიქრობთ?

ფონ-ტელჰაიმი. ამაზე მერე ვიფიქროთ, წადი, ვერნერ.

ვერნერი. ვაშა! გაუმარჯოს პრინც ერეკლესი! (მიდის.)

### გამოსვლა მეორე

ფონ-ტელჰაიმი.

რა შემართება? სულში ახალი ძალების მოზღვავენას ვგრძნობ. ჩემმა საკუთარმა უბედურებამ ძირს დამცა, გამამოროტა, მომადუნა. გამხნადა ბეცი, მშიშარა. მისი უბედურება სიმხნესა მმატებს, ისევ თავისუფლად ვიყურები ირგვლივ, ვგრძნობ ჩემში სურვილსა და ღონეს, ყველაფერი გავაკეთო მისი გულისათვის... რაღას ვაყოვნებ? (აპირებს მინას ოთახში შესვლას, საიდანაც გამოდის ფრანცისკა.)

### გამოსვლა მესამე

ფრანცისკა. ფონ-ტელჰაიმი.

ფრანცისკა. აჰ, ეს თქვენ ბრძანდებით? თითქოს თქვენც ხმა მესმოდა. რა გნებავთ, ბატონო მაიორო?

ფონ-ტელჰაიმი. რა მნებავს?.. რას აკეთებს შენი ქალბატონი?.. წავიდეთ.

ფრანცისკა. ახლა სასეირნოდ აპირებს წასვლას.

ფონ-ტელჰაიმი. მარტო? უჩემოდ? სად?

ფრანცისკა. დაგავიწყდათ, ბატონო მაიორო?

ფონ-ტელჰაიმი. განა არ გესმის, ფრანცისკა?.. მე ის გავაჯერე, მე მას ვაწყენინე. პატივებს ვთხოვ და მაპატიებს.

ფრანცისკა. როგორ? მას შემდეგ, რაც ბეჭედი გამოართვიო. ბატონო მაიორო?

ფონ-ტელჰაიმი. აჰ!.. მე მაშინ მთლად გაოგნებული ვიყავი... მხოლოდ ახლა გამახსენდა ბეჭედი... სად შევინახე?.. (ეძებს) აი აქ არის.

ფრანცისკა. ესაა? (ტელჰაიმი ბეჭედს ისევ ინახავს. ლაპარაკობს ჯეისთვის.) ნეტავი ყურადღებით მაინც გასინჯოს!

ფონ-ტელჰაიმი. იგი ისე გამწარებული იყო, როცა ბეჭედს მიბრუნებდა... მე უკვე დავივიწყე ეს. როცა გული აღსავსეა გრძობებით, მაშინ სიტყვებს არ სწონიან... მაგრამ ის ერთი წუთითაც არ იტყვის უარს, უკანვე გამომართვას ეს ბეჭედი. განა მისი ბეჭედი მე არა მაქვს?

ფრანცისკა. იგი ელოდება, რომ ბეჭედს დაუბრუნებთ. აბა სადა გაქვთ ბეჭედი, ბატონო მაიორო? მიჩვენეთ.

ფონ-ტელჰაიმი (ოდნავ დაბნულად). ახლა აქ არა მაქვს.. დამავიწყდა. იუსტი... იუსტი ახლავე მომიტანს.

ფრანცისკა. ისინი ისე ჰგვანან ერთმანეთს. ნება მომეცათ შევხედო ამას. მიყვარს ასეთი ნივთების თვალღიერება.

ფონ-ტელჰაიმი. სხვა დროს, ფრანცისკა. ახლა წავიდეთ

ფრანცისკა (თავისთვის). ამ კაცს არაფრის გულისთვის არ სურს გაუგებრობას დააღწიოს თავი.

ფონ-ტელჰაიმი. რა სთქვი? გაუგებრობასაო?

ფრანცისკა. მე ვამბობ: გაუგებრობაა, თუ ფიქრობთ, რომ ჩემი ქალბატონი ხელსაყრელი საცოლეა. მისი საკუთარი ქონების რულიად უმნიშვნელოა. საკმარისია მისმა მეურვეებმა ცოტაოდენი ანგარება გამოიჩინონ, რომ მთელი მისი შეძლება არარაობად იქცეს ჩემი ქალბატონი ყველაფერს ბიძისაგან ნოელოდა; მაგრამ ეს მკაცრი ბიძა...

ფონ-ტელჰაიმი. დაანებე იმას თავი!.. განა მე მამაკაცი არ ვარ, რომ ყველაფერი ავუნაზღაურო?

ფრანცისკა. გესმით? რეკავს. უნდა წავიდე.

ფონ-ტელჰაიმი. მეც მოვდივარ შენთან ერთად.

ფრანცისკა. ღვთის გულისთვის, ნუ იზამთ მაგას. სასტიკად ამიკრძალა თქვენთან ლაპარაკი. ყოველ შემთხვევაში, ჩემს შემდეგ შემოდით. (მიდის).

### გამოსვლა მერთხე

ფონ-ტელჰაიმი (უძახის მიმავალ ფრანცისკას). მოახსენე ჩემს შესაბამე! გამომესარჩლე, ფრანცისკა!.. ახლავე მოვალ!.. რას ვეტყვი? მაგრამ იქ, სადაც გულმა უნდა ილაპარაკოს, რა საჭიროა მომზადება. შეიძლება მხოლოდ ერთი რამ საჭიროებდეს მოფიქრებულ მიდგომას: ის ახლა უბედურია და თავს იკავებს, არ სურს ხელი გამომიწოდოს, ცდილობს ისევე ბედნიერად მომაჩვენოს თავი მაშინ, როდესაც ბედნიერება ჩემი გულისათვის დაჰკარგა; საჭიროა მან საკუთარ თვალში გაამართლოს ეს უნდობლობა ჩემი სახელისადმი, ეს გულშეუჯერებლობა საკუთარი ღირსებებისადმი... საკუთარს თვალში... ჩემს თვალში უკვე გამართლებულია!.. აგერ ისიც მოდის...

### გამოსვლა მისუთი

მინა. ფრანცისკა. ფონ-ტელჰაიმი.

მინა (შემოსვლისას თავი ისე უჭირავს, თითქოს ვერ ხედავს მაიორს). ეტლი კარებთან მიცდის, ფრანცისკა?.. მარაო!..

ფონ-ტელჰაიმი. სად მიემგზავრებით, ჩემო ფროილან?

მინა (ნაძალადევი გულცივობით). სასეირნოდ, ბატონო მაიორო. მივხვდი, რისთვისაც შეგიწუხებოდათ თავი. თქვენ გინდათ ბეჭედი დამიბრუნოთ... კეთილი, ბატონო მაიორო. გთხოვთ ჩააბაროთ ფრანცისკას... ფრანცისკა, გამოართვი ბეჭედი ბატონ მაიორს. მე დრო არა მაქვს (დააპირებს წასვლას).

ფონ-ტელჰაიმი (მიუახლოვდება). ჩემო ფროილან!.. აჰ, რა გავიგე, ჩემო ფროილან! მე არა ვარ ღირსი ასეთი სიყვარულისა.

მინა. ასე, ფრანცისკა? ბატონ მაიორს უკვე...

ფრანცისკა. ყველაფერი გავუმეღავენე.

ფონ-ტელჰაიმი. ნუ გამიჯავრდებით, ჩემო ფროილან. შე მოლაღატე არა ვარ. ჩემი გულისათვის თქვენ ბევრი დაჰკარგეთ ქვეყნის თვალში, მაგრამ ჩემს თვალში კი — არა. პირიქით, დიდად მოიკეთ ამ დანაკარგის გამო. ეს თქვენთვის მეტად მოულოდნელი იყო. თქვენ შიშობდით, რომ იგი ჩემზე ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას მოახლენდა. თქვენ ჯერ გინდოდათ დაგემალათ ეს ჩემთვის. მე არა ვჩივი ამ უნდობლობისათვის. ეს გამოწვეულია ჩემი შენარჩუნების

სურვილით. ეს სურვილი ჩემი სიამაყეა! თქვენ უბედურებაში მნახეთ და არ გინდოდათ ახალი უბედურებით გაგემძაფრებინათ ჩემი უპიწეობა. თქვენ არ შეგეძლოთ გაგეთვალისწინებიათ ის, თუ როგორ დამავიწყებდა თქვენი უბედურება ჩემს უბედურებას.

მინა. ყველაფერი ეს კარგია, ბატონო მაიორო, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა, მე გაგათავისუფლეთ თქვენი ვალდებულებებისაგან. თქვენ უკანვე მიიღეთ ბეჭედი და ამით...

ფონ-ტელჰაიმი. მე ამით არაფერი არ დამიდასტურებია!.. ახლა ჩემს თავს უფრო შებოჭილად ვთვლი, ვიდრე ოდესმე. მინა, თქვენ ჩემი ხართ, სამარადისოდ ჩემი! აი, (ამოიღებს ბეჭედს.) მიიღეთ იგი მეორედ, ეს ჩემი ერთგულების საწინდარია...

მინა. ხელახლა მივიღო ეს ბეჭედი? ეს ბეჭედი?

ფონ-ტელჰაიმი. დიახ, უსაყვარლესო მინა, დიახ!

მინა. რას მთავაზობთ? ამ ბეჭედს?

ფონ-ტელჰაიმი. პირველად ეს ბეჭედი მიიღეთ მაშინ, როცა ორივენი თანაბარ და ბედნიერ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით. ახლა როგორც თქვენი, ისე ჩემი მდგომარეობა საბედნიეროდ აღარაა. თუმცა წინანდებურად თანაბარია. თანასწორობა ყოველთვის იყო სიყვარულის უმძლავრესი დასაყრდენი... ნება მომეცით, საყვარელო მინა!.. (ხელს დაუჭერს ბეჭედს გასაკეთებლად).

მინა. როგორ? ძალით გინდათ, ბატონო მაიორო?.. არასოდეს! ქვეყანაზე არაა ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია მაიძულოს ხელახლა მივიღო ეს ბეჭედი!.. იქნებ გგონიათ, ბეჭედები არა მაქვს? აი, ხომ ხედავთ (აჩვენებს თვის ბეჭედს) თითზე მიკეთია ბეჭედი, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება თქვენსას.

ფრანცისკა. ნუთუ ახლაც ვერ შეამჩნევს?..

ფონ-ტელჰაიმი (ხელს გაუშვებს). ეს რაა? მე ვხედავ მინა ფონ-ბარნჰელმს, მაგრამ მისი ხმა კი არ მესმის... თქვენ იბრანჭებით, ჩემო ფროილიან... მაპატიეთ, რომ თქვენს სიტყვას ვიმეორებ.

მინა (თუისი ნაშფოლი ტონით). ეს სიტყვა თქვენთვის შეურაცხყოფელი იყო, ბატონო მაიორო?

ფონ-ტელჰაიმი. მან გული მატკინა.

მინა. (გულაჩუყებულად). ეს არ მინდოდა, ტელჰაიმი... მომიტყევეთ, ტელჰაიმი.

ფონ-ტელჰაიმი. აჰ, ეს გულწრფელი ტონი მეუბნება, რომ გული კვლავ ჩენსკენ მოგიბრუნდათ, რომ ისევ გიყვარვართ, მინა.

ფრანცისკა (წამოისერის). კინალამ ხუმრობა საქმედ არ გადაიქცა...

მინა (ბრძანების კილოთი). გთხოვ, ნუ ერევი ჩვენს თამაშში, ფრანცისკა...

ფრანცისკა (თავისთვის, გაწილებული). ნუთუ არ კმარა?

მინა. ღიახ, ბატონო! მე რომ ცივად და დამცინავად მოგქცეოდით, ეს ქალურ პატივმოწყვარეობად ჩამეთვლებოდა. დროა გავათავოთ! თქვენ ღირსი ხართ იმისა, რომ მეც ისე გულწრფელად მოგეპყრათ, როგორც თქვენ მეპყრობოდით... მე ისევ მიყვარხართ... ნავრამ წიუხედავად ამისა...

ფონ-ტელჰაიმი. კმარა, უსაყვარლესო მინა, კმარა! (ხელს ჩახშობს ისევ პეჭლის გასაყეთებლად).

მინა. მიუხედავად ამისა, ან უკეთ, მით უმეტეს, არასოდეს არ დავეშვებ, რომ ეს მოხდეს, არასოდეს!.. ეს რა მოგივიდათ აზრად, ბატონო მაიორო?.. მე მეგონა, თქვენი საკუთარი უბედურებაც გეყოფოდათ... თქვენ აქ უნდა დარჩეთ. ყოველი ღონე უნდა იხმართ და სრულს დაკმაყოფილებას მიადწიოთ. ახლა არ შემძლია სხვა სიტყვა მოვძებნო... ღიახ, მიადწიოთ, რაღაც უნდა დაგიჯდეთ, თუნდაც უკიდურესმა გაჭირვებამ გაგანადგუროთ თქვენი ცილისმწამებლების თვალწინ!

ფონ-ტელჰაიმი. მეც ასე ვფიქრობდი და ვლაპარაკობდი მაშინ, როცა გონება დახშული მქონდა. ჯავრმა და გულში ჩაკლულმა წყენამ ბურუსში გახვიეს ჩემი სული. თვითონ სიყვარულსაც კი არ შეეძლო ამ ბურუსის გაფანტვა სრული ბედნიერების უბრწყინვალეს წუთებში. მაგრამ სიყვარულმა დაბადა სიბრალული, რომელსაც ყველაზე უკეთ ესმის სულის უმწვავესი ტკივილები. და აი მან გაპფანტა ნისლი და ხელახლა გაუხსნა გზა უფაქიზეს შთაბეჭდილებებს. და აი იღვიძებს თავდაცვის ინსტინქტი, ვინაიდან ჩემი პირადი თავგანწირულებით უნდა დავიცვა საკუთარ თავზე უფრო ძვირფასი არსება. ჩემო ფროილან, თქვენ შეურაცხყოფად ნუ მიიღებთ ამ სიტყვას — სიბრალულს; იმ ადამიანისაგან, რომელიც ჩვენი უბედურების უნებური მიზეზი გახდა, შეგვიძლია მოვისმინოთ თანაგრძნობის სიტყვები ისე, რომ დამცირების გრძნობა არ განვიცადოთ. მე თქვენი უბედურების მიზეზი ვარ. მინა, თქვენ ჩემი გულისათვის ჰკარგავთ მეგობრებსა და მშობლებს, ქონებასა და სამშობლოს. ჩემი მეოხებით და ჩემში თქვენ ხელახლა მოიპოვებთ ყოველივე ამას, ან არა და მე ჩემს თავს დაეაბრალებ უმშვენიერესი ქალის გაუბედურებას, რომელიც იმსახურებს მხოლოდ სიყვარულს. ნუ მაფიქრებინებთ ისეთ მოწავალზე, როცა ჩემი თავი უნდა მეზიზღებოდეს... არა, აღარაფერს შეუძლია დამაკავოს აქ! ამიერიდან იმ უსამართლობას, რომელსაც აქ ვხვდები, მხოლოდ ზიზღს დაუუპირისპირებ. განა ეს ქვეყანა მთელი მსოფლიოა? განა მართო აქ ამოდის მზე? სად არ შემძლია წასვლა? სად მეტყვიან უარს სამსახურზე?



და თუნდაც ყველაზე შორეული ცის ქვეშ მომიხდეს სამსახურის ძებნა, მზნედ გამომყევით, საყვარელო მინა! იქ ყველაფერი გვექნება... მე მყავს მეგობარი, რომელიც სიამოვნებით დამეხმარება.

### ბამოსვლა მემკვსე

ფელდიეგერი. ფონ-ტელჰაიმი. მინა. ფრანცისკა.

ფრანცისკა (შენიშნავს ფელდიეგერს). სს! ბატონო მაიორო...

ფონ-ტელჰაიმი (ფელდიეგერს). ვინ გნებავთ?

ფელდიეგერი. მე ვექებ ბატონ მაიორ ფონ-ტელჰაიმს... აჰ. ეს ხომ თქვენ ბრძანდებით. ბატონო მაიორო, მე უნდა გადმოგცეთ (აშოილებს ჩანთიდან) მეფის წერილი.

ფონ-ტელჰაიმი. მე?

ფელდიეგერი. დიახ, ასე სწერია მისამართში.

მინა. ფრანცისკა, გესმის?.. როგორც ჩანს, კავალერმა მართალი სთქვა.

ფელდიეგერი (გადასცემს წერილს). გთხოვთ მაპატიოთ, ბატონო მაიორო. ამ წერილს გუშინვე მიიღებდით, მაგრამ ვერაფერ მიტხრა თქვენი მისამართი, დღეს აღლუმზე გავიგე ეს ლოიტენანტი რიკოსაგან.

ფრანცისკა. ძვირფასო ქ-ლბატონო, გესმით?.. აი ვინ ყოფილა ის მინისტრი, რომელზედაც კავალერი ლაპარაკობდა... „რა ჰქვია მინისტრს, იქ, ფართო მოედანზე რომ ცხოვრობს?..“

ფონ-ტელჰაიმი. დიდად გმადლობთ გარჯისათვის.

ფელდიეგერი. ეს ჩენი მოვალეობაა, ბატონო მაიორო. (მიღის.)

### ბამოსვლა მემკვიდი

ფონ-ტელჰაიმი. მინა. ფრანცისკა.

ფონ-ტელჰაიმი. აჰ, ჩემო ფროილინ, რას უნდა შეიცავდეს ეს წერილი?

მინა. უფლება არა მაქვს ასეთი დიდი ცნობისმოყვარეობა გამოვიჩინო.

ფონ-ტელჰაიმი. როგორ? თქვენ ისევ ემიჯნებით ჩემს ბედს?.. მაგრამ რად ვყოყმანობ, რატომ ვერ გამიბეღია წერილის გახსნა? ამ წერილს არ შეუძლია იმაზე მეტად უბედური გამხადოს, ვიდრე ვარ. არა, საყვარელო მინა, მას არ შეუძლია ჩვენი გაუბედურება ამაზე მეტად... ბედნიერება კი შეიძლება მოგვიტანოს!.. ნება მომეცით, ფროილიან! (ხსნის წერილს და კითხულობს. ამ დროს სცენაზე ფეხაკრეფით შემოდის სასტუმროს პატრონი.)

## გამოსვლა მერვე

ს ა ს ტ უ მ რ ო ს   პ ა ტ რ ო ნ ი .   ი გ ი ვ ე ნ ი .

ს ა ს ტ უ მ რ ო ს   პ ა ტ რ ო ნ ი (ფრანცისკას). სს!.. ლამაზო გონა! ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი.

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა (მიუახლოვდება). თქვენ ბრძანდებით, ბატონო? ჩვენ თვითონაც არ ვიცით ჯერ, რა სწერია წერილში.

ს ა ს ტ უ მ რ ო ს   პ ა ტ რ ო ნ ი . ვის რა ესაქმება წერილთან?.. მე ბეჭდისათვის მოვედი. ქალბატონმა ახლავე უნდა დამიბრუნოს. იუსტი მელოდება, გირაო უნდა გამოისყიდოს.

მ ი ნ ა (მიუახლოვდება სასტუმროს პატრონს.) უთხარით იუსტს, რომ ბეჭედი უკვე გამოსყიდულია. უთხარით ისიც, რომ მე გამოვისყიდე.

ს ა ს ტ უ მ რ ო ს   პ ა ტ რ ო ნ ი . მაგრამ..

მ ი ნ ა . ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ. წადით! (სასტუმროს პატრონი მიდის).

## გამოსვლა მეთხრამეტი

ფ ო ნ - ტ ე ლ პ ა ი მ ი .   მ ი ნ ა .   ფ რ ა ნ ც ი ს კ ა .

ფ რ ა ნ ც ი ს კ ა . კმარა, ძვირფასო ქალბატონო, გებრალეზოდეთ გულკეთილი მაიორი.

მ ი ნ ა . ოჰ, ქონაგს დამიხედეთ! თითქოს კვანძი თავისთავად არ უნდა გაიხსნას მალე.

ფ ო ნ - ტ ე ლ პ ა ი მ ი (დაასრულებს წერილის კითხვას, ძლიერ აღელვებულია). დიახ, იგი აქაც ერთგულია თავისი თავისა... ოჰ, ჩემო ფროილან, რა სამართლიანი განსჯაა!.. რა სიკეთე!.. ეს იმაზე მეტია, რასაც ველოდი!.. მეტი, ვიდრე დავიმსახურე!.. ჩემი ბედნიერება, ჩემი სახელი... ყველაფერი აღდგენილია!.. ოცნება ხომ არაა? (ხელახლა სინჯავს წერილს, თითქოს უნდა კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, რომ არ სცდება). არა, ეს ჩემი სურვილებით გამოწვეული მოჩვენება არაა! წაიკითხეთ თქვენ თვითონ, ჩემო ფროილან, წაიკითხეთ.

მ ი ნ ა . არც იმდენად მოურიდებელი გახლავარ, ბატონო მაიორო.

ფ ო ნ - ტ ე ლ პ ა ი მ ი . მოურიდებელი? წერილი ჩემთანაა მოწერილი, თქვენს ტელპაიმთან, მინა. იგი შეიცავს იმას, რასაც ბიძათქვენი ვერ წაგართმევთ. თქვენ უსათუოდ უნდა წაიკითხოთ. აჰა. წაიკითხეთ!

მ ი ნ ა . თუ ეს გასიამოვნებთ, ბატონო მაიორო.. (გამოართმევს წერილს და კითხულობს.)

ჩემო ძვირფასო მაიორო ფონ-ტელპაიმი! გაცნობებთ, რომ თქვენს სასარგებლოდ გამოირჩვა ის საქმე, რომელმაც ესოდენი გულისწუ-

ხილი გამოიწვია ჩემში და ჩამაფიქრა თქვენს ღირსებაზე. ჩემი ძმა დაწვრილებით გაეცნო ამ საქმეს და თქვენ საცხებით მართალი აღმოჩნდით. სასახლის სალარომ მიიღო განკარგულება დაგიბრუნოთ თქვენთვის ცნობილი თამასუქი და გაანადღოს თქვენს მიერ გაცემული სესხი. მე გავეცი აგრეთვე ბრძანება გაუქმებულად ჩაითვალოს ყველაფერი, რაც სამხედრო საველე სალაროებმა თქვენი ანგარიშების გასაბათილებლად წარადგინეს. მაცნობეთ, ნებას გაძლევთ თუ არა ჯანმრთელობა, განაგრძოთ სამსახური. მე მიმიძიძს ესოდენ მამაკილა მაღალგონიერი ადამიანის დათმობა. ვრჩები თქვენი შემწყნარებელი მეფე და სხ.

ფონ-ტელჰაიმი. აბა რას იტყვით, ჩემო ფროილან? მინა (დაკეცავს წერილს და მიაწვდის ტელჰაიმს). მე? არაფერს.

ფონ-ტელჰაიმი. არაფერს?

მინა. თუმცა ვიტყვი: თქვენი მეფე, რომელიც ესოდენ დიდად ადამიანია, უთუოდ ძალიან გულკეთილიც უნდა იყოს... მაგრამ მერა ნესაქმება? ის ჩემი ზეფე არაა.

ფონ-ტელჰაიმი. ამის ფეტი არაფერი გაქვთ სათქმელი? არაფერი თვითონ ჩვენს შესახებ?

მინა. თქვენ ხელახლა დაიწყებთ მასთან სამსახურს. ბატონი მაიორი გახდება ობერსტლოიტენანტი, შეიძლება ობერსტიც კი. გულწრფელად გილოცავთ.

ფონ-ტელჰაიმი. ასე მიცნობთ?.. არა, თუ ბედი უკანვე მიბრუნებს იმდენს, რაც გონიერი ადამიანის სურვილების დასაკმაყოფილებლად არის საკმარისი, დაე, მარტო ჩემს მინაზე იყოს დამოკიდებული, მის მეტს კიდევ სხვა ვინმეს უნდა ვეკუთვნოდე თუ არა. მხოლოდ მის სამსახურს შეეწიროს მთელი ჩემი ცხოვრება! ანაქვეყნის ძლიერთა სამსახური სახიფათოა და იმ ჯაფად, შევიწროვებად და დამცირებად არ ღირს, რასაც ჩვენგან მოითხოვს. მინა არ ეკუთვნის იმ პატივმოყვარე მანდილოსნების რიცხვს, რომელთაც თავისი ქმრები სახელისა და საპატიო თანამდებობისათვის უყვართ. მას ჩემდათავად ვეყვარები. მე კი მისი გულისათვის მთელს მსოფლიოს დავივიწყებ. მე ჯარისკაცი გავხდი პარტიულობის კარნახით, თუმცა თვითონაც არ ვიცოდი, რომელ პოლიტიკურ პრინციპებს ვემსახურებოდი. ამის გარდა, მე წარმოდგენილი მქონდა, რომ ყოველმა პატიოსანმა ადამიანმა თავისი თავი უნდა გამოსცადოს სამხედრო მოღვაწეობის ასპარეზზე, რათა ახლო გაეცნოს ყოველივე იმას, რასაც საფრთხე ეწოდება, გაიწრთვნას სიმტკიცესა და სიამაძაცუნე-მეთქი. მხოლოდ უკიდურეს გაჭირვებას შეეძლო იძულებული გაეხადე ცხოვრების დანიშნულებად გადამექცია ეს გამოცდილება, ხელობად გამეხადა

შემთხვევითი საქმიანობა. მაგრამ ახლა, როცა აღარაფერი მატანს ძალას, მთელი ჩემი პატივმოყვარეობა მხოლოდ და მხოლოდ ისაა. რომ ვიყო მშვიდი და კმაყოფილი ადამიანი. ასეთ ადამიანად გადავიქცევი თქვენს გვერდით, საყვარელო მინა, და ასეთად დავრჩები მარად... დაე, ხვალვე შეგვაერთოს უზენაესმა კავშირმა. მერე მიმოვიხედავთ და მოვებნით ამ უზარმაზარ მსოფლიოში ყველაზე წყნარს, ნათელსა და საამბურ კუთხეს, რომელსაც მხოლოდ ბედნიერი ცოლ-ქმარიღა აკლდა, რომ სამოთხედ ქცეულიყო. ჩვენ იქ ვიცხოვრებთ და ყოველი დღე... რა გემართებათ, ჩემო ფროილიან? (მინა შეწუხებული აქვ-იქით იყურება, ცდილობს დაფაროს თავისი მღელვარება.)

მ ი ნ ა (თავშეკავებით). რა სასტიკი ადამიანი ჰყოფილხართ, ტელ-ჰაიმი, რომ ასე წარმტაცად მისურათებთ ბედნიერებას, რომელზედაც უარი უნდა ვთქვა. ჩემი დანაკარგი...

ფ ო ნ - ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. თქვენი დანაკარგი?.. რას უწოდებთ ამ დანაკარგს? ყველაფერი ის, რაც შეეძლო დაეკარგა მინას, არ შეჰხებია თვითონ მას. თქვენ წინანდებურად ყველაზე ნაზი, ტურფა, მომხიბლავი და საუკეთესო ქმნილება ხართ ამ მზით გაშუქებულ ქვეყანაზე. თქვენ თვითონ სათნოება და სულგრძელობა ხართ, უმანკოება და სიხარული. ზოგჯერ ოდნავ გიჟმაყი, ოდნავ კერპი...-მით უკეთესი! მით უკეთესი! ისე ხომ მინა ანგელოზი იქნებოდა, რომლისთვისაც მოწიწებით თაყვანი უნდა მეცა, მაგრამ სიყვარულს კი ვერ გავუბედავდი. (ხელში ხელს წააფლებს და კოცნას დაუპირებს).

მ ი ნ ა (ხელს გააშვებინებს). არა, ჩემო ბატონო!.. როგორ გამოიცვალეთ ასე უცებ?.. ნუთუ ეს მოალერსე, აგზნებული მიჯნური ცივი ტელჰაიმი? ნუთუ ბედნიერების დაბრუნებამ მას ესოდენი ცეცხლი შემატა? რაკი ის ახლა ასე აენთო, ნება მომცეს მე მაინც ვიცაჯელო საღად ორივეს მაგიერ. როცა მას მსჯელობის თავი ჰქონდა, არაერთხელ უთქვამს: უღირსია ის სიყვარული, რომელსაც შეუძლია თავისი საყვარელი არსება უყოყმანოდ ხელში ჩაუგდოს საზოგადოების სიძულვილს... სწორია. მაგრამ მეც სწორედ ასეთი ვმინდა და კეთილშობილი სიყვარულისადმი მივისწრაფი... ახლა, როცა მას ღირსება იხმობს, როცა დიდი მონარქი თხოვს სამსახურს, განა შემიძლია დავთანხმდე, რომ სატრფიალო ოცნებებს აპყვეს ჩემთან ერთად? რომ სახელმძოვნილი მხედარი ცელქ მწყემსად გადაგვარდეს?.. არა, ბატონო მაიორო, თქვენ უნდა მიჰყვეთ თქვენს უკეთეს ბედს.

ფ ო ნ - ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. კეთილი! თუ მაღალი საზოგადოება უფრო გხიბლავთ... კეთილი! დავრჩეთ ამ მაღალ საზოგადოებაში!.. მაგრამ რა დაკნინებული და უბადრუკია ეს მაღალი საზოგადოება! თქვენ

იცნობთ მხოლოდ მის ბრჭყვიალა ზედაპირს. მაგრამ, მინა, თქვენ, ალბათ... ეჰ, ასე იყოს! რასაკვირველია, ეს ღრობითია... თქვენს სრულყოფილ მშვენიერებას მრავალი მალმერთებელი ეყოლება, ჩემს ბედნიერებას კი შურით აღვსილი ადამიანები არ დაეღვევა.

მინა. არა, ტელჰაიმ, ამას არ ფიქრობდი! მე მოგიწოდებო მაღალი საზოგადოებისაკენ სახელის მოსახვეჭად, მაგრამ თვითონ არ ვაპირებ თან გამოგყვეთ. იქ ტელჰაიმს სახელმწიფოებლად ნეუღლე სჭირდება! საქსონელი ლტოლვილი ქალიშვილი კი, რომელიც კისერზე ჩამოეკიდა...

ფონ-ტელჰაიმი (აღღებულად აქვთ-იქვთ იყურება). ვინ გაბედავს ამის თქმას?... აჰ, მინა, მე თვითონ მუშინია ჩემი თავისა, როცა წარმოვიდგენ, რომ თქვენ გარდა ეს შეეძლო კიდევ ვინმეს ეთქვა. ჩემი სიშმაგე უსაზღვრო იქნებოდა.

მინა. სწორედ ამისა მუშინია. თქვენ ვერ აიტანდით სულ უმნიშვნელო დაცინვას ჩემს მიმართ, და მაინც მოგიხდებოდათ ყოველდღე მოკესმინათ უფრო გესლიანი... ერთი სიტყვით, ყური დამივდეთ, ტელჰაიმ, მე მტკიცედ გადავწყვიტე და არავის არ შეუძლია მათქმევინოს უარი...

ფონ-ტელჰაიმი. ვიდრე ყველაფერს მეტყვით... გაფიცებთ. მინა! მოიფიქრეთ კიდევ ერთი წუთით, და მერე გამომიცხადეთ განაჩენი, რომელიც ან დამასამარებს, ან სიცოცხლეს მომანიჭებს.

მინა. რა საჭიროა ფიქრი! როგორც სწორია ის, რომ მე დაგიბრუნეთ თქვენგან ერთგულების ნიშნად მიღებული ბეჭედი, როგორც სწორია ის, რომ თქვენ უკანვე მიიღეთ ის ბეჭედი, ისე სწორია ისიც, რომ უბედური ბარნჰელმი არასოდეს არ გახდება ბედნიერი ტელჰაიმის ცოლი!

ფონ-ტელჰაიმი. ეს თქვენი უკანასკნელი გადაწყვეტილებაა?

მინა. მხოლოდ თანასწორობაა მტკიცე დასაყრდენი სიყვარულისა... ბედნიერ ბარნჰელმს სურდა ეცოცხლა მხოლოდ ბედნიერ ტელჰაიმისათვის. უბედური მინაც ბოლოსდაბოლოს დათანხმდებოდა თავისი სიახლოვით შეემსუბუქებინა ან. შესაძლოა, გაემძაფრებინა თავისი მეგობრის უბედურება. თქვენ, რასაკვირველია, შენიშნეთ, რომ ამ წერილის მიღებამდე, რომელიც ხელახლა არღვევს ყოველგვარ თანასწორობას ჩვენს შორის, ჩემი უარი მხოლოდ თვალთმაქცობა იყო.

ფონ-ტელჰაიმი. ეს ღართალია, ფროილან?... გნადლობთ, მინა, რომ ჯერ არ გამოგიტანიათ საბოლოო განაჩენი... თქვენ მხოლოდ უბედური ტელჰაიმი გასურთ? ეს ძნელი არაა. (ცოვად) მე თვი-

თონ ვკრძნობ ახლა, რომ არ შემფერის მივიღო ეს დაგვიანებულა მართლმსაჯულება, ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ არც კი მოვიტხოვ დამიბრუნდეს ის, რასაც სახელი გაუტეხეს ასეთი სამარცხვინო ეშვით. მზად ვარ ისე მოვიქცე, თითქოს არც კი მიმეღოს წერილი. აა ჩემი პასუხი (აპირებს წერილის დახუჯას).

მ ი ნ ა. რა გსურთ, ტელჰაიმ?

ფო ნ-ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. მე მინდა ჩემი იყოთ.

მ ი ნ ა. შეჩერდით!

ფო ნ-ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. ფროილან, წერილს ახლავე დავხვე, თუ დაუყოვნებლივ არ შეიცვლით აზრს... მაშინ დავინახავ, სხვას რას იტყვით ჩემს წინააღმდეგ.

მ ი ნ ა. როგორ? ასეთი ტონით მელაპარაკებით? თქვენ გსურთ ჩემი თავი შემადგდეს? არასოდეს! არარაობას წარმოადგენს ის ქალი, რომელსაც არ სცხენია მთელი თავისი ბედნიერება მამაკაცის ბრმა სიყვარულს დაუკავშიროს.

ფო ნ-ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. ყალბია, სახვებით ყალბი!

მ ი ნ ა. თქვენ ჰკიცხავთ საკუთარ სიტყვებს, რომლებიც მე გავი-  
მეორე.

ფო ნ-ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. სოფისტო! მაშ ქალისათვის სამარცხვინო ყოფილა ის, რაც არ შეჰფერის მამაკაცს? მაშ მამაკაცს შეუძლია აკეთოს ის, რაც მხოლოდ ქალს შეჰფერის? ვის დაავალა ბუნებამ და-საყრდენი გამხდარიყო მეორისათვის — ქალს თუ მამაკაცს?

მ ი ნ ა. დამშვიდდით, ტელჰაიმ! მე თუ იძულებული ვარ უარი ვთქვა თქვენს მფარველობაზე, მთლად უმწუო როდი ვრჩები. თუ სა-  
ჭიროება იქნება, მფარველებიც აღმომიჩნდებიან. მე ვაცნობე ჩვენს ელჩს ჩემი ჩამოსვლის ამბავი. დღესვე წომელაპარაკება. იმედი მაქვს დამეხმარება. მაგრამ დრო მიდის. ნება მომეცით, ბატონო მაიორო...

ფო ნ-ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. მე გაგაცილებთ, ფროილან.

მ ი ნ ა. არა, ბატონო მაიორო, მარტო წავალ.

ფო ნ-ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. უმალ საკუთარი ჩრდილი მიგატოვებთ! მიბრძანდით საითაც გნებავთ, ვისთანაც გნებავთ. ყველას — ნაცნობ-სა და უცნობს — ვუამბობ თქვენი თანადასწრებით, დღეში ასჯერ ვუამბობ, რა მტკიცედ ხართ დაკავშირებული ჩემთან და რა უღმობ-  
ბელი სიკერაზე გაიძულებთ გასწყვიტოთ ეს კავშირი.

### ბამოსვლა მმათე

ი უ ს ტ ი, ი გ ი ვ ე ნ ი.

ი უ ს ტ ი (შემოიჭრება ოთახში). ბატონო მაიორო! ბატონო მაიორო!

ფო ნ-ტ ე ლ ჰ ა ი მ ი. რა მოხდა?

ი უ ს ტ ი. მობრძანდით, ჩქარა, ჩქარა!

ფონ-ტელჰაიმი. რა ამბავია? მოდი აქ! სთქვი, რა მოხდა?

ი უ ს ტ ი. მომისმინეთ ოლონდ... (ყურში უჩურჩულებს).

მინა (ფრანცისკას). ნეტავი რა უნდა იყოს, ფრანცისკა?

ფრანცისკა. აჰ, რა შეუბრალებელი ბრძანდებით. მე ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს ნაკვეერჩხლებზე ვიდექი.

ფონ-ტელჰაიმი (იუსტს). რას ამბობ?.. ეს შეუძლებელია!.. მინა?.. (გაოცებული უყურებს მინას) სთქვი ხმამაღლა. მას უთხარი ეს პირდაპირ... მოისმინეთ, ფროილიან!..

ი უ ს ტ ი. სასტუმროს პატრონი ამბობს, რომ ქალბატონმა ფონ-ბარნჰელმმა წაიღო ჩემ მიერ დაგირავებული ბეჭედი. მან თავისად მიიჩნიაო და ამიტომ აღარ მიბრუნებსო.

ფონ-ტელჰაიმი. მართალია ეს, ფროილიან?.. არა, ეს შეუძლებელია!

მინა (ლიბილით). რატომ არის შეუძლებელი, ტელჰაიმ? რატომ არ შეიძლება ეს მართალი იყოს?

ფონ-ტელჰაიმი (ცხარედ). მაშ ეს ნამდვილად ასეა? ოჰ, რა საშინელი სინათლე მოეფინა ჩემს თვალებს! ახლა კი ვიცი ვინ ჰყოფილხართ: ცრუ, ორგული!

მინა. ვინ? ვინ არის ორგული?

ფონ-ტელჰაიმი. თქვენ! მე აღარ მსურს თქვენი სახელის ხსენება.

მინა. ტელჰაიმ!

ფონ-ტელჰაიმი. დაივიწყეთ ჩემი სახელი!.. თქვენ აქ ჩამოსულხართ იმისათვის, რომ ყოველგვარი კავშირი გაგეწყვიტათ ჩემთან. ეს ნათელია!.. როგორ ეხმარება შემთბვევა ორგულ აღამიანს! მან მოგცათ ხელში ეს ბეჭედი. თქვენმა ვერაგობამ დამიბრუნა ჩემი.

მინა. ტელჰაიმ, თქვენ მოჩვენებები გელანდებთ! გონს მოღიფდა მომისმინეთ.

ფრანცისკა (თავისთვის). ახია მაგაზე!

### გამოსვლა მეთერთმეტე

ვერნერი (ხელში უპირავს ქისა). ფონ-ტელჰაიმი. მინა.

ფრანცისკა. იუსტი.

ვერნერი. აი, მე უკვე აქა ვარ, ბატონო მაიორო.

ფონ-ტელჰაიმი (ზედ არ უყურებს). ვინ გეძახობდა?

ვერნერი. აი ფული, ათასი პისტოლი.

ფონ-ტელჰაიმი. მე არა მჭირდება!

ვერნერი. ხვალ, ბატონო მაიორო, შეგიძლიათ მიიღოთ ამ-  
დენივე.

ფონ-ტელჰაიმი. შენთვის შეინახე.

ვერნერი. ეს ფული თქვენია, ბატონო მაიორო... ასე მგონია,  
ფერცკი ხედავთ, ვის ელაპარაკებით.

ფონ-ტელჰაიმი. აქედან დამეკარგე ფულიანად!

ვერნერი. რას ბრძანებთ? მე ვერნერი ვარ.

ფონ-ტელჰაიმი. ყოველი სიკეთე თვალთმაქცობაა. ყოველი  
დახმარება — მოტყუება.

ვერნერი. ეს მე მეხება?

ფონ-ტელჰაიმი. როგორც გნებავს!

ვერნერი. მე მხოლოდ თქვენი ბრძანება შევასრულე.

ფონ-ტელჰაიმი. მაშ ესეც შეასრულე: დამეკარგე აქედან!

ვერნერი. ბატონო მაიორო! (წყნით) მეც ადამიანი ვარ.

ფონ-ტელჰაიმი. დიდი რამ ჰყოფილხარ!..

ვერნერი. მეც შემიძლია გესლის გადმონთხევა!..

ფონ-ტელჰაიმი. მშვენიერია! გესლი კიდევ ყველაზე კარგი  
რამეა, რაც ჩვენ გვაბადია.

ვერნერი. გთხოვთ, ბატონო მაიორო...

ფონ-ტელჰაიმი. რამდენჯერ უნდა გითხრა? მე არ მჭირ-  
დება შენი ფული!

ვერნერი (აღღებულად). დაე, ვინაც უნდა, იმან ისარგებლოს!  
(ქაას ტელაჰაიმის ფეხთან დააგდებს და განზე გადგება).

მინა (ფრანცისკას). აჰ, საყვარელო ფრანცისკა, რატომ არ დაგა-  
ჯერე. ჩემი ხუმრობა წრეს გადავიდა... მაგრამ თუ კი მომისმინა...  
(მიუახლოვდება ტელაჰაიმს).

ფრანცისკა (არაფერს არ უპასუხებს თავის ქალბატონს, მიდის ვერ-  
ნერთან). ბატონო ვახშისტრო!

ვერნერი (ბუზღუნით). თავი დამანებეთ!

ფრანცისკა. ფუ! თქვენც მამაკაცები ხართ ვითომ!

მინა. ტელჰაიმი!.. ტელჰაიმი!.. (ტელაჰაიმი ბრაზით თითებს იკვნეტა,  
ზურგს შეაქცევს და არაფერი არ ესმის.) არა, ეს მეტიხმეტია! მომისმინეთ!..  
თქვენ სტყუვდებით!.. ეს მხოლოდ გაუგებრობაა... ტელჰაიმი!.. არ  
გინდათ მოუსმინოთ თქვენს მინას?.. როგორ დაგებადათ ასეთი  
ეჭვი?.. მე განვიზრახე თქვენი მიტოვება?.. ამისათვის მოვედი აქ?..  
ტელჰაიმი!



## გამოსვლა მითოკრემბა

ორი მსახური სხვადასხვა მხრიდან შემოირბენს დარბაზში. იგივენი.

პირველი მსახური. პატივცემულო ქალბატონო, მისი ბრწყინვალეობა გრაფი!..

მეორე მსახური. მობრძანდება, პატივცემულო ქალბატონო!

ფრანცისკა (მობრძენს ფანჯარასთან). ის არის! ის არის!

მინა. ის არის? ჩქარა, ტელპაიმ!..

ფონ-ტელპაიმი (უცებ გამოფხიზლდება). ვინ? ვინ მოვიდა? ბიძატქვენი, ფროილაინ? თქვენი სასტიკი ბიძა? მოვიდეს, ოღონდ მოვიდეს! ნურაფრისა გეშინიათ! თვალის გადაკვრითაც ვერ გაბედავს თქვენს შეურაცხყოფას! მას ჩემთან ექნება საქმე. თუმცა არ დაგიმსახურებიათ ეს...

მინა. ჩქარა, მომეხვიეთ, ტელპაიმ, და დაივიწყეთ ყველაფერი.

ფონ-ტელპაიმი. აჰ, ნეტავი დარწმუნებული ვიყო, რომ თქვენ შეგიძლიათ მონიანიოთ ყოველივე!

მინა. არა, ვერ მოვინანიებ იმას, რომ თქვენი გულის სიღრმეში ჩავიხედე!.. აჰ, რა შექანიშნავი ადამიანი ხართ! მოეხვიეთ თქვენს მინას, თქვენს ბედნიერ მინას, რომელიც მხოლოდ თქვენითა ბედნიერი! (გულში ჩაიკრავს ერთმანეთს). აბა ახლა მივეგებოთ მას.

ფონ-ტელპაიმი. ვის?

მინა. თქვენს უცნობ საუკეთესო მეგობარს.

ფონ-ტელპაიმი. როგორ?

მინა. გრაფს, ბიძას, ჩემს მამას, თქვენს მამას!.. ჩემი გაქცევა, მისი გულისწყრომა, მემკვიდრეობის ჩამორთმევა... ნუთუ არ გესმით, რომ ყოველივე ეს მოგონილი ამბავია?.. გულუბრყვილო რაინდო!

ფონ-ტელპაიმი. მოგონილია?.. მაგრამ ბეჭედი? ბეჭედი?

მინა. სად არის ის ბეჭედი, რომელიც დაგიბრუნეთ?

ფონ-ტელპაიმი. ისევ გამომართმევთ? ო, მაშინ მე ბედნიერი ვიქნები!.. აჰა, მინა! (ამოიღებს ბეჭედს).

მინა. ჯერ შეხედეთ კარგად! ისე იქცევით, თითქოს არ გინდათ დაინახოთ. ვისია ეს ბეჭედი? თქვენი თუ ჩემი? განა ეს ის არაა, რომელიც არ მინდოდა სასტუმროს პატრონის ხელში დარჩენილიყო?

ფონ-ტელპაიმი. ღმერთო! რას ვხედავ? რა მესმის?

მინა. ავიღო ისევე? ავიღო? მომეცით, მომეცით! (გამოსტაცებს ბეჭედს და თვითონ გაუკეთებს მას თითზე) აბა! ყველაფერი რიგზეა?

ფონ-ტელპაიმი. სადა ვარ? (უკონის ხელს.) ჰოი, ბოროტო ანგელოზო! რისთვის დამტანჯეთ ასე?

მინა. იმისათვის, ჩემო ძვირფასო მეუღლე, რომ მუდამ გახსოვდეთ: უკეთუ რაიმე ოინს ჩაიდნო, მაშინვე გადაგიხდით სამაგაეროს... თქვენ გგონიათ მე არ ვიტანჯებოდი?

ფონ-ტელპაიმი. ოპ, თქვე კომედიანტებო! როგორი ხართ, ვინც არ გიცნობთ.

ფრანცისკა. არა, მე არ გამოვდგები კომედიანტის როლში. მე სულ ვკანკალებდი და ენას ვიკენეტდი.

მინა. მეც გამიძნელდა ჩემი როლის შესრულება. აბა, ახლა კი წავიდეთ.

ფონ-ტელპაიმი. ახლაც გონს ვერ მოვსულვარ... რა სიაშე მოეფინა გულს და რა მღელვარება მიპყრობს მაინც. ასე უცბად იღვიძებს ადამიანი საშინელი სიზმრისაგან.

მინა. ჩვენ დავიგვიანეთ... უკვე ფეხის ხმა მესმის.

### გამოსვლა მცაგმბე

გრაფი ფონ-ბრუხსალე, რამდენიმე შახურის და სისტუმროს პატრონის თანხლებით. იგივენი.

გრაფი (შეშოსვლის უშალ). ხომ მშვიდობით იმგზავრე?

მინა (გახარებული მიეგებება). აპ, მამაჩემო!

გრაფი. აი მეც აქა ვარ, საყვარელო მინა! (მოეხვევა). მაგრამ ეს რა არის, ჩემო კარგო? (შენიშნავს ტელპაიმს) სულ ოცდაოთხი საათით ჩამომასწარი და უკვე ნაცნობები გაიჩინე, უკვე საზოგადოება შეკრიბე?

მინა. გამოიცანით, ვინ არის ეს?

გრაფი. ნუთუ შენი ტელპაიმი?

მინა. მაშ ვინ იქნება, თუ არა ის? მოდით, ტელპაიმ! (მიიყვანა გრაფთან.)

გრაფი. მოწყალეო ხელმწიფევე, ჩვენ არასოდეს არ შევხვედრივართ ერთმანეთს, მაგრამ პირველი ნახვის უშალ მომეჩვენა, თითქოს გიცანით. მე ვისურვე, რომ თქვენ ტელპაიმი ყოფილიყავით... მომეხვიეთ! მე პატივს გცემთ დიდად. გთხოვ მიმეგობროთ... ჩემს ძმისწულს, ჩემს ქალიშვილს უყვარხართ.

მინა. თქვენ იცით ეს, მამაჩემო!.. განა ჩემი სიყვარული ბრმაა?

გრაფი. არა, მინა. შენი სიყვარული არაა ბრმა. მაგრამ შენს სატრფოს ენა დაება.

ფონ-ტელპაიმი (გადეხვევა გრაფს). ნება მომეცით გონს მოვიდე, მამაჩემო!..

გრაფი. კეთილი, შვილო! მესმის შენი მდგომარეობა. თუ შენს ბაგეებს ლაპარაკი არ შეუძლია, გული მაინც მეტყველებს...

საერთოდ მე არ მიყვარს ის ოფიცრები, რომლებიც ამ ფორმას ატარებენ (მიუთითებს ტელჰაიმის მუნდორზე). მაგრამ თქვენ პატიოსანი ადამიანი ხართ, ტელჰაიმ, ხოლო პატიოსანი ადამიანი ღირსია სიყვარულისა, როგორი ტანისამოსიც უნდა ჩაიცვას მან.

მინა. ოჰ, თქვენ რომ ყველაფერი იცოდეთ!..

გრაცი. რა მიშლის ხელს, რომ ყველაფერი ვიცოდეთ? სადაა ჩემი ოთახები, ბატონო სასტუმროს პატრონო?

სასტუმროს პატრონი. მობრძანდით, თქვენო ბრწყინვალებავ!..

გრაცი. წავიდეთ, მინა წავიდეთ, ბატონო მაიორო! (მიღის. მას მიჰყვებიან სასტუმროს პატრონი და მსახურნი).

მინა. წავიდეთ, ტელჰაიმი

ფონ-ტელჰაიმი. ერთი წუთით დავრჩები აქ, ჩემო ფროლიან. მხოლოდ ერთ სიტყვას ვეტყვი ამ კაცს. (მოუბრუნდება ვერნერს.)

მინა. რა თქმა უნდა, გულითად სიტყვას. ვფიქრობ, ასე უნდა მოიქცეთ... არა, ფრანცისკა? (მიღის.)

### გამოსვლა მეთოქხმებთ

ფონ-ტელჰაიმი, ვერნერი, იუსტი, ფრანცისკა.

ფონ-ტელჰაიმი (უთითებს ვერნერის მიერ გადაგდებულ ქისას). მოდი აქ, იუსტი აიღე ეს ქისა და შინ წაიღე. წადი... (იუსტი იღებს ქისას და მიღის).

ვერნერი (აქამდე დაღვრებოლი, უგრძნობლად იდგა კუთხეში. ამ სიტყვების გაგონებაზე). აჰაა!

ფონ-ტელჰაიმი (მიუახლოვდება, მეგობრულად). ვერნერ, როდის მივიღებ დანარჩენ ათას პისტოლს?

ვერნერი (უცებ. კარგ გუნებაზე დაღება). ხეალ, ბატონო მაიორო, ხეალ...

ფონ-ტელჰაიმი. მე ახლა აღარ ვსაჭიროებ იმას, რომ შენი მოვალე გაეხდე, მაგრამ ხაზინადრობას კი გაგიწევ. თქვენ — კეთილადამიანებს, თითო-თითო მფარველი გჭირდებათ. თქვენც თავისებურა მფლანგველები ხართ... ამ ცოტა ხნის წინათ გაგაჯავრე, ვერნერი..

ვერნერი. სულწაწყმედილი ვიყო, თუ ეს ასე არაა! მაგრამ ნეტავი რამ გამომამტერა ახლა მშვენივრად ვხედავ. მე დავიმსახურე ასე ფუხტელი. უბრძანეთ გამროზგონ, ძვირფასო მაიორო, ოღონდ ნურასოდეს მოგივათ ჩემზე გული.

ფონ-ტელჰაიმი. გული ნუ მომივთ? (მაგრად ართმევს ხელს) წაიკითხე ჩემს თვალებში ის, რაც არ შემიძლია გითხრა სიტყვი-

ერად... აპ, ვის ეყოლება ჩემსავით მშვენიერი გოგონა და პატიოსანი მეგობარი ხომ მართალს ვამბობ, ფრანცისკა? (მიღის).

### გამოსვლა მითხუთმეტე

ვერნერი. ფრანცისკა.

ფრანცისკა (თავისთვის). რასაკვირველია, ჩინებული ადამიანია. ასეთს ველარც შევხვდები... უნდა გული გაუფხსნა! (მორცხვად უახლოვდება ფერნერს) ბატონო ვახმისტრო...

ვერნერი (თვალუბს იფშენებს). ჰა?

ფრანცისკა. ბატონო ვახმისტრო...

ვერნერი. რა გნებავთ, ჩემო ლამაზო?

ფრანცისკა. ერთი შემომხედეთ, ბატონო ვახმისტრო...

ვერნერი. ჯერ არ შემიძლია. არ ვიცი, რა ჩამივარდა თვალში.

ფრანცისკა. აბა, მიყურეთ!

ვერნერი. ვშიშობ, რომ აქამდეც ბევრს გიყურებდით, ჩემო ლამაზო! აბა, ისევ გიყურებთ! რა გნებავთ მერე?

ფრანცისკა. ბატონო ვახმისტრო... ხომ არ გჭირდებათ მეუღლე?


ვერნერი. ამას სერიოზულად ამბობთ, ჩემო ლამაზო?

ფრანცისკა. სავსებით!

ვერნერი. სპარსეთშიაც გამომყვებით?

ფრანცისკა. საითაც გნებავთ!

ვერნერი. მართლა?.. ჰეი, ბატონო მათორი! ნუ ტრება-ხობთ! მე ახლა, სულ ცოტა, ისევე მშვენიერი გოგონა მყავს და ისეთივე პატიოსანი მეგობარი, როგორც თქვენ!.. მომეცით ხელი, ჩემო ლამაზო! ასე!.. ათი წლის შემდეგ ან გენერლის ცოლი იქნებით, ან ქვრივი.



ეეილია  
ბაღოტი

ტრაკელა

თარგმანი  
ეახტანკ  
ბეწუკელისა

## მოქმედი პირები

ემილია გალოტი.

ოდოარდო გალოტი { ემილიას მშობლები  
კლავდია გალოტი }

პეტორე გონზაგა, გუატიტალის პრინცი.

მარინელი, პრინცის კამერპერი.

კამილო როტა, პრინცის ერთ-ერთი მრჩეველი.

კონტი, მხატვარი.

გრაფი აპიანი

გრაფის ასული ორსინა.

ანჯელო და რამდენიმე მსახურა.

## მოქმედება პირველი

სცენა წარმოადგენს პრინციის კაბინეტს.

### გამოსვლა პირველი

პ რ ი ნ ც ი. პ რ ა ნ ც ი ს კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი.

პ რ ი ნ ც ი (სამუშაო მაგიდასთან, როზელზეც აწყვია უამრავი წერილები და ქაღალდები. ზოგიერთ მათგანს იგი ათვალიერებს). საჩივრები, მხოლოდ საჩივრები! თხოვნა და მხოლოდ თხოვნა!.. პირდაპირ თავის მომაბეზრებელია! კიდევაც რომ შურთ ჩვენი ბედი.. ყველასთვის დახმარების გაწევა რომ შეგვეძლოს, ეს კიდევ მესმის, მაშინ მართლაც ღირდა ჩვენი ბედი შეხარბებოდათ... ემილია! (ხსნის ერთ-ერთ თხოვნას და ხელმოწერას დასცქერის.) ემილია?.. მაგრამ ეს ვილაც ემილია ბრუნესკია და არა გალოტი. არა ეწილია გალოტი!.. მაინც რა სურს ამ ემილია ბრუნესკის? (კითხულობს.) ბევრს მოითხოვს, ძლიერ ბევრს... თუმცა მას ხომ ემილია ჰქვია. თანახმა ვარ! (ხელს მოაწერს და დარეკავს; შემოდის კაპერდინერი.) მრჩეველთაგან მისაღებ დარბაზში ჯერ არავინაა?

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი. არა.

პ რ ი ნ ც ი. ძალზე ადრე დავიწყე ჩემი სამუშაო დღე... დილა კი ასე მშვენიერია. მინდა გავისეირნო, მარკიზ მარინელიმ გამაცულოს. უხმეთ. (კაპერდინერი გადის.) მეტი მუშაობა აღარ ძალმიძს. რარიგ დამშვიდებული ვიყავი, მეგონა, რომ დამშვიდებული ვიყავი... უცებ აღმოჩნდა, რომ ვილაც საბრალო ბრუნესკის ემილია ჰქვია და მთლად გაჰქრა ჩემი სიმშვიდე!..

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი (იხუვ შემოდის). მარკიზთან კაცი გავგზავნეუა. აი წერილი გრაფის ასულ ორსინასგან.

პ რ ი ნ ც ი. ორსინასგან? აქ დადეთ!

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი. მისი შათირი იცდის.

პ რ ი ნ ც ი. მე თვითონ გაეუგზავნი პასუხს, თუკი ეს საჭირო აღმოჩნდება. სად არის ორსინა? ქალაქში თუ თავის ვილაში?

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი. იგი გუშინ ქალაქში ჩამოვიდა.

პ რ ი ნ ც ი. მით უარესი... მით უკეთესი, მინდოდა მეტქვა. მით უფრო მცირე ხანს მოუხდება მის შათირს მოცდა. (კამერდინერი გადის.) ჩემო ძვირფასო ორსინა! (ხელში აიღებს წერილს, გამწარებით) თითქოა წამეკითხოს უკვე! (ისევ გადააგებს წერილს.) დიახ, მე მეგონა, იგი მიყვარდა რას არ ვიფიქრებთ ხოლმე. შეიძლება მართლაც მიყვარდა. მაგრამ... მიყვარდა, ახლა კი აღარ მიყვარს.

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი (ისევ შემოდის). მხატვარი კონტი ნებართვას ითხოვს...

პ რ ი ნ ც ი. კონტი? კეთილი. შემოუშვით. გულს გადავაყოლებ. (დგება.)

### გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ო მ რ ა მ

კ ო ნ ტ ი. პ რ ი ნ ც ი.

პ რ ი ნ ც ი. დილა მშვიდობისა, კონტი! როგორ ცხოვრობთ? რასა იქს ხელოვნება?

კ ო ნ ტ ი. ხელოვნება ლუკმაპურს დაეძებს, პრინცო.

პ რ ი ნ ც ი. მას ეს არც უნდა სჭირდებოდეს, მან ეს არც უნდა ქნას, ყოველ შემთხვევაში, ჩემს პატარა სამფლობელოში... მაგრამ მხატვარს მუშაობა ხომ უნდა ეხალისებოდეს.

კ ო ნ ტ ი. მუშაობა? ეს ხომ მისი ნეტარებაა. მაგრამ ძალზე ბევრმა მუშაობამ შეიძლება მას მხატვრის სახელი დაუკარგოს.

პ რ ი ნ ც ი. არა, ძალზე ბევრი არა, ბევრი კი საჭიროა: მცირე იყოს, ოღონდ გულმოდგინედ შესრულებული. თქვენ ხომ ხელცარიელი არ მოსულხართ, კონტი?

კ ო ნ ტ ი. მოვიტანე ის პორტრეტი, თქვენ რომ შემიკვეთეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, და ერთიც სხვა პორტრეტი, რომელიც არ შეგიკვეთიათ, მაგრამ იგი დაიმსახურებს თქვენს ყურადღებას...

პ რ ი ნ ც ი. რომელი შეგიკვეთეთ? ველარ გავიხსენე...

კ ო ნ ტ ი. გრაფის ასულ ორსინასი.

პ რ ი ნ ც ი. მართალსა ბრძანებთ!.. მაგრამ მას აქეთ ხომ კარგა ხანი გავიდა უკვე.

კ ო ნ ტ ი. ჩვენი მშვენიერი მანდილოსნები ყოველდღე როდით არიან მოლბერტის წინ ჯდომის გუნებაზე. გრაფის ასულმა ამ სამ თვეში ეს მხოლოდ ერთხელ ინება.



პ რ ი ნ ც ი. სადაა პორტრეტები?

კ ო ნ ტ ი. მისაღებ დარბაზში: ახლავე შემოვიტან.

### გამოსვლა მისამე

პ რ ი ნ ც ი. ორსინას პორტრეტი... რა გაეწყობა... პორტრეტი სხვაა და თვითონ ორსინა სხვა. შეიძლება პორტრეტში კვლავ ვიპოვო ის, რასაც ორიგინალს ვეღარ ვამჩნევ. მაგრამ მე ეს არა მსურს... აბეზარი მხატვარი იმასაც კი ვფიქრობ, რომ ქალმა მოისყიდა... თუნდაც ასე იყოს. თუ მისი ახალი პორტრეტი, სულ სხვა ფონზე სხვაგვარი საღებავებით დახატული, ჩემს გულში კვლავ მოუპოვებს ადგილს... ნამდვილად მჯერა, რომ კმაყოფილი შევიქნები. როცა შეყვარებული ვიყავი, რარიგ მსუბუქად, თავისუფლად და მხიარულად ვგრძნობდი თავს... ახლა კი პირიქით. მაგრამ არა. არა, არა! სასიამოვნოა თუ არასაიამოვნო ეს ჩემთვის, ასე მირჩევნია ვიყო.

### გამოსვლა მეოთხე

პ რ ი ნ ც ი. კ ო ნ ტ ი. შემოაქვს პორტრეტები; ერთ მათგანს პირშექცევით მიაყუდებს სკამზე.

კ ო ნ ტ ი (მეორე პორტრეტს მოათავსებს პრინცის წინ). გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ, პრინციო, ჩვენი ხელოვნების საზღვრები. მშვენიერების ბევრი მიმზიდველი თვისება მისი საზღვრების მიღმა რჩება. აქეთ მობრძანდით!

პ რ ი ნ ც ი (მცირე ხნის თვალიერების შემდეგ). ჩინებულა, კონტი, ძალზე ჩინებული!.. სწორედ რომ შეეფერება თქვენს ოსტატობას, თქვენს ყალამს. მაგრამ პირფერობა ჩაგიდენიათ, კონტი, უსაზღვრო პირფერობა.

კ ო ნ ტ ი. ორიგინალი კი, მგონი, ასე არა ფიქრობს. ნამდვილად მე იმაზე მეტი პირფერობა არ ჩამიდენია, რაც ხელოვნებას მართებს. ხელოვნებამ ისე უნდა დახატოს, როგორც პლასტიკურ ბუნებას, — თუკი ასეთი მართლა არსებობს, — აქვს გააზრებული, რომ არასოდეს არ დაჰკნეს, რაც მასალის წინააღმდეგობის გამო ასე გარდაუვალია ხოლმე, და ჟამთა სიაგვმაც ვერ შემუშაროს.

პ რ ი ნ ც ი. მოაზროვნე ხელოვანი უფრო მეტი ღირსების მატარებელია. მაგრამ თქვენ ამბობთ, რომ ორიგინალმა, მიუხედავად ამისა, ჰპოვა...

კ ო ნ ტ ი. მომიტყვევთ, პრინციო. ორიგინალი არის ის პიროვნება, რომელიც ჩემგან პატივისცემას მოითხოვს. მე არ მსურდა რაიმე მეთქვა მის საზიანოდ.

პ რ ი ნ ც ი. ეგ თქვენი ნებაა!.. მაინც რა სთქვა ორიგინალმა?

კ ო ნ ტ ი. კმაყოფილი ვარ, — სთქვა გრაფის ასულმა, — თუ უარესად არ გამოვიყურებო.

პ რ ი ნ ც ი. უარესადო? ო, ის ნამდვილი ორიგინალია.

კ ო ნ ტ ი. ეს რომ სთქვა, სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომლის კვალსაც, რა თქმა უნდა, ამ პორტრეტზე ვერა პოვებთ.

პ რ ი ნ ც ი. მეც მაგას ვფიქრობდი. სწორედ ესაა უსაზღვრო პირფერობა. ო, მე ვიცნობ მას, ამ ზვიად, დამცინავ გამომეტყველებას, რომელიც თვით გრაციასაც დაამახინჯებს. მე არ უარვყოფ, რომ მშვენიერ ბაგეებს ხშირად უხდება ოდნავ დამცინავი ღიმილი, მაგრამ — გთხოვთ შენიშნოთ! — მხოლოდ ოდნავი: ეს არ უნდა გადადიოდეს მანჭვაში, როგორც გრაფის ასულს მოსდის ხოლმე. თვალებმა კი უნდა შეაკავონ ვნებიანი დამცინველი, — დიახ, ისეთმა თვალებმა, როგორიც ჩვენს კეთილ გრაფის ასულს არ აქვს და არც ამ პორტრეტზე მოჩანს.

კ ო ნ ტ ი. თქვენო ბრწყინვალეებავ, მე ძალზე განცვიფრებული ვარ...

პ რ ი ნ ც ი. რითი? ყველაფერი, რის შექმნაც კი შეუძლია ხელოვნებას ამ დიდრონი, გადმოკარკლული, მეღუზას უმოძრაო თვალბისგან, თქვენ კეთილსინდისიერად შეგისრულებიათ, კონტი. კეთილსინდისიერად, ვთქვი მე? არც თუ მთლად კეთილსინდისიერად. აბა თქვენ თვითონვე სთქვით, კონტი, განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ პორტრეტის მიხედვით ორიგინალის ხასიათი? ასე კი უნდა იყოს. მედიდურება თქვენ ღირსებად გადააქციეთ, დაცინვა — ღიმილად, მელანქოლიისადმი მიდრეკილება კი ნაზ ნალვლიანობად.

კ ო ნ ტ ი (ოდნავ ნაწყუნო). ეპ, ჩემო პრინცო, ჩვენ, მხატვრება, იმედს იმაზე ვამყარებთ, რომ მზა პორტრეტს ისეთივე ვნებიანი მიჯნური დახედება, როგორიც იგი ამ პორტრეტის შექვეთისას იყო. ჩვენ სიყვარულის თვალთ ვხატავთ და მხოლოდ ამ თვალთ შეიძლება ჩვენი განსჯა.

პ რ ი ნ ც ი. კეთილი, კონტი; რატომ ამ ერთი თვის წინ არ მომრტანეთ ეგ პორტრეტი? წაიღეთ, მომაცილეთ... ეგ მეორე რაღა არის?

კ ო ნ ტ ი (მოიტანს მეორე პორტრეტს, მაგრამ თავისკენ პირშებრუნებით უპირავს). ესეც ქალის პორტრეტია.

პ რ ი ნ ც ი. მაშინ სჯობია, სულ არ ვნახო, რადგან აქ (მიიღებს ხელს შუბლზე.) ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, აქ (დაიღებს გულზე ხელს.) დასადგურებულ იდეალს, სულ ერთია, ვერ შეედრება... მე ვისურვებდი, კონტი, ალტაცებაში მოგეყვანეთ თქვენი ხელოვნების სხვა სახის ქმნილებებით.

კონტი. არსებობს უფრო დიდი ალტაცების ღირსი ხელოვნება, მაგრამ, უდაოა, რომ არ მოიპოვება ამაზე მეტი ალტაცების ღირსა ორიგინალი.

პრინცი. მაშინ მე სანაძლეოს ვდებ, კონტი, რომ იგი თვით ხელოვნანის გულის მბრძანებელია. (კონტი შეაბრუნებს პორტრეტს.) ამას რას ვხედავ? თქვენია ეს ქმნილება, კონტი, თუ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი?.. ემილია გალოტი!

კონტი. რა სთქვით, თქვენო ბრწყინვალეზავ? ნუთუ იცნობთ თქვენ ამ ანგელოზს?

პრინცი (ცდილობს თავი შეიკავოს, მაგრამ პორტრეტს თვალს ვერ აცილებს.) ისე ცოტაოდნად... იმდენად, რომ შეხვედრისას კიდევ ვიცნო... რამდენიმე კვირის წინ ის და დედამისი შემხვედნენ ერთ საზოგადოებაში... ამის შემდეგ იგი მხოლოდ ეკლესიებში შემხვედრია, სადაც მისი თვალჩინება შეუფერებელი საქციელი იქნებოდა... ვიცნობ მის მამასაც. იგი არაა ჩემი მეგობარი. ყველაზე მეტი წინააღმდეგობა სწორედ მან გამიწია, როცა საბიონეტის მისაკუთრება მოგისურვე. ძველი მეომარია, ამაყი და უკმეხი კაცია. თუმცა კეთილი და პატიოსანი.

კონტი. მამა! მაგრამ აქ, ჩვენ წინ, ხომ მისი ქალიშვილია...

პრინცი. ღმერთმანი, ერთმანეთს ისე ჰგვანან, თითქოს ვაშლი გაგიჭირაო! (კვლავ გაშტურებული მისჩერება პორტრეტს.) ო, თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, კონტი, რომ ხელოვანს ჭეშმარიტად მაშინ აქებენ, როცა მისი ქმნილების ხილვისას ხელოვნისთვის ხოტბის შესხმა ავიწყდებათ ხოლმე.

კონტი. ჩემი ნამუშევრით მაინც უკმაყოფილო დავრჩი... თუმცა ამ უკმაყოფილებითაც მეტისმეტად კმაყოფილი ვარ. ეს! რატომ პირდაპირ თვალთ არ შეგვიძლია ხატვა. რაოდენ ბევრი რამ იკარგება თვალსა და ფუნჯს შორის მდებარე გრძელ გზაზე!.. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ვიცი, თუ რა არის აქ დაკარგული, როგორ მოხდა ეს და რატომ უნდა დაკარგულიყო; და ეს უფრო საამაყოდ მიმაჩნია, ვიდრე ყოველივე ის, რისი გადმოცემაც აქ შევიძელი. სწორედ ეს მარწმუნებს უფრო, ვიდრე გადმოცემული, რომ ნამდვილად დიდი მხატვარი ვარ, რომ მხოლოდ ჩემი ხელი ვერ დგას ყოველთვის დიდი ხელოვნის მოწოდების სიმაღლეზე. ნუთუ ფიქრობთ, პრინცი, რომ რაფაელი დიდი, გენიალური მხატვარი არ იქნებოდა, უბედური შემთხვევის წყალობით უხელო რომ დაბადებულიყო? ასე გგონიათ, პრინცი?

პრინცი (მხოლოდ ახლაა შოკილეს პორტრეტს თვალს). რას ამბობთ, კონტი? რა გსურთ გაიგოთ?

კონტი. ო, არაფერი, არაფერი!.. ეს მხოლოდ ლაყბობაა! მე ვამჩნევ, თქვენი სული მთლად თქვენს თვალეზში გადასახლებულა! მიყვარს ასეთი სულები და ამგვარი თვალეზი.

პრინცი (ნაძალადვე გულგრილობით). მაშ, კონტი, ემილია გალოტი ნამდვილად მიგაჩნიათ ჩვენი ქალაქის ულამაზეს ასულად?

კონტი. მაშ? მე მიმაჩნია ულამაზეს ასულად? ჩვენი ქალაქის ულამაზეს ასულად? თქვენ მე დამცინით, პრინციო. ანდა მთელი ამ ხნის მანძილზე ისევე ცოტა ნახეთ, რამდენიც მოისმინეთ.

პრინცი. ძვირფასო კონტი... (კვლავ წაუვა თვალი სურათსაკენ.) როგორ შეიძლება ვენდოთ საკუთარ თვალს? კაცმა რომ თქვას, მშვენიერების განსჯა მხოლოდ მხატვარს შეუძლია.

კონტი. ნუთუ ყოველი ჩვენგანის შთაბეჭდილება მხატვრის განსჯას უნდა დაელოდოს? — მონასტერში წაბრძანდეს, ვისაც ჩვენგან სურს ისწავლოს, თუ რა არის მშვენიერება! მაგრამ, როგორც მხატვარმა, ეს უნდა გითხრათ, პრინციო: ჩემს ცხოვრებაში უდიდესი ბედნიერება ის არის, რომ ემილია გალოტი იჯდა ჩემ წინ. აი, ეს თავი, ეს სახე, ეს შუბლი და თვალეზი, ეს ცხვირი და ბაგეები, ეს ნიკაპი, ეს ყელი და გულ-მკერდი, ეს ტანი და მთელი აღნაგობა იქცა მას აქეთ ჩემთვის ქალური მშვენიერების ერთადერთ შესასწავლ საგნად. ემილიას პორტრეტი მიიღო მისმა მამამ, რომელიც აქ არ ცხოვრობს. ეს ასლი კი...

პრინცი (სასწრაფოდ შემოტრიალდება მისკენ). რა სთქვით, კონტი? ნუთუ ამასაც ვინმეს შეჰპირდით?

კონტი. ეს თქვენთვისაა განკუთვნილი, პრინციო, თუ მოგწონთ.

პრინცი. თუ მომწონს! (ღიმილით) ეს თქვენი ცდაა, კონტი, ქალური მშვენიერების შესასწავლად; მის დასაკუთრებაზე უკეთესი რაღა შეიძლება იყოს? ის პორტრეტი კი თან წაიღეთ — და მისთვის ჩარჩო შეუკვეთეთ.

კონტი. კეთილი.

პრინცი. ისეთი საუცხოო და მდიდრული, როგორის დამზადებაც კი ჩუქურთმის მჭრელს შეუძლია. იგი გალერეაში უნდა გამოჰკიდოთ. ეს კი... აქ დარჩება. ეტიუდს არ სჭირდება დიდი ცერემონია: მას კედელზე დასაკიდებლად არ იმეტებენ, ამჯობინებენ, რომ ხელთ იქონიონ. გმადლობთ, კონტი, დიდად გმადლობთ. როგორც უკვე გითხარით: ჩემს საწვლავებში ხელოვნებას ლუკმაპურის ძიება არ უნდა სჭირდებოდეს, სანამ იგი თვითონ მე მაქვს. წაბრძანდით, კონტი, ჩემს ხაზინადართან და ხელწერილით ორივე პორტრეტისათვის მიიღებთ, რამდენსაც მოისურვებთ. რამდენსაც მოისურვებთ, კონტი!

კონტი. ხომ არ უნდა ვიფიქრო, პრინცო, რომ თქვენ გსურთ დამაჯილდოვოთ არა მხოლოდ ხელოვნებისათვის, არამედ სხვა რამის გამო?

პრინცი. ო, ეჭვიანო ხელოვანო! არა, არა! გესმით, კონტი, რამდენადაც მოისურვებთ. (კონტი გაღას.)

### გამოსვლა მესამე

პრინცი. რამდენსაც მოისურვებს!.. (პორტრეტს) შენთვის გაღებულნი ყოველგვარი ფასი ძალზე დაბალია. აჰ! ნუთუ მართლა ჩემი ხარ, ხელოვნების მშვენიერო ქმნილება? ვისაც არ უნდა ეკუთვნოდე, შენ კიდევ უფრო მშვენიერი ქმნილება ხარ ბუნებისა!.. რას ისურვებთ, პატიოსანო დედავ! რა გაურს ბუზღუნა მოხუცო! ოღონდ მოითხოვეთ! ოღონდ მოითხოვეთ! ყველაზე უკეთესი კი ის იქნებოდა, რომ შენი თავი შენგანვე მეყიდა, ჯადოქარო!.. აი ეს მშვენიერებითა და მოკრძალებით აღსავსე თვალები! აი, ეს ბაგეები, როცა გაიხსნებიან სასაუბროდ! როცა იღიმებიან! ო, ეს ბაგეები!.. ფეხის ხმა მესმის... ჯერ კიდევ მეტისმეტად ვეჭვიანობ შენ მიმართ! (შეაბრუნებს პორტრეტს პირით ქვემოთ.) მარინელი იქნება, აჰ, ნეტავი მისთვის კაცი არ გამეგზავნა. რა მშვენიერი დილა დამიდგებოდა!

### გამოსვლა მეთხუთსე

მარინელი, პრინცი.

მარინელი. მომიტევეთ, თქვენო ბრწყინვალეებო. არ მოველოდი, რომ ასე ადრე მომიხმობდით.

პრინცი. გასეირნება მომესურვა. დილა ძალზე მშვენიერი იყო, მაგრამ დილამ უკვე ჩაიარა და სურვილმაც გადაშიარა... (მცირე ხნის დუბალის შემდეგ.) ახალს რას მეტყვით, მარინელი?

მარინელი. მნიშვნელოვანი არა ვიცი რა. გრაფის ასული ორსინა გუშინ ქალაქში ჩამოვიდა.

პრინცი. აკერ მისი დილა მშვიდობისადაც. (უჩვენებს ორსინას ბარათს.) სხვასაც რაღაცას იწერება, მაგრამ ამის გაგება სულაც არ მაინტერესებს. თქვენ ესაუბრეთ?

მარინელი. მე ხომ, სანწესდროდ, მისი გულის მესაიდუმლე ვარ. მაგრამ, თუ ოდესმე კიდევ გავხდი გულის მესაიდუმლე რომელიმე მანდილოსნისა, რომელსაც თავში აზრად მოუკა სერიოზულად შეგიყვაროთ, პრინცი, მაშინ...

პრინცი. აღთქმა არ მომიცია, მარინელი!

მარინელი. ჰო? მაგას ნამდვილად ბრძანებთ, პრინცი? ეს შეიძლება მოხდეს? ო! მაშ გრაფის ასული უსამართლო არა ყოფილა.

პრინცი. ყოველ შემთხვევაში, ძალზე უსამართლო!.. ჩემო

საქორწინო შეთანხმება მასსას პრინცესასთან მოითხოვს, როჲ, უპირველეს ყოვლისა, ყველა ამის მსგავსი კავშირი დაეარღვიო.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მარტო ეს რომ ყოფილიყო, ფრსინა ისევე უსიტყვოდ შეურიგდებოდა თავის ბედს, ვით პრინცი — თავისას.

პ რ ი ნ ც ი. რომელიც, უდაოდ, უფრო მძიმეა მის ბედზე. ჩემი გული უნდა ემსხვერპლოს სახელმწიფოს საცოდავ ინტერესებს. მაჲკი მხოლოდ უკან უნდა დაიბრუნოს თავისი გული და არ მოუხდება საკუთარი ნების წინააღმდეგ მისი გაწირვა.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. უკან დაიბრუნოს? უკან რატომ უნდა დავიბრუნო? — კითხულობს გრაფის ასული, — თუ კი საქმე ეხება მხოლოდ მეუღლეს, რომელთანაც პრინცს აკავშირებს არა სიყვარული, არამედ პოლიტიკა? ასეთი მეუღლის გვერდით საყვარელი ქალი ყოველთვის ნახავს თავის ადგილს. მას არ ეშინია, რომ ასეთ მეუღლეს შეეწირება მსხვერპლად, მაგრამ...

პ რ ი ნ ც ი. ახალ შეყვარებულს?.. თუნდაც ეგრე იყოს! თქვენ ხომ არ გსურთ ეს დანაშაულად ჩამითვალოთ, მარინელი?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მე? ნუ გგონივართ ის სულელი, რომლის სიტყვებსაც გადმოგცემთ, პრინცო... გადმოგცემთ მხოლოდ სიბრალულის გამო. მან ხომ გუშინ ნამდვილად ამიჩუყა გული. გრაფის ასულს სულაც არა სურდა ესაუბრა თქვენთან თავის დამოკიდებულებაზე. უნდოდა ჩემთვის თავი მშვიდად, გულგრილად მოეჩვენებინა, მაგრამ ამ გულგრილი საუბრის დროსაც უცებ წამოსცდა რამდენიმე გადაკრული სიტყვა სხვა ქალის მიმართ, რითაც გასცა თავისი გულისტივილი. სრულიად მხიარული სახით მესაუბრებოდა იგი ყველაზე სამწუხარო ამბებზე და, პირიქით, მწუხარე გამომეტყველებით ხუმრობდა ჩემთან. იგი დამშვიდებას წიგნებში ეძებს. ვშიშობ, რომ ისინი გრაფის ასულს მთლად მოუღებენ ბოლოს.

პ რ ი ნ ც ი ისევე, როგორც მათ მისცეს გრაფის ასულის საბრალლო გონებას პირველი ბიძგი. მაგრამ მასთან ჩემი დაბრუნებისათვის თქვენ იმასვე ხომ არ გინდათ მიმართოთ, მარინელი, რამაც მას ყველაზე მეტად დამაშორა? თუკი მას ახლა სიყვარული უკარავს ჭკუას, ადრე თუ გვიან, უსიყვარულოდაც იგივე დაემართება... მაგრამ გვეყო ამაზე საუბარი... ახლა სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. ნუთუ ქალაქში მნიშვნელოვანი არა მომხდარა რა?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. დიახ, თითქმის არაფერი... რადგან გრაფ აპიანის ჯვრისწერა, რომელიც დღეს უნდა მოხდეს, თითქმის არაფერს ნიშნავს.

პ რ ი ნ ც ი. გრაფ აპიანისო? მერედა, ვისზე იწერს ჯვარს? მე ხომ უნდა მცოდნოდა, რომ იგი დანიშნული იყო?

მარინელი. საქმე დიდი საიდუმლოებით იყო მოცული და არც-  
კი ღირდა, რომ მის გამო დიდი მითქმა-მოთქმა ატეხილიყო... თქვენ  
სიცილადაც არ გეყოფათ, პრინცო. ასეთია მგრძნობიარე ადამიანთა  
ბედი. სიყვარული მათ სულელურ ოინს უწყობს ხოლმე. ერთმა  
ღარიბმა და უგვარო ქალიშვილმა შესძლო თავის ბადეში გაეხვია  
გრაფი მცირეოდენი თვალთმაქცობითა და უფრო მეტად სათნოების,  
გრძნობიერებისა და ჭკუამახვილობის ბრწყინვალეებით და კიდევ, რა  
ვიცი, რითი!..

პრინცი. ვინც ასე გატაცებით, ასე დაუფიქრებლად მიეცემა  
უმანკოებისა და მშვენიერებით აღძრულ შთაბეჭდილებებს, მგონა,  
უფრო შურის ღირსია, ვიდრე დაცინვისა... რა ჰქვია იმ ბედნიერს?  
რადგან ეს აპიანი, რაც არ უნდა იყოს,—მე კარგად ვიცი, მარინელი,  
რომ თქვენ ისევე ვერ იტანთ მას, როგორც იგი თქვენ, — რაც არ  
უნდა იყოს, მაინც დიდად ღირსეული ჭაბუკია, მშვენიერი მამაკაცია,  
მდიდარი და პატიოსნებით აღსავსე კაცი. სულით და გულით ვისურ-  
ვებდი, რომ იგი ჩემს მხარეზე გადმომებრებინა. მე ამაზე კიდევ  
დავფიქრდები.

მარინელი. თუ ეს ძალზე დაგვიანებული არ არის უკვე.  
რამდენადაც მე გავიგე, მას სრულებითაც არა აქვს განზრახული  
სასახლის კარზე ეძიოს ბედნიერება. აპიანის სურს თავისი გულის  
მბრძანებელთან ერთად პიემონტის ველებზე გაემგზავროს: ალაპებში  
არჩევებზე ინადიროს და ზაზუნები წვრთნას. ამაზე უკეთესს სხვა  
რას იზამს იგი? არახელსაყრელი ქორწინებით, რომელსაც გრაფი  
დღეს მოახდენს, აქ მისთვის ყველაფერი გათავებულია, საუკეთესო  
ოჯახები დღეიდან მას კარს აღარ გაუღებენ.

პრინცი. ერთი ეგ თქვენი საუკეთესო ოჯახებიც! ოჯახები,  
სადაც ცერემონიალი, ნაძალადეობა, მოწყენილობა სუფევს და, არც-  
თუ იშვიათად, გაჭირვებაც. მაგრამ მითხარით, ვისთვის იღებს  
გრაფი ასეთ მსხვერპლს?

მარინელი. ეს ვილაც ემილია გალოტი!

პრინცი. რა სთქვით, მარინელი? ვილაც...

მარინელი. ემილია გალოტი.

პრინცი. ემილია გალოტი?.. შეუძლებელია!

მარინელი. მართალს მოგახსენებთ, თქვენო ბრწყინვალეზავ.

პრინცი. არა, გეუბნები, ის არ იქნება. შეუძლებელია.  
თქვენ ალბათ სახელი გეშლებათ. გალოტების გვარი დიდია. ეს ვილაც  
გალოტი შეიძლება იყოს. მაგრამ ემილია გალოტი კი არა, ემი-  
ლია — არა.

მარინელი. ემილია... სწორედ ემილია გალოტი!

პ რ ი ნ ც ი. მაშ ეს ვიღაც სხვაა, რომელიც ამ სახელს ატარებს. თქვენ თვითონვე არ სთქვით... „ვიღაც ემილია გალოტი“... ვიღაც... ასე მხოლოდ სულელს შეეძლო ეთქვა ნამდვილ ემილია გალოტიზე.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. თქვენ თავი აღარ გახსოვთ, თქვენო ბრწყინვალე ბავ. განა იცნობთ ამ ემილიას?

პ რ ი ნ ც ი. კითხვა მე მმართვეს, მარინელი, და არა თქვენ. ემილია გალოტი? საბიონეტელ პოლკოვნიკ გალოტის ქალიშვილი?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. სწორედ ის.

პ რ ი ნ ც ი. აქ, გვასტალაში რომ ცხოვრობს თავის დედასთან ერთად?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. სწორედ ის.

პ რ ი ნ ც ი. ყველა წმინდის ტაძრის მახლობლად?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. სწორედ ის.

პ რ ი ნ ც ი. ერთი სიტყვით, (მივარღება პორტრეტს და მარინელის გაუწვდის.) აი ეს? ეს ემილია გალოტი? სთქვი ერთხელ კიდეც ეგ წყეული „სწორედ ის“ და გამიყარე ხანჯალი გულში!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. სწორედ ეს.

პ რ ი ნ ც ი. ჯალათო! სწორედ ეს ემილია გალოტი ღღეს გახდება...

მ ა რ ი ნ ე ლ ი. გრავ აპიანის მეუღლე. (პრინცი ხელიდან გამოსტაცებს მარინელის პორტრეტს და განზე გადაისვრის.) ჯერისწერა მოხდება მისი მამის მყუდრო სამფლობელოში, საბიონეტის მახლობლად. შუადღისას მიემგზავრებიან დედა, ქალიშვილი, გრაფი და შესაძლოა რამდენიმე მეგობარიც.

პ რ ი ნ ც ი (სასოწარკვეთილი ეცემა სკამზე). მაშინ მე დაველუპულვარ. მაშინ მე სიცოცხლე აღარა მსურს!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. რა გემართებათ, თქვენო ბრწყინვალე ბავ?

პ რ ი ნ ც ი (წამოხტება და მიმართავს მარინელის). მოღალატე!.. რა ემართება?.. მე ხომ იგი მიყვარს. მასზე ვლოცულობ. თქვენ ეს უნდა გცოდნოდათ. ეს ადრევე უნდა გცოდნოდათ თქვენ, რომელსაც გასურდათ საუკუნოდ მეტარებინა შეშლილი ორსინას სამარცხენო ბორკილები. მაგრამ თქვენ, მარინელი, თქვენ, რომელიც ესოდენ ხშირად მეფიცებოდით გულწრფელ მეგობრობას, — ეჰ, პრინცებს არ ჰყავთ მეგობრები, მათ არ შეიძლება მეგობრები ჰყავდეთ, — ასე გამცემლურად, ასე ვერაგულად მიმალავდით ამ წუთამდე საფრთხეს, რომელიც ჩემს სიყვარულს ემუქრებოდა? თუ ეს ოდესმე თქვენ შეგიწოდოთ, დაე მაშინ ჩემს აღარც ერთ ცოდვას არ ეღირსოს მოტევა.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. სიტყვებს ველარ ვპოულობ. პრინცი, — თუნდაც



დამართოთ თქვენ ამისი ნება, — ჩემი განცვიფრების გამოსათქმელად... თქვენ გიყვართ ემილია გალოტი?.. დაე მაშინ ფიცს ფიცი მოჰყვეს: თუ ამ სიყვარულის შესახებ მცირეოდენი გუმანი მაინც მქონოდა, ოდნავ მაინც მცოდნოდა რამე, დაე მაშინ განდგეს ჩემგან ყველა ანგელოზიცა და წმინდანიც... სწორედ ასე ვეფიცებოდი გრაფიას ასულ ორსინასაც. მას სულ სხვა რაიმეზე აქვს ეჭვი.

პ რ ი ნ ც ო. მაშ მამატიეთ, მარინელი, (გაღუბევა.) და თანამიგრძნეთ.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. პოდა, აი, პრინციო იგემეთ თქვენი თავშეკავებისა და საიდუმლოს დაფარვის ნაყოფი.. „პრინციებს მეგობრები არა ჰყავთ, მათ არ შეიძლება ჰყავდეთ მეგობრები!“ მერედა, რა არის ამისი მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ მათ არ სურთ მეგობრები ჰყავდეთ; დღეს ისინი ღირსსა გვხდიან თავიანთი ნდობისა, გაგვაზიარებენ ყველაზე იღუმალ განზრახვასაც კი, მთლიანად გადაგვიშლიან გულს, ხვალ კი მათთვის ისევე უცხონი ვხდებით, თითქოს ერთი სიტყვაც არასდროს არ ეთქვათ ჩვენთვის.

პ რ ი ნ ც ი. ეჰ, მარინელი, როგორ შემეძლო გაგნდობოდით, როცა ამას საკუთარ თავსაც კი ვერ ვუმხელდი?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. როგორც ჩანს, უფრო ნაკლებად განდობილხართ თქვენი ტანჯვის მიზეზს?

პ რ ი ნ ც ი. მას? რამდენი არ ვეცადე, მაგრამ მეორედ ველარ დაველაპარაკე.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მაშ ერთხელ...

პ რ ი ნ ც ი. ერთხელ ველაპარაკე... ლამის გავგიჟდე! კიდევ დიდხანს უნდა მოგიტხროთ? ხომ ხედავთ, რომ ტალღების მსხვერპლი ვარ: ამდენს რას მეკითხებით, თუ როგორ მოხდა ეს? დამიხსენით, თუ შეგიძლიათ, და მერე მკითხეთ.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. დაგიხსნათ? ნერედა, რაღაა აქ დასახსნელი? თუ ემილია გალოტის წინაშე დაგიგვიანდათ სიყვარულის აღიარება, გრაფ აბიანის მეუღლის წინაშე აღიარეთ იგი. საქონელს, რომლის შოვნა პირველი ხელიდან შეუძლებელია, მეორე ხელიდან ყიდულობენ და, არცთუ იშვიათად, მეორე ხელიდან ნაშოვნი საქონელი უფრო იაფიც ჯდება ხოლმე.

პ რ ი ნ ც ი. სერიოზულად ილაპარაკეთ, მარინელი, სერიოზულად, თორემ...

მ ა რ ი ნ ე ლ ი. რა თქმა უნდა, სამაგიეროდ, ეს საქონელი უფრო ცუდი არის.

პ რ ი ნ ც ი. თქვენ უკვე თავხედობთ.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. თანაც, გრაფს სურს თავისი ცოლით აქედან გაემგზავროს. საჭიროა სხვა საშუალება გამოვნახოთ.

პ რ ი ნ ც ი. რა საშუალება? კეთილო, საყვარელო მარინელი, მოიფიქრეთ რაიმე ჩემს მაგიერ. რას იზამდით, ჩემს ადგილას რომ იყოთ?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. უწინარეს ყოვლისა, უბრალო საქმეს შევხედავდი, როგორც უბრალოს. შემდეგ კი საკუთარ თავს ვეტყოდი, რომ ტყუილად არ მსურს ვიყო ის, რადაც დავიბადე, ამოდ არ მსურს, ვიყო მბრძანებელი.

პ რ ი ნ ც ი. ნუ. მზიბლავთ ძალაუფლებით, მარინელი, რომელიც ახლა, ჩემი აზრით, აღარაფრის მაქნისია... დღეს, ასე სთქვით? მაშ დღესვე?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. დიახ, ეს დღესვე უნდა მოხდეს, საქმეს კი მაშინ აღარა ეშველება რა, როცა ის უკვე მომხდარია. (მცირე ხნის დაფიქრების შემდეგ.) გსურთ თუ არა, პრინციო, მომანიჭოთ მოქმედების თავისუფლება? თანახმა ხართ თუ არა, რომ ყოველივეს მოიწონებთ, რასაც მე მოვიმოქმედებ?

პ რ ი ნ ც ი. ყოველივეს, მარინელი, ყოველივეს, ოღონდ ეს საშინელება თავიდან ავიცილო.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მაშ დროს ნუღარ ვკარგავთ. მაგრამ თქვენს ქალაქში არ უნდა დარჩეთ. დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ თქვენს გასართობ ციხე-დარბაზში, დოზალოში. საბიონეტასკენ მიმავალი გზა მის მახლობლად გადის. თუ ვერ მოვახერხებ, რომ გრაფი მათ დაუყოვნებლივ ჩამოვაცილო, ვფიქრობ... არა! არა! დარწმუნებული ვარ, რომ იგი ამ მახეში გაებმება. თქვენ ხომ გსურთ, პრინციო, თქვენს დანიშვნასთან დაკავშირებით მასსაში ელჩი გააგზავნოთ? დაე ეს ელჩი გრაფი აპიანი იყოს, იმ პირობით, რომ იგი დღესვე გაემგზავრება. გესმით?

პ რ ი ნ ც ი. მშვენივრად მესმის. ჩვენთან მოუხმეთ. აბა იჩქარეთ, მე კი ახლავე ვჯდები ეტლში.

(მარინელი გადის.)

### გამოსვლა მთავრი

პ რ ი ნ ც ი. ახლავე! ახლავე! სად არის პორტრეტი?.. (თვალები ეძებს მას.) იატაკზე? როგორ იქნება! (აიღებს პორტრეტს.) მხოლოდ გიყურო? აღარ ძალმიძს შენი ყურება! რატომ შევეუშვა ისარი უფრო ღრმად ჩემს ტირილობაში? (დასდებს მოშორებით.) საკმაოდ ვიტანჯე და ვიოხრე, — იმაზე მეტი, ვიდრე ეს საჭირო იყო, — არაფერი კა არ ვიღონე! ამ უმოქმედობით კინაღამ დაგკარგე ყველაფერი! მაგრამ თუ ყველაფერი მართლა დაკარგულია? მარინელიმ რომ ვერაფერი

გააკეთოს? რატომ ვამყარებ იმედს მხოლოდ მასზე? თავში ერთი აზრი მომივიდა: ამ დროს, (შეხედვს საათს.) სწორედ ამ საათს ყველა ღვთისმომშიში ქალიშვილი მუდამ დილა დომინიკელთა ტაძარში მიდის წირვის მოსასმენად. რა იქნება, რომ ვცადო და გამრ-ველაპარაკო? მაგრამ ახლა მისი ქორწინების დღეა. ახლა მის გულს სხვა საზრუნავი აქვს და წირვისათვის არა სცბელა. მაგრან, ვინ იცის. ერთადერთი გამოსავალი ესლა დამრჩა... (რკეავს და, ვიღრე იგი აგროვებს მაგიდაზე გაფანტულ ზოგიერთ ქალაღს, შემოდის კამერდინერი.) ეტლი მომგვარეთ. მრჩეველთაგან კვლავ არავინაა?

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი. კამილო როტა გახლავთ.

პ რ ი ნ ც ი. შემოვიდეს. (კამერდინერი გაღს.) ნეტავ დიდხანს არ დამაყოვნოს. ახლა ეს შეუძლებელია. სხვა დროს მე მზად ვარ უფრო მეტი დრო შეეწირო მის ყოველგვარ ჭოჭმანსა და გაჭიანურებულ საუბარს. აქ იყო ვიღაც ენილია ბრუნესკის თხოვნა... (ეძებს მას). აი, აქ არის... მაგრამ, კეთილო ბრუნესკი, სადაა შენი ქომავი?

### გამოსვლა მირამი

კ ა მ ი ლ ო რ ო ტ ა (ქალღღებით). პ რ ი ნ ც ი.

პ რ ი ნ ც ი. მობრძანდით, როტა, მობრძანდით, აქ გახლავთ ყველა წერილი, რომელიც ამ დილით გაეხსენი. დიდი სანუგეშო არაფერია. თქვენ თვითონ მიხვდებით, რაც უნდა გააკეთოთ; წაიღეთ.

რ ო ტ ა. კეთილი, თქვენო ბრწყინვალეზავ.

პ რ ი ნ ც ი. აქვეა თხოვნა ვინმე ემილია გალოტ... ბრუნესკისა, მინდოდა მეტქვა... მე უკვე დავაწერე ჩემი თანხმობა... მაგრამ... თხოვნა არც ისეთი უბრალოა... დაყოვნეთ ასრულება... თუნდაც ნუ დაყოვნებთ... როგორც გნებავდეთ.

კ ა მ ი ლ ო რ ო ტ ა. მე არც როგორ არა მნებავს, თქვენო ბრწყინვალეზავ.

პ რ ი ნ ც ი. რაღა გაქვთ კიდევ? არის რამე ხელის მოსაწერი?

კ ა მ ი ლ ო რ ო ტ ა. საჭიროა ხელი მოაწეროთ ერთ სასიკვდილო განაჩენს.

პ რ ი ნ ც ი. ძალზე სასიამოვნოა!.. მომეცით! ჩქარა!

კ ა მ ი ლ ო რ ო ტ ა (განციფრებული შესტერის პრინცს). სასიკვდილო განაჩენს, ვთქვი მე.

პ რ ი ნ ც ი. მშვენივრად მესმის. აქამდე კიდეც მოვასწრებდი ხელის მოწერას. მეჩქარება.

კ ა მ ი ლ ო რ ო ტ ა (ათვალიერებს თავის ქალღღებს) როგორც ჩანს, თან არ წამომიღია. მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ. ეს შეიძლება ხვალისთვის გადაიდოს.

პ რ ი ნ ც ი. ეგეც შეიძლება. შეკრიბეთ ქალაქლები მე უნდა გავემგზავრო... ხვალ, როტა, უფრო დიდხანს შეგვეძლება ვიმუხსა-იფოთ. (გაღის.)

კ ა მ ი ლ ო რ ო ტ ა (თავს აქნევს, ქალაქებს აგროვებს და ემზადება წასასვლელად). „ძალზე სასიამოვნოა?“ სასიკვდილო განაჩენი ძალზე სასიამოვნოა? ამ წუთში მას ხელის მოსაწერად არ მივცემდი განაჩენს, თუნდაც იგი ჩემი ერთადერთი შვილის მკვლელს შეეხებოდეს. ძალზე სასიამოვნოა ძალზე სასიამოვნოა. ეს საშინელი „ძალზე სასიამოვნო“ პირდაპირ გულს მიგმირავს.

## მოქმედება მეორე

მოქმედება მიმდინარეობს გალოტების სახლის დარბაზში

გამოსვლა პირველი

კლავდია გალოტი. პირო.

კლავდია (შეზღობილი, წინ შეეყრება მეორე მხრიდან შემოსულ პიროს).  
ვინ შემოიჭრა ჩვენს ჭიშკარში?

პირო. ჩვენი ბატონი, ქალბატონო.

კლავდია. ჩემი მეუღლე? ნუთუ მართლა?

პირო. იგი ფეხდაფეხ მომყვება.

კლავდია. ასე მოულოდნელად? (მიეშურება ქმრის შეხახვედრად.)  
აჰ! ჩემო ძვირფასო!

გამოსვლა მეორე

იგივენი და ოდოარდო გალოტი.

ოდოარდო. დილა მშვიდობისა, ჩემო საყვარელო. აი, ამას  
ხომ მართლაც მოულოდნელობა ჰქვია.

კლავდია. თანაც ძალზე სასიამოვნო! თუკი ამ მოულოდნე-  
ლობაში სხვა რაიმე არ იმალება.

ოდოარდო. სხვა არაფერი! დამშვიდდი... დღევანდელი დღის  
ბედნიერებამ ძალზე ადრე გამომალვიდა. დილა ერთობ მშვენიერი  
იყო, გზა კი მოკლე. ვიფიქრე, საქწით გართული იქნებიან და შეიძ-  
ლება რაიმე დაავიწყდეთ-მეთქი... ერთი სიტყვით, მოვედი, დაგხე-  
დავთ, და ახლავე გავბრუნდები... სად არის ემილია? ალბათ მოსარ-  
თველად გავიდა.

კლავდია. თავისი სულის მოსართველად... წირვის მოსასმე-  
ნად წავიდა. „დღეს უფრო მჭირდება, ვიდრე ოდესმე, ზეცას კურ-  
თხევა გამოეთხოვო“, სთქვა მან, მიატოვა ყველაფერი, ჩამოიფარა  
პირბაღე და გაეშურა.

ოდოარდო. სულ მარტოდმარტო?

კლავდია. რამდენიმე ნაბიჯია მხოლოდ...

ოლოარდო. ერთიც საკმარისია, რომ ფეხი დაუცდეს.

კლავდია. ნუ ჯავრობთ, ჩემო ძვირფასო. შემობრძანდით, ცოტა ხანს შეისვენეთ და, თუ გნებავთ, წაისაუზმეთ კიდეც.

ოლოარდო. როგორც გნებავს, კლავდია, მაგრამ ემილია კი მარტო არ უნდა წასულიყო.

კლავდია. თქვენ კი დარჩით, პირო, მისაღებ ოთახში და დღეისათვის სტუმრები არ მიიღოთ.

### გამოსვლა მისამე

პირო, მალე მის შემდეგ ანჯელო.

პირო. რომლებიც მობრძანდებიან მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. რაღას არა მკითხავდნენ ისინი ამ უკანასკნელი საათის განმავლობაში.. ეს ვიღა მოდის?

ანჯელო (გამოიხედავს სცენის უკანა მხრიდან. მოსხმული აქვს მოკლე ლაბადა, რომლითაც სახეს იფარავს; ქუდი შუბლზე ჩამოუფხატია). პირო!.. პირო!..

პირო. ნაცნობია? (ამასობაში ანჯელო გამოვა სცენაზე და ლაბადას ბოიხსნის). ღმერთო ჩემო! ანჯელო, შენა?

ანჯელო. როგორცა ხედავ. კაი ხანია, რაც ამ სახლს გარშემო ვუვლი, რომ შენთვის ორიოდ სიტყვა მეთქვა.

პირო. კიდეც ბედავ ხალხში გამოჩენას? იმ უკანასკნელ მკვლევლობის შემდეგ ხომ კანონგარეშე გამოგაცხადეს. შენი თავისათვის ჯილდოა დანიშნული.

ანჯელო. შენ ხომ არ გინდა მიიღო ის ჯილდო?

პირო. რა გინდა?.. გეხვეწები, ნუ გამაუბედურებ.

ანჯელო. ამით? (უჩვენებს ოქროთი საფე ქისას.) აილე! შენია!

პირო. ჩემი?

ანჯელო. ნუთუ დაგვიწყდა? შენი ყოფილი ბატონი გერმანელი...

პირო. ჩუმად, მასზე სიტყვა არ დასძრა.

ანჯელო. რომელიც შენ შემოიტყუე ჩვენს ხაფანგში, პიზას გზაზე...

პირო. ყურს არავინ გვიგდებდეს!

ანჯელო. იგი ისეთი გულკეთილი აღმოჩნდა, რომ ძვირფასი ბეჭედი დაგვიტოვა... არ იცი?.. ეს ბეჭედი ისე ძვირფასი იყო, რომ ვერ მოვახერხეთ მაშინვე ფულად გადაგვეხურდავებიანა და თანაც

ეჭვი არავისთვის არ აღგვეძრა. მაგრამ, როგორც იქნა, ეს შეეძელი და იმ ბეჭედში ასი პისტოლი მივიღე. აი ეს შენი წილია. აიღე!

პ ი რ ო. არაფერი არ მინდა... სულ შენთვის დაიტოვე.

ან ჯ ე ლ ო. შენი ნებაა. რაკი შენთვის სულ ერთია, თუ რამდენად ჰყიდი შენს თავს... (ისე ზაჩვენებს, თითქოს ისევე სურს ქისის შენახვა.)

პ ი რ ო. მაშ მომეცი! (ართმევს.) რაღა გინდა ჩემგან? შენ ხომ მარტო ამისათვის არ მომძებნიდი...

ან ჯ ე ლ ო. არა გჯერა? არამზადავ! ასე ფიქრობ ჩვენზე? როგორა გგონია, განა შევირჩენთ სხვის ნამუშევარს? ეს შეიძლება ეგრეთ წოდებულ პატიოსან ხალხში იყოს მიღებული, ჩვენში კი ასე არაა. მშვიდობით! (ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს მართლა წასვლას აპირებსო, მაგრამ უკანვე შემობრუნდება). ერთი რამე მაინც მინდა გკითხო, მოხუცი გალოტი მთლად მარტო ჩამოვიდა. რა სურს ნეტავი?

პ ი რ ო. არაფერიც არა სურს. ცხენით გამოისეირნა მხოლოდ. მისი ქალიშვილი დღეს საღამოთი თავის საგვარეულო მამულშია ჯვარს იწერს გრაფ. აპიანიზე. მოხუცს ვეღარ მოუთმენია დანიშნულ დრომდე.

ან ჯ ე ლ ო. მალე გაბრუნდება?

პ ი რ ო. ისე მალე, რომ აქ მოგასწრებს, თუ კიდეც დააყოვნე. მის წინააღმდეგ ხომ არაფერი განიზრახე? ფრთხილად იყავი, იგი ვაჟკაცია.

ან ჯ ე ლ ო. განა მე არ ვიცნობ? განა მეც არ მიმსახურია მის ხელქვეითად?.. გამოსარჩენი რომ მაინც რამე ჰქონდეს! როდას გაუმგზავრებიან ახალგაზრდები?

პ ი რ ო. შუადღისას.

ან ჯ ე ლ ო. მხლებლები ბევრი ეყოლებათ?

პ ი რ ო. ერთადერთი ეტლით წაველენ: დედა, ქალიშვილი და გრაფი. რამდენიმე მეგობარი მოწმედ ჩამოვა საბიონეტიდან.

ან ჯ ე ლ ო. მსახურები?

პ ი რ ო. მხოლოდ ორი, ჩემ გარდა. მე წინ წავალ ცხენით.

ან ჯ ე ლ ო. კარგია. კიდევ ერთი რა გკითხო? ვისი ეტლი იქნება: თქვენი თუ გრაფისა?

პ ი რ ო. გრაფისა.

ან ჯ ე ლ ო. ცუდია! მანდ კიდევ ფორეიტორია, ღონიერი მეეტლის გარდა. მაგრამ... მაინც...

პ ი რ ო. ძალიან მიკვირს! რა გინდა? განა ღირს წვალებად მცირეოდენი სამკაულები, რომლებიც შეიძლება საპატარძლოს ჰქონდეს?

ა ნ ჯ ე ლ ო. სამაგიეროდ, თვით საპატარძლო ღირს.

პ ი რ ო. და ჩე ამ ბოროტმოქმედებაშიც უნდა ვიყო თქვენი ამხანაგი?

ა ნ ჯ ე ლ ო. შენ წინ წახვალ ცხენით. გასწი და გასწი ჭენებით! უკან არ მოიხედო!

პ ი რ ო. არავითარ შემთხვევაში.

ა ნ ჯ ე ლ ო. რაო? ისე მომეჩვენა, თითქოს გასურს პატროსანი კაცის როლი გაითამაშო... შენ, მგონი, კარგად მიცნობ, ყმაწვილო! თუ რაიმე წამოაყრანტალე... თუ რაიმე ისე არ აღმოჩნდება, როგორც ამიწერე...

პ ი რ ო. ანჯელო, ღვთის გულისათვის...

ა ნ ჯ ე ლ ო. ისე მოიქეც, როგორც გითხრეს. (გაღს.)

პ ი რ ო. ეჰ! როცა ეშმაკი ერთ ღერ თმაში გვვდება, სამუდამოდ დაგისაკუთრებს. მე უბედური!

### გამოსვლა მიმოსხე

ო დ ო ა რ დ ო და კ ლ ა ვ დ ი ა გა ლ ო ტ ე ბ ი. პ ი რ ო.

ო დ ო ა რ დ ო. უმილიამ ძალზე დაიგვიანა. მეტი მოცდა აღარ შემიძლია.

კ ლ ა ვ დ ი ა. ერთ წუთს კიდევ მოითმინე, ოდოარდო! ეწყინება, რომ ვერა განახავს.

ო დ ო ა რ დ ო. ახლა გრაფთან უნდა შევიარო. ვეღარ მომითმენია იმ წუთამდე, როცა ამ ღირსეულ ახალგაზრდას ჩემს შვილს ვუწოდებ. აღტაცებული ვარ მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯით. ყველაზე მეტად კი იმით, რომ წინაპართა მამულში განუზრახავს თავისთვის ცხოვრება.

კ ლ ა ვ დ ი ა. მე კი გული მისკდება, როცა მაგაზე დავფიქრდები ხოლმე. ნუთუ სამუდამოდ უნდა დაგკარგოთ ჩვენი ერთადერთი ძვირფასი ქალიშვილი?

ო დ ო ა რ დ ო. დაკარგვაში რასა გულისხმობ? იმას ხომ არა, რომ იგი სიყვარულით იქნება გარემოსილი? ქალიშვილისაგან შენთვის მონიჭებულ სიხარულს ნუ მიიჩნევ მის ბედნიერებად. შენ გინდა კვლავ აღმიძრა ძველი ეჭვები, რომ უფრო საზოგადოების ხმაურმა, დროს ტარებამ და სასახლის სიახლოვემ, ვიდრე ჩვენი ქალიშვილის წესიერად აღზრდის აუცილებლობამ, შთაგაგონა დარ-



ჩენილიყავით აქ, ქალაქში, ქმრისა და მამისაგან მოშორებით, რომელსაც თქვენ ასე უყვარხართ.

კ ლ ა ვ დ ი ა. რა უმართებულოდ მსჯელობ, ოდოარდო! მაგრამ დღეს ერთადერთი სიტყვა მეც მათქმევინე ამ ქალაქისა და სასახლესთან სიახლოვის სასარგებლოდ, რომელიც შენს მკაცრ სათნოებას ასე სძულს. აქ, მხოლოდ აქ შეეძლო სიყვარულს შეეერთებინა ერთმანეთისათვის დაბადებულნი. მხოლოდ აქ შეეძლო გრაფს ემილიას პოვნა და იპოვა კიდევაც.

ო დ ო ა რ დ ო. მაგის თანახმა მეცა ვარ. მაგრამ, კეთილო კლავდია, ნუთუ მხოლოდ იმიტომ ხარ მართალი, რომ საქმე კეთილად დაგვირგვინდა? კიდევ კარგი, რომ ასე დასრულდა ეს ქალაქის აღზრდა! მოდი, ჩვენს ჭკუას ნუ მივაწერთ იმას, რაც ბედმა მოგვიტანა, — კიდევ კარგი, რომ ეს საქმე ასე დამთავრდა. ვინც ერთმანეთისთვის დაბადებული იყვნენ, ერთმანეთი ჰპოვეს კიდევაც. ახლა კი გაემგზავრონ იქ, სადაც მათ უბიწოება და მყუდროება უხმობს... რა უნდა აკეთოს აქ გრაფმა? ქედი იდრიკოს, იმლიქვნელოს, იხოხოს და ეცადოს ამადღეს სხვადასხვა მარინელებზე, რომ, ბოლოს, მიაღწიოს იმ წარმატებას, რაც მისთვის სულაც არაა საჭირო? რომ, ბოლოს და ბოლოს, ღირსი გახდეს იმ პატივისა, რომელიც მისთვის არარაობას წარმოადგენს?.. პირო!

პ ი რ ო. აქ გახლავართ.

ო დ ო ა რ დ ო. წადი, ჩემი ცხენი გრაფის სახლთან მიიყვანე. მეც უკან გამოგყვები, იქიდან კი გზას გავუღებები. (პირო გადის.) რატომ უნდა ემსახუროს აქ გრაფი სხვას, როცა იქ თვითონ იქნება მბრძანებელი?.. იმაზე კი არ ფიქრობ, კლავდია, რომ გრაფი შენი ქალიშვილის გამოისობით პრინცთან დამოკიდებულებას სამუდამოდ გაიფუჭებს? პრინცს ხომ მე ვძულვარ.

კ ლ ა ვ დ ი ა. შეიძლება არც ისე, როგორც გეშინია.

ო დ ო ა რ დ ო. მეშინია? სულაც არ მეშინია!

კ ლ ა ვ დ ი ა. გითხარი, რომ პრინცმა ჩვენი ქალიშვილი ნახა?

ო დ ო ა რ დ ო. პრინცმა? სად?

კ ლ ა ვ დ ი ა. კანცლერ გრიმალდისთან, უკანასკნელ საღამოზე, რომელიც პრინცმა ღირსეულჰაუსო თავისი მობრძანებით. პრინცმა მას ისეთი კეთილი თვალთ შეხედა...

ო დ ო ა რ დ ო. კეთილი თვალთ შეხედა?

კ ლ ა ვ დ ი ა. პრინცი ისე დიდხანს ესაუბრა ემილიას...

ო დ ო ა რ დ ო. დიდხანს ესაუბრა?

კ ლ ა ვ დ ი ა. როგორცა ჩანს, ძალზე მოიხიბლა მისი მხიარული ხასიათითა და ჭკუამახვილობით.

ო ლ ო ა რ დ ო. ძალზე მოიხიბლა?

კ ლ ა ვ დ ი ა. დიდ ხოტბას ასხამდა მის სილამაზეს!

ო ლ ო ა რ დ ო. ხოტბას ასხამდა? შენ კი ალტაცებით მიყვები ყოველივე ამას? ო, კლავდია, კლავდია, პატივმოყვარე, უგუნურო დედავ!

კ ლ ა ვ დ ი ა. რატომ?

ო ლ ო ა რ დ ო. კარგი, კარგი! ესეც უკვე გათავებულია. ოჰ, რომ წარმოვიდგენ... აი, სწორედ ამ ადგილას შეიძლება ჩემი სასიკვდილოდ დაჭრა. ავხორცი ადამიანი, რომელიც ალტაცებაში მოდის, თავისას შეეცდება... კლავდია! კლავდია! ამაზე უბრალო გაფიქრებაც კი ცოფსა მგერის... შენ მაშინვე ჩემთვის უნდა გეცნობებინა... თუმცა არ მინდოდა დღეს შენთვის მეწყენინებინა. მაგრამ თუ დავყოვნდი, (ხელს ხელში სტაცებს.) ეს აუცილებლად მოხდება... ამიტომ გამიშვი! გამიშვი! ღმერთი იყოს შენი შემწე, კლავდია... გზა მშვიდობისა!

### ბამოსვლა მისუთი

კ ლ ა ვ დ ი ა    გ ა ლ ო ტ ი.

კ ლ ა ვ დ ი ა. რა ადამიანია. ო, ტლანქო სათნოებავ!.. თუკი ის იმსახურებს ამ სახელს. ყველაფერი საეჭვოდ მიაჩნია, სასჯელია ღირსად!.. ამას რომ ადამიანთა ცოდნა ერქვას, მაშინ ვინ მოისურვებდა მის შექენას? მაგრამ სად არის ემილია? პრინცი მამამისის მტერია. მაშასადამე... მაშასადამე, თუ პრინცმა ჩვენს ქალიშვილს ყურადღება მიაქცია, ალბათ მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ თავლაფი დაასხას.

### ბამოსვლა მემქვსე

ე მ ი ლ ი ა    და    კ ლ ა ვ დ ი ა    გ ა ლ ო ტ ე ბ ი.

ე მ ი ლ ი ა (შეშობის შეშინებული და აძრწოლებული). მადლობა ღმერთს! მადლობა ღმერთს! ახლა აღარაფრისა მეშინია. ან იქნება უკანაც გამომყვა? (მოიხსნის პირბადეს და დედას შეამჩნევს.) უკან ხომ არ მომდევს იგი, დედაჩემო? უკან ხომ არ მომდევს? არა, მადლობა ღმერთს!

კ ლ ა ვ დ ი ა. რა ამბავია, ჩემო შვილო, რა დაგემართა?

ე მ ი ლ ი ა. არაფერი, არაფერი.

კ ლ ა ვ დ ი ა. ასე დამფრთხალივით რომ იცქირები აქეთ-იქით? მთლად რომ ჰკანკალებ?

ემილია. რა არ მოვისმინე! და სად, სად მომიხდა ამის მოსმენა!

კლავდია. მე კი მეგონა, რომ შენ ეკლესიაში...

ემილია. სწორედ იქ. რას წარმოადგენს ეკლესია და საკურთხეველი ბიწიერებისათვის? ოჰ, დედაჩემო! (მკლავებში ჩაუფარდება.)

კლავდია. სთქვი, შეილო!.. მოუღე ჩემს შიშს ბოლო... რა შეიძლებოდა ესოდენ ცუდი შეგმთხვევოდა იმ წმინდა ადგილას?

ემილია. არასოდეს ისე გულწრფელი და მხურვალე არ უნდა ყოფილიყო ჩემი ლოცვა, როგორც დღეს. მაგრამ სწორედ დღეს იგი ოდნავადაც არ იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო.

კლავდია. ჩვენ მხოლოდ ადამიანები ვართ, ემილია, ლოცვის ნიჭი ყოველთვის როდი გავგაჩნია. ზეცა ლოცვის სურვილსაც კი ლოცვად ჩავგითვლის.

ემილია. და ცოდვის ჩადენის სურვილიც ხომ უკვე ცოდვაა.

კლავდია. ამას ჩემი ემილია არ ისურვებდა.

ემილია. არა, დედაჩემო, მოწყალე ღვთაებამ აქამდე არ მიმიყვანა. მაგრამ სხვის შეცოდებას შეუძლია ჩვენდა უნებურად თავის თანამონაწილედ გავგხადოს!

კლავდია. გონს მოდი! აზრები მოიკრიბე როგორმე. მითხარ, რა შეგემთხვა.

ემილია. ის-ის იყო მუხლი მოვიყარე საკურთხეველთან, სადაც წინათ ვლოცულობდი ხოლმე, რადგანაც დაგვიანებით მივედი... ის იყო დავიწყე ჩემი სულის ადვლენა, რომ ვილაცამ პირდაპირ ჩემ უკან დაიკავა ადგილი, ზედ ჩემ უკან. მე არ შემეძლო გავწეულიყავი არც გვერდზე და არც უკან იმის შიშით, რომ რომელიმე მეზობლს ლოცვას ჩემთვის ხელი არ შეეშალა... ლოცვა! აი ყველაზე საშინელია, რაც კი მე მეფიქრებოდა, მაგრამ გაიარა ცოტა ხანმა და მომესმა მთლად ჩემს ყურებთან... ღრმა ამოოხვრის შემდეგ... არა სახელია წმინდანისა, არამედ სახელი, არ გაბრაზდეთ, დედა, თქვენი ქალიშვილისა... ჩემი სახელი... ო, ნეტავი მეხი დაშცემოდა და მეტი ალარაფერი მომესმინა!.. იგი ლაპარაკობდა სილამაზეზე, სიყვარულზე... ჩიოდა, რომ ეს დღე, აღმნიშვნელი ჩემი ბედნიერებისა, საუკუნოდ აუბედურებს მას... იგი მეფიცებოდა... მე მომიხდა ყოველივე ეს მომესმინა, მაგრამ უკან არ მივიხედე, ისეთი სახე მივიღე, თითქო არაფერიც არ მესმის... სხვა რა უნდა მექნა? უნდა შევედრებოდი ჩემს კეთილ ანგელოზს, რომ დავეყრუებინე, თუნდაც სამუდამოდ. მეც ვევედრებოდი, ერთადერთი ესლა შემეძლო... ბოლოს დადვა კვლავ ფეხზე ადგონის დრო... დამთავრდა წმიდა წესმსახურება.

მე ვთრთოდი. მეშინოდა მისი დანახვა, ვინც ამგვარი თავხედობა გაბედა. მაგრამ როცა შემოვტრიალდი და იგი დავინახე...

კ ლ ა ვ დ ი ა. ვინ, ჩემო შვილო?

ე მ ი ლ ი ა. მიხვდით, დედაჩემო, მიხვდით. მეგონა, ფეხქვეშ მიწა ჩამენგრა-მეთქი... თვითონ ის.

კ ლ ა ვ დ ი ა. ვინ თვითონ ის?

ე მ ი ლ ი ა. პრინცი.

კ ლ ა ვ დ ი ა. პრინცი!.. მადლობა ღმერთს, რომ მამაშენს არ ესმის ეს. აქ იყო და ახლალა წავიდა, შენ აღარ დაგიცადა.

ე მ ი ლ ი ა. მამა აქ იყო და მე არ დამიცადა?

კ ლ ა ვ დ ი ა. ასე შემფოთებულს მისთვისაც რომ გეთქვა ეს ყველაფერი...

ე მ ი ლ ი ა. მერე რა, დედაჩემო? განა რაიმე საძრახი ჩავიდინე?

კ ლ ა ვ დ ი ა. არაფერი, ისევე როგორც არც მე ჩამიდენია საძრახი რამ, მაგრამ მაინც, მაინც... ეჰ, მამაშენს ვერ იცნობ! განრისხების დროს იგი დანაშაულის უმანკო მსხვერპლს დამნაშავედ მიიჩნევდა. გაყოფებულს მოჩვენებოდა, რომ მე ხელი შევეუწყე იმას, რასაც ვერც ხელს შევეუშლიდი და ვერც გავითვალისწინებდი... განაგრძე, ჩემო შვილო! შემდეგ რა მოხდა? შენ რომ პრინცი იყანი... ვაჩედოვნებ, თავს საკმაოდ დაეუფლე, რომ მისთვის ერთი შეხედვით გეგრძნობინებინა ის ზიზღი, რომელსაც ის იმსახურებს.

ე მ ი ლ ი ა. ეგ ვერ მოვახერხე, დედაჩემო! პირველი შეხედვის შემდეგ, როცა იგი ვიცანი, გამბედაობა აღარ მეყო, ერთხელ კიდევ შემეხედა მისთვის. მაშინვე გამოვიქეცი.

კ ლ ა ვ დ ი ა. პრინცი კი დაგედევნა...

ე მ ი ლ ი ა. ეგ კი აღარ გამიგია, ვიდრე კარიბჭესთან არ ვიგრძენი, რომ ხელზე ვილაც მწვდა... ეს იყო პრინცი! სირცხვილისაგან იძულებული გავხდი შევჩერებულიყავი. დავსხლტომოდი ხელიდან? ეს გამვლელთა ყურადღებას მიიქცევდა. აი ერთადერთი აზრი, რომლის მოფიქრებაც შემეძლო ანდა რომელიც კიდევ მახსოვს. იგი ლაპარაკობდა, მე კი ჭასუხს ვაძლევი. მაგრამ, რას ამბობდა იგი ან მე რა ვუპასუხე... თუ გავიხსენე, გიამბობ, დედაჩემო; ახლა კი არაფერი არ ვიცი. გონება მთლად დაეკარგე... ისიც კი ვეღარ გამიხსენებია, ხელიდან როგორ გამოვუსხლტი და რანაირად გამოვვარდა გარეთ. გონს მხოლოდ ქუჩაში მოვედი. მესმის, თუ როგორ მომდევს პრინცი, როგორ შემოდის სახლში ჩემთან ერთად და როგორ ამორბის კიბეებზე.

კ ლ ა ვ დ ი ა. ეს ყველაფერი შიშისაგან მოგსვლია, ჩემო შვილო; არასდროს არ დამავიწყდება, რანაირი სახით შემოვარდი. არა, პრინ-

ცი იმდენს ვერ გაბედავდა, რომ უკან დაგდევნებოდა. ღმერთო! ღმერთო! მამაშენმა ეს რომ შეიტყოს! როგორ გაცოფდა, როცა ვუთხარი, რომ ამ ცოტა ხნის წინათ პრინცი შენი ნახვით დიდად კმაყოფილი დარჩა! ახლა კი დამშვიდდი, ჩემო გოგო! ყოველივე სიზმრად მიიჩნიე, რაც დაგემართა. ამას ხომ უფრო ნაკლები შედეგი მოჰყვება, ვიდრე სიზმარს. დღეიდან ერთბაშად მოელება ბოლო შენს ყოველგვარ ღვენას.

ე მ ი ლ ი ა. არა, დედაჩემო, გრაფმა უნდა გაიგოს, ეს ამბავი მას უნდა ვუთხრა.

კ ლ ა ვ დ ი ა. არაფრის დიდებით ეგ არა ჰქნა! რისთვის? რატომ? ნუთუ გასურს ასეთი უბრალო რამის გამო, დიახ, ასეთი უბრალო რამის გამო იგი ააღელვო? თუნდაც იგი ახლა არ ააღელდეს, იცოდე, ჩემო გოგონა, რომ შხამი, რომელიც მაშინვე არ მოქმედებს, არა ნაკლებ საშიშარი შხამია ხოლმე. რაც არავითარ შთაბეჭდილებას არ გამოიწვევს საქმროზე, მან შეიძლება კმარაზე იმოქმედოს. საქმროს შეიძლება სასახელოდაც კი ეჩვენოს ასეთი ღირსეული მეტოქის დამარცხება. მაგრამ მას შემდეგ, როცა იგი გაიმარჯვებს... ეჰ, ჩემო გოგონავ... რა რიგ ხშირად იქცევა მაშინ საქმრო სულ სხვა არსებად. შენმა ვარსკვლავმა დაგიფაროს ამის გამოცდისაგან.

ე მ ი ლ ი ა. კარგად იცით, დედაჩემო, როგორ მჯერა თქვენი, რა ხალისით გემორჩილებით ყოველთვის. მაგრამ თუ მან სხვისგან გაიგო, რომ პრინცი დღეს მელაპარაკა? განა ჩემი ღუმელი; ადრე თუ გვიან, მას უფრო მეტად არ შეაფოთებს?.. მე მაინც ვფიქრობ, რომ უკეთესი იქნება, თუ გრაფს არაფერს არ დაუვმალავ.

კ ლ ა ვ დ ი ა. ეგ სისუსტეა, სისუსტეა შეყვარებულისა!.. არა, არავითარ შემთხვევაში ეგ არ გააკეთო, ჩემო შვილო! არაფერი არ უთხრა მას! ნურც კი აგრძნობინებ რაიმეს!

ე მ ი ლ ი ა. კეთილი, დედაჩემო... მე ხომ საკუთარი ნება არ გამაჩნია, თქვენი ნების პირიპირ... ეჰ! (ღრმად ამოიხრება.) ახლა ისევ თავს ლაღადა ვგრძნობ. რა მშიშარა და სულელი ვარ!.. არა, დედაჩემო? ამ შემთხვევაში მე შემეძლო თავი სულ სხვაგვარად დამეჭირა და საპატიებიც იმაზე მეტი არ შექნებოდა, ვიდრე ახლა.

კ ლ ა ვ დ ი ა. არ მინდოდა ეს შენთვის შეთქვა, ჩემო შვილო, ვიდრე თვითონ შენი ჯანსაღი გონება ამასვე არ გეტყოდა. მე კი ვიცოდი, რომ იგი ამას გეტყოდა მაშინვე, როგორც კი შენს ჭკუაზე მოხვიდოდი. პრინცი თავაზიანი კაცია, შენ კი ნაკლებად ხარ მიჩვეული მნიშვნელობას მოკლებულ თავაზიანობის ენას. ამ ენაზე

უბრალო თავაზიანობა იქცევა გრძნობად, ქათინაური — ფიცად, ჟინი — სურვილად, სურვილი კი განზრახვად; არაფერი ამ ენაზე ჟღერს, როგორც ყველაფერი, ხოლო ყველაფერი იგივეა, რაც არაფერი.

ე მ ი ლ ი ა. ო, დედაჩემო, თუ ასეა, მაშინ ჩემი შიში მთლად სასაცილოდ უნდა მოგჩვენებოდა. რა თქმა უნდა, ჩემი კეთილი აპიანი ამას ვერ გაიგებს! მას ადვილად შეიძლებოდა მივეჩინე უფრო პატივმოყვარე, ვიდრე სათნო ადამიანად... აი თვითონ იგი მოდის! ეს მისი ფეხის ხმაა.

### გამოსვლა მუშვიდმ

ი გ ი ვ ე ნ ი ლ ა გ რ ა ფ ი ა პ ი ა ნ ი.

ა პ ი ა ნ ი (შემოდის ღრმად ჩაფიქრებული, თვალუბდახრილი, იგი ისე ახლოვდება, რომ ვერ ამჩნევს ემილიას, ვიდრე თვითონ ეს უკანასკნელი არ მიიბუნეს მასთან). აპ, ჩემო ძვირფასო! თქვენთან შეხვედრას მისაღებში სულ არ ველოდი.

ე მ ი ლ ი ა. მე კი ვისურვებდი, გრაფო, რომ მხიარული ჰყოფილიყავით იქაც, სადაც ჩემთან შეხვედრას არ მოელოთ... ასე სერიოზული? ასე საზეიმო სახით? განა ეს დღე არ იმსახურებს მეტ ალტაცებას?

ა პ ი ა ნ ი. იგი მეტი ღირს, ვიდრე ჩემი მთელი სიცოცხლე, მაგრამ აღსავსეა ჩემთვის ისეთი ნეტარებით, რომ, შეიძლება, თვით ეს ნეტარება მხდის ასე სერიოზულს, ან, როგორც თქვენ მიწოდებთ, საზეიმო სახის მქონეს (შეამჩნევს ემილიას დედას.) აპ, თქვენც აქ ბრძანდებით, ქალბატონო! მალე უფრო ნაზ სახელს გიწოდებთ.

კ ლ ა ვ დ ი ა. რაც ჩემთვის დიდად საამაყო იქნება. რა ბედნიერი ხარ, ჩემო ემილია! რატომ მამაშენმაც არ გაიზიარა ჩვენი სიხარული?

ა პ ი ა ნ ი. ახლალა გამოვუსხლტი მის მკლავებს, უფრო სწორად იგი — ჩემს მკლავებს. რა კარგი კაცია, ჩემო ემილია, თქვენი მამა! ყველა მამაკაცური სათნოების ნიმუშია. რაოდენ მალღდება ჩემი სული მასთან ყოფნის დროს. ჩემი გადაწყვეტილება, — ყოველთვის კეთილი, მუდამ კეთილშობილი ვიყო, — არასოდეს არ არის იმაზე უფრო მტკიცე, ვიდრე მაშინ, როდესაც მას ვხედავ, როცა მასზე ვფიქრობ. სხვა რითი, თუ არა ამ გადაწყვეტილებების განხორციელებით, შემიძლია ჩემი თავი მივიჩნიო იმის ღირსად, რომ მასი შეილა მერქვას, თქვენი ვიყო, ჩემო ემილია?

ე მ ი ლ ი ა. მან კი არ ისურვა ჩემთვის მოეცადა!

ა პ ი ა ნ ი. ვფიქრობ, ეს იმიტომ ქნა, რომ ამ ხანმოკლე ნახვით

ემილია ძალზე ააღელვებდა მას, მეტისმეტად დაეუფლებოდა მის მთელ სულს.

კ ლ ა ვ დ ი ა. მას ეგონა, რომ დაკავებული იქნებოდი საქორწინო მორთვა-მოკაზმვით, მაგრამ გაიგო...

ა ბ ი ა ნ ი. ის, რაც მისგან მე მოვისმინე გრძნობამორეული აღტაცებით... ძალზე კარგია, ჩემო ემილია. მე მეყოლება ღვთისმოსავი ცოლი, რომელსაც თავი არ მოაქვს თავისი ღვთისმოსაობით.

კ ლ ა ვ დ ი ა. მაგრამ, როცა ერთ საქმეს ვაკეთებთ, ჩემო შვილებო, არც მეორე უნდა დავიფიწყოთ!.. უკვე დროა; წადი, მოემზადე. ემილია.

ა ბ ი ა ნ ი. რა მომზადება უნდა, ქალბატონო?

კ ლ ა ვ დ ი ა. ნუთუ თქვენ გნებავთ ასეთი სახით მიიყვანოთ საკურთხეველთან?

ა ბ ი ა ნ ი. მართლაც, ახლალა შევამჩნიე. ვინც თქვენ შეგზავდავთ, ემილია, როგორღა იფიქრებს თქვენს მორთულობაზე? რატომ არ შეიძლება იგი ასეთი სახით მივიყვანო საკურთხეველთან?

ემილია. არა, ჩემო ძვირფასო გრაფო, ასე არა, არც მთლად ასე, მაგრამ არც მეტისმეტად მორთული, არც მეტისმეტად... ერთ წუთში მზად ვიქნები. მე არ გავიკეთებ არც ერთ იმ სამკაულს, რომელიც მიბოძა თქვენმა დიდსულოვანმა გულუხვობამ. არაფერს, სრულიად არაფერს არ ჩავიცვამ ისეთს, რაც ესოდენ ძვირფას სამკაულებს მოუხდება. მე შევიძლებდი ამ ქვებს, თქვენი ნაჩუქარი რომ არ იყოს. ისინი ხომ სამჯერ დამესიზმრა.

კ ლ ა ვ დ ი ა. რაო? მაგის შესახებ მე არაფერი ვიცი.

ემილია. სიზმარში ვნახე, თითქოს ისინი მეკეთა და ყოველი მათგანი უცებ მარგალიტად გადაიქცა. მარგალიტები ხომ ცრემლებსა ნიშნავს, დედაჩემო?

კ ლ ა ვ დ ი ა. ჩემო ბავშვო! სიზმრის ახსნაც თვითონ სიზმარს ჰგავს. შენ ხომ წინათ მარგალიტი ქვებს გერჩივნა?

ემილია. რა თქმა უნდა, დედაჩემო, რა თქმა უნდა.

ა ბ ი ა ნ ი (ჩაფიქრებით, სჯულიანად). ცრემლებსა ნიშნავს, ცრემლებსა ნიშნავს...

ემილია. როგორ? ეს თქვენ გაძრწუნებთ? თქვენ?

ა ბ ი ა ნ ი. დიახ. მე ამისი უნდა მრცხვენოდეს კიდეც. მაგრამ რაკი ფანტაზია ერთხელ მწუხარედ განეწყობა...

ემილია. რატომ განეწყობს ის ასე? რას იტყვით იმაზე, რაც ახლა მოვიფიქრე?.. რა მეცვა, როცა პირველად მოგეწონეთ?.. გახსოვთ კიდეც?

ა ბ ი ა ნ ი. მახსოვს კიდეც? ჩემს ფიქრებში მე სხვაგვარს არცა

გხედავთ. მაშინაც კი ისეთივეს გხედავთ, როცა სხვაგვარად ჩაცმულს გიცქერთ.

ემილია. მამ კაბა იმავე ფერისა და ისეთივე თარგისა, ხალ-  
ვათი და განიერი.

აპიანი. მშვენიერია.

ემილია. თმა?

აპიანი. თმას ჰქონდეს მისი საკუთარი მუქი ბრწყინვალება, ისეთი კულულები, როგორნიც თვით ბუნებამ შექმნა...

ემილია. შიგ გაკეთებულ ვარდსაც ნუ დაივიწყებთ!.. საუ-  
ცხოო! საუცხოო! ცოტა ხანს მოითმინეთ და თქვენს წინაშე სწორედ  
ასეთი წარმოვლდები!

### გამოსვლა მერვე

გრაფი აპიანი. კლავდია გალოტი.

აპიანი (მწუხარედ გაყოლებს თვალს ემილიას). მარგალიტები  
ცრემლებსა ნიშნავს!.. ცოტა ხანს მოვითმინოთ! დიახ, დრო რომ  
ჩვენს გარეშე არსებობდეს და ციფერბლატის ერთი წუთი ჩვენს  
გულში მთელ წლად არ გაგრძელდებოდეს.

კლავდია. ემილიამ სწრაფად და სწორად შეგნიშნათ,  
გრაფო. დღეს თქვენ ჩვეულებრივზე სერიოზული ბრძანდებით. ახლა,  
როცა ერთი ნაბიჯითღა ხართ დაშორებული თქვენი სურვილების  
მიზანს, იქნება ნანობთ, გრაფო, რომ ეს იყო თქვენი სურვილების  
მიზანი?

აპიანი. აპ, დედაჩემო, როგორ შეგიძლიათ ასე დაეჭვდეთ  
თქვენს შვილზე?.. ეს კი მართალია, რომ დღეს უჩვეულოდ გულდამ-  
ძიმებული და მოწყენილი ვარ. საქმე ის არის, ქალბატონო, რომ  
მიზანს ერთი ნაბიჯით ვარ დაშორებული, თუ სულაც არ მივახლო-  
ვებივარ მას, — არსებითად ერთი და იგივეა. ყველაფერი, რასაც შე  
გხედავ, ყველაფერი, რაც მე მესმის, ყველაფერი, რაზედაც ვოცნებობ,  
გუშინდელსა და გუშინწინდელს აქეთ ამ ჭეშმარიტებას მიქადაგებს.  
ეს ერთი აზრი ბოჭავს სხვა დანარჩენთ, რომლებიც მე უნდა  
მქონდეს, ან მსურს, რომ მქონდეს... რა არის ეს? ვერ გამიგია...

კლავდია. თქვენ მე მაშფოთებთ, ბატონო გრაფო!

აპიანი. ყველაფერი ერთიმეორეს ერთვის!.. გულმოსული,  
გაბრაზებული ვარ ჩემს მეგობრებზე და საკუთარ თავზე...

კლავდია. რატომ?

აპიანი. ჩემი მეგობრები დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ ერთი  
სიტყვა მაინც უუთხრა პრინცს ამ ქორწინებაზე, უიღრე ჯვარს დაფი-



წერ. ისინი მეთანხმებიან, რომ მე მოვალე არა ვარ, მაგრამ პრინცი-  
სადმი პატივისცემა და ყურადღება მოითხოვს ამას... მე კი ისე სუსტი  
აღმოვჩნდი, რომ მათ დავეთანხმე. ახლა ვემზადებოდი მასთან გასამგ-  
ზავრებლად.

კ ლ ა ვ დ ი ა (განჯიფრებული). პრინცთან?

### გამოსვლა მისხრი

პ ი რ ო. მას უმაღვე შეჰოყუება მ ა რ ი ნ ე ლ ი.  
ი გ ი ვ ე ნ ი.

პ ი რ ო. ქალბატონო, მარკიზ მარინელი შეჩერდა თქვენი სახლის  
წინ და გრაფს კითხულობს.

ა ბ ი ა ნ ი. მე?

პ ი რ ო. აი თვითონ იგიც. (კარს უღებს და გაღს.)

მ ა რ ი ნ ე ლ ი. გთხოვთ მაპატიოთ, ქალბატონო... მე თქვენთან  
ვიყავი, ბატონო გრაფო, და გავიგე, რომ აქ იმყოფებოდით. თქვენთან  
გადაუდებელი საქმე მაქვს... კიდეც პატიებას გთხოვთ, ქალბატონო,  
ეს სულ რამდენიმე წუთს წაგვართმევს.

კ ლ ა ვ დ ი ა. მე არა მსურს გაგრძელდეს ეგ წუთები. (თავს  
დაუკრავს და გაღს.)

### გამოსვლა მათი

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ა ბ ი ა ნ ი.

ა ბ ი ა ნ ი. რას მიბრძანებთ, ბატონო ჩემო?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მე გამომგზავნა მისმა ბრწყინვალეებამ, პრინცმა.

ა ბ ი ა ნ ი. რა ნებავს პრინცს?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. დიდად ვამაყოფ, რომ წილად მხვდა ბედნიერება  
გაცნობით მისი ესოდენ უდიდესი მოწყალება... თუკი გრაფ აბიანის  
მანცლამაინც არ ნებავს, მე თავის ერთ-ერთ უერთგულეს მეგობ-  
რად მიმიჩნიოს...

ა ბ ი ა ნ ი. ზედმეტი შესავლის გარეშე, თუ შეიძლება.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. კეთილი! პრინცმა ახლავე უნდა წარგზავნოს  
თავისი ელჩი მასსას პერცოგთან, მისი ქალიშვილის შერთვასთან  
დაკავშირებით. მას დიდხანს ვერ გადაეწყვიტა, თუ ვისთვის მიენდო  
ეს საქმე, ბოლოს კი მისი არჩევანი, ბატონო გრაფო, თქვენზე  
შეჩერდა.

ა ბ ი ა ნ ი. ჩემზე?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ეს კი უჩემოდ არ მომხდარა, თუკი მეგობრობას  
ხმამალლა ლაპარაკის უფლება აქვს.

აპიანი. ჭეშმარიტად მძიმე მდგომარეობაში მაყენებთ, აღარ ვიცი, მაღლობა ვით გადავიხადოთ; დიდი ხანია აღარ ველოდი, რომ პრინცი ინებებდა ჩემთვის მოეცა რაიმე დავალება.

მარინელი. დარწმუნებული ვარ, რომ ამისთვის მას ღირსეული შემთხვევა არ მისცემია, და, თუ ეს შემთხვევაც ღირსეული არაა ისეთი კაცისათვის, როგორცაა გრაფი აპიანი, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩემს მეგობრობას ძალზე უჩქარნია თავისი გულმოდგინებით.

აპიანი. მეგობრობა და მეგობრობა ყოველ მესამე სიტყვაზე!.. ნეტავ ვის ველაპარაკებნი? მარკიზ მარინელის მეგობრობაზე არასოდეს მიოცნებია.

მარინელი. ვგრძნობ, რომ შეცდომა ჩავიდინე, ბატონო გრაფო, — მიუტყევებელი შეცდომა, თქვენს ნებადაურთველად რომ მოვინდომე გაემხდარიყავ თქვენი მეგობარი. თუმცა სულ ერთი არაა? პრინცის მოწყალება და თქვენთვის შემოთავაზებული პატივი მაინც ძალაში რჩება და არ შეეჭვება, რომ ამით დიდი სიხარულით ისარგებლებთ.

აპიანი (რამდენიმე ხნის დაფიქრების შემდეგ). რა თქმა უნდა.

მარინელი. მაშ წავიდეთ.

აპიანი. საით?

მარინელი. დოზალოში, პრინცთან. ყველაფერი უკვე მზად არის. დღესვე უნდა გაემგზავროთ.

აპიანი. რას ამბობთ?.. დღესვე?

მარინელი. უმჯობესია ამ საათშივე. ნულარ დააყოვნებთ. საქმე ძალზე სასწრაფოა.

აპიანი. მართლა? თუ ასეა, დიდად ვწუხვარ, რომ უარი უნდა ვთქვა იმ პატივზე, რომელსაც მე პრინცი მღებს.

მარინელი. რაო?

აპიანი. მე არ შემიძლია დღეს გავემგზავრო, არც ხვალ და არც ზეგ...

მარინელი. თქვენ ხუმრობთ, ბატონო გრაფო?

აპიანი. თქვენთან?

მარინელი. პირდაპირ შეუდარებელია! თუ ეს ხუმრობა პრინცს ეხება, იგი მით უფრო გასართობია... მაშ არ შეგიძლიათ გაემგზავროთ?

აპიანი. არა, ბატონო ჩემო, არა! იმედი მაქვს, რომ თვითონ პრინცი ჩათვლის ჩემს ბოდის ყურადღების ღირსად.

მარინელი. რომელსაც მეც დიდი ინტერესით მოვისმენდი.

აპიანი. ო, დიდი არაფერია! საქმე ის არის, რომ მე დღეს ცოლს ვირთავ.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მერე?

ა ბ ი ა ნ ი. მერე?.. მერე?.. თქვენი კითხვა ძალზე გულ-  
უბრყვილოა.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, გრაფო, როცა ქორ-  
წინება გადაუდვიათ. მე, რა თქმა უნდა, არა ვფიქრობ, რომ ამით  
საცოლესა თუ საქმროსათვის ყოველთვის დიდი სამსახური გაუწე-  
ვიათ. საქმეს შეიძლება არასასიამოვნო მხარეც გააჩნდეს. მაგრამ მე  
მაინც ვფიქრობ, რომ ბრძანება მეფისა...

ა ბ ი ა ნ ი. ბრძანება მეფისა? მეფისა? მეფე, რომელსაც შენ  
თვითონ ირჩევ, არცთუ მთლად მეფეა. გეთანხმებით, რომ თქვენ  
მოვალენი ხართ პრინცს უსიტყვოდ დამორჩილოთ. მე კი — არა.  
სასახლის კარზე მე ჩემი სურვილით ჩამოვედი. მსურდა პატივი მქო-  
ნოდა პრინცთან მემსახურნა, მაგრამ ის კი არა, რომ მის მონად გადაე-  
ქცეულიყავი... მე ვარ ვასალი უფრო დიდი მეფისა.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. დილია თუ პატარა, მეფე მეფეა.

ა ბ ი ა ნ ი. მაგაზე არ დაგიწყებთ დავას!.. კმარა! მოახსენეთ  
პრინცს ყველაფერი, რაც აქ მოისმინეთ: დიდად გწუხვარ, რომ ვერ  
ვისარგებლებ მისი მოწყალებით, რადგან სწორედ დღეს ჯვარს  
ვიწერ, რაც შეადგენს მთელ ჩემს ბედნიერებას.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ხომ არ გნებავთ, ისიც მოვახსენო, ვისზე?

ა ბ ი ა ნ ი. ემილია გალოტიზე.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ამ ოჯახის შვილზე?

ა ბ ი ა ნ ი. ამ ოჯახისა.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ჰმ! ჰმ!

ა ბ ი ა ნ ი. რა გნებავთ?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მე ვფიქრობ, რაკი ეს ასეა, უფრო მცირე დაბრ-  
კოლება გველოება, რომ ეს ცერემონია თქვენს დაბრუნებამდე  
გადაიდოს.

ა ბ ი ა ნ ი. ცერემონია? მხოლოდ ცერემონია?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. კეთილი მშობლები ამას არ იწყენენ.

ა ბ ი ა ნ ი. კეთილი მშობლები?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. და ემილიაც ხომ თქვენი იქნება უეჭველად.

ა ბ ი ა ნ ი. უეჭველად? მაგ „უეჭველობით“ თქვენ უეჭველი  
მამიშური ხართ.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ამას მე მკადრებთ, გრაფო?

ა ბ ი ა ნ ი. რატომაც არა?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ჰოი, ზეტავ და ჯოჯოხეთო! ჩვენ ამაზე კიდევ  
მოვილაპარაკებთ.

ა ბ ი ა ნ ი. მამიშური. ავზე ავია, მაგრამ..

მ ა რ ი ნ ე ლ ი. სიკვდილი და შერყენება! გრაფო, მე მოვიტხოვ დაკმაყოფილებას.

ა ბ ი ა ნ ი. ეს თავისთავად იგულისხმება.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მე მას ახლავე მივიღებდი, მაგრამ არ მინდა გულჩვილ საქმროს დღევანდელი დღე ჩავეუმწარო.

ა ბ ი ა ნ ი. გულკეთილო ქმნილებავ! არა! არა! (სტაცებს ხელს.) მასსაში, რა თქმა უნდა, დღეს ვერ გავემგზავრები, მაგრამ თქვენთან გასასეირნებლად საკმაოდ დრო მაქვს, წამოზრძანდით! წამოზრძანდით!

მ ა რ ი ნ ე ლ ი (ხელიდან დაუსხლტება და გადის). მოთმინება იქონიეთ, გრაფო, მოთმინება!

### გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე თ ი ა რ თ ი მ ი ბ ე

ა ბ ი ა ნ ი. კ ლ ა ვ დ ი ა გ ა ლ ო ტ ი.

ა ბ ი ა ნ ი. გასწი, საზიზღარო ადამიანო! აპ! ამან კარგად იმოქმედა ჩემზე. სისხლი ამიღელევა. სულ სხვაგვარად, კარგად ვგრძნობ თავს.

კ ლ ა ვ დ ი ა (შემოდის აჩქარებით, შეშფოთებული). ღმერთო ჩემო! გრაფო! ცხარე კამათის ხმა შემომესმა... სახე მთლად აგნთებიან. რა მოხდა?

ა ბ ი ა ნ ი. არაფერი, ქალბატონო, სრულებით არაფერი. კამერპერმა მარინელიმ დიდი სამსახური გამიწია: დამიხსნა პრინცთან წასვლისაგან.

კ ლ ა ვ დ ი ა. ნამდვილად?

ა ბ ი ა ნ ი. ახლა ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო ადრე გავემგზავროთ. წავალ, ჩემს ხალხს ავაჩქარებ და ახლავე დაგბრუნდები; ამა-სობაში ემილიაც მოემზადება.

კ ლ ა ვ დ ი ა. შემიძლია სრულიად დამშვიდებული ვიყო, გრაფო?

ა ბ ი ა ნ ი. სრულიად დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ქალბატონო. (გადის. კლავდია შედის მეზობელ ოთახში.)

## მოქმედება მისამე

სცენა წარმოადგენს პრინცის გასართობი სასახლის წინა დარბაზს.

### გამოსვლა პირველი

პრინცი. მარინელი.

მარინელი. ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა. გრაფმა უდიდესი ზიზღით უარპყო მისთვის შეთავაზებული პატივი.

პრინცი. მაშ საქნე ადგილიდან აღარ იძვრის? მაშ უნდა აღსრულდეს? მაშ ემილია დღესვე მისი შეიქნება?

მარინელი. როგორც ჩანს.

პრინცი. მე კი ასე ბევრს მოველოდი თქვენი გეგმისაგან. ვინ იცის, როგორ უჭკუოდ მოიქეცით. თუ სულელი უნებლიეთ კარგ რჩევას მოგვცემს, მისი ასრულება ჭკვიან კაცს უნდა დააუვალო. მე ეს უნდა გამეთვალისწინებინა.

მარინელი. აი როგორ დამაჯილდოვეს!

პრინცი. რისთვის უნდა დამეჯილდოვებინეთ?

მარინელი. იმისთვის, რომ ამის გამო სიცოცხლე საფრთხეში ჩავიგდე. როცა დავინახე, რომ ვერც სერიოზული ლაპარაკითა და ვერც დაცინვით ვერ დავითანხმე გრაფი, სიყვარული პატივზე გაეცვალა, შევეცადე მოთმინებიდან გამომეყვანა იგი. ისე წარვმართე საუბარი, რომ გულმოსულს მთლად დაავიწყდა თავი. მან ლანძღვა დამიწყო, მე კი დაკმაყოფილება მოვითხოვე, იქვე, ადგილზე. ვფიქრობდი, ან მოვკლავ, ან შევაკვდები-მეთქი. თუ მოვკლავდი, მაშინ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა, თუ ის მომკლავდა, რა უშავდა მერე? მაშინ გრაფს გაქცევა მოუხდებოდა, პრინცი კი, ყოველ შემთხვევაში, დროს მაინც მოიგებდა.

პრინცი. თქვენ ამას გააკეთებდით, მარინელი?

მარინელი. ეჰ, წინასწარ უნდა იცოდეთ, როცა ასეთი სულელური ნაბიჯის გადასადგმელად ემზადები, რათა თავი ამა ქვეყნის ძლიერთ შესწირო, — წინასწარ უნდა იცოდეთ, თუ როგორ დაგიმადლებენ ამას.

პ რ ი ნ ც ი. გრაფმა რაღა ქნა? ამბობენ, რომ ასეთ რამეს იგი მეორედ არ გათქმევინებს ხოლმე.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ვითარებას გააჩნია, რა თქმა უნდა... ამას ვერავინ უსაყვედურებს გრაფს. მან მიპასუხა, რომ დღეს უფრო მნიშვნელოვანი საქმე აქვს, ვიდრე ჩემთან დუელში გამოსვლა, და შეხვედრა დამინიშნა ერთი კვირის შემდეგ თავისი ქორწინებისა.

პ რ ი ნ ც ი. ემილია გალოტიზე! ამაზე უბრალო ფიქრიც კი ცოფსა მგვრის. თქვენ კი ამით დაკმაყოფილდით და წამოხვედით. ახლა კი ჩემთან გამოცხადდით და თავს იქებთ, რომ ჩემი გულისათვის სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდეთ, რომ ჩემთვის თავს მსხვერპლად სწირავდით.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. რაღა უნდა გამეკეთებინა ამაზე მეტი, თქვენო ბრწყინვალეზავ?

პ რ ი ნ ც ი. ამაზე მეტი? თითქოსდა რამე გააკეთეთ!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ნება მიბოძეთ, ახლა მეც მოვისმინო, თქვენო ბრწყინვალეზავ, თქვენ თვითონ რაღა გააკეთეთ... თქვენ ბედნიერება მოგცემიათ მას ეკლესიაში გასაუბრებოდით: რა მოილაპარაკეთ?

პ რ ი ნ ც ი (ზაზლით). ეს რა ცნობისმოყვარეობაა! ისღა დამრჩენია, რომ დავაკმაყოფილო იგი. ო, ყოველივე ისე მოხდა, როგორც მსურდა, თქვენ არაფერზე ზრუნვა აღარ დაგჭირდებათ, ჩემო ყოვლად დაუზარელო მეგობარო! იგი ჩემს სურვილებს თითქმის დაეთანხმა. მე ის მაშინვე თან უნდა წამომეყვანა. (ცოვად და ბრძანებით) ახლა თქვენ გაიგეთ, რის გაგებაცა გსურდათ... შეგიძლიათ მიბრძანდეთ!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. „შეგიძლიათ მიბრძანდეთ!..“ დიახ, დიახ, ესაა სიმღერის დასასრული. ასევე მოხდებოდა მაშინაც, თუ შევეცდებოდი შექმნისრულებინა შეუძლებელი... შეუძლებელი, ვთქვი მე?.. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შეუძლებელი, მაგრამ საკმაოდ სასიფათო და გაბედული კი გახლდათ. საპატარძლო ხელთ რომ გვყოლოდა, თავსა ვღებ, ქორწინება არ შესდგებოდა.

პ რ ი ნ ც ი. ეპ, ეს კაცი რაღაზე არა სდებს თავსა. მე მხოლოდ დამჭირდებოდა მომეცა თქვენთვის ჩემი მცველი რაზმი, ჩასაფრდებოდით შარაგზაზე, თავს დაესხმოდით ეტლს ორმოცდაათიოდუ ჯარისკაცით, მოიტაცებდით ქალიშვილს და ზემით მოიყვანდით ჩემთან.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. განა არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ქალიშვილი ძალით წაუყვანიათ და ეს გატაცებად არ მიუჩნევიათ?

პ რ ი ნ ც ი. თქვენ რომ ამის გაკეთების უნარი შეგწევდეთ, ამაზე ეგრე დიდხანს არც ილაყებდით.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. საქმის შედეგზე კი კაცმა არ შეიძლება თავი დასდოს... ამას ყოველთვის შეიძლება უბედური შემთხვევა მოჰყვეს.

პ რ ი ნ ც ი. ეს ხომ ჩემი ჩვეულებაა, რომ ადამიანებს იმის პასუხისმგებლობა დავაკისრო, რაზედაც ისინი პასუხს ვერ აგებენ.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მაშ, თქვენო ბრწყინვალებავე... (მოისმის სროლის ხმა). აჰ, ეს რას ნიშნავს?.. მართლა მომესმა?.. სროლის ხმა არ გაგონიათ, თქვენო ბრწყინვალებავე? აი კიდე!

პ რ ი ნ ც ი. რა ამბავია? რა მოხდა?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. როგორ ფიქრობთ, რა იქნება, მე რომ უფრო მოქმედი აღმოვჩნდე, ვიდრე თქვენა გგონიათ?

პ რ ი ნ ც ი. უფრო მოქმედი?.. მაშ მითხარით...

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ერთი სიტყვით, რასაც ახლა გეუბნებოდით, უკვე სრულდება.

პ რ ი ნ ც ი. ნუთუ?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ოღონდ ნუ დაივიწყებთ, პრინცო, რასაც ახლა მპირდებით... მე კიდე მახსოვს თქვენი სიტყვა.

პ რ ი ნ ც ი. მაგრამ ზომები მაინც ისეთია, რომ...

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ისეთი, როგორიც კი შეიძლება ყოველთვის არსებობდეს. ასრულება ისეთ ადამიანებსა აქვს მინდობილი, რომელთაც შეიძლება ვენდო. გზა ზედ სამხეცის გალავანთან გადის. ჩემი ხალხის ნაწილი აქ ეტლს თავს დაესხმის, თითქოს გაძარცვას მიზნით, დანარჩენნი კი, რომლებთანაც ერთ-ერთი ჩემი მსახური იმყოფება, სამხეციდან გამოცვივნიან თითქოსდა დაზარალებულთა დასახმარებლად. შეტაკების დროს, რომელსაც განგებ დაიწყებენ ერთნიც და მეორენიც, ჩემმა მსახურმა ხელი უნდა სტაცოს ემილიას, ვითომდა მის გადასარჩენად, სამხეცეზე გამოათაროს და მოიყვანოს სასახლეში... ასეთია ჩვენი მოლაპარაკება. ახლა რაღას იტყვით, პრინცო?

პ რ ი ნ ც ი. პირდაპირ მანცვიფრებთ თქვენი უჩვეულო განზრახვით... და შიშიც მიჰყრობს... (მარინელი მიდის ფანჯარასთან.) რას უტყვრით?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ეს იქ უნდა იყოს!.. ნამდვილად! ვილაც ნიღბოსანი გადმოეშვა გალავანზე... უეჭველია, იმისათვის, რომ მაცნობოს საქმის წარმატება... ახლა კი წაბრძანდით, თქვენო ბრწყინვალებავე.

პ რ ი ნ ც ი. ეჰ, მარინელი...

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ახლა? ხომ მართალია, რომ ახლა ძალზე ბევრი გავაკეთე, ხოლო ერთი წუთის წინ კი ძალზე ცოტა?

პ რ ი ნ ც ი. არა, ეგ არა. მაგრამ ჩემთვის მაინც გაურკვეველია...

მ ა რ ი ნ ე ლ ი. გაურკვეველი? სჯობს, ყველაფერი ერთბაშად შეიტყოთ... სასწრაფოდ გაგვეცალეთ; ნიღბოსანმა არ უნდა გნახოთ.  
(პრინცი გადის.)

### გამოსვლა მეორე

მ ა რ ი ნ ე ლ ი, მალე მის შემდეგ ანჯელო.

მ ა რ ი ნ ე ლ ი (ისევ ფანჯარასთან ზოვა). ეტლი ნელ-ნელა ბრუნდება ქალაქისაკენ... როგორ ნელა მიდის!.. და ყოველ კარს თითო მსახური უდგას!.. ეს უკვე აღარ მომწონს... ჩანს, საქმე სანახევროდ მოუგვარებიათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ფრთხილად მიასვენებენ დაჭრილსა და არა მკვდარს. ნიღბოსანი გადმოდის. ეს თვითონ ანჯელოა. თავზე ხელაღებული მან აქ ყველა შემოსაძვრომი იცის. რაღაცას მანიშნებს; ჩანს, დარწმუნებულია თავის საქმის წარმატებაში. ეპ! ბატონო გრაფო, მასსას წასვლა არ ინებეთ, ახლა კი უფრო შორს უნდა გაემგზავროთ. ასე კარგად ვინ გაგაცნოთ მაიმუნები? (გაუმართება კარუბისაკენ.) დიახ, ისინი ძალზე ავები არიან! რას იტყვი, ანჯელო?

ა ნ ჯ ე ლ ო (იხსნის ნიღბს). მზად იყავით, ბატონო კამერჰერ! ქალს ახლავე მოიყვანენ.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. როგორ გათავდა საქმე?

ა ნ ჯ ე ლ ო. ჩემი აზრით, ძალიან კარგად.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. რა მოუვიდა გრაფს?

ა ნ ჯ ე ლ ო. მზად ვარ, გემსახუროთ! ესეც ასე!.. მაგრამ იგი ვიღაცამ გააფრთხილა, რადგან არცთუ ისე მოუშადადებელი დაგვხვდა.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. სასწრაფოდ მითხარით ყველაფერი. იგი მოკვდა?

ა ნ ჯ ე ლ ო. ძალზე მენანება კეთილი ბატონი.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მაშ, აჰა, მაგ გულჩვილობისათვის! (აძლევს ოქროთი სავსე ქიას.)

ა ნ ჯ ე ლ ო. ბოლო მოედო ჩემი ყოჩალი ნიკოლოს სიცოცხლესაც! მანაც გაიღო თავისი ხარკი.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ოჰო! ზარალი ორივე მხრიდან?

ა ნ ჯ ე ლ ო. ლამისაა ცრემლი ვღვარო ამ პატიოსანი ბიჭის გამო! თუმცა მისი სიკვდილი (შეარხვეს ქიას ხელში.) მეოთხედით მიიღიდებს ამას. (ხელით სწონის ქიას.) მე ხომ მისი მემკვიდრე ვარ, რადგან შური ვიძიე მისთვის. ასეთია ჩვენი კანონი: საუკეთესო კანონი, როგორც კი, ჩემი აზრით, შექმნილა ერთგულებისა და მეგობრობისათვის. ეს ნიკოლო, ბატონო კამერჰერ...



მარიხელი. რა გააჭირე საქმე მაგ შენი ნიკოლოთი!.. შენ ის მითხარ, გრაფს რა მოუვიდა?

ანჯელო. ეშმაკსაც წაუღია გრაფი მას მოხერხებულად გაუ-მასპინძლდა, მე კი გრაფს გავუსწორე ანგარიში. იგი ძირს დაეცა; და თუკი ცოცხალი შევიდა ეტლში. პირობას ვდებ, რომ იქიდან ცოცხალი ვეღარ გამოვა.

მარიხელი. თუ ყველაფერი ნამდვილად ასეა, ანჯელო.

ანჯელო. დაე დაეკარგო თქვენთან სამსახური, თუ ეს მართალი არ იყოს!.. კიდეც რას მიბრძანებთ? მე ხომ შორი გზა მელის... ჩვენ გვინდა დღესვე გადავლახოთ საზღვარი.

მარიხელი. მაშ გასწი.

ანჯელო. თუ კიდეც რამე დაგჭირდეთ, ბატონო კამერპერ, ხომ იცით, სადაც უნდა მომიკითხოთ. თუ სხვა ვინმეს შეუძლია რამე გაბედოს, არც ჩემთვის იქნება დიდი ბედენა. თანაც ყველაზე იაფი გახლავართ. (გაღს.)

მარიხელი. ეს კარგია! მაგრამ არც მთლად კარგი... ეჰ, ანჯელო! როგორი სიძუნწე გამოგიჩენია! იგი ღირსი იყო მეორე ტყვიისაც. ვინ იცის, როგორ იტანჯება ის ახლა, საბრალო გრაფი!.. ღმერთმა შეგარცხვინოს, ანჯელო! ეს იმას ნიშნავს, რომ მეტად გულქვად ეწეოდე შენს ხელობას და საქმეს ზიანს აყენებდი!.. მაგრამ პრინცმა ეს ამბავი ჯერ არ უნდა შეიტყოს. დაე ჯერ თვითონ მიხვდეს, თუ რა სასარგებლოა ეს სიკვდილი მისთვის... ეს სიკვდილი... რას არ მივცემდი, რომ ამ სიკვდილში ვინმე დამარწმუნებდეს.

### გამოსვლა მისამე

პრინცი. მარიხელი.

პრინცი. აი, ის ხეივანს მოჰყვება. მოიჩქარის, მსახურს გამო-ასწრო. თითქოს შიშმა ფრთები შეასხაო. ვერაფერს ვერ მიხვდარა, მხოლოდ ისა ჰგონია, რომ ყაჩაღებს გადაურჩა... მაგრამ რამდენ ხანს გაგრძელდება ასე?

მარიხელი. მაგრამ ის ხომ ახლა ჩვენს ხელშია.

პრინცი. განა დედა არ მოსძებნის თავის ქალიშვილს? განა გრაფი არ მოჰყვება მას? რა უნდა ექნათ მერე? როგორ შევძლო, რომ ემილია მათთან არ გაეშვა?

მარიხელი. ყოველივე მაგაზე; ცხადია, ახლა არ შემიძლია გიპასუხოთ, მაგრამ ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ მოვიქცეთ. მოითმინეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ. პირველი ნაბიჯი ხომ უნდა გადაგვადგა?

პ რ ი ნ ც ი. რისთვის? თუ ჩვენ ისევ უკანდახევა მოგვიხდება?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. იქნებ არც მოგვიხდეს. აქ ბევრი რამაა ისეთი, რაზედაც შეგვეძლება დავემყაროთ... ნუთუ დაგავიწყდათ ყველაზე მთავარი?

პ რ ი ნ ც ი. როგორ შემიძლია დავივიწყო ის, რაზედაც, რა თქმა უნდა, ჯერ არც კი მიფიქრია? ყველაზე მთავარი? რა არის მთავარი?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ხელოვნება მოწონებისა, ხელოვნება დარწმუნებისა. შეყვარებულ პრინცს ეს არასოდეს შემოპკლებია.

პ რ ი ნ ც ი. არასოდეს შემოპკლებია? გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი ყველაზე მეტად იყო მისთვის საჭირო... დღეს შე ძალზე დიდი მარცხი განვიცადე, როცა ვცადე ამ ხელოვნების გამოყენება. ვერც ქათინაურებით, ვერც ფიცით მისი ბაგიდან ერთი სიტყვის წამოცდენაც კი ვერ შევიძელი. დამუნჯებული, თავჩაღუნული და აცახცახებული იდგა იგი ჩემს წინ, თითქოს დამნაშავეა და სასიკვდილო განაჩენს ისმენსო. მეც გადამედო მისი შიში, აცახცახდი და, ბოლოს, პატიება ვთხოვე. ვერც კი გავბედავ, ხელახლა დაველაპარაკო. ყოველ შემთხვევაში, მას აქ ვერ დავხვდები. მარინელი, თქვენ უნდა მიიღოთ იგი. მე კი აქ, ახლოს ვიქნები, მოგისმენთ, საქმე რა მიმართულებას მიიღებს და შემოვალ, როგორც კი ძალას მოვიკრებ.

### გამოსვლა მიოთხე

მ ა რ ი ნ ე ლ ი და მალე მის შემდეგ მისი მსახური

ბ ა ტ ი ს ტ ა ე მ ი ლ ი ა ს თ ა ნ ერთად.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. თუ მან თავისი თვალით ვერ დაინახა, როგორ დაეცა გრაფი... მას არც შეეძლო ეს დაენახა, ის ხომ ასე სასწრაფოდ გამოიქცა იქიდან... იგი მოდის. მეც არ მინდა ვიყო ის პირველი კაცი, რომელიც აქ მას თვალში ეცემა (შიიმალეა დარბაზის უკანა კუთხეში).

ბ ა ტ ი ს ტ ა. აქ შემობრძანდით, ფროილიან.

ე მ ი ლ ი ა (მძიბულ სუნთქავს). ოჰ!.. ოჰ!.. გმადლობთ, მეგობარო. გმადლობთ... მაგრამ, ღმერთო, ღმერთო! სად ვიმყოფები?.. და მთლად მარტო? სად დარჩა დედაჩემი? სად არის გრაფი? ისინიც ხომ მოდიან? ისინიც ხომ ფეხდაფეხ მოგვყვებიან?

ბ ა ტ ი ს ტ ა. მე მგონია.

ე მ ი ლ ი ა. თქვენ გგონიათ? მაშ თქვენ არ იცით? თქვენ დედაჩემი არ გინახავთ? განა ჩვენს უკან არ ისროლეს?

ბ ა ტ ი ს ტ ა. ისროლეს?.. ვითომ?

ემილია. რალა თქმა უნდა, და ტყვია ან გრაფს, ან დედაჩემს მოახვედრეს...

ბატისტა. ახლავე წავალ მათ სანახავად.

ემილია. უჩემოდ არ წახვიდეთ. მეც მინდა თქვენთან ერთად წამოვიდე; მეც უნდა წამოვიდე. წავიდეთ, ჩემო მეგობარო!

მარინელი (უცხრად გამოვა, თითქოს ახალა შემოვიდა). აჰ, ფროილანი! რა უბედურება ან, უფრო სწორად, რა ბედნიერება, რა ბედნიერი უბედურება გვანიჭებს ასეთ პატივს...

ემილია (განცვიფრებული). როგორ? თქვენ აქ ბრძანდებით, ბატონო ჩემო?.. მაშ მე თქვენთან ვიმყოფები?.. მომიტევეთ, ბატონო კამერპერ. აქედან არცთუ ისე შორს ყაჩაღები დაგვესხენ თავსა. კეთილი ხალხი მოგვეშველა. ამ პატიოსანმა კაცმა გამომიყვანა ეტლიდან და აქ მომიყვანა... მაგრამ მეშინია, მარტო მე ხომ არ გადავრჩი ცოცხალი. დედაჩემი ისევ საფრთხეშია. ჩვენს უკან ისროლეს კიდეც. იქნებ ის მოკლეს, მე კი ცოცხალი ვარ ისევ, მაპატიეთ... უნდა წავიდე, უნდა დავბრუნდე იქ, საიდანაც ფეხი არ უნდა მომეცვალა.

მარინელი. დამშვიდდით, ფროილანი. ცუდი არაფერი შეეძახეოდათ. ვინც თქვენ ასე გიყვართ, ვისზედაც ესოდენ ნაზად სწუხართ, ახლავე თქვენთან გაჩნდებიან. წადი მაინც, ბატისტა, გაიქცე: მათ იქნებ არც კი იციან, სად იმყოფება ფროილანი. იქნებ მას ბალის რომელიმე შენობაში დაეძებენ. დაუყოვნებლივ მოიყვანე ისინი აქ. (ბატისტა გაღის.)

ემილია. მართლა? ყველა გადარჩა? არაფერი დაუშავდათ? ო, რა საშინელი დღე დამიდგა!.. მაგრამ მე აქ არ უნდა დავრჩე, მათ შესახვედრად უნდა გავეშურო.

მარინელი. ეს რად გჭირდებათ, ფროილანი? დასუსტებული ძლივსღა სუნთქავთ, ჯერ დაისვენეთ და დამშვიდდით; შებრძანდით მეორე ოთახში, სადაც უფრო მოხერხებულად იგრძნობთ თავს. ნიძლავს ვღებ, რომ პრინცი იქ უკვე ამშვილებს თქვენს ძვირფას პატივცემულ დედას და მალე კიდეცაც მოგიყვანთ მას.

ემილია. ვინ? რა ბრძანეთ?

მარინელი. თვით ჩვენი უბრწყინვალესი პრინცი.

ემილია (ძალზე შემკრთალი). პრინცი?

მარინელი. როგორც კი შეიტყო ეს ამბავი, მაშინვე გამოქანდა თქვენს დასახმარებლად. იგი ძალზე გულმოსულია, როპ ამგვარი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს ასე ახლოს, თითქმის მის თვალთა წინ. პრინცმა უკვე ბრძანება გასცა, რომ მოძებნონ დამნაშავენი და, როგორც კი იპოვნიან, გაუგონარ სასჯელს დაადებს მათ.

ე მ ი ლ ი ა. პრინცი?.. მაშ მე სად ვიმყოფები?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. დოზალოში, პრინცის გასართობ ციხე-დარბაზში.

ე მ ი ლ ი ა. რა უცნაური შემთხვევაა. მაშ ფიქრობთ, რომ თვითონ პრინცი აქ მალე მოვა?.. მაგრამ, რა თქმა უნდა, დელაჩემთან ერთად? მ ა რ ი ნ ე ლ ი. აი ისიც.

### გამოსვლა მისუთი

პ რ ი ნ ც ი. ე მ ი ლ ი ა. მ ა რ ი ნ ე ლ ი.

პ რ ი ნ ც ი. სად არის იგი? სად? თქვენ გეძებთ ყველგან, უმშვენიერესო ფროილან. თავს ხომ კარგადა გრძნობთ? მაშ ყველაფერა რიგზეა. გრაფი, დელათქვენი...

ე მ ი ლ ი ა. აჰ, თქვენო ბრწყინვალებაე! სად არიან ისინი? სად არის დელაჩემი?

პ რ ი ნ ც ი. ახლოს, აქვე, ძალზე ახლოს.

ე მ ი ლ ი ა. ღმერთო, რა მდგომარეობაში მყოფს ვიხილავ ან ერთს ან მეორეს! ხომ ნამდვილად ვიხილავ?.. მაგრამ რაღაცას მიმალავთ, თქვენო ბრწყინვალებავ.. ვხედავ, რაღაცას მიმალავთ.

პ რ ი ნ ც ი. არა, არა, ძვირფასო ფროილან.. მომეცით ხელა და უშიშრად გამომეყევით.

ე მ ი ლ ი ა (ყოყმანით). მაგრამ... თუ მათ არაფერი არ დაემართათ... თუ წინაგრძნობა მატყუებს... რატომ არ არიან ისინიც აქ? რატომ ისინიც არ მოვიდნენ თქვენთან ერთად, თქვენო ბრწყინვალებავ?

პ რ ი ნ ც ი. მაშ ისწრაფეთ, ჩემო ფროილან, რომ ნახოთ, თუ რა უეცრად გაჰქრებიან ეს საშინელი სურათები...

ე მ ი ლ ი ა. რა ვქნა! (ხლებს იმტვრევს.)

პ რ ი ნ ც ი. როგორ, ჩემო ფროილან? მე არ მენდობით?

ე მ ი ლ ი ა (დაეკუბა პრინცის ფრთით). თქვენს ფრთით, თქვენო ბრწყინვალებავ...

პ რ ი ნ ც ი (წამოაყენებს). დიდად შერცხვენილი ვარ... დიახ, ემილია, მე დავიმსახურე ეს მღუშარე საყვედური... ჩემს ამლილანდელ საქციელს ვერაფერი გაამართლებს... უკეთეს შემთხვევაში მისი შენდობა შეიძლება. მომიტევეთ ჩემი სისუსტე. არ უნდა შემეწუხებინეთ არავითარი აღიარებით, რომლისგანაც არ შემეძლო რაიმე წარმატების იმედი მქონოდა. საკმაოდ დავისაჯე კიდევაც იმ მღუშარე შეძრწუნებით, რომლითაც თქვენ მისმენდით, ანდა, უფრო სწორად, არ მისმენდით... და ეს შემთხვევა, რომლის წყალობით მე კვლავ მომეცა თქვენი ნახვის და თქვენთან საუბრის ბედნიერება, ვიღრე ჩემი იმე-

დები მთლად გაჰქრებოდნენ, ეს შემთხვევა შემეძლო მიმეჩნია კეთილ-  
მოწყალე ბედის ნიშნად... შემეძლო მიმეჩნია ჩემი საბოლოო განაჩე-  
ნის სასწაულებრივ დაყოვნებად, რათა ერთხელ კიდე გამებედა და  
მეთხოვა თქვენთვის პატიება, მაგრამ მე მსურს — ნუ თრთით,  
ფროილან! — მხოლოდ და მხოლოდ თქვენს მზერაზე ვიყო დამოკი-  
დებული. ვერც ერთი სიტყვა, ვერც ერთი ამოსუნთქვა ვერ მოგაყე-  
ნებთ შეურაცხყოფას... ოღონდ ნუ მაწამებთ თქვენი უნდობლობით.  
ოღონდ ერთი წუთითაც ნუ დაეჭვდებით, რომ ჩემზე განუსაზღვრელი  
ძალა არა გაქვთ. ნურასოდეს იფიქრებთ, რომ ჩემგან ვინმეს მიერ  
დაცვა დაგპირდებათ... ახლა კი, წამოდით, ჩემო ფროილან, წაგუ-  
დეთ, იქ, სადაც გელით საოცარი სიხარული, რომლის ღირსი თქვენ  
უფრო ბრძანდებით. (მიჰყავს თათქმის ძალდატანებით.) გამოგვეყვით,  
მარინელი!

**მარინელი.** „გამოგვეყვით“ — ეს ნიშნავს: ნუ გამოგვეყე-  
ბით!.. ან კი რისთვის უნდა გავყვე? დაე პრინცმა ახლა დაინახოს,  
როგორ შორს შესტოპავს მასთან პირისპირ დარჩენილი. ერთადერთი  
ჩემი საზრუნავი ის იქნება, ნება არავის მივცე, მათ ხელი შეუშალოს.  
გრაფისგან ამას აღარ მოველი. მაგრამ დედისგან, დედისგან! ძალზე  
გამაოცებდა ის ამბავი, რომ იგი ასე მშვიდად მოგვეცილებოდა და  
ბედის ანაბრად მიეტოვებინა თავისი ქალიშვილი. (შეშობს ბატისტა.)  
რაო, ბატისტა, რა ამბავი ისმის?

## ბამოსვლა მემქმსე

ბ ა ტ ი ს ტ ა . მ ა რ ი ნ ე ლ ი .

ბ ა ტ ი ს ტ ა . (აჩქარებით). დედა, ბატონო კამერპერ...

მ ა რ ი ნ ე ლ ი . მეც მაგას ვფიქრობდი!.. სად არის?

ბ ა ტ ი ს ტ ა . თუ არაფერს იღონებთ, ერთ წამში აქ შემოიჭ-  
რება... მე სრულებითაც არ მსურდა მისი მონახვა, როგორც ეს თქვენ  
განგებ მიბრძანეთ, ვიდრე მისი ყვირილი შორიდანვე არ შემომესმა.  
თავის ქალიშვილს კვალდაკვალ გამოჰყოლია და, ვინ იცის, ყველა-  
ფერს მიგვიხვდა! ყველა, ვინც კი ამ მიყრუებულ კუთხეში ცხოვრობა.  
მის ირგვლივ შემოკრება და ყოველ მათგანს სურს გამოაცილოს. არ  
ვიცი, უკვე უთხრეს თუ არა, რომ პრინცი აქ ბრძანდება და თქვენც  
აქ იმყოფებით... რას აპირებთ?

მ ა რ ი ნ ე ლ ი . ვნახოთ!.. (ფიქრობს.) არ შემოვუშვათ, როცა იცის,  
რომ მისი ქალიშვილი აქ არის?.. არ ივარგებს... როგორ დააჰყუტეს  
თვალებს, მგელს კრავთან რომ დაინახავს!.. თვალებს? ამას კიდე  
არა უშავს რა. ჩვენი ყურები კი ზეცამ შეიბრალოს!.. მერე რა!..

ყველაზე მაგარ ფილტვებსაც კი შემოეღევა ძალა, თუნდაც ქალისა იყოს. ისიც შესწყვეტს ყვირილს, როცა უკვე აღარ შეეძლება... მაგრამ ის მაინც დედაა და საჭიროა ჩვენსკენ გადმოვიბიროთ... თუ მე დედებს კარგად ვიცნობ, პრინცის სიდედრნაცვლობაც კი მათ უმრავლესობას უნდა ხიბლავდეს... შემოვიდეს, ბატისტა, შემოვიდეს!

ბ ა ტ ი ს ტ ა. გესმით? გესმით?

კ ლ ა ვ დ ი ა გ ა ლ ო ტ ი (სცენის გარედან). ემილია! ემილია! სადა ხარ, ჩემო ბავშვო?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. წადი, ბატისტა, და ეცადე ცნობისმოყვარე თანამგზავრები ჩამოაცილო.

### გამოსვლა მეშვიდე

კ ლ ა ვ დ ი ა გ ა ლ ო ტ ი. ბ ა ტ ი ს ტ ა. მ ა რ ი ნ ე ლ ი.

კ ლ ა ვ დ ი ა (შემოდის კარებში იმ წუთს, როცა ბატისტას სურს გასვლა). აჰ! აი ამან გამოიჩატა ემილია ეტლიდან! ამან წამოიყვანა! გიცანის. სად არის ჩემი ქალიშვილი? ხმა ამოიღე, უბედურო!

ბ ა ტ ი ს ტ ა. ეს არის თქვენი მადლობა?

კ ლ ა ვ დ ი ა. ო, თუკი მადლობას იმსახურებ, (შერბილებული კილოთი) მაშინ მაპატიე, პატიოსანო კაცო!.. სად არის იგი? ნულარ გამიგრძელებ მასთან განშორების წუთებს! სად არის ემილია?

ბ ა ტ ი ს ტ ა. ო, თქვენო მოწყალეზავ, იგი თვით სამოთხეშიც კი ამაზე უშიშრად არ შეიძლება ყოფილიყო... აი ჩემი ბატონი, რომელიც თქვენს მოწყალეზავს მასთან მიიყვანს. (დანარჩენთ, რომელთაც შემოსვლა სურთ) ჰეი, თქვენ! უკან დაიწიეთ!

### გამოსვლა მერვე

კ ლ ა ვ დ ი ა გ ა ლ ო ტ ი. მ ა რ ი ნ ე ლ ი.

კ ლ ა ვ დ ი ა. შენი ბატონი? (მარიულის დანახვაზე უკან დაიხვეს.) აჰ!.. ეს არის შენი ბატონი? თქვენ აქ ბრძანდებით, ბატონო? აქაა ჩემი ქალიშვილი? და თქვენ, თქვენ უნდა მიმიყვანოთ მასთან?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. უდიდესი სიამოვნებით, ქალბატონო.

კ ლ ა ვ დ ი ა. მოიცათ! ახლალა მომაგონდა... ეს ხომ თქვენ იყავით, არა? ამ დილით გრაფს რომ ჩემს სახლში მოაკითხეთ? მასთან მარტოდ რომ დაგტოვეთ? გრაფთან ჩხუბი რომ მოგივიდათ?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ჩხუბი? ეს ჩემთვის პირველი გაგონებაა. უბრალო კამათი პრინცის საქმეთა გამო.

კლავდია. თქვენ მარინელი არა გქვიათ?

მარინელი. მარკიზ მარინელი.

კლავდია. მაშ ეს ნამდვილად ასეა. მომისმინეთ, ბატონო მარკიზ... მარინელი... სახელი მარინელი იყო წარმოთქმული წყევლით... არა, კეთილშობილ ადამიანს ცილს ვერ დაფუძამებ! არავითარი წყევლით... წყველა ეს მე თვითონ დაფუძამე... სახელი მარინელი იყო მომაკვდავი გრაფის უკანასკნელი სიტყვა.

მარინელი. მომაკვდავი გრაფისა? გრაფი აპიანისა? გესმით, ქალბატონო, თქვენ სიტყვებში ყველაზე მეტად რა მიკოდავს გულს... მომაკვდავი გრაფისა?.. კიდევ რისი თქმა გინდოდათ, ვერ გამიგია.

კლავდია (მწარედ და ხელა). სახელი მარინელი იყო მომაკვდავი გრაფის უკანასკნელი სიტყვა! გესმით ახლა? პირველად ვერ მივხვდი... თუმცა ეს ისეთი ტონით იყო წარმოთქმული... ისეთი ტონით... მე ახლაც კი მესმის იგი... სადა მქონდა გონება. რომ მაშინვე ვერ მივხვდი, თუ რასა ნიშნავდა ეს ტონი?

მარინელი. მერე რა, ქალბატონო! მე თავიდანვე გრაფის მეგობარი ვიყავი, მისი უერთგულესი მეგობარი, ამგვარად. თუ მან სიკვდილის დროს წარმოსთქვა ჩემი სახელი...

კლავდია. და როგორი ტონით. მე არ შემიძლია ახლა აღვადგინო იგი, არ ძალმიძს გადმოგცეთ, მაგრამ იგი ყველაფერს შეიცავდა, ყველაფერს!.. რაო? ყაჩაღები იყვნენ, ჩვენ რომ თავს დაგვესხნენ?.. ისინი მკვლელები იყვნენ, მოსყიდული მკვლელები.. და მარინელი, მარინელი იყო უკანასკნელი სიტყვა, რომელიც მომაკვდავმა გრაფმა წარმოსთქვა! მერედა, როგორი ტონით!

მარინელი. როგორი ტონით? გაგონილა, რომ პატიოსანი კაცის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება დამყარებული იყოს ტონზე, რომელიც ვილაცამი შიშის წუთებში გაიგონა?

კლავდია. ნეტავ შემეძლოს სამსჯავროს წარუდგინო იგი, ეს ტონი! მაგრამ ვაი მე, უბედურს! ამის გამო ჩემი ქალიშვილი გადამავიწყდა. სად არის იგი? რა დამართა? ისიც მოკლეს? ჩემმა ქალიშვილმა რაღა დააშავა, თუ აპიანი შენი მტერი იყო?

მარინელი. შეშინებულ დედას ყველაფერს ვაპატიებ... წამობრძანდით, ქალბატონო... თქვენი ქალიშვილი აქ გახლავთ, მიზობელ ოთახში და ვიმედოვნებ, რომ შიშმა მთლად გაუარა. მას ნაზი მზრუნველობით თვითონ პრინცი ევლება თავს.

კლავდია. ვინ?.. ვინ თვითონ?

მარინელი. პრინცი.

კლავდია. პრინცი? ნამდვილი მითხარით, პრინცი? ჩვენ პრინცი?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მაშ სხვა პრინცი რომელი იქნება?

კ ლ ა ვ დ ი ა. თუ ასეა, უბედური დედა ვყოფილვარ... შერედა, მამამისი! მამამისი! იგი თავისი ქალიშვილის გაჩენის დღეს დასწყევლის. მეც შემაჩვენებს.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ღვთის გულისათვის, ქალბატონო! ეს რა აზრი დაგებადათ?

კ ლ ა ვ დ ი ა. ყველაფერი ნათელია. განა ასე არაა? დღეს ეკლესიაში ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის თვალწინ! უკვდავი ღმერთის თანდასწრებით... დაიწყო ეს საზიზღარი საქმე... დიახ, იქ დაიწყო... (მარინელის) მკვლელო, ლაჩარო, საზიზღარო მკვლელო! შენ არა გყოფნის სიმაჰაყე, რომ საკუთარი ხელით მოჰკლა, მაგრამ საკმაოდ არამზადა ხარ, რომ მოაკვლევინო სხვისი ავხორცობის დასაცხრომად! ყველა მკვლელს შორის ნაძირალავ... პატიოსანი მკვლელები თავიანთ წრეში შენ არ გაგირევენ! დიახ, შენ! შენ! ვაი, რომ ერთი სიტყვით ვერ შემოგანთხევ სახეში მთელ ჩემს ნაღველს, მთელ ჩემს დორბლს. შენ! შენ! მაჭანკალო!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. თქვენ ბოდავთ, კეთილო ქალო... მაგრამ ხმა მანც დაუწიეთ, ნუ ჰყვირით და დაფიქრდით, სად იმყოფებით.

კ ლ ა ვ დ ი ა. სად ვიმყოფები? დაფიქრდე, სად ვიმყოფები? რა ენაღვლება ძუ ლომს, რომელსაც ლეკვები მოსტაცეს, თუ რომელ ტყეში ღრიალებს?

ე მ ი ლ ი ა (სცენის გარედან). აჰ, დედაჩემი! მისი ხმა მესმის!

კ ლ ა ვ დ ი ა. მისი ხმა! ეს ჩემი ქალიშვილია! მან ჩემი ხმა გაიგონა, გაიგონა. მაშ არ უნდა მეყვირა?.. სადა ხარ, ჩემო ბავშვო? მოვდივარ, მოვდივარ! (შეარღება მეზობელ ოთახში, უკან მარინელი მისდევს.)



იგივე სცენა

გამოსვლა პირველი

პ რ ი ნ ც ი. მ ა რ ი ნ ე ლ ი.

პ რ ი ნ ც ი (გამოდის ოთახიდან). მობრძანდით, მარინელი! მე უნდა დავისვენო და თქვენგან მოვისმინო ახსნა-განმარტება.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. აი დედობრივი გაცოფებაც ამას ჰქვია! ჰა-ჰა-ჰა!

პ რ ი ნ ც ი. თქვენ იცინით?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. რომ გენახათ, პრინცო, როგორ მძვინვარებდა აქ, ამ დარბაზში დედა... თქვენ ხომ გესმოდათ, როგორ ყვიროდა იგი... და როგორ უცებ მოთვინიერდა თქვენი დანახვისთანავე... ჰა! ჰა! მე ხომ კარგად ვიცი, რომ არც ერთი დედა არ ამოჰკაწრავს პრინცს თვალებს, ჩემი ქალიშვილი რატომ მოგეწონაო.

პ რ ი ნ ც ი. ცუდი დამკვირვებელი ბრძანდებით!.. ქალიშვილი უგრძნობლად გადაესვენა დედის მკლავებზე. ამიტომ დაივიწყა დედამ თავისი რისხვა და არა ჩემს გამო. მან ქალიშვილი შეიბრალა და არა მე, თუ უფრო ხმამაღლა და გარკვევით არ მითხრა ის, რის მოსმენასა და გაგებას მე არ ვისურვებდი.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. სახელდობრ, რა, თქვენო ბრწყინვალეებავ!

პ რ ი ნ ც ი. რატომ თვალთმაქცობთ? სთქვით პირდაპირ, ეს მართალია თუ არა?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მართალიც რომ იყოს?

პ რ ი ნ ც ი. მართალი რომ იყოს?.. მაშ ეს მართალია? იგა მოკლეს? მოკლეს? (მუქარით) მარინელი! მარინელი!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მერე რა მოხდა?

პ რ ი ნ ც ი. ვფიცავ ღმერთს! ყოვლისშემძლე ღმერთს! მე ამ სისხლში ბრალი არ მიმიძღვის... ჩემთვის რომ წინასწარ გეთქვათ, ეს გრაფის სიცოცხლედ ეღირებო... არაფრის დიდებით არ დაგეთანხმებოდით, თუნდაც ეს საკუთარ სიცოცხლედ დამჯდომოდა!..

მ ა რ ი ნ ე ლ ი. თქვენთვის რომ წინასწარ მეთქვა? თითქოს მისი სიკვდილი მე განმეზარახოს! ანჯღელს ვუბრძანე, ზიანი არავისთვის

არ მიეყენებინა და ყოველივე მცირე ძალდატანების გარეშეც კა  
გათავდებოდა, რომ პირველად თვითონ გრაფს არ მიემართა ამისა-  
თვის, მან მოულოდნელად ისროლა და ძირს დასცა ერთ-ერთი  
ჩვენი კაცი.

პ რ ი ნ ც ი. ჭეშმარიტად, ის უნდა მიმხვდარიყო ხუმრობას.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მაშინ ანჯელო მთლად გაცოფდა და შური იძია  
ჰავისი ამხანაგის გულისთვის.

პ რ ი ნ ც ი. რა თქმა უნდა, ეს სავსებით ბუნებრივია!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ამის გამო მე ის საკმაოდ გაკვიცხე.

პ რ ი ნ ც ი. გააკვიცხეთ? რარიგ გულითადი მეგობრობა გამო-  
ვიჩენიათ! გააფრთხილეთ, რომ ფეხი არ შემოდგას ჩემს სამფლობე-  
ლოში, თორემ ჩემი გაკვიცხვა ეგზომ მეგობრული არ იქნება.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ძალიან კარგი! მე და ანჯელო, განზრახვა და  
შემთხვევითობა — ყველაფერი ეს ერთი და იგივეა... თუმცა ეს წინას-  
წარ დათქმული გეკონდა, თუმცა წინასწარ ასე ვიყავით შეთანხმე-  
ბული, რომ არავითარი უბედური შემთხვევა, რომელიც ამ დროს  
შეიძლება მომხდარიყო, დანაშაულში არ უნდა ჩაგვთვლოდა.

პ რ ი ნ ც ი. რომელიც ამ დროს შეიძლება მომხდარიყო? თუ  
რომელიც ამ დროს უნდა მომხდარიყო?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. უფრო და უფრო უკეთესსა ბრძანებთ! თქვენო  
ბრწყინვალეებავ, ვიდრე პირდაპირ მეტყობდეთ, ვინა გგონივართ,  
ერთადერთი მოსაზრება მომისმინეთ, გრაფის სიკვდილი ჩემთვის  
სულ ერთი როდია. მე ის დუელში გამოვიწვიე. მას უნდა დავეკმა-  
ყოფილებინე. გრაფმა კი ეს ქვეყანა ისე დატოვა, რომ ეს ვერ შეას-  
რულა და ჩემი ღირსება შელახული დარჩა. ვთქვათ, სხვა ვითარე-  
ბაში ღირსი ვარ ამ ეჭვისა, რომელსაც თქვენ შეუბყრიხართ, მაგ-  
რამ ნუთუ ამ შემთხვევაშიც?.. (თვალთმაქცური გაცხარებით) ვის შეუძ-  
ლია ჩემზე ეს იფიქროს?

პ რ ი ნ ც ი (დათმობით). კარგი, კარგი!..

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ო, ნეტავ გრაფი ისევ ცოცხალი იყოს! ყველა-  
ფერს გავიღებდი ამის გულისათვის, ყველაფერს, რაც კი რამ მამა-  
დია ამქვეყნად; (შწარულ) თვით ჩემი პრინცის მოწყალებასაც, აქ  
დაუფასებელ მოწყალებასაც კი, რომელსაც თვალის ჩინივით უნდა  
გაფრთხილება!

პ რ ი ნ ც ი. მესმის... კმარა, კმარა. მისი მოკვლა შემთხვევის,  
წმინდა შემთხვევის გამო მოხდა. თქვენ ამას ირწმუნებით და მეც  
კოჯერით. მაგრამ სხვა ვინ დაიჯერებს ამას? დედაც? ემილიაც?  
ქვეყანაც?

მ ა რ ი ნ ე ლ ი (ცოფად). საეჭვოა.

პ რ ი ნ ც ი. და თუ არ დაიჯერებენ, რას იფიქრებენ მაშინ? თქვენ მხრები აიჩეჩეთ? თქვენს ანჯელოს მიიჩნევენ იარაღად და ნამდვილ მკვლელად კი მე.

მ ა რ ი ნ ე ლ ი (კიდევ უფრო ცოვად). ძალზე მოსალოდნელია.

პ რ ი ნ ც ი. მე! თვითონ მე!.. ან ამ წუთიდან ემილიას მიმართ ყოველგვარ განზრახვაზე ხელი უნდა ავილო.

მ ა რ ი ნ ე ლ ი (სრულიად გულგრილად). რაც მაშინაც უნდა გექნათ. გრაფი რომ ცოცხალი დარჩენილიყო.

პ რ ი ნ ც ი (განრისხებით, მაგრამ მაშინვე თავშეკავებულად). მარინელი!.. მოთმინებიდან ნუ გამომიყვანთ... დაე ეგრე იყოს. ვთქვათ, რომ ეს ასეა! თქვენ ხომ მხოლოდ იმის თქმა გსურთ, რომ გრაფის სიკვდილი ჩემთვის ბედნიერებაა, რომ ეს უდიდესი ბედნიერებაა, რომელიც მე წილად მხვდა... ერთადერთი ბედნიერება, რომელიც ჩემი სიყვარულისათვის შეიძლება სასარგებლო აღმოჩენილიყო. მე არა ვარ ამ სიკვდილის წინააღმდეგი, რაკი იგი ასეთი ბედნიერებაა. ერთი გრაფით გინდ მეტი იყოს, გინდ ნაკლები ეს ქვეყანა! სწორად გავიგე თქვენი აზრი? კეთილი. არც მე მაშინებს პატარა დანაშაული. მაგრამ კეთილო მეგობარო, იგი უნდა ყოფილიყო პატარა, ჩუმი დანაშაული, პატარა, ჩვენთვის ხსნის მომტანი დანაშაული. ახლა კი ხომ ხედავთ. ჩვენი დანაშაული არც ჩუმი და არც მხსნელი. ის, მართალია, გააკაფავდა გზას, მაგრამ მაშინვე გადაჰკეტავდა მას. ყველას შეუძლია ბრალი დაგვდოს ამ დანაშაულში და სჯობდა იგი სულაც არ ჩაგვედინა. და ყოველივე ეს შედეგია თქვენს მიერ მიღებული ბრძნული, საოცარი ზომებისა?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. თუკი ასე ბრძანებთ...

პ რ ი ნ ც ი. მაშ სხვაგვარად როგორ ინებებთ? მოვითხოვ ახსნა-განმარტებას!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. იმაზე მეტს მომაწერთ, რაც მე მკუთვნის.

პ რ ი ნ ც ი. ახსნა-განმარტებას მოვითხოვ.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მაშ ინებეთ! რა მოჰყვა ჩემ მიერ მიღებულ ზომებს? ის ხომ არა, რომ ამ უბედური შემთხვევის გამო პრინცზე აშკარა ეჭვი შეიძლება მიიტანონ? მაგრამ ამის მიზეზი არის ის ოსტატური ოინი, რომელიც თვით პრინცმა ისურვა დაემატებინა ჩემი ზომებისათვის.

პ რ ი ნ ც ი. მე?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, რომ ამ დილით თქვენ მიერ ეკლესიაში გადადგმული ნაბიჯი, როგორი თავაზიანობითაც არ უნდა ყოფილიყო იგი გადადგმული და რაოდენ აუცილებელია

არ უნდა ყოფილიყო მისი გადადგმა,—სრულებითაც არ შედიოდა ჩვენს თამაშში.

პ რ ი ნ ც ი. მერე ამან რა წაახდინა?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ცხადია, მთელი თამაში არ წაუხდენია, მაგრამ ჯერჯერობით მისი ტაქტი დაარღვია.

პ რ ი ნ ც ი. ჰმ! მთლად კარგად არ მესმის!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მამ მოკლედ და გასაგებად მოგახსენებთ: როცა მე ეს საქმე წამოვიწყე, ხომ მართალია, რომ ემილიამ პრინცის სიყვარულზე არაფერი იცოდა? მით უფრო — არც ემილიას ღედამ. და თუკი ჩე სწორედ ამაზე ვამყარებდი მთელ ჩემს განზრახვას? ხოლო პრინცმა ამასობაში ძირი გამოუთხარა ჩემს შენობას?

პ რ ი ნ ც ი (შუბლში ხელს შემოირტყა). დასწყევლოს ღმერთმა!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. თუკი მან თვითონ გასცა თავისი განზრახვა?

პ რ ი ნ ც ი. წყეულიმც იყავ!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. და რომ მას თვითონ არ გაეცა თავისი თავი? მართლაცდა, მსურს ვიცოდე, ჩემი რომელი ღონისძიება მისცემდა თუნდაც მცირედი ეჭვის საბაბს ღედას ან ქალიშვილს?

პ რ ი ნ ც ი. ვაი, რომ მართალი ხართ!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. აი ამიტომაც არა ვარ მართალი... მოწიტივევთ, თქვენო ბრწყინვალეზავ...

### გამოსვლა მეორე

ბ ა ტ ი ს ტ ა. პ რ ი ნ ც ი. მ ა რ ი ნ ე ლ ი.

ბ ა ტ ი ს ტ ა (აჩქარებით). სწორედ ამ წუთს მობრძანდა გრაფის ასული.

პ რ ი ნ ც ი. გრაფის ასული? რომელი გრაფის ასული?

ბ ა ტ ი ს ტ ა. ორსინა.

პ რ ი ნ ც ი. ორსინა?.. მარინელი! ორსინა?.. მარინელი!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ეს მე თქვენზე მეტად მაოცებს.

პ რ ი ნ ც ი. წადი, გაიქეცი ბატისტა, ეტლიდან არ გადმოვიდეს, უთხარი, რომ აქ არა ვარ. მისთვის არა მცალია. ახლავე გაბრუნდეს უკან! გასწი, გაიქეცი! (ბატისტა გადის.) რა უნდა იმ სულელს? რის ნებას აძლევს თავის თავს? საიდან იცის, აქ რომ ვიმყოფებით? ნუთუ მითვალთვალეხს? ნუთუ უკვე შეიტყო რაიმე. ოჰ, მარინელი! ხმა ამოიღეთ, მიპასუხეთ! ნუთუ შეურაცხყოფილი დამირჩა ის კაცა, ვისაც სურს ჩემი მეგობარი იყოს? მერედა, ამ უბრალო კამათის გამო? ხომ არ უნდა ვთხოვო მას პატივზა?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ეჰ, ჩემო პრინციო. როგორც კი საკუთარ თავს დაუბრუნდებით ხოლმე, მეც ისევ თქვენი ვხდები. სულითა და გულით! ორსინას ჩამოსვლა ჩემთვისაც ისეთივე გამოცანაა, როგორც თქვენთვის. მაგრამ გაგიჭირდებათ კი, რომ არ მიიღოთ. რა გინდათ ჰქნათ?

პ რ ი ნ ც ი. მე არ მსურს მასთან საუბარი. ახლავე წაეალ...

მ ა რ ი ნ ე ლ ი. კეთილი, მხოლოდ იჩქარეთ. ორსინას მე მივიღებ.

პ რ ი ნ ც ი. მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ მაშინვე წინადადება მისცეთ, უკან გაბრუნდეს. გრძელი საუბარი არ გაუბათ. ჩვენ აქ სხვა საქმეებიც საკმაოდ გვაქვს.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. არც აგრეა, პრინციო! ეს საქმეები უკვე წესრიგშია. გამხნევდით. რაც ჯერ კიდევ მოსაგვარებელია, ისიც თავი-თავად მოგვარდება... მაგრამ მე უკვე მესმის მისი ფეხის ხმა!.. იჩქარეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ! აი, აქეთ! (მოუთითებს კაბინეტზე, სადაც პრინცი გავა.) თუ გნებავთ, შეგიძლიათ მოგვისძინოთ კიდევაც. ვშიშობ, რომ აქ მოსასვლელად გრაფის ასულს მარჯვე დრო ვერ აუღრჩევია.

### გამოსვლა მისამე

გ რ ა ფ ი ს ა ს უ ლ ი ო რ ს ი ნ ა. მ ა რ ი ნ ე ლ ი.

ო რ ს ი ნ ა (შემოსვლისას მარინელის ვერ შეამჩნევს). ეს რასა ნიშნავს? წინ აღარავინ მეგებება, გარდა ვილაცა თავხედისა, რომელსაც არც კი სურდა ჩემი შემოშვება?.. მე ხომ დოზალოში ვიმყოფები?.. დოზალოში, სადაც წინათ მლიქვნელთა მთელი ლაშქარი გამოიჭრებოდა ჩემს შესახვედრად? სადაც უწინ მხოლოდ სიყვარული და აღტაცება მელოდებოდა? ადგილი იგივეა: მაგრამ, მაგრამ!.. აჰ, თქვენ აქ ბრძანდებით, მარინელი ძალიან კარგია, რომ პრინცმა თან განხლათ... არა, ცუდია! ის საკითხი, რაც მასთან მაქვს გადასაწყვეტი, მხოლოდ მასთან შემიძლია გადაწყვეტი... სად არის იგი?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. პრინცი, გრაფის ასული?

ო რ ს ი ნ ა. მაშ სხვა ვინა?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მაშ თქვენ გგონიათ, რომ იგი აქ არის? თქვენ იცით, რომ იგი აქ არის? მას კი სულაც არა ჰგონია, რომ გრაფის ასული ორსინა აქ ბრძანდება.

ო რ ს ი ნ ა. როგორ თუ არა? მაშ ამ დილით ჩემი წერილი არ მიუღია?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. თქვენი წერილი? დიას, ნამდვილად, ახლა მომაგონდა, რომ თქვენს წერილზე ლაპარაკობდა.

ო რ ს ი ნ ა. მერედა, განა იმ ბარათში არ ვთხოვდი, რომ იგი დღეს აქ, დოზალოში, შემხვედროდა? მართალია, მან არ ინება წერა-ლით ეპასუხნა, მაგრამ გავიგე, რომ ერთი საათის წინ პრინცი ნამდვილად დოზალოში გამოემგზავრა. ეს მე საკმარის პასუხად ჩავთვალე და აი აქ გახლავართ.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. უცნაური შემთხვევაა!

ო რ ს ი ნ ა. შემთხვევა? ხომ გესმით, ეს ასე იყო დათქმული; თუმცა სულ ერთია, რა იყო დათქმული. ჩემი მხრიდან — წერილი, მისი მხრიდან — საქმე. რა გემართებათ, ბატონო მარკიზ? თვალეზარად სჭყეტს ბატონი მარკიზი! რა უკვირს ჭკუის კოლოფს? რატომ იქცევა ასე?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. გუშინ თქვენ არც კი გიფიქრიათ, რომ პრინცა ოდესმე შეხვედროდით.

ო რ ს ი ნ ა. სადამოს ხეირს დილის შარი სჯობია ხოლმე. სად არის იგი? ნიძლავს ვღებ, რომ პრინცი იმ ოთახში იმყოფება, საიდანაც წივილ-კივილი მოისმოდა. მე მინდოდა იქ შევესულიყავი, მაგრამ იმ არამზადა მსახურმა გზა გადამიღობა.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ჩემო ძვირფასო, საყვარელო გრაფის ასულლო...

ო რ ს ი ნ ა. ეს იყო ქალის ხმა. ნიძლავს ვღებ, მარინელი! ო, მაშ მითხარით, მითხარით, თუკი თქვენთვის მართლა ძვირფასა, საყვარელი გრაფის ასული ვარ... დასწყევლოს ღმერთმა არამზადა კარისკაცები... რამდენ სიტყვასაც იტყვიან, იმდენი სიცრუეა!.. ნუ მეტყვით! გინდ გითქვამთ წინასწარ, გინდ არა — მე ხომ ამას თვითონაც დავინახავ. (შესვლას დააპირებს.)

მ ა რ ი ნ ე ლ ი (შეაჩერებს). საით?

ო რ ს ი ნ ა. იქ, სადაც მე აქამდეც უნდა ვყოფილიყავი. ხომ არ გგონიათ, მეკადრება ამ მისაღებ დარბაზში თქვენთან უსაქმოდ ყბედლობა, როცა პრინცი თავის სავანეში მელის?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. სცდებით, ძვირფასო გრაფის ასულლო. პრინცი თქვენ არ გელით. პრინცს არ შეუძლია თქვენთან საუბარი... მას არ სურს თქვენთან საუბარი.

ო რ ს ი ნ ა. იგი ხომ იქ არის? იგი ხომ აქ ჩემი წერილის გამო მოვიდა?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. იგი აქ მოვიდა არა თქვენი წერილის...

ო რ ს ი ნ ა. რომელიც მან მიიღო, ამბობთ თქვენ.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მიიღო, მაგრამ არ წაუკითხავს.

ო რ ს ი ნ ა (გაცხარებით). არ წაუკითხავს? (ნაკლები გაცხარებით) არ წაუკითხავს? (გამწარებით იწმენდს ცრემლებს). არც კი წაუკითხავს...

მ ა რ ი ნ ე ლ ი. დარწმუნებული ვარ, გულმავიწყობისა და არა ზიზღის გამო.

ო რ ს ი ნ ა (ამაყად). ზიზღის?.. ვინ ფიქრობს ამას?.. ვისთვის ვჭირდებით ამის თქმა?.. უსირცხვილო ნუგეშისმცემელი ბრძანდებით, მარინელი! ზიზღი! ზიზღი! ვეზიზღები კოდეც! მე!.. (უფრო წყნარო, სევდიანი ხმით) რა თქმა უნდა, პრინცს მე აღარ ვუყვარვარ. ამას ბოლო მოეღო. მის გულში სიყვარულის ადგილი სხვა გრძნობამ დაიკავა. მაგრამ განა აუცილებლად ზიზღმა? საკმარისია გულგრილობაც. ხომ მართალია, მარინელი?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა.

ო რ ს ი ნ ა (ღაცინვით). რა თქმა უნდა? აი ბრძენი, რომელსაც შეიძლება ყველაფერი ათქმევინოს კაცმა, რასაც მოისურვებს. გულგრილობა! გულგრილობა სიყვარულის ნაცვლად? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ არაფერმა დაიკავოს რაიმეს ადგილი. გაიგეთ, ყბედო კარისკაცო, სხვის სიტყვებს თუთიყუშოვით რომ იმეორებთ, გაიგეთ ქალისაგან, რომ გულგრილობა ლიტონი სიტყვაა, ცარიელი ბგერა, რომელიც არაფერს, სრულებით არაფერს არა ნიშნავს. გულგრილი შეიძლება იყო მხოლოდ იმის მიმართ, რაზეც არა ფიქრობ; მხოლოდ იმ საგნისადმი, რომელიც შენთვის საგანიც კი არ არის. მაგრამ გულგრილი იყო მხოლოდ იმ საგნების მიმართ, რომლებიც საგნებიც კი არ არიან, ეს იმას ნიშნავს, რომ გულგრილობა საერთოდ არ არსებობს. რა, ეს შენთვის ძალზე გაუგებარია?

მ ა რ ი ნ ე ლ ი (ჭაფისთვის). ვაგლახ! რა მართალი ვიყავი, რომ მეშინოდა!

ო რ ს ი ნ ა. მანდ რას ბურტყუნებთ?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. დიდად აღტაცებული ვარ!.. ვისთვისღა არ არის ცნობილი, ძვირფასო გრაფის ასულო, რომ ფილოსოფოსი ბრძანდებით?

ო რ ს ი ნ ა. მართლა? დიახ, დიახ, ფილოსოფოსი ვარ. მაგრამ ნუთუ ეს მემჩნეოდა ახლა? რა საშინელებაა, თუ მემჩნეოდა და წინათაც მატყობდნენ ამას! რაღა გასაოცარია, რომ პრინცს ვეზიზღები? როგორ შეუძლია მამაკაცს ის არსება უყვარდეს, რომელსაც მის ჯიბრზე მაინც სურს იაზროვნოს კიდევაც? მოაზროვნე დედაკაცი ისეთივე საზიზღარია, როგორც მამაკაცი, რომელიც ფერ-უმარჩილს იცხებს. მან უნდა იცინოს, მხოლოდ იცინოს, რომ მუდამ შეინარჩუნოს ამ სამყაროს მკაცრი მბრძანებლის კეთილი განწყობილება. ახლა კი რაზე ვიცინი, მარინელი? აჰ! დიახ! ამ შემთხვევაზე მე პრინცს მივწერე დოზალოში მოსულიყო, მას კი ჩემი წერილი არ წაუკითხავს და მაინც აქ მოსულა. ხა-ხა-ხა— მართლაც, უცნაური შემთხვევაა!

ძალზე სასაცილო, ძალზე სულელური!.. თქვენ კი ჩემთან ერთად არ იცინით, მარინელი? ჩვენთან ერთად სიცილი სამყაროს მკაცრ მბრძანებელსაც შეუძლია, თუმცა ჩვენ, საბრალო არსებებს, როდღა გვმართებს მასთან ერთად ვიაზროვნოთ ხოლმე (სერიოზულად და ბრძანებით) მაშ გაიცინეთ!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ახლავე, ძვირფასო გრაფის ასულს, ახლავე!

ო რ ს ი ნ ა. ყეყეჲო! ამასობაში ხომ წუთები უკვე გავიდა. არა, არა, არ გაიცინოთ, რადგან, ხომ ხედავთ, მარინელი, (ჩაფიქრებული და თითქმის გულაჩუყებული) რომ იმას, რაც მე ასე გულიანად მაცინებს, სერიოზული, ძალზე სერიოზული მხარეც აქვს, როგორც ყველაფერს ამქვეყნად. შემთხვევა? ნუთუ ეს შემთხვევაა, რომ პრინცი არ ფიქრობდა აქ ჩემთან ლაპარაკს და მაინც უნდა მელაპარაკოს? შემთხვევა? მერწმუნეთ, მარინელი, რომ სიტყვა „შემთხვევა“ ღვთისმგმობლობაა. ცისქვეშეთში არაფერია შემთხვევითი და მით უფრო ის, რაშიც განზრახვა ესოდენ ცხადად გამოსჭვივის. მომიტყევე, ყოვლის შემძლე, ყოვლად კეთილო განგებავ, რომ ამ საზიზღარ ცოდვილთან შემთხვევა ვუწოდებ იმას, რაც შენი აშკარა ქმნილებაა, რაც უშუალოდ შენი ქმნილებაა!.. (მარინელია, გაყვარებით) მოდიტ და ერთხელ კიდევ წამაქეზეთ, ვინძლო ასეთი სიბილწე ჩამაღვინინოთ!

მ ა რ ი ნ ე ლ ი (თავისთვის). ძალზე შორს შესტობა!.. მაგრამ, ძვირფასო გრაფის ასულს...

ო რ ს ი ნ ა. არავითარი „მაგრამ“! „მაგრამებს“ ფიქრი უნდა. ჩემი თავი კი! ჩემი თავი! (თავზე ხელს იტაცებს.) მომიწყე, მარინელი, ისე მომიწყე საქმე, რომ პრინცს მალე ველაპარაკო, თორემ მერე სულ აღარ შემძლება მასთან საუბარი... ხომ ხედავთ, ჩვენ გვჭირდება ერთმანეთთან მოლაპარაკება, ჩვენ უნდა მოველაპარაკოთ ერთმანეთს...

### გამოსვლა მეოთხე

პ რ ი ნ ც ი. ო რ ს ი ნ ა. მ ა რ ი ნ ე ლ ი.

პ რ ი ნ ც ი (კაპინეტადან გამოსვლისას, თავისთვის). უნდა მივემელო მას....

ო რ ს ი ნ ა (პრინცს დაინახავს, მაგრამ მასთან მიხვლა ვერ გადაუწყვეტია). აჰ! აგერ ისიც!

პ რ ი ნ ც ი (გრაფის ასულს გვერდით ჩაუვლის დარბაზზე და გაემართება მეორე ოთახისაკენ, ჩაილაპარაკებს შეუჩერებლად). ერთი შეხედეთ! ჩვენი მშვენიერი გრაფის ასული... რარიგ ვწუხვარ, ქალბატონო, რომ დღეს ძალზე ნაკლებად შემიძლია დავტყებ სტუმრობით, რომლის ღირსიც



გამხადეთ. არა მცალია, მარტო არა ვარ... სხვა დროს, ჩემო საყვარელო გრაფის ასულო! სხვა დროს... ახლა კი ნულარ დაყოვნდებით! დიახ, ნულარ დაყოვნდებით. თქვენ კი, მარინელი, გელით.

## გამოსვლა მსხუთე

ორსინა. მარინელი.

მარინელი. ახლა ხომ თქვენ თვითონ მოისმინეთ, ძვირფასო გრაფის ასულო, რის დაჯერებაც ჩემთვის არა გასურდათ?

ორსინა (დაყრუებულვით). მოვისმინე? ნამდვილად მოვისმინე?

მარინელი. ნამდვილად.

ორსინა (ნაღვლიანად). „არა მცალია, მარტო არა ვარ“. ნუთუ მხოლოდ ასეთ მობოდიშებას ვიმსახურებ? ვილას არ იცილებენ ასეთი სიტყვებით? ყოველ თავმომაბეზრებელ სტუმარს, ყოველ მათხოვარს. ნუთუ ჩემთვის ველარ გამოძებნა სხვა რაიმე სიცრუე? თუნდაც რაიმე პატარა სიცრუე? არა სცალია? მერე, რით არის დაკავებული? მარტო არ არის? ვინ შეიძლება იყოს მასთან? მოდიოთ აქ, მარინელი; ღმობიერება გამოიჩინეთ, ძვირფასო მარინელი! მოიგონეთ რაიმე ტყუილი. რა გიღირთ თქვენ ტყუილი? რა საქმე აქვს? ვინ ჰყავს... მითხარით, მითხარით, რაც კი ენაზე მოგადგებათ... და მე წავალ...

მარინელი (თავისთვის). ამ პირობით მე ხომ შემიძლია მას სიმართლის ნაწილიც ვუთხრა.

ორსინა. აბა, ჩქარა, მარინელი, და მე წავალ. პრინცმა ხომ ისედაც სთქვა: „სხვა დროს მობრძანდით, ჩემო ძვირფასო გრაფის ასულო!“ ასე არა სთქვა?... ამით ხომ იმის თქმა უნდოდა, რომ მან სიტყვა არ გატეხა, რომ არავითარი საბაზი არ ჰქონდა, სიტყვა გაეტეხა. ჩქარა, მარინელი, მომატყუეთ და მე წავალ.

მარინელი. პრინცი, ძვირფასო გრაფის ასულო, მართლაც მარტო არ გახლავთ. მასთან ახლა ისეთი პირები იმყოფებიან, რომლებთანაც დაშორება მას ერთი წამითაც არ შეუძლია. ამ პირებმა ახლალა დაადწიეს თავი დიდ ხიფათს. გრაფი აპიანი...

ორსინა. მასთან არის? სამწუხაროა, რომ მაგ ტყუილში უნდა დაგიჭიროთ. ჩქარა მოიფიქრეთ მეორე... რადგან გრაფი აპიანი, თუ თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, სწორედ ამ რამდენიმე ხნის წინ მოკლეს ყაზალებმა, ეტლი, რომელშიც გრაფის გვამი ესვენა, წინ შემომხვდა ქალაქის მახლობლად... ასეა თუ არა? იქნებ ეს ყოველივე მე მხოლოდ მომეჩვენა?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. სამწუხაროა, რომ არ მოგჩვენებიათ! მაგრამ ახვა პირნი, რომელნიც გრაფთან იყვნენ, უვნებლად გადარჩნენ და ახლა აქ, ციხე-კოშკში იმყოფებიან. სახელდობრ, მისი საცოლუ და სასიდედრო, რომლებთან ერთად იგი საბიონეტაში მიემგზავრებოდა, რომ ჯვარი დაეწერა.

ო რ ს ი ნ ა. მაშ ისინი არიან? ისინი იმყოფებიან პრინცთან? საცოლუ! სასიდედრო?.. საცოლუ ლამაზია?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. პრინცი მას დიდად თანაუგრძნობს ამ უბედურების გამო.

ო რ ს ი ნ ა. ვიმედოვნებ, თუნდაც იგი მახინჯი იყოს. მისი ბედი ხომ საშინელია... საბრალო, კეთილო გოგონავ! სწორედ მაშინ წაგართვეს იგი საწუდამოდ, როცა სამუდამოდ შენი უნდა გამხდარიყო!.. მაგრამ ვინ არის ეს საცოლუ? ვიცნობ თუ არა? ისე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ქალაქი მივატოვე, რომ აღარაფერი ვიცი.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ეს არის ემილია გალოტი.

ო რ ს ი ნ ა. ვინ? ემილია გალოტი?.. ემილია გალოტი? გაფრთხილდით, ეგ სიცრუე სიმართლედ არ მივიჩნისო, მარინელი!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. რა ბრძანეთ?

ო რ ს ი ნ ა. ემილია გალოტი?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. საეჭვოა, რომ თქვენ მას იცნობდეთ.

ო რ ს ი ნ ა. არა, ვიცნობ! თუმცა მხოლოდ დღეიდან.. მართალს ამბობთ, მარინელი? ემილია გალოტი? ემილია გალოტი არის ის უბედური საცოლუ, რომელსაც პრინცი ამშვიდებს?

მ ა რ ი ნ ე ლ ი (თავისთვის). ხომ არაფერი გადავაჭარბე?

ო რ ს ი ნ ა. და გრაფი აპიანი იყო მისი საქმრო? აპიანი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ მოკლეს?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. სწორედ ის.

ო რ ს ი ნ ა. ყოჩაღ! ყოჩაღ! ბარაქალა! (ტაშს შემოაკრავს.)

მ ა რ ი ნ ე ლ ი, ეს რაღასა ნიშნავს?

ო რ ს ი ნ ა. მე გადაგკოცნიდი იმ ეშმაკს, რომელმაც იგი ამაზე წააქეზა.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ვინ წააქეზა? რაზე?

ო რ ს ი ნ ა. დიახ, გადაგკოცნიდი, გადაგკოცნიდი მას, თუნდაც ეს ეშმაკი თქვენ იყოთ, მარინელი.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. გრაფის ასულო!

ო რ ს ი ნ ა. ერთი აქ მობრძანდით! შემომხედეთ! პირდაპირ, გამისწორეთ თვალი!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მერე რა?

ო რ ს ი ნ ა. არ იცით, რასა ვფიქრობ?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. საიდან უნდა ვიცოდე?

ო რ ს ი ნ ა. თქვენ ამაში არავითარი მონაწილეობა არ მიგიღიათ?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. რაში?

ო რ ს ი ნ ა. დაიფიცეთ!. არა, ნუ დაიფიცავთ. ამით კიდევ ერთ ცოდვას ჩაიდენთ... მაგრამ, არა!.. დაიფიცეთ. ერთი ცოდვით მეტი ან ნაკლები რაა იმისთვის, ვინც უკვე შერისხულია. მაშ ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიგიღიათ?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. თქვენ მე მაშინებთ, ქალბატონო!

ო რ ს ი ნ ა. მართლა? მაშ თქვენს კეთილ გულს, მარინელი, არაფერი ეეჭვება?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. რაო? რა უნდა ეეჭვებოდეს?

ო რ ს ი ნ ა. კეთილი, მაშ მე გაგიმხელთ ერთ რამეს, ისეთ რაღაცას, რაც თმებს ყალყზე დაგიყენებთ... მაგრამ აქ, კარის მახლობლად, შეიძლება ვინმემ მოგვისმინოს. აქეთ მობრძანდით... და (შიტანს თთის ტუჩებთან.) მოისმინეთ! მთლად საიდუმლოდ! სრულიად საიდუმლოდ! (ტუჩებს მიუახლოვებს მარინელის ყურს, თითქოს სურს უჩურჩულოს, მაგრამ ძალზე ხმაშალა დაიყვირებს.) პრინცი მკვლელია.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. გრაფის ასულო... გრაფის ასულო... ჭკუაზე ხომ არ შეიშალეთ?

ო რ ს ი ნ ა. ჭკუაზე? ხა-ხა-ხა! (ხარხარებს გულიანად). არასოდეს ვყოფილვარ ჩემი ჭკუით ისე კმაყოფილი, როგორც ამჟამად. მაგრამ ეს საიდუმლოა, მარინელი! ჩვენ შორის დარჩება... (ხმაშალა) პრინცი მკვლელია მკვლელი გრაფ აბიანისა!.. რომელიც მოკლეს არა ყაჩაღებმა, არამედ პრინცის კაცებმა და თვითონ პრინცმა.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. როგორ მოგადგათ ენაზე ასეთი საზიზღარა-სიტყვები, როგორ მოგივიდათ თავში ასეთი საძაგელი აზრი?

ო რ ს ი ნ ა. როგორ?.. სრულიად ბუნებრივად... ამ ემილია გალოტისთან, რომელიც ახლა პრინცთან არის და ვისი საქმროც ასე სახელდახელოდ უნდა აიბარგოს ამ ქვეყნიდან, — სწორედ ამ ემილია გალოტისთან ჰქონდა პრინცს დღეს დილით ხანგრძლივი საუბარი დომინიკელთა ეკლესიის კარიბჭესთან. მე ეს ვიცი, ეს ნახეს. ჩემმა ჯაშუშებმა. მათ ისიც კი მოისმინეს, თუ რაზე ელაპარაკებოდა. იგი... ახლა რაღას იტყვით, ბატონო ჩემო. ჭკუაზე შეშლილი ვარ? მე მგონია, მშვენივრად ვათანხმებ ერთმანეთთან იმას, რაც ერთმანეთს უკავშირდება. იქნებ ესეც მხოლოდ შემთხვევითი თანხვედრაა. შეიძლება, თქვენი აზრით, აქაც შემთხვევაა? ო, მარინელი, მაშინ თქვენ ისევე ცუდად გესმით კაცთა სიავე, როგორც იღუმალი გზები განგებისა.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. თქვენ, შეიძლება, ამით თავი დაიღუპოთ, გრაფის ასულო...

ო რ ს ი ნ ა. თუ მას სხვებს ვეტყვი? მით უკეთესი, მით უკეთესი ხვალ ამას ხმამაღლა გამოვაცხადებ ბაზრის მოედანზე. ის კი, ვინც მე ეღიბება, ის კი, ვინც მე მეწინააღმდეგება, მკვლელის თანამზრახველია... მშვიდობით! (წასვლას დააპირებს, კარებში შეხვდება მოხუც გალოტის, რომელიც აჩქარებით შემოდის.)

### გამოსვლა მემძვსე

ო ლ თ ა რ დ ო გა ლ ო ტ ი. ო რ ს ი ნ ა. მ ა რ ი ნ ე ლ ი.

ო ლ თ ა რ დ ო გა ლ ო ტ ი. მომიტევეთ, ქალბატონო...

ო რ ს ი ნ ა. მე აქ ნურაფერზე ნუ მიხდით ბოდრის. მე ხომ აქ ველარაფერს ვიწყენ... მიმართეთ აი იმ ბატონს.

მ ა რ ი ნ ე ლ ი (გალოტის რომ დაინახავს, თავისთვის). ახლა კი ყველაფერი დაიღუპა! მოხუცი!

ო ლ თ ა რ დ ო. მიუტევეთ, ჩემო ბატონო, მამას, რომელიც უაღრესად სწუხს... რომ მოუხსენებლად შემოვიდა.

ო რ ს ი ნ ა. მამა? (ისევ დაბრუნდება.) ემილიას მამაა, უეჭველად. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ო ლ თ ა რ დ ო. მსახურმა მაცნობა, რომ აქედან არცთუ ისე შორს ჩემი ოჯახი საფრთხეში ჩავარდა. სასწრაფოდ გამოვეშურე აქეთ და შევიტყვე, რომ გრაფი აპიანი დაუჭრიათ, რომ იგი ქალაქში დაბრუნებულა. ჩემს მეუღლესა და ქალიშვილს კი აქ, თქვენს ციხე-კოშკში, შემოუფარებიათ თავი... სად არიან ისინი, ჩემო ბატონო, სად?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. დამშვიდდით, ბატონო პოლკოვნიკო, თქვენს მეუღლესა და ქალიშვილს ცუდი არაფერი შემთხვევიათ, შიშმა უკვე გაუარათ. ორივენი თავს კარგად გრძნობენ. მათთან პრინცი იმყოფება. ახლა წავალ, რომ თქვენს შესახებ მოვახსენო.

ო ლ თ ა რ დ ო. რატომ უნდა მოახსენოთ? ჯერ მოახსენოთ?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. იმ მიზეზთა გამო, რომლებიც... რომლებიც პრინცს ეხება. მოგეხსენებათ, ბატონო პოლკოვნიკო, რა დამოკიდებულებაც გაქვთ პრინცთან... თქვენ ხომ მასთან მეგობრულად არ ხართ განწყობილი. როგორი მოწყალეც არ უნდა იყოს პრინცი თქვენი მეუღლისა და ქალიშვილის მიმართ — ისინი ხომ ქალები არიან — ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენი მოულოდნელი გამოჩენა მართებულად ჩათვალოს.

ო ლ თ ა რ დ ო. მართალი ბრძანდებით, ბატონო ჩემო, მართალი.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ოღონდ, ძვირფასო გრაფის ასულო, მაქვს პატივი თუ არა, რომ ჯერ თქვენ მიგაცვილოთ თქვენს ეტლამდე?

ო რ ს ი ნ ა. არა, არა!

მ ა რ ი ნ ე ლ ი (უხეზად სწვდება მკლავში). ნება მიბოძეთ, შევასრულო ჩემი მოვალეობა...

ო რ ს ი ნ ა. ოღონდ ნელა!.. მე გათავისუფლებთ მაგ მოვალეობისაგან, ჩემო ბატონო. თქვენისთანა ადამიანებს თავაზიანობა ყოველთვის მოვალეობად მიაჩნიათ, რომ თავიანთ ნამდვილ მოვალეობას აარიდონ თავი!.. რაც შეიძლება სასწრაფოდ მოახსენეთ ამ პატიოსანი კაცის შესახებ, აი თქვენი მოვალეობა.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. დაგავიწყდათ, რაც თვითონ პრინცმა გიბრძანათ?

ო რ ს ი ნ ა. გამოვიდეს და ერთხელ კიდე მიბრძანოს. მე ველი მას.

მ ა რ ი ნ ე ლ ი (პოლკოვნიკს გვერდზე გაიყვანს და ჩუმად ელაპარაკება). ბატონო ჩემო, უნდა დაგტოვოთ ერთ ქალთან, რომელიც... რომელსაც... რომლის გონებაც... თქვენ გესმით. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ იცოდეთ, თუ როგორ მოეპყრათ მის სიტყვებს, რომელნიც ხანდახან ძალზე საოცარნი არიან. უმჯობესია მას სულაც არ გაესაუბროთ.

ო ღ ო ა რ დ ო. კეთილი... მხოლოდ იჩქარეთ, ბატონო.

## გამოსვლა მუშვიდი

გ რ ა ფ ი ს ა ს უ ლ ი ო რ ს ი ნ ა. ო ღ ო ა რ დ ო გ ა ლ ო ტ ი.

ო რ ს ი ნ ა (ხანმოკლე პაუზის შემდეგ, რომლის დროსაც იგი პოლკოვნიკს სიბრალულით ათვალერებს, ის კი ორსინას უცქერის ოღნავი ცნობისმოყვარეობით). რა გითხრათ მარინელიმ, უბედურო ადამიანო?

ო ღ ო ა რ დ ო (თავისთვის, თანაც ორსინას მიმართავს). უბედუროო?

ო რ ს ი ნ ა. ცხადია, მას თქვენთვის სიმართლე არ უთქვამს. ყოველ შემთხვევაში ის სულაც არ უთქვამს, რაც თქვენ ახლა უნდა შეიტყოთ.

ო ღ ო ა რ დ ო. უნდა შევიტყო?.. განა უკვე საკმარისი არ ვიცი?.. ქალბატონო!.. სთქვით, სთქვით.

ო რ ს ი ნ ა. თქვენ არაფერიც არ იცით.

ო ღ ო ა რ დ ო. არაფერი?

ო რ ს ი ნ ა. კეთილო, ძვირფასო მამავ!.. რაღას არ გავიღებდი, ოღონდაც თქვენ ჩემი მამაც იყოთ!.. მომიტევეთ! უბედურები ასე სიამოვნებით უყავშირდებიან ერთმანეთს... მე მინდოდა თქვენთვის გამეზიარებინა ტანჯვა და აღშფოთება.

ო დ ო ა რ დ ო. ტანჯვა და აღშფოთება? ქალბატონო!.. მაგრამ მე დამავიწყდა... ილაპარაკეთ.

ო რ ს ი ნ ა. თუნდაც იგი თქვენი ერთადერთი ქალიშვილი, თქვენი ერთადერთი შვილი იყოს!.. თუმცა ერთადერთია თუ არა, სულ ერთი არ არის? უბედური შვილი ყოველთვის ერთადერთია.

ო დ ო ა რ დ ო. უბედური?.. ქალბატონო!.. თუმცა რა მინდა მისგან?.. მაგრამ, ღმერთმანი, გიჟები ასე არ ლაპარაკობენ ხოლმე!

ო რ ს ი ნ ა. გიჟები? აი თურმე რა გითხრათ მარინელიმ ჩემზე... მერე რა, ეს შეიძლება არცაა მისი ყველაზე საზიზღარი სიცრუე. მეც ვგრძნობ რალაცა ამის მაგვარს!.. მერწმუნეთ, მერწმუნეთ... ვინც ზოგიერთ ვითარებაში გონებას არა ჰკარგავს, მას დასაკარგიც არაფერი გააჩნია.

ო დ ო ა რ დ ო. რა უნდა ვიფიქრო?

ო რ ს ი ნ ა. ის, რომ თქვენ მე არ უნდა შეგეზიზღოთ... რადგან თქვენც ხომ გაქვთ გონება, კეთილო მოხუცო, თქვენც... მე ამას კარგად ვამჩნევ თქვენს მტკიცე, ღირსებით აღსავსე სახეზე. გონება თქვენცა გაქვთ, მაგრამ ერთი სიტყვაც კნარა და დაჰკარგავთ მას.

ო დ ო ა რ დ ო. ქალბატონო!.. ქალბატონო! მე ის მანამდე აღარ შემრჩება, ვიდრე თქვენ მაგ ერთ სიტყვას მეტყვით; თუ ახლავე, დაუყოვნებლივ არ მეტყვით... მითხარიო! მითხარიო! თორემ მართალი, სწორი არ იქნება, რომ თქვენ იმ კეთილ გიჟებს ეკუთვნით, რომლებიც ჩვენს შებრალებას და პატივისცემას იმსახურებენ... თქვენ, ალბათ, ჩვეულებრივი სულელი ხართ, ალბათ სულაც არა გქონიათ ის, რაც ახლა არ გაგაჩნიათ.

ო რ ს ი ნ ა. მაშ მომისმინეთ!.. რა იცით, რომ უკვე ყველაფერი იცით? ის, რომ აპიანი დაჭრილია? მხოლოდ დაჭრილი?.. აპიანი მოკვდა.

ო დ ო ა რ დ ო. მოკვდა? მოკვდა? ეს, ქალბატონო, ეს უკვე პირობის წინააღმდეგია. თქვენ უნდა ჩემთვის გონება დაგეკარგათ და გულს კი მიმსხვრევთ.

ო რ ს ი ნ ა. ეს მხოლოდ სხვათა შორის. მაგრამ შემდეგ... საქმრო მოკვდა, საცოლეს კი, — თქვენს ქალიშვილს, — რაც დაემართა, სიკვდილზე უარესია.

ო დ ო ა რ დ ო. უარესი? სიკვდილზე უარესი? ეს ნიშნავს, რომ იგი ამის გამო გარდაიცვალა?.. რადგან მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი, სიკვდილზე უარესი...

ო რ ს ი ნ ა. ....არა, არ გარდაცვლილა. არა, კეთილო მამავ, არა! ის ახლად იწყებს ნამდვილ ცხოვრებას, განცხრომით აღსავსე

ცხოვრებას, ყველაზე მშვენიერ, მხიარულ, თავისუფალ ცხოვრებას, რომელიც მანამდე გასტანს, ვიდრე არ გათავდება.

ო დ ო ა რ დ ო. ერთი სიტყვაც, ქალბატონო, ერთადერთი სიტყვაც, რომელმაც უნდა შემშალოს! მითხარით! ასე ნელ-ნელა ნუ მაწვეთებთ შხამს, ერთადერთი სიტყვა! ჩქარა!

ო რ ს ი ნ ა. კეთილი! მაშ შეკრიბე იგი მარცვალ-მარცვლობით! დილას წირვის დროს პრინცი ესაუბრა თქვენს ქალიშვილს. ნაშუადღევს კი იგი ჰყავს თავის გასართობ... გასართობ ციხე-დარბაზში.

ო დ ო ა რ დ ო. წირვის დროს ესაუბრა? პრინცი ესაუბრა ჩემს ქალიშვილს?

ო რ ს ი ნ ა. მერედა, რა გულახდილად! რარიგ გულითადად! მათ უნდა მოელაპარაკნათ არცთუ ისე პატარა საქმეზე და ძალზე კარგია, თუკი შეთანხმდნენ კიდეცაც: ძალზე კარგია, თუკი თქვენმა ქალიშვილმა თავისი ნებით შეაფარა თავი ამ სასახლეს. მაშინ ეს ძალით მოტაცება კი არაა, არამედ მხოლოდ პატარა... პატარა მკვლელობა.

ო დ ო ა რ დ ო. ცილისწამებაა, წყეული ცილისწამება! ჩემს ქალიშვილს მე კარგად ვიცნობ. თუ მკვლელობა მოხდა, მაშინ მომხდარა გატაცებაც. (მხევივით აბრიალებს თვალებს და ფეხებს ააჯუნებს) ახლა რაღას იტყვი, კლავდია? რას იტყვი, დედიკო? აი, რა სიხარულს მოგვსწარით! ო, ბრწყინვალე პრინციო!.. რა განსაკუთრებული პატივი გვერგო!

ო რ ს ი ნ ა. იმოქმედა, მოხუცო? იმოქმედა?

ო დ ო ა რ დ ო. მე აქ ყაჩაღთა ბუნაგის წინ ვდგევარ. (ისინჯავს მუნდირის ჯიბეებს და წმუუნდება, რომ უიარაღოა.) საკვირველია, რომ სიჩქარისაგან ხელებიც შინ არ დამვიწყებია. (იხზრკვს ყველა ჯიბეს.) არაფერი! სრულებით არაფერი! არსად!

ო რ ს ი ნ ა. აჰა, მესმის! ამით მე შემიძლია დაგეხმაროთ! თან წამოვიღე. (ხანჯალს ამოიღებს.) გამომართვით! ჩქარა გამომართვით, სანამ არავინ გეხედავს. მე მაქვს კიდეც რაღაც... შხამი, მაგრამ შხამი მხოლოდ ჩვენთვის, ქალებისათვის, არსებობს და არა ვაჟკაცებისათვის... აიღეთ! (გაუწვდია ხანჯალს.) გამომართვით!

ო დ ო ა რ დ ო. გმადლობთ, გმადლობთ... ძვირფასო ბავშვო, ვინც კიდეც იტყვის, რომ გიჟი ხარ, მას ჩემთან ექნება საქმე.

ო რ ს ი ნ ა. დამალეთ! სასწრაფოდ დამალეთ!.. მე შემთხვევა არ მომეცა, რომ იგი გამომეყენებინა. თქვენ კი ეს შემთხვევა ხელიდან ვერ წაგივათ, თქვენ კი ამ შემთხვევას, პირველსავე საუკეთესო, მარჯვე შემთხვევას, ხელიდან ნუ გაუშვებთ, თუ ვაჟკაცი ხართ... მე, მე მხოლოდ ქალი ვარ, მაგრამ აქ ასე შეიარაღებული მოვედა! მტკიცე გადაწყვეტილებით!.. ჩვენ, ჩვენ შეგვიძლიან ერთმანეთს ყვე-

ლაფერში გავენდოთ, მოხუცო. ჩვენ ხომ ორივენი შეურაცხყოფილნი ვართ, შეურაცხყოფილნი ერთი და იმავე მაცთურის მიერ. ეპ, რომ იცოდეთ, რომ იცოდეთ, რა უსაზღვროდ, რა გამოუთქმელად, რა წარმოუდგენლად შეურაცხყოფილი ვარ მის მიერ და კვლავაც შეურაცხყოფილი ვიქნები... წაშინ თქვენს წყენას სულ დაივიწყებდით. მიცნობთ თუ არა მე? მე ვარ ორსინა, მოტყუებული, მიტოვებული ორსინა. შეიძლება მიტოვებული სწორედ თქვენი ქალიშვილის გამო. ნაგრაჰ რა შუაშია აქ თქვენი ქალიშვილი? პრინცი მალე იმასაც მიატოვებს... შემდეგ კიდევ სხვას!.. და კიდევ სხვას!.. აჰ! (თითქოს აღტაცებით) რა ღვთაებრივი ფანტაზია! ოდესმე ჩვენ ყველანი, — მის მიერ მიტოვებულ ქალთა მთელი ბზბო, — ოდესმე ჩვენ ყველანი ბახუსის ქურუმ ქალებად, ფურიებად რომ გადავიქცეოდეთ, ხოლო იგი ჩვენს შორის აღმოჩნდებოდეს, ჩვენ დავჭრიდით მის სხეულს, დავგლეჯდით ასო-ასოდ და შიგ დავიწყებდით გულის ძებნას, გულისა, რომლის მოცემასაც იგი, მოღალატე, ყველას გვპირდებოდა და არც ერთისათვის არ მოუცია. ოჰ! ეს იქნებოდა დღესასწაულის ნამდვილი დღესასწაული!

### გამოსვლა მერვე

ი გ ი ვ ე ნ ი და კ ლ ა ვ დ ი ა გა ლ ო ტ ი.

კ ლ ა ვ დ ი ა (შემოსვლისას ირგვლივ მიიხედ-მოიხედავს და, შენიშნავს თუ არა თავის ქმარს, წამსვე მივარდება). მივხვდი! აჰ, ჩვენო მხსნელო, ჩვენო მფარველო! აქ ხარ, ოღოარდო? აქ?.. მათ ჩურჩულზე, მათი სახეების გამომეტყველებაზე მივხვდი მე ამას. რა უნდა გითხრა, თუ ჯერ არაფერი არ იცი? რა უნდა გითხრა, თუ უკვე ყველაფერი იცი? მაგრამ ჩვენ უდანაშაულონი ვართ, შენი ქალიშვილი უდანაშაულოა. უდანაშაულოა, სრულიად უდანაშაულო.

ო ღ ო ა რ დ ო (მეუღლეს რომ დაინახავს, ცდილობს თავი შეიკავოს). კეთილი, კეთილი. მხოლოდ დამშვიდდი, დამშვიდდი... და მიპასუხე. (ორსინას) არ იფიქროთ, ქალბატონო, თითქოს რამე მეექვსეობოდეს. — გრაფი მოკვდა?

კ ლ ა ვ დ ი ა. მოკვდა.

ო ღ ო ა რ დ ო. მართალია, რომ პრინცი დღეს დილით წირვის დროს ემილიას ესაუბრა?

კ ლ ა ვ დ ი ა. მართალია. მაგრამ რომ იცოდე, რა შეძრწუნებულნი და შიშით გულგახეთქილი დაბრუნდა იგი სახლში.

ო რ ს ი ნ ა. ახლა რაღას იტყვით? სიცრუე მითქვამს?



ო დ ო ა რ დ ო (გამწარებული სიცილით). მე არცა მსურდა, რომ მოგეტყუებინეთ. ეგ მე სრულებითაც არ მინდოდა.

ო რ ს ი ნ ა. მაშ მე ჭკუაზე შეშლილი ვარ?

ო დ ო ა რ დ ო (გაცეცხლებული სცემს ბოლთას). ო, ჯერ არც მე შეეშლილვარ ჭკუაზე!

კ ლ ა ვ დ ი ა. შენ მიბრძანე, რომ დავმშვიდებულიყავი და მეც დავმშვიდდი... ძვირფასო მეუღლე, შემიძლია... შემიძლია მეც გთხოვო...

ო დ ო ა რ დ ო. რა გინდა? განა მე დამშვიდებული არა ვარ? განა შეიძლება ვინმე ამაზე მშვიდად იყოს? (თავშეკავებით) იცის ემილიამ აპიანის სიკვდილი?

კ ლ ა ვ დ ი ა. მან ეს იგონი, არ უნდა იცოდეს. მაგრამ მეშინია, რომ ეჭვი აიღო, რაკი იგი აღარ გამოჩნდა.

ო დ ო ა რ დ ო. როგორ არის ემალია? არა ოხრავს, არა ქვითრნებს?

კ ლ ა ვ დ ი ა. არა. ანან უკვე გაუარა. ხომ იცი მისი ხასიათი. იგი ქალთა შორის ყველაზე მშიშარაა და ყველაზე გაბედულიც. მას არასოდეს არ ძალუძს თავი გაართვას პირველ შთაბეჭდილებებს. მაგრამ მცირედი დაფიქრების შედეგ საზრიანობა ისევ უბრუნდება და თავის თავს ეუფლება ხოლმე. ემილიამ ძალზე შორს დაიჭირა პრინცი. მას ისეთი ტონით ელაპარაკება... ოდოარდო, მოახერხე ოლონდ, რომ აქედან ჩქარა გავემგზავროთ.

ო დ ო ა რ დ ო. მე აქ ცხენით მოვედი... რა უნდა ვქნა? სხვათა შორის, ქალბატონო, თქვენ ხომ ქალაქში ბრუნდებით?

ო რ ს ი ნ ა. რა თქმა უნდა.

ო დ ო ა რ დ ო. არ ინებებთ, რომ ჩემი ცოლიც წაიყვანოთ?

ო რ ს ი ნ ა. რატომაც არა, დიდი სიამოვნებით.

ო დ ო ა რ დ ო. კლავდია! (აცნობს ორსიანას) გრაფის ასული ორსინა, დიდად გონიერი ქალბატონი, ჩემი მეგობარი, კეთილისმყოფელი. შენ მას წაჰყვები, რომ ეტლი ახლავე გამოგვიგზავნო. ემილია, ემილია გვასტალაში აღარ დაბრუნდება. იგი ჩემთან წამოვა.

კ ლ ა ვ დ ი ა. მაგრამ... თუკი... მე არ ვისურვებ ქალიშვილს დავშორდე.

ო დ ო ა რ დ ო. განა მამა მის გვერდით არ იქნება? ბოლოს ხომ მისცემენ მას ნებას, თავის ქალიშვილთან იმყოფებოდეს. სიტყვა არ შემიბრუნო. წავიდეთ, ქალბატონო. (ჩუბაღ, ორსინას) თქვენ კიდევ გაიგებთ ჩემს ამბავს... წავიდეთ, კლავდია. (გაჰყავს.)

## მოქმედება მისუთი

იგივე სცენა

გამოსვლა პირველი

მ ა რ ი ნ ე ლ ი. პ რ ი ნ ც ი.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. აქედან, თქვენო ბრწყინვალეებავ, ამ ფანჯრიდან შეგიძლიათ მისი დანახვა. იგი ტალანში სცემს ბოლთას. სწორედ ახლა შემობრუნდა და აქეთ მოდის... არა, ისევ უკან გაბრუნდა. ჯერ კიდევ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება. მაგრამ დიდად დამშვიდებულა, ან იქნებ სურს თავი ასე მოგვაჩვენოს. ეს ჩვენთვის სულერთია!.. რა თქმა უნდა! განა იგი გაბედავს ხმამაღლა გამოსთქვას, რაც მას ორივე ქალმა თავში ჩაუჭედა? ბატისტამ ყური მოჰკრა, რომ ცოლმა მას ახლავე უნდა გამოუგზავნოს ეტლი. იგი ხომ აქ ცხენით მოვიდა... აი ნახეთ, თქვენთან რომ გამოცხადდება, იგი უმდაბლეს მადლობასაც კი გადაუხდის თქვენს ბრწყინვალეებას იმ მოწყალე მზრუნველობისათვის, რომელიც ამ ესოდენ უბედურს შემთხვევაში აქ მის ოჯახს აღმოუჩინეთ. იგი გამოგთხოვთ შემდგომს მოწყალეობასაც თავის თავისა და თავისი ქალიშვილისათვის, რომელსაც მშვიდად მიიყვანს ქალაქში და უდიდესი მორჩილებით დაელოდება იმას, თუ რა მონაწილეობას მიიღებს თქვენი ბრწყინვალეობა მისი უბედურა და მშვენიერი ასულის შემდგომს ბედში.

პ რ ი ნ ც ი. მაგრამ თუ იგი ასე მორჩილი არ აღმოჩნდა? საეჭვოა, საეჭვოა, რომ იგი ასე დაგვეყვს. მე მას კარგად ვიცნობ... მაშინ რაღა ვქნა, რომ მან — ყველაზე მეტად კი სწორედ ამას მოველი მისგან — ჩაიხშოს ეჭვები, ჩაიკლას მრისხანება და ემილია, ქალაქში წაყვანის ნაცვლად, შინ წაიყვანოს? თავისთან იყოლიოს? ან ჩემი სამფლობელოს საზღვრებს იქეთ რომელიმე მონასტერში გადამალოს? მაშინ რაღა ვქნათ?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ფრთხილი სიყვარული. შორსმხედველია ჭეშმარიტად! მაგრამ იგი ხომ ამას არ იზამს...

პ რ ი ნ ც ი. მაგრამ თუკი მან ეს გააკეთა? მაშინ რა ვქნათ... მაშინ რაღა სარგებლობას მოგვიტანს ის ამბავი, რომ უბედური გრაფი ამის გამო სიცოცხლეს გამოესალმა?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. რისთვისაა საჭირო ეს მწუხარე განზე ცქერა? წინ! ასე ფიქრობს გამარჯვებული. მის გვერდით გინდ მტერი ეცემოდეს, გინდ მეგობარი. თუნდაც ასე მოხდეს. შურიანი მოხუცი კიდევაც რომ აპირებდეს იმას, რაც თქვენ გაშინებთ, პრინციო! (ფიქრობს.) დაე ასე იყოს. მივაგენი გამოსავალს!.. მას სურვილი სურვილად შერჩება. ის ამ სურვილს იქით ვერ წავა. ნამდვილად ვერა!.. მაგრამ იგი მხედველობიდან არ უნდა დაგვეკარგოს... (ისევ მიღის ფანჯარასთან.) ერთი წუთიც და თავს წამოგვადგებოდა! აქეთ მოდის. მასთან პირისპირ შეხვედრას ჯერჯერობით თავი ავარიდოთ. ჯერ მომისმინეთ, თქვენო ბრწყინვალეებო, თუ რა უნდა გააკეთოთ იმ შემთხვევაში, რომელიც ასე ძლიერ გვაშინებს.

პ რ ი ნ ც ი (მუქარით). ოღონდ, მარინელი!..

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ყველაზე უწყინარი საშუალება ამტკეყნად.

### გამოსვლა მეორე

#### ო ლ ო ა რ დ ო    გ ა ლ ო ტ ი.

ო ლ ო ა რ დ ო. კიდევ არავინაა აქ?.. კეთილი. მე უფრო დავმშვიდდები. ეს ჩემი ბედნიერებაა.. არაფერია ისე საზიზღარი, როგორც თმაჭალარა ბობოქარი ჭაბუკი. მე ეს ხშირად მითქვამს ჩემთვის, ნაგრამ მაინც ავყევი გრძნობას... მერედა, ვისი მეოხებით? ეჭვიანი ქალის, ეჭვიანობის ნიადაგზე ჭკუაზე შემოიღია ქალის წყალობით... რა საერთოა შეურაცხყოფილ სათნოებასა და ბიწიერების შურისძიებას შორის? მე მხოლოდ ჩემი ქალიშვილი უნდა ვიხსნა... შენს საქმეს კი... ჩემო ვაჟო!.. ჩემო ვაჟო! მე არასოდეს არ შემეძლო ტირილი და არც ახლა მსურს, ვისწავლო იგი... შენ საქმეს სულ სხვა ვინმე მიიჩნევს თავის საქმედ. ჩემთვის კი ისიც კმარა, რომ შენი მკვლელი ვერ დატყბება თავისი ბოროტმოქმედების ნაყოფით. დაე იგი ამან უფრო მეტად აწამოს, ვიდრე თვითონ დანაშაულმა. თუ სწრაფი მოყირჭება და შეზიზღება მას აიძულებენ ერთი სურვილიდან მეორეზე გადავიდეს, დაე იმის მოგონებამ, რომ ეს სურვილი დაუკმაყოფილებელი დარჩა. მოწამლოს ჩისი ყველა დანარჩენი განცხრობა. დაე ყოველ სიზმარში სისხლით შესვრილმა საქმრომ მოუყვანოს სარეცელთან თავისი საცოლე და თუკი ის მაინც გაიშვერს მისკენ თავის ავხორც ხელებს, ანაზღად ჯოჯოხეთის დამცინავი ხარხარი შემოესმას და გამოედვიძოს!

## გამოსვლა მისამდე

მარინელი. ოდოარდო გალოტი.

მარინელი. სად დაყოვნდით, ჩემო ბატონო? სად ბრძანდებოდით?

ოდოარდო. ჩემი ქალიშვილი ხომ არ ყოფილა აქ?

მარინელი. არა, მაგრამ პრინცი კი აქ ბრძანდება.

ოდოარდო. მომიტევოს პრინცმა. გრაფის ასული გავაცილე. მარინელი. მერე?

ოდოარდო. კეთილი ქალია.

მარინელი. თქვენი მეუღლე სადღაა?

ოდოარდო. მასთან ერთად გაემგზავრა, რომ ახლავე ეტლ-გამოგვიგზავნოს. დაე პრინცმა გვაპატიოს, რომ მე და ჩემი ქალიშვილი აქ დიდხანს ვყოვნდებით.

მარინელი. რად გინდათ ეს ცერემონია? განა პრინცი დიდ კმაყოფილებად არ მიიჩნევდა, რომ ორივენი, დედა და ქალიშვილი თვითონ მიეყვანა ქალაქში?

ოდოარდო. ყოველ შემთხვევაში, ქალიშვილს მაინც უარი უნდა ეთქვა ამ პატივზე.

მარინელი. ნუთუ?

ოდოარდო. იგი გვასტალაში აღარ დაბრუნდება.

მარინელი. აღარ დაბრუნდება? მერედა, რატომ?

ოდოარდო. გრაფი მოკვდა.

მარინელი. მით უფრო...

ოდოარდო. იგი ჩემთან უნდა წამოვიდეს.

მარინელი. თქვენთან?

ოდოარდო. ჩემთან. მე ხომ გითხარით, რომ გრაფი უკვე მოკვდა,— თუკი თქვენ ეს ჯერ არ იცით.— და ჩემმა ქალიშვილმა გვასტალაში რაღა უნდა გააკეთოს?.. იგი ჩემთან უნდა იყოს.

მარინელი. ყოველ შემთხვევაში, ქალიშვილის მომავალი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა დამოკიდებული იქნება მხოლოდ მამის ნება-სურვილზე... მაგრამ თავდაპირველად...

ოდოარდო. თავდაპირველად რა?

მარინელი. თქვენ მაინც უნდა ინებოთ, ბატონო პოლკოვნიკო, რომ იგი გვასტალაში წაიყვანონ.

ოდოარდო. ჩემი ქალიშვილი? გვასტალაში წაიყვანონ? მერედა, რისთვის?

მარინელი. რისთვის? აბა ერთი ოდნავ დაფიქრდით.

ო ღ ო ა რ დ ო. (გაცხარებით). დაფიქრდე! დაფიქრდე! მე ვფიქრობ, რომ აქ დასაფიქრებელი არაფერია. იგი ჩემთან უნდა წამოვიდეს და წამოვა კიდეც.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ოჰ, ბატონო ჩემო, ამის გამო ჩვენ ერთმანეთს რად უნდა გავუბრაზდეთ? იქნება მე ვცდები; იქნება, რასაც მე საჭიროდ ვთვლი, სულაც არაა საჭირო. პრინცი ყველაზე უკეთესად გაარკვევს ამას. პრინციმა გადაწყვიტოს. შევალ და გამოვიყვან.

### გამოსვლა მერთხე

ო ღ ო ა რ დ ო გ ა ლ ო ტ ი.

ო ღ ო ა რ დ ო. როგორ? არასოდეს! მე მიბრძანებენ, საღ წავიყვანო ჩემი ქალიშვილი?.. მას ჩემთან არ უშვებენ? ვის ნებავეს? ვინ ბედავს ამას? ის ხომ არა, ვისაც აქ ყველაფრის უფლება აქვს, შეუძლია, რასაც კი მოისურვებს? კეთილი, კეთილი მამ მან დაინახოს, რასაც გავბედავ, თუმცა ამის უფლება არა მაქვს! ბეცო ტირანო, ჩვენ კიდეც წავიკამათებთ! ვინც კანონს პატივს არა სცემს, ისევე ძლიერია, როგორც ის, ვისაც კანონი სულაც არ გააჩნია. შენ ეს არ იცი? გამოდი! მაგრამ ეს რა მენართება? ნუთუ ისევ?.. ნუთუ ისევ ბრაზი მიბნელებს გონებას? რა მინდა? დაე ჯერ ნამდვილად მოხდეს ის, რაც მაცოფებს... რაღას არ ყბედობს მლიქნელი კარისკაცი! მაგრამ ნეტავი წეცლია მისთვის, რომ კიდეც ეყბედნა! ნეტავი გამეგო მისგან, თუ რა საბაბით სურთ ჩემი ქალიშვილის ისევ გვასტალაში გაგზავნა! მაშინ ხომ მოვემზადებოდი პასუხისათვის. თუმცა პასუხის გაცემა არ განიჭირდება... მაგრამ რომ გამოიჭირდეს... რომ... აქეთ მოდიან, დამშვიდდი, ჭალარა ყმაწვილო, დამშვიდდი!

### გამოსვლა მხესუთი

პ რ ი ნ ც ი. მ ა რ ი ნ ე ლ ი. ო ღ ო ა რ დ ო გ ა ლ ო ტ ი.

პ რ ი ნ ც ი. აჰ, ჩემო კეთილო, პატიოსანო გალოტი, ძალზე მნიშვნელოვანი რამ უნდა მომხდარიყო, რაკი თქვენ ჩემთან გხედავთ. უმნიშვნელო საქმეზე არ გაირჯებოდით. მაგრამ მე თქვენ არ გისაყვედურებთ.

ო ღ ო ა რ დ ო. თქვენო ბრწყინვალეზავ, ყველა შემთხვევაში შეუფერებლად მიმაჩნია მბრძანებლისათვის თავის მობეზრება. ვისაც ის იცნობს, მას თვითონვე მოუხმობს, თუკი დასჭირდება. ახლაც კი მოტევენასა გთხოვთ..

პ რ ი ნ ც ი. ასეთ ამაყ თავმდაბლობას ბევრს ვუსურვებდა! მაგრამ საქმეზე გადავიდეთ. თქვენ მოუთმენლად ელით თქვენი ქალიშვილის ხილვას. ის ხელახლა ააღელვა მისი ესოდენ ნაზი დედას მოულოდნელმა გამგზავრებამ. რისთვის დასჭირდა ეს? მე მხოლოდ იმას ველოდი, რომ ძვირფასი ემილია სავსებით დამშვიდებულიყო და ორივენი ზეიმით მიმეყვანა ქალაქში. თქვენ მე გამინახევრეთ ეს ზეიმი, მაგრამ უფლებას არ მოგცემთ, რომ მთლიანად მონაკლოთ ეს ბედნიერება.

ო დ ო ა რ დ ო. მეტისმეტი მოწყალებაა ნება მიბოძეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ჩემი უბედური ბავშვი ვისსა ათასგვარი წყენისაგან, რომელსაც უწადებენ მას გვასტალაში მეგობრები და მტრები, შებრალება და ნიშნის გება.

პ რ ი ნ ც ი. დიდი სისასტიკე იქნებოდა, მოგეკლოთ თქვენი ქალიშვილისათვის მეგობართა და თანამგრძობთა ტკბილი ნუგეში. რაც შეეხება წყენას, რომელიც შეიძლება მას მტრებმა და ნიშნის გებამ მიაყენონ, ნება მიბოძეთ, ძვირფასო გალოტი, ამაზე მე ვიზრუნო, რომ მათ ეს ვერ შესძლონ.

ო დ ო ა რ დ ო. თქვენო ბრწყინვალეზავ, მამობრივი სიყვარული უხალისოდ უზიარებს ვისმეს თავის საზრუნავს. მე მგონია კარგად ვიცი, მის ახლანდელ მდგომარეობაში რაც მოუხდება ჩემს ქალიშვილს... ის უნდა გასცილდეს საზოგადოებას... მონასტერში... რაც შეიძლება სწრაფად.

პ რ ი ნ ც ი. მონასტერში?

ო დ ო ა რ დ ო. მანამდე კი დე იტიროს მამის თვალთა წინაშე.

პ რ ი ნ ც ი. და ასეთი მშვენიერება უნდა მონასტერში დაჭკნეს? ნუთუ ერთმა გაცრუებულმა იმედმა ასე შეურიგებელი უნდა გაგზადოს საზოგადოების მიმართ?.. მაგრამ როგორც გინდათ: მამას ვერავინ შეედავება. წაიყვანეთ თქვენი ქალიშვილი, გალოტი, საითაც გნებავთ.

ო დ ო ა რ დ ო (მარინელის). ახლა რაღას იტყვი, ჩემო ბატონო?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. რაკი ასე გამომწვევად შელაპარაკებით!..

ო დ ო ა რ დ ო. ოჰ, არა, სრულებითაც არა.

პ რ ი ნ ც ი. რას ლაპარაკობთ?

ო დ ო ა რ დ ო. არაფერს, თქვენო ბრწყინვალეზავ, არაფერს... ჩვენ მხოლოდ იმაზე ვმსჯელობთ, თუ რომელი შევცდით, რომელმა ვერ გამოვიცანით თქვენი აზრი.

პ რ ი ნ ც ი. ნუთუ? სთქვი, მარინელი!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ვწუხვარ, რომ წინ უნდა აღვუდგე ჩემი მბრძანებ-

ლის მოწყალებას, მაგრამ მეგობრობის მოვალეობა მიკარნახებს, ყველაზე უწინ მასში დავინახო მოსაძარტლე.

პ რ ი ნ ც ი. რომელი მეგობრობის?..

მ ა რ ი ნ ე ლ ი. კარგად იცით, თქვენო ბრწყინვალეზავ. რა ძლიერ მიყვარდა გრაფი აპიანი, თუ რა მკიდროდ იყო ერთმანეთში გადაწნული ჩვენი სულელები...

ო ღ ო ა რ დ ო. თქვენ ეს იცით, პრინცი? თუ ასეა, მაშინ, რა თქმა უნდა, თქვენ ერთადერთი ადამიანი ბრძანებულხართ, რომელმაც ეს იცით.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. თვით მისგან მაქვს დავალებული, შური ვიძიო...

ო ღ ო ა რ დ ო. თქვენ?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ჰკითხეთ თქვენს მეუღლეს „მარინელი“, სახელი „მარინელი“ იყო უკანასკნელი სიტყვა მომაკვდავი გრაფისა, მერე როგორი ტონით წარმოთქმული, როგორი ტონით!.. და ეს საშინელი ტონი მუდამ ჟღერდეს ჩემს ყურებში, თუ ყოველგვარ ღონეს არ ვიხმარ მისი მტრის აღმოსაჩენად და დასასჯელად.

პ რ ი ნ ც ი. იმედი იქონიეთ ჩემი სრული მხარდაჭერისა.

ო ღ ო ა რ დ ო. და ჩემი მხურვალე სურვილისა, რომ წარმატებას მიადწიოთ!.. კეთილი, კეთილი!.. მაგრამ მერე?

პ რ ი ნ ც ი. ამას მეც გეკითხებით, მარინელი.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ექვს გამოსთქვამენ, რომ გრაფს ყაჩაღები არ დასხმიან თავს.

ო ღ ო ა რ დ ო (დაცინვით). ყაჩაღები არ დასხმიან? მართლა?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. რომ მეტოქეს სურდა იგი გზიდან ჩამოეცილებინა.

ო ღ ო ა რ დ ო (მწარედ). აჰა! მეტოქეს?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ნამდვილად.

ო ღ ო ა რ დ ო. მაშინ... ღმერთმა შეაჩვენოს მოღალატე მკვლელი!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მეტოქეს, რომელსაც სწყალობდა...

ო ღ ო ა რ დ ო. რაო? რომელსაც სწყალობდა?.. რას ამბობთ?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. მხოლოდ იმას, რასაც ლაპარაკობენ.

ო ღ ო ა რ დ ო. სწყალობდა?.. ჩემი ქალიშვილი სწყალობდა?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ეს, რა თქმა უნდა, არაა მართალი. ეს შეუძლებელია. მე ეს უნდა უარვყო, თუნდა თქვენ თვითონვე ამტკიცებდეთ ამას... მაგრამ ყოველივე ამას, თქვენო ბრწყინვალეზავ,— რადგან ყველაზე დასაბუთებულ რწმუნებასაც არავითარი წონა არა აქვს მართლმსაჯულების სასწორზე,— ყოველივე ამას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ უბედური მშვენიერი ქალიშვილის დაუკითხავად.

პ რ ი ნ ც ი. დიახ, რა თქმა უნდა.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. და სხვაგან სად, რომელ ადგილას შეიძლება ეს მოხდეს, თუ არა გვასტალაში.

პ რ ი ნ ც ი. ეს კი სწორია, მარინელი, სწორი. დიახ, ეს სცკლის საქმის ვითარებას, ძვირფასო გალოტი. ხომ მართალია? თქვენ თვითონვე ხედავთ...

ო დ ო ა რ დ ო. ო, დიახ, ვხედავ... მე ვხედავ იმას, რასაც ვხედავ... ღმერთო, ღმერთო!

პ რ ი ნ ც ი. რა გემართებათ? რა გაშფოთებთ?

ო დ ო ა რ დ ო. ის, რომ უწინ ვერა ვხედავდი იმას, რასაც ახლა ვხედავ... ეს მამბრაზებს, მეტი არაფერი. მაშ ის უნდა დაბრუნდეს გვასტალაში. მე თვითონ წავიყვან დედასთან... და სანამ სასტიკი გამოძიება მას უდანაშაულოდ არა სცნობს, არც მე წავალ გვასტალიდან, რადგან, ვინ იცის, (მწარე დაყინით) ვინ იცის, მართლმსაჯულებამ იქნებ საჭიროდ ჩასთვალოს ჩემი დაკითხვაც.

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ადვილი შესაძლებელია! ასეთ შემთხვევებში სჯობს მართლმსაჯულებამ ძალზე ბევრი გააკეთოს, ვიდრე ძალზე ცოტა... ამიტომ მე მეშინია კიდეც...

პ რ ი ნ ც ი. რისი? რისი გეშინიათ?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. რომ ჯერჯერობით არ შეიძლება ქალიშვილი და დედა ერთმანეთს ესაუბრონ.

ო დ ო ა რ დ ო. მათ არ მისცემენ ერთმანეთთან საუბრის ნებას?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. იძულებულნი იქნებიან დედა და ქალიშვილი ერთმანეთისაგან განაცალკეონ.

ო დ ო ა რ დ ო. დედა და ქალიშვილი განაცალკეონ?

მ ა რ ი ნ ე ლ ი. დედა, ქალიშვილი და მამა. დაკითხვის წესი პირდაპირ მოითხოვს ამ წინასწარი ზომის მიღებას. ძალზე ვწუხვარ, თქვენო ბრწყინვალეებავ, რომ იძულებული ვარ დაბეჯითებით გთხოვოთ, ემილია ამყოფოთ განსაკუთრებული დაცვის ქვეშ.

ო დ ო ა რ დ ო. განსაკუთრებული დაცვის ქვეშ?.. პრინციო თუმცა!.. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! სრული სიმართლეა: განსაკუთრებული დაცვის ქვეშ! ხომ მართალია, პრინციო? ხოც მართალია?.. ო, რა საუცხოო მართლმსაჯულებაა! ჩინებულია! (სწრაფად ჩაიყოფს ხელს ჯიბეში, სადაც ხანჯალი აქვს.)

პ რ ი ნ ც ი (თავაზიანად მიდის გალოტისთან). დამშვიდდით, ძვირფასო გალოტი.

ო დ ო ა რ დ ო (თავისთვის, მას შემდეგ, რაც ჯიბიდან ცარიელ ხელს ამოიღებს). ეს სთქვა მისმა მფარველმა ანგელოზმა.

პ რ ი ნ ც ი. თქვენ სცდებით, გალოტი, მარინელის ვერ გაუგეთ, სიტყვა „დაცვა“ ალბათ საპყრობილედ იგულისხმეთ.



ო დ ო ა რ დ ო. ნება მიბოძეთ, ეს სიტყვა ეგრე გავიგო და მაშინვე დავმშვიდდები.

პ რ ი ნ ც ი. არც ერთი სიტყვა საპყრობილეზე, მარინელი! ამ შემთხვევაში კანონის სიმკაცრე ადვილად შეიძლება შევთავსოთ უზადო სათნოებისადმი პატივისცემასთან. თუ ემილია განსაკუთრებული დაცვის ქვეშ უნდა ვიყოლიოთ, მაშინ მე ვიცი მისთვის ყველაზე შესაფერისი ადგილი... ეს არის ჩემი კანცლერის სახლი. არავითარი წინააღმდეგობა, მარინელი! მე თვითონ მივიყვან მას იქ და საზრუნავად გადავცემ ერთ-ერთ ჩვენს ყველაზე ღირსეულ მანდილოსანს. იგი იქნება ჩემს წინაშე პასუხისმგებელი ემილიაზე. თქვენ ძალიან შორს შესტოპეთ, მარინელი, ჭეშმარიტად ძალიან შორს, თუკი ამაზე მეტს მოითხოვთ... თქვენ ხომ იცნობთ, გალოტი, ჩემს კანცლერ გრიმალდის და მის მეუღლეს?

ო დ ო ა რ დ ო. როგორ შეიძლება არ ვიცნობდე! მე იმ კეთილშობილი წყვილის საყვარელ ქალიშვილებსაც კი ვიცნობ. მათ ვინდა არ იცნობს? (მარინელის) არა, ბატონო, არ დაუთმობთ. თუ ემილია განსაკუთრებული დაცვის ქვეშ უნდა იყოლიოთ, მაშინ საჭიროა იგი ჩაჰკეტოთ ყველაზე ბნელ საპყრობილეში. გთხოვთ, დაიცვათ თქვენი ნათქვამი. მე სულელი ვარ, ამას რომ გთხოვთ! ბებერი ქარაფშუტა! დიახ, ის მართალია, კეთილი სიბილა: გინც ზოგიერთ შემთხვევაში გონებას არა ჰქარგავს, მას დასაკარგი სულაც არ გააჩნია.

პ რ ი ნ ც ი. თქვენი არაფერი მესმის, ძვირფასო გალოტი, ამის მეტი რა შემიძლია გავაკეთო?.. გთხოვთ, ეს საქმე ასე დატოვოთ. დიახ, დიახ, ჩემი კანცლერის სახლში! იქ იცხოვრებს იგი. მე თვითონ მივიყვან იქ. თუ იქ ემილიას უდიდესი პატივისცემით არ შეხვდებიან, წაშინ ჩემს სიტყვას არავითარი ძალა არა ჰქონია!.. მხოლოდ ნუკი შესწუხდებით, გალოტი! ასე გადაწყდა და ასევე გვაკეთებთ! თქვენ კი რაცა გნებაჟთ, ისა ჰქენით. გნებაჟთ, წამოგვეყვით გვასტალაში, გნებაჟთ დაბრუნდით საბიონეტაში — ერთი სიტყვით, როგორც ისურვებთ. სასაცილო იქნებოდა, რომ თქვენთვის ამაზე მიგვეთითებინა, ახლა კი ნახვამდის, ძვირფასო გალოტი, წავიდეთ, მარინელი, უკვე გვიანაა.

ო დ ო ა რ დ ო (დგას ღრმად ჩაფიქრებული). რაო? გამოდის რომ ჩემს ქალიშვილს არ უნდა ველაპარაკო? აქაც კი? მე ხომ მოთმინებით ვიღებ ყოველივეს, მე ხომ ყველაფერი საუცხოოდ წიმაჩნია. კანცლერის სახლი, რა თქმა უნდა, სათნოების თავშესაფარია. ო, თქვენო ბრწყინვალეზავ, წაიყვანეთ ჩემი ქალიშვილი იქ. მხოლოდ იქ. მაგრამ მანამდე მინდოდა მასთან შელაპარაკა. ემილიამ ჯერ კიდევ არ იცის გრაფის სიკვდილის ამბავი. იგი ვერ გაიგებს, თუ რატომ ამო-

რებენ წმობლებს. იმისათვის, რომ შევამზადო გრაფის სიკვდილის გასაგებად და დავანწვილო ამ განშორების გამო, — მე უნდა მას ველაპარაკო. თქვენო ბრწყინვალეებავ, უნდა ველაპარაკო.

პ რ ი ნ ც ი. მამ წამობრძანდით...

ო ღ ო ა რ დ ო. ო, ქალიშვილს ხომ შეუძლია თვითონ გამოვიდეს მამასთან. აქ, პირისპირ, ჩვენ ხელდახელ დავანთავრებთ საუბარს... ოღონდ გამოგზავნეთ ჩემთან, თქვენო ბრწყინვალეებავ.

პ რ ი ნ ც ი. ეგეც შეიძლება! ო, გალოტი, თქვენ რომ მოისურვოთ და ჩემი მეგობარი, ჩემი წინამძღოლი, ჩემი მამა გახდეთ! (პრინცი და მარინელი გაღიან.)

### გამოსვლა მეექვსე

ო ღ ო ა რ დ ო    გა ლ ო ტ ი.

ო ღ ო ა რ დ ო    გა ლ ო ტ ი (პრინცს თვალს გააყოლებს, პაუზის შემდეგ). რატომაც არა?.. დიდი სიამოვნებით... ჰა-ჰა-ჰა! (შმაგივით იცქირება ირველვ) ეს ვინ არის, ასე რომ ხარხარებს? ღმერთმანი, ეს, მგონა, თვითონ მე ვარ. დაე ასეც იყოს! მხიარულად! მხიარულად! თამაში დასასრულს უახლოვდება! ასე თუ ისე! მაგრამ... (პაუზა) თუ ეწილია მას მოელაპარაკა? თუ ეს ჩვეულებრივი ფარსია? თუ ჩემი ქალიშვილი ღირსიც კი არაა იმისა, რაც მისთვის მინდა გავაკეთო? (პაუზა) მისთვის მინდა გავაკეთო? რა უნდა გავაკეთო მისთვის? მყოფნის კი სიმამაცე ეს ჩემს თავს ვუთხრა? მე განვიზრახე ისეთი საქმე, რომელზე საშინელს ვერც კი განიზრახავ... საზარელია! შორს! შორს! მე მას აღარ დავუცდი, არა! (ზეცას) ვინც გადაჩეხა იგი, უმანკო, ამ უფსკრულში. დაე ჩანვე ამოიყვანოს იქიდან. რად სჭირდება მას ჩემი ხელი? შორს! (წასვლას დააპირებს, მაგრამ დაინახავს მისკენ მომავალ ემილიას.) ძალზე გვიანაა. მას სჭირდება ჩემი ხელი. მას სჭირდება იგი.

### გამოსვლა მეთხუთმე

ე მ ი ლ ი ა.    ო ღ ო ა რ დ ო.

ე მ ი ლ ი ა. როგორ? თქვენ აქ იმყოფებით, მამაჩემო?.. მხოლოდ თქვენ? ღელაჩემი? აქ არ არის? გრაფი? არც ისაა აქ? და თქვენც ასე აღელვებული ხართ, მამაჩემო?

ო ღ ო ა რ დ ო. შენ კი ასე დამშვიდებული ხარ, ჩემო ქალიშვილო?

ე მ ი ლ ი ა. რატომაც არა, მამაჩემო? ან არაფერია დაკარგული. ან ყველაფერი. შეგვიძლია დამშვიდებული ვიყოთ, თუ დამშვიდებული უნდა ვიყოთ, განა ეს სულ ერთი არ არის?

ო დ ო ა რ დ ო. მაგრამ შენ როგორ ფიქრობ, შეგვიძლია თუ უნდა ვიყოთ?

ე მ ი ლ ი ა. მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი დაკარგულია და ჩვენ უნდა დავშვიდდეთ, მამაჩენო.

ო დ ო ა რ დ ო. მამ შენ დამშვიდებული იქნებოდი იმიტომ, რომ დამშვიდებული უნდა იყო? ვინა ხარ შენ? ქალწული? და ჩემი ასული? მამ მამაკაცი და მამა სირცხვილით უნდა გაწითლდეს შენს წინაშე? მაგრამ გამაგებინე: რას გულისხმობ ყველაფრის დაკარგვაში? იმას, რომ გრაფი მოკლეს?

ე ნ ი ლ ი ა. მერედა, რატომ მოკლეს? რატომ? მამ მართალია მთელი ეს საშინელი ამბავი, რომელიც დედაჩემის ცრემლიან და დამთხვეულ თვალებში ამოვიკითხე?.. სად არის დედაჩემი? სად წავიდა იგი?

ო დ ო ა რ დ ო. გაგვასწრო... თუკი ჩვენ მას უკან გავყვებით...

ე მ ი ლ ი ა. რაც მალე იქნება, მით უკეთესია, თუკი გრაფი მოკლეს, თუკი ის ამის გამო მოკლეს... რადღა ვაყოვნებთ აქ? გავიქცეთ, მამაჩემო!

ო დ ო ა რ დ ო. გავიქცეთ? რისთვისაა მერე ეს საჭირო? შენ ახლა იმყოფები და დარჩები შენივე გამტაცებლის ხელში.

ე მ ი ლ ი ა. დავრჩები მის ხელში?

ო დ ო ა რ დ ო. მარტო, უდედოდა და უმამოდა.

ე მ ი ლ ი ა. მარტო? მის ხელში? არასოდეს, მამაჩემო! მაშინ თქვენ მამაჩემი არა ყოფილხართ... მე, მარტო, მის ხელში?.. კეთილი, ერთი დამტოვეთ.. დამტოვეთ ერთი... მინდა ვნახო, ვინ დამაკავებს. ვის შეუძლია მაიძულოს, ვინ არის ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია სხვა ადამიანი აიძულოს?

ო დ ო ა რ დ ო. მე მგონია, შენ დამშვიდებული ხარ, ჩემო ბავშვო.

ე მ ი ლ ი ა. დიას, დამშვიდებული ვარ. მაგრამ რას უწოდებთ თქვენ დამშვიდებას? გულ-ხელი დავიკრიფოთ? ის ავიტანოთ, რის ატანაც არ შეიძლება? ის მოვითმინოთ, რის მოთმენაც არა გვმართებს?

ო დ ო ა რ დ ო. ეჰ, თუ შენ ასე ფიქრობ, მოდი გადაგეხვიო, ჩემო შვილო! მე მუდამ ვამბობდი: ბუნებამ მოინდომა ქალი შეექმნა თავის სამაგალითო არსებად, მაგრამ შესცდა, მის შესაქმნელად ნაზი თიხა რომ აირჩია. თორემ სხვა ყოველივე თქვენ უკეთესი გაქვთ, ვიდრე ჩვენ, მამაკაცებს. ო, თუ კი ესაა შენი სიმშვიდე. იგი მეც წამშვიდებას კვლავ. მოდი, გადაგეხვიო, ჩემო შვილო. ოლონდ დაფიქრდი: სასამართლო გამოძიების საბაბით — ო ჯოჯოხეთურ-

სიცრუევ! — იგი შენს თავს ხელიდან გამოგეტაცებს და წაგიყვანს გრიმალდისთან.

ემილია. გამოგეტაცებთ? წამიყვანს?.. ჩემი გატაცება ნებავეს, ჩემი წაყვანა. ნებავეს, ნებავესი თითქოს ჩვენ საკუთარი ნებისყოფა არ გაგვაჩნდეს, მამაჩემო!

ოდოარდო. ისეთმა მძვინვარებამ შემიბყრო, რომ უკვე წავეტანე ამ ხანჯალს (აჰოილეს ხანჯალს), რათა ერთი მათგანის — არა, ორივეს გული გამეგმირა.

ემილია. ღვთის გულისთვის, მაგას ნუ იზამთ, მამაჩემო. ეს სიცოცხლე არის ყველაფერი, რაც ბიწიერ ხალხს მოეპოვება. მე, მე მომეცით ევ ხანჯალი, მამაჩემო.

ოდოარდო. ეს თმაში გასაბნევი ქინძისთავი როდია, ჩემო გოგონა.

ემილია. მამ დაე ქინძისთავი ხანჯლად გადაიქცეს. სულ ერთია.

ოდოარდო. რაო? აქამდე მივიდა საქმე? არა, არა! გონს მოდი. შენც ხომ მხოლოდ სიცოცხლე გაქვს.

ემილია. და უმანკოებაც.

ოდოარდო. რომელიც ყოველგვარ ძალმომრეობაზე მალლა ღვას.

ემილია. მაგრამ არ არის ყოველგვარ ცთუნებაზე ძლიერი. ძალმომრეობა! ძალმომრეობა! ვინ არ შეეწინააღმდეგება ძალმომრეობას? ის, რასაც ძალმომრეობა ჰქვია, არაფერია. ცთუნებაა ჭეშმარიტი ძალმომრეობა. ჩემს ძარღვებშიაც ისევე ახალგაზრდული, თბილი სისხლი ჩქეფს, მამაჩემო, როგორც სხვისაში, და ჩემი გრძობებიც ადამიანური გრძობებია. მე არაფერზე არ ვაგებ პასუხს. მე არ შემიძლია ჩემს თავს ვებრძოლო. მე ვიცნობ გრიმალდის სახლს. ეს არის მხიარულებისა და განცხრომის სახლი. მე იქ მხოლოდ ერთი საათი ვავტარე დედაჩემთან ერთად და ჩემს სულში ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, რომ რელიგიის მთელმა სიმკაცრემ ძლივს შესძლო მისი დაწყნარება რამდენიმე კვირის განმავლობაში. რელიგიისა! თანაც როგორი რელიგიისა! ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად ათასობით ადამიანი გადავარდნილა მორევში და ახლა წმინდანადაა აღიარებული!.. მომეცით, მომეცით ევ ხანჯალი, მამაჩემო!

ოდოარდო. რომ იცოდე, ეს რა ხანჯალია!..

ემილია. თუნდაც არ ვიცოდე! უცნობი მეგობარიც მეგობარია... მომეცით იგი, მამაჩემო, მომეცით.

ოდოარდო. და თუ მოგეცე ეს ხანჯალი... აჰა, დაიჭი! (აძლეს ხანჯალს.)

ე მ ი ლ ი ა. მაშ ასე! (სურს დაიკრას, მაგრამ მამა ხანჯალს ხელიდან გამოვლევს).

ო დ ო ა რ დ ო. შეხე, როგორ ჩქარობს!.. არა, ეს შენი ხელა-სათვის არ არის განკუთვნილი.

ე მ ი ლ ი ა. ეგ მართალია. მე ქინძისთავით მმართვეს. (ეძებს თამა გაბნეულ ქინძისთავს და ხელით ვარდს შეეხება.) შენ კიდევ აქა ხარ? შორს ჩემგან! შენ ადგილი აღარა გაქვს ისეთი ქალის თმებში, როგორადაც უნდა გადავიქცე მამაჩენის ნება-სურვილით.

ო დ ო ა რ დ ო. ოჰ, ჩემო შვილო!

ე მ ი ლ ი ა. ოჰ, ღამაჩემო, თუკი მიმიხვდით განზრახვას... მაგრამ არა. ეს თქვენ არა გსურთ. მაშ რატომ აყოვნებთ?.. (მწუხარულ ლაპარაკობს და თან ვარდს ფურცლებს აცლის.) ოდესღაც მამაცმა მამამ თურმე თავის ქალიშვილს ხანჯლით გაუგმირა გული, რათა ეხსნა შერცხვენისაგან... და მეორედ მიანიჭა სიცოცხლე. მაგრამ ასეთა გნირული საქმეები მხოლოდ წინათ ხდებოდა. ასეთი მამები ახლა აღარ არიან.

ო დ ო ა რ დ ო. კიდევ არიან, ჩემო შვილო, კიდევ არიან! (ჩასცემს მკერდში ხანჯალს.) ღმერთო ჩემო, ეს რა ვქენი! (ეშილა ეცემა და ოღოარდო მკლავებს შემოხვევს).

ე მ ი ლ ი ა. მანამ მოსწყვიტეს ვარდი, ვიდრე ქარიშხალი ფურცლებს გააცლიდა... ნება მომეცით, ვემთხვიო ამ მშობლიურ ხელს.

## ზამოსვლა მერვე

პ რ ი ნ ც ი. მ ა რ ი ნ ე ლ ო. მ გ ო ვ ე ნ ი.

პ რ ი ნ ც ი (შემოსვლისას). ეს რას ნიშნავს? ემილია ცუდად შეიქნა?

ო დ ო ა რ დ ო. ძალიან კარგადაა, ძალიან კარგად!

პ რ ი ნ ც ი (ახლოს მისვლისას). ამას რას ვხედავ?.. საშინელება!

მ ა რ ი ნ ე ლ ი. ვაიმე!

პ რ ი ნ ც ი. ეს რა გიქნიათ, სასტიკო მამავ!

ო დ ო ა რ დ ო. ვარდი მოვწყვიტე, ვიდრე ქარიშხალი ფურც-ლებს გააცლიდა. ხომ ასეა, ჩემო ქალიშვილო.

ე მ ი ლ ი ა. თქვენ არა, მამაჩემო... მე თვითონ... მე თვითონ...

ო დ ო ა რ დ ო. შენ არა, ჩემო შვილო, შენ არა. ნუ მიდიხარ ამ ქვეყნიდან სიცრუის მთქმელი. შენ არა, ჩემო შვილო, შენ არა! შენმა მამამ, შენმა უბედურმა მამამ!

ე მ ი ლ ი ა. ოჰ!.. მამაჩემო!.. (კვდება, ოღოარდო ფრთხილად ასვენებს იატაკზე.)

ო ღ ო ა რ დ ო. განისვენე!.. ახლა რაღას იტყვით, პრინცო? კიდევ მოგწონთ იგი? კვლავ აღვიძებს იგი თქვენს ავხორცობას, როცა ეს სისხლი მარტოოდენ შურისძიებას ღაღადებს? (პაუზის შემდეგ) მაგრამ თქვენ ელით, თუ რითი დამთავრდება ეს ყოველივე? ალბათ გგონიათ, რომ ამ ფოლადს შევაბრუნებ საკუთარი მკერდისაკენ, რათა დავასრულო ჩემი მოქმედება, როგორც უხამსი ტრაგედია? თქვენ სცდებით, აი! (გადაისვრის ხანჯალს პრინცის ფერხით.) აქ გდია სისხლიანი მოწმე ჩემი დანაშაულისა! ჩემი ფეხით წავალ საპყრობილეში. მე მივდივარ და გელოდებით თქვენ, როგორც მსაჯულს. შემდეგ კი იქ... დაგიცდით ყველა ჩვენგანის მსაჯულის წინაშე!

პ რ ი ნ ც ი (რამდენიმე ხნის ღუმლის შემდეგ, რომლის დროსაც თავზარდაცემული და სასოწარკვეთილი დასცქერის ცხედარს. მიმართავს მარინელის). აბა! აიღე! აიღე! რაო? ჰყოყმანობ? უბედურო! (ხელიდან გამოსტაცებს ხანჯალს.) არა, შენი სიცოცხლე ამ სისხლს არ უნდა შეერიოს... გასწო, ჩემმა თვალმა არ გიხილოს აღარასოდეს!.. გასწი-მეთქი, გეუბნები! ოჰ, ღმერთო! ღმერთო! ნუთუ ადამიანთა საუბედუროდ ის არა კმარა, რომ ხელისუფალნიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან? ნუთუ კიდევ ისიცაა საჭირო, რომ მათ მეგობრებად ეშმაკები ევლინებოდნენ?

ნათან  
მუკუნ

რკას



თაკმანი  
კახტანკ  
მუნუკელის



Introite, nam et heic Dii sunt!

Apud Gellium

შემოხვიდოდეთ, რამეთუ აქაც არიან ღმერთნი!

გ ე ლ ი უ ს ი

### მოკმედი პირნი

ჰულთანს სალადინს.

ზიტა, მისი და.

ნათანი, მდიდარი იერუსალიმელი ებრაელი.

რეხა, მისი შვილობილი.

დაია, ქრისტიანი ქალი, რომელიც ებრაელის სახლში ცხოვრობს, როგორც რეხას მსლუბელი.

მეტაძრეთა ორდენის ჭაბუკი რაინდი.

დავრიში.

იერუსალიმის პატრიარქი.

მორჩილი.

ემირი და სალადინის რამდენიმე მამულუკი.

მოქმედება წარმოებს იერუსალიმში.



## მოქმედება პირველი

### ბამოსვლა პირველი

სცენა წარმოადგენს ნათანის სახლის წინკარს

ნათანი. ბრუნდება ზოგაურობიდან. დაია ცეცხება მას.

დაია

აი ნათანიც! — მადლობა ღმერთს, რომ ძლივს დაბრუნდით.

ნათანი

ღიახ, დაია, მადლობა ღმერთს! ზაგრამ „ძლივს“ რატომ?

ნუთუ მინდოდა დაბრუნება ამაზე ადრე?

ანდა შემეძლო? ბაბილონი ამ ქალაქიდან

დაშორებული არის კაი ორასი მილით.

როცა გიხდება გადახვევა მთავარი გზიდან

მარჯვნივ და მარცხნივ. როგორც მე ეს შემემთხვა ახლა;

თანაც მოკრეფა ვალებისა, რაღა თქმა უნდა.

არ არის აგრე მთლად უბრალო, იოლი საქმე.

სახელდახელოდ რომ მოგვარდეს.

დაია

ო, ნათან, ნათან,

რარიგ ბედკრული, უბედური შეიქმნებოდით

ამასობაში... თქვენი სახლი...

ნათანი

ცეცხლს მისცემია.

გავიგე უკვე. ღმერთმა ქნას, რომ სხვა უარესის

მოსმენა მაინც არ მელოდეს.

დაია

რარიგ ადვილად

შეიძლებოდა ის მთლიანად გადამწვარიყო.

ნ ა თ ა ნ ი

მაშინ, დაია, ჩვენ ახალ სახლს ავიშენებდით,  
უფრო კარგსა და უფრო ლამაზს.

დ ა ი ა

ეგ მართალია!..  
მაგრამ კინალამ არ დაიწვა ამ ცეცხლში რეხაც.

ნ ა თ ა ნ ი

დაიწვა? ვინა? ჩემი რეხა? დაიწვა იგი?  
არ გამიგია ეგ ამბავი!.. მაშინ კი... მაშინ  
არავითარი სახლი აღარ დამჭირდებოდა.  
რას, კინალამ არ დაიწვა? აჰ! მამ დამწვარა!  
მართლა დამწვარა!.. სტევი, ნუ სდუმხარ, ხმა ამოიღე!  
ახლავე მომკალ, ოღონდ დიდხანს ნუ მტანჯავ ასე!..  
ღიახ, დამწვარა იგი უკვე.

დ ა ი ა

ეგრე რომ იყოს,  
განა მას ჩემგან შეიტყობდით?

ნ ა თ ა ნ ი

მამ რად მაშინებ?..  
ო, რეხა! რეხა! ჩემო რეხა!

დ ა ი ა

რა? თქვენი რეხა?

ნ ა თ ა ნ ი

ნუთუ ოდესმე უნდა ამას გადავეჩვიო —  
აღარ ვუწოდო ამ ბავშვს ჩემი!

დ ა ი ა

ნუთუ ყველაფერს,  
რაც თქვენ გეკუთვნით, ამგვარივე უფლებით, ნათან,  
უწოდებთ თქვენსას?

ნ ა თ ა ნ ი

არცთუ მეტით. სუყველაფერი,  
რაც მაბადია, ბუნებამ და ბედმა მიბოძეს.  
ამ სიკეთეს კი სათნოებას ვუმაღლი მხოლოდ.

ღ ა ი ა

ო, რარიგ ძვირად მიჯდება მე თქვენი სიკეთე,  
თუ კიდევ ძალგვიძს ეს სახელი ვუწოდოთ იმას,  
რაც გამსჭვალულა ანგარებით, ასეთ განზრახვით!

ნ ა თ ა ნ ი

ასეთ განზრახვით? რა განზრახვით?

ღ ა ი ა

ჩემი სინდისი...

ნ ა თ ა ნ ი

ჯერ ყველაფერი მომისმინე...

ღ ა ი ა

გეუბნებით, რომ

ჩემი სინდისი...

ნ ა თ ა ნ ი

რა საკაბე ვიყიდე შენთვის  
მე ბაბილონში, მშვენიერი, ძვირფასი მეტად.  
თვით ის საკაბე, რეხასთვის რომ ჩამოვიტანე,  
ვერ არის მასზე უკეთესი.

ღ ა ი ა

ეგ რას მიშველის.

ველარ გავუძლებ, უნდა გითხრათ, სინდისის ქენჯნას.

ნ ა თ ა ნ ი

მაინტერესებს ვნახო, როგორ მოგეწონება  
საყურეები, სამაჯური, ბეჭედი, ძეწკვი,  
დამასკოში რომ გიყიდე შენ.

ღ ა ი ა

ოჰ, როგორი ხართ!

ოღონდ ჩუქება შეიძლოთ თქვენ, ჩუქება მხოლოდ!

ნ ა თ ა ნ ი

და შენც მიიღე ისე, როგორც მე მას გთავაზობ:  
დიდი ხალისით... და გაჩუმდი!

დაია

რაო? გავჩუმდე?

ვის ეპარება ეჭვი, ნათან, პატიოსანი  
ადამიანი რომ ბრძანდებით, სულგრძელი დიდად?  
მაგრამ თქვენ მაინც...

ნათანი

მაგრამ მაინც ებრაელი ვარ.  
შენ ხომ ამისი თქმა გინდოდა?

დაია

რისი თქმაცა მსურს,  
თქვენ უკეთესად იცით. მგონი.

ნათანი

ჰოდა, გაჩუმდი!

დაია

ვდუმვარ, მაგრამ, თუ ღვთის წინაშე მოხდება ცოდვა,  
ისეთი ცოდვა, რომელსაც მე ხელს ვერ შევეშლი  
და ვერც შევიძლებ, მას სხვაგვარი მსგეულობა მიეცე.  
იცილებ. რომ თქვენ აგებთ პასუხს.

ნათანი

მე ვაგებ პასუხს.

მაგრამ სად არის ის აქაზდე? სად არის რეხა?  
დაია, შენ ხომ არ მატყუებ? იქნებ არც იცის,  
რომ მე დაგბრუნდი?

დაია

ამას თვითონ თქვენ გეკითხებით!  
მას შიშისაგან ისევ უთრთის ყოველი ნერვი.  
ყოველგან ცეცხლი ელანდება, ძილის დროს ღვიძავს,  
ხოლო ფხიზელს კი სძინავს თითქოს: ხან კურდღელივით  
ძალზე მცირე ხანს, ხანაც დიდხანს, როგორც ანგელოზს.

ნათანი

საბრალო ბავშვი! ეპ, რა არის ადამიანი!

დაია

ამ დილით იწვა იგი დიდხანს თვალდახუჭული,  
ისე, რომ ნამდვილ მიცვალებულს მოგაგონებდათ.

წამოიწია შემდეგ სწრაფად და დაიძახა:

„გესმის! მოდიან აქლემები მამაჩემისა!

ჩუ! აი თვითონ მისი ნაზი ხმა გესმის თითქოს!“

მერე კი თვალი კვლავ მილულა და ხელს, რომელზეც დაყრდნობილიყო იგი თავით, არ ეყო ძალა.

ისევ ბალიშზე მიესვენა ღონმილეული.

მყის გარეთ გავჩნდი და ვხედავ, რომ აქ ხართ ნამდვილად!

მართლა მოსულხართ!.. ეს პირდაპირ საოცარია!

მთელი არსებით ის სულ თქვენთან და მასთან იყო.

ნ ა თ ა ნ ი

მასთან? ვინ მასთან?

დ ა ი ა

ვინაც ის ცეცხლს გადაარჩინა.

ნ ა თ ა ნ ი

ვინ იყო იგი? ვინ? — მაუწყე! — სად არის ახლა?

მითხარ, ვინ იხსნა ჩემი რეხა სიკვდილისაგან?

დ ა ი ა

ერთმა მეტაძრემ, ახალგაზრდამ, ამ რამდენიმე დღის წინ იგი აქ მოიყვანეს დატყვევებული და სალადინმა შეიწყნარა.

ნ ა თ ა ნ ი

რაო? მეტაძრე

ჩვენმა სულთანმა შეიწყნარა? საოცარია!

იმისთვის უნდა მომხდარიყო ეს სასწაული,

რომ რეხა ეხსნათ? ღმერთო ჩემო!

დ ა ი ა

მას რომ სულთნისგან

მოულოდნელად ბოძებული თვისი სიცოცხლე

ისევ საფრთხეში არ ჩაეგდო, რეხას თქვენ ცოცხალს

ვერ იხილავდით.

ნ ა თ ა ნ ი

სად არის ის, დაია, ახლა,

სად იმყოფება კაცი იგი კეთილშობილი?

წამიძელ მასთან, რომ მის ფერხთით დავემხო წამსვე.

თქვენ ხომ მაშინვე მიეცით მას, რაც ძვირფასი რამ

აქ დაგიტოვებ? არ მიეცით მას ყველაფერი?  
და უფრო მეტსაც არ შეჰპირდით, გაცილებით მეტს?

და ი ა

როგორ შეგვეძლო?

ნ ა თ ა ნ ი

არა? არა?

და ი ა

არავინ იცის

საიდან იყო ის მოსული, რომელი მხრიდან,  
წავიდა და ვერც ის გაიგეს, თუ საით გაჰქრა.  
უცნობი იყო ჩვენი სახლი რაინდისათვის,  
მაგრამ, როგორც კი შემოესმა რეხას კივილი,  
როდესაც იგი შევლას გვთხოვდა სასოწარკვეთით,  
შეიჭრა გაშლილ მოსასხამით ცეცხლსა და კვამლში.  
ჩვენ დალუბულად ვთვლიდით უკვე იმ ახალგაზრდას,  
ის კი ხანძრიდან გამოვიდა მოულოდნელად,  
მოჰყავდა რეხა მძლავრი ხელით, მაღლა აწვდილი.  
წამსვე მივცვივდით, რომ გულწრფელი მადლობა გვეთქვა,  
მაგრამ მან მშვიდად დასდო ჩვენ წინ ნადავლი თვისი  
და გაჰქრა ხალხში.

ნ ა თ ა ნ ი

სამუდამოდ? არა მგონია.

და ი ა

რამდენიმე დღის შემდეგ ვნახეთ, დასეირნობდა  
იმ პალმების ქვეშ, ქრისტეს საფლავს რომ უჩრდილებენ.  
წამსვე მივედი უცნობ ყრმასთან აღტაცებული,  
გადაუხსადე მადლობა და თან შევევედრე,  
ვთხოვე გულდაგულ, დაჟინებით, რომ ერთხელ მაინც  
ენახა კიდე უწყინარი ქმნილება იგი,  
ვინც სულს მანამდე ვერაფრით ვერ დაიმშვიდებდა,  
ვიდრე მის ფერხთით არ დაღვრიდა მადლობის ცრემლებს.

ნ ა თ ა ნ ი

მერე?

და ი ა

ამაოდ! მან ჩვენს თხოვნას არ უგდო ყური  
და დაგვცინოდა, უფრო კი მე, გესლიან ენით...

## ნ ა თ ა ნ ი

ვიდრე ამით არ დაგაშინა.

## ღ ა ი ა

არა, პირიქით!

ყოველდღე მასთან მივდიოდი მე ამის შემდეგ, ვისმენდი მწარე დაცივნასა. რა არ ვითმინე! და კიდევ რამდენს მოვითმენდი... მაგრამ ის უკვე აღარ სწვევია მწვანე პალმებს კარგა ხანია, ეგრეთ საამო ჩრდილს რომ ჰფენენ მაცხოვრის საფლავს, და არც ვინ იცის, სად წავიდა, სად არის ახლა... გიკვირთ? ჩაფიქრდით?

## ნ ა თ ა ნ ი

ვფიქრობ, როგორ იმოქმედებდა

ეს ამბავი ჩემს რეხას სულზე. რარიგ მძიმეა, ეზიზღებოდა იმ კაცს, ვისაც დიდად აფასებ, ხელსა გკრავდეს და გული მაინც გიწვევდეს მისკენ. ცხადია, დიდხანს ედავება გული გონებას: ვინ დამარცხდება საბოლოოდ, ვინ გაიმარჯვებს ორთა ბრძოლაში — სიძულვილი თუ მტკუნვარება? ხშირად ვერც ერთი ვერ იმარჯვებს, აქ ფანტაზია ერევა ხოლმე მკაცრ დავაში და ადამიანს მეოცნებედ ხდის; ამ დროს მასში ზოგჯერ გონება იმარჯვებს გულზე, ხანაც გული გადააძლევს ისევე. ცუდია ძალზე! მე სრულებით ველარ გცნობ რეხას. ჩანს, მეორეა მისი ხვედრი: ოცნებობს იგი.

## ღ ა ი ა

მაგრამ ძალიან ღვთისმოშიშად, ძალზე უმანკოდ!

## ნ ა თ ა ნ ი

რაც უნდა იყოს, იგი მაინც ოცნება არის.

## ღ ა ი ა

ერთი კი არის, — თუგინდ ჟინი უწოდეთ ამას, ძლიერ ძვირფასი არის მისთვის. მას ეს რაინდი როდი ჰგონია მიწის შვილი, არც მიწიერი, არამედ წმინდა ანგელოზი, რომლისათვისაც ბავშვობიდანვე მიუხდვია პაწია გული. რეხას ჰგონია, — ის ღრუბლებით მთლად შებურვილი

დაეშვა ცეცხლში მის სახსნელად. მაგრამ უეცრად  
რაინდის სახით მოვევლინა... ნუ იღიმები  
ვინ იცის, იქნებ ასეც იყო... თუნდ გაიცინეთ.  
მაგრამ ნუ ჰკილავთ, შეიწყნარეთ ოცნება მისი,  
ტკბილი ოცნება. რომლისთვისაც სულ ერთი არის  
ებრაელიცა, ქრისტიანიც და მუსლიმანიც.

ნ ა თ ა ნ ი

ჩემთვისაც ეგრე ტკბილი არის! წადი, დაია,  
ნახე, რასა იქს, მინდა რეხას ველაპარაკო,  
შემდეგ კი წავალ იმ ველური. თაენება კაცის,  
რეხას მფარველი ანგელოზის მოსანახავად.  
და თუ ის ისევ ამ მიწაზე, მოკვდავთა შორის,  
დაიარება, თუ კვლავ ასე უზრდელად სჩადის  
თავის საგმირო საქმეებსა. — აუცილებლად  
ვიპოვი მას და აქ მოვიყვან.

დ ა ი ა

ძნელი საქმეა.

ნ ა თ ა ნ ი

ტკბილი ოცნება ტკბილ სიმართლეს დაუთმობს ადგილს:  
რადგან, დაია, დამერწმუნე, რომ ადამიანს  
ადამიანი ურჩევნია ციურ ანგელოზს...  
და მაშინ შენაც ჩემზე აღარ მოგივა გული,  
როცა ამ ციურ მეოცნებებს მორჩენილს ნახავ.

დ ა ი ა

რა კეთილი ხართ და აშასთან რა ძლიერ ავი.  
მივდივარ!.. მაგრამ, ხედავთ? აგერ, აქ მოდის თვითონ.

**გამოსვლა მეორე**

რ ე ხ ა და ი გ ი ვ ე ნ ი.

რ ე ხ ა

მაშ ეს თქვენა ხართ, მამაჩემო, მართლა თქვენა ხართ?  
მე კი მეგონა, რომ თქვენს მიერ წარმოგზავნილი  
ხმა მომევლინა! რაღას დგეხართ ეგრე უძრავად?  
ერთმანეთისგან ნუთუ ისევ გვთიშავენ მთები,  
უდაბნონი და მდინარენი? კვლავ ცოცხალს ხედავთ  
და არ ისწრაფით, რომ თქვენს რეხას გადაეხვიოთ?



საბრალო რეხა კინალამ არ დაიწვა ცეცხლში!..  
ღიახ, კინალამ არ დაიწვა არ შეგეშინდეთ!  
ოჰ, ცეცხლში დაწვა საძაგელი სიკვდილი გახლავთ.

ნ ა თ ა ნ ი

ჩემო გოგონა, საყვარელო ჩემო გოგონა!

რ ე ხ ა

თქვენ გადმოლახეთ იორდანე, ევფრატი, ტიგრი,  
ვინ იცის, კიდევ გადმოსცურეთ სხვა მდინარენიც!  
ო რარიგ ხშირად ვთრთოდი თქვენი სიცოცხლის გამო,  
თვითონ კი ლამის არ დავიწვი... და იმის შემდეგ,  
რაც ეს ამბავი დამემართა, წყალში დახრჩობა  
ხსნა, სიხარული, ნეტარება მგონია სწორედ.  
მაგრამ თქვენ წყალში არ დამხრჩვალხართ, საბუნდუნეოდ,  
და მეც, მეც ხანძარს გადავურჩი. ახლა ორივე  
უნდა მივეცეთ სიხარულს და ვადიდოთ ღმერთი!  
მან ფრთებით თავის უ ხ ი ლ ა ვ ი ანგელოზისა  
გადმოგაცურათ თქვენ და ნავი მდინარეებზე,  
მე კი ხ ი ლ უ ლ ი ანგელოზი წარმომიკლინა,  
რომ თეთრი ფრთებით შმაგ ხანძრიდან გამოვეტანე.

ნ ა თ ა ნ ი (განუ)

თეთრი ფრთებითო! ღიახ, თეთრი მოსასხამია  
ეს რაინდისა.

რ ე ხ ა

მან აშკარად, მართლაც ხილულად,  
გამომიტანა შმაგ ცეცხლიდან ფრთების ფრიალით.  
ღიახ, მომიხდა ანგელოზის პირისპირ ნახვა,  
ეს იყო ჩემი ანგელოზი.

ნ ა თ ა ნ ი

რალა თქმა უნდა,

შენ ღირსი იყავ, ანგელოზი თვალთ გეხილა;  
და მის თვალეზსაც არანაკლებ მშვენეირებით  
გამოეცხადე ალბათ შენცა, ვიდრე შენ — იგი.

რ ე ხ ა (ღიშლით)

ვის გასურთ აამოთ: საკუთარ თავს თუ ანგელოზსა?

## ნ ა თ ა ნ ი

მაგრამ შენ თუნდაც ადამიანს გადაერჩინე,  
ისეთს, როგორსაც შობს ბუნება ყოველდღიურად.  
განა იგივე ანგელოზი არ იქნებოდა  
შენთვის. ვით ახლა? იქნებოდა, რალა თქმა უნდა.

## რ ე ხ ა

იგივე? არა! რასა ბრძანებთ! მე ხომ ნამდვილი,  
ღიას, ნამდვილი ანგელოზი გამომეცხადა.  
განა თქვენ თვითონ არ მასწავლეთ, რომ შეიძლება  
ამ ქვეყანაზეც არსებობდნენ ანგელოზები  
და თვითონ ღმერთმაც სასწაულღ მოიმოქმედოს  
მათთვის, რომელთაც იგი უყვართ? მეც მიყვარს ღმერთი.

## ნ ა თ ა ნ ი

და თვითონ ღმერთსაც უყვარხარ შენ. იგი შენთვის და  
შენიც მსგავსათვის სასწაულებს ახდენს ყოველ წამს.  
ღიას, მრავალი სასწაული მოიმოქმედა  
უკვე მან თქვენთვის თვით საწყაროს დასაბამიდან.

## რ ე ხ ა.

აი მაგ სიტყვებს კი ყურს ვუგდებ სიამოვნებით.

## ნ ა თ ა ნ ი

როგორ? რაკი შენ სიკვდილისგან გადაგარჩინა  
რაინდმა, კაცმა მიწიერმა, ჩვეულებრივმა,  
ასე უბრალოდ, ბუნებრივად, — ამას სასწაულს  
აღარ უწოდებ? — სასწაული უღიადესი  
სწორედ ის არის, რომ ამბები გასაოცარი  
ყოველდღე უნდა გვხვდებოდეს და კიდევაც გვხვდება.  
თუ ეს ამბავი სასწაულად არ მივიჩნით,  
ერთი მითხარი, მოაზროვნე ადამიანმა  
რალას უწოდოს სასწაული, იმას ხომ არა,  
რასაც ბავშვები ეძახიან, როცა ნახავენ  
რაიმე ახალს, უჩვეულოს და პირს აღებენ.

## დ ა ნ ი ა (ნათანს)

ხომ არა გნებაუთ ჭკუიდან მთლად შეშალოთ იგი  
მაგ ოსტატური ლაპარაკით?

## ნ ა თ ა ნ ი

დამაცა! რეხას

არ მიაჩნია სასწაულად, რომ იგი იხსნა  
ა დ ა მ ი ა ნ მ ა, ვინც თვითონაც სიკვდილს გადურჩა  
არანაკლები სასწაულით? არანაკლები,  
ვამბობ მე ამას, რადგან, აბა, ვისა სმენია,  
რომ რომელიმე ყრმა მეტაძრე სალადინს წინათ  
არ მოეკვდინოს? ასეთი რამ როდის ყოფილა,  
რომ შეწყნარება მოეთხოვა თვითონ მეტაძრეს,  
ანდა იმედი ჰქონოდა მას შეწყნარებისა?  
ერთადერთი რამ, რაც შეეძლო ეთხოვა იმას,  
ეგ იყო მხოლოდ ან ქამარი, რომლითაც თავის  
ჯაჭვებს ათრევდა, ან, სულ დიდი, ხანჯალი თვისი.

### რ ე ხ ა

თქვენ ხომ ასე სჯით, მამაჩემო. სწორედ ამიტომ  
იგი მეტაძრე როდი იყო, ის იყო მხოლოდ  
მისი აჩრდილი. არც ერთი არ მოუყვანიათ  
მეტაძრე ჩვენში, სიკვდილით რომ არ დაესაჯათ.  
არც ერთ იმათგანს არ ჰქონია იმისი ნება,  
რომ თავისუფლად ესეირნა იერუსალიმში,  
მამ ვით შეეძლო ერთ-ერთ მათგანს ვესხენი ღამით  
თავის სურვილით?

### ნ ა თ ა ნ ი

ხედავ, რარიგ გამჭრიახია!  
შენზეა სიტყვა აწ, დაია. აკი მითხარი,  
რომ ჩვენს ქალაქში მოიყვანეს იგი, როგორც ტყვე-  
უეჭველია, მის შესახებ სხვა რამეც იცი!

### დ ა ი ა

ეგრე ამბობენ, რა თქმა უნდა. მაგრამ იმასაც  
ლაპარაკობენ, სალადინმა ის შეიწყნარა  
იმიტომ, რომ ის თავის ძვირფას ძმას მიამსგავსა,  
რომელიც თურმე გარდაცვლილა ოცი წლის წინათ.  
რა ერქვა მის ძმას, ან სად მოკვდა. — არა ვიცი რა.  
ეს ყოველივე ისერიგად უცნაურია,  
მთელი ამბავი გეგონება ზღაპარი მხოლოდ.

### ნ ა თ ა ნ ი

ჰოდა, დაია, რატომ არის ეგ უცნაური?  
იქნებ იმიტომ, რომ მზადა ხარ, როგორც აქ მოხდა,  
ირწმუნო უფრო უცნაური, სულ სხვა ზღაპარი?

რატომ არ გჯერა, რომ სალადინს, რომელსაც თავის  
და-ძმები ასე ძლიერ უყვარს, განსაკუთრებით  
უყვარდა თვისი ერთ-ერთი ძმა სიჭაბუკეში?  
განა არ არის ორი სახე ერთსურთის მსგავსი?  
ნუთუ მთლად ჰქრება განვლილ დროის შთაბეჭდილება?  
ნაცნობი სახე ნაცნობ გრძნობას არ ბადებს გულში?  
რომელ დროიდან?.. რა გგონია აქ უცნაური?  
ეჰ, რა თქმა უნდა, ეს ამბავი, დაია, შენთვის  
არ წარმოადგენს არავითარ სასწაულს. შენი  
სასწაულები მარტოოდენ საჭიროებენ...  
ღირსნი არიან რწმენისა-თქო, მინდოდა მეთქვა.

და ი ა

თქვენ მე დამცინით.

ნ ა თ ა ნ ი

იმით, რომ დამცინი შენცა.  
მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემო რეხა, შენი ხსნა კიდევ  
რჩება აუხსნელ სასწაულად, თუცა ეს მისთვის  
გასაგებია, ვინც მეფეთა სასტიკ ბრძანებებს  
ერთი უბრალო შეხებითაც თამამად აქცევს,  
თუ არ აქცია ისინი მთლად დაცინვის საგნად.

რ ე ხ ა

როდესაც ვცდები, მამაჩემო, თქვენ კარგად იცით,  
რარიგ მაწუხებს, ეს რაოდენ მძიმეა ჩემთვის.

ნ ა თ ა ნ ი

და უფრო მეტიც... დარიგებებს ხალხით ისმენ!  
აბა შეხედე! მალალი თუ დაბალი შუბლი,  
ცხვირის ასეთი თუ სხვაგვარი მოხაზულობა.  
მახვილ ან უშნოდ გამობერილ ძვლებზე შუბლისა  
წარბები სწორი ან მშვილდივით გადარკალული,  
უბრალო ხაზი თუ რაიმე მცირე ნიშანი,  
პაწია ხალი ან ნაოჭი თუ აღწოაჩნდა  
სახეზე ველურ ევროპელსა — ამაში არის  
აქ, აზიაში, საწინდარი შენი შველისა.  
და ეს კი თქვენთვის, სასწაულებს მოწყურებულნო,  
ნუთუ არ არის სასწაული გასაოცარი?  
რადღა გჭირდებათ ანგელოზი რომ შეაწუხოთ?

და ი ა

ნება მიბოძეთ, გკითხოთ, ნათან: თუ ჩვენთვის უფრო  
სასიამოვნო არის, რომ ის ჩავთვალოთ მხსნელად

და არა კაცი, საზიანო არის ეს განა?  
ასეთი ფიქრით ნუთუ უფრო ახლოს არ მივალთ  
ჩვენი ხსნის პირველ, მიუწვდომელ მიზეზთან?

ნ ა თ ა ნ ი

ეს ხომ

სიამაყეა, სიამაყე, სხვა არაფერი!  
ეგრე რომ იყოს, თუჯის ქვაბიც გაიხარებდა,  
რომ გამოეღოთ ის ცეცხლიდან ვერცხლის სატაცით:  
ხომ არ შესცდნენ და ვერცხლის ქვაბად მიმიჩნიესო.  
შენ მეკითხები: აქ რა არის საზიანო?  
მაშ მეც მომეცი ნება გკითხო: რა სარგებლობას  
ხედავ ამაში? შენ ამბობ, რომ „ჩვენ უფრო ახლო  
ვიქნებით ღმერთთან“. მაგრამ ეს ხომ უაზრობაა  
ანდა ღვთის გმობა. მაშ იცოდე, ჩემო დაია:  
ეს მხოლოდ ვნება, ვნება არის აუცილებლად.  
მო, ყური მიგდეთ! ჩემო რეხა, ხომ მართალია,  
ვინც უნდა იყოს ის ქმნილება, შენ რომ დაგიხსნა,  
გინდ ანველოზი, გინდ მოკვდავი ადამიანი,  
ხომ ეცდებოდით ორივენი, შენ კი მეტადრე.  
მისთვის მიგეზღოთ უფრო დიდი სამაგიერო?  
აბა მითხარით, ანგელოზს რით გადაუხდიდით,  
რა დიდ სამსახურს გაუწევდით? შეგეძლოთ მხოლოდ  
მადლი მიგეძღვნათ, გელოცათ და შევედრებოდით,  
აღტაცებულებს მის წინ სული გადაგეშალათ,  
მის ღლეობაზე გაგეწიათ ქველმოქმედება  
და გემარხულათ... აი მთელი თავი და ბოლო.  
მაგრამ, მე ვფიქრობ, ამით უფრო თქვენ მოიგებდით  
და მხოლოდ თქვენი მახლობელნი, ვიდრე ის თვითონ.  
არ გასუქდება იგი იმით, რომ იმარხულთ,  
არ გამდიდრდება იგი თქვენი ქველმოქმედებით,  
უფრო დიდებულს ვერ გახდის ეგ აღფრთოვანება  
და თქვენი რწმენა ვერ შემატებს მას ძლიერებას.  
მაგრამ, იგი რომ ყოფილიყო ადამიანი!..

დ ა ი ა

ცხადია, ის რომ ყოფილიყო ადამიანი,  
ჩვენ უფრო მეტის გაკეთება შეგეძლო მისთვის.  
ღმერთი ხომ ხედავს, მთელი გულით ვცდილობდით ამას.  
მაგრამ მან ეს არ მოიხურვა, მას არაფერი  
უნდოდა ჩვენგან, ჩაიკეტა საკუთარ თავში.

და კმაყოფილი იყო ისე, როგორც ანგელოზს,  
მხოლოდ ანგელოზს ძალუძს ხოლმე...

რ ე ხ ა

ბოლოს კი, როცა

იგი მთლად გაჰქრა.

ნ ა თ ა ნ ი

გაჰქრა? როგორ? მაშ პალმების ქვეშ  
აღარ გინახავთ? აღარც სხვაგან ეძიეთ სადმე?

და ი ა

არ გვიძებნია.

ნ ა თ ა ნ ი

არა? არა? აი, დაია,

ვნება ეს არის. ო, სასტიკნო მეოცნებენო!..

მაგრამ თუ ახლა ავად არის ეს ანგელოზი?

რ ე ხ ა

ავად!

და ი ა

რას ამბობთ, იგი ავად როგორ იქნება!

რ ე ხ ა

ო, რა სიცივემ ამიტანა, ხელი დამადე,  
დაია, თავზე, ყინულივით გამიხდა შუბლი.

ნ ა თ ა ნ ი

ის ფრანკი გახლავთ, ჩვენი ჰავა უცხოა მისთვის,  
ახალგაზრდაა, მძიმე საქმეს და გაჭირვებას,  
სასტიკე შიმშილს და ღამის თევას მიუჩვეველი.

რ ე ხ ა

ის ავად არის.

და ი ა

ამას მხოლოდ ნათანი ფიქრობს.

ნ ა თ ა ნ ი

ახლა წევს იგი, მეგობრები აღარ ჰყავს გვერდით  
და არც ფული აქვს, რომ მომვლელნი დაიქირაოს.

რ ე ხ ა

ოჰ, მამაჩემო!

ნ ა თ ა ნ ი

წევს უმწეოდ, მთლად უნუგეშოდ,  
მწვავე ტკივილთა, სასიკვდილო წამების მსხვერპლი  
და არც ვინ შერჩა, რომ გაართოს, მიუაღერსოს.

რეხა

სად? სად წევს იგი?

ნათანი

ვინც უცნობის გადასარჩენად  
ცეცხლში შეიჭრა, რადგან მისთვის ისიც კმაროდა,  
ადამიანი ეხსნა მხოლოდ...

დაია

გთხოვთ შეიცოდოთ...

რეხა

ვინც არც კი ცდილა, გასცნობოდა გადარჩენილსა,  
ენახა კიდეც, რომ მადლობა არ ეთქვათ მისთვის.

დაია

გეცოდებოდეთ, ნათან, რეხა.

ნათანი

პირიქით, იგი

ერიდებოდა კიდეც თურმე მასთან შეხვედრას,  
თუ გადარჩენა, ვით კაცისა, ადამიანის,  
ოღესმე კიდეც, მეორედ, არ დასჭირდებოდა.

დაია

იკმარეთ, ნათან, აბა ერთი შეხედეთ რეხას!

ნათანი

ყრმას სიკვდილის წინ ერთადერთი ნუგეში დარჩა —  
კეთილი საქმის აღსრულების შეგნება მხოლოდ.

დაია

თქვენ რეხას მოჰკლავთ.

ნათანი

შენ კი ის ყრმა მოჰკალი უკვე!--

ასე შეგეძლო ის მოგეკლა... ო, რეხა! რეხა!  
მე წაშალა გაძლეც, განჰკურნებულს, განა თუ შხამსა.  
გონს მოდი!.. იგი ცოცხალია... ავად გახდომა  
არც უფიქრია...

რეხა

მართლა? მაშ არ მოჰკვდარა იგი?

არც ავად არის?

ნათანი

არ მომკვდარა, რალა თქმა უნდა,  
რადგან კაცს ქვეყნად ჩადენილი სიკეთისათვის  
ღმერთი სიკეთეს ამქვეყნადვე მიუზღავს ხოლმე.  
21. ლესიანი

წადი! გახსოვდეს, რომ ოცნება მოკრძალებული  
უფრო ადვილი არის ხოლმე, ვიდრე მოქცევა  
სინდისიერი. სუსტი ნების კმნილება,— ხშირად  
შეუგნებლადაც,— ეტანება ამგვარ ოცნებას,  
ოღონდ კეთილი საქმისაგან დაიხსნას თავი.

რეხა

აჰ, მამაჩემო! გთხოვთ, თქვენს რეხას ნულარ დასტოვებთ,  
ნულარ დასტოვებთ კვლავ დიდი ხნით სრულიად მარტოს.  
იქნება ის ყრმა გაემგზავრა საითმე უკვე?  
მართალს არ ვამბობ?

ნათანი

რა თქმა უნდა. ახლა კი წადით!  
ვხედავ, იქ ვილაც მუსლიმანი ცნობისმოყვარე  
თვალითა სინჯავს ჩემს აქლემებს აკიდებულსა.  
ვერ სცნობთ?

დაია

ეს თქვენი დავრიშია.

ნათანი

ვინა?

დაია

დავრიში,

თქვენთან ჭადრაკს რომ თამაშობდა.

ნათანი

ალ-ჰაფი არის?

დაია

ხაზინადარი გახდა იგი ჩვენი სულთნისა.

ნათანი

რაო? ალ-ჰაფი? სიზმარში ხომ არა ხარ ისევ?

ის არის!.. მართლა იგი არის! აქეთკენ მოდის.

სასწრაფოდ გადით!.. ახალ ამბავს გავიგებ რასმე!

გამოხვლა მისამე

ნათანი და დავრიში.

დავრიში

თვალეზი ფართოდ გაახილეთ და შემომხედეთ,  
რაც შეგიძლიათ უფრო ფართოდ!

ნათანი

მაშ ეს შენა ხარ? ,



შენა ხარ მართლა? დავრიში და ასე მშვენივრად  
გამოწყობილი?!

და ვ რ ი შ ი

ღიას, ღიას, რატომაც არა?

განა დავრიში უმაქნისი არის ქმნილება?

ნ ა თ ა ნ ი

ცხადია, არა!.. მაგრამ მე კი ვფიქრობდი მუდამ —  
დავრიში, თუკი ის ნამდვილი დავრიში არის,  
სამსახურში არ დადგებოდა.

და ვ რ ი შ ი

მაკმადსა ვფიცავ,

იქნებ ნამდვილი დავრიში მე არცა ვარ, მაგრამ,  
თუკი მრეწყო ისე საქმე, რომ ვალდებული  
ვარ...

ნ ა თ ა ნ ი

ვალდებული? ვინ? დავრიში და ვალდებული?  
იქნებ იმისი ვალდებულიც შეიქნეს იგი,  
რის ვალდებულიც შეიძლება არავინ იყოს?  
ძაინც რა უნდა გააკეთოს?

და ვ რ ი შ ი

ის, რასაც სთხოვენ

მას წრფელი გულით და ის, რაშიც სიკეთეს ხედავს.

ნ ა თ ა ნ ი

ღმერთმანი, მართალს ლაპარაკობ. ნება მიბოძე,  
გადაგეზვიო, ჭეშმარიტო ადამიანო,  
შენ ხომ კვლავ ჩემი განუყრელი მეგობარი ხარ?

და ვ რ ი შ ი

ჯერ რად არ მკითხავთ, რა ვარ ახლა?

ნ ა თ ა ნ ი

რაც უნდა იყო!

და ვ რ ი შ ი

მაგრამ თუ ისეთ პიროვნებად გადავიქცევი  
ამ ქვეყანაში, რომლის ცნობა და მეგობრობა  
არც კი ისურვოთ?

ნ ა თ ა ნ ი

არა, არა, რაც უნდა იყო,  
გულით ზომ ისევ დავრიში ხარ? თანამდებობა  
მხოლოდ სამოსი არის შენი.

დავრიში

პატივისცემა

სამოსსაც უყვარს. მიპასუხეთ, აბა რა ადგილს  
მომცემდით მე თქვენს სასახლეში?

ნათანი

დავრიშის ადგილს,

სხვას არაფერსა. თანაც იქნებ მზარეულისას.

დავრიში

გმადლობთ! რომ ჩემი ხელოვნება სულ დამავიწყოთ...

მე — მზარეული? ან იქნება ხელზე მსახურიც...

მართალი რომ ვთქვა, სალაღინი უკეთ მაფასებს:

ხაზინადარი ვარ იმისი.

ნათანი

შენ? მისი?

დავრიში

არა,

მთავარი, არა, რა თქმა უნდა. დიდი ხაზინა

ისევ მამამისს აბარია, მე კი პატარა,

თვით მისი სახლის ხაზინა მაქვს ჩაბარებული.

ნათანი

დიდია სახლი სალაღინის.

დავრიში

იმაზე დიდი,

ვიდრე თქვენ ფიქრობთ, თუ გლახაკებს ვიანგარიშებთ.

ნათანი

მაგრამ სალაღინს გლახაკები სძულს ისე ძლიერ...

დავრიში

რომ გადაწყვიტა, გლახაკები მოსპოს მთლიანად,

თუნდ ამის გამო თვით მოუხდეს გაღატაკება.

ნათანი

ყოჩაღ! მეც მაგვეარ აზრისა ვარ.

დავრიში

უნდა გამოვტყდე,

რომ იგი უკვე გლახაკია. ყოველ საღამოს

მისი ხაზინა სულ მთლიანად ცარიელდება.

დილით მოქცევა ხდება, პირდაპირ წარღვნა,

შუადღისას კი მიქცევა და ქრება სავსებით...

ნათანი

რადგან ხაზინას აქვს ისეთი გასასვლელები,

რაც უნდა სცადო, მათ ვერაფრით ვერ ამოავსებ,  
რათა სიმდიდრე დააგუბო.

და ვ რ ი შ ი  
სწორედ ეგრეა.  
ნ ა თ ა ნ ი

გამოცდილი მაქვს.

და ვ რ ი შ ი  
რა თქმა უნდა, არაფრად ვარგა,  
როცა ხელმწიფე დააცხრება ლემს ყორანივით,  
მაგრამ, როდესაც იგი თვითონ იქცევა ლეშად  
და ყვავ-ყორნების გასაჯიჯუნად, საზიზღარია.  
ნ ა თ ა ნ ი

არა, დავრიშო!

და ვ რ ი შ ი  
ადვილია სათქმელად თქვენთვის!  
აბა, რას მომცემთ, რომ დაგიტოვოთ ჩემი ადგილი?  
ნ ა თ ა ნ ი

საკითხავია, თუ რას გაძლევს შენ ეგ ადგილი?

და ვ რ ი შ ი  
მე? — ბევრს არაფერს. თქვენ კი... თქვენ კი გამდიდრდებოდით.  
როგორც კი, ნათან, დაიწყება მიქცევა ხოლმე  
ჩვენს ხაზინაში, — ეს კი ხშირად ხდება, — მაშინვე  
გახსენით თქვენი რაბები და წიღუჭით წყალი  
და სარგებელსაც, რამდენიც გასურთ, იმდენს მიიღებთ.  
ნ ა თ ა ნ ი

და თან სარგებლის სარგებელსაც?

და ვ რ ი შ ი  
რალა თქმა უნდა.

ნ ა თ ა ნ ი

ვიდრე მთელ თანხას სარგებელში არ დავაბანდებ?

და ვ რ ი შ ი

რაო, არ მოგწონთ? თუ ასეა, ახლავ დავწეროთ  
ქალაქი ჩვენი მეგობრობის გაუქმებისა.

მე კი ნამდვილად შქონდა თქვენი დიდი იმედი.

ნ ა თ ა ნ ი

ნამდვილად გქონდა? რა იმედი? რისი იმედი?

და ვ რ ი შ ი

იმის, რომ გულწრფელ დახმარებას აღმომიჩენდით —  
სინდისიერად მომეხალა მოვალეობა,

რომ თქვენი სკივრი მუდამ ღია დამიხვდებოდა.  
არა? თავს აქნევთ?

ნ ა თ ა ნ ი

გასაგებად ვილაპარაკოთ.

აქ დიდი არის განსხვავება. შენ? რატომ არა?  
დავრიშ ალ-ჰაფის სიხარულით დავებმარები  
მუდამ, ყველაფრით, რითაც ძალმიძს, მაგრამ მოხელეს  
სალადინისას, ვინც... რომელსაც...

დ ა ვ რ ი შ ი

განა ვერ მივხვდი?

თქვენ ისეთივე კეთილი ხართ, როგორც ჭკვიანი,  
ჭკვიანიც სწორედ ისეთივე, ვითარცა ბრძენი!  
გთხოვთ მოითმინოთ! იმას, რაიც ალ-ჰაფისაგან  
ასე გაშორებთ, მოვიცილებ თავიდან მალე.  
აი შეხედეთ, საბატოო სამოსი ესე  
თვითონ სულთანმა მიწყალობა. ვერც კი მოასწრებს  
ის გახუნებას და გაცვეთას, დავრიშისათვის  
მთლად უვარგისად გადაქცევას, იერუსალიმში  
ჩამოჰკიდებენ მას ლურსმანზე და მე კი განგის  
კვლავ ცხელქეციშიან ნაპირებზე ვიხეტიალებ  
ხალვათ სამოსით, ფეხშიშველი ჩემს წინამძღვრებთან.

ნ ა თ ა ნ ი

შეგშვენდებოდა შენ ეს მართლაც!

დ ა ვ რ ი შ ი

და მათთან ჭადრაკს

ვითამაშებ კვლავ.

ნ ა თ ა ნ ი

აი შენი უზენაესი

ბედნიერება.

დ ა ვ რ ი შ ი

რომ იცოდეთ, რამ შემაცდინა!

ვითომ იმან, რომ მათხოვრობა აღარ მომიწევს?  
რომ გლახების წინ მდიდრის როლი გავითამაშო?  
განა არ ძალმიძს მოვინდომო და უმდიდრესი  
გლახა ერთ წუთში უღარიბეს მდიდრად ვაქციო?

ნ ა თ ა ნ ი

არა, შენ ამას არ იზამდი.

დ ა ვ რ ი შ ი

ვქმენ უარესიც!

მაშინდა ვცანი სიტკბოება სიცბიერისა  
გადამაცდინა სალადინის გულკეთილობამ,  
დაბნეულობამ მიამიტმა.

ნ ა თ ა ნ ი

რა მოხდა მაინც?

და ვ რ ი შ ი

„გლახაკის ყოფნა, — მითხრა, — მარტო გლახაკმა უწყის;  
მხოლოდ მას ძალუძს გონივრული განაწილება  
მოწყალებისა. ის კი, ვინც მე ხაზინადარად  
მყავდა შენამდე, ძალზე გულქვა, სასტიკი იყო  
და დიდ სიძუნწეს, ბოროტებას იჩენდა ხოლმე,  
როდესაც მთხოვნელთ მოწყალებას უნაწილებდა.  
ყოველ მათხოვარს აწამებდა მკაცრი დაკითხვით;  
ჯერ დაწვრილებით გაიგებდა, ვის რა უჭირდა,  
შემდეგ კი მისი გასაჭარის მიზეზს იკვლევდა,  
რომ მცირე რამით განეკითხა ბოლოსდაბოლოს.  
ალ-ჰაფი კი, მწამს, მოიქცევა სულ სხვანაირად,  
იგი სალადინს ძუნწე გულუხვად არ გადააქცევს,  
ნაგვიან მიღებს იგი როდი დაემგვანება,  
რომლებშიც მშვიდად მომდინარე ანკარა წყალი  
გადაიქცევა მღვრიე ქაფად. ალ-ჰაფი სწორედ  
ისე აზროვნებს და ისე გრძნობს, ვით სალადინი“.  
ჩიტიჭერიას სალამური უკრავდა ასე,  
ვიდრე მახეში გულწითელა არ გაიხლართა.  
მეც ბაქია ვარ, ბაქიას რომ ასე ავყევი.

ნ ა თ ა ნ ი

ჩუმაღ, დავრიშო!

და ვ რ ი შ ი

მაშ ტრახახი არ არის ესა?

ასი ათასებს სძარცვავდე და ავიწროებდე,  
სულსა ხდიდე და აწამებდე, ერთეულებს კი  
ისე მოეპყრა — კაცთ მეგობრად მოგქონდეს თავი.  
განა ტრახახი არ არის ეს, რომ ყოვლისშემძლეს  
მჯობრებოდე უზენაეს მოწყალებაში,  
ვინც ერთნაირად აფრქვევს თავის ქველმოქმედებას  
ბოროტს და კეთილს, უდაბნოს და ყანაან მინდვრებს  
ხან მზიან დარით, ხან საამო, ჟუჟუნა წვიმით,  
და არასდროს კი არ გაგაჩნდეს უზენაეისი

სიკეთით სავსე, უხვი ხელი? ნუთუ ტრაბახი  
არ არის ესა?

ნ ა თ ა ნ ი

კმარა! კმარა!

დ ა ვ რ ი შ ი

ნება მიბოძეთ,

ჩემს ტრაბახშიაც გამოგიტყდეთ. განა ტრაბახი  
არ არის, რომა სხვის ტრაბახში შენიშნო კარგი,  
კეთილი მხარე, მას დანებდეს და თვითონ მოჰყვე  
მსგავსსავე ტრაბახს? სწორს არ ვამბობ? თქვენ როგორ ფიქრობთ,  
განა ტრაბახი არ არის ეს?

ნ ა თ ა ნ ი

ჩემო ალ-ჰაფი,

გერჩივანა ისევ წასულიყავ შენს უდაბნოში.  
მეშინია, რომ კაცის სახე სულ არ დაჰკარგო  
მაგ ხალხში ყოფნით.

დ ა ვ რ ი შ ი

მართალს ამბობთ, მეც მეშინია.

მშვიდობით!

ნ ა თ ა ნ ი

რაო? ასე სწრაფად? მოიცა ცოტა,  
უდაბნო ხომ არ გაგექცევა? გაჩერდი! შესდექ!  
ყურს აღარ მიგდებს!.. ჰე, ალ-ჰაფი! ნუ ნიხვალ, დარჩი!  
უკვე წავიდა. მე კი მსურდა იმ ჩვენს რაინდზე  
მეკითხა რამე. ალბათ იცნობს.

გამოსვლა მეოთხე

დ ა ი ა, შემოდის აჩქარებით. ნ ა თ ა ნ ი.

დ ა ი ა

ო, ნათან, ნათან!

ნ ა თ ა ნ ი

რა მოხდა?

დ ა ი ა

ისევ გამოჩნდა ის! ისევ გამოჩნდა!

ნ ა თ ა ნ ი

ვინ?

დ ა ი ა

იგი! იგი!

## ნ ა თ ა ნ ი

იგი? იგი? განა ისინი

ასე ცოტანი არიან, რომ ვერ ვნახოთ ყველგან?  
აჰ, დამავიწყდა. ის ხომ თქვენთვის ერთადერთია.  
ეგ როდი ვარგა, თუნდაც იყოს ის ანგელოზი...  
მაინც არ ვარგა.

დ ა ი ა

პალმების ქვეშ წინანდებურად

ბოლთას სცემს იგი, დროდადრო კი სწყვეტს ინდის ხურმას.

ნ ა თ ა ნ ი

და მათ სჭამს ისე, ვით რაინდი?

დ ა ი ა

რატომ დამცინით?

რეხამ თავისი ხარბი თვალით შენიშნა იგი  
პალმების ტერეში და თვალთაგან არ ჰკარგავს ახლაც.  
ჰოდა, გთხოვთ იგი, გაფიცებთ, რომ წახვიდეთ მასთან  
დაუყოვნებლად. ო, აჩქარდით! რეხა ფანჯრიდან  
განიშნებთ წამსვე, წინ მიდის თუ უკან ბრუნდება.  
ნულარ აყოვნებთ.

ნ ა თ ა ნ ი

ძლივს მოვასწარ. აქლემიდან რომ

ჩამოვმხდარიყავ... უბერხული არ არის ვითომ?  
შენ თვითონ წადი და აუწყე, რომ მე დავბრუნდი.  
მან არ ისურვა, როგორც კაცმა პატიოსანმა,  
ჩემს სახლში, როცა შინ არ ვიყავ. ნემოსულეყო,  
მაგრამ, როდესაც მას სთხოვს თვითონ ოჯახის მამა,  
სიამოვნებით მოვა იგი. წადი და უთხარ,  
რომ მე თვითონ ვთხოვ მას, მოვიდეს, ვთბოვ გულითადად.

დ ა ი ა

ფუჭად ჩაივლის ჩემი თხოვნა. არ მოვა თქვენთან.  
მოკლედ რომ გითხრათ, ებრაელთან არ მოვა იგი.

ნ ა თ ა ნ ი

მამ წადი შენ და გააჩერე; ეს მაინც შესძელ,  
არ მოაცილო თვალი, გასწი, მეც მალე მოვალ.

(ნ ა თ ა ნ ი სახლში შედის. დ ა ი ა გადის.)

## ბამოსვლა მხეშთე

სცენა წარმოადგენს პალმებიან მოედანს, პალმების ქვეშ ბოლთასა სცემს  
რ ა ი ნ დ ი. მ ო რ ჩ ი ლ ი მისდევს შორიანლოს, მასთან გამოლაპარაკება სწადა.

რ ა ი ნ დ ი

ტყუილად როდი მომდევს უკან ეს ახალგაზრდა!  
თანაც სულ ხელში შემოსცქერის!.. კეთილო ძმაო...  
ან იქნებ მამაც დაგიძახოთ?

მ ო რ ჩ ი ლ ი

არა, მხოლოდ ძმა...

მე მორჩილი ვარ, თანაც თქვენი მონა-მორჩილი.

რ ა ი ნ დ ი

კეთილო ძმაო. ნეტავ თვითონ გამაჩნდეს რამე!  
არაფერი მაქვს, არაფერი, ღმერთს გეფიცებით.

მ ო რ ჩ ი ლ ი

და მაინც გმადლობთ გულითადად, ეგრეთ კეთილი  
სურვილისათვის ღმერთმა ასგზის გადაგიხალოთ.  
ის როდი არის გამკითხავი, ვინც გაიკითხავს,  
არამედ ვისაც სურს გაკითხვა. მაგრამ მე თქვენთან  
მოწყალებისთვის არ მოვსულვარ, სულ სხვა რამეზე  
ვარ მოგზავნილი.

რ ა ი ნ დ ი

მაგრამ მაინც მოგზავნილი ხართ.

მ ო რ ჩ ი ლ ი

მართალსა ბრძანებთ! მონასტრიდან.

რ ა ი ნ დ ი

სადაც ახლახან

ძმათა ტრაპეზზე შევიარე, ვიმედოვნებდი,  
რომ მცირე ადგილს ვიშოვიდი.

მ ო რ ჩ ი ლ ი

სწორედ იმ დროსა

დაკავებული. იყო თითქმის ყველა მაგიდა.  
იქნებ ინებოთ, ბატონო, და ახლა მობრძანდეთ?

რ ა ი ნ დ ი

რისთვის? თუცხ ხორცი რა ხანია არ მიჭამია,  
მაგრამ რა უშავს! ინდისხურმა დამწიფდა უკვე.

მ ო რ ჩ ი ლ ი

მაგ ხილს ერიდეთ, ყურად იღეთ, ბატონო ჩემო:



კაცმა თუ იგი ბევრი ჭამა, ტყირას გაუსიებს,  
დაეუფლება სევდიანი განწყობილება.

რ ა ი ნ დ ი

თუკი მე მიყვარს სევდიანი განწყობილება?  
მაგრამ თქვენ ხომ აქ იმისათვის არ გამოგზავნენ,  
ამის გამო რომ გამაფრთხილოთ?

მ ო რ ჩ ი ლ ი

ო, არა! მე თქვენ

უნდა გაგიცნოთ, შეგისწავლოთ.

რ ა ი ნ დ ი

ბერედა, ამას

მე მეუბნებით?

მ ო რ ჩ ი ლ ი

რატომ არა?

რ ა ი ნ დ ი

(რა გაიძვერა

ყოფილა ვინმე!) მონასტერში თქვენისთანები  
ბევრნი არიან, ძმაო ჩემო?

მ ო რ ჩ ი ლ ი

რა მოგახსენოთ

ჩემი ვალია მორჩილება, ბატონო ჩემო.

რ ა ი ნ დ ი

და თქვენც არ ატანთ ჭკუას ძალას, ისე მორჩილობთ?

მ ო რ ჩ ი ლ ი

სხვაგვარად სადღა იქნებოდა აქ მორჩილება?

რ ა ი ნ დ ი

(გულუბრყვილობაც ამას ჰქვია!) ძალგიდთ გამანდოთ,  
ვის განუზრახავს ჩემი ახლოს გაცნობა? თქვენა?  
თქვენ რომ არ გნებავთ, შემიძლია მე დაევიფიცო.

მ ო რ ჩ ი ლ ი

რა უფლება მაქვს? რად მჭირდება?

რ ა ი ნ დ ი

მაშ ვის სჭირდება,

ვის აქვს უფლება, ასეთ ცნობისმოყვარეობას

რომ იჩენს, ნეტავ? სთქვით, ვისა აქვს?

მ ო რ ჩ ი ლ ი

ალბათ პატრიარქს.

ასე მგონია იმიტომ, რომ მან გამომგზავნა.

რ ა ი ნ დ ი

რათ? პატრიარქს? მასზე უკეთ აბა ვინ იცის,  
თეთრ მოსასხამზე რასაც ნიშნავს წითელი ჯვარი?  
მ ო რ ჩ ი ლ ი

ეგ მეც კი ვიცი!

რ ა ი ნ დ ი

ეს თქვენც იცით? მაშ რა გსურთ ჩემგან?  
მე მეტადრე ვარ, რაინდი ვარ ტყვედ ჩავარდნილი.  
ამასაც დავსძენ: ტყვედ ჩამიგდეს ტებნიინისათვის  
ბრძოლის ღროს, როცა გვსურდა იგი ჩაგვეგდო ხელში  
უკანასკნელ წამს სათაკილო დაზავებისა,  
რათა ამით გზა გაგვეკაფა სიდონისაკენ.  
კიდევ რა გნებავთ? შემიძლია ესეც გაუწყოთ:  
ჩვენ ოცი კაცი დაგვატყვევეს, მაგრამ სულთანმა  
მხოლოდ მე. ერთი, შემიწყნარა. დაე, გაიგოს  
ეს პატრიარქმა, რისი ცოდნაც სჭირდება ძალზე,  
და უფრო მეტიც, მასზე მეტიც, რაც მას სჭირდება.

მ ო რ ჩ ი ლ ი

ვვჭკობ, იმაზე მეტი გეთქვამთ, რაც უკვე იცის;  
მას ისიც სურდა, რომ გაეგო: რად შეგიწყალათ,  
ბატონო ჩემო, სალადინმა მხოლოდ და მხოლოდ  
თქვენ და სხვა არვინ?

რ ა ი ნ დ ი

მე კი ვიცი, ასე გგონიათ?

კისერგაწვდილი, მუხლმოყრილი ჩემს მოსასხამზე  
ველოდი დარტყმას, როს სულთანმა შეშხედა უცებ,  
დამაშტერდა და გამოსწია სასწრაფოდ ჩემსკენ.  
ხელით ანიშნა და მეც წამსვე წაიწვდემქ ფეხზე,  
საჩქაროდ ანხსნეს ბორკილები; მსურდა მადლობა  
გაღამეხადა; ვხედავ, ცრემლი მოადგა თვალზე;  
სღუშდა, მეც ვღუშდი. ის წავიდა, მე კი იქ დავრჩი;  
აი, რაც მოხდა, მაგრამ ასე რისათვის მოხდა,  
თვით პატრიარქმა გამოიცნოს.

მ ო რ ჩ ი ლ ი

იგი მივიდა

ჩანს, იმ დასკვნამდე, რომ თვით ღმერთმა, უზენაესმა,  
გადაგარჩინათ უდიდესი საქმეებისთვის.

რ ა ი ნ დ ი

რალა თქმა უნდა, უდიდესი საქმეებისთვის!  
ცუცხლისგან მეხსნა ქალიშვილი ებრაელისა  
332

და სინას მთაზე ამეყვანა მლოცველნი ღვთისა,  
სხვაც ბევრი რამე ამლაგვარი.

მორჩილი

კიდევ მოგიწევთ  
მრავალი რამის აღსრულება!.. თუმც ისიც უკვე,  
რაც გააკეთეთ, როდი არის ურიგო საქმე,  
მაგრამ პატრიარქს იქნებ უფრო მნიშვნელოვანი  
საქმეები აქვს ახლა თქვენთვის, ბატონო ჩემო.

რაინდი

მართლა? ნამდვილად ეგრე ფიქრობთ? შეპველია,  
მან ამას კიდევ მიგახვედრათ!

მორჩილი

რალა თქმა უნდა!

მაგრამ ჯერ უნდა შეგისწავლოთ საფუძვლიანად,  
ვინა ბრძანდებით!

რაინდი

რალას უცდით... მამ შემისწავლეთ:  
(ნეტავი, როგორ შემისწავლის, ერთი მანახა!)  
აბა, დაიწყეთ!

მორჩილი

დრო ტყუილად რომ არ დავკარგო,  
მოკლედ მოვჭრი და პატრიარქის სურვილს ახლავე  
გეტყვით პირდაპირ.

რაინდი

ქარგი!

მორჩილი

მას სურს. ჩემო ბატონო,

მცირე ბარათი გაგატანოთ.

რაინდი

მე გამატანოს?

მე ხომ შიკრიკი არ გახლავართ... ეგ ის საქმეა,  
სასახელო რომ არის უფრო, ვიდრე ცეცხლიდან  
დახსნა უცნობი ებრაელი ქალიშვილისა?

მორჩილი

ეგ უნდა იყოს. ვინაიდან, — სთქვა პატრიარქმა, —  
ამ მცირე ბარათს უდიდესი მნიშვნელობა აქვს  
ქრისტიანული სამყაროსთვის. ვინც ამ პატარა  
ბარათს მიიტანს, — სთქვა მან ასე, — იმას უხალი  
ცაში ოდესმე დაუშკვიდრებს სასუფეველსა

და საუცხოო გვირგვინითაც დააჯილდოებს.  
მან ისიც კი სთქვა, რომ თქვენს გარდა არავინ არის  
ღირსი ამგვარი გვირგვინისა, ბატონო ჩემო.

რ ა ი ნ დ ი

რაო? ჩემს გარდა?

მ ო რ ჩ ი ლ ი

იგი ამბობს, რომ თავისუფლად  
სეირნობთ თქვენ აქ, შეგიძლიათ სუყველაფერი  
კარგად დაზვეროთ; შეისწავლოთ, თუ როგორ უნდა  
ქალაქს ალება ანდა დაცვა; მხოლოდ თქვენ ძალგიძთ,  
სწორად განსაზღვროთ სინაგრე და თანაც სისუსტე  
მეორე, შიდა გალაენისა, ამ ცოტა ხნის წინ  
სალადინმა რომ შემოარტყა სატახტო ქალაქს,  
და ყოველივე ღვთისთვის მებრძოლთ შეატყობინოთ  
გარკვევით, ზუსტად.

რ ა ი ნ დ ი

მაგ ბარათის შინაარსი რომ  
მაინც ვიცოდე ძალზე კარგად, კეთილ მოძაო...

მ ო რ ჩ ი ლ ი

ძალიან კარგად არც მე ვიცი. მაგრამ ბარათი  
განკუთვნილია, ვიცი, მეფე ფილიპესათვის...  
პატრიარქმა... მე ხშირად მიკვირს, თუ როგორ ძალუძს, —  
იმასთან ერთად, რომ ასეთი წმინდანი არის  
და მარტოოდენ ზეციური ცხოვრებით ცხოვრობს, —  
ამქვეყნიური საქმეების ყოველ წერილმანში  
იყოს ასეთი ჩახედული. ეს ალბათ უმძიმს.

რ ა ი ნ დ ი

მერედა, რაო პატრიარქმა?

მ ო რ ჩ ი ლ ი

სულ დაწვრილებით,  
მთლად ზუსტად იცის სიძლიერე ანდა სისუსტე  
სალადინისა, რომელ მხარეს რა ოდენობის  
ჯარები უღდას.

რ ა ი ნ დ ი

მან ეს იცის?

მ ო რ ჩ ი ლ ი

ღიას, და ნებაგს,  
ეს ყოველივე ფილიპეს რომ შეატყობინოს,

რათა მან შესძლოს მოფიქრება, აწონ-დაწონა, მტრისგან რაიმე დიდი საფრთხე ელის თუ არა, აუცილებლად საჭიროა თუ არა კიდევ, რადაც არ უნდა დაუჯდეს, რომ მომავალშიაც გაგრძელდეს ზავი დროებითი, რომლის შეწყვეტა ასე თამამად გადაწყვიტა თქვენმა ორდენმა.

რ ა ი ნ დ ი

რა გონიერი პატრიარქი ყოფილა იგი! ასე გამოდის, სახელოვან, საყვარელ ვაჟკაცს არა შიკრიკად, მე ჯაშუშად ვჭირდები თურმე. გთხოვთ თქვენს პატრიარქს მოახსენოთ, კეთილო ძმავ; რომ, — რამდენადაც შესძლეთ უკვე ჩემი შესწავლა, — არ გამოვდგები ამისათვის... მე ტყვე გახლავართ და მოვალე ვარ, ვით ტყვეს ჰფერობს, მოვიქცე ისე. ამასთანავე რაინდი ვარ, ჩემს უშუალო მოვალეობად მიმაჩნია მახვილით ხელში ბრძოლა და არა ჯაშუშობა.

მ ო რ ჩ ი ლ ი

მეც ეგ ვიფიქრე.

სწორედ ამიტომ არ მინდა, რომ გაგსაჯოთ მკაცრად. მაგრამ მე თქვენთვის უკეთესი საქმე მაქვს უფრო: უკვე მოასწრო პატრიარქმა იმის გაგება, ლიბანის რომელ ციხეში აქვს დაცული სულთნის შორსმჭვრეტელ მამას ოქრო-ვერცხლი აურაცხელი სამეფო ჯარის შესანახად და საომარი ხარჯებისათვის. სალადინი დროგამოშვებით მამასთან მიდის იმ ციხეში მოკლე ბილიკით, მცველთა გარეშე... მიხვდით?

რ ა ი ნ დ ი

ვერა!

მ ო რ ჩ ი ლ ი

რა აღვილია

მოულოდნელად თავს დაესხას სალადინს კაცი და მოკლას მყისვე, სამუდამოდ მოუღოს ბოლო. რაო, შეშინდით? მსურველები გამოჩნდნენ უკვე — ორი კეთილი მარონიტი — მოშიშნი ღვთისა. ერთი მამაცი ვაჟკაცი რომ წარუძღვებოდეს და რომ ეს საქმე გაებედნათ...

რ ა ი ნ დ ი  
მაშ პატრიარქმა

მე მიმიჩნია ამ ვაჟაკად?

მ ო რ ჩ ი ლ ი  
იგი ფიქრობს, რომ  
ფილიპე მეფე, პტოლემეისს გამაგრებული,  
დაგეხმარებათ.

რ ა ი ნ დ ი  
მე? ფილიპე დამეხმარება?

ნუთუ თქვენ ჯერ არ გაგიგიათ, არა გსმენიათ,  
რომ სალადინის მოვალე ვარ?

მ ო რ ჩ ი ლ ი  
ვიცი...

რ ა ი ნ დ ი  
და მაინც?

მ ო რ ჩ ი ლ ი  
დიახ, — ფიქრობს ეს, — კარგი არის ეს ყოველივე,  
მაგრამ თვით ღმერთი და ორდენი...

რ ა ი ნ დ ი  
არაფერს სცვლიან!

საზიზღარ საქმის აღსრულებას ვერ მიბრძანებენ.

მ ო რ ჩ ი ლ ი  
ეგ მართალია, მაგრამ მაინც, იმისი აზრით,  
ხალხის წინაშე რაც ბილწი და საზიზღარია,  
სულაც არ არის საზიზღარი ის ღვთის წინაშე.

რ ა ი ნ დ ი  
სალადინს უნდა ვუმადლოდე სიცოცხლეს ჩემსას  
და მე კი უნდა მას სიცოცხლე მოვუხსპო ახლა?

მ ო რ ჩ ი ლ ი  
საზიზღრობაა, მაგრამ იგი ქრისტიანობის  
მტერია მუდამ და უფლება არა აქვს ჰქონდეს  
იმედი თქვენი მეგობრობის.

რ ა ი ნ დ ი  
მეგობრობისა?

არ მინდა ვიყო უსინდისო ადამიანი  
და უმადური მატყუარა.

მ ო რ ჩ ი ლ ი  
ეგ მართალია!..

მაგრამ მადლობის გადახდისაგან, იმის აზრით,

თავისუფალნი ვართ ღვთისა და კაცთა წინაშე,  
თუ სამსახური გაგვიწიეს სხვა რამ განზრახვით —  
არც უფიქრიათ გარჯილიყვნენ ჩვენი ფულისთვის.  
და ვინაიდან ამბობენ, რომ სულთანმა ვითომც  
მხოლოდ იმიტომ შეგიბრალათ, რომ თქვენმა სახემ,  
თქვენმა არსებამ, პიროვნებამ მას საკუთარი  
ძმა გაახსენა. — პატრიარქიც ამიტომ ფიქრობს..

რ ა ი ნ დ ი

მაშ პატრიარქმა ესეც იცის? იცის და მაინც?..  
აჰ, რომ ვიცოდე მე ნამდვილად! ეგ, სალაღინ!  
როგორ? ბუნებამ ჩემი სახის თუნდ ერთი ხაზი  
შენი ძმის სახეს მიამსგავსა და ვერა ჰპოვებს  
იგი ჩემს სულში გამოძახილს? და რაც ჩემს სულში  
ამასა ჰპოვებს, როგორ ძალმიძს ჩავახშო იგი  
მხოლოდ იმიტომ, რომ პატრიარქს ვასიამოვნო?  
არა, არ ძალგიძს, შენ, ბუნება, იცრუო ასე!  
არა, ასე ვერ განუდგება თავის თავს ღმერთი  
თავის საკუთარ ქმნილებებში! — მაშ დამეხსენით!  
თორემ, ეგ არი, ბოლმა მახრჩობს! გამშორდით! წადით!

მ ო რ ჩ ი ლ ი

მივალ, მივდივარ კმაყოფილი იმაზე უფრო,  
ვიდრე აქეთკენ მოვდიოდი. გთხოვთ მომიტევეთ,  
ბატონო ჩემო. ჩვენ, მორჩილნი, ვალდებულნი ვართ,  
უხმოდ, უსიტყვოდ ვმორჩილებდეთ უფროსებს ჩვენსას.

### გამოცხვლა შიშაჲსა

რ ა ი ნ დ ი და დ ა ი ა, რომელიც კარგა ხანა, რაც მას თვალყურს აღწენებ-  
და და ახლა კი უახლოვდება.

დ ა ი ა

მორჩილმა, მგონი, გაუფუჭა რაინდს გუნება,  
მაგრამ მე მაინც უნდა ვცადო.

რ ა ი ნ დ ი

დიდებულაია!

განა ტყუილად უთქვამთ: ეშმაკს ორი თათი აქვს, —  
ღიახ, ბერი და დედაკაცი, დედაკაცი და  
ბერი, ჩანს, ახლა ის ეშმაკი ერთი თათიდან  
მეორე თათში მისვრის ნაღდად.

დ ა ი ა

ვის ვხედავ ამას?

თქვენ ხართ, რაინდო? ვმადლობ გამჩენს, ათასგზის ვმადლობ!  
სად ბრძანდებოდით მთელი ამ ხნის განმავლობაში?  
აჟაღ იყავით?

რ ა ი ნ დ ი

არა:

დ ა ი ა

აბა, კარგად ბრძანდებით?

რ ა ი ნ დ ი

ღიას.

დ ა ი ა

და ჩვენ კი თქვენმა ჯავრმა გადაგვიყოლა.

რ ა ი ნ დ ი

მართლა?

დ ა ი ა

ჩანს, სხვაგან ბრძანდებოდით.

რ ა ი ნ დ ი

გამოიცანით!

დ ა ი ა

დღესღა დაბრუნდით, სულ ახლალა?

რ ა ი ნ დ ი

გუშინ ჩამოველ.

დ ა ი ა

დღეს ჩამოვიდა რეხას მამაც. რეხას აწ მინც  
ძალუძს იმედი იქონიოს?

რ ა ი ნ დ ი

რისი?

დ ა ი ა

იმისი,

რაცაც ის ასე ხშირად გთხოვდათ. და ამასავე  
გთხოვთ მისი მამაც დაჟინებით. ბაბილონიდან  
დაბრუნდა იგი დატვირთული ოცი აქლემით,  
ინდოეთიდან, სპარსეთიდან, საჩინეთიდან  
და სირიიდან უამრავი სასუნ-სანელი,  
უძვირფასესი ქსოვილები, თვალ-მარგალიტი  
და, ერთი სიტყვით, რაც კი ჰპოვა ძვირფასი რაზე  
მან იმ ქვეყნებში, ყველაფერი ჩამოიტანა.

რ ა ი ნ დ ი

არა ვყიდულობ არაფერსა.



და ი ა

ერთმორწმუნენი

პატივსა სცემენ მას ვით თავადს. ერთი რამე კი  
ვერ გამოიგია, რაც ყოველთვის მიკვირდა ხოლმე:  
რად უწოდებენ მას ბრძენ ნათანს და არა მდიდარს.

რ ა ი ნ დ ი

აღბათ ერთს ნიშნავს მათ უნაზე ბრძენიც, მდიდარიც.

და ი ა

ჩემი აზრით კი, უნდა ერქვას ნათან კეთილი.  
რადგან ძნელია დაიჯერო, წარმოიდგინო,  
რარჩივ კეთილი არის იგი. როცა გაიგო,  
რა დიდად არის რეხა თქვენგან დავალებული,  
უნდა გენახათ, იმ წუთს იგი რას არ იზამდა!  
რას არ მოგცემდათ!

რ ა ი ნ დ ი

აი-აი!

და ი ა

მოსულიყავით

და ჩემს ნათქვამში თქვენ თვითონვე დარწმუნდებოდით.

რ ა ი ნ დ ი

რამი? იმაში, რომ წამი მსწრაფლ წარმავალია?

და ი ა

ის რომ ასეთი გულკეთილი არ იყოს, განა  
მასთან ამდენ ხანს ვიცხოვრებდი? ხომ არ გგონიათ,  
არაფრად ვაგდებ ქრისტიანი ქალის ღირსებას?  
როცა ნანინას მიმღეროდნენ, არვის აღუთქვამს,  
პალესტინაში გავყვებოდი ჩემს ქმარს იმისთვის,  
რომ გამეზარდა ქალიშვილი ებრაელისა.  
ჩემი მეუღლე იმპერატორ ფრიდრიხის ჯარში  
იყო მსახური, ერთგული და კეთილშობილი.

რ ა ი ნ დ ი

შვეიცარიის ქვეყანაში დაბადებული,  
ვისაც პატივი და წყალობა ხვდა მეტად დიდი, —  
ერთ მდინარეში დაიღუპნენ იგი და მეფე.  
შერამდენჯერ მიყვებით თქვენ ამ ამბავს ახლა?  
ნუთუ არ შესწყვეტთ თქვენ ჩემს ღევანს?

და ი ა

ღევანს? ოჰ, ღმერთო!

რ ა ი ნ დ ი

ღიახაც, დვენას! აღარა მსურს მე თქვენი ნახვა!  
აღარც — მოსმენა! აღარ მინდა ყოველ ნაბიჯზე  
მომავონებდეთ თქვენ იმ საქმეს, რომელიც ასე  
დაუფიქრებლად ჩავიდინე, რაც გამოცანა  
მგონია ხოლმე, როცა მასზე კვლავ დავფიქრდები.  
არ მინდა მე ეს დავინანო, მაგრამ იცოდეთ,  
თუ კიდევ მოხდა ამისთანა შემთხვევა, თქვენი  
ბრალი იქნება, რომ ხანძარში ასე უეცრად  
აღარ შევვარდე, ჯერ შევიტყო და მივატოვო,  
ის, რაც შიგ იწვის...

დ ა ი ა

დაგვიფაროს ღმერთმა!..

რ ა ი ნ დ ი

დღეიდან

ზოიღეთ ჩემზე მოწყალება მცირეოდენი  
და დამივიწყეთ. გთხოვთ მე ამას აგრეთვე მისი  
მამითაც ასე ნუღაროდეს ჩამაცოვდებით.  
ურია მუდამ ურიაა. მე კი უხეში  
შვაბი გახლავართ. თუ იმ ქალის სახე ჩემს სულში  
ცოცხლობდა ერთხელ, გაპქრა უკვე დიდი. ხანია.

დ ა ი ა

მაგრამ მის სულში თქვენი სახე როდი გამქრალა.

რ ა ი ნ დ ი

მერე რა ვუყო, რა უნდა ვქნა?

დ ა ი ა

ვინ იცის! კაცი  
ყოველთვის იგი როდი არის, რაცა ჩანს ხოლმე.

რ ა ი ნ დ ი

მეჭვება, რომ უკეთესი იყოს (მიღის.)

დ ა ი ა

მოიცაო!

რას მიიჩქარით?

რ ა ი ნ დ ი

დედაკაცო, ნუ შემაძულებ  
ამ პალმებს, მათ ქვეშ სეირნობა მე დიდად მიყვარს.

დ ა ი ა

მაშ წადი, დათვო გერმანელო! მაშ წადი! მე კი  
აღარ დავკარგავ ამ მხეცის კვალს ამიერიდან.

(მისდევს მას შორიანხლოს.)

## მოქმედება მეორე

### გამოსვლა პირველი

სცენა წარმოადგენს სულთნის სასახლეს.

სალადინი და ზიტა თამაშობენ კადრაკს.

ზიტა

როგორ თამაშობ დღეს, სალადინ, რა დაგემართა?

სალადინი

ვითონდა ცუდად? არ მგონია.

ზიტა

ჩემთვის კი არა.

სვლა დაიბრუნე.

სალადინი

რატომ?

ზიტა

ხედავ, მხედარი როგორ

დაუცველია!

სალადინი

მართალი ხარ? აჰა!

ზიტა

მაშინ მე

ჩანგალს ვაკეთებ.

სალადინი

კვლავ სწორი ხარ. მაშ ქიში მეფეს!

ზიტა

ეგ რას გიშველის? წინ მოვიწევ. შენ კი უწინდელ ვითარებაში რჩები ისევ.

სალადინი

კარგადა ვხედავ.

ამნაირ მუხრუჭს უმსხვერპლოდ ვერ დავალწევ თავსა,  
აჰა, მხედარი წაიყვანე.

ზ ი ტ ა  
არა მჭირდება.

კვლავ წინ მოვდივარ.

ს ა ლ ა დ ი ნ ი  
არ მამუქებ შენ არაფერსა.

ჩანს, პოზიცია გირჩევნია, ვიდრე მხედარი.

ზ ი ტ ა

ვინ იცის, იქნებ ეგრეც იყოს.

ს ა ლ ა დ ი ნ ი  
მისი პატრონი

ანგარიშში არ ჩაგიგდია. აბა შენ ამას  
თუ მოელოდი? აღიარე!

ზ ი ტ ა  
ცხადია, არა!

ვით ვიფიქრებდი თვით შენივე დედოფალი რომ  
დაგაბრკოლებდა.

ს ა ლ ა დ ი ნ ი  
რაო, რა სთქვი, თვითონ ჩემივე?

ზ ი ტ ა

კარგადა ვხედავ, ათას დინარს ავიღებ უკვე. —  
ღიახ, არცერთი გროშით ნაკლებს.

ს ა ლ ა დ ი ნ ი  
ეგრე გგონია?

ზ ი ტ ა

კიდევ რომ მკითხავ!.. შენ არა ხარ, თავგამოდებით  
განგებ რომ ცდილობ წაგებასა? მე სრულებითაც  
არ მიხარია. არც ხელს მაძლევს ასე მოგება.

გარდა იმისა, რომ ასეთი თამაში ძალზე  
უხალისოა, განა, როცა ვაგებდი ხოლმე,  
გვარგავდი რამეს? ერთი მითხარ, როდის ყოფილა,  
ჩემს სანუგეშოდ ორმაგად არ გადაგებხადოს  
თვით ჩემს მიერვე წაგებულნი?

ს ა ლ ა დ ი ნ ი  
უყურე ამას!

ჩემო დაიკო, როს აგებდი, იქნება მართლაც  
ძალად ცდილობდი წაგებასა?

ზ ი ტ ა

ერთი კი არის,

შენი ბრალია, საყვარელო ჩემო ძამიკო,  
რომ შენი ეგრეთ გულუხვობის გამოისობით  
ქარგი თამაშის შესწავლა ვერ შევიძელ დღემდე.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ამ საუბარში, რომ ვთამაშობთ, სულ დაგვაევიწყდა.  
ჰა, დაამთავრე!

ზ ი ტ ა

არ ცკლი? ქიში! ორმაგი ქიში!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

აი ეგ სვლა კი სულ გამომრჩა მხედველობიდან.  
დალუბულია დედოფალი.

ზ ი ტ ა

ნუთუ შეგეძლო

იგი დაგეხსნა, დალუბული არ იყო უკვე?

ერთი შეხედე!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

არა, არა; აიღე იგი.

ამ ფიგურასთან არასოდეს არ მწყალობს ბედი.

ზ ი ტ ა

მარტო მაგასთან?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მომაცილე! — ვერაფერს მიზამს

მე მაგ ფიგურის უქონლობა. სუყველაფერი

კვლავ დაცულია.

ზ ი ტ ა

ვიცი, როგორც უნდა მოვექცე

მე მაგ დედოფალს, ჩემი ძმისგან ვისწავლე კარგად.

(სტოვებს დედოფალს ადვილზე.)

ს ა ლ ა დ ი ნ ი

წაიყვან მას თუ არ წაიყვან, ერთია ჩემთვის!

მე ის აღარ მყავს.

ზ ი ტ ა

რისთვის მინდა, რომ წაეიყვანო?

ქიში!.. ქიში მეფეს!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ჰა, განაგრძე!

ზ ი ტ ა

ქიში და ქიში!

და კიდევ ქიში!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

თან შამათიც!

ზ ი ტ ა

არა, ჯერ არა.

ჯერ შეგიძლია მას მხედარი ჩამოაფარო,  
ან სხვა რამე ჰქნა, რაცა გნებავს, თუმც სულ ერთია,  
რაც არ უნდა ჰქნა.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მართალია!.. შენ გაიმარჯვე:

ნიძლავს ალ-ჰაფი გადაიხდის. ახლავე უბმონ!  
არც მთლად შემცდარხარ, ჩემო ზიტა, თამაშს გულსყურს  
ვერ ვადევნებდი, დაბნეული ვიყავი ძალზე.  
აი რა კიდევ: ვის მოაქვს ეს გლე ფიგურები  
ჩვენთან ასეთი დაჟინებით? ერთმანეთისგან  
ვერც კი გაარჩევ ამ ფიგურებს, ვერ გაიხსენებ.  
იმამს რომ ვეთამაშებოდე, ეს კიდევ მესმის.  
მაგრამ ეს მხოლოდ საბაზია, სხვა არაფერი.  
განა ამ უშნო ფიგურებმა წამაგებინა?  
არა, დაიკო, მხოლოდ შენმა საზრიანობამ,  
შენმა მშვიდმა და სწრაფმა თვალმა.

ზ ი ტ ა

გინდა ნესტარი?

დანაკლისისა დააჩლუნგო, ჰყო უვნებელი?  
კმარა. შენ ჩემზე დაბნეული იყავი.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

შენზე?

ნეტავ შენ რალამ დაგაბნია?

ზ ი ტ ა

ცხადია, შენმა

დაბნევამ არა!.. ო, სალადინ, როდის იქნება,  
რომ ამნაირი გატაცებით კვლავ ვითამაშოთ?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ასე თამაში უფრო მეტად მომხიბვლელია.  
აჰ! შენ, როგორც ჩანს, ომს გულისხმობ? — დაე დაიწყოს!  
დაე მობრძანდნენ, არ დავიწყებ მე ომს პირველი.  
სიამოვნებით განვაგრძობდი მშვიდობას ისევ  
და სიხარულით ვიშოვიდი დაუყოვნებლოვ  
ჩემი ზიტასთვის კარგ მეუღლეს; და, რა თქმა უნდა,

ეს იქნებოდა რიჩარდის ძმა: ღიახ. იგი ხომ  
რიჩარდის ძმაა.

76

ზ ი ტ ა

შენ ოღონდაც რიჩარდს აქებდე!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ჰოდა, ჩვენი ძმა მელეტიც რომ ცოლად რიჩარდის  
დას შეირთავდეს, რა კარგ ოჯახს შევქმნიდით მაშინ, —  
მთელ ქვეყანაზე პირველსა და უკეთეს ოჯახს!  
გესმის, რომ ჩემი თავის ქებაც არ მეზარება.  
ვფიქრობ, ღირსი ვარ მე ამგვარი მეგობრებისა.  
რა კარგი ხალხი ვიქნებოდით, რა კარგი ხალხი.

ზ ი ტ ა

ოჰ, რარივ ხშირად დავცინოდი მაგ ტკბილ ოცნებას!  
შენ ქრისტიანებს როდი იცნობ, არც გასურს იცნობდე.  
ეამაყებათ, იყვენენ მხოლოდ ქრისტიანები,  
კაცნი კი არა, ვინაიდან ის ყოველივე,  
თუკი რაიმე წათ ცრურწმენას შერჩა კაცური,  
იმიტომ როდი უყვართ. რომ ის კაცური არის,  
არამედ მხოლოდ იმისათვის. რომ ქრისტე ასე  
ქადაგებდა და რომ მან ასე მოიმოქმედა. —  
მათი ბედი, რომ იგი ესდენ კეთილი იყო!  
და რომ მათ ძალუძთ მხოლოდ სიტყვით ირწმუნონ მისი  
სიკეთე, თუმცა აქ სიკეთეს რა უნდა? არა!  
მხოლოდ სახელი მათი მოძღვრის, — არა სიკეთე! —  
უნდა მოედოს მთელს ქვეყანას. რათა დაჩრდილოს  
და შეარცხვინოს ყველა კარგი კაცის სახელი.  
მხოლოდ სახელი არის მათი ზრუნვის საგანი.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

შენ, უსათუოდ, ამის თქმა გასურს: ეგ რომ არ იყოს,  
რატომ მოგთხოვდნენ შენ და ნელექსა ქრისტიანობა  
მიგელოთ. ვიდრე ქრისტიანებს შეიყვარებდით,  
როგორც საკუთარ მეუღლეებს? მართალს არ ვამბობ?

ზ ი ტ ა

რალა თქმა უნდა, თითქოს მხოლოდ მათ, ქრისტიანებს,  
გააჩნიათ ის სიყვარული, რაც შემოქმედმა  
გულს ჩაუნერგა ყოველ ცოლ-ქმარს.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ქრისტიანები  
ისე არიან შეპყრობილი ცრურწმენით. რომა

მათთვის ამისი დაჯერებაც როდია ძნელი!  
და მაინც შენ არ გეთანხმები. არა ქრისტიანთ,  
ამაში მხოლოდ მეტაძრეებს მიუძღვით ბრალი.  
ამ ორდენისგან წარმოსდგება მთელი სიავე,  
ქრისტიანობა აქ არაფერ შუაში არის.  
მათ სრულებითაც არა ნებავთ დატოვონ აკა,  
რომელსაც ჩვენს ძმას გადასცემდა და რიჩარდისა.  
როგორც თავისი ოჯახიდან მოყოლილ მშითევს.  
რანდობა რომ საფრთხეში არ ჩავარდნილიყო.  
სწორედ ამიტომ გადაიქცნენ სულელ ბერებად  
და შესაძლებელ წარმატების ბრმა ვარაუდით  
ჩაშალეს ზავი. სეირიც ხომ ესაა სწორედ.  
ეგრე განაგრძეთ, ბატონებო, განაგრძეთ ეგრე!..  
ხელსაყრელია ჩემთვის თქვენი გულმოდგინება!..  
ოლონდ თავის გზით წარიმართოს სუყველაფერი.

ზ ი ტ ა

მამ თავგზა რალამ აგიბნია, რამ შეგაშფოთა?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

იმან, რაც მუდამ მამფოთებდა, მიბნევდა თავგზას.  
ლიბანში ვიყავ მამაჩვენთან. ზრუნვისაგან მთლად  
გაწამებულა...

ზ ი ტ ა

ვაი ჩვენს დღეს!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

და გასაქანი

სულ აღარა აქვს, ყოველი მხრით შევიწროებულს  
ხან აქ აკლდება, ხანაც იქა.

ზ ი ტ ა

რაშია საქმე?

რა ავიწროებს? რა აკლდება?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რა უნდა იყოს

გარდა იმისა, რის ხსენებაც გულს მირევს ასე?  
ის, რაც ზედმეტად მიმაჩნია, როდესაც ხელთ მაქვს.  
ურომლისოდაც ვერ ვძლებ, ოდნავ თუ შემომაკლდა?..  
ნეტავ ალ-ჰაფი სად წავიდა?.. ნუთუ ვერ ნახეს?  
არ დაუძახეს?.. ო, წყეულო, მუხთალო ფულო!  
კარგი ჰქენ, ჰაფი, რომ მოხვედი.



## გამოსვლა მეორე

დავრიში ალ-ჰაფი, სალადინი, ზიტა.

ალ-ჰაფი

ჩანს, ეგვიპტიდან

ჩამოგვივიდა ფული უკვე; ნეტავი ბევრი  
იყოს მაინცა.

სალადინი

განა ცნობა მიიღე?

ალ-ჰაფი

არა.

ცნობის მიღებას თქვენგან ველი.

სალადინი

ზიტას ათასი.

დინარი მიეც! (ჩაფიქრებული სცემს ბოლთას.)

ალ-ჰაფი

მიეც, მიეც! მიღების ნაცვლად!

მშვენიერია, მშვენიერი! ადვილად ბრძანებთ.

გასაცემი კი ხაზინაში არა დარჩა რა.

მამ ზიტას უნდა მივცე ფული? მამ ისევ ზიტას?

წააგეთ უკვე? და წააგეთ ისევ ჭადრაკში?

აი, აქ არის დაფა კიდევ!

ზიტა

ხომ გიხარია.

ბედი რომ მწყალობს?

ალ-ჰაფი (დაფას ათვლიერებს)

მიხარია?.. თქვენ კარგად იცით,

რომ... როგორა ვთქვა...

ზიტა (ანიშნებს)

ჩუ, ჩუ, ჰაფი!

ალ-ჰაფი (თამაშის ცქერით გართული)

რომ ბედი გქონდეთ!

ზიტა

ჩუ, ჩუ, ალ-ჰაფი!

ალ-ჰაფი

ხომ თეთრებით თამაშობდით თქვენ?

ქიში უთხარით?

ზიტა

კარგია, რომ მას ეს არ ესმის.

ა ლ-პ ა ფ ი

აწ მისი სვლაა?

ზ ი ტ ა (მიუახლოვდება ალ-პაფის)

მითხარ, პაფი, ჩემი მოგება

ძალმძის მივიღო?

ა ლ-პ ა ფ ი (დაფას თავს არ ანებებს)

რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის

იღებდით ხოლმე, იმგვარადვე მიიღებთ ახლაც.

ზ ი ტ ა

ხომ არ გაგიჟდი?

ა ლ-პ ა ფ ი

თამაში არ დამთავრებულა.

თქვენ ხომ ეს ხელი წაგებულნი არა გქონიათ.

ს ა ლ ა დ ი ნ ი (ყურს არც კი უგდებს)

მაინც გაეცი, გადუხადე.

ა ლ-პ ა ფ ი

„გადუხადე!“

დედოფალი ხომ ისევა გყავთ!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

არ ჩაითვლება —

გამოსულია თამაშიდან.

ზ ი ტ ა

მაშ შემიძლია

ფულისთვის კაცი გამოვგზავნო?

ა ლ-პ ა ფ ი (თამაშით უფრო და უფრო გართული)

რალა თქმა უნდა,

როგორც ყოველთვის, ახლაც ძალგიძთ... ვთქვათ, დედოფალი

ანგარიშში არ ჩაითვლება, მაგრამ შამათი

მაინც არ არის ჯერჯერობით.

ს ა ლ ა დ ი ნ ი (პადრაკის დაფას გადმოაყირავებს)

არის! მსურს იყოს!

ა ლ-პ ა ფ ი

გსურთ?.. მაშ მოგება უნდა იყოს ამგვარ თამაშის

შესაფერისი, გაცემა კი მოგების მსგავსი.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რაო, რას ამბობს?

ზ ი ტ ა

(დროდადრო ალ-პაფის რალაცას ანიშნებს)

გაჯიუტება, განაზება, როდესაც სთხოვენ,  
და ცოტა-ცოტა შურიანი კაციც ბრძანდება.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

შურიანიო? შენს მიმართაც? ჩემი ღის მიმართ?  
რა მესმის, ჰაფი? ნუთუ მართლა შურიანი ხარ?

ა ლ-ჰ ა ფ ი

რა ვიცი, იქნებ კიდევ ვიყო!.. სიამოვნებით  
გავუცვლიდი მას ჩემს გულსა და ჭკუა-გონებას.

ზ ი ტ ა

დღემდე ყოველთვის წესიერად იხდიდა ხოლმე  
და ალბათ დღესაც გადაიხდის. დაეხსენ ოლონდ!  
წადი, ალ-ჰაფი, წადი, წადი! მინდა ფულისთვის  
კაცი ახლავე გამოვგზავნო.

ა ლ-ჰ ა ფ ი

არა, მე ნიღაბს

ვეღარ ვატარებ. ეს ამბავი მან ხომ ოდესმე  
უნდა შეიტყოს.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ვინ? რა?

ზ ი ტ ა

ჰაფი! ასე ასრულებ

შენს დაპირებას? საიდუმლოს ასე მინახავ?

ა ლ-ჰ ა ფ ი

რას ვიფიქრებდი; რომ ამდენად შორს შესტოპავდა  
ჩვენი სიცრუე!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რა სიცრუე? მეტყვით თუ არა?

ზ ი ტ ა

იყავი კეთილგონიერი, ამას გთხოვ, ჰაფი.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ნუთუ არ არის საოცარი? რას უნდა სთხოვდეს

ზიტა ასეთი დიდი ამბით, ასე მსურვალედ  
ვიღაც უცხო კაცს, ვიღაც დავრიშს და მე კი არა,  
საკუთარ ძმასა? ასეთ ამბავს ვერ გაპატიებთ.

გიბრძანებთ, ჰაფი!.. სთქვი, დავრიშო, ილაპარაკე!

ზ ი ტ ა

სულ უმნიშვნელო ამბავია, ძვირფასო ძმავო,  
არც ღირს ამაზე შეაჩერო შენ ყურადღება.

იცო, რომ ბევრჯერ მომიგია თამაში შენთვის  
და ვინაიდან არ მჭირდება ეს ფული ახლა,  
რადგანაც ჰაფის სალაროშიც უამისოდაც  
არც ისე ბევრი ფული არის, სწორედ ამიტომ  
აღ-ჰაფის მე მას არ ვართმევდი. მაგრამ მე მაგ ფულს,  
ნუ გელარდება, არ გაჩუქებთ, ძვირფასო ძმაო,  
არც შენ, არც ჰაფის, არც სალაროს.

ა ლ-ჰ ა ფ ი

ლიახ, მარტო ეგ

რომ იყოს მართლა! მარტო ეგა!

ზ ი ტ ა

ზოგი სხვაც კიდევ

ამისი მსგავსი. ხაზინაში ვტოვებდი ხოლმე  
ჩემს შესანახსაც, რაც მე მქონდა დაწესებული.  
რამდენინე თვის არ მივიღე მხოლოდ და მხოლოდ.

ა ლ-ჰ ა ფ ი

ეგვც არ არის ყველაფერი.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ეგვც არ არის?

ნუთუ არ იტყვი?

ა ლ-ჰ ა ფ ი

იმის შემდეგ, რაც ეგვიპტიდან

ფულს ველით, ზიტა...

ზ ი ტ ა (სალადის)

რატომ უსმენ?

ა ლ-ჰ ა ფ ი

ჩვენგან არათუ

იღებდა ფულსა...

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ო ძვირფასო!.. არამედ კიდევ

მზად იყავ მუდამ დაგვეხსენი გაჭირვებიდან?

ა ლ-ჰ ა ფ ი

მთელ ჩვენს სასახლეს ინახავდა. ყველა ხარჯს მარტო  
ის ისტუმრებდა.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

აჰა! თურმე როგორი არის

ჩემი დაიკო!

(ეხვევა.)

## ზ ი ტ ა

ვინ მომცა მე ამის შეძლება?  
ვინ გამაძლიდრა. თუ არა შენ, ძვირფასო ძმავ?

## ა ლ-ჰ ა ფ ი

და ისეთ გლახად გადაგაქცევს, ისეთ ლატაკად,  
როგორიც თვითონ არის.

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

განა მე ღარიბი ვარ?

ნუთუ ზიტას ძმა ლატაკია? როდის მქონია  
ამაზე მეტი ან ნაკლები? მე რა მჭირდება?  
ტანისამოსი, ხმალი, ცხენი და ღმერთი მხოლოდ!  
შემომაკლდება რომელიმე მათგანი განა?  
მაგრამ, ალ-ჰაფი, მე შენ მაინც უნდა დაგტუქსო.

## ზ ი ტ ა

მას ნუ დასტუქსავ, ჩემო ძმავ. ო რომ შემეძლოს  
შემსუბუქება მამაჩემის საზრუნავისაც!

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

ეჰ! მამაჩემი მომაგონე და ერთხელ კიდევ  
წარმიტაცე ამით ყოველგვარი მხიარულება.  
მე არაფერი არ მაკლია, არც შეიძლება  
მაკლდეს რაიმე, მამაჩემს კი აკლია მართლა...  
და გასაჭირი მამისა ხომ ყველა ჩვენგანის  
გასაჭირია. რა უნდა ვქნა? სთქვით... ეგვიპტიდან  
იქნებ კარგა ხანს ვერ მივიღოთ ჩვენ ვერაფერი.  
რაშია საქმე, ღმერთმა იცის. იქ ხომ ჯერ ისევ  
სიმშვიდე სუფევს. მე მზადა ვარ, რომ ჩემი თავი  
შევაფიწროო ყოველმხრივად, ყოველივეთი.  
მაგრამ მართოდენ ჩემი თავი და არა სხვები.  
თუმცა ამითი რას შევიძლებ, რას გავაკეთებ?  
ცხენი, მახვილი, ტანსაცმელი გამაჩნდეს უნდა  
და ჩემს ღმერთსაც მე ველარაფერს დავათმობინებ,  
მის მიმართ ისეც გაუგონარ სიძუნწეს ვიჩინე —  
გულს ვწირავ მხოლოდ. ჰაფი, დიდი იმედი მქონდა,  
რომ ხაზინაში კიდევ რამე გადაგრჩებოდა.

## ა ლ-ჰ ა ფ ი

გადამრჩებოდა? თქვენვე ბრძანეთ, ხაზინაში რომ  
დარჩენილიყო რამე ფული, განა მაშინვე  
არ უბრძანებდით, რომ მესერზე ავეგე წამსვე.

ანდა — სულ ცოტა — ჩამოვეხრჩე. პო, როგორ არა,  
გაგზავდი და ჩავიდენდი სიყალბეს ამგვარს!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მაშ რა გქნათ ახლა? ჰაფი, ნუთუ შენ არ შეგეძლო,  
ზიტას კი არა, ფულს ვინმე სხვას დასესხებოდი?

ზ ი ტ ა

განა მივცემდი იმის ნებას, ძვირფასო ძმავ,  
წაერთვათ ჩემთვის ეს უფლება უპირატესი?  
შემდგომშიც ვითხოვ ამ უფლებას. ჩემი სიმდიდრის  
წყარო ხომ ჯერ მთლად არ დამშრალა.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ისლა გვაკლია

რომ იგი დაშრეს! — წადი, ჰაფი; იღონე რამე!  
რაც გინდა ჰქენი, სადაც გინდა, იშოვე ფული,  
წადი, ისესხე და შეჰპირდი... მხოლოდ იმათ კი  
ნუ გამოართმევ, რომელნიც თვით მე გავამდიდრე,  
გაიფიქრებენ, რომ უკანვე ვთხოვ მიცემულსა.  
ყველაზე ძუნწებს მიაკითხე, სიამოვნებით  
დაგასესხებენ, ვინაიდან კარგად იციან,  
რარივ იზრდება მათი ფული ჩემს ხელში ხოლმე.

ა ლ-ჰ ა ფ ი

მე მაგნაირ ხალხს არვის ვიცნობ.

ზ ი ტ ა

მოიცა, ჰაფი,

გავიკვი, — შენი მეგობარი დაბრუნებულა.

ა ლ-ჰ ა ფ ი (შეძრწუნებული)

რა ბრძანეთ? ჩემი მეგობარი დაბრუნებულა?

რომელი ჩემი მეგობარი?

ზ ი ტ ა

დიდად ქებული

შენი ურია.

ა ლ-ჰ ა ფ ი

რა? ურია, დიდად ქებული?

და ჩემს მიერვე?

ზ ი ტ ა

სწორედ იგი, ვინც მისმა ღმერთმა, —  
მახსოვს შენ თვითონ სიტყვა-სიტყვით ასე მითხარი, —  
დააჯილდოვა ამა ქვეყნის ყველა სიკეთით,  
უმცირესით და უდიდესით, ეგრე გულუხვად.

ა ლ-პ ა ფ ი

სწორედ ეგრე ვთქვი? ნეტავ რისი თქნა მსურდა მაგით?

ზ ი ტ ა

რომ სიმღიდრეა უმცირესი სიკეთე ქვეყნის,  
უდიდესი კი — სიბრძნე.

ა ლ-პ ა ფ ი

ეგ ვთქვი იმ ურიაზე?

ზ ი ტ ა

შენი ნათანის შესახებ ეს არ გითქვამს განა?

ა ლ-პ ა ფ ი

აჰ! აი ვისზე მეუბნებით! ნათანზე! დიახ...

ეგ აზრადაც კი არ მომსვლია!.. მართლა დაბრუნდა?

მაშ ჩამოვიდა, როგორც იქნა? უთუოდ, საქმე

კარგად წასვლია. — დიახ, ხალხმა ნათანს ოდესღაც

ბრძენი უწოდა და მდიდარიც.

ზ ი ტ ა

ახლა კი ხალხი

მდიდარს უწოდებს უფრო მეტად მას, ვიდრე ბრძენსა.

მხოლოდ იმაზე ლაპარაკობს მთელი ქალაქი,

თუ რა სიმღიდრე, რა ძვირფასი განძეულობა

ჩამოიტანა.

ა ლ-პ ა ფ ი

ჰოდა, რაკი ის დაგვიბრუნდა,

როგორც მდიდარი, იგი ბრძენიც დაგვიბრუნდება.

ზ ი ტ ა

რას იტყვი, ჰაფი, რომ შენ ამ კაცს მიმართო?

ა ლ-პ ა ფ ი

რისთვის?

ფულისთვის არა, იმედი მაქვს. დიახ, თქვენ იმას

ხომ კარგად იცნობთ... გაასესხებს! სწორედ იმიტომ

ჰქვია მას ბრძენი, რომ არავის ფულს არ ასესხებს.

ზ ი ტ ა

უწინ კი იმ კაცს სულ სხვარიგად მისურათებდი.

ა ლ-პ ა ფ ი

გაჭირვებაში ეხმარება კაცს ის საქონლით,

მაგრამ ფულით კი, ფულით? ფულით — არასდიდებით.

ასეთ ურიას სხვათა შორის ბევრს ვერ შეხვდებით.

გონიერია, კარგად იცნობს ამ ცხოვრებასა.

კარგად თამაშობს იგი ჭადრაკს და სიავეითაც

კანესხვაება არა ნაკლებ, ვიდრე სიკეთით,  
ჩახვა ურიებსა. გირჩევნიათ, მისი იმედი  
არ იქონიოთ. თუკა იგი ღარიბებს აძლევს,  
ვით სალადინი, შეიძლება მისებრ ბევრს არა,  
მაგრამ მსგავსივე ხალისით და უანგარობით  
ებრაელი და ქრისტიანი, მაჰმადიანი  
და პარსი — მისთვის სულ ერთია ყოველი კაცი.

ზ ი ტ ა

და მაშ ის კაცი...

ს ა ლ ა დ ი ნ ი

როგორ მოხდა, საოცარია,  
დღემდე მაგ კაცზე არაფერი რომ არ მსმენია?

ზ ი ტ ა

ნუთუ სალადინს არ ასესხებს, სალადინს, ვისაც  
არა თავისთვის, მარტოოდენ გასაბოძებლად  
სჭირდება ფული.

ა ლ-ჰ ა ფ ი

აქ კი ნამდვილ ურიას ჰპოვებთ,  
მთლად ჩვეულებრივ ურიასა! მე დამერწმუნეთ!  
სიკეთის მიმართ ის რატომღაც ეჭვიანია  
და შურიანი. მას სურს ყველგან, ყველა კაცისგან  
ესმოდეს მხოლოდ: „ნუ მოგაკლოს წყალობა ღმერთმა!“  
სწორედ ამიტომ არ ასესხებს არავის ფულსა,  
რომ მუდამ ჰქონდეს გაჩუქების საშუალება.  
რაკი კანონში უწერია მას მოწყალება,  
ხათრიანობა ან თავაზი უცხოა მისთვის, —  
ამ მოწყალებას ის ყველაზე უცხვირპირო და  
უხათრო კაცად უქცევია მთელ ქვეყანაზე.  
კარგა ხანია ვერ მოვდივართ ჩვენ პირიპირში.  
მაგრამ ნუ ფიქრობთ, უსამართლო ვიყო მის მიმართ.  
ას კეთილია ყველაფერში, ყოვლად კეთილი,  
ამ საქმეში კი, მხოლოდ ანგვარ-საქმეში — არა.  
წავალ და ახლა კარს სხვა ვინმეს მივუტაკუნებ.  
სწორედ ამ წუთას მომაგონდა მე ერთი მაგრი,  
მდიდარიც არის და თან ძუნწიც... მივდივარ მასთან...

ზ ი ტ ა

რას მიიჩქარით ასე. ჰაფი!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

დაე წავიდეს!



განმაცხვლა მესამე  
ზ ი ტ ა. ს ა ლ ა დ ი ნ ი.

ზ ი ტ ა

აღ-ჰაფი, მგონი, მე გამიბრბის, ისე იჩქარის.  
ეს რასა ნიშნავს? ნუთუ მართლა მოტყუვდა იგი  
ნათანში, თუ მას სურდა მხოლოდ ჩვენ შევეცდინეთ?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რაო? მე მკითხავ შენ მაგასა? მე არც კი ვიცი.  
თუ ახლა ვისზე საუბრობდით. თქვენი ურიის,  
თქვენი ნათანის ამბავი მე პირველად მესმის.

ზ ი ტ ა

ვით შეიძლება არაფერი გაგეგო შენ იმ  
კაცის შესახებ, რომელსაც ეს სახელი ჰქვია,  
ვინც აკლდამები დავითის და სოლომონისა  
აღმოაჩინა და სასწაულმოქმედი სიტყვით  
მათ ბეჭედსა ხსნის? მას იქიდან დროგამოშვებით  
იმდენი განძი, უთვალავი, ამოაქვს თურმე,  
რომელს ვერც ერთი საგანძური სხვა ვერ დაიტევს.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მას ეს სიმდიდრე იქნებ მართლაც აკლდამებიდან  
ამოუღია, მაგრამ არა სოლომონისა  
და დავითისა, რადგანაც იქ მარხია მხოლოდ  
ორი რეგვენი!

ზ ი ტ ა

არა, ორი ბოროტმოქმედი!  
თანაც უნდა ვთქვათ, რომ ნათანის სიმდიდრის წყარო  
უფრო უხვია, აღუწყველი, განუზომელი,  
ვიდრე აკლდამა რომელიმე, აღვსილი განძით.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რადგანაც ვაჭრობს იგი თურმე, როგორც მსმენია.

ზ ი ტ ა

მისი აქლემნი ყველა გზაზე მიისწრაფიან,  
დადიან ყველა უდაბნოში, მისი გემები  
დგას ყველგან — ყველა ნავსადგურში. ეს ყოველივე  
თვითონ აღ-ჰაფიმ მითხრა და თან აღტაცებულმა  
დასძინა ისიც, თუ რაოდენ კეთილშობილად  
იყენებს მისი მეგობარი ყველაფერ იმას,  
რისი მოხვეჭაც ჭკუითა და მუყაითობით  
არ მიაჩნია მთლად უღირს და უკადრის საქმედ.

მან ისიც მითხრა, თუ რაოდენ თავისუფალი არის ყოველგვარ ცრურწმენიან გონება მისი, მისი გული კი ყოველგვარი სათნოებისთვის რარიგ ღიაა სუყოველთვის და ყოველგვარი მშვენიერება გამოძახილს პოულობს მასში.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ახლა კი ჰაფი მის შესახებ ლაპარაკობდა ასე უგულოდ, ასე ცივად.

ზ ი ტ ა

არა, დაბნევით.

თითქოს უფრთხოდა მის შექებას და უმიზეზოდ მისი ძაგებაც არა სურდა. ეს როგორ მოხდა? ნუთუ თავისი ხალხის შვილსა, საუკეთესოს, არ შეუძლია, რომ იმავე ხალხს მთლად განეხსვას? ნუთუ ალ-ჰაფის მარტოოდენ ამგვარ მიზეზით ნათანის გამო უნდა შერცხვეს?.. თუმც, როგორც ნებავს, ისე მოიქცეს! ურიაა იგი ნამდვილად, თუ ნაკლებად ჰგავს ის ურიას, სულ ერთი არის, ის მდიდარია და ეს ჩვენთვის საკმარისია.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მაგრამ ხომ არ გასურს მისგან სესხი ძალით მიიღო, ძვირფასო დამ?

ზ ი ტ ა

რას გულისხმობ შენ მაგ სიტყვებში?

ცეცხლსა და მახვილს? არა, არა, ძალმომრეობა რისთვის გვჭირდება უძლურებზე, როს გამარჯვებას უპისოდაც მოგვანიჭებს სისუსტე მათი?

წავიდეთ ახლა, წაგიყვან ჩემს ჰარამხანაში, ერთ მომღერალ ქალს მოფუსმინოთ, — მეორე დღეა, რაც ის ვიყიდე. ალბათ, ამ ხნის განმავლობაში ჩემი განზრახვაც მომწიფდება — ნათანზე ვფიქრობ.

გამოსვლა მმრთხმ

სცენა წარმოადგენს ადგილს ნათანის სახლის წინ, სადაც იწყება პალმების ხეივანი.

რეხა და ნათანი, გამოდიან სახლიდან. შემდეგ მეორე მხრიდან

შემოდის ღ ა ი ა.

რ ე ხ ა

ოპ. მამაჩემო, რარიგ ძლიერ დააგვიანეთ, იქნებ ველარც კი ჰპოვოთ ის აქ.

ნ ა თ ა ნ ი

ჰო, კარგი, კარგი!

აქ, პალმების ქვეშ, თუ ვერ ვპოვებთ, სხვაგან მოვძებნით.  
ოლონდ დამშვიდდი, ჩემო შვილო!.. შეხედე ერთი!  
ვინ არის იქა? დაიბა, ჩვენსკენ რომ მოდის?

რ ე ხ ა

მან, უთუოდ, ის კვლავ დაკარგა.

ნ ა თ ა ნ ი

არა მგონია.

რ ე ხ ა

მაშინ ხომ იგი აჩქარებით წამოვიდოდა.

ნ ა თ ა ნ ი

ჯერ ვერა გვხედავს.

რ ე ხ ა

აი ახლა ხომ დაგვინახა.

ნ ა თ ა ნ ი

და ნაბიჯსაც ხომ აუჩქარა. ერთი შეხედე!

ოლონდ დამშვიდდი, მშვიდად იყავ!

რ ე ხ ა

ნუთუ ისურვებთ,

გყავდეთ ისეთი ქალიშვილი, რომელიც ამ დროს  
არ აღელდება და იმისთვის არ შეწუხდება,  
ვინაც სიცოცხლე მას მეორედ მისცა? — სიცოცხლე,  
რომელიც მხოლოდ მიტომ უყვარს, რომ მას პირველად  
თქვენს თავს უმადლის.

ნ ა თ ა ნ ი

არც ვისურვებ, რომ სხვანაირი

გიხილო, შვილო. მაშინაც კი, თუნდაც გავიგო,  
რომ შენს ნაზ სულსა სულ სხვა რამე დაუფლებია.

რ ე ხ ა

რა, მამაჩემო?

ნ ა თ ა ნ ი

მევე მკითხავ? თან ასე მორცხვად?

უმანკოა და ბუნებრივი ის, რაც შენს გულში  
ამჟამად ხდება. ამან სულაც არ შეგაწუხოს.

მე კი ეს სულაც არ მაშფოთებს. წაგრამ დამპირდი:  
როს შენი გული უფრო ნათლად ამეტყველდება,  
მისი სურვილი ყველა წრფელად გამიზიარო.

რეხა

მარტო იმისი გაფიქრებაც, რომ გულის კარი  
გამოგიხუროთ, შიშისაგან მათრთოლებს უკვე.

ნათანი

არც ერთი სიტყვა აღარა სთქვა. უკვე გადაწყდა  
მამ ეს ერთხელ და სამუდამოდ. აი, ღაიაც.  
აბა რას იტყვი?

დაია

ისევ დაღის პალმების ჩრდილში  
და იმ კედელთან გამოჩნდება იგი ახლავე.  
ხედავთ, იქ მიდის.

რეხა

აჰ! ნეტავი საითკენ წავა?  
წინ? თუ უკანვე დაბრუნდება? მარჯვნივ თუ მარცხნივ?  
თითქოს ვერ გადაუწყვეტია.

დაია

ო, არა, არა;

ის უფრო ხშირად ამ მონასტერს უვლის გარშემო  
და უეჭველად გამოივლის აქეთკენ. აგერ!

რეხა

ნამდვილად მოდის! მოდის! უკვე ელაპარაკე?  
დღეს როგორია?

დაია

ისეთივე, როგორიც მუდამ.

ნათანი

ოღონდაც ისე მოიქეცით, აქ არ შეგნიშნოთ,  
დადექით ცოტა მოშორებით. არა, სჯობია,  
სახლში დაბრუნდეთ.

რეხა

ერთხელ მაინც კიდევ შევხედო!..  
ეჰ, მესერი მოეფარა!

დაია

წავიდეთ, რეხა!

მართალი არის მამათქვენი: რომ დაგინახოთ,  
მაშინვე უკან გაბრუნდება.

რეხა

ეჰ! ის მესერი!

ნ ა თ ა ნ ი

იქიდან უცებ რომ გამოჩნდეს, შეგნიშნავთ წამსვე.  
წადით!

დ ა ი ა

წავიდეთ! მე იქ ერთი ფანჯარა ვიცი,  
საიდანაც ჩვენ დავინახავთ ყველაფერს.

რ ე ხ ა

მართლა?

(ორივენი გადიან.)

გამოსვლა მთავრდება

ნ ა თ ა ნ ი, შეშლავ რ ა ი ნ დ ი.

ნ ა თ ა ნ ი

ღამის შემაკრთოს ამ თავნება ახირებულმა  
და მისმა მკაცრმა სათნოებამ მთლად დამაბნინოს.  
რას ვიფიქრებდი, ადამიანს ადამიანი  
ამ გამოუვალ გასაჭირში ჩააყენებდა.  
ჰა!.. აგერ, მოდის!.. ღმერთსა ვფიცავ, იგი ყრმაცაა  
და თან ვაჟკაციც, მომწონს ძლიერ მისი კეთილი,  
ჯიუტი მზერა, სიარული აგრე თამამი.  
მხოლოდ ნაჭუჭი უჩანს ტლანქი, გული კი, ალბათ,  
ნაზი ექნება. — ვის მაგონებს? გთხოვთ, მომიტევეთ,  
პატივცემულო უცხოელო...

რ ა ი ნ დ ი

რა?

ნ ა თ ა ნ ი

ნება დამრთეთ...

რ ა ი ნ დ ი

რა გსურს, ურიავე? რისი ნება?

ნ ა თ ა ნ ი

ნება მიბოძეთ.

გაკვადნიერდე და მოგმართოთ.

რ ა ი ნ დ ი

რა უფლება მაქვს,

ეგ აგიკრძალოთ? მაგრამ მხოლოდ ორიოდ სიტყვით...

ნ ა თ ა ნ ი

გთხოვთ, შაბათით. ნუ იჩქარით, ასე ამაყად  
და ასე ზიზღით ჩაუაროთ იმ ადამიანს,  
ვინაც მზად არის, სიკვდილამდე თქვენ გემსახუროთ.

## რ ა ი ნ დ ი

ეს როგორ? აჰა! მგონი, მივხვდი, ვინცა ბრძანდებით.  
თქვენ...

## ნ ა თ ა ნ ი

შე ნათანი მქვია. ვარ იმ გოგონას მამა,  
ვინც თქვენ ცეცხლისგან დაიხსენით და ესოდენი  
გამბედობა, სულგრძელობა გამოიჩინეთ.  
ჰოდა, მოვედი...

## რ ა ი ნ დ ი

თუ მაღლობის სათქმელად — არ ღირს!

უკვე დაეიხრჩე ამ უბრალო საქმისა გაბო  
ამდენ მაღლობით. კმარა. ჩემგან დავალებული  
არა ბრძანდებით არაფრითა. განა ვიცოდი,  
ის გოგო თქვენი ქალიშვილი რომ იყო? მაგრამ  
მოვალეობა რაინდისა უპირველესი  
სწორედ ის არის, რომ იჩქაროს დასახმარებლად,  
ამ დახმარებას ვინც არ უნდა საჭიროებდეს.  
უამისოდაც მძიმე იყო სიცოცხლე ჩემი.  
სიამოვნებით, სიხარულით ჩავჭიდე ხელი  
მე ამ შემთხვევას, გამეწირა ჩემი სიცოცხლე  
სხვისი სიცოცხლის გულისათვის, თუნდაც ურიის  
ქალის სიცოცხლის გულისათვის.

## ნ ა თ ა ნ ი

დიდებულია!

დიდებული და საძაგელიც! მაგრამ განზრახვა  
გასაგებია, გასაგები. ამაოდ ცდილობს  
მოკრძალებული სიდიადე ამოეფაროს  
საზიზღროებას, აღტაცებას რომ განერიდოს.  
მაგრამ თუ თქვენთვის, მართლაც, არის უსიამოვნო  
ამგვარი მსხვერპლი ჭეშმარიტი აღტაცებისა,  
მეშინ მითხარით, რომელია უფრო ნაკლებად  
უსიამოვნო? თქვენ რომ უცხო არ ბრძანდებოდეთ  
და ტყვეც, ამას მე არ გკითხავდით ასე თამამად.  
ერთი მიბრძანეთ, სთქვით, რაინდო, რით შემოძლია  
რომ გემსახუროთ?

## რ ა ი ნ დ ი

თქვენ? არაფრით.

ნ ა თ ა ნ ი

მე მდიდარი ვარ.

რ ა ი ნ დ ი

ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არ მივიჩნევდი  
მდიდარ ურიას ღარიბზედა უკეთეს კაცად.

ნ ა თ ა ნ ი

იმით მაინც რომ ისარგებლოთ, რაც უკეთესი  
გააჩნია მას: ისარგებლოთ მისი სიმდიდრით?

რ ა ი ნ დ ი

მაშ კარგი, დაე შეგვარიგოს ამ მოსასხამმა.  
როგორც კი იგი მთლად გაცვდება, დაიფლითება  
და აღარაფრად გამოდგება, მაშინ მე თქვენთან  
მოვალ, რომ გთხოვოთ სესხის სახით მოსასხამისთვის  
მაუდი ანდა, იქნებ, ფული. ნუ მოიღუშეთ,  
ნუ გეშინიათ, მხნედ იყავით. ჯერ არ მოგელით  
საშიშროება, თქვენვე ხედავთ, რომ ის ჯერ კიდევ  
მშეენიერია, ეს კალთები წაუხდა მხოლოდ.  
ის სწორედ მაშინ ამეტრუსა, როს გამოხყავდა  
ცეცხლიდან თქვენო ქალიშვილი.

ნ ა თ ა ნ ი

(მისწვდება მოსასხამის კალთებს და სინჯავს)

უცნაურია,

რომ საძაგელი ლაქა ესე, რომ ეს დამწვარი  
უკეთ მეტყველებს კაცზე, ვიდრე მისივე ბაგე...  
მსურს ახლავე მას ვეაზბორო! აჰ, მოიტყვევთ!  
ჩემს უნებურად ჩავიდინე ასეთი რამე.

რ ა ი ნ დ ი

რა?

ნ ა თ ა ნ ი

ზედ დაეცა ცრემლის წვეთი.

რ ა ი ნ დ ი

არა უშავს რა!

წვეთი მრავალი დასცემია... (მაგრამ უეცრად  
შემიბჰყრო შიშმა — ამ ურიამ არ ამაღლელოს.)

ნ ა თ ა ნ ი

ხომ არ ინებებთ, ერთხელ მაინც კეთილი ექმნეთ  
და ჩემს ქალიშვილს გაუგზავნოთ ეგ მოსასხამი?

რ ა ი ნ დ ი

რისთვის?

ნ ა თ ა ნ ი

რადგანაც თქვენს მუხლებს ვერ ემთხვევა იგი,  
ამ ლაქას მაინც დააკონოს თავისი ზაგე.

რ ა ი ნ დ ი

მაგრამ, ურიავ... არა, თქვენ ხომ ნათანი გქვიათ?..  
ნათან, თქვენ კარგად ლაპარაკობთ... ძალიან კარგად...  
ენამახვილობთ მეტიმეტად... თქვენ ამბულევით..  
რა თქმა უნდა, მე...

ნ ა თ ა ნ ი

ახალგაზრდავ, რანაირადაც

არ უნდა სცადოთ თქვენ შენიღბვა, მე მაინც გხედავთ.  
პატიოსანი, გულკეთილი ბრძანდებით ძალზე  
და ამიტომ არ შეგიძლიათ გამოიჩინოთ  
მეტი ზრდილობა. ქალიშვილი აღელვებული,  
მისი მხლებელი, ყველაფერზე მზად მყოფი თქვენთვის,  
ოჯახის მამა კი სახლიდან შორს იყო ამ დროს —  
პოდა, ზრუნავდით მათი კარგი სახელისათვის,  
გარიდებოდით მათ გამოცდას, ვაითუ უცებ  
გამარჯვებისთვის მიგელწიათ. ამისთვისაც კი  
მადლობელი ვარ თქვენი დიდად.

რ ა ი ნ დ ი

გამოგიტყდებით,  
იციით, ვით მართებს მეტაძრეებს, იფიქრონ ხოლმე.

ნ ა თ ა ნ ი

და მარტო იმათ? მხოლოდ იმათ? მარტო იმიტომ,  
რომ ასე მართებთ თავიანთ წესდებით ფიქრი?  
მე კარგად ვიცი, როგორც ფიქრობს კეთილი კაცი,  
და ისიც ვიცი, რომ იმას შობს ყველა ქვეყანა.

რ ა ი ნ დ ი

მაგრამ რაღაცა განსხვავებით.

ნ ა თ ა ნ ი

რაღა თქმა უნდა

ტანისამოსით, კანის ფერით და გარეგნობით



## რ ა ი ნ დ ი

ერთგან მეტია მათი რიცხვი, სხვაგან ნაკლები.

## ნ ა თ ა ნ ი

ეგ სულ უბრალო, უმნიშვნელო განსხვავებაა.  
ვინაც დიდია, მას სჭირდება დიდი ადგილი.  
ბუმბერაზები ერთმანეთის ახლოს რომ დავრგოთ,  
შეაღწავენ ერთუროს ტოტებს შეუბრალებლად.  
აი ასეთი ზომიერი, კარგი ხალხი კი,  
როგორც ჩვენ ვართ, საკმარისად ბევრია ყველგან,  
მაგრამ ერთუროს გაკიცხვა ჩვენ სულაც არ გვმართებს;  
არც გირჩამ უნდა იყოყნოს როკის წინაშე  
და არც კენწეროს ჰქონდეს ისე წარმოდგენილი,  
რომ ის მიწიდან ამოსული არ იყოს თითქოს.

## რ ა ი ნ დ ი

რა მშვენიერი ნათქვამია! მაგრამ თქვენ იმ ერს  
იციან თუ არა, ვინც დაიწყო ყველაზე ადრე  
ჩირქის მოცხება სხვა ერისა? ან იმ ერს, ნათან,  
ნუთუ არ იციან, ვინაც არის დარწმუნებული,  
ყველაზე უწინ, ვით რჩეული, მე განვითქვიო.  
ცხადია, არ მძულს მე ის ერი, მაგრამ ვით ძალმიძს,  
ამპარტავნობა მისი რომ არ მეზიზღებოდეს?  
ამპარტავნობა, რაც გვრგებია მემკვიდრეობით  
ქრისტიანთაც და მუსლიმანთაც: რომ ერთადერთი  
ჭეშმარიტი, ნამდვილი ღმერთი ჩვენი ღმერთია.  
თქვენ გიკვირთ, რომ მე ქრისტიანი, თანაც მეტადრე —  
ვამბობ ამასა? სთქვით, როდის ან სადა ყოფილა,  
ბრმა და მძვინვარე მისწრაფება — საუკეთესო  
ღმერთი გვეყადეს და მთელ ქვეყანას ის მოვახვიოთ, —  
დიახ, მითხარით, აბა როდის, ან სად ყოფილა,  
როგორც აქ, ახლა, ასე მკვეთრად გამჟღავნებული?  
ან აქ, ამჟამად თვალი ვის არ აეხილება?  
მაგრამ დაბრმავდეს, ვისაც სურს!.. გთხოვთ დაივიწყოთ,  
რაც მე გითხარით. დამეხსენით! წავალ, ნშვილობით!

## ნ ა თ ა ნ ი

არა! იცოდეთ, ახლა უფრო ვერ დაგეხსენებით.  
არა, ჩვენ უნდა დაგმეგობრდეთ! დე ჩემი ხალხი  
გეზიზღებოდეთ, როგორც გნებავთ. არც ერთ ჩვენთაგანს

თავისი ხალხი თვითონ ხომ არ აურჩევია,  
ჩვენ ხომ ჩვენს ხალხს არ წარმოვადგენთ. რას ჰქვია ხალხი?,  
აბა მითხარით, იგი აქ რა მოსატანია?  
ქრისტიანი და ებრაელი, პირველ ყოვლისა,  
არიან კაცნი, მხოლოდ კაცნი, ამის შექმნე კი  
ქრისტიანი და ებრაელი; ხომ მართალს ვამბობ?  
ნეტავ შემეძლოს თქვენში მხოლოდ ადამიანი  
ვიპოვო, ყრმაო, მხოლოდ ერთი ისეთი კაცი,  
რომელიც იმით კმაყოფილი იქნება, რომ მას  
ადამიანი ჰქვია.

რ ა ი ნ დ ი

ღიას, თბოვნეთ იგი!  
ღმერთმანი, ნათან, იგი ჰპოვეთ. მომეცით ხელი  
მრცხვენი, რომ მე ერთი წუთით დავეპყვდი თქვენში.

ნ ა თ ა ნ ი

მე კი ვამაყობ. რადგან მხოლოდ ჩვეულებრივი  
იშვიათად თუ იწვევს ეჭვსა

რ ა ი ნ დ ი

და იშვიათს კი  
ადვილად როდი დაივიწყებ, ღიად, ჩვენ უნდა,  
ნათან, ჩვენ უნდა დავმეგობრდეთ.

ნ ა თ ა ნ ი

ჩვენ, მგონი, უკვე  
მეგობრები ვართ. რეხას როგორ გაეხარდება!  
შორს, იქით კი რა დიდებული შუქი მინათებს!  
მაგრამ ჯერ იგი გაიცანით.

რ ა ი ნ დ ი

მეც მაგ სურვილით  
ვიწვი ნამდვილად. ვინ გამოიღობს თქვენი სახლიდან?  
რეხას დაია ხომ არ არის?

ნ ა თ ა ნ ი

ღიას, ნეტავი  
რამ შეაშინა?

რ ა ი ნ დ ი

ჩვენ რეხას ხომ აღარაფერი  
შეემთხვა ნეტავ?

## გამოსვლა მხეჩვსე

ი გ ი ვ ე ნ ი და ' ღ ა ი ა , შემოდის აჩქარებით.

ღ ა ი ა

ნათან! ნათან!

ნ ა თ ა ნ ი

რა ამბავია?

ღ ა ი ა

გთხოვთ მომიტევეთ, რაინდო, რომ ასე უეცრად  
შეგაწყვეტინეთ ლაპარაკი.

ნ ა თ ა ნ ი

რა მოხდა, გვითხარი!

რ ა ი ნ დ ი

რა, ამბავია?

ღ ა ი ა

სულთნისაგან კაცი მოვიდა.

სულთანს სურს თქვენთან საუბარი, სულთანს... ოჰ, ღმერთო!

ნ ა თ ა ნ ი

ჩემთან? სულთანს სურს მესაუბროს? ჩანს, ეჩქარება  
ნახოს ახალი საქონელი, რომელიც ახლა  
ჩამოვიტანე. გადაეცი, რომ საქონელი  
ბევრია, მაგრამ მეტი წილი გაუხსნელია.

ღ ა ი ა

არა, ეგ სულაც არ სჭირდება, არა სჭირდება.  
პირადად თქვენი ნახვა ნებავს და მალე, მალე,  
რაც შეიძლება.

ნ ა თ ა ნ ი

მოვალ! წადი, წადი ოღონდაც!

ღ ა ი ა

არ გამიბრაზდეთ, არ გეწყინოთ, მკაცრო რაინდო.  
როგორ შეეშფოთლით, ღმერთო ჩემო, ნეტავ ვიცოდეთ,  
რა ნებავს სულთანს?

ნ ა თ ა ნ ი

გამოჩნდება. გასწი შენ, გასწი!

## ბამოსვლა მუშვილად

ნათანი და რაინდი.

რაინდი

მამ მას პირადად ჯერ არ იცნობთ?

ნათანი

სალადინს? არა.

მის ნაცნობობას არც ვეძებდი, არც გავურბოდი, ისე კარგი ხმა დადიოდა სულთნის შესახებ, რომ იმის ნახვას მერჩივნა ამ ხმას ვრწმუნებოდი. ახლა კი დაე სულ სხვაგვარი ვიხილო იგი. იმის შემდეგ, რაც თქვენ სიცოცხლე შეგინარჩუნათ...

რაინდი

რალა თქმა უნდა, ეგ ასეა. მე ხომ სიცოცხლე სულთნისაგან მაქვს ბოძებული.

ნათანი

მე კი სულთანმა

ორი სიცოცხლე მიწყალობა. არა, ნამდვილად სამი სიცოცხლე. ეს ჩვენს შორის სცვლის ყოველივეს: უკვე ხელ-ფეხი მაქვს შეერული და საუკუნოდ მიჯაჭული ვარ სალადინთან. აწ მოუთმენლად ველი, გავიგო, რას მიბრძანებს იგი პირველად! სუყველაფერზე მზად ვარ უკვე. გამოვუტყდები, რომ ყველაფერზე თანახმა ვარ თქვენი გულისთვის.

რაინდი

თვითონ მე კი ჯერ ვერ შევიძელ მიმეზლო მადლი, თუცხ ხშირად ვხვდებით ერთმანეთსა. შთაბეჭდილება, რომელიც მასზე მოვახდინე მოულოდნელად კვლავ ჩაქრა, ალბათ, იქნებ კიდევ მთლად დავაფიწყდი. სალადინს ერთხელ მაინც უნდა მოგგონებოდი. ჰო, ერთხელ მაინც, ერთი წუთით, რომ ჩემი ბელი გადაეწყვიტა საბოლოოდ. ის როდი კმარა, ცოცხალი რომ ვარ და ვარსებობ მისი ბრძანების, ნება-სურვილის მეოხებით. მე მისგან ველი, გამაგებინოს, ვის ხელშია აწ ჩემი ბელი.

ნ ა თ ა ნ ი

რალა თქმა უნდა. ახლა უფრო არ დაკაყოვნებ.  
იქნებ შემთხვევა მომეცეს და თქვენს შესახებაც  
სალადინს სიტყვა ჩამოვუგდო. გთხოვთ მომიტევეთ,  
უნდა დაეშორდეთ, მივიჩქარი. აბა მითხარით,  
როდის გიხილავთ ჩვენთან?

რ ა ი ნ დ ი

როდის? როცა მიბრძანებთ.

ნ ა თ ა ნ ი

როცა თქვენ გნებავთ.

რ ა ი ნ დ ი

მე? თუნდ დღესვე.

ნ ა თ ა ნ ი

თქვენი სახელი?

რ ა ი ნ დ ი

მე მიწოდებდნენ.. მიწოდებენ კურდ ფონ შტაუფენს.

ნ ა თ ა ნ ი

ფონ შტაუფენი?.. შტაუფენი? ფონ შტაუფენი?

რ ა ი ნ დ ი

მასში უცნაურ რასმე ხედავთ?

ნ ა თ ა ნ ი

ფონ შტაუფენი?

ამ გვარისანი, როგორც ვიცი, ძალიან ბევრნი...

რ ა ი ნ დ ი

დიახ, ყოფილან აქ მრავალჯერ და ამ მიწაში  
ბევრი მათგანის ძელები ლბება. ბიძაჩემიც კი,  
მამაჩემიო, უნდა მეთქვა... მაგრამ თქვენ ეგრე  
დაქინებული რად მიცქერიო, რაშია საქმე?

ნ ა თ ა ნ ი

არაფერია, არაფერი! ვით შემძლია,

თქვენი ყურებით დავიღალო?

რ ა ი ნ დ ი

მამ ჯერ მე წავალ.

გამომცდელ მზერას ძალუძს ნახოს იმაზე მეტი,  
რის ნახვასაც ის ისურვებდა. მე მეშინია

მაგ მზერის, ნათან. დე დრომ ნელა, თანდათანობით  
დაგვაახლოოს, არა ცნობისმოყვარეობამ.

(გაღის.)

ნ ა თ ა ნ ი (გაოცებული გააყოლებს თვალს)

„გამომცდელ მზერას ძალუძს ნახოს იმაზე მეტი,  
რის ნახვასაც ის ისურვებდა“, ასე მგონია,  
თითქოს ჩემს სულში კითხულობდეს!.. დიახ, ნამდვილად;  
მეც შემიძლია დამმართოდა ასეთი რამე...  
არათუ მარტო აღნაგობა და მიხვრა-მოხვრა  
აქვს მას ვოლფისა, ნისი ხმაც აქვს. სწორედ ამგვარად  
იცოდა ვოლფმაც გადაგდება თავისა ხოლმე;  
ხმალზე დაყრდნობაც ამგვარადვე იცოდა ვოლფმა  
და წარბებზედაც სწორედ ასე ისვამდა ხელსა,  
თითქოს ცდილობდა დაეფარა მგზნებარე ცეცხლი  
ელვარე თვალთა. სწორედ ასე ხანგრძლივად სძინავს  
სულში გარდასულ სახეებსაც, სანამ უეცრად  
არ გაიღვიძებს წარმოთქმული სიტყვა ან ბგერა.  
ფონ შტაუფენი!.. სიმართლეა, რაღა თქმა უნდა.  
ფალნეკი და ფონ შტაუფენი. დიახ, სასწრაფოდ  
უნდა გავიგო ყველაფერი დაწვრილებითა;  
თუმცა მანამდე სალაღინთან უნდა წავიდე...  
მაგრამ ვინ არის, იქ რომ მისმენს? იქნებ დაია?  
მოდო, დაია, მოდი ჩემთან, მომიახლოვდი.

**გამოსვლა მირვე**

და ი ა . ნ ა თ ა ნ ი .

ნ ა თ ა ნ ი

ეს რასა ნიშნავს? შენ და რეხას სულ სხვა რაღაცის  
შეტყობა გინდათ და ეს უფრო გიწუხებთ გულსა,  
ვიდრე იგი, რაც სალაღინს აქვს ჩემთვის სათქმელი.

და ი ა

და ამისათვის ჰკიცხავთ რეხას? ის იყო სწორედ,  
თქვენ შეგობრულად საუბარი დაიწყეთ, იმ წამს  
სულწინის შიკრიკი მოგვევლინა და ჩვენც მაშინვე  
იძულებული შევიქენით წავსულიყავით.

ნ ა თ ა ნ ი

რეხას უთხარი, რომ ყოველ წუთს ელოდოს იმ ყრმას.

დაია

მართლა? ნამდვილად?

ნათანი

შემიძლია გენდო, დაია?

გთხოვ, ფრთხილად იყო. არ ინანებ, მე დამიჯერე,  
შენი სინდისიც შეიქნება დამშვიდებული.

ოღონდ განზრახვა, გევედრები, არ ჩამიშალო.  
მოუყევ, ჰკითხე თავდაჭერით, მოკრძალებულად.

დაია

რალად მჭირდება მოგონება და გაფრთხილება!..  
მივდივარ, ახლა თქვენი წასვლის დროც არის უკვე.  
თორემ უცქირეთ! სულთანს, მგონი, მეორე კაციც  
მოუგზავნია, ალ-ჰაფი ჩანს, დავერიში თქვენი. (გაღს.)

გამოსვლა მაცხრი

ნათანი. ალ-ჰაფი,

ალ-ჰაფი

ეჰე-ჰე! ახლაც ისევ თქვენთან ვინებე მოსვლა.

ნათანი

ეგრე სასწრაფოდ? მეგობარო, ერთი მითხარი,  
რა ნებაგს ჩემგან?

ალ-ჰაფი

ვის?

ნათანი

სალადინს. მოვალ, მოვდივარ.

ალ-ჰაფი

ვისთან? სულთანთან?

ნათანი

სალადინმა არ გამოგზავნა?

ალ-ჰაფი

მე? არა, ნუთუ გამოგზავნა უკვე შიკრიკი?

ნათანი

რალა თქმა უნდა, გამოგზავნა.

ა ლ-პ ა ფ ი

ჩანს, მართალია.

ნ ა თ ა ნ ი

რაა მართალი?

ა ლ-პ ა ფ ი

ის, რომ... მაგრამ მე უბრალო ვარ,  
მე უბრალო ვარ, იცის ღმერთმა. რაღა არ ვუთხარ  
მას თქვენს შესახებ, რა არ შევთხზე, რომ ამეცდინა!

ნ ა თ ა ნ ი

რა აგეცდინა? ან რა არის მართალი?

ა ლ-პ ა ფ ი

ის, რომ

ახლა გახდებით სალაღინის ხაზინადარი.  
ნათან, ძალიან მეცოდებით. მაგრამ ამისი  
ნახვა კი არ მსურს, არა, არა, იმწუთსვე წავალ.  
თქვენ უკვე იცით, თუ საითაც, გზაც კარგად იცით,  
თუ ამანათი გაქვთ რაიმე, მითხარით, მზად ვარ  
სამსახურისთვის, მაგრამ იგი იმაზე მეტი  
არ უნდა იყოს, რის წაღებაც ლატაკ კაცს ძალუძს.  
მივდივარ, ნათან, სთქვით ახლავე.

ნ ა თ ა ნ ი

გონს მოდი, კაცო,

გაიგე, მე ხომ არაფერი ვიცი სრულებით,  
თუ რას ლაქლაქებ?

ა ლ-პ ა ფ ი

თქვენ ქისას, ხომ თან წაიყოლებთ?

ნ ა თ ა ნ ი

ქისას?

ა ლ-პ ა ფ ი

ღიას, ფულს, სალაღინს რომ უნდა ასესხოთ.

ნ ა თ ა ნ ი

და სულ ვგ არის?



## ა ლ-პ ა ფ ი

ნებას მომცემო, გიცქიროთ, იგი  
ვით გაგაშიშვლებთ ნელა-ნელა თავით ფეხამდე?  
ხომ მაცქერინებთ, ვით დაიწყებს ეგ გამფლანგველი  
საწყობებიდან იმ ქონების გაზიდვას, წინათ  
მხოლოდ ნამდვილად გაჭირვებულთ რომ ეძლეოდათ, —  
და გაგრძელდება ეს იმ დრომდე, ვიდრე შიგ ყველა  
თავგი შიმშილით არ გაწყდება? იქნებ გგონიათ,  
რომ იგი, ვისაც დასჭირდება თქვენი ღირსი, იმდრო,  
მოისმენს ხოლმე თქვენს რჩევასაც? ჰო, როგორ არა!  
რჩევას მოისმენს! როდის იყო, რომ სალადინი  
ყურს ათხოვებდა სხვისა რჩევას? თქვენვე განსაჯეთ,  
რაც დამემართა ახლა მასთან.

## ნ ა თ ა ნ ი

რა დაგემართა?

## ა ლ-პ ა ფ ი

მასთან მიგედი სწორედ იმ დროს, როს თავის დასთან  
იგი ჭადრაკსა თამაშობდა. კარგად თამაშობს  
ზიტა ჭადრაკსა. ჰოდა, აი თამაში, რომელს  
სთვლიდა სულთანნი წაგებულად, ჩემს თვალწინაა  
და ვხედავ, რომ ჯერ სრულებითაც არ წაუგია.

## ნ ა თ ა ნ ი

ოჰო, ეს შენთვის რა ძვირფასი აღმოჩენაა!

## ა ლ-პ ა ფ ი

საკმარისია წინ გასწოთ პაიკი მხოლოდ...  
არა, სჯობია, რომ გიჩვენოთ, თუ როგორც იყო,  
ღიანს, ახლავე გიჩვენებდით...

## ნ ა თ ა ნ ი

ისედაც მჯერა!

## ა ლ-პ ა ფ ი

რადგანაც ეტლს გზა ეხსნებოდა და ზიტა უკვე  
აღმოჩნდებოდა განწირული. ეს ყველაფერი  
მსურდა ამეხსნა დაწვრილებით, სალადინს ვუხმე...  
მან კი... გგონიათ დამეთანხმა?

ნ ა თ ა ნ ი

არ დაგეთანხმა?

ა ლ-პ ა ფ ი

მოსმენაც კი არ მოისურვა და იმწუთშივე  
მთელი თამაში არია.

ნ ა თ ა ნ ი

ოპ, რას ამბობ, მართლა?

ა ლ-პ ა ფ ი

და სთქვა: მე მინდა ახლავე რომ შამათი იქონდეს;  
შას უნდა, დიახს ამას ჰქვია თამაში განა?

ნ ა თ ა ნ ი

ცხადია, არა. ეს ნიშნავს, რომ თვითონ თამაში  
გაითამაშო.

ა ლ-პ ა ფ ი

ისიც განა ჭიან კაკლებზე!

ნ ა თ ა ნ ი

ფულზე, ცხადია! — არც ისურვა მოსმენა შენი  
ასეთ დიდებულ, მნიშვნელოვან საქმეში შენი  
რჩევა უარპყო. იგი არც კი გაოცებულა  
შენი მახვილი მხედველობით, არწივის მწერით.  
ეს კი შენ შურისსაძიებლად გეძახის, არა?

ა ლ-პ ა ფ ი

ეპ, რასა ბრძანებთ. მსურდა მხოლოდ მეჩვენებინა,  
თუ როგორია სალადინი. მოკლედ რომ გითხრათ,  
ლოლიაობა მისი უკვე მე აღარ ძალმიძს.  
უნდა ვირბინო ყველა ჯურის ბინძურ მავრებთან,  
ჯკითხო, ვის ნებავს, დაასესხოს სალადინის ფული.  
მე, ვისაც ჩემთვის არასოდეს არ მითხოვია,  
უნდა ვისესხო ახლა სხვისთვის. ფულის სესხება  
მათხოვრობაზე უკეთესი როდია ბევრად,  
ვით გასესხება ფულებისა დიდი სარგებლით  
სულ ცოტათია უკეთესი ქურდობაზედა.  
და იქ კი, განგის ნაპირებზე, ჩე უკვე აღარ  
მეცოდინება ამგვარი რამ, აღარ ვიქნები  
ბრმა იარაღი ბნელ საქმეთა სამსახურისთვის.

მხოლოდ იქ ეპოვებ მე ჭეშმარიტ ადამიანებს.  
აქ მყოფთაგან კი განვის პირას ცხოვრების ღირსი  
მხოლოდ თქვენა ხართ, ერთადერთი, ძვირფასო ნათან.  
არ გნებავთ ჩემთან წამოხვიდეთ? რა პასუხს მაძლევთ?  
ეს ნაგავი მას მიაყარეთ, დაე აიღოს,  
რის მიღებასაც ის ცდილობდა. ადრე თუ გვიან,  
სულ ერთი არის, გაგატყავებთ სულთი ხორცამდე.  
სჯობია, ამას ერთბაშად რომ მოელოს ბოლო.  
აბა წავიდეთ, მოსასხამი ჩემგან მიიღეთ.  
წამოდით, ნათან.

ნ ა თ ა ნ ი

მე მგონია, ეგ არ აგვცდება.

მაგრამ, ალ-ჰაფი, მოითმინე, მსურს მოვიფიქრო.

ა ლ-ჰ ა ფ ი

გსურთ მოიფიქროთ? რას ხედავთ აქ მოსაფიქრებელს?

ნ ა თ ა ნ ი

სულთანი უნდა ვინახულო, გამოვეთხოვო.  
მანამდე მანაც დამაცალე, ჩემო ალ-ჰაფი!

ა ლ-ჰ ა ფ ი

ეგ ძიებაა მიზეზისა და იმისათვის  
გჭირდებათ მხოლოდ, რომ თავიდან ეს აიცილინოთ.  
ვინაც ერთბაშად ვერა გადასწყვეტს. ისე მოაწყოს  
თავის ცხოვრება, როგორცა სურს, ასეთი კაცი  
მუდამ იქნება სხვების შონა. თქვენი ნებაა!  
მშვიდობით ნათან, სიხარულს და ბედნიერებას  
გისურვებთ ისეთს, როგორსაც თვით თქვენ ისურვებდით,  
აბა... ჩემი გზა იქით მიდის, თქვენი კი აქეთ...

ნ ა თ ა ნ ი

ალ-ჰაფი, შენ ხომ ანგარიში სალადინისთვის  
ჯერ არც კი ჩაგიბარებია!

ა ლ-ჰ ა ფ ი

დიდი ამბავი!

ჩემს ხაზინაში ფირთაგვები დაფხაკუნობენ.  
ჩემს ანგარიშს კი შეამოწმებთ ან თქვენ ან ზიტა.  
მშვიდობით! (გალის.)

ნ ა თ ა ნ ი (თვალს გააყოლებს)

მე შევამოწმებ!.. ველურია, თანაც კეთილი,  
კეთილშობილიც... სხვა რაღა ვთქვა, რაღა ვუწოდო?  
მათხოვარია ერთადერთი ნამდვილი მეფე!  
(გადის შობიერდაპირე მხარეს.)

მოკმელება მისამე.

გამოსვლა პირველი

სცენა: ნათანის სახლში.

რეხა და დაია.

რეხა

როგორ, დაია, გაიგონე, როგორ სთქვა მაშამ?  
სად შემიძლია, რომ ყოველ წუთს ველოდო იმას?  
რაკი ასეა, მალე მოვა ის, ძალზე მალე.  
მაგრამ რამდენმა წუთმა განვლო მას შემდეგ უკვე!  
თუმცა რა უშავს; განვლილ დროზე ვინ ფიქრობს ხოლმე?  
მე მსურს ვიცოცხლო მომავალი ყოველი წუთით,  
ეს წუთიც მოვა და ოდესმე მოიყვანს იმას.

დაია

სულთნის წყეული შემოთელაც რომ დაემთხვა ამას!  
ო, ეს რომ არა, მას ნათანი დაუყოვნებლივ  
აქ მოიყვანდა უეჭველად.

რეხა

და როცა იგი,

ეს წუთი, მოვა, როცა გულის მხურვალე ნატვრა  
ამისრულდება: მაშინ რაღა?.. მაშინ რა?..

დაია

მაშინ?

ვფიქრობ, რომ მაშინ ასრულდება ჩემი მხურვალე  
ნატვრაც.

## რ ე ხ ა

და გული, ჩემი გული რას იზამს მაშინ,  
გული, რომელსაც ვერ აცოცხლებს ველარაფერი,  
იქ თუ სურვილი, ერთადერთი, არა ბატონობს  
სხვა სურვილებზე? ერთი მითხარ, რით ისულდგმულებს?  
არაფრით? როგორ მეშინია!..

## დ ა ი ა

ჩემი სურვილით,  
ის ჩემი ნატვრით ისულდგმულებს, რომ ევროპაში  
გიხილო მალე შესაფერის, ღირსეულ ქმართან.

## რ ე ხ ა

სცდები, დაია... სწორედ იგი, რამაც დაბადა  
შენი სურვილი, წარმოადგენს დაბრკოლებასაც,  
რომ ის ჩემს ნატვრად გადაიქცეს. შენ შენი მხარე  
გიზიდავს ასე, მე კი ჩემი უნდა დავტოვო?  
შენ ყოველივე მახლობელი ბუნდოვნად გახსოვს,  
რომელთა სახე შენს სულში არ გამქრალა ჯერაც,  
ჩემს გარშემო კი ყველაფერი მშობლიურია,  
რასაც ვხედავ, რასაც ვუსმენ, ვეხები ხელით,  
და განა ეს არ მაკავშირებს ჩემიანებთან  
უფრო ძალუშად?

## დ ა ი ა

იჯიუტე, რამდენიც გნებავს!  
უცვლელი არის ზეცისაკენ მიმავალი გზა.  
მაშინ რას იტყვი, შენმა მხსნელმა, თავის ღმერთისგან  
წარმოგზავნილმა, დიახ, დიახ, თავის ღმერთისგან,  
ვისთვისაც იგი იარაღით ხელში იბრძოდა,  
იმ ქვეყანაში, იმავ ხალხთან რომ დაგაბრუნოს,  
რომელთათვისაც დაიბადე ამ ქვეყანაზე?

## რ ე ხ ა

შენ ისევ შენსას გაიძახი, ჩემო დაია.  
გაქვს, ჭეშმარიტად, უცნაური შეხედულება!  
„თავის ღმერთისგან, დიახ, დიახ, თავის ღმერთისგან,  
ვისთვისაც იგი იარაღით ხელში იბრძოდა!“  
ვისია ღმერთი? ერთი მითხარ, ის რა ღმერთია  
ვინაც ეკუთვნის მარტოოდენ ერთ ადამიანს

და ვინაც თავის გულისათვის გვაომებს ხოლმე?  
ან ვით გავიგოთ, რომელ მიწის ნაგლეჯისათვის  
დავბადებულვართ, თუ არ მისთვის, სადაც ჩვენ ვიშვით?  
ნეტავ მამაჩემს მოესმინა შენი სიტყვები!  
რა დაგიშავა, რომ მიქადი ბედნიერებას  
ყოველთვის მისგან მოშორებით და არა მასთან?  
ისეთი ცული რა გიქნა, რომ ყოველთვის ახშობ  
წმინდა, საღ მარცვალს გონებისას, ჩემს სულში ასე  
საგულდაგულოდ, სასოებით დათესილს მისგან,  
შენი სამშობლოს სარეველა ბალახითა თუ  
სხვა ყვავილებით?.. საყვარელო, კარგო დაია,  
მას არ სურს, რომ შენს ყვავილნარად გადამაქციო!  
და მე მართალი უნდა გითხრა, თუ რარიგ მიმძიმს,  
როცა ჩემს სულში შენს ყვავილებს ვზრდი უხალისოდ.  
მათი მომკავო-მოტკბო სუნი მადუნებს ძლიერ  
და თავბრუს მახვევს. უნდა გითხრა, რომ შენი ტვინი  
ამ სუნს უფრორე მიეჩვია კაი ხანია  
და არც გამტყუნებ, მას რომ ასე ადვილად იტან,  
მაგრამ ის ჩემთვის მეტისმეტად მავნებელია.  
აი თუნდ შენი ანგელოზი, მისი გულისთვის  
კინაღამ მთლად არ გავსულელდი. ახლაც მრცხვენია  
მამის წინაშე ამნაირი სისულელისთვის.

#### და ი ა

სისულელისთვის! ჰკუა თითქოს მარტო ამ სახლში,  
აქ არსებობდეს! სისულელე! სისულელისთვის!  
ეჰ, უფლება რომ მქონდეს თქმისა!

#### რ ე ხ ა

მერე, ვინ გიშლის?

როდის იყო, რომ მთლად სმენად არ გადავტყუულვარ,  
რაწამსაც ჩემთან საუბარი წამოგიწყია  
შენს წმინდანებზე, თავგანწირულ მოღვაწეებზე  
სარწმუნოების გულისათვის? ან როდის იყო,  
განცვიფრებაში არ მოვყავდი მათ თავგანწირვას?  
მე მათი ტანჯვა მუდამ ცრემლს არ მაფრქვევინებდა?  
თუმც რწმენა მათი არ მიმაჩნდა მე დიდ გამირობად  
მაგრამ მით უფრო ნუგეშს მცემდა ნოდღვრება მათი,  
რომლის მიხედვით, ერთგულებას ღვთისადმი მარტო

ოცნებით როდი გამოვხატავთ, ჩემო დაია;  
იგივე აზრი ხშირად უთქვამს მამაჩემს ჩვენთვის  
და შენც თანახმა იყავ ხოლმე, მაშ რაღა გინდა,  
რომ შეარყიო ის შენობა, როცა თვითონვე  
ეხმარებოდი მამაჩემსა მის აგებაში?  
ნუთუ შეგვშენის, რომ სანუკველ, საუკეთესო  
მეგობარს ჩვენსას ამნაირი ბაასით შევხვდეთ?  
თუმც, ნაწილობრივ, კმაყოფილიც ვარ ამ ბაასით,  
რადგანაც ჩემთვის არის დიდად მნიშვნელოვანი  
ვიცოდე, თუ ის როგორ... მაგრამ გესმის, დაია,  
ვიღაც მოადგა ჩვენს კარს, მგონი... ის იყოს, ნეტავ!

### გამოსვლა მამაკ

რეხა, დაია და რაინდი, რომელსაც ვიღაცა კარს გარედან  
უღებს და ეუბნება „აქეთ მიბრძანდით!“

რეხა

(ჯერ შეკრთება, შემდეგ კი თავს შეიკავებს და დააპირებს  
რაინდს ფეხებში ჩაუვარდეს.)

ის არის, იგი! ჩემი მხსნელი!

რაინდი

სწორედ ამიტომ

ვყოვნებოდი და მაინც...

რეხა

მინდა, რომ მოკრძალებით

დავხარო თავი ამ ზვიადი კაცის წინაშე,  
რათა მადლობა შევწირო ღმერთს და არა კაცსა.  
მას ეს არ ნებავს, თუმც მადლობა სწორედ ისევე  
სჭირდება ამ კაცს, როგორც იმ კაპარს, რომელმაც შრომა  
გასწია, ასე სანაქებო, ხანძრის დროს, მაშინ:  
ნებას აძლევდა წყლით აევისოთ და დაეცალათ,  
თუმცა თვითონაც არ იცოდა ვისი გულისთვის.  
კაცსაც ამგვარად დაემართა: ის ხანძრის გულში  
შემთხვევით გაჩნდა, შემთხვევითვე მოვხვდი მის ხელში;  
ვით ნაპერწკალი, დავარდნილი მის მოსასხამზე,  
მე მის მკლავებზე დავეცი და ვიწექი, ხანამ  
რაღაცა ძალამ, უხილავმა, ცეცხლის ალიდან



არ გადმოგვტყორცნა ჩვენ უკანვე ისევ შემთხვევით.  
მაშ რაღლა უნდა ვუმაღლოდე, მას გადარჩენას?  
ევროპაში ხომ მსგავს საქმეებს აკეთებს ღვინოც;  
რაინდები კი არსებობენ მხოლოდ იმისთვის,  
რომ იხსნან ყველა, ვინც იწვის ან იხრჩობა წყალში,  
სწორედ იმგვარად, როგორც ძალუძთ ეს გაწვრთნილ ძაღლებს.

### რ ა ი ნ დ ი

(მთელი ამ ხნის მანძილზე გაცეებითა და აღვლებით უცქერის რეხას.)

ოო, დაია, თუმცა ხშირად, მწუხარების და  
გამწარების ყამს, მე შენთან თავს ვერ ვიკავებდი,  
მაგრამ რისათვის დამასმინე, რად უთხარ რეხას  
ის ყოველგვარი სისულელე, რასაც ვროშავდი?  
ძალზე სასტიკად, ძალზე მწყურალად იძიე შური,  
მაგრამ თუ ახლა, ახლა მაინც შესცვლი მაგ წყრომას  
მოწყალებაზე, დამიტავი, გამომესარჩლე.

### ღ ა ი ა

ვფიქრობ, რაინდო, ის პატარა ეკლები, რეხას  
გულს რომ დაესო, ახლა თქვენსკენ არ შებრუნდება.

### რ ე ხ ა

რაო? მწუხარე ბრძანდებოდით და უფრო ძვირი  
ღირდა თქვენთვის ეს მწუხარება, ვიდრე სიცოცხლე?

### რ ა ი ნ დ ი

კეთილო ბავშვო!.. მაგრამ, ნეტავ, რა მემართება?  
თითქოს გაიყო ჩემი სული თვალს და ყურს შორის.  
ეს ქალიშვილი როდი იყო, ო, არა, არა,  
ეს არ ყოფილა, ცეცხლისაგან რომ დაეხსენი.  
ვინ იქნებოდა ისეთი, რომ სცნობოდა იგი  
და ცეცხლისაგან არ დაეხსნა? ვინ დამიწყებდა  
ამისთვის ლოდინს? თუმცა შიში კაცს სახეს უცვლის...

(ღუმილი სუფევს. რეხას შემყურე რაინდს თითქოს თავდავიწყება იპყრობს.)

### რ ე ხ ა

მე კი თქვენ სწორედ ისეთივეს გხედავთ, რაინდო.

(კვლავ სიჩუმე ჩამოუარდება. რეხა განაგრძობს ლაპარაკს.  
რათა რაინდი ამ მდგომარეობიდან გამოიყვანოს.)

მაგრამ გვითხარით, სად იყავით ამდენი ხანი?  
და იმის კითხვაც მსურს გავბედო: სადა ხართ ახლა?

რ ა ი ნ დ ი

ახლა აქა ვარ, სადაც იქნებ სჯობდეს, არ ვიყო.

რ ე ხ ა

ხოლო აქამდე სად იყავით? იქნებ იქ, სადაც  
ბევრად სჯობდა, რომ სულაც არა ჰყოფილიყავით?  
ეგ კი არ ვარგა.

რ ა ი ნ დ ი

მე ვიყავი... რა ჰქვია იმ მთას?  
ჰო, სინას მთაზე.

რ ე ხ ა

სინას მთაზე? რა მიხარია!  
ახლა კი შეეძლება, რომ გავიგო, მართლა...

რ ა ი ნ დ ი

რა მართლა?

რა? ის, რომ მართლა შეიძლება კიდევ ვნახოთ  
ჩვენ ის ადგილი, სადაც მოსე უფლის წინ წარსდგა,  
როცა...

რ ე ხ ა

ეგ არა! სადაც უნდა მდგარიყო იგა,  
ყველგან უფლის წინ იდგებოდა. მაგის შესახებ  
საკმაოდ ბევრი ვიცი უკვე. არა. აი, რის  
გაგება მსურდა ახლა თქვენგან: იმ მთაზე ასვლა  
უფრო ადვილი არის მართლა, ვიდრე ჩამოსვლა?  
როცა მე მთებზე ავდიოდი, სწორედ პირიქით  
მემართებოდა. ჰა, რას იტყვით? ზურგსაც კი მაქცევთ?  
არ გასურთ მიცქიროთ?

რ ა ი ნ დ ი

იმიტომ, რომ გისმინოთ მხოლოდ

რ ე ხ ა

იქნებ იმიტომ, რომ დაფაროთ თქვენი ღიმილი,  
ჩემი ესოდენ სულელური ყბედობის გამო?  
ანდა იმიტომ, რომ ამაზე მნიშვნელოვანი

ვერა გკითხეთ რა სახელოვან იმ წმიდა მთაზე?  
მართალს არ ვამბობ?

რ ა ი ნ დ ი

მაშ კეთილი, რაკი ასეა,  
ისევ თვალეში შემოგხედავთ... ახლა თქვენა ხართ  
ძიულეული, რომ თვალეები დახაროთ ძირსა?  
ახლა თქვენა გსურთ შეიკავოთ ღიმილი, არა?  
რისთვის ვეცადო, თქვენს მზერაში, ღიმილში მოვხვდე  
იმას, რაც მესმის ასე ცხადად, ასე მკაფიოდ  
და რასაც ასე გასაგებად მესაუბრებით  
თქვენი ღუმლით? რეხა, რეხა, რა მართალი სიტყვა:  
„გაიცანით ჯერ ოღონდაცო!“

რ ე ხ ა

ვინ სიტყვა? ვისზე სიტყვა?

და ეს თქვენ იკითხრეს?

რ ა ი ნ დ ი

„გაიცანით ჯერ ოღონდაცო!“ —

ასე სიტყვა თქვენზე მამათქვენმა.

რ ე ხ ა

მე? მეც ხომ ამას

გიმეორებდით?

რ ა ი ნ დ ი

მაგრამ იგი სად არის ახლა?

სად იმყოფება მამათქვენი? ისევ სულთანთან?

რ ე ხ ა

იქ, რა თქმა უნდა.

რ ა ი ნ დ ი

იქ? ისევ იქ? აჰ, რანაირი  
გულმავიწყი ვარ! მომაგონდა. იგი მონასტრის  
კედლებთან უნდა დამელოდოს. ასე შევთანხმდით.  
გთხოვთ მომიტევეთ! მე ახლავე უნდა წავიდე.  
შოვალ, ნათანსაც თან მოვიყვან.

დ ა ი ა

მისი მოყვანა

ჩემი საქმეა, თქვენ კი დარჩით, დარჩით, რაინდო.  
მას მე მოვიყვან.

რ ა ი ნ დ ი

არა, არა! იგი მე მიცდის,  
მე უნდა შემხედეს, თქვენ კი არა. ამასთანავე,  
ის, შეიძლება, სულ აღვილად... აბა ვინ იცის,  
ღიას, სულთანთან შეხვედრის დროს... სულთანს არ იცნობთ!  
ჩავარდა კიდეც გასაჭირში. მე თუ ახლავე  
არ გავეშურე, მას, მერწმუნეთ, საფრთხე მოელის.

რ ე ხ ა

საფრთხე მოელის? ვის მოელის, ანდა რა საფრთხე?

რ ა ი ნ დ ი

ჰეც, მაშათქვენსაც, თვითონ თქვენაც: თუკი დავყოვნდი,  
თუკი ახლავე არ წავედი. (გაღს.)

გამოცვლა მისამე

რ ე ხ ა და დ ა ი ა.

რ ე ხ ა

რა დაემართა,

რატომ აჩქარდა, ეს რას ნიშნავს, ჩემო დამია?

დ ა ი ა

დაე წაგიდესი ეს, მგონია, ცუდი ნიშანი  
არ უნდა იყოს.

რ ე ხ ა

ნიშანიო? რისი ნიშანი?

დ ა ი ა

იმის, რომ რაღაც ემართება, იგი დულს უკვე  
და მთლად არ უნდა გადმოდულდეს. თავი ანებეთ.  
თქვენი ჯერია ახლა.

რ ე ხ ა

ჯერი? ჩემი? რის ჯერი?

შენც იმ ყრმასავით ქარაგმებით მესაუბრები  
და ვერ მიგიხვდი ფრაფერსა.

დაია

ახლა სულ მალე

სამაგიეროს გადაუხდით იმ წუხილისთვის,  
რაც მოგაყენათ. მაგრამ გირჩევთ, ნუ მოექცევით  
ძალზე სასტიკად, მეტისმეტად ნუ იძიებთ შურს.

რეხა

შენი სიტყვები შენვე გესმის მხოლოდ და მხოლოდ.

დაია

თქვენ კი ხართ ისევ ძველებურად დამშვიდებული?

რეხა

რატომაც არა? დიახ, დიახ...

დაია

გამოტყდით, მაინც,—

ძალზე გახარებთ მისი ღელვა, მოუსვენრობა  
და რომ მის ღელვას უმადლით თქვენს ასეთ სიმშვიდეს.

რეხა

რაო, მახარებს? არაფერი მესმის სრულებით  
მხოლოდ ერთში კი გულახდილად გამოგიტყდები,  
მეც აღარ მესმის, მეც მათებს რარიგად მოხდა,  
ასეთი შმაგი ქარიშხალი ჩემი გულისა  
ეგრე უეცრად რომ დაწყნარდა; მისმა შეხედვამ,  
მისმა მომართვამ, საუბარმა...

დაია

გაგაძლოთ უკვე?

რეხა

არა, მე მაგას არ ვიტყვოდი. ეგ ჯერ შორს არის.

დაია

შიმშილი მაინც ხომ მოგიკლათ, მწვავე შიმშილი?

რეხა

რაკი ასე გსურს...

დაია

მე სხვა რამ მსურს.

## რ ე ხ ა

იგი ძვირფასი  
დარჩება ჩემთვის საუკუნოდ, ჩემს სიცოცხლეზე  
უფრო ძვირფასი. თუმცა ახლა მისი სახელის  
გაგონებაზე მაჯის ცემა არ მომიმატებს  
და მასზე ფიქრით ჩემი გული იმაზე სწრაფად,  
იმაზე მძლავრად, აწ რომ ჰფეთქავს, არ აძგერდება.  
მაგრამ რას ვროშავ, წამო, წამო, ჩემო დაია,  
წამო, მივიღეთ ფანჯარასთან, იმ ფანჯარასთან,  
საიდანაც ჩვენ პალმებს ვხედავთ.

## დ ა ი ა

მაშ არ დამცხრალა,  
არა, ჯერ კიდევ არ დამცხრალა მწვავე შიმშილი!

## რ ე ხ ა

არა მარტო მას, აწ პალმებსაც დავუწყებ ცქერას,  
ჩემო დაია, იმ ფანჯრიდან.

## დ ა ი ა

ოჰ, ეგ სიცივე!  
ახალი სიცხის ხომ არ არის წინამორბედი?

## რ ე ხ ა

რა სიცივეზე ლაპარაკობ? ცივი არა ვარ.  
მას, რისი ცქერაც მსიამოვნებს, არანაკლები  
სიამოვნებით ვუცქერ ხოლმე დამშვიდებულად.

## ზამოსვლა მერთხმ

სცენა წარმოადგენს მისაღებ დარბაზს სალადინის  
სასახლეში

ს ა ლ ა დ ი ნ ი და ზ ი ტ ა.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

(შემოდის და თან კარისკენ პირშექცეული ამბობს.)

რაწამსაც მოვა ის ურია, შემოიყვანეთ.  
როგორც ეტყობა, აჩქარება არ ჰყვარებია.

ზ ი ტ ა

იქნება სახლში ვერ მიუსწრეს, ვერც სხვაგან სადმე  
იპოვეს იგი.

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

დაო! დაო!

ზ ი ტ ა

ისე იქცევი.

თითქოს ბრძოლის წინ იყო, ძმავ.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

თანაც მიპყრია

ხელში ისეთი იარაღი. რომლისა მსგავსიც  
ჯერ არასოდეს მიხმარია. ახლა კეთილი  
უნდა ვინებო, ფრთხილად ვიყო, თან მახეები  
დავაგო, თანაც შევინიღბო, ვიგაიძვერო.  
როდის მიქნია ასეთი რამ, სად მისწავლია?  
და მერე რისთვის, რისთვის უნდა ვქნა ეს ყოველი?  
იმისათვის, რომ ვაგრძნობინო ურიას შიში  
და ამ გზით ფული გამოგვინცლო? ჰო, ფული! ფული!  
ნუთუ ამგვარი წვრილმანისთვის, ბოლოსდაბოლოს,  
უნდა დავიწყო უმაქნისი გაიძვერობა?

ზ ი ტ ა

ყოველგვარ წვრილმანს, თუკი ასე ცხვირს აუბზუებთ,  
შურისძიება შეუძლია, ძვირფასო ძმავ.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

საუბედუროდ, ეს ასეა. მაგრამ ურია  
თუ მართლა ისე კეთილია და გონიერი,  
როგორც დაერიში მის შესახებ ლაპარაკობდა?

ზ ი ტ ა

მერე, რა უშავს! მაგაში მე ცუდს არას ვხედავ.  
შენ ხომ ამ მახეს გაიძვერა, ძუნწსა და ლაჩარ  
ურიას უკებ, არა ჭკვიან და კეთილ კაცსა.  
თუ ასეთია, თავისთავად ჩვენი იქნება.  
სასიამოვნოც კია ხოლმე, რომ მოისმინო,  
როგორ წარმოთქვამს თავის სიტყვას ამგვარი კაცი:  
მოულოდნელი ერთი დარტყმით გაგლეჯს ურია  
დაგებულ მახეს, თუ სიფრთხილით მოუვლის გარსა,  
უთუოდ მოგგვრის ამის ცქერა სიამოვნებას.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

დიახ, სწორი ხარ, მართალს ამბობ; ჩემო დაიკო,  
მისი მოსმენა ჭეშმარიტად მასიამოვნებს.

25. ლესინგი

## ზ ი ტ ა

სწორედ ეს არის ვითარებაც მთელი საქმისა:  
თუ იგი არის მხოლოდ ერთი მრავალთაგანი,  
თუ ისეთივე ურიაა, ვით დანარჩენნი,  
ხომ არ შეგერცხვება, ისეთ კაცად აჩვენო თავი,  
როგორადაც მას დანარჩენნი ერეენებიან?  
პირიქით, მან რომ უკეთესი რაიმე ნახოს  
ვინმე ჩვენგანში, რეგვენ კაცად, ბაჭიად ჩასთვლის.

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

მაშ, შენი ფიქრით, ძალზე ცუდად უნდა მოვიქცე, —  
რომ ცუდმა კაცმა ჩემზე ცუდი არ გაიფიქროს?

## ზ ი ტ ა

ცუდად მოქცევა რასა ნიშნავს? თუ ჩვენ რაიმე  
საგანს ვიყენებთ მის თვისების შესაბამისად,  
ცუდი არ უნდა იყოს, მგონი.

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

ღიაცის ჭკუა!

მან რაც არ უნდა მოიფიქროს, სუყველაფერის  
შელამაზებას მოახერხებს!

## ზ ი ტ ა

შელამაზებას!

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

ერთი მაწუხებს: რომ ეს ნაზი და მყიფე ნივთი  
ჩემს უხეშ ხელში არ დაიმსხვრას! რაც ასე კარგად  
და ეშმაკურად არის უკვე მოფიქრებული,  
ასევე კარგად, ეშმაკურად უნდა აღსრულდეს.  
რაც არის, არის! როგორც ძალმიძს, ისე ვიცეკვებ;  
მე კი, ცხადია, ცუდად ცეკვა უფრო მერჩივნა  
და არა კარგად.

## ზ ი ტ ა

რა ცოტათი ენდობი შენს თავს,  
ჩემო სალაღინ! თუ მართლა გსურს, მე გითავდელებ. —  
ღიას, ისეთნი, ჩემო ძმაო, როგორიც შენ ხარ,



ყოველთვის იმას გვარწმუნებდნენ, რომ მარტოოდენ  
თავიანთი ხმლით, მარტოოდენ თავიანთი ხმლით  
მიღწიეს მათ ყველაფერსა ამ ქვეყანაზე.  
მელას უკან რომ გაეკიდოს, რაღა თქმა უნდა,  
ლომსა რცხვენია, მაგრამ მხოლოდ იმის რცხვენია,  
რომ მელას მისდევს, და არა თვით ცბიერებისა.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

და დედაკაცს კი უხარია, რომ მამაკაცი  
თავის დონემდე დაამდაბლოს!.. ახლა კი წადი!  
მე მგონი, ჩემი გაკვეთილი მშვენივრად ვიცი.

ზ ი ტ ა

რაო? წავიდე?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

აქ დარჩენა გინდოდა განა?

ზ ი ტ ა

რაკი აქ არა... თქვენთან არა... იქ მაინც სადმე,  
გვერდით ოთახში...

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რომ იქიდან ყური დაგვიგდო?

მართალი გითხრა, არც ეგ არის, დაო, საჭირო.  
წადი! მოდიან! აბა წადი, წადი ახლავე!  
იცოდე, ყური არ დაგვიგდო! მე ფხიზლადა ვარ.  
(ზიტა გადის ერთ-ერთი კარიდან, მეორედან კი ნათანი  
შემოდის. სალაღინი ჯდება.)

გამოსვლა მხუთე

ს ა ლ ა დ ი ნ ი და ნ ა თ ა ნ ი.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მოდი, ურიავე, უფრო ახლოს, მომიახლოვდი!  
ნუ გეშინია!

ნ ა თ ა ნ ი

შენი მხოლოდ მტერს ეშინოდეს!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ნათანი გქვია?

ნ ა თ ა ნ ი

ღიახ.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ბრძენიც?

ნ ა თ ა ნ ი

არა.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ცხადია!

შენ არ უწოდებ შენს თავს ასე: ხალხმა შეგარქვა.

ნ ა თ ა ნ ი

ხალხმა შემარქვა? შესაძლოა.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ხომ არა ფიქრობ,

ხალხის ხმას ზიზღით ვეპყრობოდე? დიდი ხანია,

მსურდა გამეცნო უფრო ახლოს ის კაცი, ვისაც

უწოდებს ბრძენ კაცს თვითონ ხალხი.

ნ ა თ ა ნ ი

და თუ მას ხალხი

ასე ეძახის დაცინვითა? ანდა მის თვალში

ბრძენი იმასვე რომ ნიშნავდეს, რასაც ჭკვიანი?

და ჭკვიანი კი იმ კაცს ერქვას მხოლოდ და მხოლოდ,

ვინც აწესრიგებს სასარგებლო თავის საქმეებს?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მაგრამ ნამდვილად სასარგებლოს, ხომ ასე ფიქრობ?

ნ ა თ ა ნ ი

მაშინ ყველაზე ჭკვიანი ხომ იგი იქნება,

ყველაზე მეტად ვინც ემონვის ანგარებასა.

ასე თუ არის, ველარაფრით ვერ განასხვავებ

ბრძენს ჭკვიანისგან.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მაგ სიტყვით ხომ იმას ამტკიცებ,

რაც თვითონ გასურდა უარგეყო. ხალხმა რა იცის,

რაც კაცისათვის ჭეშმარიტად სასარგებლოა.

შენ კი ეს იცი! ანდა, თუნდაც, ცდილობარ გცოდნოდა;  
აწის შესახებ გიფიქრია: ესეც კმარა, რომ  
ბრძენი გიწოდონ.

ნ ა თ ა ნ ი

ასეთ ბრძენად ყოველი კაცი  
ჩასთვლის თავის თავს.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

აბა, კმარა ეგ თავმდაბლობა!  
რამეთუ მისი მოსმენაც კი საზიზღარია  
ხოლმე იქ, სადაც საჭიროა სალი გონება. (წამოიჭრება.)  
მოდო, საქმეზე გადავიდეთ. მაგრამ გულწრფელად,  
ღიან, ურიავე, გულახდილად ვილაპარაკოთ.

ნ ა თ ა ნ ი

გასიამოვნებ, დამერწმუნე, დიდო სულთანო,  
რომ შემდეგშიაც შენი ნდობის გამხადო ღირსი.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მასიამოვნებ? როგორ? რითი?

ნ ა თ ა ნ ი

საუკეთესო

უნდა მოგართვა ყოველივე ხელსაყრელ ფასად.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მაგას რალაზე მეუბნები? შენს საქონელზე  
ხომ არა, ნათან? თუ ასეა, ჩემს დასთან წადი,  
იმას ევაჭრე. (ესეც ზიტას, დავეიგდოს ყური!)  
მე კი ვაჭართან სულაც არა მესაქმება რა.

ნ ა თ ა ნ ი

მაშ, როგორცა ჩანს, გსურს შეიტყო, უეჭველია,  
რა შევამჩნიე, რა გავიგე გზადაგზა შენი  
მტრების შესახებ, ხელახლა რომ წამოყვეს თავი?  
რომ არ დავმალო...

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მე არც მაგის გაგება მინდა.

მაგის შესახებ ყველაფერი, რაც საჭიროა,  
შევოტყვე უკვე... ერთი სიტყვით...

## ნ ა თ ა ნ ი

ბრძანე, სულთანო!

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

მე სულ სხვა რამეს, სულ სხვა რამეს მოველი შენგან.  
რაკი ბრძენი ხარ, მამ გულწრფელად მითხარი ერთი,  
რომელი მოგწონს კანონი და სარწმუნოება?

## ნ ა თ ა ნ ი

ებრაელი ვარ მბრძანებელი.

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

მე — მუსლიმანი.

ქრისტიანი კი ჩვენს შორის დგას. მაგრამ ამ სამი  
რელიგიიდან ჭეშმარიტი იქნება ერთი.  
შენებრი კაცი, რა თქმა უნდა, იქ არ დარჩება,  
სადაც შემთხვევით დაიბადა, და თუ დარჩება,  
ეს იმას ნიშნავს, შეისწავლა ძირფესვიანად  
და აირჩია ხვედრი თვისთვის საუკეთესო.  
მამ მითხარ, შენ ეს რა საბუთით ავირჩევია?  
თვით მე ამ საკითხს ჯერჯერობით ვერ ჩავუკვირდი,  
ვერ მოვიცალე. ჰოდა, მარქვი, რას ემყარება  
შენი ასეთი არჩევანი? რალა თქმა უნდა,  
არვის გაუუმხელ, რასაც მეტყვი; ესეც იცოდე,  
რომ ამით ჩემი არჩევანიც მსურს მოვახდინო.  
რაო? განცვიფრდი? შემომცქერი გაკვირვებული?  
იქნებ პირველი სულთანი ვარ, ამ უცნაური  
სურვილის მქონე, ესერიგად ახირებულნი?  
მაგრამ ეს, ვგონებ, ძირს არ დასცემს სულთნის ღირსებას.  
მართალს არ ვამბობ? მიბასუხე, ილაპარაკე.  
სთქვი! — ან იქნებ გსურს დაფიქრება ორიოდ წუთით?  
კეთილი, გაცლი. (ნეტავ ზიტა აქვეა ისევ?  
თუ მოუსმინა ჩვენს საუბარს? მინდა გავიგო,  
ჩემი ნათქვამი მოეწონა იმას თუ არა.)  
მამ მოიფიქრე! მოიფიქრე! არ დავყოვნდები,  
ახლავე მოვალ.

(გადის იმ ოთახში, სადაც ზიტა გავიდა.)

## გამოსვლა მემქვსე

ნათანი მარტო

ჰმი ჰმი! ძალზე საოცარია!

რა ვქნა მე ახლა?.. რა სურს სულთანს? რა დაიჟინა?  
სულთანს მე ფული მოვუტანე, მას კი სიმართლე,  
სიმართლე ნებავეს და როგორი: ბაჯალლო, ნაღდი,  
ის რომ მონეტა იყოს, დიახ, იგი რომ იყოს  
ძველი მონეტა, ასაწონი; რალა მიჭირდა!  
არა, ახალი მონეტები მიართვი, რომლებს  
იმ ფასად ვიღებთ, რაც ზედ არის ამობეჭდილი.  
ვით შეიძლება, რომ სიმართლე ასეთი იყოს!  
ან როგორ ძალუძს, თავის ტვინი სიმართლით ისე  
გასტენოს, როგორც პარკს ფულებით სტენიან ხოლმე!  
რომელი არის აქ, ჩვენს შორის, ურია ახლა?  
მე თუ სულთანი? მაგრამ, მაგრამ თუ ის ნამდვილად  
არა თხოულობს სიმართლესა ამ სიმართლითა?  
მაგრამ ეჭვიც კი, რომ სიმართლე მას მარტოოდენ  
მახედ სჭირდება, მეტიხმეტად წვრილმანი არის!  
ძალზე წვრილმანი? დიდ კაცთათვის ძალზე წვრილმანი  
არის კი რამე? რა თქმა უნდა, რალა თქმა უნდა,  
სახლში პირდაპირ შემოიჭრა! მეგობარი კი,  
როდესაც მოვა, პირველად კარს მოგვიკაკუნებს.  
უნდა გავფრთხილდე! მაგრამ როგორ? თუ ურეების  
მხარეს დავიჭერ, — არ ივარგებს, თუ გადავუდექ,  
უარესია, რადგან იგი მაშინვე მკითხავს:  
მაჰმადიანი რად არ ხარო? მაგრამ, აი, რა!  
ეს კი დამიხსნის. განა მარტო პატარა ბავშვებს  
ასაზრდოებენ ზღაპრებითა. დაე მოვიდეს  
სულთანი ახლა, დე მოვიდეს, მოვიდეს ოღონდ!

## გამოსვლა მემქვიდე

სალადინი და ნათანი.

სალადინი

(აქ ველი უკვე სუფთა არის.) ძალიან მალე  
ხომ არ დაებრუნდი? მოიფიქრე? მაშ მითხარ ახლა!  
აქ ჩვენ არავინ არ მოგვისმენს.

## ნ ა თ ა ნ ი

დე მოგვისმინოს

მთელმა ქვეყანამ.

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

ნათანს ასე ურყევად სჯერა  
თვისი სიმართლე? აი, ამას ვუწოდებ სიბრძნეს:  
რომ სიმართლის გზას არასოდეს გადაუხვიო!  
ჭემმარიტებას ყოველივე შესწირო მსხვერპლად —  
სისხლი და ხორცი! სიცოცხლე და ავლადიდება!

## ნ ა თ ა ნ ი

დიახ, თუკი ეს საჭიროა და სასარგებლო.

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

დღეიდან ძალმიძს, რომ ვატარო მე ეს ტიტული:  
„მთელი ქვეყნისა და კანონის გამომსწორები“.

## ნ ა თ ა ნ ი

რა მშვენიერი ტიტულია, რა დიდებული!  
მაგრამ პასუხს ხომ ელოდები, სულთანო, ჩემგან?  
ნებას ნიბოძებ, ის პატარა ზღაპრით დავიწყო?

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

რატომაც არა! მე ზღაპრები ძალიან მიყვარს,  
როცა მათ კარგად მიაგებენ.

## ნ ა თ ა ნ ი

აი მაგის კი

რა მოგახსენო, რადგან ზღაპარის კარგად მოყოლა  
არ მეხერხება.

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

ისევ მოპყევ შენს მედიდურსა  
თავმდაბლობასა?! მომიყევი, მომიყევი, ნათან!

## ნ ა თ ა ნ ი

დიდი ხნის წინათ თურმე ერთ კაცს აღმოსავლეთში  
ბქონდა ბეჭედი, საყვარელი არსების მიერ  
ნასახსოვარი, და ამ ბეჭედს ეჯდა ლამაზი,  
ას წარმტაც ფერად მოციმციმე ძვირფასი თვალი,

რომელსაც ჰქონდა საოცარი, გრძნეული ძალა.  
ვინაც მას რწმენით ატარებდა, იგი ყოველთვის  
იყო საყვარელ ღვთისთვისა და ხალხისათვისაც.  
რა გასაკვირი არის აბა, თუ იგი კაცი  
არც დღე, არც ღამე არ იძრობდა თითიდან ამ განძს  
და გადაწყვიტა შვილთათვისაც რომ შეენახა.  
ასეც მოიქცა. დაუტოვა მან ის ბეჭედი  
თავის შვილთაგან უსაყვარლესს ერთის პირობით:  
იმასაც თავის უსაყვარლეს ვაჟიშვილისთვის  
რომ გადაეცა. ასეთ რჩეულს, მიუხედავად  
წლოვანებისა, ეძლეოდა ამ ბეჭდის ძალით  
უფროსობის და ბატონობის უფლება გვარში.  
ვესმის, სულთანო?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მესმის, მესმის, განაგრძე შემდეგ!

ნ ა თ ა ნ ი

გადადიოდა ეს ბეჭედ. შვილიდან შვილზე,  
ბოლოს კი სამი ვაჟიშვილის მამას ხვდა წილად.  
და ვინაიდან სამივენი იყვნენ ერთგვარად  
მორჩილნი მისი, სამივენი უყვარდა მამას  
ერთმანეთისგან განურჩევლად. თანაბარ ძალით.  
ოღონდ დროდადრო ხან პირველი, ხან კი მეორე,  
ხანაც მესამე, თვითეული როდესაც მასთან  
მართო რჩებოდა, ეგონა, სხვა შვილებზე მეტად  
უყვარდა თითქოს და მიაჩნდა ღირსად ბეჭდისა;  
ველარ გაუძლო მამის გულმა მოსიყვარულემ  
და სათითაოდ სამივე შვილს შეჰპირდა ბეჭედს.  
დრო გადიოდა და სიკვდილი ახლოვდებოდა,  
სულ უფრო სწუხდა და დრტვინავდა კეთილი მამა.  
რომ ორ ვაჟს უნდა აწყენინოს... რაღა იღონოს?  
და საიდუმლოდ გზავნის ბეჭედს ოქრომჭედელთან,  
ამას უბარებს: თუნდ დასჭირდეს უზომო შრომა,  
და რა ფასადაც არ დამიჯდეს, ორი ბეჭედი,  
ზუსტად ასეთი, ამის მსგავსი გამიკეთო.  
შეკვეთა კარგად შეასრულა ოქრომჭედელმა  
და, როს შემკვეთელს წარუდგინა სამი ბეჭედი,  
პატრონმა ძველი ახალთაგან ვერ გაარჩია.

გახარებული მამა შეილებს ცალ-ცალკეულად  
მიიხმობს თვისთან და ასევე ცალ-ცალკეულად  
დალოცავს გულით ყოველ მათგანს და ბეჭედს მისცემს  
შემდეგ კი კვდება ბერიკაცია... გესმის, სულთანო?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

(აღღებებული ზურგს შეაქცევს)

მესმის, პო, მესმის! გაათავე შენი ზღაპარი.  
შემდეგ რა მოხდა?

ნ ა თ ა ნ ი

აწ დასასრულს ვუახლოვდები.

რაც შემდეგ მოხდა, თავისთავად გასაგებია.

მამა ჯერ კარგად არც კი იყო გაციებული,  
ერთმანეთის წინ წარსდგა წყისვე სამივე შვილი  
თავისი ბეჭდით და ისურვა მიეღო სახლის  
პატრონობა და უფროსობა მთელი გვარიისა.

ამაო იყო: დავა, ჩხუბი, გამოძიება,—

ვერ დაამტკიცეს სინამდვილე ვერც ერთი ბეჭდის.

(სღუშს და ელის სულთნის პასუხს.)

თითქმის ისევე, როგორც ჩვენა — ვერ გავარკვიეთ,  
თუ რომელია ჭეშმარიტი სარწმუნოება.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

როგორ? ეგ არის ჩემს კითხვაზე შენი პასუხი?

ნ ა თ ა ნ ი

არა, მე ამით მინდა მხოლოდ ბოდიშის მოხდა,  
რომ ვერა ვბედავ, განვასხვაო იგი ბეჭდები,  
რომლებიც მამამ შეუკვეთა სწორედ იმიტომ,  
რომ ვერ შეიძლონ ერთურთისგან მათი გარჩევა.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ისევ ბეჭდები! — დაანებე მაგ თამაშს თავი  
სარწმუნოებებს, რომლებიც მე დაგისახელე,  
ფიქრობ, ექნება ნიშანი რამ ერთმანეთისგან  
განსხვავებული: თუნდ სამოსი, სასამელ-საჭმელი.

ნ ა თ ა ნ ი

მაგრამ ისინი საფუძვლით არ განსხვავდებიან —  
ემყარებიან სამივენი ისტორიასა.



ზოგს მატრიანე გააჩნია, ზოგსაც ზეპირი  
გადმოცემა და ისტორიას ხომ სრული ნდობით  
უნდა მოვეპყრათ, დავუჯეროთ? არა? აბა, მამ  
ვილას ვერწმუნოთ მასზე მეტად? უთუოდ მშობლებს?  
ჩვენს სისხლსა და ხორცს? — რამეთუ ჩვენ ბავშვობიდანვე  
ესულდგმულობთ მათი სიყვარულით და არასოდეს  
არცა ვყოფილვართ მშობლებისგან მოტყუებულნი,  
თუ ეს მათ ჩვენი სიყვარულით, თვითონ ჩვენივე  
კეთილდღეობის გულისათვის არ ჩაიღინეს.  
როს ყველაფერი რწმენაზეა დაშყარებული,  
ვით შემიძლია ჩემს წინაპრებს შენი ვარჩიო?  
ანდა პირიქით, აბა როგორ ძალმიძს მოგთხოვო,  
ჩემს მამა-ბაბას დაუჯერო, შენს წინაპრებს კი  
უნდოდ მოეპყრა და აშხილო მათი სიცრუე.  
ქრისტიანებზეც ეს არ ითქმის? ხომ მართალი ვარ?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

(ალაპსა ვფიცავ. მართალია! უნდა დაგდუმდე.)

ნ ა თ ა ნ ი

ნება მიბოძეთ, ისევე ბეჭდებს რომ დავუბრუნდე.  
როგორც გითხარი, ძმათა შორის დავა დაიწყო  
და ყოველი ძმა, მოსამართლის წინაშე მდგარი,  
პფიცავდა ღმერთსა, რომ ბეჭედი მას მამამ მისცა, —  
მართალს აზობდა, რარიც მართალს! — თანაც ღასძენდა,  
ღიღი ხანია, მის მოცემას შემპირდა მამა,  
ბეჭდის უფლებით ოდესმე რომ დავმტყუარყავო. —  
და ეს სიტყვებიც სწორი იყო, სავსებით სწორი! —  
ამასთან ერთად, ყოველი ძმა ირწმუნებოდა,  
რომ მამამისი მას არასდროს მოატყუებდა,  
რომ ვერ გაბედავს სიცრუის თქმა დასწამოს ასეთ  
სათნო, საყვარელ, კეთილ მამას, რომ თვალთმაქცობას  
უფრო თავის ძმებს დააბრალებს, თუპცა აქამდე  
არც ძმებსა სთვლიდა თვალთმაქცებად, მატყუარებად.  
მაგრამ, — ამბობდა, — მოღალატე სად წამიგაო,  
აღმოვაჩენ და უსათუოდ შურს ვიძიებო.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მერე, რა უთხრა მოსამართლემ? საჯულისხმთა,  
რას ათქმევიანებ მოსამართლეს. ილაპარაკე!

მოსამართლემ სთქვა: თუ მამათქვენს ახლავე ჩემ წინ,  
 აქ არ მოიყვანო, დარბაზიდან გამეცალენით!  
 იქნებ გგონიათ, მოვალე ვარ, რომ ამოგიხსნათ  
 გამოცანები? ხომ არ ფიქრობთ, აქ იდგეთ, ვიდრე  
 ბეჭედი ენას ამოიღვამს, სიმართლეს გვეტყვის?  
 მაგრამ მოიცათ! გამიგია, იმ ნამდვილ ბეჭედს  
 საოცარი რამ თილისმა აქვს, რომ მოუხვეჭოს  
 ღვთისა და ხალხის სიყვარული თავის მფლობელსა.  
 აი, ეს არის გამოცანის ამოხსნაც, რადგან  
 ხომ ვერ შესძლებენ ამგვარ რამეს ბეჭდები ყალბი?  
 მითხარით, თქვენგან ორ ძმას უფრო რომელი უყვარს?  
 ილაპარაკეთ! რად დადუმდით? ბეჭდები მართო  
 თქვენზე მოქმედებს, სხვაზე არა? ყოველ ძმას იქნებ  
 მხოლოდ თავისი თავი უყვარს სხვა ძმებზე მეტად?  
 ო, თუ ასეა, მაშინ ყველა მოტყუებული  
 მატყუარები ბრძანებულხართ. თქვენი ბეჭდები  
 ყალბი ყოფილა, ნამდვილი კი დაკარგულია.  
 დანაკარგი რომ დაეფარა, შეევესო რითიმე,  
 ჩანს, შეუკვეთა მამათქვენმა თითო ბეჭედი  
 ყოველ შვილისთვის.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მშვენიერი, დიდებულია!

ნ ა თ ა ნ ი

მამ ასე, — სიტყვა მოსამართლემ განაგრძო ისევ, —  
 თუ განაჩენი გნებავთ ჩემი და არა რჩევა,  
 გამეცალენით! ჩემი რჩევა კი ეს იქნება:  
 იმას დასჯერდით, რაც ხელთა გაქვთ, და თვითულმა  
 ასე იფიქრეთ: ნუ, ნამდვილი ბეჭედი მაქვსო.  
 იქნებ მამათქვენს არცა ისურდა გვარში ამ ერთი  
 ბეჭდის წყალობით გამეფება ტირანიისა.  
 ჩანს, ერთნაირად ჰყვარებია მას ყველა შვილი  
 და ამიტომაც ვერ გაბედა, რომ დაეჩაგრა  
 ორი ძე ერთის გულისათვის. ჰოდა, მიზაძეთ  
 თქვენს ჭკვიან მამას, ცრურწმენისაგან მთლად თავისუფალ,  
 მიუკერძოებელ სიყვარულში და შეეჯიბრეთ  
 ძმები ერთმანეთს, კეთილ საქმით გამოამყდვენოთ

იმ ბეჭდის ძალა, თვითეულს რომ გიპყრიათ ხელში.  
იყავით მუდამ თავმდაბალნი, მშვიდნი, კეთილნი,  
ქველმოქმედნი და წრფელი გულით მოსაგნი ღვთისა,  
რათა განმტკიცდეს ბეჭდის ძალა. და თუ ეს ძალა,  
სალი კლდის მსგავსი სიმტკიცითა, მომავალშიაც  
გაჰყვება ზუღამ შვილებს თქვენსას, თქვენს შვილიშვილებს,  
მათ მოუფოდე, რომ ათასი წლის მერე ამავე  
ადგილას წარსდგნენ. მაშინ აქ სხვა, სხვა, ჩემზე ბრძენი  
დახვდება იმათ მოსამართლე და განაჩენსაც  
ის გამოუტანს. ახლა წადით!" — ეს უთხრა ბოლოს  
ძმებს გონიერმა მოსამართლემ.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ო, ღმერთო, ღმერთო!

ნ ა თ ა ნ ი

თუ გრძნობ, სალადინ, ნიჭს, რომ იყო ეს ბრძენთა ბრძენი.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

(მიეჭრება ნათანს და გრძნობით მიეჭილება მის ხელს, რომელსაც ბოლომდე  
არ უშვებს ხელიდან)

მე არარა ვარ? მტკერი? ღმერთო!

ნ ა თ ა ნ ი

რა გემართება,

დიდო სულთანო?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ნათან, ნათან! ჯერ ზომ ათას წელს

არ გაუვლია შენი ბრძენი მოსამართლისა

და მე მის ადგილს ვერასოდეს ვერ დავიკავებ.

წადი! მშვიდობით! მაგრამ მაინც გთხოვ მიმეგობრო.

ნ ა თ ა ნ ი

და სხვას არაფერს, აღარაფერს მეტყვის სულთანი?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

არაფერს.

ნ ა თ ა ნ ი

არა?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

არც ერთ სიტყვას. ან რისთვის გითხრა?

ნ ა თ ა ნ ი

თვითონ მე მქონდა ერთი თხოვნა, მსურდა, ოდესმე შესაფერისი შემთხვევა რომ მომცემოდა მის...

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ნუთუ თხოვნისთვის შემთხვევაა საჭირო? მითხარ!

ნ ა თ ა ნ ი

მე შორეული მგზავრობიდან დავბრუნდი ახლა, ვალები მაქვს მთლად აკრეფილი და ნაღდი ფული ძალიან ბევრი დამიგროვდა. დრო კი საეჭვო ხდება თანდათან, ყველაფერზე უნდა დაფიქრდეთ. სად მოვათავსო, აღარ ვიცი, ფული უშიშრად. ჰოდა, ვიფიქრე, — რაკი ომი ასე ახლოა, ომი კი მუდამ ბევრ ხარჯს იწვევს, იქნებ შენც რამე გიჭირს, სულთანო?

ს ა ლ ა დ ი ნ ი (ღაფნებით უცქერის)

ჩემო ნათან! არ მინდა გკითხო, ხომ არ მოასწრო შენი ნახვა ალ-ჰაფიმი; არც მსურს გამოვიძიო, დახმარებას იმიტომ ხომ არ მთავაზობ, რომ შენ დაგებადა ეჭვი.

ნ ა თ ა ნ ი

რა ეჭვი?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

დავიმსახურე მე ეგ ეჭვი. შემინდე, ნათან! ან კი მიშველის ეს ნეტავი? გამოგიტყდები, მეც მსურდა შენთან საუბარი.

ნ ა თ ა ნ ი

სწორედ ამაზე

ხომ არ გნებავდა?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რა თქმა უნდა.

ნ ა თ ა ნ ი

მაშ ორივენი

დავებმარებით ერთმანეთსა. მაგრამ, სალადინ, არ შემიძლია ნაღდი ფული სულ მთლად შენ მოგცე,

ერთი მეტაძრის, ახალგაზრდა რაინდის, გამო.  
შენ იცნობ იმას; დიდი ფულის გადახდა მიწევს.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რაო? მეტაძრე? იმედი მაქვს, არ მოინდომებ  
ჩემს საზიზღარ მტრებს დაეხმარო შენი ფულებით.

ნ ა თ ა ნ ი

მე ვლაპარაკობ მარტოოდენ იმ მეტაძრეზე,  
ვისაც სიცოცხლე შენ უბოძე...

ს ა ლ ა დ ი ნ ი

აჰ! მომაგონდა!

ის ჭაბუკი ხომ დამავიწყდა, მთლად დამავიწყდა.  
მაშ იცნობ შენ იმ ახალგაზრდას? სად არის ახლა?

ნ ა თ ა ნ ი

როგორ? ნუთუ არ გაგიგია, რარიგ დიდად ვარ  
დავალებული იმ ყრმისაგან შენი წყალობის  
გამოისობით? არ გსმენია? ის იყო სიკვდილს  
ძლივს გადაურჩა, რომ რაინდმა თავის სიცოცხლე  
ჩააგდო ისევე დიდ საფრთხეში, როცა ხანძრისგან  
დაიხსნა ჩემი ქალიშვილი.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მაშ იმ რაინდმა

გააკეთა ეს? გარეგნობაც. შეხედულებაც  
ხომ ასეთი აქვს? სწორედ ასე ჰოიქცეოდა  
ჩემი ძმაც. განა ტყუილად ჰგავს? აქვეა იგი?  
მაშ მოიყვანე. იმდენი რამ ვუამბე ზიტას  
ჩემს ძმაზე, — მას ხომ არ იცნობდა, — რომ უეჭველად  
უნდა ვაჩვენო ეს ჭაბუკი, ჩვენი ძმის მსგავსი.  
წადი ახლავე მოიყვანე. აი, რამდენი  
კეთილი საქმე შეიძლება წარმოშვას ე რ თ მ ა  
თუნდ ანგარებით წარმომდგარმა კეთილმა საქმემ.  
წადი, ახლავე მოიყვანე!

ნ ა თ ა ნ ი

(ხელს გაინთავისუფლებს სალადინოს ხელისგან)

ამ წუთს! და ის სხვა,

მეორე საქმეც, ხომ ცხადია, რომ თავისთავად...

(გაღის.)

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

ეპ! ჩემს დას რად არ გავუგონე! ახლავე მასთან  
უნდა წავიდე! ვით მოვუთხრო ეს ყველაფერი?

(ვაღას მეორე მხარეს.)

## გამოცვლა მხრვე

სცენა წარმოადგენს მონასტრის მასლოპლად მღებარე პალმებიან  
ადგილს, სადაც რაინდი ელოდება ნათაშს.

## რაინდი

(აფორიაქებული დაღის წინ და უკან, პოლოს აღმოხდება.)

შესდექ, სამსხვერპლოდ განწირულო! აქ შეისვენე!  
კმარა, გეყოფა! არ ვეცდები, აღარ ვეცდები,  
გამოვიძიო, თუ რა ხდება ჩემს გულში ახლა,  
ან რა მოხდება. სულ ტყუილად გამოვიქცე!  
ტყუილუბრალოდ!.. მაგრამ, აბა, რაღა შემეძლო  
გაქცევის მეტი? დე მოხდეს, რაც მოსახდენია!  
ისეთი სწრაფი დარტყმა იყო, — ვერ შევიძლებდი  
აცილებასა, თუნცა კარგა ხანს გავურბოდი.  
იგი ვიხილო! რასაც წინათ ასე ნაკლებად  
ვნატრობდი ხოლმე... — იგი ვნახო და გადავწყვიტო,  
მთელი სიცოცხლე მას ვუცქირო... რა გადავწყვიტო?  
გადაწყვეტა ხომ განზრახვაა და მოქმედება:  
მე კი, მე მისგან მარტოოდენ ვიტანჯებოდი.  
ის ნახო, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ შენი სული  
მის სულს უეცრად შეუერთდეს, ასე არ არის?  
ღიახ, ეს მართლა ასე იყო, იქნება ასე.  
მე აღარ ძალმიძს უიმიხოდ გაცოცხლო ქვეყნად.  
ეს ჩემს უეჭველ სიკვდილს ნიშნავს, იქაც კი, სადაც  
სიკვდილის მერე მიწვეს ყოფნა, კვლავ სიკვდილს ნიშნავს...  
ეს სიყვარული არის უკვე: მეტადრეს უყვარს,  
ქრისტიანს უყვარს ქალიშვილი ებრაელისა!  
თუნდ ასეც იყოს!.. რა უნდა ვქნა... აღთქმულ მხარეში  
(ქება-დიდება იმ ქვეყანას!) ბევრ ცრურწმენაზე  
ავიღე ხელი და რას ვაქნევ ახლა ჩემს ორდენს?  
როგორც მეტადრე ხომ მკვდარი ვარ ამ ორდენისთვის  
იმ წუთის მერე, სალაღინს რომ ტყვედ ჩავუვარდი?

და სალადინის ნაჩუქარი ეს თავი განა  
 იგივეა, რაც მაშინ იყო? ცხადია, არა!  
 ის, რითაც წინათ მას ავსებდნენ, სტენიდნენ ასე,  
 ახლა მისთვის მთლად უცნობია. და ეს სჯობს ძველსა:  
 მშობლიურ ცისთვის უფრო ნეტად შესაფერისი.  
 დიახ, ვგრძნობ ამას, რადგან მასში იგივე აზრები  
 იზადებიან, რასაც, ალბათ, მამა ფიქრობდა  
 აქ, ამ ადგილას, თუ ზღაპრები არ მომიჩმახეს  
 მამის შესახებ. ზღაპრებიო? — მაგრამ მართალნი,  
 მთლად სარწმუნონი; არასოდეს ისინი ასე  
 მართალნი არა მჩვენებიან, როგორც ამჟამად,  
 როცა მე მხოლოდ წავბორძიკდი, სად ის წაიქცა,  
 წაიქცა? მიჯობს ვაჟკაცებთან წავეიქცე, ვიდრე  
 ჩვილებთან ფეხზე ვიდგე ხოლმე. ეს მაგალითი  
 მამაჩემისა ხომ მისივე მოწონებაა.  
 მაშ მე ვილასი მოწონება მაკლია კიდევ?  
 იქნებ ნათანის? ო ნათანი ამ აზრს არათუ  
 მომიწონებს მე, გამამხნევებს კიდევაც, ალბათ.  
 რა დიდებული, რა კეთილი ებრაელია  
 და მაინც ცდილობს, მოგაჩვენოს თავი ურიად!  
 აგერ — ნათანიც, მოდის, ჩქარობს, უბრწყინავს სახე.  
 ან კი სულთნისგან სხვაგვარ სახით ვინ გამოსულა?  
 ეპეი, ნათანი ნათანი!

### გამოსვლა მაცხრამ

ნათანი და რაინდი.

ნათანი

როგორ? ეს თქვენ ბრძანდებით?

რაინდი

სულთანმა დიდხანს დაგაყოვნათ.

ნათანი

არც ისე დიდხანს.

სულთნისაკენ რომ მივდიოდი, გზაში თვითონვე  
 შევიკვირებ და დავყოვნდი. კურდ, მართალი ხართ,  
 ის კაცი მართლა ღირსი არის თავის სახელის,  
 სახელი მისი აჩრდილია, სხვა არაფერი.

25. ლესინგი

მაგრამ მოიცათ, მე ჯერ უნდა გადმოგცეთ მისი  
ღანაბარები.

რ ა ი ნ დ ი

რა?

ნ ა თ ა ნ ი

მას თქვენთან საუბარი სურს;  
სალადინს ნებავს, რომ ეახლოთ დაუყოვნებლად.  
მაგრამ ჯერ ჩვენსას შევიაროთ, სადაც მე მისთვის  
განკარგულება უნდა გავცე ზოგ რაიმეზე,  
და იქიდან კი გზა განვაგრძოთ.

რ ა ი ნ დ ი

თქვენი სახლის ზღურბლს

ჰეორედ ველარ გადმოვლახავ, ვიდრე...

ნ ა თ ა ნ ი

მაშ უკვე

იყავით ჩვენსას და რეხასაც ელაპარაკეთ?  
მითხარით, როგორ მოგეწონათ?

რ ა ი ნ დ ი

არ მყოფნის სიტყვა,  
ამის სათქმელად. მაგრამ იგი კვლავ ვნახო? არა!  
არა, არაფრის გულისათვის!.. — თუ კი ახლავე  
მომცემთ პირობას, რომ დღეიდან საშუალება  
მექნება, რეხა მუდამ ვნახო, ყოველთვის ვნახო...

ნ ა თ ა ნ ი

თქვენი სიტყვები რასა ნიშნავს, როგორ გავიგო?

რ ა ი ნ დ ი

(მცირე ხნის დუმილის შემდეგ, უცერად კისერზე მოეხვევა)

ოჰ. მამაჩემო!

ნ ა თ ა ნ ი

ახალგაზრდავ!



რ ა ი ნ დ ი  
(ასევე უცხრად ანებებს თავს)

და არა შვილო?

გთხოვთ!

ნ ა თ ა ნ ი

საყვარელო ახალგაზრდავ!

რ ა ი ნ დ ი

და არა შვილო?

დედა ბუნების პირველ კაეშირთ გაფიცებთ, ნათან,  
ნუ დააყენებთ მათზე მაღლა მერმინდელ ბორკილთ!  
დაკმაყოფილდით იმით, რომ ხართ ადამიანი!  
და ნუ უარყოფთ სურვილს ჩემსას, ჩემს მისწრაფებას.

ნ ა თ ა ნ ი

ჩემო ძვირფასო მეგობარო!..

რ ა ი ნ დ ი

შვილო კი არა?

შვილს არ მიწოდებთ? და არც მაშინ, არც მაშინ, თუნდაც  
მადლიერებას სიყვარულის გზა გაეკაფოს  
რეხას გულისკენ? არა? თუნდაც ჩვენ, ორივენი,  
თქვენგან ველოდეთ მარტოოდენ დასტურის ნიშანს,  
რომ საუკუნოდ შევაერთოთ ჩვენ სულელები?

ნ ა თ ა ნ ი

დიდად მაოცებთ, ყრმა რაინდო.

რ ა ი ნ დ ი

დიდად გაოცებთ?

მე თქვენ გაოცებთ და გაოცებთ თქვენივ აზრებით?  
ნუთუ ისინი, წარმოთქმულნი ჩემს ბაგეთაგან,  
ასე უცხონი გახდნენ თქვენთვის? მაშ თქვენ გაოცებთ?

ნ ა თ ა ნ ი

მსურს ჯერ შევიტყო, მამათქვენი უტაუფენთაგან  
რომელი იყო?

რ ა ი ნ დ ი

რა სთქვით, ნათან? რომელი იყო?

ნუთუ ასეთ წუთს მხოლოდ ცნობისმოყვარეობა  
გაწუხებთ, მეტი არაფერი?

ნ ა თ ა ნ ი

აი, რა გითხრათ!

მე ვიცნობდი ერთ შტაუფენსა — კონრადი ერქვა.

რ ა ი ნ დ ი

თუ მამაჩემსაც ეგ სახელი ერქვა?

ნ ა თ ა ნ ი

ნამდვილად?

რ ა ი ნ დ ი

მამის სახელი მქვია მეც ხოლ: კონრად და კურდი  
ერთ და იგივე სახელს ნიშნავს.

ნ ა თ ა ნ ი

ჰოდა, გამოდის —

ჩემი კონრადი მამათქვენი ვერ იქნებოდა,  
რადგანაც იგი, როგორც თქვენა, მეტადრე იყო, —  
უცოლო კაცი.

რ ა ი ნ დ ი

მაგრამ მაინც...

ნ ა თ ა ნ ი

რას ამბობთ?

რ ა ი ნ დ ი

მაინც.

შეეძლო იმ კაცს, მამაჩემი რომ ყოფილიყო.

ნ ა თ ა ნ ი

თქვენ ხუმრობთ.

რ ა ი ნ დ ი

თქვენ კი იღებთ ძალზედ სერიოზულად!

მერე რა მოხდა? მე ბუში ვარ თუ ნაბიჭვარი,  
ვერ შემიზიზღებთ, ანგარიშის გაწევა გმართებთ.  
ან კი ასე რად ჩააცივდით ჩემს წარმოსობას?  
ჩამოეხსენით ჩემს წინაპრებს, გვარიშვილობას.  
და მეც არ მინდა თუნდ ოდნავი ეჭვით შევხედო,—  
ღმერთმა დამიხსნას, — თქვენს გვარსა და ჩამომავლობას.  
შეგეძლოთ იგი ფურცელ-ფურცელ გადაგეშალათ.

აბრაამამდე, მას შემდეგ კი თვითონ მეც ვიცი;  
თუ გნებავთ, ფიცით დაგარწმუნებთ, დაგიდასტურებთ.

ნ ა თ ა ნ ი

თქვენ გული მოგდით! მე ეგ რითი დავიმსახურე?  
თქვენთვის უარი როდი მითქვამს. ის მინდა მხოლოდ,  
რომ სიტყვაზე არ დაგიჭიროთ, სხვა არაფერი.

რ ა ი ნ დ ი

მართლა?.. მხოლოდ ეს? მომიტევეთ!

ნ ა თ ა ნ ი

წავიდეთ ოღონდ!

რ ა ი ნ დ ი

საით წავიდეთ? თქვენსკენ? არა! არ შემიძლია! —  
იქ ხომ მთლად ცუცხლი მეკიდება!.. მე აქ დაგიცდით.  
წაბრძანდით!.. თუკი მიწერია, კვლავ ვნახო იგი,  
მე იმას ვნახავ არა ერთხელ, საკმაოდ ხშირად.  
თუ არა: ისიც, რაცა ვნახე, მეტიანეტია.

ნ ა თ ა ნ ი

ახლავე მოვალ, დიდი ხნის ცდა არ დაგჭირდებათ.

გამოსვლა მათე

რ ა ი ნ დ ი, შემდეგ ღ ა ი ა,

რ ა ი ნ დ ი

ღიახ, მეტია საკმაოზე! რარიგ უსაზღვროდ  
ბევრს იტევს ხოლმე კაცის ტვინი! მაგრამ ხანდისხან  
სულ ცოტა რამე, მცირე რამეც საკმარისია  
ერთ წუთს პირთანდე რომ აივსოს მოულოდნელად.  
რით აივსება, მნიშვნელობა არა აქვს ამას.  
მაგრამ მოთმენა, გულო ჩემო, მოთმენა გმართებს!  
სული ამ ძალებს, აღშფოთებულთ, კვლავ დაამშვიდებს,  
გზას გაუკაფავს, გამეფდება წესრიგი ისევ  
და ყოველივეს ისევ შუქი მოეფინება.  
პირველად ხომ არ შევუპყრივარ დღეს სიყვარულსა?  
ან შესაძლოა, სიყვარული ის არ არის, რაც  
დღემდე მეგონა? იქნებ იგი ის არის მხოლოდ,  
რასაც ახლა ვგრძნობ?

და ი ა

(გვერდიდან წამოეპარება)

პე, რაინდო!

რ ა ი ნ დ ი

ეს ვინ მეძახის?

თქვენ ხართ, დაია?

და ი ა

რარვინ ახლოს გამოვურბინე!..

ვერ შემამჩნია!.. მაგრამ აქაც ხომ ვჩანვართ, აქეთ, აქეთ წამოდით, ამ ხის ქვეშ, რომ ვერ დაგვინახოს.

რ ა ი ნ დ ი

რა მოხდა? ასე საიდუმლოდ?.. რაშია საქმე?

და ი ა

საიდუმლოა, რა თქმა უნდა, რის სათქმელადაც მოვედი თქვენთან; არა, ორი საიდუმლოა: ერთი მე ვიცო, მეორე კი თქვენ უწყით მხოლოდ. რა იქნებოდა, ერთურთისთვის რომ გაგვეცვალა? თქვენი გამანდეთ, მეც გაგანდობთ ჩემს საიდუმლოს.

რ ა ი ნ დ ი

სიამოვნებით... ოღონდაც ჯერ გავიგო თქვენგან რაშია ჩემი საიდუმლო? იქნება თქვენმა ჩემიც განმარტოს? მაშ დავიწყეთ.

და ი ა

თურმე რას ფიქრობთ!

არა, რაინდო, თქვენ დავიწყეთ, შემდეგ მეც გეტყვით. მერწმუნეთ, სანამ არ გავიგებ თქვენს საიდუმლოს, ჩემის გაგება უმნიშვნელო იქნება თქვენთვის... ოღონდაც ჩქარა. ანგარიშში არ შედის მხოლოდ ის, რასაც თვითონ მე შევიტყობ. მაშინ მე ჩემსას აღარ გავიმხელთ, თქვენ კი თქვენი დაგეკარგებათ; მაგრამ, რაინდო საცოდავო, როდის გქონიათ იმის იმედი მამაკაცებს, რომ დაუმალავთ ქალებს ამნაირ საიდუმლოს?

რ ა ი ნ დ ი

რომელიც ხშირად

თვითონვე კარგად არც კი ვიცით, მამაკაცებმა.

## და ი ა

ეგ შეიძლება ასეც იყოს. და თუ ასეა, მაშინ ამ საქმის თაოსნობა, როგორც მეგობარს, მე მეკისრება, რომ გაცნობოთ. ერთი მითხარით, როგორ გავიგოთ, თქვენ რომ ჩვენგან ისე უეცრად გამოიქვეცით, გაცნობაც არ ისურვეთ ჩვენი. და შემდეგაც რომ არ მოსულხართ ნათანთან ერთად? განა ასეთი უმნიშვნელო შთაბეჭდილება მოახდინა მან თქვენზე მართლა? თუ ძლიერ დიდი? ო, რა თქმა უნდა, ძლიერ დიდი! ჰო, აბა როგორ ფართხალებს ახლა ეს ტყვედქმნილი საბრალო ჩიტი? მაშ გამომიტყდით, რომ ის გიყვართ გაგიჟებამდე; და მე კი გეტყვით...

## რ ა ი ნ დ ი

როგორა სთქვით? გაგიჟებამდე? მართალი ბრძანეთი ჩინებულად გამოიცანით!

## და ი ა

გამოტყდით მხოლოდ სიყვარულში, გაგიჟება კი, რაინდო, დაე თქვენთან დარჩეს.

## რ ა ი ნ დ ი

ხოლო იმაში

ეჭვი სულაც არ გეპარებათ, რომ მე, რაინდი, ებრაელის ქალს შევიყვარებ?

## და ი ა

მაგაში მართლაც

გონივრულობა ნაკლებად ჩანს... ზოგ რამეში კი ის უფრო მეტი არის ხოლმე, ვიდრე გვგონია. მაცხოვარი ჩვენ იშვიათად როდი გვითითებს მისკენ მიმავალ გზაზე, სადაც ჰქვიანნიც ხშირად გეზს ვერ იგნებენ და წყვდიადში ხეტიალობენ.

## რ ა ი ნ დ ი

თანაც ასეთი დიდი ამბით?.. (მე კი მაცხოვარს განგებით შევცვლი და მსჯელობა სწორი იქნება!) თქვენ მე გამხადეთ აწ ისეთი ცნობისმოყვარე, როგორიც დღემდე არ ვყოფილვარ.

დაია

ეს სასწაულთა

ქვეყანა გახლავთ!

რაინდი

(არა, უფრო საოცრებათა.

ან ეს სხვაგვარად ვით იქნება? აქ მთელი ქვეყნის ხალხი ტრიალებს.) ვთქვათ, დაია, რომ ეგ ისეა, როგორც თქვენ გნებავთ: მართლაც მიყვარს და აღარ ვიცი, როგორ გავიძლებ უიმისოდ და რომ...

დაია

ნამდვილად?

ნამდვილად გიყვართ? მართლა გიყვართ? მამ შემომბფიცეთ, რომ მას შეირთავთ, რომ დაიხსნით, როგორც ამქვეყნად, ისე იმქვეყნად, მარადიულ სასუფეველში.

რაინდი

კი მაგრამ, როგორ, როგორ ძალმიძს ეს შემოგფიცოთ, ამის უფლება რომ არა მაქვს?

დაია

როგორ არა გაქვთ!

საკმარისია ერთი სიტყვა დაეძრა და უკვე ძალა-უფლება ხელთ გექნებათ.

რაინდი

მამის უფლება?

დაია

ეჰ, რა მამა! მამა! მამას აიძულებენ.

რაინდი

აიძულებენ? ყაჩაღებს ხომ არ ჩავარდნია ის ხელთ, დაია? რას მიქვია, აიძულებენ! იგი არ უნდა აიძულონ.

დაია

მამ თვითონ უნდა

ისურვოს, თანაც, სიხარულით...

რ ა ი ნ დ ი

როგორ თუ უნდა

ისურვოს, ისიც სიხარულით? მაშ აბა გეტყვით,  
რომ ამ საკითხზე გადავუკარ მე ნათანს სიტყვა.

დ ა ი ა

მერე, აზრი არ მოგიწონათ? როგორ მიიღო?

რ ა ი ნ დ ი

ძალზე გულგრილად, რამაც ასე შეურაცხმყო მე.

დ ა ი ა

რა სტეკით? გულგრილად? როგორ? ნუთუ მაღლა არ შეხტა  
ის სიხარულით, რაწამს სიტყვა გადაუკარით,  
რომ გნებავთ რეხას ცოლად შერთვა? მაშ ცუდად შეგხვდათ?  
აღბათ, რაღაცა სიძნელენი მოიმჩიეზა?

რ ა ი ნ დ ი

დაახლოებით...

დ ა ი ა

მაშ ამაზე ერთი წუთითაც

აღარასოდეს დავფიქრებდი.

(პ ა უ ზ ა)

რ ა ი ნ დ ი

და მაინც ფიქრობთ?

დ ა ი ა

სიმართლე რომ ვთქვათ, ის კეთილი კაცია ძალზე;  
ბევრი რამით ვარ ნათანისგან დავალებული!  
ეგრე ჯიუტი რომ არ იყოს! ღმერთი ხომ ხედავს,  
რარეგად მტკივა გული, როცა მე ამას ვამბობ.

რ ა ი ნ დ ი

მოკლედ მითხარით, გაათავეთ ეგ საიდუმლო.  
მაგრამ თვითონვე თუ არ იცით, საით წაგიყვანთ  
თქვენი განზრახვა: სიკეთისკენ თუ სიავისკენ,  
სასირცხვოა თუ სასახელო ის, რაცა გნებავთ,  
გაჩუმდით, ხმას ნუ ამოიღებთ! მეც დავივიწყებ;  
ცუდი არც თქვენთვის იქნება, რომ ზოგ რაიმეზე  
გაჩუმებული ბრძანდებოდეთ.

დაია

ეგ გაფრთხილება

უფრო მაქვს; არ გავჩუმდე. მაშ იცოდეთ, რომ რეხა არ არის ებრაელი,— ქრისტიანია.

რაინდი (ცოფად)

მართლა? გიშველოთ ღმერთმა! რარიგ ძნელად დაბადეთ! ტკივილების ნუ გეშინიათ! განაგრძეთ ეგრე გულმოდგინებით დასახლება მალა ზეცისა, რაკი მიწაზე საანისოდ აღარ ვარგისართ.

დაია

რა ზთქვით, რაინდო? თქვენ ჩემს ცნობას ასე დასცინით? მე გეუბნებით,— ქრისტიანი ქალია რეხა, თქვენ კი — ქრისტიანს, თან მეტაძრეს, თანაც რეხაზე შეყვარებულ კაცს არ გახარებთ ამის გაგება?

რაინდი

განსაკუთრებით კი ეს არის მნიშვნელოვანი, რომ ის თქვენს მიერ შეთითხნილი ქრისტიანია.

დაია

აჰ! ასე გესმით? დე გესმოდეთ, რალა იქნება. არა! ისეთი კაცი მინდა ვნახო, რომელიც კვლავ დაუბრუნებს რეხას იმას, რაც მასში ასე დამახინჯდა და გადაგვარდა, რაშიაც არის მისი ნამდვილი გადარჩენა, ბედნიერება.

რაინდი

ან ამიხსენით ყველაფერი, ან ახლავ წადით!

დაია

ქრისტიანია დაბადებით, ქრისტიანივე მშობლების შვილი, მონათლული.

რაინდი (ცოცხლად)

ნათანი?

დაია

მისი

მამა არ არის.



რ ა ი ნ დ ი

რაო, რა სთქვით? ნათანი მისი  
მამა არ არის? კარგად გესმით, რას ლაპარაკობთ?

დ ა ი ა

ქეშმარიტებას, სინამდვილეს, რაც ასე ხშირად  
მაფრქვევინებდა ცხარე ცრემლებს... არა, ის რეხას  
მამა არ არის.

რ ა ი ნ დ ი

მაგრამ იგი აღზარდა, როგორც  
თავისი შეილი, ქრისტიანი ებრაელ ქალად?

დ ა ი ა

ღიას, მთლად ასე.

რ ა ი ნ დ ი

რაო? რეხას არ გაუგია  
ვინ არის თვითონ? მაშ ნათანმა ნუთუ ერთხელაც  
არ უთხრა მას, რომ დაბადებით ქრისტიანია  
იგი და არა ებრაელი?

დ ა ი ა

არა, არც ერთხელ.

რ ა ი ნ დ ი

ამ შეცდომაში ჰყავდა იგი, ამგვარად ზრდიდა  
მას არა მარტო ბავშვობაში, არამედ მერეც,  
ქალღმთის ასაკშიაც?

დ ა ი ა

საუბედუროდ!

რ ა ი ნ დ ი

როგორ? ნათანმა, ასე ბრძენმა, კეთილმა კაცმა,  
აღარ ირწმუნა ბუნების ხმა და გააყალბა?  
გაბედა, გულის წადილთათვის გზა შეეცვალა,  
რომელნიც, თუკი იქნებოდნენ თავისუფალნი,  
სრულიად სხვა გზას აირჩევდნენ? თქვენ კი, დაია,  
გამანდეთ ახლა ისეთი რამ... რომ შეიძლება  
მან მიგვიყვანოს... თვით არ ვიცი, არ ვიცი, რა ვქნა.  
უნდა მადროგოთ, რომ დავფიქრდე... ახლა კი წადით!  
ნათანი მალე დაბრუნდება და შეიძლება  
თავს წამოგვადგეს, ერთად მყოფნი გვიხილოს. წადით!

და ი ა

თუ დამინახა, გავთავლები კიდეცა აქვე!

რ ა ი ნ დ ი

ახლა მე მასთან ლაპარაკი სულაც არ ძალმიძს.  
ნათანს თუ შეხვდით, უთხარით, რომ სულთანთან ვნახავთ  
ჩვენ ერთმანეთსა.

და ი ა

არაფერი შეამჩნევინოთ.

ეგ უკანასკნელ ამბებისტვის შემოინახეთ,  
გამოიყენეთ რეხას მიმართ, რომ ყოველგვარი  
ეჭვი გაჰფანტოთ. მაგრამ რეხას თუ ევროპაში  
წაიყვანთ, ნურც მე დანივიწყებთ, ნუ მიმატოვებთ!

რ ა ი ნ დ ი

მაგაზე შემდეგ ვისაუბროთ. ახლა კი წადით!

## მოქმედება მეოთხე

### გამოსვლა პირველი

მოქმედება მიმდინარეობს მონასტრის დახურულ ტალანებში

მორჩილი, შემდეგ რაინდი.

მორჩილი

მართალი არის პატრიარქი, დასტურ, მართალი!—  
რადაც ყოჩაღად ვერ ვასრულებ მის დავალებას.  
მაშ რადღა მაძლევს ამგვარ საქმეთ აღსასრულებლად?  
არ შემიძლია ვიცბიერო, ვინმე რამეზე  
დავიყოლიო, ცხვირი წავყო ყველა საქმეში  
და ყველგან ხელი ვაფათურო, რაღა თქმა უნდა.  
ნუთუ იმისთვის დაუტევე ესე ქვეყანა,  
რომ მასში უფრო ღრმად ჩავეფლო სხვების გულისთვის?

რაინდი (სწრაფად მიდის მისკენ)

კეთილო ძმავო, აქ ბრძანდებით? დიდხანს გეძებდით.

მორჩილი

ბატონო ჩემო, მე მეძებდით?

რაინდი

ნუთუ ველარ მცნობთ?

მორჩილი

როგორ არა გცნობთ! მაგრამ ეს კი აღარ მეგონა,  
რომ თქვენ ოდესმე მომძებნიდით, ბატონო ჩემო.  
ღიახ, ეს უკვე ღრმად მჯეროდა, თვით ღმერთმა უწყის,  
ღმერთმა, რომელიც ხედავდა, თუ რაოდენ მძიმე  
იყო ეს ჩემთვის, — მომემართა იმ დავალებით.  
მან ისიც უწყის, რა თქმა უნდა, მსურდა თუ არა,

თქვენთვის საამო ყოფილიყო ნათქვამი ჩემი,  
და გულში რარიგ გამეხარდა, რაოდენ ძლიერ,  
უარი რომ თქვით იმწუთსავე ყოველივეზე,  
რის ასრულებაც, როგორც რაინდს, არ შეგფეროდათ.  
აი, ახლა კი აქა გხედავთ; ჩანს, იმოქმედა!

რ ა ი ნ დ ი

მაშ იცით უკვე, აქ რატომ ვარ, როცა თვითონვე  
არ ვიცი კარგად, რისთვის მოველ?

მ ო რ ჩ ი ლ ი

ჩანს, ყველაფერი  
ასწონ-დასწონეთ, მიხვდით უკვე, რომ პატრიარქი  
მთლად არ სცდებოდა და შეგეძლოთ მისი განზრახვის  
აღსრულებით თქვენ მოგეხვეჭათ სახელიც, ფულიც.  
რომ მტერი მაინც მტერი არის, ამასაც მიხვდით,  
თუნდაც ის შეიღჯერ მოგვევლინოს მხსნელ ანგელოზად.  
კარგად გაზომეთ ყოველივე და გამოცხადდით  
მასთან ბოდიშის მოსახდელად. ოჰ, ღმერთო ჩემო!

რ ა ი ნ დ ი

დამშვიდდით, ჩემო უწყინარო, უმანკო სულო!  
მაგის გულისთვის არ მოვსულეარ და სრულებითაც  
არ მსურს მაგაზე ვესაუბრო პატრიარქს თქვენსას.  
რასაც ვფიქრობდი ამ საკითხზე, იმავეს ვფიქრობ,  
არც მსურს, რომ ახლა შეიცვალოს ის კარგი აზრი,  
რომლითაც ერთხელ პატივი მცა ესოდენ ღირსმა,  
ასე გულწრფელმა, ღვთისნიერმა ადამიანმა...  
არა, მე მხოლოდ იმისათვის მოვედი აქ, რომ  
პატრიარქს ერთი რჩევა ვკითხო.

მ ო რ ჩ ი ლ ი

პატრიარქს ჰკითხოთ?  
რაინდნა ხუცესს ჰკითხოს რჩევა? (შეშინებული აქეთ-იქით იხედება.)

რ ა ი ნ დ ი

ღიახ, ეს საქმე

გახლავთ პირდაპირ სახუცესო.

მორჩილი

არა, ხუცესი

რაინდს არ ჰკითხავს არასოდეს რაიმე რჩევას,  
თუნდ სარაინდო საქმეც იყოს.

რაინდი

ამას ხუცესი

იმიტომ სჩადის, რომ უფლება აქვს შეცლომისა,  
რაც არც ერთ ჩვენგანს დიდად არ შურს. საქმე რომ მართო  
მე მეხეზოდეს, პასუხს მხოლოდ ჩემს წინ ვაგებდე  
ამ საქმისათვის,— რა თქმა უნდა, უეჭველია,  
მაშინ არც თქვენი პატრიარქი დამჭირდებოდა!  
მაგრამ ისეთი საქმე არის, რომ მიჩვენია,  
ის უხეიროდ შევასრულო სხვათა სურვილის,  
რჩევის მიხედვით, ვიდრე კარგად და ჩემებურად.  
თანაც,— მე ახლა ნათლად ვხედავ,— სარწმუნოებაც  
არის პარტია და შენ თუნდაც იმას ფიქრობდე —  
ვდგევარ პარტიის გარეშე, უნებლითად  
შენს პარტიასვე უჭერ მხარსა მხოლოდ და მხოლოდ.  
რაკი ეს ასე ხდება ხოლმე, კანონიერიც  
იქნება ალბათ.

მორჩილი

ამაზე კი სჯობს არა ვთქვა რა.

ბატონო, კარგად ვერ გავიგე, რისი თქმა გნებაუთ.

რაინდი

და მაინც!.. (ნეტავ რა მჭირდება, რომელი უფრო:  
რჩევა თუ გადაწყვეტილება? როგორი რჩევა —  
ჭკვიანური თუ გულუბრყვილო და უეშმაკო?)  
გმადლობთ, ძმაო, ამ სასიკეთო გაფრთხილებისთვის.  
რას წარმოადგენს პატრიარქი, ბოლოს და ბოლოს,  
პატრიარქობა, მოდით, თვითონ თქვენ გამიწიეთ!  
არა ქრისტიანს, ვით პატრიარქს მსურს შევეკითხო,—  
არამედ უფრო პატრიარქსა, ვითარც ქრისტიანს...  
ასეა საქმე...

მორჩილი

კმარა, კმარა, ბატონო ჩემო!

რა საჭიროა? სადაური მრჩეველი მნახეთ?

ბევრის მცოდნენი ბევრ რამეზე უნდა ზრუნავდნენ.

მე ერთილა მაქვს საზრუნავი... ჩინებულია  
ჩემს ბედზე, აგერ, პატრიარქიც აქეთკენ მოდის.  
აქ დაიცადეთ, არ წახვიდეთ. შეგნიშნათ უკვე.

### გამოსვლა მეორე

პ ა ტ რ ი ა რ ქ ი, რომელიც თავისი ღირსების შესაფერისად შემოსილა  
შემოდის ერთ-ერთი ტალანიდან, და ი გ ი ვ ე ნ ა.

რ ა ი ნ დ ი

გავეცლებოდი მე ამ ხუცესს საამოვნებით.—  
ასეთი კაცი ნეტავ რაში გამომადგება?—  
თვითკმაყოფილი, ღიპიანი, ლაყლაყა მღვდელი!  
თან რაოდენი ბრწყინვალება!

მ ო რ ჩ ი ლ ი

ეგ ბრწყინვალეა,  
რაინდო, მაშინ უნდა ნახოთ, როდესაც იგი  
სასახლეშია. ახლა კი ის ავადმყოფისგან  
მოდის.

რ ა ი ნ დ ი

სალადინს კი რცხვენია.

პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

(ახლოს მოდის და მორჩილს ანიშნებს).

მანდ რაინდი ჩანს!

რა სურს?

მ ო რ ჩ ი ლ ი

არ ვიცი.

პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

(რაინდს მიუახლოვდება. მორჩილი და ამაღა უკან დაიხვეწენ.)

მიხარია, რაინდო, დიდად,  
რომ გხედავთ ასეთ ყოჩად ჭაბუკს — თითქმის მთლად ყმაწვილს.  
თქვენგან ჯერ კიდევ, ღვთის შეწევნით, გამოვა რამე.

რ ა ი ნ დ ი

იმაზე მეტი რომ გამოდნეს, ღირსო მამაო,  
რაც უკვე არის, საეჭვოა, ხოლო ნაკლები  
კი შესაძლოა.

## პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

იმას მაინც ვუსურვებ ესდენ  
კეთილმორწუნე სათნო რაინდს, რომ დიდხანს იყოს  
ჯან-ღონით სავსე, იღბლიანი, — ქრისტიანობის  
სადიდებლად და დასაცავად ღმერთის საქმისა.  
ეს კი სავსებით შეიძლება განხორციელდეს,  
თუ ახალგაზრდის სიმამაცე მოხუცთა რჩევას,  
სალს და ჭკვიანურს, მიენდობა და დაუჯერებს.  
მაგრამ რით ძალმიძს გემსახუროთ, ბატონო ჩემო?  
რ ა ი ნ დ ი

სახელდობრ იმით, რაც აკლია ჩემს გამოუცდელ  
ახალგაზრდობას: . რჩევით.

## პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

რჩევით? — სიამოვნებით,  
ოღონდაც ერთის პირობითა: რჩევა მიიღოთ.

## რ ა ი ნ დ ი

მაგრამ ბრმად არა, რა თქმა უნდა!

## პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

ვინ ამბობს მაგას?

ღმერთს ჩვენთვის ჭკუა მოუცია სწორედ იმისთვის,  
რომ იქ, სადაც ის საჭიროა, გამოვიყენოთ.  
მაგრამ ვიკითხოთ, ყველგან არის საჭირო იგი?  
ცხადია, არა! მაგალითად: როცა ჩვენ ღმერთი  
თავის ერთ-ერთი ანგელოზის საშუალებით,  
სხვაგვარად რომ ვთქვათ, წმიდა სიტყვის მსახურის პირით  
გვაფრთხილებს, გვაძლევს მითითებას. თუ როგორი გზით  
შევიძლებთ ქვეყნად ეკლესიის კეთილდღეობის  
და მისი ძალის განმტკიცებას ქრისტიანობის  
სასიხარულოდ: ვინ გაბედავს, ვის აქვს უფლება  
თავისი ჭკუით ჩასწვდეს იმის წინასწარ ზრახვას,  
რომელმაც შექმნა თვით გონება. და დიდებულ  
ზეცის უცვლელი კანონები გამოიკვლიოს  
ფუჭი პატივის პაწაწინა დებულებებით?  
ყველაფერი ვთქვი ამით უკვე. ახლა მიბრძანეთ,  
რამი გჭირდებათ ჩვენი რჩევა?

27. ლესინგი

## რ ა ი ნ დ ი

წარმოიდგინეთ,

ღირსო მამაო, რომ ებრაელს ჰყავს ერთადერთი  
ბავშვი, თუნდაც ვთქვათ, ქალიშვილი, რომელსაც იგი  
ზრდის გულმოდგინედ, ყოვლად სათნო რომ გამოვიდეს,  
ვისაც სულსაც კი ანაცვლებს და ქალიშვილსაც  
უყვარს ეს კაცი უნაზესი სიყვარულითა.  
და აი, უთხრეს ვინმე ჩვენგანს მოულოდნელად,  
რომ ეს გოგონა ებრაელის არა ყოფილა,  
რომ მას პატარა უპოვნია, უყიდია თუ  
მოუპარავს, ეს, როგორც გნებავთ, ისე გაიგეთ,  
და რომ ეს ბავშვი ქრისტიანის შვილია თურმე,  
ქრისტიანულად მონათლული, ებრაელმა კი  
ისე აღზარდა, როგორც შვილი ებრაელისა,  
და მას უწოდებს ებრაელსა, თავის ქალიშვილს:  
სთქვით, რა უნდა ვქნათ ასეთ დროსა, ღირსო მამაო?

## პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

შემზარავია მაგრამ ჯერ ეს გამაგებინეთ,  
ნამდვილსა ბრძანებთ, თუ ეგ მარტო ვარაუდია?  
ასეთი რამე თქვენ შეთხზეთ, თუ ნამდვილად მოხდა,  
ანდა ეგების ახლაც ხდება?

## რ ა ი ნ დ ი

ეგ სულ ერთია!

მე მსურდა მხოლოდ თქვენი წმიდა აზრი გამეგო.

## პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

რაო, სულ ერთი? აი, ღმერთო, ადამიანის  
ზვიად გონებას ასე ძალუძს შესცოდოს ხოლმე  
საეკლესიო საქმეებში... არასდიდებით!  
თუ ეგ შემთხვევა ფანტაზიის ნაყოფი გახლავთ,  
მასზე მსჯელობით დროს ტყუილად დაეკარგავთ მხოლოდ.  
ამისთვის ბატონს გავგზავნიდი თეატრში, სადაც  
ძალუძთ ასეთი pro et contra გაითამაშონ  
და მაყურებლის მოწონება დაიმსახურონ.  
მაგრამ თუ რაინდს გამასხრება არ ნებავს ჩემი  
ამ სათეატრო ინტრიგითა და ეს შემთხვევა  
ნამდვილად მოხდა და მოხდა ჩვენს ეპარქიაში,  
ჩვენს ძვირფას იერუსალიმში, — მაშინ...



რ ა ი ნ დ ი

მაშინ რა?

პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

უნდა სასტიკად დაისაჯოს ურია მაშინ  
საეკლესიო და საერო სამართლის ძალით;  
მათ კანონებში რაც სწერია ასეთ ღვთისსაგმობ  
მოქმედებისთვის, ის სასჯელი გამოუტანონ.

რ ა ი ნ დ ი

აი, თურმე რა!

პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

ესე იგი, ამ კანონებით,  
ურიას, თუ ის ქრისტიან კაცს ქრისტიანული  
რელიგიიდან გადააცდენს, კოცონი ელის.

რ ა ი ნ დ ი

აი, თურმე რა!

პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

მით უმეტეს იმ ურიასა,  
ვინც ქრისტიან ბავშვს მოაცილებს ძალდატანებით  
ყველაფერ იმას, ნათლობასთან რაც აკავშირებს.—  
უამისოდაც ყოველივე, რასაც ვაკეთებთ  
ბავშვებისათვის, ძალადობა არ არის განა?  
ცხადია, იმის გამოკლებით, რასაც იმათთვის  
მოიმოქმედებს ეკლესია.

რ ა ი ნ დ ი

ურიას რომ არ

შესცოდებოდა ეს ყმაწვილი და არ დაეხსნა,  
ხომ მოელოდა ბავშვს შინშილი, უბედურება?

პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

სულ ერთი არის! ის კოცონზე უნდა დაიწვას!  
სიღარიბეში ერჩივნა ბავშვს დალუპულიყო,  
ვიდრე დაეხსნათ საუკუნო წარწყმედისათვის;  
ან რა ურიის საქმე არის, უფლის ზრახვანი  
ასე წინასწარ რომ განკვირტოს? ღმერთს შეუძლია,  
ვისი ხსნაც ნებავს, იხსნას იგი უუურიოდაც.

რ ა ი ნ დ ი

და მის გარეშე მიანიჭებს ნეტარებასაც?

პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

სულ ერთი არის! ის კოცონზე უნდა დაიწვას!

რ ა ი ნ დ ი

საწიწხაროა, სანწიწხარო უფრო იმიტომ,  
რომ იმ ურიას აღუზრდია გოგონა თურმე,  
იმდენად არა ებრაული სარწმუნოების  
კანონებითა, რამდენადაც თითქმის ყოველგვარ  
რწმენის გარეშე: ღვთის შესახებ ის შთაუწერგა  
მხოლოდ და მხოლოდ, რასაც ითხოვს ჩვენი გონება.

პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

სულ ერთი არის! უნდა დასწვან. მარტო ამიტომ  
ურია სამჯერ უნდა დასწვან, არათუ ერთხელ.  
რაო? აღზარდა მთლად ურწუნოდ პატარა ბავშვი?  
როგორ? სრულებით არ ასწავლო, არ შთააგონო  
მოვალეობა ღვთის წინაშე უპირველესი?  
ბოროტებაა მეტისმეტი. დიდად მოოცებს,  
ბატონო ჩემო, რომ თქვენ თვითონ...

რ ა ი ნ დ ი

ღირსო მამაო,

დანარჩენს, თუკი ღმერთი ღირსეყოფს, აღსარებაზე...

(წასვლას დააპირებს.)

პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

როგორ? მიღიხართ, განმარტებას აღარ იძლევით?  
არ მეუბნებით იმ ავაზაკ ურიის სახელს?  
ხელში არ მამლევეთ დასასჯელად? ახლა კი ვიცი,  
როგორც ნოქიქე. ამწუთსავე სულთანთან წავალ.  
თანახმად ჩვენი პირობისა, ფიცით შეკრულის,  
უნდა დაიცვას სალადინმა, მოვალე არის,  
ჩვენი უფლება ყოველგვარი და ჩვენი წმინდა  
სარწმუნოების დადგენილი ყოველი მცნება:  
მადლობა გამჩენს, შეთანხმების დედანი აქ გვაქვს  
თვითონ მისივე ხელმოწერით, ბეჭედდასმული.  
მე სულ ადვილად შთავაგონებ სულთანს იმასაც;  
თუ რარიგ დიდად საშიშია სახელმწიფოსთვის

ურწმუნოება. როცა კაცი რწმენას დაკარგავს,  
შეიმუსრება, დაირღვევა სამოქალაქო  
ყველა კავშირი! შორს ამგვარი ავაზაკობა!

რ ა ი ნ დ ი

რარიგ მწყინს, რომ არ შემძლია ბოლომდე დატკბე  
მაგ საუცხოო ქადაგებით! სალაღინთან ვარ  
დაბარებული.

პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

მართლა? რაკი ასეა, მაშინ

გასაგებია თავისთავად.

რ ა ი ნ დ ი

ხომ არ გნებავდათ,

წინასწარ მეთქვა სულთნისათვის, რაც ბრძანა თქვენმა  
უწმინდესობამ?

პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

ვიცი, ვიცი, რომ გწყალობთ იგი

ერთ რამესა გთხოვთ, იქ ცუდად არ მომიხსენიოთ:

მხოლოდ ღვთისადმი ერთგულება მალაპარაკებს.

თუ რამ ზედმეტი გავაკეთე, მისივე გულისთვის

მოვიმოქმედე, გთხოვთ ეს კარგად ასწონ-დასწონოთ.

ის კი, რაც აქ სთქვით ურიაზე, უეჭველია,

გაღოცანაა მარტოოდენ, სხვა არაფერი.

მართალს არ ვამბობ?

რ ა ი ნ დ ი

გამოცანა. (გაღს.)

პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

(მაგრამ მე უნდა

ეს გამოცანა გამოვიცნო. კვლავ საქმე ელის

ძმა ბონაფიდესს.) მოდი, მოდი აქ, ჩემო შვილო.

(შიღის და თან მორჩილს ულაპარაკება.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ მ ს ა მ ი

სცენა წარმოადგენს სალაღინის საქაახლის ერთ-ერთ ოთახს, სადაც

მონებს შემოაქვთ ფულიანი პარკები და ერთიმეორის გვერდით

აწყობენ იატაკზე.

ს ა ლ ა ღ ი ნ ი , შემდეგ ზ ი ტ ა .

ს ა ლ ა დ ი ნ ი (შემოსვლისას)

რა არის, მართლაც, დასასრული რომ აღარ უჩანს?  
ბევრია კიდევ?

მ ო ნ ა

ნახევარი იქნება თითქმის.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მაშინ ზიტასთან მიიტანეთ ეგ დანარჩენი...  
მაგრამ ალ-ჰაფი სადღა არის? ახლავ წაიღოს  
ეს ფული თავის ხაზინაში. ხომ არ აჯობებს,  
რომ გაუუზავნო მამაჩემსა? მალე გაეფლანგავ  
ამ ფულს მე აქა. დროა, გავხდე ხელმოჭერილი.  
ახლა კი დიდი მოხერხება სჭირდება ყველას,  
რომ გამომტყუონ საჩუქარი მნიშვნელოვანი.  
სანამდე ფული არ მომივა მე ეგვიპტიდან,  
დაე ლატაკნი, როგორც ნებავთ, ისე მოიქცნენ.  
ოღონდ ქრისტიან მლოცველებს კი, ქრისტეს საფლავთან  
მოსულ პილიგრიმთ, მოწყალება როგორმე მივცე,  
რომ არ მოუხდეთ გაბრუნება ცარიელ ხელითი  
და ოღონდ...

ზ ი ტ ა

• ძმაო, ეს რას ნიშნავს? ის ფული რისთვის  
მომიტანეს მე?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

შენ იქიდან მიიღებ ჩემს ვალს,  
და თუ რამ დარჩა, ის მარაგად გადაინახე.

ზ ი ტ ა

ჯერ არ მოსულა ნათანი აქ რაინდთან ერთად?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

არა, როგორც ჩანს, ნათანი მას ყველგან დაეძებს.

ზ ი ტ ა

შეხედე, აი, რა ვიპოვე მე ძველმანების  
გადარჩევის დროს! (გაუწოდებს პატარა სურათს.)

ს ა ლ ა დ ი ნ ი

აჰ, ჩემი ძმა! ის არის სწორედ.

დიახ, ის არის! ოჰ, ძვირფასო, მამაცო ბიჭო!  
შენი დაკარგვა რარიგ აღრე მარგუნა ბედმა.  
ჩემთან ერთად რომ ჰყოფილიყავ ამდენი ხანი,  
რაოდენ საქმეს, რა ბევრ რამეს გავაკეთებდით!  
მომეცი, ზიტა, ეგ სურათი, ვიცი, რომ იგი  
ჩვენმა ძმამ თავის საყვარელ დას, ლილას, აჩუქა,  
როდესაც, გამოთხოვებისას, ძლივს დააღწია  
თავი მის მკლავებს. ის წავიდა უკანასკნელად.  
ის მე გავუშვი, მე გავუშვი და თანაც მარტო  
მწუხარებისგან ლილა მალე გარდაიცვალა  
და ვერაფრით ვერ მაპატია, რომ მარტოდმარტო  
გავისტუმრე ის ევროპაში სამოგზაუროდ.  
ამ მგზავრობიდან იგი აღარც დაბრუნებულა.

ზ ი ტ ა

საბრალო ძმაო!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მწუხარება ან რაღას გვარგებს!  
ოდესმე ჩვენც ხომ ამ ქვეყნიდან მოგვიწევს წასვლა.  
ამასთანავე, — ან ვინ იცის? — მხოლოდ სიკვდილი  
ვერ შეიძლებდა მისი მსგავსი ჭაბუკისათვის  
მიზანი უცბად შეეცვალა. ასეთებს მტერი  
ცოტა როდი ჰყავთ და ამიტომ ხშირად ძლიერიც  
შესაძლო არის ისე მოკვდეს, ვით სუსტი კაცი.  
მაგრამ დავეხსნათ, მისი ბედი უკვე აღსრულდა.  
მე უნდა ახლა ეს სურათი რაინდის სახეს  
შევადარო და გავარკვიო, თუ რაოდენად  
მიმტყუნა ჩემმა წარმოსახვამ.

ზ ი ტ ა

მეც მაგისათვის

მოვიტანე აქ ეგ სურათი. მომეცი უკან!  
სიმართლეს გეტყვი, ქალის თვალი ამგვარ საკითხში  
უფრო სანდოა.

ს ა ლ ა დ ი ნ ი (შემოსულ შეკარეს),

ვინ მოვიდა? რაინდი? ახლავ

აქ შემოვიდეს!

## ზ ი ტ ა

თქვენ რომ ხელი არ შეგიშალოთ  
და რაინდსაც არ ვაგრძნობინო უხერხულობა...

(მომორებით დაჯდება ღოვანზე და ჩადრს ჩამოიფარებს.)

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

ჰო, ეგ კარგია! (და მისი ხმა? ხმითაც რარიგ ჰგავს!  
კვლავ ჩემს სულშია ასადის ხმა მიძინებული.)

## ზამოსვლა მეოთხე

რაინდი და სალადინი.

რაინდი

შენი ტყვე ისევ შენთანა ვარ...

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რაო? ჩემი ტყვე?

ვისაც სიცოცხლე მივანიჭე, განა არ ძალმიძს,  
თავისუფლებაც მივანიჭო იმ ადამიანს?

რაინდი

რაც შენ შეგფერის გააკეთო, განა შემფერის  
მანამდე გითხრა, ვიდრე ამას შენ თვით არ იტყვი?  
ჭაბუკს სიცოცხლე რომ მიბოძე, ამის მადლობას,  
დიდო სულთანო, საგანგებოდ, ვერ შემოგწირავ, —  
ეს ჩემს წოდებას და ხასიათს არ ეგუება, —  
მაგრამ ყოველთვის მზად ვიქნები, ჩემი სიცოცხლე  
რომ შემოგწირო შენს სამსახურს.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

იგი ოლონდაც

ჩემს წინააღმდეგ არ წიმართო. მე არასოდეს  
დამენანება, წყვილი ხელი თუ შეემატა  
ჩემი მტრების რიცხვს, მაგრამ დიდად გაიძინელებს,  
ასეთი გული რომ დაგკარგო. იე არ შევმცდარვარ,  
ჩემო მამაცო, გულკეთილო ჭაბუკო, შენში.  
შენ ზუსტად ჩემი ასადი ხარ: სულით და ხორციით.  
აი, მზადა ვარ შეგეკითხო: სად დაგვეკარგე?  
ან სად გეძინა, ნეტავ როცელ გამოქვაბულში?  
რომელ ჯადოსნურ სამეფოში და ან რომელმა

გრძნეულმა ქალმა შეინახა ამდენი ხანი  
ასე სათუთად საყვარელი ჩემი ყვაილი?  
მე შემძლია მოგაგონო: რა ადგილებში  
დავსეირნობდით ერთად ხოლმე. მსურს დაგტუქსო, რომ  
ერთი ამბავი, საიდუმლო, დამალე მაინც,  
არ გამიმხილე. გაგკიცხავდი კიდევ უთუოდ,  
მე მხოლოდ შენს თავს რომ ვხედავდე, ჩემს თავს კი ვერა.  
დე ასე იყოს, ასე იყოს, რა გაეწყობა!  
მაგრამ ამ ძვირფას ზმანებაში ერთი სიმართლე  
ხომ მაინც არის: ასადი კვლავ წაროსდგა ჩემ წინ  
ჩენი სიცოცხლის შემოდგომის მიმჭრალ დღეებში.  
ხომ კმაყოფილი ხარ, რაინდო?

რ ა ი ნ დ ი

ეგ ყოველივე,

რაც შენგან მესმის, ნატვრა იყო ჩემი სულისაც.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ახლავ გამოგცდი თუ ასეა. მაშ თანახმა ხარ,  
ჩემთან იცხოვრო, ჩემთან დარჩე? ეგ სულ ერთია:  
ქრისტიანად თუ მუსლიმანად, რადგანაც ჩემთვის  
ამას არა აქვს მნიშვნელობა არავითარი.  
თეთრ მოსასხამით ივლი ქვეყნად თუ შავი ნაბდით,  
დოღბანდითა თუ ყაბალახით, როგორც გენებოს,  
სულ ერთი არის! მე არასდროს მომიბოვია.  
რომ დაფარული ყოფილიყო ერთ გვარი ქერქით  
ყოველგვარი ხე.

რ ა ი ნ დ ი

მაშინ, ვგონებ. არც იქნებოდი  
ის, რაც ახლა ხარ. შენ გმირი ხარ. რომელიც უფრო  
მეტე ხალხით ღვთის მუბაღედ იმსახურებდა.

-

ს ა ლ ა დ ი ნ ი

თუკი ასეა, უფრო ცუდი არა გგონივარ,  
შევთანხმებულვართ სანახევროდ! არა?

რ ა ი ნ დ ი

სრულიად!

ს ა ლ ა დ ი ნ ი (ხელს გაუწვდის)

მაშ სიტყვას მაძლევ?

რ ა ი ნ დ ი (ხელს ჩამოართმევს)

ღიას და არც ვუმტყუნებ სიტყვას!

მაგ საქციელით იმაზე მეტს მიიღებ ჩემგან,  
რასაც შესძლებდი გამორთმევას შენივე ნებით.  
ამიერიდან მთლად შენი ვარ.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რა მოგება მხვდა!

ისიც რა მალე, სულ ერთი დღის განმავლობაში!  
განა არ არის მეტისმეტი? ის თან არ მოგყვათ?

რ ა ი ნ დ ი

ვინ ის?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ნათანი.

რ ა ი ნ დ ი (ცივად)

არა, მე აქ მარტო მოვედი.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ო, რა გნირობა ჩაიღინე! და ბრძენმა ბედმა  
რარიგ მოგხვდა, რომ ასეთი შესანიშნავი  
მამაკაცისთვის გააკეთე ეს ყველაფერი.

რ ა ი ნ დ ი

ჰო, ღიას, ღიას!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ასე ცივად? არა, ჭაბუკო!  
როდესაც ღმერთი ისურვებს, რომ კეთილი საქმე  
მოიმოქმედოს ჩვენი ხელით, მაშინ უფლება  
არავისა გვაქვს, ასე ცივად გვეჭიროს თავი,  
თუნდაც ეს იყოს თავმდაბლობით გამოწვეული.

რ ა ი ნ დ ი

მაგრამ ამქვეყნად ყოველ საგანს მრავალი მხარე  
აქვს ისეთი. რომ კაცი ვერც კი აუღებს ალლოს,  
რა აკავშირებს ერთმანეთთან ამ მხარეებსა.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მუდამ უკეთესს მიჰყევი და აღიდე ღმერთი!  
მან კარგად იცის, რა და როგორ დააკავშიროს.



მაგრამ შენ თუ გსურს დაბრკოლება შეიქმნა ყველგან,  
მაშინ ხომ შენთან ფხიზლად ყოფნა მეც დამჭირდება,  
რადგანაც იგივე საგანი ვარ მეც, სამწუხაროდ,  
რაშიც კავშირი ძლიერ ნაკლებ მოიპოვება.

რ ა ი ნ დ ი

სამწუხაროა. ეჭვი ნაკლებ მჩვევია ხოლმე.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მაგრამ ხომ მაინც ეჭვიანობ? ვისზე გაქვს ეჭვი?  
ვგონებ, ნათანზე! შენ? ნათანზე? მაშ ამიხსენი!  
მოდი, მიჩვენე მაგალითი პირველი ნდობის.

რ ა ი ნ დ ი

ნათანს აქ ბრალი არ მიუძღვის, ჩემს თავზე ეჯავრობ.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რატომ?

რ ა ი ნ დ ი

იმიტომ, რომ ერთბაშად მეზმანა, თითქოს  
ურიას ძალუძს დაივიწყოს ურიაობა.  
ღიას, მე ცხადად დამესიზმრა ამგვარი რამე.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

სტქვი უფრო ნათლად, გასაგებად.

რ ა ი ნ დ ი

შენ კარგად იცი,

რაც დაემართა ამას წინათ ნათანის ასულს.  
ის, რაც რეხასთვის გავაკეთე, მხოლოდ იმისთვის,  
რომ გავაკეთე — სხვა მიზანი არა მქონია.  
და რაინდულმა სიამაყემ არ ნომცა ნება,  
რათა მადლობა იქ მიმელო, სადაც სიკეთე  
არ დანიტესაჯს; ამიტომაც იმ ქალიშვილის  
ხელახლა ნახვას ვაყოვნებდი. დღითი დღე ვღებდი.  
ნათანი მაშინ აქ არ იყო, შემდეგ დაბრუნდა.  
როცა გაიგო ეს ამბავი, მომნახა მყისვე  
და იმის შემდეგ წრფელი გულით მადლობას მწირავს;  
სურს თავის ქალი მომაწონოს, იმედსაც მაძლევს  
და თანაც ნათელ მომავალზე მესაუბრება...

ბოლოს დაეთანხმდი, მიველ, ვნახე, რომ ქალი მართლაც...  
ეპქ, სულთანო, რარიგ უნდა მრცხვენოდეს ახლა!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რაო? გრცხვენოდეს? იმის გამო, ურიის ქალმა  
რომ მოახდინა შენზე დიდი შთაბეჭდილება?  
მერე, რა არის აქ სასირცხვო?

რ ა ი ნ დ ი

ის, რომ ნათანის

ტკბილ მასლაათით მოხიბლულმა, შემცდარმა გულმა  
ველარ შეიძლო უკუეგდო შთაბეჭდილება.

რა სულელი ვარ! ხელმეორედ შევიჭურ ცეცხლში —  
ასული ვთხოვე, მაგრამ მტკიცა ცივი უარი.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ცივი უარი?

რ ა ი ნ დ ი

ბრძენმა მამამ ხელაღებით კი

არ მომიცილა, მაგრამ ჯერ ხომ უნდა დაფიქრდეს,  
გამოიძიოს... რა თქა უნდა! განა მეც ასე  
არ მოვიქეცი, როცა რეხა ცეცხლში კიოდა?  
ღმერთმანი, მართლაც უმალღესი სრულყოფილება  
არ არის განა მსგავსი სიბრძნე, გონიერება?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

კმარა, გეყოფა! ასე მკაცრად ნუ განსჯი მოხუცს!  
მაინც რამდენ ხანს გაგრძელდება მისი უარი?  
ხომ არ მოითხოვს, რომ ღიილო ებრაელობა?

რ ა ი ნ დ ი

ვინ იცის!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ვინა? — უკეთესად ვინც იცნობს ნათანს!

რ ა ი ნ დ ი

ჩვენზე ცრურწმენა, რომელზედაც აღვიზარდენით,  
მაშინაც ახდენს ზეგავლენას, როს შეგვიცვნია  
მისი სიყალბე. ვინც დასცინის თავის ბორკილებს,  
ყველა მათგანი არის განა თავისუფალი?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ძალზე მახვილი შენიშვნაა! მაგრამ ნათანი...

უეჭველია...

რ ა ი ნ დ ი

უდიდესი ცრურწმენა კი ის  
არის, როდესაც საკუთარს თვლი ყველაზედ მცირე  
დანაშაულად.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მართალია! მაგრამ ნათანი..

რ ა ი ნ დ ი

და შენს ცრურწმენას მიანდო ბრმა კაცობრიობა,  
სანამდე იგი თვალს აახელს და დაინახავს  
ჭეშმარიტებას...

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მაგრამ ნათანს მაგაში მანც

ვერ დავდებთ ბრალსა.

რ ა ი ნ დ ი

დიახ, სწორედ ასე მეგონა!..

მაგრამ თუკი ეს საუცხოო ადამიანი  
ჩვეულებრივი ურიაა, რომელიც ცდილობს  
ქრისტიან ბავშვის აყვანას და ურიად აღზრდას,  
მაშინ რას იტყვი?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რაო? ნათანს ვინა სდებს მაგ ბრალს?

რ ა ი ნ დ ი

თვით ის გოგონა, რომლითაც ის მე იტყუებდა,  
რომელსაც იგი, მპირდებოდა იმ სამახურის  
ფასად, რასაც მას უფასოდ ხომ არ გავუწევდი!—  
თვით ეს გოგონა ნათან ბრძენის შვილობილია  
და არა შვილი,— მოკვეთილი ქრისტიანობას.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

და არ სურს მოგცეს ყველა ამის მიუხედავად?

რ ა ი ნ დ ი (გაცხარებით)

გინდა სურდეს და გინდა არა!— ხომ გამომჟღავნდა!  
რჯულშემწყნარები ცრუბუნტელა აღმოჩნდა იგი!  
მაგ ურია მგელს, ვინაც თავის ურიობას  
ფილოსოფიურ აზროვნების ცხერის ტყავით ჰფარავს,  
ძალღებს მივუსევ, რათა წამსვე ტყავი გააძრონ...

ს ა ლ ა დ ი ნ ი (შაკრად)

წყნარად, დამშვიდდი, ქრისტიანო!

რ ა ი ნ დ ი

რაო? დავმშვიდდე?

თუ ურიას და მუსლიმანს აქვთ იმის უფლება —  
მტკიცედ დაიცვან თავიანთი სარწმუნოება,  
მითხარი, მარტო ქრისტიანმა რა დააშავა,  
რომ ამგვარი რამ ვერ გაბედოს?

ს ა ლ ა დ ი ნ ი (კიდევ უფრო შაკრად)

წყნარად!

რ ა ი ნ დ ი (თავის შეკავებით)

ახლა ვგრძნობ

იმ საყვედურის მთელ სიმძიმეს, რაც სალადინმა  
ამ ერთი სიტყვით გამოხატა! ნეტავ ვიცოდე,  
აქ, ჩემს ადგილზე, ასადი ვით მოიქცეოდა!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

აღარც თუ ბევრით უკეთესად! — სწორედ ამგვარი  
გაცხარებითა. მაგრამ ერთი გამაგებინე,  
ვისგან ისწავლე, ასადივით რომ შეგიძლია  
ჩემი მოსყიდვა ერთი სიტყვით? პო, რა თქმა უნდა,  
თუ ისე მოხდა ყველაფერი, როგორც მითხარი!  
მაშინ ნათანი გამოცანა ხდება ჩემთვისაც.  
მაგრამ ის ჩემი მეგობარი არის ერთგული  
და მეგობართ რომ ერთურთს უმტრონ, არ მივცემ ნებას.  
ჭკუით მოიქეც, ფრთხილად იყავ და ასე უცებ  
ხელთ ნუ ჩაუგდებ ნათანის თავს დამთხვეულ ბრბოსა.  
ჯერ ჩუმად იყავ, არა სთქვა რა იმის შესახებ,  
რის გამოც ძალუძს ქრისტიანულ სამღვდელოებას,  
აქ მომივარდეს და ნათანზე იძიოს შური.  
მარტო იმისთვის ნუ იწამებ ქრისტიანობას,  
რომ აწყენინო ებრაელებს და მუსლიმანებს!

რ ა ი ნ დ ი

ეგ დარიგება ლამის გახდა უკვე გვიანი.  
საბედნიეროდ, სისასტიკემ პატრიარქისამ  
სულ დამიკარგა სურვილი, რომ მის იარაღად  
ვქცეულიყავი.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რაო? ვიდრე აქ მოხვიდოდლი,

შენ მასთან იყავ?

რ ა ი ნ დ ი

მომიტყვე! აღელვებულმა  
აღარ ვიცოდლი, რალა მექნა, რა განმეზრახა!  
ვშიშობ, რომ აღარ მოისურვო, დიდო სულთანო,  
ჩემში კვლავ იცნო, გაიხსენო შენი ასადლი.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ვინ იცის, ასეც ღომხდარიყო, შენ რომ ეგ შიში  
არ გქონებოდა. მგონი, ვიცი, რა შეცდომებზეც  
იზრდება ჩვენი სათნობა. შემდეგშიც ასე  
იზრუნე მასზე. მე კი შენი შეცდომის გამო  
არ გამოვიჩინ სისასტიკეს. ახლა კი წადი!  
ნათანი აღბათ შენ დაგეძებს, იხოვე სადმე  
და ერთად მოდით, მინდა ერთურთს მოგათათბიროთ.  
თუ ის გოგონა ცოლად გნებავს, იგულე შენად,  
ხოლო ნათანს მე დავანახებ, თუ როგორ უნდა  
ულორისხორცოდ ქრისტიანი ბავშვების აღზრდა.  
ახლა კი წადი!

(რაინდი გაღის. ზიტა ადგება დიფნიდან.)

გამოსვლა მახუთო

ს ა ლ ა დ ი ნ ი და ზ ი ტ ა.

ზ ი ტ ა

ყველაფერი უცნაურია!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მართლაც ხომ ასე გეჩვენება, რას იტყვი, ზიტა?  
განა ლამაზი, მხნე ჭაბუკი არა ყოფილა  
ჩემი ასადლი?

ზ ი ტ ა

დიახ, თუკი იგი ნამდვილად  
ასეთი იყო და რაინდი თვითონ არ არის  
გამოსახული ამ სურათზე. მაგრამ ეს მითხარ,  
რატომ არ ჰკითხე ვინაობა მისი შშობლების?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

განსაკუთრებით კი დედისა? რომ დედამისი  
პალესტინაში ოდესმე თუ იმყოფებოდა?

ზ ი ტ ა

ცუდს არ იზამდი, რომ გეკითხა!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

სულაც არ მიკვირს!

რადგან ასადი ულამაზეს ქრისტიან ქალებს  
ისე მოსწონდათ და ისიც მათ ისე ელტვოდა,  
ერთხელ ამაზე ლაპარაკიც კი მქონდა მასთან.  
ახლა კი ამის მოგონება აღარ ღირს უკვე!  
ასადი ისევ დაგვიბრუნდა. მე ჯას მივიღებ  
თავისი ნაკლით, ყოველგვარით, და ნაზი გულის  
ჭინიანობით! ნათანი კი ვალდებულია,  
მას ქალი მისცეს. ხომ სწორია?

ზ ი ტ ა

როგორთუ მისცეს?

არა, მას უნდა დაუტოვოს!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

თუნდ ეგრეც იყოს!

რა უფლება აქვს ნათანს ქალზე, როცა ამ ქალის  
მამა არ არის? ვინც სიცოცხლე შეუნარჩუნა,  
მხოლოდ მას აქვს ის უფლება, რაც ნამდვილ მამას.

ზ ი ტ ა

რა იქნება, რომ ის გოგონა ახლავე შენთან  
გადმოიყვანო, უკანონო მამას წაართვა?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

და ეს საჭირო არის განა?

ზ ი ტ ა

არცთუ ძალიან

საჭირო არის!... მაგრამ ცნობიანყოფიარეობა  
მიკარნახებს, რომ ეს გირჩიო. თანაც საჩქაროდ,  
რამდენადაც კი შეიძლება, მინდა გავიგო:  
როგორია ის ქალიშვილი, ვინც მისი ტრფობის  
ღირსი გამხდარა.

ს ა ლ ა დ ი ნ ი  
გ ა ა გ ზ ა ვ ნ ე კ ა ც ი ა ხ ლ ა ვ ე

მის მოსაყვანად.

ზ ი ტ ა  
ნ ე ბ ა ს მ ა ძ ლ ე ვ ?

ს ა ლ ა დ ი ნ ი  
ერთი პირობით:  
ნათანს ნურაფერს აწყენინებ. მაგ კაცს ოდნავი  
ეჭვიც არ უნდა დაებადოს: რომ ძალით ვართნევთ  
მას ქალიშვილსა.

ზ ი ტ ა  
მაგის სულაც ნუ გედარღება.  
ს ა ლ ა დ ი ნ ი  
მე კი წავალ და თვით მოენახავ ალ-ჰაფის სადნე.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი მ მ ვ ს ს ე

სცენა წარმოადგენს ნათანის სახლის ღია წინაკარს, რომელიც  
პალმებს გადაჰყურებს, ისევე როგორც პირველი მოქმედების  
პირველ გამოსვლაში. ნათანის ნავაჭრისა და ძვირფასი  
ნივთების ნაწილი ამოლაგებულია და სწორედ მათ  
შესახებ სწარმოებს ლაპარაკი.

ნ ა თ ა ნ ი    და    დ ა ი ა .

დ ა ი ა

ო, ყველაფერი საუცხოო. დიდებულია:  
ამგვარ საჩუქრის გაბოძება თქვემ ძალგიათ მხოლოდ!  
მაგრამ მითხარით, ამ ვერცხლისფერ, ოქროთი ნაქარგ  
სტაგრას ნეტავი სადა ჰქსოვენ, ან რა ღირს ნეტავ?  
რა საპატარძლო კაბა არის! არც ერთ დედოფალს  
არ შეუძლია უკეთესი რამ მოისურვოს.

ნ ა თ ა ნ ი

რა შუაშია საპატარძლო. ჯვრისწერის კაბა?

დ ა ი ა

მჯერა, როდესაც ყიდულობდით, ამის შესახებ  
არც გიფიქრიათ, მაგრამ, ნათან, ჯვრისწერისათვის

28. ლესინგი

ამაზე კარგს და შესაფერისს ვერც აარჩევდით.  
ეს თეთრი ფერი ნიშანია უმანკობის,  
ეს ოქროსფერი სახეები სიმდიდრეს ნიშნავს!  
ხომ ხედავთ. ნათან, რა ძვირფასი, მომხიბვლელია!

ნ ა თ ა ნ ი

რა სახეებზე ლაპარაკობ, ვის საპატარძლო  
კაბაზე მსჯელობ და მკითხაობ. შენ ხომ არა ხარ  
საპატარძლო?

დ ა ი ა

მე?

ნ ა თ ა ნ ი

მაშ ვინ არის?

დ ა ი ა

მე?.. ღმერთო ჩემო!

ნ ა თ ა ნ ი

მაშ ვინლა არის, ვის კაბაზე გაქვს ლაპარაკი?  
ეს ყველაფერი შენ გეკუთვნის და მეტს არავის.

დ ა ი ა

ეს ყველაფერი მე მეკუთვნის და არა რეხას?

ნ ა თ ა ნ ი

რეხასათვის რაც მოვიტანე, ის იმ მეორე  
ფუთაში არის. აბა ჩქარა! აკრიფე შენი  
ბარგი-ბარხანა და წაიღე!

დ ა ი ა

ოო, მაცთურო!

არ ავკრფე, არა! ეს ნივთები მთელ ქვეყანაზე  
საუკეთესოც რომ იყოს და უძვირფასესი,  
მათ ხელს მაინც არ დაგაკარებ, ვიდრე ახლავე  
არ შემომფიცავთ, რომ შემთხვევას გამოიყენებთ,  
რომლის მსგავსს ღმერთი მეორედ არ გამოგიგზავნით.

ნ ა თ ა ნ ი

გამოვიყენო? რაზე ამბობ? რა შემთხვევაზე?

დ ა ი ა

ნუ იუცხხოვებთ ასე. გეტყვით ორიოდ სიტყვით!  
მეტაძრეს უყვარს თქვენი რეხა და უნდა მისცეთ.



გამოისყიდით მაშინ ამით იმ შეცოდებას,  
რომლის დაფარვაც აღარ ძალმიძს. დაე გოგონა  
კვლავ ქრისტიანებს დაუბრუნდეს, ისევე ის გახდეს,  
რაც იყო და რაც უნდა იყოს აშიერიდან.  
ხოლო თქვენ, ნათან, მაგ კეთილი გულის წყალობით  
რითაც შესძელით შეგესყიდეთ სამარადისოდ,  
მხოლოდ ნაკვერცხლებს არ მოიხვეჭთ თქვენი თავისთვის.

ნ ა თ ა ნ ი

ეჰ, ახალ პანგზე მღერი ისევე შენს ძველ სიმღერას!  
აწყობილად კი არ გამოდის.

დ ა ი ა

აგრე გგონიათ?

ნ ა თ ა ნ ი

ძალიან მომწონს მე რაინდი და ჩემს რეხასაც  
ყველაზე მეტი ხალისით მას ღივათხოვებდი.  
მაგრამ... ჯერ კიდევ მოთმინება არის საჭირო.

დ ა ი ა

კვლავ მოთმინება? და ეგ განა კი აღარ არის  
ძველი სიმღერა?

ნ ა თ ა ნ ი

მოვითმინოთ რამდენიმე დღეც!..

შეხედე ერთი! იქ ვინ მოდის? მორჩილი არის?  
ჰკითხე, რა ნებავს.

დ ა ი ა

რაცა ნებავს, განა არ იცით.  
(მიდის მოჩილისაკენ და კკითხება)

ნ ა თ ა ნ ი

მამ გაიკითხე!.. რაღას ელი!.. ნუ ათხოვნიებ.  
(ნეტავი შევძლო, რაინდს ისე მოხერხებულად  
მივუდგე, რომ არ გამომქლავნდეს განზრახვა ჩემი,  
თორემ თუ საქმის ვითარება გავაცანი მას  
და ჩემი ეჭვი უსაფუძვლო აღმოჩნდა, მამას  
ტყუილად ჩავრეგ ამ თამაშში.) — რაო, რას ამბობს?

დ ა ი ა

თქვენთანა ნებავს ლაპარაკი.

ნ ა თ ა ნ ი

ღე შემოვიდეს.

შენ კი დაგვტოვე ჯერჯერობით. ჩემო დაია.

**გამოსვლა მთავრი**

ნ ა თ ა ნ ი და მ ო რ ჩ ი ლ ი.

ნ ა თ ა ნ ი

(რა მოხარული ვიქნებოდი, რომ რეხას მამად  
დავრჩენილიყავ! თუმცა ისიც ხომ შეიძლება,  
მის მამად დავრჩე იმის შერეც, როცა დავკარგავ  
ვე ამ წოდებას? თვითონ რეხაც, ო, თვითონ რეხაც  
ყოველთვის მამას დამიძახებს, რაკი შეიტყობს,  
რომ ეს მხურვალე, უდიდესი ნატვრაა ჩემი.)  
რით შემიძლია გემსახუროთ, კეთილო ძმავ?

მ ო რ ჩ ი ლ ი

სულ მცირე რამით... მიხარია, ბატონო ნათან,  
ისევ ჯანმრთელს და მხნეს რომ გხედავთ.

ნ ა თ ა ნ ი

რაო, თქვენ მიცნობთ?

მ ო რ ჩ ი ლ ი

როგორ არ გიცნობთ! ვინ არ გიცნობთ, როცა ამდენ ხელს  
დასდეთ ნიშანი, აღმნიშვნელი თქვენი სახელის,  
ის მეც ხელზე მაქვს აღბეჭდილი დიდი ხანია.

ნ ა თ ა ნ ი (ამოიღებს ქიხას)

ჰაჰ მოდი, ძმავ, განვაახლებ...

მ ო რ ჩ ი ლ ი

ო, არა, გმადლობთ!

ჰავას ღარიბებს მოვპარავდი! არა მჭირდება.  
ჩემი სახელი კი ცოტათი მსურს მოგაგონოთ,  
თუკი თქვენ ამის ნებას მომცემთ. კვეხნით არ ვამბობ,  
რომ ხელთ ზოგი რამ მეც ჩაგიგდეთ და არცთუ მცირედ  
საყურადღებო.

ნ ა თ ა ნ ი

მაპატიეთ!.. მრცხვენია... რა სთქვით?  
გთხოვთ მომაგონოთ — შეიდჯერ მეტი მიიღეთ ჩემგან  
ამის სანაცვლოდ...

## მორჩილი

მომისმინეთ, პირველად დღესღა  
თვითონ მე როგორ გამახსენდა ის საწინდარი,  
ოდესღაც თქვენ რომ ჩაგაბარეთ.

## ნათანი

რა საწინდარი?

## მორჩილი

ამ ცოტა ხნის წინ მე ვცხოვრობდი კეარანტანაში.  
აერიქონის მახლობლადა, ვით განდევილი.  
უცებ არაბი ყაჩაღები დამესხნენ თავსა,  
შათ დამინგრიეს სენაკიცა და სამლოცველოც.  
შემიბყრეს და თან წამიყვანეს. საბედნიეროდ,  
გამოვეპარე. მოვაშურე პატრიარქს ჩვენსას,  
კთხოვე, მოეცა ჩემთვის საღმე პატარა კუთხე.  
სადაც შევძლებდი ღმერთისადმი სამსახურს. ვიდრე  
არ მომიღებდა უშფოთველი სიკვდილი ბოლოს.

## ნათანი

ასე მგონია, ნაკვერცხლებზე ვიწვოდე, ძნაო!  
მოკლედ მითხარით, განმიმარტეთ. რა საწინდარი  
ჩამაბარეთ მე და ან როდის?

## მორჩილი

ახლავე. ნათან!

იგი დამპირდა, რომ თაბორის ერთ ახალშენში  
მომაწყობს, რაწაბს გამოჩნდება ადგილი რამე.  
ხოლო მანამდე კი. მიბრძანა. რომ მონასტერში  
ღაერჩე მორჩილად. პოდა. აი მეც აქ გაბლავართ.  
ნაგრამ თაბორზე დღეში ასჯერ ვოცნებობ. ნათან,  
რადგანაც ძალზე მეზიზღება ყოველი საქმე.  
რასაც ვაკეთებ პატრიარქის განკარგულებით.  
აი. თუნდაც დღეს...

## ნათანი

მოკლედ! მოკლედ!

## მორჩილი

სწორედ იმ ამბავს

მივადექ ახლა. დღეს პატრიარქს ვილაცამ ყურში  
ჩაუჩურჩულა, როგორცა ჩანს. რომ აქა ცხოვრობს

ებრაელი, ვინც ქრისტიანი' ბავშვი აღზარდა  
თურმე. ვით შვილი საკუთარი.

ნ ა თ ა ნ ი (გაოცებულა)  
რაო?

მ ო რ ჩ ი ლ ი

ბოლომდე

მომისმინეთ ჯერ. პატრიარქმა მე განომგზავნა  
იმ ებრაელის საქებნელად. თვითონ-კი ანგრევს  
იქაურობას, ისე არის განრისხებული.  
იგი ამ ამბავს სულიწმინდის გმობას უწოდებს,  
სთვლის ისეთ ცოდვად, რომელიც ჩვენ ყველაზე მძიმე  
დანაშაულად მიგვაჩნია. მადლობა ღმერთს, რომ  
ბუნდოვანია მისი არსი, გაუკვებარი.

ჰოდა, უეცრად დამიწყო მე სინდისმა ქენჯნა:  
მსწრაფლ გამახსენდა, რომ ოდესღაც მეც მონაწილე  
ვიყავ ამ საქმის, შეუნდობელ, უდიდეს ცოდვის.  
მითხარით, ვინმე მეჯინიბემ თვრამეტი წლის წინ  
მოგიყვანათ თქვენ რამდენიმე კვირის გოგონა?

ნ ა თ ა ნ ი

თვრამეტი წლის წინ? მახსოვს, მახსოვს, რაღა თქმა უნდა.

მ ო რ ჩ ი ლ ი

მაშ დამაკვირდით! მე გახლავართ ის მეჯინიბე.

ნ ა თ ა ნ ი

თქვენ?

მ ო რ ჩ ი ლ ი

ის ბატონი კი, რომელმაც ბავშვი გადამომცა,  
უეჭველია, რომ ბატონი ფილნეკი იყო,  
ვოლფ ფონ ფილნეკი!

ნ ა თ ა ნ ი

მართალია.

მ ო რ ჩ ი ლ ი

იმ ცოტა ხნის წინ

გარდაიცვალა ბავშვის დედა, ღამა კი, მგონი,  
ლაზაში უნდა წასულიყო. სადაც. ცხადია,

ვერ წაიყვანდა იმ ბაწია ჭიაყელასა.  
აი რის გამო გამოგზავნა მან ბავშვი თქვენთან.  
მე კი დარუნში დაგეწიეთ. ხომ არა ვცდები?

ნ ა თ ა ნ ი

სრულ სიმართლესა ლაპარაკობთ.

მ ო რ ჩ ი ლ ი

და არცთუ დიდად

გასაოცარი იქნებოდა. — მეხსიერებზე  
ემტყუნა ჩემთვის. ბევრ ბატონთან მიმსახურია  
და ყველა როგორ გამახსენდეს. ამ ბატონთან კი  
ცოტა ხანს ვიყავ... ასკალიონთან დაეცა იგი.  
მერე რა კარგი კაცი იყო.

ნ ა თ ა ნ ი

ღიახ, ნამდვილად!

მისგან დიდად ვარ, ძალზე დიდად დავალებული.  
ყაჩაღთა მახვილს არა ერთხელ გადამარჩინა!

მ ო რ ჩ ი ლ ი

მშვენიერია! მამ თქვენ უფრო მეტი ხალხით  
შიილებდით მის პატარა ბავშვს?

ნ ა თ ა ნ ი

რალა თქმა უნდა.

მ ო რ ჩ ი ლ ი

სად არის იგი? ხომ არ მოკვდა? არა, რას ვამბობ.  
დაე იცოცხლოს. თუ არავის არ გაუშვლავნეთ  
ეს საიდუმლო, არ გექნებათ არაფრის შიში.

ნ ა თ ა ნ ი

მე? რისი უნდა მეშინოდეს?

მ ო რ ჩ ი ლ ი

მომენდეთ, ნათან!

და მომისმინეთ ამ საკითხზე როგორა ვმსჯელობ:  
როს იმ სიკეთეს, რომელიც მე მსურს ჩავიდინო.  
დიდი სიავე ემიჯნება, მაშინ სჯობია,  
არ ჩავიდინო ეს სიკეთე. უოველივე ავს  
საკემოდ კარგად ვიცნობთ ხოლმე, კეთილისა კი

ათა გვეხმის რა. მართლაც, ერთობ ბუნებრივია:  
 რაკი ისურვეთ, აგეზარდათ თქვენ ქრისტიანი  
 ეკონა ასე სანიმუშოდ, რაღა თქმა უნდა,  
 შეეცდებით აგეზარდათ, ვით თქვენი შვილი,  
 და ძათელი თქვენი სიყვარულის, გულმოდგინების  
 ანაცვლო ახლა ამით უნდა გადაგიხადონ?  
 :ი. ის. რასაც მე ვერ ვითმენ, ვერ ვეგუები.  
 ეპაღია. უფრო გონივრული ის იქნებოდა,  
 რომ ქრისტიანი ბავშვის აღზრდა ქრისტიანისთვის  
 ჰიჯენდოთ, მაგრამ მაშინ ხომ არ გეყვარებოდით  
 თქვენი მეგობრის შვილი ასე, ბატონო ნათან.  
 ამ ხნის ბავშვებს კი სიყვარული უფრო სჭირდებათ,  
 ვიდრე ღვთისადმი ერთგულება, ქრისტიანობა;  
 ააამისო დრო მას შემდეგშიც დაუდგებოდა.  
 თუ ბავშვი თქვენს წინ აღიზარდა სათნოც, ჯანმრთელიც,  
 ჩანს, ღვთის თვალშიაც იგივე დარჩა, რაც იყო წინათ.  
 ქრისტეს მოძღვრება იუდაიზმს არ ემყარება?  
 ძალზე მწყინს ხოლმე, ბრაზი მახრჩობს, ავტირდე ლამის,  
 როდესაც ასე ივიწყებენ ქრისტიანები,  
 რომ ჩვენი ღმერთიც ებრაელი იყო ნამდვილი.

#### ნ ა თ ა ნ ი

კეთილო ძმაო, თქვენ უნდა მე გამომესარჩლოთ.  
 როს სიძულვილი და სიცრუე ჩემს წინააღმდეგ  
 ამხედრდებიან ერთი საქმის... ოჰ, ერთი საქმის  
 გამო, რომელიც თქვენ, მხოლოდ თქვენ უნდა იცოდეთ!  
 არავის უთხრათ, საფლავშიაც თან ჩაიყოლოთ!  
 შედიდურობას ჯერ ისე არ შევუცდენივარ.  
 რომ ეს შემთხვევა აქნობამდე ვინმესთვის იმეტქვას,  
 მხოლოდ თქვენ გეტყვით, მხოლოდ სათნო უბრალოებას  
 ვაგუჟებენ ამ საიდუმლოს, რაღეთუ იგი  
 მიხვდება მხოლოდ, როგორ ძალუქს ღვთისადმი ერთგულ  
 ადამიანსა გაიმარჯვოს საკუთარ თავზე.

#### მ ო რ ჩ ი ლ ი

რა მოგდით? გული აგიჩუყდათ? სტირით კიდევას?

#### ნ ა თ ა ნ ი

თქვენ იმ ბაწია გოგონათი დარუნში შემხვდით  
 და იქნებ კარგად არც იცოდით, ორიოდღე დღით

იმაზე ადრე გათში მთელი ებრაელობა  
ცოლშვილიანად რომ გაჟლიტეს ქრისტიანებმა.  
იქნებ არც იცით, რომ მე მაშინ დაგვარგე ცოლი  
და შვიდი ვაჟი, საყვარელი, მხნე ახალგაზრდა...  
ჩემი ძმის სახლში გადავმალე ისინი. მაგრამ  
ქრისტიანებმა გადაბუგეს იმ საბლთან ერთად.

მორჩილი

ო. დიდო ღმერთო, ღმერთო ყოვლად სამართლიანო!

ნათანი

სამი დღე-ღამე თქვენს ეოსვლამდე ნაცარში, ფერფლში  
ვიწევი პირქვე და ვტიროდი. ვტიროდი მწარედ.  
ვტიროდი? არა, ეს ცოტაა, გაცოფებულ  
ვგმობდი უფალსა და ვწყევლიდი წუთისოფელსა;  
თან აღთქმას ვდებდი. რომ სასტიკად შევიძულე  
ქრისტიანობას.

მორჩილი

მჯერა, მჯერა. საბრალო ნათან!

ნათანი

ბოლოს ნელ-ნელა დამიბრუნდა გონება ისევ  
და კვლავ მისი ხმა შემომესმა მშვილობიანი:  
„მალლა უფალი ხომ არსებობს და ალბათ მისი  
ნება აღსრულდა! ადექ, ახალ გზას შეუდექი!  
საქმით გვიჩვენე. რასაც მიხვდი დიდი ხანია.  
და იცოდე, რომ მიხვედრაზე ძნელი როდია  
რაიმე საქმის აღსრულება. ოღონდ ისურვო.  
„წამოდექ!“ — ავდექ და შევძახე: „მე მსურს უფალო!  
ოღონდ შენ გსურდეს, რომ ვისურვო!“ ამის შემდეგ კი  
ვხედავ, ცხენიდან ჩამოხტით და გამომიწოდეთ  
თქვენს მოსასხამში გახვეული პატარა ბავშვი.  
სულ დამავიწყდა, რა ნითხარით, რა გიპასუხეთ;  
ერთი კი კარგად დამახსოვდა, რომ გამოგართვით  
ბავშვი. კარავში შევიყვანე, დაუწყე კოცნა.  
მუხლად დავეცი და ღაღადით წარმოვთქვი: „ღმერთო!  
შვიდი შვილიდან აი ერთი კვლავ ჩემთანაა!“

მორჩილი

ქრისტიანი ხართ, ჭეშმარიტად! ღმერთმანი, დღემდე  
ასეთი კარგი ქრისტიანი არვინ ყოფილა.

ნ ა თ ა ნ ი

ჩვენს სასიკეთოდ! რადგან იგი, რითაც თქვენს თვალში  
ვარ ქრისტიანი, ჩენს თვალში თქვენ გზდით ებრაელად.  
მაგრამ გვეყოფა, ერთმანეთს გულს ნუ ავუჩუყებთ!  
წინ საქმე გვიძევს, საჭიროა ის აღვასრულოთ!  
თუნდაც შვიდმაგი სიყვარული მაკავშირებდეს  
ამ ერთადერთ, სხვის გოგონასთან. თუნდ იმის ფიქრიც  
მიღებდეს ბოლოს, რომ მის სახით ჩემ შვილსავე ბიჭს  
ისევა ვკარგავ, — თუ განგებამ მოისურვა და  
მომთხოვა იგი. — უყოყმანოდ ვემორჩილები!

მ ო რ ჩ ი ლ ი

ღირსეულადაც მოიქცევეით, ბატონო ნათან!  
თვითონ მე მსურდა მეთქვა თქვენთვის ამგვარი აზრი,  
და ჰა, ეს უკვე გიკარნახათ თქვენივე სულმა.

ნ ა თ ა ნ ი

ოლონდ პირველმა ვიგინდარამ არ გამიბედოს  
მისი წართმევა!

მ ო რ ჩ ი ლ ი

არა, არა, რალა თქმა უნდა.

ნ ა თ ა ნ ი

ვისაც რეხაზე ჩემზე მეტი უფლება არ აქვს,  
ღე ჩემზე ძველი მაინც ჰქონდეს.

მ ო რ ჩ ი ლ ი

უეჭველია!

უფლება, ჩვენ რომ გვაძლევს ხოლმე ბუნება, სისხლი...

მ ო რ ჩ ი ლ ი

მეც მაგ აზრის ვარ.

ნ ა თ ა ნ ი

მაშ ახლავე დამისახელეთ  
ისეთი კაცი, რომელიც მას ღვიძლ ძმად ერგება,  
ბიძად ან თუნდაც ბიძაშვილად, თუნდ ნათესავად,  
და არ დაუჭერ რეხას. ვინაც თავის ბუნებით,  
თავისი აღზრდით დაამშვენებს ყოველ ოჯახს და  
სარწმუნოებას. იმედი მაქვს, მაგ თქვენს ბატონსა  
და მის ზოდგმაზე ჩემზე მეტი გეცოდინებათ.



მორჩილი

არა მგონია, თქვენზე მეტი ვიცოდე, ნათან!  
ხომ ვთქვი, რომ მასთან შე დიდხანს არ მიმსახურია.

ნათანი

აქნებ დედაზე იცით რამე, გათხოვებანდე  
ის შტაუფენი ხომ არ იყო?

მორჩილი

შესაძლო არის.

მგონია, ეგრე უნდა იყოს.

ნათანი

მისი ძმა კონრად

ფონ შტაუფენი ხომ არ იყო? რაინდი?

მორჩილი

მგონი,

თუ არა ვცდები. მოითმინეთ! აწ მომაგონდა,  
რომ განსვენებულ ბატონისგან წიგნაკი დამრჩა, —  
როცა ვმარხავდი. მას უბიდან ამოვაცალე.

ნათანი

რაო, წიგნაკი?

მორჩილი

ლოცვანია, კონდაკს ვუწოდებთ.

კიდეც ვიფიქრე: ეს ქრისტიანს გამოადგება,  
შე კი, მითხარი, რაღად მინდა, კითხვაც არ ვიცი.

ნათანი

მაინცდამაინც, ძალზე დიდი უბედურება  
არ არის ეგა! მერე, მერე?

მორჩილი

ჰოდა, ამ წიგნში,

თავს და ბოლოში, როგორც მითხრა, საკუთარ ხელით  
მიუწერია განსვენებულს ნათესავები  
თავისიცა და მეუღლისაც.

ნათანი

ეგ მინდა სწორედ!

ახლავე წადით, ის კონდაკი აქ მომიტანეთ!  
მზად ვარ, მაგ წიგნში წონა ოქრო გადაგიხალოთ

და თან ათასი მადლობაც კი გამოვაცოლო!  
აბა, იჩქარეთ! გაიქეცით!

მ ო რ ჩ ი ლ ი

სიამოვნებით

მავრამ არაბულ ენაზეა ნაწერი თურმე.

ნ ა თ ა ნ ი

აუღერეთი არის! ოღონდაც ის აქ მომიტანეთ!  
ოჰ ღმერთო ჩემო, ეს გოგონა კვლავ რომ მე დამრჩეს  
და თან ასეთი კარგი სიძეც რომ შევიძინო!  
არა, რაღაცა შეეჭვება... რაც არის, არის!  
ვინ დამასმინა პატრიარქთან? არ დამავიწყდეს  
ამის გაგება... ეს რომ იყოს დაიას ბრალი?

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ მ რ ვ მ

და ი ა და ნ ა თ ა ნ ი.

და ი ა (სწრაფად და აბნეულად)

წარმოიდგინეთ, ნათან, ნათან!

ნ ა თ ა ნ ი

რა ამბავია?

და ი ა

ასე სასტიკად შეაშინეს საბრალო ბავშვი —  
კაცი მოგზავნეს.

ნ ა თ ა ნ ი

პატრიარქმა?

და ი ა

სალადინის დამ.

პრინცესა ზიტამ.

ნ ა თ ა ნ ი

პატრიარქმა კი არა განა?

და ი ა

არა, თვით ზიტამ. აღარ გესმით? პრინცესა ზიტა  
გვიგზავნის კაცს და ბრძანებს. ახლავ ეახლოს რეხა.

ნ ა თ ა ნ ი

რეხა ეახლოს? ზიტას უნდა ეახლოს რეხა?  
მამ პატრიარქი კი არ უხნობს, არამედ ზიტა...

დ ა ი ა

რას ჩააცვივდით ამ პატრიარქს?

ნ ა თ ა ნ ი

მამ პატრიარქზე  
შენ არაფერი გაგიგია, სულ არაფერი?  
და მას ყურში რამ საიდუმლო არ ჩააწვეთ?

დ ა ი ა

მე ჩააწვეთ?

ნ ა თ ა ნ ი

სად არიან მოციქულები?

დ ა ი ა

გარეთ.

ნ ა თ ა ნ ი

სიფრთხილე მიკარნახებს მათ გამოგვითხო.

აბა, წავიდეთ. ნეტავი კი ეს ყველაფერი  
პატრიარქისგან მოწყობილი საქმე არ იყოს.

(გაღოს.)

დ ა ი ა

ო მე კი, მე კი ამის გარდა სხვა რამ მაშინებს.  
მერედა, განა არ იქნება მუსლიმანისთვის  
შესაფერისი ქალიშვილი ასე მდიდარი  
ებრაელისა, თუნდაც იყოს ის შვილობილი?  
მაშინ, რაინდო, რეხას უკვე გამოეთხოვე.  
გამოეთხოვე ჰეშმარიტად, მე თუ მეორე  
ნაბიჯი ველარ გადავდგი და თვითონ რეხასაც  
არ გავუმჯღაენე წარმოშობა მისი სავსებით.  
თამამად! უნდა ვისარგებლო იმ წუთით მყისვე,  
როგორც კი მასთან მომიხდება მარტოდ დარჩენა.  
იქნება აი სწორედ ახლა. მას რომ გავყვები  
გასაცილებლად, იმედი მაქვს ამ გადაკრული  
გასაუბრებით საქმეს სულაც არ გავაფუჭებ.  
გადაწყდა! ახლა ან არასდროს! ჰო, გაბედულად!  
(გაუღევნება ნათანს.)

## მოქმედება მისთვის

### გამოსვლა პირველი

სცენა წარმოადგენს სალადინის სასახლის ერთ-ერთ ოთახს. სადაც მოტანილია ფულიანი პარკები, რომლებიც წინანდელ ადგილზე აწყვია.

ს ა ლ ა დ ი ნ ი, შემდეგ მ ა მ ე ლ უ კ ე ბ ა.

ს ა ლ ა დ ი ნ ი (შემოსვლისას)

ფული კი ისევ აქ აწყვია! ვერავინ შესძლო დავრიშის პოვნა, ის ნამდვილად წააწყდა სადღაც ჭადრაკის დაფას, რომელიც მას თავის თავსაც კი ავიწყებს ხოლმე, და მე ვითლა გავახსენდები? სჯობს მოთმინება ვიქონიოთ! რას იტყვი ახალს?

მ ა მ ე ლ უ კ ი

სასურველ ცნობას და სიხარულს, დიდო სულთანო!.. უკვე მოვიდა ქარავანი მშვიდობიანად. გამოგზავნილი ქაიროდან, უხვ ნილოსიდან, შვიდი წლის ხარკით დატვირთული.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ყოჩაღ, იბრაჰიმ!

შენ, ჭეშმარიტად, სასურველი მოციქული ხარ! პა! ბოლოს მაინც! როგორც იქნა! მადლობას გიძღვნი კარგი ცნობისთვის.

მ ა მ ე ლ უ კ ი (იცდის)

ჰოდა, მერე? დააბოლოვე!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რალას უდგებხარ? წადი ახლა!

მ ა მ ე ლ უ კ ი

ასეთ მოციქულს

სხვა არაფერი არ ეკუთვნის?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

სხვა რალა ვითომ?

მ ა მ ე ლ უ კ ი

კარგი ცნობისთვის პურის ფულიც აღარ მერგება?  
მაშინ პირველი მე ვიქნები, ვისზეც სულთანმა  
ისწავლა ბოლოს მხოლოდ სიტყვით დასაჩუქრება?  
ესეც ერთგვარი სახელია! პირველი მე ვარ,  
ვისთანაც შესძლო მან ძუნწობა.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

აგერ, აიღე

ერთ-ერთი პარკი.

მ ა მ ე ლ უ კ ი

არა, ახლა აღარ მჭირდება,

თუნდ ყველა პარკი მე მაჩუქო.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რა ჯიუტი ხარ!

აიღე ორი!.. აღარ ხუმრობს? ნამდვილად მიდის?

გადამამეტა მე თავისი დიდსულოვნებით?

რადგანაც მისთვის უარის თქმა, უეჭველია,

უფრო ძნელია, ვიდრე ჩემთვის გასაჩუქრება.

ჰეი, იბრაჰიმ! ასე უცებ რამ მომაფიქრა,

რომ ხასიათი ერთიანად გამოვიცვალო

ახლა, როდესაც უკვე სიკვდილს მივუახლოვდი?

იქნებ სალაღინს სალაღინად სიკვდილი არ სურს?

მაშინ არც უნდა ეცოცხლა მას, როგორც სალაღინს.

მ ე ო რ ე მ ა მ ე ლ უ კ ი

დიდო სულთანო!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

თუ შენც მოხვალ მოსახსენებლად...

მეორე მამელუკი

რომ ეგვიპტიდან ქარავანი მოვიდა უკვე.

სალადინი

ეპ უკვე ვიცი.

მეორე მამელუკი

მამ მე ძალზე გვიან მოვსულვარ!

სალადინი

როგორ თუ გვიან?.. მაგ კეთილი სურვილებისთვის  
აიღე თუნდაც ორი პარკი.

მეორე მამელუკი

სამი რომ იყოს?

სალადინი /

კარგი, თუკი თვლა შეგიძლია... აიღე ოლონდ.

მეორე მამელუკი

მესამე კაციც მოვა კიდევ. თუკი როგორმე  
შესძლებს აქამდე მოღწევასა.

სალადინი

რა?

მეორე მამელუკი

ღიახ, ღიახ,

იქნებ კისერიც მოიტეხა! რადგან, როგორც კი  
ქარავნის მოსვლა შეეიტყუეთ ჩვენ დანამდვილებით.  
წამსვე აქეთკენ გამოვქროლეთ. წინა შიკრიკი  
უცებ ცხენიდან ჩამოვარდა, მუკი მის მერე  
დავწინაურდი, ქალაქამდე სულ წინ ვიარე.  
მაგრამ იბრაჰიმ უკეთ იცნობს ქალაქის ქუჩებს.  
როგორც ნამდვილი გაიძვერა.

სალადინი

ო, მაგრამ იგი?

ჩამოვარდნილი? მეგობარი ჩამოვარდნილი?

ახლავე გასწი შესახვედრად.

მეორე მამელუკი

ახლავე, ამწუთს!

თუ ცოცხალია. ამ საჩუქარს გავინაწილებთ.

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

უყურე, რარიგ გულკეთილი ბიჭი ყოფილა!  
ვის შეუძლია რომ ასეთი მამელუკებით  
დაიტრაბახოს? ან იმის ფიქრს ვინ ამიკრძალავს,  
რომ ეს ბიჭები აღიზარდნენ ჩემს მაგალითზე?  
მამ შორს ის აზრი, რომ ახლა მათ სხვა მაგალითი  
უნდა ვუჩვენო მე თვითონვე.

მ ე ს ა მ ე მ ა მ ე ლ უ კ ი  
დიდო სულთანო!

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

შენ ჩამოვარდი ცხენიდანა?

მ ე ს ა მ ე მ ა მ ე ლ უ კ ი  
არა, მე მხოლოდ

იმას გაცნობებთ, რომ მანსორი, შენი ემირი,  
ვინც ქარავანი მოიყვანა, ცხენიდან ხტება.

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

შემოიყვანე აქ სასწრაფოდ! მოვიდა კიდეც!

## გამოსვლა მირა

ე მ ი რ ი მ ა ნ ს ო რ ი და ს ა ლ ა დ ი ნ ი.

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

ჩემი სალამი ემირ მანსორს! აბა მომიყევ!  
ხომ კარგად მიდის შენი საქმე? ეჰ, მანსორ, მანსორ!  
ძალიან დიდხანს გვალოდინე!

## მ ა ნ ს ო რ ი

ამ წერილიდან

კარგად შეიტყობ, რომ თებეში არეულობის  
დაშოშმინება მოუხდა ჯერ შენს აბულყასიმს,  
ვიდრე ჩვენც აქეთ გაეზედავდით გამომგზავრებას;  
ამის შემდეგ კი ვისწრაფოდით, ვით ეს შეგვეძლო.

## ს ა ლ ა დ ი ნ ი

მჯერა! ახლავე წაიყვანე, ძვირფასო მანსორ,  
დიახ, ახლავე... ხომ წაიყვან დიდი ხალისით?  
ჰოდა, ახლავე წაიყვანე დამცველი ჯარი  
·29. ლესინგი

და სვლა განაგრძე. ამ ფულიდან მეტი ნაწილი  
მამაჩემს უნდა მიუტანო, ლიბანში მყოფსა.

მ ა ნ ს ო რ ი

სიამოვნებით!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

და იმასაც უნდა ეცადო,  
სუსტი არ იყოს მცველი ჯარი, რადგანაც ახლა  
არცთუ ისეთი სიწყნარეა ლიბანის ირგვლივ.  
არ გაგიგია? მეტაძრენი კვლავ ამოქედდნენ.  
ფრთხილად იყავი, ჩემო მანსორ. აბა, წავიდეთ!  
სად არის შენი ქარავანი გაჩერებული?  
მინდა ვნახო და ყველაფერი თვით მე ვითავო.  
ზიტას უთხარით, რომ სულ მალე გავჩნდები მასთან.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ მ ა მ ი

სცენა წარმოადგენს პალმებიან ხეივანს ნათანის სახლს წინ,  
სადაც რ ა ი ნ დ ი ბოლთასა სცემს.

რ ა ი ნ დ ი

ახლა მის სახლში მე არ შევალ. ბოლოს ხომ მაინც  
გამოვა თვითონ და მეც ვნახავ. იყო დრო, როცა  
ძალიან სწრაფად, სიხარულით მომკრავდნენ თვალსა!  
მაგრამ, ვინ იცის, ისეც მოხდეს, რომ ამიკრძალოს  
თავის სახლის წინ დაჟინებით გავლა-გამოვლა.  
მაგრამ მართალი არც მე ვარ, რომ ცეცხლი მეღება.  
რამ გამაბრაზა ასე მასზე? ჯერჯერობით ხომ  
არ მიმიღია არაფერზე მისგან უარი?  
სალადინმა კი თავს იღო, რომ დაიყოლიოს...  
ნუთუ მე უფრო გავმსჭვალულვარ ქრისტიანობით,  
ვიდრე ნათანი, ებრაელი, ებრაელობით?  
ვის შეუცვნია ან კი ქვეყნად თავისი თავი?  
როგორ შემეძლო ამ პატარა ქმნილების გამო,  
რომლითაც ნათანი თავი მოსწონს და ვინაც, ალბათ,  
ვიდაც ქრისტიანს გამოსტაცა, შევედავებოდი?  
თუმც მცირე ნადავლს ვერ ვუწოდებთ ასეთ ქმნილებას!  
მაგრამ ვისია ეს ქმნილება? ჩანს, არ იქნება  
იგი მონისა, ვინც ნატეხი მარმარილოსი



გადაისროლა ცხოვრების ზღვის უდაბურ ნაპირს,  
 თვითონ კი წამსვე თვალს მიჰფარდა? ცხადია, უფრო  
 იმ ხელოვნისა უნდა იყოს, ვინც ამ მიგდებულ  
 მარმარილოში დაინახა ღვთიური სახე  
 და გამოკვეთა ეს! ქრისტიან მშობლის ნაგვირად  
 რეხას ჭეშმარიტ მამად მაინც ურია რჩება...  
 მე რომ ვხედავდე მასში მარტო ქრისტიან გოგოს,  
 ვისაც აკლია ყოველივე, რისი მიცემაც  
 ასეთ ურიას თუ შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ, —  
 მითხარი, გულო, მაშინ რითი დაგიმონებდა?  
 არაფრით! ძალზე მცირე რაშით! მისი ღიმილი  
 ხომ იქნებოდა მარტო კუნთის ღამაში თრთოლა;  
 სიტურფე მისი დაჰფარავდა მხოლოდ და მხოლოდ  
 მისი გულისა და გონების სიცარიელეს.  
 არა! მე მისი ღიმილიც კი ვერ მონახებლავდა!  
 უფრო ღამაში ღიმილი მე მინახავს ბევრი.  
 მაგრამ რა იყო გამომწვევი მიზეზი მათი?  
 მხოლოდ ხუმრობა, ოხუნჯობა, მახვილი სიტყვა,  
 ფარისევლობა და თავაზი! ნუთუ მომხიბლა  
 მე ამ ღიმილმა და ისიც კი მაფიქრებინა,  
 მის ნათელ შუქში გაეატარო სიცოცხლე ჩემი?  
 რაღაც არ მახსოვს! მაგრამ მაინც იმაზე ვჯავრობ.  
 ეს უდიდესი ღირსებები ვინ მისცა რეხას?  
 რატომ, რისათვის? ალბათ მართლა დავიმსახურე.  
 სულთანმა ასე რომ დამცინა. ისიც კი კმარა.  
 რომ სალადინმა გაიფიქრა ასეთი რამე.  
 რა სულმდაბალი, საზიზღარი ვერგენე ალბათ!  
 ამის მიზეზი კი ქალია მხოლოდ და მხოლოდ?  
 ო, კურდ, კურდ! ასე არ ივარგებს. გაბრუნდი უკან!  
 იქნებ დაიამ წამოროშა ისეთი რამე,  
 რის დამტკიცებას ვერასოდეს ვერ შესძლებს კაცი.  
 პა, როგორც იქნა, გამოვიდა იგი სახლიდან:  
 ვილაცა კაცთან მოზაასობს? ვისთან საუბრობს?  
 მასთან? მორჩილთან? მაშ სცოდნია სუყველაფერი!  
 ჩანს, პატრიარქის ხელში არის ის ჩავარდნილი!  
 რა ჩავიდინე უგუნურმა ვით შეიძლება,  
 ამგვარი ვნების ერთადერთმა ნაპერწკალმა რომ  
 ასე აღანთოს, გადაბუგოს ჩვენი გონება!

ჩქარა, სასწრაფოდ გადაწყვიტე, როგორ მოიქცე!  
აქვე კუთხეში მივდგები და დავუცდი იმათ,  
იქნებ მორჩილმა დასტოვოს ის, წავიდეს მალე.

### გამოსვლა მეოთხე

ნ ა თ ა ნ ი და მ ო რ ჩ ი ლ ი.

ნ ა თ ა ნ ი (ახლოს მიდის)

ულრმესად გმადლობთ კიდეც ერთხელ, კეთილო ძმავ!

მ ო რ ჩ ი ლ ი

მადლობას გწირავთ მეც ასევე!

ნ ა თ ა ნ ი

თქვენც? მე? რისათვის?

იქნება ჩემი ურჩობისთვის, რომ მოვისურვე  
თავს მომეხვია თქვენთვის ის, რაც არა გჭირდებათ?  
ღიახ, რომ ჩემთვის დაგეთმით და ძალდატანებით  
არ მოგენდომათ გამდიდრება თვით ჩემზე მეტად.

მ ო რ ჩ ი ლ ი

მაგრამ წიგნი ხომ, ჩემო ნათან, მე არ მეკუთვნის.  
ქალიშვილისა არის იგი და შეადგენს მთელს  
ნემკვიდრეობას, რაც კი დარჩა თავის მამისგან.  
მაგრამ იმას ხომ თქვენა ჰყუევხართ! ღმერთმა ინებოს,  
სანანებლად არ გაგხდომოდეთ, რომ თქვენ რეხასთვის  
ასე ბევრი რამ გააკეთეთ.

ნ ა თ ა ნ ი

რატომ ვინანებ?

ეგ არასოდეს არ მოხდება! ნუ შეწუხდებით!

მ ო რ ჩ ი ლ ი

ადვილად ითქმის... პატრიარქნი და მეტაძრენი...

ნ ა თ ა ნ ი

იმდენ ცუდ რამეს ისინი ვერ გამოიკეთებენ,  
სანანებელი რომ გამოხდეს ოდესმე რამე.  
დავეხსნათ ამას, მამ თქვენ გჯერათ, კეთილო ძმავ,  
რომ მეტაძრეა, ვინც პატრიარქს აქეზებს ჩემზე?

მ ო რ ჩ ი ლ ი

ის უნდა იყოს უეჭველად, სხვა ვინ იქნება?  
ამ ცოტა ხნის წინ ესაუბრა იგი პატრიარქს;  
მეც იქ ვიყავი, ყური მოვკარ ამგვარ საუბარს.

ნ ა თ ა ნ ი

მაგრამ ახლა ხომ ერთადერთი მეტაძრე არის  
იერუსალიმს და მას ვიცნობ ძალიან კარგად.  
მეგობარია იგი ჩემი, კეთილშობილი,  
პატიოსანი, გულახდილი ახალგაზრდაა.

მ ო რ ჩ ი ლ ი

სწორედ ის არის! მართალს ბრძანებთ; მაგრამ რანიც ვართ  
და რანიც უნდა ვიყოთ ქვეყნად, ყოველთვის ერთურთს  
არ ეთანხმება.

ნ ა თ ა ნ ი

სამწუხაროდ, ეს ასე არის.  
დაე აკეთოს თუნდა ცუდი, თუნდ კარგი საქმე.  
ამ თქვენი წიგნით მე სუყველას გავუმკლავდები  
და ამ წიგნითვე პირდაპირ გზით სულთანთან წავალ.

მ ო რ ჩ ი ლ ი

უფალმა ხელი მოგიმართოთ! დროა, დავშორდეთ.

ნ ა თ ა ნ ი

ერთხელაც კი არ შეგივლიათ რეხასთვის თვალი.  
მამუ მალე მოდით, უფრო ხშირად იარეთ ხოლმე.  
ოლონდაც დღეს კი ვერ შეიტყოს ეს პატრიარქმა.  
მაგრამ რა დიდი საქმე არის! თუნდაც უთხარით  
დღესვე, რაც გნებავთ.

მ ო რ ჩ ი ლ ი

მე არ ვეტყვი. მშვიდობით, ნათან!  
(მიღის.)

ნ ა თ ა ნ ი

კეთილო ძმაო, შეეცადეთ, არ დაგვივიწყოთ!  
ოჰ, ღმერთო ჩემო! რად არ ძალმიძს. ახლავე. აქვე,  
ამ ღია ცის ქვეშ შენს წინაშე მუხლთ მოვიყარო!  
ლამის გაიხსნას თავისთავად კვანძი, რომელიც  
ხშირად მაკრთობდა! რა ლალად ვგრძნობ თავს, ღმერთო ჩემო,

რომ მე დღეიდან არაფერი ამ ქვეყანაზე  
ალარ მექნება დამალული, რომ შემეძლება  
ადამიანთა წინაშეც აწ გულწმინდად წარვსდგე,  
ისე ვით შენს წინ. შემოქმედო, შენ, ერთადერთი,  
არ განსჯი ხოლმე ადამიანს იმ საქმის გამო,  
რომელიც თვით მან ალასრულა, რადგანაც უწყი,  
რომ ის ამ საქმეს ჩადის ხშირად თვის უნებურად.

### გამოსვლა მხეშთი

ნ ა თ ა ნ ი და რ ა ი ნ დ ი, რომელიც მას გვერდიდან მიუახლოვდება

რ ა ი ნ დ ი

ჰე. შეიცადეთ, ნათან, ნათან! ჩეც წამიყვანეთ!

ნ ა თ ა ნ ი

მანდ ვინ იძახის? თქვენ, რაინდო? სად ბრძანდებოდით,  
რომ სალადინთან ვერა გნახეთ?

რ ა ი ნ დ ი

ერთმანეთს ავცდით,

ნუ გამიწყურებთ.

ნ ა თ ა ნ ი

არ გიწყურებთ, პაგრამ სულთანნი...

რ ა ი ნ დ ი

ის-ის იყო, რომ წამოხვედით..

ნ ა თ ა ნ ი

მამ ესაღვრეთ?

ეს კი კარგია.

რ ა ი ნ დ ი

მაგრამ მას სურს, რომ ჩვენ ორივე  
ერთად გვნახოს და გვესაუბროს.

ნ ა თ ა ნ ი

მით უკეთესი  
ისედაც მასთან მივდიოდით. წავიდეთ ერთად.

რ ა ი ნ დ ი

ხომ შემიძლია გკითხოთ, ნათან, ვინ იყო, აქ რომ  
დაგემშვიდობათ?

ნ ა თ ა ნ ი

რატომ არა. არ იცნობთ თქვენ მას?

რ ა ი ნ დ ი

ეგ ხომ არ არის ის კეთილი მორჩილი, ვინაც  
ემსახურება ჩვენს პატრიარქს, როგორც ჯაშუში?

ნ ა თ ა ნ ი

შესაძლო არის. დიახ, დიახ, იგი პატრიარქს  
ემსახურება.

რ ა ი ნ დ ი

ცუდი ფანდი არ უნდა იყოს:  
ოინბაზობას წაუმძღვარო მიამიტობა.

ნ ა თ ა ნ ი

ჰო, სულელური, მაგრამ არა ღვთისმოშიშარი.

რ ა ი ნ დ ი

ღვთისმოშიშობა პატრიარქებს არა სწამთ ხოლმე.

ნ ა თ ა ნ ი

თავდებად ვდგები, რომ მაგგვარი არ არის იგი  
და არ გაუწევს დახმარებას თავის პატრიარქს  
უხამს საქმეში.

რ ა ი ნ დ ი

ჰო, ასე ჩანს ერთი შეხედვით.  
მაგრამ მას ჩემზე არაფერი არ უთქვამს თქვენთვის?

ნ ა თ ა ნ ი

თქვენზე? პირადად თქვენზე იმას ერთი სიტყვაც კი  
არ დასცდენია, ამასთან ხომ საეჭვოც არის,  
თქვენი სახელი რომ იცოდეს? -

რ ა ი ნ დ ი

საეჭვო არის.

ნ ა თ ა ნ ი

თუმც მართალია, ერთ რაინდზე მელაპარაკა.

რ ა ი ნ დ ი

მაინც რა გითხრათ?

ნ ა თ ა ნ ი

რასაც იგი ვერას დიდებით  
ვერ იფიქრებდა თქვენს შესახებ, რალა თქმა უნდა!

რ ა ი ნ დ ი

ვინ იცის! რა თქვა? მომიყვით, გამაგებინეთ.

ნ ა თ ა ნ ი

რომ იმ რაინდმა დამასმინა მე პატრიარქთან...

რ ა ი ნ დ ი

თქვენ დაგასმინათ? უცრუვინა მის მოწყალებას...

მისმინეთ, ნათან! მე არა ვარ ისეთი კაცი,

ჩემს საქციელზე რომ მჩვეოდეს ხელის აღება.

რაც ჩავიდინე, ჩავიდინე! არც ისეთი ვარ,

რომ გავამართლო ყველა ჩემი ნამოქმედარი

და, როგორც კარგი საქციელი, ეტკიცედ დავიცვა.

რად უნდა შემრცხვეს შეცდომისა? განა არა მაქვს

მტკიცე განზრახვა, ის სასწრაფოდ გამოვასწორო?

ხომ კარგად ვიცი, რომ ამნაირ გულწრფელ განზრახვას

სადამდეს ძალუძს მიიყვანოს ადამიანი?

მისმინეთ, ნათან: ის შეტადრე მე ვარ, რომელმაც,

ვით ბერმა უითხრათ, დაგასმინათ თქვენ პატრიარქთან.

თქვენც კარგად უწყით, ასერიგად რამ აღმაშფოთა

და რამაც სისხლი ამიდულა, ჭკვა დამიბნელა!

მე სულელი ვარ!.. თქვენთან მოველ იმ განზრახვითა,

ვით მშობელ მამას გულმხურვალედ გადაგხვეოდით,

და როგორ შემხვდით, რარიგ ცივად, რარიგ გულგრილად,

გულგრილობას კი გულცივობა სჯობია ისევ.

როგორ ცდილობდით ჩემს თავიდან ჩამოცილებას,

რარიგ მიხვეულ-მოხვეულად მაძლევდით პასუხს

ანაზღეულად გამოგონილ შეკითხვებითა.

ახლაც არ ძალმიძს გავიხსენო ეს დამშვიდებით...!

მისმინეთ, ნათან! ის-ის იყო, თქვენ რომ წახვედით,

მთლად აღელვებულს მომეპარა უცბად დაია

და მან თავისი საიდუმლო შემატყობინა,

როშელიც ახსნად მივიჩნიე თქვენი ასეთი

გამოუცნობი საქციელის.

ნ ა თ ა ნ ი

როგორ?

## რ ა ი ნ დ ი

მისმინეთ!

წარმოვიდგინე, რომ არ გინდათ თქვენ დაანებოთ  
ქრისტიანისგან წაყვანილი ისევ ქრისტიანს.  
პოლა, ვიფიქრე, ერთი კარგად, დაუყოვნებლივ  
გამომელადრა თქვენთვის ყელი პირბასრი დანით.

## ნ ა თ ა ნ ი

კარგად? მერედა, აქ სიკარგეს რალაში ხედავთ?

## რ ა ი ნ დ ი

მისმინეთ, ნათან! რა თქმა უნდა, ცუდად მოვიქეცე!  
თქვენ არაფერში არ მიგიძღვით დანაშაული!  
ხოლო დაიამ, იმ სულელმა, თვითონ არ იცის,  
რას ლაპარაკობს. მას თქვენ სძულხართ და ამიტომაც  
ეს ქალი ცდილობს, ცუდ საქმეში გაგხვიოთ ამით.  
ვინ იცის, იქნებ ასეც იყოს!.. მეც ტუტუტუც ვარ,  
გადაჭარბება ვიცი ხოლმე უკიდურესი:  
ხან ძალიან ბევრს გავაკეთებ, ხან ძალზე ცოტას,  
იქნება ესაც ასე იყოს! ბოდიში, ნათან!

## ნ ა თ ა ნ ი

რალა თქმა უნდა, რაკი ასე გამიგეთ, ყრმაო...

## რ ა ი ნ დ ი

პოლა, მე ვიყავ პატრიარქთან, მაგრამ თქვენ სულ არ  
მისხენებინხართ. სიცრუეა ეგ ყველაფერი,  
როგორც უკვე ვთქვი. მე, საერთოდ, მოვუყევე იმას  
ერთი შემთხვევა, რათა მისი აზრი გამეგო.  
რალა თქმა უნდა, არც ეს იყო დიდად საჭირო:  
მე ხომ ვიცოდი პატრიარქის ოინბაზობა?  
განა მე თვითონ არ შემეძლო პირადად თქვენთან  
მოთათბირება? რატომ იყო გარდაუვალი,  
რომ რენასათვის შემემთხვია უბედურება  
ასეთი მამის მოცილებით? რა გამოვიდა?  
გაიძვერობამ პატრიარქის, რაც ჩემთვის მუდამ  
ცნობილი იყო, უფრო მალე. უფრო მოკლე გზით  
გონება ისევ დამიბრუნა. მისმინეთ, ნათან!  
გთხოვთ, ყოველივე მომისმინოთ: თუნდაც დაგუშვათ,  
თქვენი სახელი იცოდეს მან, მერედა, ამით

ის იმაზე მეტს რაღას იზამს, რაღას დაგაკლებთ?  
მას ძალუძს მხოლოდ, რომ წაგართვათ ეს ქალიშვილი,  
თუ იგი მარტო თქვენ გეკუთვნით და სხვას არავის.  
მას ძალუძს იგი წაიყვანოს თქვენი სახლიდან  
მხოლოდ დედათა მონასტერში და იქ ჩაკეტოს.  
მაშ მე მომეცით! მომეცით ის და მერე დაე  
მოვიდეს თვითონ პატრიარქი და მაშინ ვნახოთ,  
როგორ წამართმევს ჩემს მეუღლეს. ნომეცით ოღონდ.  
ახლავ მომეცით! თქვენი არის იგი თუ არა,  
ქრისტიანი თუ ებრაელი, თუნდაც არც ერთი!  
ეგ სულ ერთია ჩემთვის, დიახ, ეგ სულ ერთია!  
არც ახლა და არც არასოდეს ჩემს სიცოცხლეში  
ამის შესახებ არას გკითხავთ. რაც არის, არის.

ნ ა თ ა ნ ი

აღბათ გგონიათ, რომ დამალვა ჭეშმარიტების  
ძლიერ საჭირო არის ჩემთვის?

რ ა ი ნ დ ი

რაც არის, არის!

ნ ა თ ა ნ ი

მე ხომ არც თქვენთვის და არც სხვისთვის, თუკი ვისთვისმე  
ამისი ცოდნა საჭიროა, არ დამიმაღლავს,  
რომ რეხა არის ქრისტიანი და ამავე დროს  
ნაშვილებია იგი ჩემი და არა შვილი.  
და თუ ეს მისთვის ჯერ კიდევ არ გამიმხელია,  
ამაზე მხოლოდ მასთან მმართვეს ბოდიშის მოხდა.

რ ა ი ნ დ ი

არც იმასთანა გმართებთ, ნათან. რა საჭიროა,  
ამიერიდან სულ სხვა თვალთ შეგხედოთ რეხამ!  
ნუ, ნუ გაუმხელთ სიმართლესა! და მანამ, ვიდრე  
ეს ქალიშვილი თქვენ გეკუთვნით, მომეცით იგი!  
მომეცით, ნათან, გვედრებით, მარტოოდენ მე  
შემიძლია და მსურს კიდევაც, რომ იგი თქვენთვის  
მეორედ ვიხსნა.

ნ ა თ ა ნ ი

თქვენ შეგეძლოთ! დიახ, შეგეძლოთ!  
მაგრამ ახლა ეს აღარ ძალგძიძთ. დაგაგვიანდათ.



რ ა ი ნ დ ი

დაჰაგვიანდა?

ნ ა თ ა ნ ი

ვუმადლოდეთ უნდა პატრიარქს...

რ ა ი ნ დ ი

პატრიარქს? რაო? ვუმადლოდეთ? მერედა, რისთვის?  
დაიმსახურა მან რითიმე ჩვენი მადლობა?  
რაზე? რისათვის?

ნ ა თ ა ნ ი

იმისათვის, რომ ახლა ვიცით,  
ვინ არის რეხას ნათესავი და ისიც ვიცით,  
ვის ხელშიც მისი გადაცემა საიმედოა.

რ ა ი ნ დ ი

ის უმადლოდეს, ვინაც უფრო მეტად იქნება  
პატრიარქისგან რაიმეთი დავალებული.

ნ ა თ ა ნ ი

საჭირო არის აწ იმისგან ითხოვოთ რეხა  
და არა ჩემგან.

რ ა ი ნ დ ი

საცოდავო, საბრალო რეხა!

რა არ დაგატყდა თავს, საბრალოვ! რაც სხვა ობლისთვის  
ბედნიერება იქნებოდა, ის ახლა შენთვის  
უბედურება უნდა იყოს. მაშ სად არიან  
ნათესავეები მისი?

ნ ა თ ა ნ ი

სადა?

რ ა ი ნ დ ი

ან ვინ არიან?

ნ ა თ ა ნ ი

ნათესავეთაგან ჯერ, სახელდობრ. მისი ძმა ვპოვეთ:  
და თქვენ მოგიწევთ, რომ მას სთხოვოთ რეხას ხელი.

რ ა ი ნ დ ი

ძმა?

ვინ არის ეს ძმა? ჯარისკაცი არის იგი თუ

სამღვდელს პირი? გევედრებით, გამაგებინეთ,  
რისი იმედი უნდა მქონდეს?

ნ ა თ ა ნ ი

ვგონებ, არც ერთი

და არც მეორე, ან, იქნება, ორივეცაა.  
კარგად არ ვიცნობ.

რ ა ი ნ დ ი

მანც?

ნ ა თ ა ნ ი

კარგი კაცია თურმე,

რეხას იმასთან არაფერი დაუშავდება.

რ ა ი ნ დ ი

ქრისტიანია? მომიტევეთ, ნუ მიწყენთ, ნათან,  
ზოგჯერ არც ვიცი, თუ რა უნდა ვიფიქრო თქვენზე.

ქრისტიანებში ხომ მოუწევს, უეჭველია,  
რომ ქრისტიანი ქალის როლი გაითამაშოს?

და ნუთუ ბოლოს, ამ ხანგრძლივი თამაშის შემდეგ,  
არ გადიქტევა იმად, რასაც ის თამაშობდა?

იმ სუფთა მარცვალს, რომელიც მის სულში დასთესეთ,  
ბოლოს მთლიანად სარეველა არ გადაჰფარავს?

ეს კი თქვენ, ნათან, არცთუ ისე დიდად გაწუხებთ?

და შეიძელით გეთქვათ ამის მიუხედავად,  
რომ რეხას ძმასთან არაფერი დაუშავდება?

ნ ა თ ა ნ ი

ასე მგონია! იმედი მაქვს! და თუ რაიმე  
გაუჭირდება რეხას ძმასთან, მაშინ მე და თქვენ  
რალას ვაკეთებთ?

რ ა ი ნ დ ი

მართალსა ბრძანებთ. ო, აბა რალა

გაუჭირდება თავის ძმასთან! განა ის რეხას  
საკმარისად, უხვად არ მიაწვდის საჭმელს, ტანსაცმელს,  
ტკბილეულობას და ამასთან მრავალ სამკაულს?

ან სხვა რამ კიდევ საჭიროა დაიკოსათვის?

ო, მართალია, მეუღლეს ხომ საჭირო არის...

მერე რა უშავს, თავის დროზე ძამიკო ქმარსაც

გამოუნახავს, ვით ეს მუდამ იციან ხოლმე,  
ნამღვილ ქრისტიანს, სანიმუშოს, საუკეთესოს.  
რა ანგელოზი შეჰქმენით თქვენ, ო, ნათან, ნათან,  
სხვები კი როგორ შერყვნიან მას და წაახდენენ.

ნ ა თ ა ნ ი

არა უჭირს რაი იგი მაინც ღირსი იქნება  
შემდგომშიც ჩვენი გულითადი სიყვარულისა.

რ ა ი ნ დ ი

არა. ნუ იტყვით, ნურას იტყვით ჩემს სიყვარულზე!  
რადგან არაფერს, სულ არაფერს არ დასთმობს იგი,  
არც უმნიშვნელო, მცირე რამეს, არც ერთ სახელსა!  
მაგრამ მოიცათ!.. რეხამ უკვე აიღო ეჭვი,  
მის თავს რაც არის?

ნ ა თ ა ნ ი

მე მგონია, მაგრამ არ ვიცი.

რა გზით შეიტყო.

რ ა ი ნ დ ი

არც მე ვიცი მაგაზე მეტი.

მაგრამ, რაც ელის, დე პირველად ჩემგან შეიტყოს.  
მასთან შეხვედრა არ მინდოდა, არც საუბარი,  
ვიდრე მას „ჩემს“ არ ვუწოდებდი. ახლა კი უკვე  
გადავიფიქრე. შივიჩქარი.

ნ ა თ ა ნ ი

მოიცათ! საით?

რ ა ი ნ დ ი

რეხასთან ვნახო, მის ქალურ გულს თუ შესწევს ძალა,  
გამოიჩინოს ვაჟკაცობა, რათა გადადგას  
ეს ერთადერთი ღირსეული, სწორი ნაბიჯი.

ნ ა თ ა ნ ი

რომელ ნაბიჯზე ლაპარაკობთ?

რ ა ი ნ დ ი

რომ არასოდეს

აღარ იკითხოს არც თქვენზე და არც თავის ძმაზე.

ნ ა თ ა ნ ი

მერე?

რ ა ი ნ დ ი

გამომყვეს, თუნდაც ამით მაჰმადიანის  
ცოლი შეიქნეს.

ნ ა თ ა ნ ი

დარჩით, დარჩით! ვერ ნახავთ იმას.  
ზიტასთან არის იგი ახლა, დასთან სულთნისა.

რ ა ი ნ დ ი

ღიღი ხანია? იქ რად არის?

ნ ა თ ა ნ ი

და თუ თქვენ გნებავთ,  
რომ მასთან მისი ძმაცა ნახოთ, წავიდეთ ერთად.

რ ა ი ნ დ ი

ძმომ? ვისი ძმა? ზიტასია ის თუ რეხასი?

ნ ა თ ა ნ ი

ვინ იცის, იქნებ ორივესიც! წავიდეთ ოღონდ!  
(გაჰყავს რაინდი.)

### გამოსვლა მემკვსე

სცენა წარმოადგენს ოთახს ზიტას ჰარამხანაში.

ზ ი ტ ა და რ ე ხ ა საუბრით გართულნი.

ზ ი ტ ა

რარიგ მახარებ, ჩემო კარგო, ჩემო გოგონა!  
ნუ ხარ ახეთი მწყენილი, შეშინებული.  
ჯამხიარულდი, გამხნევედი და მომენდე უფრო.

რ ე ხ ა

პრინცესა...

ზ ი ტ ა

არა! დამიძახე უბრალოდ: ზიტა,  
შენი და... შენი მეგობარი... შენი დედოკო!..  
რა ჭკვიანი ხარ! რარიგ მორცხვი! რა ახალგაზრდა!  
რალა არ იცი, რა არის, რომ არ წავიკითხავს!

რ ე ხ ა

მე წამიკითხავს? ნუთუ ასე დასცინი, ზიტა,  
შენს ჭკუამოკლე დაიკოსა? წერა-კითხვა ხომ  
კარგად არც ვიცი.

ზ ი ტ ა

კარგად არა? შე მატყუარა!

რ ე ხ ა

მამის ხელნაწერს ვარჩევ მხოლოდ გაჭირვებითა.  
მე კი მეგონა, რომ წიგნებზე ლაპარაკობდი.

ზ ი ტ ა

ღიას, წიგნებზე, თავისთავად იგულისხმება.

რ ე ხ ა

წიგნის წაკითხვა, რა თქმა უნდა, გამიძნელდება.

ზ ი ტ ა

სერიოზულად ამბობ მაგას?

რ ე ხ ა

სერიოზულად.

მამაჩემს მშრალი მწიგნობრობა დიდად არ უყვარს:  
მკვდარი ნიშნები მისი მხოლოდ ჰფიტაგეო ტვინსა.

ზ ი ტ ა

რას ლაპარაკობ? ეს ტყუილი არ უნდა იყოს!  
და ის ბევრი რამ. რაც შენ იცი?..

რ ე ხ ა

ვიცი მე მხოლოდ

პირადად მისგან. შემიძლია ისიც მოგიყვე,  
თუ სად და როგორ მიაწავლა მან ესა თუ ისა.

ზ ი ტ ა

ცხადია, ეგრე უფრო უკეთ აღიქვამს კაცი  
და მთელი სული აითვისებს ყველაფერს უცბად.

რ ე ხ ა

ასე მგონია, ზიტაც წიგნებს ნაკლებად იცნობს.  
ან სრულებითაც არ კითხულობს.

ზ ი ტ ა

რატომ გგონია?

კითხვის სიყვარულს, მართალია, ვერ დავიჩემებ,  
მაგრამ შენ ეგრე რატომ ფიქრობ? მიზეზი მითხარ!

რ ე ხ ა

იგი ისეთი გულლია და უშუალოა  
და ისერიგად ჰგავს თავის თავს...

ზ ი ტ ა

რის თქმა გსურს მაგით?

რ ე ხ ა

წიგნები სპობენ ყველა ამის საშუალებას,  
ასე განმარტავს მამაჩემი.

ზ ი ტ ა

ო, მამაშენი

რარიგ კარგია, რა ძვირფასი აღამიანი!

რ ე ხ ა

ხომ მართალია?

ზ ი ტ ა

რარიგ სწორად მსჯელობს ყოველთვის!

რ ე ხ ა

მართალია, ხომ? მაგრამ, აი, ასეთი მამა...

ზ ი ტ ა

რა დაგემართა, გენაცვალე?

რ ე ხ ა

ასეთი მამა..

ზ ი ტ ა

ო, ღმერთო! სტირი?

რ ე ხ ა

ჰოდა, აი, ასეთი მამა...

ოპ! აღარ ძალმიძს, გული მიწდის, ჰაერი, ჩქარა...

(ქვითინით დაეცემა ზიტას ფერხით.)

ზ ი ტ ა

მითხარი, რეხა, ჩემო კარგო, რა მოგივიდა?

რ ე ხ ა

აი, ასეთი მამა უნდა... უნდა დაგკარგო...

ზ ი ტ ა

დაპკარგო? მამა? შერე როგორ? კჰარა, დაშვიდდი!  
ეგ არ მოხდება არასოდეს!.. წამოდექ ფეხზე!

რ ე ხ ა

ტყუილად ხომ არ მითხარი, რომ და ვარო შენი,  
მეგობარიო!..

ზ ი ტ ა

დიახ, დაც ვარ და მეგობარიც!  
ოლონდ ახლა კი წამოდექი, თორემ მომიწვევს,  
მოსაშველებლად ვინმეს ვუხმო.

რ ე ხ ა (წამოდგება გამხრვებული)

გ თხოვ მომიტეო!

მწუხარებამ სულ დამაკვიწყა, ვინცა ბრძანდები.  
ცრემლი, გოდება ზიტაზე ხომ არა მოქმედებს,  
იგი მხოლოდ ცივ, დამშვიდებულ გონებას უსმენს  
და ვინც ზიტასთან ამ გონებით იხელმძღვანელებს,  
ის უეჭველად მოიპოვებს გამარჯვებასაც!

ზ ი ტ ა

შერე, შერე რა?

რ ე ხ ა

არა, ჩემი და, მეგობარი  
არაგის მისცემს იმის ნებას, რომ მე ვიღაც სხვა,  
სულ უცხო მამა მომაკუთვნონ ძალდატანებით!

ზ ი ტ ა

სულ უცხო მამა? მოგაკუთვნონ? ვის შეუძლია?  
ან ვინ აპირებს ასეთ რამეს, ჩემო ძვირფასო?

რ ე ხ ა

ვის? ჩემს კეთილ და ამავე დროს ბოროტ დაიას  
შეუძლია და სურს კიდევაც. დიახ, ასეა!  
იქნებ არც იცნობ შენ დაიას? შეუნდე, ღმერთო!  
შიაგე მაღლი! მან მე ბევრი სიკეთე მიყო,  
ბევრი რამ ავიც!

ზ ი ტ ა

შენ და ავი? მაშ ის ნამდვილად  
კეთილი ქალი არ ყოფილა.

რ ე ხ ა

ნამდვილად არის.

ზ ი ტ ა

კინ არის იგი?

რ ე ხ ა

ქრისტიანი. მე მან აღწხარდა,  
პერედა, რარიგ მზრუნველობით! არ გჯერა განა?  
ისე, ვით დედამ! ო, სანაცვლო მიუზღოს ღმერთმა!  
ჰაგრამ თან რარიგ მაშინებდა და მაწამებდა!

ზ ი ტ ა

თან გაწამებდა? მერე რისთვის, რატომ, რის გამო?

რ ე ხ ა

ეს, საცოდავი, ხომ გითხარი, ქრისტიანია  
და სიყვარული უკარნახებს აწანოს სხეუბი.  
იცი? არიან ამნაირი მეოცნებენიც:  
იმათ ჰგონიან, რომ უფლისკენ მიმავალი გზა,—  
სწორი, ნამდვილი,— მხოლოდ მათთვის არის ცნობილი.

ზ ი ტ ა

ახლა კი მესმის.

რ ე ხ ა

და თავიანთ მოვალეობად  
მიაჩნიათ, რომ ვინც ოდესმე ამ გზას ასცდება,  
ყველა კვლავ მასზე დააყენონ. არც შეუძლიათ  
მათ სხვანაირად... რადგან ეს გზა ჰგონიან იმათ  
ერთადერთი და ჭეშმარიტი და როგორ ძალუძთ,  
ნცდარ გზაზე დამდგარ მეგობრებს რომ უტყვირონ მშვიდად,  
როდესაც ეს გზა მათ უქადის განადგურებას  
და მიაქანებს საუკუნო წაწყმედისაკენ.  
ეს ხომ იგივე გამოდის, რომ ადამიანი  
ერთ და იმავე დროს გიყვარდეს და გძულდეს კიდევაც.  
ახლა კი სულაც აღარ ვჩივი მე ამის გამო.



მისი ვედრება, ოხვრა, შფოთვა, ხვეწნა, ძუქარა  
მუდამ იოლი ასატანი იქნება ჩემთვის.  
სახალისოა, სასარგებლო ამაზე ფიქრი.  
ან რომელ ჩვენგანს არ იტაცებს იმის შეგნება,  
ამ ქვეყანაზე რომ არსებობს ისეთი ვინმე,  
ვინც ისე გვეტრფის, — ველარ იტანს იმაზე ფიქრსა,  
რომ შეიძლება სამუდამოდ დაგვკარგოს ჩვენა.

ზ ი ტ ა

ეგ მართალია!

რ ე ხ ა

მაგრამ... მაგრამ... ძალზე აჭარბებს!  
ვით გაუშკლავდე? მოთმინება აღარა მყოფნის;  
არც მოფიქრების უნარი მაქვს.

ზ ი ტ ა

ვის ან რას გინდა

რომ გაუშკლავდე?

რ ე ხ ა

მას, რაც ახლა მან გამიმჟღავნა.

ზ ი ტ ა

მან გაგიჟღავნა, თანაც ახლა?

რ ე ხ ა

ჰო, სწორედ ახლა.

მე და დანია აქეთკენ რომ გამოვემართეთ,  
გზაზე წავაწყდით ქრისტიანულ ტაძრის ნანგრევებს.  
იგი უეცრად შეჩერდა და მე მომეჩვენა,  
თითქოს რაღაცას ყოყმანობდა, თან ცრემლიანი  
თვალებით ხან მე შემხედავდა და ხანაც ზეცას.  
ბოლოს მან მითხრა, ნანგრევებზე გავიაროთ.  
წავიდა, გავყევ, თან შიშით თვალთ მიბნეულდებოდა.  
ისევ შეჩერდა საკურთხევლის საფეხურებზე.  
და იქ, ოჰ, ღმერთო! იცი, ზიტა, რა დამემართა,  
როცა დანია, ცხარე ცრემლით ატირებული,  
ჩემს წინ დაემხო, თან სიმწარით ხელებს იმტვრევდა?

ზ ი ტ ა

კეთილო ბავშვო!

## რ ე ხ ა

მაფიცებდა იგი მის სახელს,  
ვინც ამ ტაძარში მოისმინა მრავალი ლოცვა  
ადამიანთა, ვინც სასწაულს ახდენდა მრავალს,  
შემომცქეროდა თან ისეთი ღრმა სიბრალულით  
და ისერივად მაფიცებდა, მეხვეწებოდა,  
შემბრალეობდა ჩემი თავი ან ოდნავ მიანც  
შეუენდო მისთვის აღსარება, რომლითაც სურდა  
აეხსნა, თუ რა უფლებები გააჩნდა ჩემზე  
ქრისტიანულსა ეკლესიას.

## ზ ი ტ ა

(ო, უბედური!

წინასწარ ვგრძნობდი!..)

## რ ე ხ ა

მითხრა, თითქოს მე წარმოშობაა  
ქრისტიანი ვარ, მონათლული, თანაც დასძინა,  
ვითომც არა ვარ ღვიძლი შვილი ნათან ბრძენისა  
და არც ის არის ჩემი მამა! ოჰ, ღმერთო! ღმერთო!  
იგი არ არის ჩემი მამა!.. ო, ზიტა! ზიტა!  
ოსევ შენს ფერხთით...

## ზ ი ტ ა

არა, რეხა! აღექი ჩქარა!  
ჩემი ძმა აქეთ მობრძანდება! აღექი-მეთქი!

## ბ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ზ ვ ი დ ე

ს ა ლ ა დ ი ნ ი და ი გ ი ვ ე ნ ი.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რაშია საქმე? მითხარ. ზიტა!

ზ ი ტ ა

ოჰ, ღმერთო ჩემო!  
ეს გონებაზე აღარ არის მწუხარებისგან.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

და ეს ვინ არის?

ზ ი ტ ა

შენ ხომ იცი...

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ჩვენი ნათანის

ქალიშვილია? რეხა? მერე, რა დაემართა?

ზ ი ტ ა

გონს მოდი, ბავშვო! სულთანია!

რ ე ხ ა (თავაწწველად ჩოქვით მიცოცდება  
სალადინის ფეხებთან)

მე არ ავდგები!..

მანამდე არ მსურს დავინახო სახე სულთნისა,  
მანამდე ვნახო ანარეკლი დიად სიმართლის  
და სიკეთისა, მის თვალთაგან რომ გამოსჭვივის,  
და მის შუბლზე რომ აღბეჭდილა...

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ადექი, კმარა!

რ ე ხ ა

ვიდრე იგი არ შემპირდება...

ს ა ლ ა დ ი ნ ი

კარგი. გპირდები,  
რომ ყოველივე შეგისრულო, რასაც კი მონიხხვ.

რ ე ხ ა

არც მეტს, არც ნაკლებს არ მოვიხხვოვ. ოღონდაც ნამა  
შემინარჩუნოთ და მეც ისევ მამას მაკუთვნოთ.  
ჯერაც არ ვიცი, სხვას ვისა სურს. ვის შეუძლია,  
ჩემს მამად თავი მიიჩინოს. არც მსურს ვიცოდე.  
ნუთუ იმისთვის, რომ ნამდვილი ნამა შეიქნე,  
საჭირო არის უეჭველად მამობა სისხლით?  
მხოლოდ სისხლ-ხორციით?

ს ა ლ ა დ ი ნ ი (წამოაყენებს)

ჩემთვის უკვე გასაგებია!

ვინ იყო ასე უღმობელი, ასე სასტიკი.

რომ შენ ეგ აზრი ჩაგაგონა? მაგრამ ნამდვილად  
მართალი არის ეს ამბავი, დამტკიცებული?

რ ე ხ ა

ალბათ. რადგანაც დაიას ეს მთელი ამბავი  
ჩემი ძიძისგან გაუგია.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

შენი ძიძისგან?

რ ე ხ ა

ვითომდა ძიძა გამოუტყდა მას სიკვდილის წინ.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

აჰ, მომაკვდავი? შეიძლება ბოდავდა კიდევ?  
იქნებ მართალიც იყო ეგა, დაიხ, მართალიც!  
ვთქვით ასეც იყოს. მაგრამ სისხლი როდი გვხდის მამად  
თუნდაც ცხოველის მამობისთვის არ კმარა იგი!  
პირველ უფლებას იძლევა ის მამის წოდების  
მოსაპოვებლად — მეტს არაფერს. მამ ნუღარ შიშობ.  
იცო, რა გითხრა? როგორც კი ეს ორივე მამა  
ერთიმეორეს ჩხუბს დაუწყებს შენი გულისთვის,  
წამსვე ორივე მიატოვე და აირჩიე  
შესამე მამა!. მე მიმიღე შენს მამად მაშინ.

ზ ი ტ ა

ჰო, ასე ქენი! ასე ქენი!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

შენ ნამდვილ მამას

პოვებდი ჩემში! რა კარგ მამას! მაგრამ მოიცა!  
მე უფრო ბევრად უკეთესი რამ მოვიფიქრე:  
ერთი ნითხარი, ეს მამები რაში გჭირდება?  
მიიცვლებიან, შენ კი მარტოდმარტო დარჩები.  
არ გირჩევნია, გამონახო ისეთი ვინმე,  
რომელიც შესძლებს გაგიწიოს თანამგზავრობა  
ცხოვრების გზაზე? არავინ გყავს ჯერ შერჩეული?

ზ ი ტ ა

ნუ გააწითლე!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ჰოდა, სწორედ მეც ეგ მინდოდა.

სიწითლე გონჯსაც კი ამშვენებს და ლამაზი ხომ  
გაწითლებისგან მშვენიერი გახდება უფრო.

მე მამაშენი ნათანი და კიდეც სხვა ვილაც

აქ დაეიბარე. გამოიციან, აბა, ვინ არის?

აქა! ხომ ნებას დამრთავ. ზიტა?

ზ ი ტ ა

ძმაო!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მართლაც რომ

ძლიერ გაწითლდე მის წინაშე, ჩემო გოგონა?

რ ე ხ ა

ვისთან გავწითლდე?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

შე პატარა თვალთმაქცო, შენა!

თუკი არ მოგწონს გაწითლება, მაშინ გაფითრდი.

როგორც გენებოს, ვით შეგეძლოს!

(შემოდის მონა ქალი და ზიტასთან მიდის.)

აბა, მე მგონი.

მოვიდნენ კიდეც. ხომ ისინი არიან. არა?

ზ ი ტ ა (მონა ქალს)

კარგი, მოვიდნენ! დიახ, ძმაო. სწორედ ისინი.

გამოსვლა მერვე

ნ ა თ ა ნ ი, რ ა ი ნ დ ი და ი გ ი ე ნ ი.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

აა, კეთილო მეგობრებო! შენ, ჩემო ნათან,

პირველ ყოვლისა, მსურს ახლავე შეგატყობინო,

რომ შეგიძლია შენი ფული მაშინ მიიღო,

როცა ისურვებ.

ნ ა თ ა ნ ი

სულთანო!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ღ ა ა მ ი ე რ ი დ ა ნ

შეც შემიძლია გაგიმართო ხელი ყოველთვის.

ნ ა თ ა ნ ი

სულთანო!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ჩვენი ქარავანი მოვიდა უკვე.

კვლავ მდიდარი ვარ ისე, როგორც კარგა ხანია აღარ ვყოფილვარ. მოდი, მთხოვე, რამდენიც გნებავს, რაიმე დიდი საქმისათვის! ხომ კარგად ვიცი, თქვენც ხომ, ვაჭარ ხალხს, ისე არ იაქვთ ყოველთვის საქმე, ნაღდი ფული არ შემოგაკლდეთ.

ნ ა თ ა ნ ი

მაგ წვრილმანებზე

შემდეგ ვიმსჯელოთ, მე აქ მტირალ თვალებსა ვხედავ, და მათი ცრემლი რომ შევაშრო, ჩემი ვალია.

(მიღის რეხასთან)

სტიროლი? რაზე? რა გაწუხებს? შენ ხომ ჯერ ისევ ჩემი შვილი ხარ?

რ ე ხ ა

მამაჩემო!

ნ ა თ ა ნ ი

ჩვენ კარგად გვესმის

ერთმანეთისა. მამ გამხნევედი! დამშვიდდი! კმარა! ოღონდაც შენს გულს გაუფრთხილდი, ოღონდ სხვა რამის დაკარგვა მან არ გამოსცადოს! მამას არ ჰკარგავ!

რ ე ხ ა

სხვა არაფერი დასაკარგი მე არა მაქვს რა.

რ ა ი ნ დ ი

სხვა არაფერი? მამ შევმცდარვარ! რის დაკარგვასაც ჩვენ არა ვშიშობთ, ცხადი არის, იმისი ქონა არც გვიფიქრია არასოდეს, არ გვდომებია... რა ვუყოთ! რა ვქნათ! ნათან, ეს სცვლის უკვე ყველაფერს. შენი ბრძანებით გამოვცხადდით, სულთანო, ჩვენ აქ,

მაგრამ მე თურმე შეგაწუხებ ტყუილებრადლოდ —  
ამიერიდან ჩემთვის უკვე ნულარ ეცდები.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

როგორ აფეთქდი, ახალგაზრდავ, გაცხარდი ისევ!  
ნუთუ შენ უნდა ყველაფერი წინ შეგეგებოს,  
შენი საურვილი გამოიცნოს?

რ ა ი ნ დ ი

ხომ გაიგონე!

ხომ ნახე თვითონ!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მართალია!.. კარგი არ არის,  
შენს საქმეში რომ წინასწარ არ დარწმუნებულხარ.

რ ა ი ნ დ ი

სამაგიეროდ, ახლა უკვე ნათლად დავრწმუნდი.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ვინც ჩადენილი სიკეთისთვის ჯილდოს მოელის,  
იმას ხომ ანით ესე სიკეთე უკანვე მიაქვს.  
გადაარჩინო, როდი ნიშნავს. რომ მიიკუთვნო.  
სხვაგვარად თვითონ ყაჩაღიც კი, რომელსაც თვისი  
გაუმაძღრობა ცეცხლში აგდებს. დიას. ისიც კი  
შეგედავება გმირობაში.

(გაემართება რეხასკუნ. რათა იგი რაინდთან მიიყვანოს.)

წამოდი, შევილო!

მოდო! ნუ დასჯი მას ამგვარი სიფიცხის გამო;  
ასე ამაყი და ფიცხი რომ არ ყოფილიყო.  
მაშინ შენც ალბათ ვერ გიხსნიდა. რაც არის. არის.  
ჰოდა, ეს ერთი მეორეში გამოუქვითე.  
მაშ მოდი, იგი შეარცხვინე! შენ გააკეთე  
ის, რაც მას უნდა თვითონ ექნა. მიღო, აუხსენ  
და შესთავაზე სიყვარული აწ გულახდილად.  
მაგრამ თუ იგი უარს ვეიტყვის და დაივიწყებს,  
რომ ამ ნაბიჯით მტეს აკეთებ შენ იმისათვის,  
ვიდრე მან შენთვის გააკეთა... და აწ კი რომ ვთქვათ,  
მანაც აბა რა გააკეთა შენი გულისთვის,  
რაკი ცოტათი შეიმჭვარტლა? დიდი ამბავი!  
ო, თუ ასეა, მაშინ მასში ჩემი ასადის

ბევრი რამ აღარ დარჩენილა: მხოლოდ სახით ჰგავს  
იგი ასადის, არა გულით!.. აბა, ძვირფასო!..

ზ ი ტ ა

ჰო, მიდი, მიდი, გენაცვალე, ამითი მხოლოდ  
შენი მადლობის მცირე ნაწილს მაინც გადიხდი,  
სულ უმნიშვნელოს.

ნ ა თ ა ნ ი

შესდექ, ზიტა! შესდექ, სალადინ!

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ახლა შენც?

ნ ა თ ა ნ ი

კიდევ ერთ ვილაცას შეუძლია აქ  
თავისი აზრი მოგვახსენოს.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მერედა, ამას

განა უარყოფს ვინმე, ნათან? აზრის გამოთქმის  
უფლება შენ გაქვს და პირველი ხმაც შენ გეკუთვნის,  
როგორც მამობილს, თუ ისურვებ... თვითონვე ხედავ,  
რომ ვიცი, საქმე რაშიც არის.

ნ ა თ ა ნ ი

არცთუ მთლიანად.

ჩემზე არაფერს ვლაპარაკობ, სულ სხვაზე ვამბობ.  
მე ვთხოვთ, სალადინ, რომ პირველად მას მოუსმინოთ.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ეგ ვინდა არის?

ნ ა თ ა ნ ი

რეხას ძმია.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რაო? რეხას ძმა?

ნ ა თ ა ნ ი

ღიახ!

რ ე ხ ა

ჩემი ძმა? მაშ მე ძმა მყავს?



რ ა ი ნ დ ი (ღრმა ფიქრებიდან გამოერყევა)

მერე სად არის?

სად არის ეს ძმა? ნუთუ ჯერ არ მოსულა კიდეც?

მას ხომ აქ უნდა შევხვედროდი.

ნ ა თ ა ნ ი

გთხოვთ, მოითმინოთ!

რ ა ი ნ დ ი (უარესი სიმწარით)

მამა ხომ უკვე მოუძებნა და განა ძმას კი

ველარ უბოვის?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ეგლა გაკლდა! ეჰ, გიაურო!

ემადგავარი საზიზლარი ეჭვი არასდროს,  
არაფრის გზით არ დასცდებოდა ასადის ბაგეს...

კარგი! განაგრძე!

ნ ა თ ა ნ ი

მიუტევე, სულთანო, ჭაბუკს!..

მე ყოველივე მივუტევე დიდი ხალისით.

ვინ იცის, ჩვენც რომ ვიყოთ ახლა მაგის ადგილას,

ან მატის ხნისა, რას ვიზამდით, რას ვიფიქრებდით.

(შეგობრულად მიუახლოვდება რაინდს.)

ხედავთ, რაინდო, უნდობლობას თან მოსდევს ეჭვი!..

თქვენი ნამდვილი სახელი რომ შეგვატყობინოთ...

რ ა ი ნ დ ი

როგორ?

ნ ა თ ა ნ ი

თქვენ არ ხართ შტაუფენი!

რ ა ი ნ დ ი

მაშ ვინ ვარ, აბა?

ნ ა თ ა ნ ი

თქვენი სახელი, თქვენი გვარი სულაც არ არის

კურდ შტაუფენი.

რ ა ი ნ დ ი

მაშ რა შევია?

ნ ა თ ა ნ ი

ლეო ფონ-ფილნეკ.

რ ა ი ნ დ ი

რაო?

ნ ა თ ა ნ ი

თქვენ გიკვირთ?

რ ა ი ნ დ ი

არც ტყუილად. ვინ ამბობს მაგას?

ნ ა თ ა ნ ი

მე ვლაპარაკობ, ვისაც მეტის თქმაც ძალმიძს კიდეც.  
აუშუპ არ გაბრალებთ, რომ იცრუეთ.

რ ა ი ნ დ ი

არა?

ნ ა თ ა ნ ი

რადგანაც

ისიც ძალგიძთ, რომ შტაუფენად იწოდებოდეთ.

რ ა ი ნ დ ი

მეც მაგას ვფიქრობ! — (მის ბავით ღმერთი მეტყველებს!)

ნ ა თ ა ნ ი

დედათქვენი ხომ შტაუფენთა გვარს ეკუთვნოდა.  
მისი ძმა ანუ ბიძათქვენი, ვინც თქვენ აღგზარდათ  
და რომელთანაც დაგტოვეს თქვენ მშობლებმა, როცა  
იძულებულნი გახდნენ ისევ აქ მოსულიყვნენ,  
შეწუხებულნი გერმანიის მკაცრი ბუნებით,  
აი ის თქვენი ბიძა იყო კურდ შტაუფენი  
და მან შეძლეგში აღბათ უკვე გიშვილათ კიდეც.  
დიდი ხანია, რაც აქა ხართ ბიძათქვენი თურთ?  
ხომ ცოცხალია ის ჯერ კიდეც?

რ ა ი ნ დ ი

რა გითხრათ, ნათან!

სწორედ ასეა! ბიძაჩემი გარდაიცვალა.

მე კი ორდენის უკანასკნელ რაზმს გამოვყვივი

პალესტინისკენ. მაგრამ, მაგრამ... ყველაფერ ამას  
რა კავშირი აქვს რეხას ძმასთან?

ნ ა თ ა ნ ი

ჰმ! თქვენი ნამა...

რ ა ი ნ დ ი

მამაჩემიო? რაო? მასაც... მასაც იცნობდით?

ნ ა თ ა ნ ი

ის მეგობარი იყო ჩენი.

რ ა ი ნ დ ი

რა? მეგობარი?

ნათან! ნუთუ ეს მართალია?!

ნ ა თ ა ნ ი

ცოლფ ფონ ფილნეკი  
ერქვა მამააქვენს, თუმც არ იყო ის გერმანელი.

რ ა ი ნ დ ი

მაშ ეგვც იცით?

ნ ა თ ა ნ ი

გერმანელი ქალი შეირთო  
და სულ ცოტა ხნით გაჰყვა იმას გერმანიაში.

რ ა ი ნ დ ი

ოჰ, კმარა, კმარა, გევედრებით! მაგრამ რეხას ძმა?  
ნათან. მისი ძმა?

ნ ა თ ა ნ ი

ეს თქვენა ხართ!

რ ა ი ნ დ ი

მე? მე რეხას ძმა?

რ ე ხ ა

ეს ჩემი ძმაა?

ზ ი ტ ა

და-ძმა არის?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

და-ძმა ყოფილა!  
რ ე ხ ა (სურს მიგვირას რაინდს)

აპ, ჩემო ძმაო!

რ ა ი ნ დ ი (უკან იხევს)

მე რეხას ძმა!

რ ე ხ ა (შეჩერდება და ნათანს მიუბრუნდება)  
ო, არა, არა!

ეგ არაფრით არ შეიძლება! მაშინ ხომ გული  
უგრძნობდა ამას!.. ახლა კი ვართ მატყუარები.  
ოპ, ღმერთო ჩემო!

ს ა ლ ა დ ი ნ ი (რაინდს)

მატყუარა? შენ ასე ფიქრობ?

შეგიძლია ეს გაიფიქრო? თვით მატყუარავ!..

სუყველაფერი სიცრუეა, რაც კია შენში:

ხმა, გარეგნობა, სიარული მოპარული გაქვს  
და ასეთ დაზეც უარს ამბობ? გასწი აქედან!

რ ა ი ნ დ ი (წყნარად მიუახლოვდება ხალაღის)

ჩემს განცვიფრებას ნუ განმარტავთ, სულთანო, ცუდად:  
შენს ასადსაც რომ განეცადა ისეთი წამი,  
როგორსაც მე ვგრძნობ, იმასაც ვერ იცნობდი, ალბათ.  
(მიაშურებს ნათანს.)

ნათან, თქვენ ამით მე ბევრს მართმევთ, მაგრამ ბევრს მაძლევთ,  
ო, გაცილებით უფრო მეტსა, გაცილებით მეტს.

(ეხვევა რეხას.)

ძვირფასო დაო! დაო ჩემო!

ნ ა თ ა ნ ი

ბლანდა ფილნეკი.

რ ა ი ნ დ ი

ბლანდა? მაშ ბლანდა? ასე ამბობთ? და არა რეხა?  
მაშ, თქვენი რეხა აღარ ჰქვია? ოპ, ღმერთო! ღმერთო!

თქვენ გინდათ მასზე უარი სთქვათ? კვლავ ქრისტიანის  
სახელი უნდა დაუბრუნოთ? ჩემი გულისთვის  
უარყოფთ თქვენ მას! ნათან! ნათან! ოჰ, რისთვის უნდა  
დაისაჯოს ის? აბა რისთვის?

ნ ა თ ა ნ ი

მერე რა მოხდა!

ჩემო შვილებო! ძვირფასებო! ჩემი შვილის ძმაც  
ხომ ჩემი შვილი უნდა იყოს... თუ მოისურვებს?

(ვიდრე ნათანი მათ ეხვევა, სალაღინი მოუსვენარი გაოცებით მიღის ზიტასთან.)

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რას იტყვი, დაო?

ზ ი ტ ა

ამიჩუყდა ამ ამბით გული.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მეც, და თან ვშიშობ, გული უფრო არ აგვიჩუყდეს,  
რამდენადაც კი შეგიძლია, შენ ამისათვის  
მზად იყავ.

ზ ი ტ ა

რაო?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ნათან! ერთი სიტყვა მაქვს თქვენთან!..

(ნათანი სალაღინისკენ გაემართება, ზიტა კი თანაგრძნობის გამომეტყველებით  
მიღის და-ძმასთან. ნათანი და სალაღინი ხმადაბლა ლაპარაკობენ.)

მისმინე, ნათან! წელან მგონი ასე სთქვი...

ნ ა თ ა ნ ი

რა ვთქვი?..

ს ა ლ ა დ ი ნ ი

რომ რეხას მამა არ იყოო გერმანიიდან  
და გერმანელიც არ ყოფილა შთამომავლობით.  
მამ ვინდა იყო, ან სად იყო დაბადებული?

ნ ა თ ა ნ ი

ამას ჩემთანაც კი მალავდა. ერთი სიტყვაც კი  
არ უთქვამს ამის თაობაზე. სულთანო, ჩემთვის.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

მაგრამ ის ფრანკი. ევროპელი ხომ არ ყოფილა?

ნ ა თ ა ნ ი

ო, არა, ამას იგი სულაც არა მალავდა,  
ყველა სხვა ენას მას სპარსული ენა ერჩივნა.

ს ა ლ ა დ ი ნ ი

სპარსული. არა? სპარსული ხომ? სხვა რაღა მინდა?  
ის არის! ისა!

ნ ა თ ა ნ ი

ვინ ის არის?

ს ა ლ ა დ ი ნ ი

ვინ და, ჩემი ძმა!

უეჭველია! უეჭველი! ჩემი ასადი!

ნ ა თ ა ნ ი

რადგან შენ თვითონ უკვე მიხვდი, აი. დასტურიც.  
(გაუწოლებს კონდაკს.)

ს ა ლ ა დ ი ნ ი (სწრაფად გადამოს წიგნს)

აჰ! მისი ხელი! დიახ! დიახ! ასადის ხელი!

ნ ა თ ა ნ ი

მათ არაფერი არ იციან ამის შესახებ!  
თვითვე განსაჯე. შეიტყონ ეს იმათ თუ არა.

ს ა ლ ა დ ი ნ ი (ფურცლავს წიგნს)

მე უარი ვთქვა ძმისწულებზე? ჩემს ძმისწულებზე?  
ჩემი შვილები უარცყო და შენ დაგიტოვო?

(კვლავ ხმამალა)

აგერ ისინი! გესმის, ზიტა? ისინი-მეთქი!  
ჩვენი ასადის ნაშიერნი, მისი ქალ-ვაჟი!

(სასწრაფოდ მივა მათთან და ეხვევა)

ზ ი ტ ა (თან მისდევს)

ო, ეს რა შესმის!.. ან სხვაგვარად ვით იქნებოდა!

ს ა ლ ა დ ი ნ ი (რაინდს)

ახლა კი უნდა შემეყვარო, ჯიუტო კაცო!

(რუხას)

მამაშენობას გცდილობდი და ნამდვილად გავხვდი.

გინდა თუ არა?

ზ ი ტ ა

მეც ასევე!

ს ა ლ ა დ ი ნ ი (ისევ რაინდს)

ო, ჩემო შვილო!

ძვირფასო ჩემო ასად! საყვარელი ასადის შვილო!

რ ა ი ნ დ ა

მამ, როგორცა ჩანს, ჩემს ძარღვებში ჩქეფს შენი სისხლი,

და ის სიზმრები, ოდესღაც რომ მინანულებდნენ

ჩემს ბავშვობაში, არ ყოფილან მხოლოდ სიზმრები.

(ეკემა მის ფერხთით)

ს ა ლ ა დ ი ნ ი (წამოაყენებს)

ერთი შეხედეთ ამ ყაჩაღსა! ამის შესახებ

სცოდნია რაღაც და არ მითხრა. კინალამ ჩემი

ძმისწულის მკვლელი არ გამხადა. დამაცა ერთი!

(ყველა უსიტყვოდ ეხვევა ერთმანეთს; ეშვება ფარდა.)





# შპს ბენეფიცი



თსსტმსნი  
მთსს  
ჯინმსნი





## „ფაუსტის“ მასალები

### 1. „წერილები უახლესი გერმანული ლიტერატურის შესახებ“

წერილი მეჩვიდმეტე

1759 წ. 16 თებერვალი.

„არავინ დაიწყებს იმის უარყოფას, — ირწმუნებიან „ბიბლიო-თეკის“ ავტორები, — რომ გერმანული სცენა ახლახანს შემოღებულ გაუმჯობესებათა უდიდეს ნაწილს ბატონ პროფესორ გოტშედს უნდა უმაღლოდეს“.

მე გახლავართ ეს „არავინ“, მე სწორედ რომ უარყოფ ამას. უნდა გვენატრა, რომ ბატონი გოტშედი არასოდეს არ შეხებოდა თეატრს. მისი მოჩვენებითი გაუმჯობესებანი ზედმეტ წვრილმანებს შეეხებიან, ანდა ნამდვილ გაუარესებებს წარმოადგენენ.

როდესაც ქალბატონი ნოიბერი ჰყვოდა და ესოდენ ბევრნი თვლიდნენ თავს ვალდებულად მისთვისაც და სცენისათვისაც გაეწიათ სამსახური, ჩვენი დრამატიული პოეზია მართლაც რომ სავალალო სანახაობას წარმოადგენდა. არ იცნობდნენ არავითარ წესებს, არ ზრუნავდნენ არავითარ ნიმუშებზე. ჩვენი „ისტორიული და საგმირო წარმოდგენები“ აღსავეს იყო სისულელით, მაღალფარდოვანებით, სიბინძურითა და ტლანქი ოხუნჯობით. ჩვენი „კომედიები“ შედგებოდა გადაცმებისა და ჯადოქრული გარდაქცევებისაგან, ხოლო უბასრეს გონებამახვილებად მათში ცემა-ტყევა ითვლებოდა. ამ დაცემულობის მიხედრას არ სჭირდებოდა უმახვილესი და უძლიერესი გონება. და ბატონი გოტშედი პირველი არ ყოფილა, რომელიც მას მიუხვდა; იგი მხოლოდ პირველი იყო, რომელმაც ირწმუნა, რომ საკმარისი ძალა შესწევდა, რათა ამ უბედურებისათვის ეშველა. შავრამ როგორღა შეუდგა იგი საქმეს? მან ცოტაოდენი ფრანგული იცოდა და თარგმნა დაიწყო. იგი ყველას აქეზებდა, თქვენც თარგმნეთო, ვისაც კი რითმების შეწყობა ეხერხებოდა და „Oui, Monsieur“<sup>1</sup> ესმოდა; მან, ერთი შვეიცარელი კრიტიკოსის თქმისა არ იყოს, წ ე ბ ო ს ა და მ ა კ რ ა ტ ლ ი ს მეშვეობით შეაკოწიწა,

<sup>1</sup> „ღიას, ბატონო ჩემო“ (ფრანგ.)

თავისი „კატონი“; მან წებოსა და მაკრატლის გამოუყენებლად გააკეთა „დარიუსი“ და „ხამანწყები“, „ელიზე“ და „ცილობა ვაცის გამო“, „ავრელიუსი“ და „ოხუნჯი“, „ბანიზე“ და „პიპოქონდრიკონი“: მან დასწყევლა იმპროვიზიცია; მან ზარ-ზეიმით გააძევა სცენიდან არლეკინი, რაც თავისდარიგად გადაიქცა უდიდეს არლეკინადად, როგორც კი ოდესმე გათამაშებულა; მოკლედ, მას იმდენად ძველი თეატრის გაუმჯობესება კი არ სურდა, რამდენადაც სრულიად ახლის შექმნა. და თანაც როგორი ახლის? გაფრანგულებულის; ხოლო რამდენად შეესაბამება ეს გაფრანგულებული თეატრი გერმანულ აზრთა წყობას, ამაზე არ დაფიქრებულა. მის მიერ გაძევებული პიესების მიხედვით მას ადვილად შეეძლო შეემჩნია, რომ გემოვნებით ჩვენ გაცილებით უფრო მეტად ვუახლოვდებით ინგლისელებს, ვიდრე ფრანგებს, რომ ჩვენ გვწაღია იმაზე მეტი ვიხილოთ და ვიფიქროსო ჩვენს ტრაგედიებში, რასაც მოკრძალებული ფრანგული ტრაგედია გვიჩვენებს და გვაფიქრებინებს; რომ დიადი, საზარელი, მელანქოლიური ჩვენზე მეტად მოქმედებს, ვიდრე თავაზიანი, ნაზი, ალერსიანი, რომ გადამგებელი სისხლადვე ჩვენ უფრო გვლლის, ვიდრე მეტისმეტი სირთულე და ა. შ. ამიტომაც გოტშედი უნდა გაპყოლოდა ამ კვალს, რომელიც კიდევაც მიიყვანდა მას პირდაპირ ინგლისურ თეატრთან. ნუ იტყვი, რომ მან სცადა ამ გზით ევლო, რასაც თითქოსდა მისი „კატონი“ მოწმობს. სწორედ ის გარემოება, რომ მას საუკეთესო ინგლისურ ტრაგედიად აღიხონის „კატონი“ მიაჩნია, ცხადად გვიჩვენებს, რომ იგი ამჯერადაც ფრანგთა თვალთ შეპყურებდა საქმეს და მაშინ არც შექსპირს, არც ჯონსონს, არც ბომონტს, არც ფლეტჩერს არ იცნობდა, რომელთა შესწავლა ამპარტავნობის გამო შემდეგაც არ მოუსურვებია.

ჩვენთვის, გერმანელთათვის, შექსპირის ოსტატური პიესები რომ თარგმნილიყო ზოგი უმნიშვნელო ცვლილებებით, ეს უთუოდ უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, ვიდრე კორნელთან და რასინთან ჩვენი ნაცნობობა. ჯერ ერთი, შექსპირი გაცილებით უფრო მოეწონებოდა ჩვენს ხალხს, ვიდრე ეგ ფრანგები; მეორეც, შექსპირი სულ სხვა ტალანტებს აღძრავდა ჩვენში, ვიდრე ის ტალანტებია, რომელთა გამოცოცხლება კორნელსა და რასინს ძალუძთ. რადგან გენიოსის შთაგონება მხოლოდ გენიოსს შეუძლია და ყველაზედ იოლად ისეთს, რომელიც, ჩანს, ყოველივეს ბუნებას უმადლის და არ გვაფრთხობს ხელოვნების ნაძალადევი სრულქმნილებით.

ძველ ნიშნულთა მიხედვითაც რომ განვსაჯოთ, შექსპირი გაცილებით დიდი ტრაგიკული პოეტია, ვიდრე კორნელი, თუმცა უკანასკნელა ზედმიწევნით ჰყავდა შესწავლილი ძველები, შექსპირი კი მათ თითქმის

არ იცნობდა. კორნელი უფრო მექანიკური ხერხებით უახლოვდება ძველებს, შექსპირი კი არსებითად. ინგლისელი პოეტი თითქმის ყოველთვის აღწევს ტრაგედიის მიზანს, რაოდენ უჩვეულო და მხოლოდ თავისთვის დამახასიათებელ გზებს. არ ირჩევდეს, ფრანგი კი ამ მიზანს თითქმის ვერასოდეს ვერ აღწევს, თუმცა ძველების მიერ გაკაფულ გზას კი მიჰყვება. სოფოკლეს „ოიდიპოსის“ შემდგომ მსოფლიოში ვერც ერთი სხვა ტრაგედია ვერ დაეუფლება ჩვენს ვნებებს უფრო ძლიერ, ვიდრე „ოტელიო“, „მეფე ლირი“, „ჰამლეტი“ და ა. შ. განა მოეძებნება კორნელს თუნდაც ერთი ტრაგედია, რომელიც იმის ნახევრად თუ აგვალეღვებდა, რასაც ვოლტერის „ზაირა“ გვალელვებს? ხოლო რამდენად ჩანოუვარდება ვოლტერის „ზაირა“ „ვენეციელ მავრს“, რომლის მკრთალ ასლსაც წარმოადგენს და საიდანაც მთლიანადაა ნასესხები ოროსმანის ხასიათი!

რომ ჩვენს ძველ პიესებში მართლაც ბევრი რამ იყო ინგლისური. ამის წვრილად დასაბუთება ჩემთვის ძნელი არ იქნებოდა. საკმარისია. მათ შორის მხოლოდ ყველაზე ცნობილი დაგასახელო: „დოქტორი ფაუსტი“; იგი შეიცავს უამრავ სცენას, რომელსაც მხოლოდ შექსპირის გენია თუ მოიფიქრებდა. და მერე როგორ ეტრფოდა გერმანია და ნაწილობრივ ახლაც ეტრფის თავის „დოქტორ ფაუსტს“! ჩემი ერთ-ერთი მეგობარი ამ ტრაგედიის ძველ ესკიზს ინახავს და მან იქედან ერთი სცენა გამაცნო, რომელიც უთუოდ ბევრ მშვენიერ რამეს შეიცავს. გნებავთ, იგი წაგიკითხოთ? აი, ისიც!

ფაუსტს სურს ჯოჯოხეთის უსწრაფესი სული იყოლიოს მსახურად. იგი ჯადოსნურ სიტყვებს ამბობს და შვიდი სული გამოეცხადება, იწყება მეორე მოქმედების მესამე გამოსვლა:

რას იტყვით ამ სცენაზე? ისურვებდით, რომ ასეთი სცენებით აღსავსე პოეზია გქონოდათ? მეც, ეგ მინდა!

## 2. პროლოგისა და პირველი მოქმედების გზა

პ რ ო ლ ო გ ი  
ძ ვ ე ლ ს ტ ა ძ ა რ შ ი

ზარების მრეკველი და მისი შვილი, რომელთაც ეს-ეს არის ჩამოპკრეს ან უნდა ჩამოპკრან შუალამის ზარი.

საკურთხეველზე უჩინრად მსბდომ და თავიანთ საქმეებზე მობაასე ეშმაკთა კრება. სხვადასხვა წარგზავნილი ეშმაკები ეცხადებიან ბელზებულს და ანგარიშს აბარებენ თავიანთ საქმეთა გამო. ერთს ცეცხლი წაუკიდებია ქალაქისათვის. მეორეს მთელი ფლოტი

<sup>1</sup> ეს სცენა ქვემოთ ვაჟკეს ჩამოტანილი წ 3-ის სახით.

შთაუნთქავს ბობოქარი ზღვის ზვირთებში. მესამე დასცინის მათ, რომ ასეთ უბადრუკ საქმიანობას ეწევიან; მას იმით მოაქვს თავი, რომ წმინდანი შეაცდინა: დაათრო და მთერალს ცოლქმრული ერთგულების ფიცი გაატეხინა და კაცი მოაკვლევინა. ამასთან დაკავშირებით სიტყვა ფაუსტზე ჩამოვარდება, რომლის შეცდენა არც თუ ისე ადვილია. მესამე ეშნაკი კისრულობს, ოცდაოთხ საათში გადააქციოს იგი ჯოჯოხეთის კერძად.

ახლა, — ამბობს ერთი ეშმაკი, — იგი ჯერ კიდევ უზის ღამის ღამპარს და იკვლევს ჭეშმარიტების სიღრმეებს.

ცოდნის მეტისმეტი წყურვილი ცთომილებათა, ხოლო ცთომილებისაგან, თუკი კაცი მასზე მეტისმეტადაა მიჯაჭვული, შეიძლება ყოველგვარი ცოდვა წარმოხდეს. ამის შესაბამისად ადგენს თავის გეგმას ეშმაკი, რომელსაც ფაუსტის შეცდენა განუზრახავს.

## მოქმედება პირველი

### გ ა მ ო ს ვ ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი

ბიესის მოქმედება გრძელდება შუალამიდან შუალანემდე.

ფაუსტი ღამპართან უზის თავის წიგნებს. ებრძვის სქოლასტიკური სიბრძნით აღძრულ სხვადასხვა ეჭვებს. ახსენდება, რომ ერთმა სწავლულმა არისტოტელეს ენტელექციის მოხსენიებით გამოიხმო ეშმაკი. მასაც უცდია ეს მრავალგზის, მაგრამ ამაოდ. ცდილობს კიდევ ერთხელ; ახლა სწორედ საამისო დროა და ფაუსტი წარმოსთქვამს თავის შელოცვას.

### გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო რ ე

გრძელწვერიანი, მანტიამოსხმული სული ამოდის იატაკიდან.

ს უ ლ ი. ვინ დამირღვია სიმშვიდე? სადა ვარ? ვინა სინათლე არ არის, თვალს რომ მჭრის?

ფ ა უ ს ტ ი (შეშინდება, მაგრამ თავს იკავებს და შეესიტყვება სულს) ვინა ხარ? საიდან მოსულხარ? ვისი ბრძანებით გამოცხადდი?

ს უ ლ ი. მე ვიწექი და ვთვლემდი, სიზმრებს ვხედავდი. არც მილხინდა და არც მიჭირდა. უცებ მეზმანა, რომ შორიდან ხმა გაისმა. სულ უფრო და უფრო ახლოს მესმოდა: „ბაჰალ!“ „ბაჰალ!“ და მესამე გაგონებაზე აქ აღმოვჩნდი.

ფ ა უ ს ტ ი. კი, მაგრამ, ვინა ხარ?

ს უ ლ ი. ვინა ვარ? გონს მოსვლა მაცალე! მე ვარ... მხოლოდ ეს წამია, რაც ისა ვარ, რაც ახლა ვარ. წინათ მხოლოდ ბუნ-

დოვნად მეცნობოდა ეს სხეული, ეს კიდურები; ახლა...  
და ა. შ.

ფ ა უ ს ტ ი. მაშ, ვინ იყავ?

ს უ ლ ი. ვინ იყავიო?

ფ ა უ ს ტ ი. ჰო, წინათ, მანამდე ვინ იყავი?

ს უ ლ ი. წინათ? მანამდე?

ფ ა უ ს ტ ი. ხომ არ გახსოვს რაიმე წარმოდგენა, რომელიც წაწ  
უსწრებდა შენს ამ ახლანდელსა და იმჟამინდელ, იმ ბუნ-  
დოვნად შეცნობილ მდგომარეობას?

ს უ ლ ი. რას მეუბნები? კი, უცებ გამიელვა, რომ უკვე მქონია მაგ-  
გვარი წარმოდგენები. მოიცა, მოიცა, იქნებ გავიმთელო  
ხსოვნის ძაფი.

ფ ა უ ს ტ ი. მე შეგეშველები. შენ რა გერქვა?

ს უ ლ ი. არისტოტელეს მეძახდნენ. დიახ, ეს იყო ჩემი სახელი.  
როგორა ვარ?

იგი ისე იქცევა, თითქოს უკვე ყოველივე გაახსენდა და პასუხობს  
ფაუსტის უნახვილეს კითხვებს. ეგ სული არის სწორედ ის ეშმაკი,  
ფაუსტის ცთუნება რომ განუზრახავს.

მაგრამ, ამბობს იგი ბოლოს, დაძაღა ჩემი გონების ისევე წინან-  
დელ ჩარჩოებში მოქცევამ. ყოველივე იმის შესახებ, რასაც შენ  
შეკითხები, მე შეტს ველარ ვილაპარაკებ, როგორც ადამიანი, და ვერა-  
ფერს გეტყვი, როგორც სული. გამიშვი, ვგრძნობ რომ კვლავ ძილი  
მიბყრობს და ა. შ.

### გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ს ა მ ე

სული ქრება, და ფაუსტი, გაცეზული და იმით გახარებული, რომ მისმა  
შელოცვამ შედეგი გამოიღო, ეშაღება მეორედ შესალოვად, აშჯერად  
დემონის გამოსახმობად.

### გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო თ ხ ე

ე შ მ ა კ ი. ვინ არის ის მძლეთამძლე, ვის ძახილსაც მე უნდა დავე-  
წიროჩილო! შენა? მოკვდავი? ვინ შეგასწავლა ეგ ძლევაამო-  
სილი სიტყვები?

8. მეორე მოქმედების მესამე სცენა

ფაუსტი და შვიდი სული

ფაუსტი. თქვენა? თქვენა ხართ ქვესკნელის უსწრაფესი სულები?  
ყველა სული. ჩვენ!

ფაუსტი. შვიდნივე თანაბრად სწრაფნი ხართ?

ყველა სული. არა!

ფაუსტი. მერე, რომელია თქვენს შორის უსწრაფესი?

ყველა სული. წე!

ფაუსტი. საოცარია, რომ შვიდ ეშმაკს შორის მხოლოდ ექვსია  
მატყუარა. უფრო აბლოს მომიხდება თქვენი გაცნობა.

პირველი სული. კიდევაც გავიცნობ! ოდესმე!

ფაუსტი. ოდესმე! ამით რა გინდა მითხრა? განა ეშმაკებიც  
ქადაგებენ მონანიებას?

პირველი სული. დიახაც, გაუსწორებელთათვის... მაგრამ ნუ  
გვაყოფნებ!

ფაუსტი. რა გქვია შენ? და რა სისწრაფისა ხარ?

პირველი სული. შეგიძლია უმალ გამომცადო, ვიდრე პასუხი  
მიიღო.

ფაუსტი. კეთილი. მიყურე, ამას რას ვშვრები?

პირველი სული. სანთლის ალში თითს ატარებ სწრაფად.

ფაუსტი. და არ მეწვება. გაუღევე გზას, ასევე სწრაფად შეიღჯერ  
გაიარე ჯოჯოხეთის ყველა ალი და თავი არ დაიწვა!.. ენა  
ჩაგივარდა? არ მიდიხარ? მაშ, ეშმაკებსაც სცოდნიათ  
ტრაბახნი? მაშ, მაშ! ისეთი მცირე ცოდვა რა იქნება, თქვენ  
რომ ითაკილოთ. მეორე სულო, შენ რა გქვია?

მეორე სული. ჰილი, რაც თქვენს მოსაწყენ ენაზე ჭირის ისარს  
ნიშნავს.

ფაუსტი. და რამდენად სწრაფი ხარ?

მეორე სული. ხომ არ გგონია, ტყუილად ვატარებ ჩემს სა-  
ხელს? — ჭირის ისარივით სწრაფი ვარ.

ფაუსტი. მაშ წადი და ექიმს ემსახურე! ჩემთვის მეტისმეტად  
წელი ხარ. — მესამე, შენ რაღა გქვია?

მესამე სული. მე დილლას მეძახიან. რადგან ქარის ფრთებზე  
მატარებენ.

ფაუსტი. შენ კი, მეოთხე?



შეოთხე სულ ი. მე იუტა შქვია, რამეთუ სინათლის სხივებით  
დაფურენ.

ფაუსტი ი. ო, უბადრუკნო! თქვენი სისწრაფე სასრული რიცხვებით  
გამოიხატება...

მეხუთე სულ ი. შენს წყრომას ნუ აღირსებ მაგათ! ისინი მხო-  
ლოდ სხეულთა სამყაროში არიან სატანის მსტოვრები. ჩვენ  
კი სულთა სამყაროში გახლავართ მისი შიკრიკები, ჩვენ  
უფრო სწრაფებად ჩაგვთვლი.

ფაუსტი ი. მერე და შენ რა სისწრაფისა ხარ?

მეხუთე სულ ი. მე ისევე სწრაფი ვარ, როგორც ადამიანის აზრი.

ფაუსტი ი. ეგ უკვე რამედ ღირს!.. მაგრამ ყოველთვის როდია  
სწრაფი ადამიანის აზრი. თუნდაც იქ, სადაც მას ჭეშმარი-  
ტება და სათნოება მოუხმობენ. როგორი ზანტია იგი მა-  
შინ. — შენ შეგიძლია იყო სწრაფი, როცა ეს გსურს; მაგრამ  
ვინ დამიდგება თავდებად, რომ შენ ეს მუდამ გსურს? არა.  
შენ ისევე ნაკლებად გენდობი, როგორც ჩემს თავს შემეძ-  
ლებოდა ვნდობოდი. ოჰ! (შეაქვს სულს.) შენ მითხარ, შენ  
რა სისწრაფე გაქვს?

მეექვსე სულ ი. ისე სწრაფი ვარ, ვით შურისგება შურის-  
მგებლისა!

ფაუსტი ი. შურისმგებლისა? რომელი შურისმგებლისა?

მეექვსე სულ ი. ყოვლისშემძლისა, საზარლისა, რომელმაც  
მხოლოდ თავისთვის შემოინახა შურისგების უფლება,  
რამეთუ შურისგება მას ატკობდა...

ფაუსტი ი. ეშმაკო! მკრეხელობ, რამეთუ, ვხედავ, ცახცახებ... ისე  
სწრაფიო, ამბობ, როგორც შურისგება... კინალამ არ ვთქვი  
მისი სახელი!.. არა, ჩვენ შორის არ უნდა იქნას ნახსენები  
მისი სახელი!.. მაშ, სწრაფი იქნებოდა მისი შურისგება?  
სწრაფი? და მე კიდევ რომ ვცოცხლობ? და კიდევ რომ  
ვცოდავ?

მეექვსე სულ ი. იგი კიდევ რომ გადენინებს ცოდვებს ეს უკვე  
შურისგებაა!

ფაუსტი ი. და ნუთუ ეშმაკმა უნდა მასწავლოს ეს? თანაც დღევან-  
დელ დღეს! არა, მისი შურისგება არ არის სწრაფი, და  
შენც გასწი აქედან, თუკი მის შურისგებაზე სწრაფი არა  
ხარ!.. (შეშვიდე სულს) შენ რამდენადა ხარ სწრაფი?

მეშვიდე სული. ვერვინ მოიგებს შენს გულს. მოკვდავო. თუ კი ჩენი სისწრაფეც გცოტავა...

ფაუსტი. თქვი, მაინც რამდენად სწრაფი ხარ?

მეშვიდე სული. არც მეტი და არც ნაკლები — რამდენადაც სიკეთიდან ბოროტებაზე გადასვლა.

ფაუსტი. აჰა! შენა ხარ ჩემი ეშმაკი! ისე სწრაფი, ვითარცა სიკეთიდან ბოროტებაზე გადასვლა!.. დიახ, ეს გადასვლა სწრაფია; არაფერია მასზე უსწრაფესი!.. გასწით აქედან, თქვე ორკუსის ლოკოკინებო! გაწმორდით!.. ვითარცა სიკეთიდან ბოროტებაზე გადასვლა! მე გამოვცადე მისი სისწრაფე! დიახ, გამოვცადე!

#### 4 კაპიტან ფონ-ბლანკენბურგის წერილი ლესინგის დაკარგული „ფაუსტის“ გამოც.

თქვენ გნებავთ, უძვირფასესო მეგობარო, ცნობა მიიღოთ განსვენებული ლესინგის დაკარგული „ფაუსტის“ შესახებ; მე დიდი ხალისით გაგიზიარებთ ყოველივეს, რაც კი რამ ვიცი ამის შესახებ, რადგან არ ვისურვებდი ამ დიდი და ჯერ კიდევ არასაკმარისად ცნობილია, ხშირად კი სულაც განზრახ უგულვებელყოფილი კაცის არც ერთი სტრიქონის, არც ერთი იდეის დაკარგვას. მართალია, დაკარგული, მთლად დაკარგული მისი „ფაუსტი“ შეიძლება არც კი იყოს; და არც ის არის საშიში, რომ თუკი ვინმემ ამ ქმნილების მისაკუთრება დააპირა, ტყუილი მხილებული არ იქნება, რადგანაც ის, რასაც ჰომეროსის ლექსებზე და შექსპირის იდეებზე ამბობენ, ეგეთივე უფლებით ითქმის ლესინგის თხზულებებზედაც, ხოლო დაკარგული „ფაუსტი“ მათ რიცხვს ეკუთვნის; მაგრამ ვინ იცის, როდის და რანაირად წარსდგება საზოგადოების წინაშე ამ ქმნილების რომელიმე ნაწილი? და ამრიგად, ჯერჯერობით ის გაუზიარეთ ხალხს, რაც მე ვიცი.

რომ ლესინგი უკვე მრავალი წლის წინათ მუშაობდა თავის „ფაუსტზე“, ეს ცნობილია ჩვენთვის ლიტერატურული წერილებიდან. მაგრამ, რამდენადაც მე ვიცი, მან ისეთ დროს გადაამუშავა ანდა, შესაძლოა, მარტოოდენ დაასრულა თავისი შრომა, როდესაც გერმანიის ყოველი კუთხიდან იტყობინებოდნენ ახალი „ფაუსტების“ შესახებ, და მისი ქმნილება, ჩემი ცნობების თანახმად, დამთავრებული იყო. ჩემთვის დარწმუნებით უთქვამთ, რომ იგი მხოლოდ სხვა „ფაუსტების“ გამოქვეყნებას უცდიდა, რათა თავისი გამოეცა. — ვოლფენბიუტელიდან დრეზდენს მგზავრობისას მას თან ჰქონია ხელნაწერი; ყუთი. სადაც ეს ხელნაწერი და კიდევ სხვა ქაღალდები

და ნივთები იღო, მას გადაუცია მეეტლისათვის, რომელსაც უნდა ჩაე-  
ბარებინა იგი მისი ერთ-ერთი ლაიბციველი ნათესავისათვის, ბ-  
ნ ვაჭარ ლესინგისათვის, ამ უკანასკნელს კი უნდა გადაეგზავნა  
ვოლფენბიუტელს. მაგრამ ყუთს იქამდე არ მიუღწევია; ღირსეულმა  
კაცმა, რომელსაც უნდა მიეღო იგი, მზრუნველად გაიკითხა, თვითონ  
მისწერა ლესინგს ამის შესახებ და ა. შ. მაგრამ ყუთი დაიკარგა და  
ღმერთმა უწყის, ვის ჩაუვარდა ხელთ და სად იმალება ახლა! —  
თუმცა, სადაც უნდა იყოს, — აქ არის, ყოველს შემთხვევაში, ამ  
„ფაუსტის“ ჩონჩხი.

სცენა იხსნება ჯოჯოხეთურ სულთა კრებით, რომელზედაც  
ხელქეითნი ანგარიშს აბარებენ თავიანთ მთავარს მიწაზე წამოწყე-  
ბულ და ჩადენილ საქმეთა გამო. წარმოიდგინეთ, რას შექმნიდა  
ამგვარი მასალისაგან ისეთი კაცი, როგორცაა ლესინგი. უკანასკნე-  
ლად შემოსული უმდაბლესი ეშმაკი აცხადებს, რომ მან მიწაზე  
ერთი კაცი მიანც ნახა, რომელსაც ვერსაიდან მიუღებები — მას არა-  
ვითარი სისუსტე არ აქვს; ამ ცნობის უფრო წვრილად განხილვისას  
სულ უფრო გამოვლინდება ფაუსტის ჩასიათი და მისი ყველა მისწ-  
რაფებისა და მიდრეკილების შესახებ განმეორებული კითხვებს  
პასუხად სული, ბოლოს და ბოლოს, ამბობს: მას მხოლოდ ერთი  
მისწრაფება, ერთი მიდრეკილება ამოძრავებს — შემეცნებისა და  
ცოდნის დაუცხრომელი წყურვილი. „ჰა! — წამოიძახებს ეშმაკთა  
მთავარი, — მაშ იგი ჩემი იქნება, სამუდამოდ ჩემი და უფრო ერთ-  
გული, ვიდრე სხვა რომელიმე ვნების წყალობით იქნებოდა. — თქვენ  
უჩემოდაც იგრძნობთ ყოველივეს, რაც ამ იღეაშია ჩაქსოვილი; შესაძ-  
ლოა იგი ოდნავ ბოროტიც კი იყოს, კაცს პიესის დასასრული რომ  
არ ამშვიდებდეს. მაგრამ, თვითონ განსაჯეთ, რაოდენი დრამატული  
ინტერესია ამის წყალობით ჩაქსოვილი პიესაში, რამდენად იქნება  
აღელვებულის, ლამის დაშინებული, მკითხველი. — ამის შემდეგ  
მეფისტოფელი იღებს დაეალებასა და დარგებას, თუ რა და როგორ  
უნდა იღონოს, რათა საბრალო ფაუსტი გამოიჭიროს. შემდგომს  
მოქმედებებში იგი იწყებს და. როგორც ჩანს, კიდევაც ამთავრებს  
თავის საქმეს; აქ ვერაფერს გაცნობებთ გარკვეულს, მაგრამ მოქმე-  
დების არე და სიუხვე, მეტადრე ლესინგის მსგავსი კაცისათვის,  
უსაზღვროა. — მორჩა, ჯოჯოხეთურ ძალებს გაკეთებული ჰგონიათ  
თავიანთი საქმე; მესხეთე აქტში ისინი წამოიწყებენ საზეიმო ზიმლე-  
რას, რომელსაც მათ უეცრივ. მაგრამ ბუნებრივად და ყველას დამამ-  
შვიდებლად აწყვეტინებს ზესკნელის მოციქული: „ნუ ზეიმობთ, —  
დასძახებს მათ ანგელოზი, — თქვენ არ გავიმარჯვინათ კაცობრიო-  
ბასა და მეცნიერებაზე; ღვთაებას იმისთვის როდი დაუჯილდოვებია

კაცი უკეთილშობილესი მისწრაფებით, რომ იგი საუკუნოდ გაუბედურებინა; ის რაც თქვენ იხილეთ და ახლად თქვენად მიგაჩნიათ, აჩრდილიდა იყო მარტოოდენ“.

რაოდენ მცირეც არ არის, ჩემო მეგობარო, ის, რაც ძალმიძს გაგიზიაროთ, ვფიქრობ, მაინც ღირს მისი შენახვა. გამოიყენეთ იგა თქვენი მიხედულობით! — და ა. შ.

ფონ-ბლანკენბურგი

ლაიპციგი. 1784 წლის 14 მაისს.

## 6. „თეატრალური მემკვიდრეობის“ გამომცემელს

საესებით მართალია, უძვირფასესო მეგობარო, რომ თქვენ აწ განსვენებული ჩინებული ძმა მე მიზიარებდა ხოლმე თავისი პიესების ჩანაფიქრებს. მაგრამ ღას შემდეგ ხომ ამდენი ხანი გავიდა; თავად გეგმები ისე ნაკლებად იყო დასუშავებული; ანდა ისე გაკვრით მსმენია მათს შესახებ, რომ მე ჩემს მეხსიერებაში ვერაფერს აღვადგენ ჩაწერისა და, მით უფრო, გამოქვეყნების ღირსს. ხოლო მისი „ფაუსტის“ შესახებ, თქვენ კი უპირატესად სწორედ ამას მეკითხებით, ზოგი რამ კიდევ მახსოვს, ყოველს შემთხვევაში ზოგადად მახსენდება პირველი სცენის გეგმა და დასასრული.

ეს სცენა წარმოადგენს დანგრეულ გოტიკურ ეკლესიას მთავარო საკურთხევლითა და ექვსი მინაშენით. უფლის შენაქმნის ნგრევა სატანის ვნებაა; ნანგრევები ტაძრისა, სადაც ოდესღაც ყოვლად კეთილს ეთაყვანებოდნენ, მისი სანუკვარი საცხოვრებელია. სწორედ აქ იყრიან თავს სათათბიროდ ჯოჯოხეთის სულები. თვითონ სატანა მთავარ საკურთხეველზე ჯდება, მინაშენებზე კი დანარჩენი უშმაკები მოკალათდებიან. მაგრამ ყველა რჩება თვალისთვის უჩინარი და მათი ჩახლენილი, უსიამოვნო ხმები ისმის მხოლოდ. სატანა მათ მიერ ჩადენილ საქმეთა ანგარიშს სთხოვს დანარჩენ უშმაკთ; იგი ზოგიერთებით კმაყოფილი რჩება, ხოლო ზოგიერთებით — უკმაყოფილო. — რაკი ის მცირედი, რაც ამ სცენიდან მახსოვს, ესოდენ დაცალკევებულია და დაწყვეტილი და ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს, ვბედავ ხარვეზთა შევსებასა და მთელი სცენის მოხაზვას.

ს ა ტ ა ნ ა. შენ თქვი, პირველო! მოგვახსენე შენი ნამოქმედარი!

პ ი რ ვ ე ლ ი ე შ მ ა კ ი. სატანავ! ცაზე ღრუბელი ვიხილე, რომელსაც თავის წიაღში ნგრევა მოჰქონდა; უმაღლ აფერინდა მისკენ, დავიმალე მის უკუნ სიბნელეში და გავაქროლე ის წინ და გაუუსწორე ქოხს ღვთისნოსავი ღატაკისა, რომელ-

საც ის იყო ჩასძინებოდა თავის ცოლთან ერთად. აქ გაუხ-  
ლიჩე ღრუბელი და მისი მთელი მხურვალეობა გადავაფრ-  
ქვე ქოხს, ისე რომ მაღალმა ალმა იელვა და შთანთქა  
ბედკრულის მთელი საბადებელი. ეს იყო ყველაფერი, რისა  
გაკეთებაც შეეძელი, სატანავ, რადგანაც თვით ის ლატაკი,  
მისი მტირალი წვრილშვილი, მისი ცოლი, ისინი ყველანი  
ღვთის ანგელოზმა გამოსტაცა ცეცხლს, მე კი მოვქუსლუკ  
მის დანახვაზე.

ს ა ტ ა ნ ა. უბადრუკო! ლაჩარო! — და შენ იმას ამბობ, რომ ის  
ქოხი ლატაკის, ღვთისმოსავი კაცის იყო?..

პ ი რ ვ ე ლ ი ე შ მ ა კ ი. ღვთისმოსავისა და ლატაკისა, სატანავ.  
ახლა ის შიშველ-ტიტველი დარჩა და მთლად დაიღუბა.

ს ა ტ ა ნ ა. ჩვენთვის! თანაც, სამუდამოდ. მოსტაცე მდიდარს მისი  
ოქრო, რომ სასო წარეკვეთოს და ლატაკს დაუყარე კერაზე,  
რათა გული შეერყვნას: მაშინ ორმაგ მოგებას მოვიხვეჭთ!  
ღვთისმოსავი ლატაკის კიდეც უფრო გალატაკება ზომ კიდეც  
უფრო ძლიერ აკავშირებს მას ღმერთთან. — შენ ილაპარაკე  
მეორე! რამე უფრო საამო გვამცნე!

მ ე ო რ ე ე შ მ ა კ ი. ეგ შენიძლია, სატანავ. — მე გავედი ზღვაზე  
და ძებნა დაუწყე ქარიშხალს, რომლითაც ნგრევას შეეძ-  
ლებდი, და კიდეცაც ვბოვე იგი; მაშინ, ნაპირისაკენ რომ  
გავეშურე, ჩემამდე საშინელმა წყევლა-კრულვამ ამოაღწია,  
ქვევით ჩავიხედე და მევახშეთა აფრებგამლილი ფლოტი  
დავინახე. სწრაფად დავეშვი გრიგალთან ერთად სიღრმეში,  
ისევ ავყევი ზეცისაკენ აზვირთებულ ტალღას...

ს ა ტ ა ნ ა. და ჩასძირე ფლოტი ზვირთებში?

მ ე ო რ ე ე შ მ ა კ ი. ისე, რომ კაციც არ გადარჩენილა! მთელი  
ფლოტი გავფანტე და ყველა სული, რაც მასზე იყო, ამიე-  
რიდან შენ გკუთვნის.

ს ა ტ ა ნ ა. მოლალატევი! ისინი უკვე ჩემები იყვნენ და კიდეც შეჰმა-  
ტებდნენ ქვეყანას წყევლასა და წახდენას, კიდეც დაარბევ-  
დნენ სხვა ნაპირებს, კიდეც გახრწნიდნენ და მოჰკლავდნენ;  
ისინი დედამიწის ერთი მხრიდან მეორეში გადანერგავდნენ  
ცოდვათა აღმძვრელ ცთუნებებს, — და ყოველივე ეს ახლა  
დაიღუბა და დაიყარა! ისევ ჯოჯოხეთს უნდა გაგამწესო,

ეშმაკო; შენ მხოლოდ მირღვევ სამეფოს.— შენ მომასხენე.  
მესამე!

მესამე ეშმაკი. ასე ძალდა ვერ ფრენს, სატანავ, ჩემი სული:  
მე არ ვეტანები საშინელს. მე მხოლოდ გახრწნა მეხერხება.

სატანა. მაშ, მით უფრო საშიში ყოფილხარ სულთათვის!

მესამე ეშმაკი. მე დაგინახე მძინარე ასული; იგი თავის წა-  
დილთა ძილღვიძილში იტანჯებოდა. და მე მის სარეცელს  
მივეპარე. დაკვირვებით მივუვლე ყური მის ყოველს ამო-  
სუნთქვას, მისი სულის ყოველს ვნებიანს ოცნებას და განვ-  
ჭვრიტე მისთვის საწუკარი სახე, მის მკერდს ასე დიდად  
რომ აღელვებდა. ამ სახის ტანადი, ძლიერი, ეშხიანი ყმაწ-  
ვილის გარეგნობა მივიღე და ამგვარად...

სატანა. (სწრაფად). მოსტაცე გოგოს უმანკობა?

მესამე ეშმაკი. მოვტაცე ამ ხელუხლებელ ლამაზმანს პირ-  
ველი კოცნა. მეტად არაფერზე დამიყოლიებია, მაგრამ მშვი-  
დად იყავ: მას სისხლში გზნება შთაებერე, რომლითაც იგი  
პირველსავე შემცდენელს დააჯილდოვებს და სწორედ ამ  
ვაჰბატონისათვის მაქვს შემონახული ცოდვა. როგორც  
კი მას შეაცდენს იგი...

სატანა. ასე რომ ერთი-მეორეზე შემოგვემატებიან ცოდვილნი,  
რადგანაც იგი სხვებსაც შეაცდენს. კეთილი! შენს საქციელს  
აზრი აქვს. თქვენ კი ისწავლეთ, პირველნი, თქვე უბადრუკ-  
ნი, მხოლოდ სხეულთა სამყაროში რომ შეგიძლიათ რღვევა!  
ამას კი სულთა სამყაროში შეაქვს გახრწნილება, ეს არის  
საუკეთესო უშმაკი! — აბა შენ მითხარ, მეოთხე! შენ რაღა  
საქმეები ჩაგიდენია?

მეოთხე ეშმაკი. არავითარი, სატანავ... მაგრამ აზრი მოვი-  
ფიქრე, რომელიც, საქმედ თუ იქცა, მაგათ ყველა საქმეს  
დარღვილავს.

სატანა. მაინც რა მოიფიქრე?

მეოთხე ეშმაკი. რომ ღმერთს მისი საყვარელი არსება მოვ-  
ტაცოთ — მოაზროვნე, მაროტხელი ჭაბუკი, მთლიანად  
სიბრძნეს მინდობილი, მხოლოდ მისთვის მსუნთქველი და  
მისთვის განმცდელი ყმაწვილი, რომელიც არც ერთ ვნებას  
არ ემონვის, გარდა ჭეშმარიტების სიყვარულისა, და შენ-  
თვისაც და ჩვენთვისაც საშიში იქნება, თუკი ოდესმე ხალ-  
ხის მასწავლებელი გახდა, — აი, იც ახალგაზრდა რომ მოვ-  
ვეტაცნა, სატანავ!

- ს ა ტ ა ნ ა . ჩინებულია დიდებულის და რა გეგმა გაქვს?  
 მ ე ო თ ხ ე ე შ მ ა კ ი . ხომ ხედავ, კბ ლებს ვალრჭენ; გეგმა არა  
 მაქვს. ყოველი მხრიდან ნოვუარე მის სულს, მაგრამ ვერც  
 ერთი ხელჩასაჭიდი სისუსტე ვერ ვუბოვე.
- ს ა ტ ა ნ ა . ბრიყვო! განა ცოდნის წყურვილი არ ჰკლავს?  
 მ ე ო თ ხ ე ე შ მ ა კ ი . უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა  
 მოკვდავს.
- ს ა ტ ა ნ ა . მაშ მე მომანდე მისი ბედი. ეგ ვნება კმარა მის დასა-  
 ლუბავად.

ახლა სატანა ისეა გატაცებული თავისი განზრახვით, რომ აღარ  
 სურს დანარჩენ ეშმაკთა ანგარიში მოისმინოს. იგი ამთავრებს მთელს  
 კრებას; ყველამ ხელი უნდა მოუშარტოს მას დიდი მიზნის მისაღწე-  
 ვად. სრულებით არ ეექვეება წარმატება; რადგან მის ხელთ არის  
 ყველა საშუალება, რასაც ძალაუფლება და ცბიერება იძლევა. მაგრამ  
 განგების ანგელოზი, რომელიც ნანგრევებზე უჩინრად დაფრენს,  
 გვამცნობს სატანის წადილთა უნაყოფობას თუმცა ხმადაბლა, მაგ-  
 რამ საზეიმოდ წარმოთქმული სიტყვებით, რომლებიც ზემოდან მოის-  
 მის: „თქვენ არ გიწერიათ გამარჯვება“.

ამ პირველი სცენის მონახაზივით თავისებურია მთელი პიესის  
 მონახაზიც. ჭაბუკი, რომელსაც სატანა უპირებს შეცდენას, როგორც  
 უთუოდ, უმაღლე მიხედვით, არის ფაუსტი. ამ ფაუსტს ანგელოსი ღრმა  
 ძილს მოუვლენს, ხოლო მის ნაცვლად შექმნის აჩრდილს, რომელთა-  
 ნაც ეშმაკები მანამდე განაგრძობენ თავიანთ ოინებს, ვიდრე იგი არ  
 გაქრება სწორედ მაშინ, როდესაც მათ ჰგონიათ, რომ თავიანთ მიზანს  
 მიაღწიეს. ყოველივე, რაც ამ აჩრდილს გადახდება თავს, ესიზმრება  
 დაძინებულ ნაწდვილ ფაუსტს; იგი იმ წუთს იღვიძებს, ეშმაკები  
 შერცხვენილი და გამძვინვარებული რომ მიდიან, და მადლობას სწა-  
 რავს განგებას, რომელმაც იგი ასეთი ჭკუის სასწავლი სიზმრით  
 გააფრთხილა. ახლა მას უფრო ძლიერ უყვარს ჭეშმარიტება და  
 სათნოება, ვიდრე ოდესმე.

იმაზე კი, თუ როგორ აპირებენ და ცდილობენ ეშმაკები ფაუსტის  
 შეცდენას, ვერაფერს გეტყვით: არ ვიცი, რა ნაკლდება აქ უფრო —  
 თქვენი ძმის მონათხრობი, თუ ჩემი მეხსიერება, ის კი ნამდვილია,  
 რომ ყოველივე, რაც ამის შესახებ მაგონდება, ისე ბუნდოვანია, რომ  
 საეჭვოა შევძლო მისი გამომზეუება.

მიგულეთ და ა. შ.

ა. ი. ვნელი

## სპარტაკი

ფლორუსის მოთხრობიდან (წიგნი III, თავი 20) მე ან მცირე რამ გამომადგება, ან სულ არაფერი. ჩემი გმირის შესახებ ის ლაპარაკობს ზიზლით, რომელიც ლამის სასაცილოც კია, და ომს, მის წინააღმდეგ რომაელებს რომ უნდა ეწარმოებინათ, უფრო საძრახისად მიიჩნევს, ვიდრე მონებთან მომხდარ მანამდელ ომებს; რადგანაცაო, ამბობს იგი, მონები ადამიანთა მეორე ჯიშს მაინც წარმოადგენენ, quasi secundum hominum genus sunt. გლადიატორები კი, სისხლიანი წარმოდგენებისათვის განწირულნი! თანაც იგი ყალბად წარმოგვიდგენს სპარტაკს, როცა ირწმუნება, რომ ის ამგვარად იქნა განწირული გლადიატორად: de stipendiario Thrace miles, de milite desertor, inde latro, deinde in honore virium gladiator. [თრაკიელი მოქირავნე, იგი იქცა ჯარისკაცად, ჯარისკაცი — დეზერტირად, მერე ყაჩაღად, შემდეგ, თავისი ფიზიკური ღონის წყალობით, გლადიატორად.]

ჩემს სპარტაკს თვითონ არ უნდა ჰქონდეს ჩადენილი ის, რასაც მასზე ფლორუსი ამბობს: defunctorum praelio ducum funera imperatoriis celebravit exequiis, captivosque circa rogam jussit armis depugnare. [ბრძოლაში დაცემულ სარდალთა დაკრძალვისას იგი მართავდა ზეიმებს, როგორც ეს მთავარსარდლებს შეეფერება, და კოცონის გარშემო აბრძოლებდა ერთმანეთთან ტყვეება.] მას ამის თავიდან აცდენა არ უნდა შესძლებოდა მხოლოდ. ეს კრიქსუსს უნდა მოეწყო და მოენდომებინა.

ინსიგნიები და ფასცები, რომლებიც მან პრეტორებს წაართვა და შემდეგ მას მისმა ჯარისკაცებმა გადასცეს, შემოძლია მას დავუტოვო სახნარებლად. მაგრამ იმისათვის კი არა, რომ იამაყოს და რომაელები გაქირდოს, არანედ მისი პიროვნების საიმისოდ დასაცავად და განსაღიღებლად, რათა მან უკეთ დაიფაროს რიგითი ადამიანი თავაშვებულობისა და სისასტიკისაგან. შეიძლება იგი ამ ნიშნებიანად კრასუსის ბანკშიაც კი განოჩნდეს და კრასუსს, რომელიც ამის მიმართ გულგრილი ვერ იქნება, მოკლედ უთხრას, თუ როგორ გამოუყენებია ისინი ხშირად თვით რომაელთა საკეთილდღეოდ.

კ რ ა ს უ ს ი. მე მაკვირვებს შენი თავმდაბლობა, სპარტაკ. — მაგრამ შენ მაინც ჩემზე ერთი ლიქტორით ნაკლები გყავს...

ს პ ა რ ტ ა კ ი. რადგან ჩვენ ერთი ცულით ნაკლები წავართვით გაიუს კასიუსს და არა იმიტომ, რომ მე თავმდაბალი ვარ. —



ერთი ცულით მეტი რომ წაგვერთნია... — მაგრამ ეს გაცი-  
ლებით უფრო ნაკლებმნიშვნელოვან პიროვნებებს უნდა  
ვათქმევინო.

\* \* \*

კრასუსი. კაცმა შეიძლება დაუშვას, რომ ის სპარტაკის წინააღმ-  
დეგ ომში პირადი მიზეზით ჩაება. სამარცხვინო სიძუნწის გამო მას  
თავისი მონები უდიდეს სიმდიდრედ მიაჩნდა და მათი საშუალებით  
იყო, რომ უფრო მეტის მოგებას ახერხებდა, ვიდრე ყველა სხვა  
გზით. მათ შორის, როგორც პლუტარქე ამბობს, მას ჰყავდა ბევრი  
ისეთი, ... რომელიც ნაწილობრივ თვითონ მის მიერ იყო გამოწრ-  
თვნილი. ამრიგად, მან ყველაზე უკეთ იცოდა, თუ რა იყო მონის ფასი  
და მათ გამო რამდენს დაჰკარგავდნენ რომაელები. ეს შემძლია  
სწორედ იმის მიზეზად წარმოვადგინო, თუ რატომ იყო, რომ მას  
სპარტაკთან არავითარი შეთანხმების დადება არ უნდოდა. აბიანე ხომ  
სრულიად გარკვეულად ამბობს, რომ სპარტაკმა ზღაპრულად  
Κραθων ποσειαχλετο [კრასუსს გარკვეული წინადადებით მიმართა].  
და შეიძლება დავუშვათ, რომ მისი პირობა იყო მისთვის სრული  
თავისუფლების მინიჭება. ეს წინადადებები მან უარჰყო, მიუხედავად  
იმისა, რომ სპარტაკმა ის გააფრთხილა: იმისი იმედი ნუ გექნება,  
რომ ბევრს ჩაიგდებ ხელში ტყვედო.

კრასუსი სპარტაკს დროებით დაეზავა იმ საბაბით, რომ რომიდან  
მისი წინადადებების გამო მითითებები უნდა მიეღო. მაგრამ მან ეს  
დაზავება ვადამდე დაარღვია და სპარტაკს თავს დაესხა, რათა  
პომპეუსისათვის დაესწრო.

მე ვთხზავ, რომ კრასუსს მანამდე ლუკანიელი ქალი ჰყავდა ცო-  
ლად, რონელსაც მან იმიტომ დაანება თავი, რომ უფრო მდიდარი  
შეერთო. მიტოვებულ ქალს მისგან ასული ჰყავდა, რომელიც სპარ-  
ტაკმა იგდო ხელთ.

\* \* \*

... სპარტაკისა და კრასუსის უკანასკნელი გადამწყვეტი შეხვედ-  
რა ლუკანიაში მოხდა, მდინარე სილარუსის შესართავთან: ეს მდი-  
ნარე დაახლოებით პოტენციას (დღევანდელ პოტენცას) ჩამოუდის:  
სხვა ქალაქები, რომლებიც ამ მდინარესთან და მის მიდამოში მდებ-  
არეობენ, არიან: ატერნუმი...

სილარუსი ერთვის ტირენიის ზღვას. მეორე მხრივ ბრადანუსი  
მიედინება ტარენტის უბისაკენ.

შესაძლოა, პომპეუსი უკვე ვულტურთან, აპულიის მთაგრეხილ-  
თან, იყოს მისული, ხოლო კრასუსს თავისი ლაშქრის ნაწილი ბრა-  
დანუსის გადაღმა ჰყავდეს გაგზავნილი, რათა სპარტაკს ტარენტისა

და ბრუნდიზიუმის, ესე იგი კალაბრიის გზები მოუჭრან, ისე რომ სპარტაკი იძულებულია ბრძოლა დაიწყოს.

• • •

ღმერთებსა ვფიცავ — ღმერთსა-მეთქი! ხარ უჩვეულო, უბრო კაცი! დიახ, სპარტაკ, ხარ ჭეშმარიტად!

სპარტაკი.

დახეთ, რა დღეში ჩავარდნილხართ, რომაელებო, რომ თქვენ გიხდებათ უჩვეულო ადამიანად განოაცხადოთ ჩემებრ სადა, უბრალო კაცი! დიდად ამაყი გული მიცემს და მაინც მჯერა, არ ვარ იმათზე უკეთესი ადამიანი, ვისაც ბუნება უსასრულოდ, ყოველდღიურად, ყოველ საათში ასობით ქენის თავისი ხელით.

• • •

სპარტაკი. განა ადამიანს არ უნდა რცხვენოდეს იმ თავისუფლებისა, რომელიც მოითხოვს, რომ მას ადამიანი ჰყავდეს მონად?

• • •

კონსულ. მესმის, შენ ფილოსოფოსობ, სპარტაკ.

სპარტაკი. რას ნიშნავს: ფილოსოფოსობ! მაგრამ მაგონდება — თქვენ ადამიანის გონება სკოლებში გახიზნეთ, რათა ის სასაცილოდ გექციათ. თუ კი არ გინდა, რომ ვიფილოსოფოსო... ვიფილოსოფოსო... მეცინება ამაზე... მაშ კარგი, შევებათ ერთმანეთს! კარგად იყავი ნახვამდის — იქ შეხვედრამდე, სადაც ბრძოლა ყველაზე ფიცხელი იქნება.

• • •

სპარტაკის ყოფილი ბატონი (რომელიც კონსულს აწყვეტინებს, რათა, როგორც თვითონ ჰგონია, უფრო ღამარჭმუნებლად ილაპარაკოს),

შენ მიცნობ მე?

სპარტაკი. ვინა ხარ შენ?

ბატონი. როგორ? ბატონს უარჰყოფ? არ გინდა მიცნო?

სპარტაკი. იკმარე, პომპეუს, რომ მე შენი ცნობა არ მინდა!

ბატონი. მძარცველო!

სპარტაკი. მძარცველო?

ბატონი. უძვირფასესია, რაც კი მქონია!

სპარტაკი. ეს ამბავი მხოლოდ ჩვენ ორს გვეხება. ეს ჩვენ შორის შემდეგ გადაწყვედეს... ახლა, დააცადე, კონსულმა ილაპარაკოს.

კ მ მ ე ნ ბ ზ ე რ ე ბ ი



## მის სარა სამსონი

ამ პირველი გერმანული ბიურგერული ტრაგედიის მხოლოდ მოქმედება კი არ წარმოებს ინგლისში, არამედ ლიტერატურული წყაროებიც ინგლისურაა. როგორც გერმანული ლესინგოლოგი ვალდემარ ოელკე აღნიშნავს, XVIII საუკუნის შუა ათეული წლების განთქმული ინგლისელი მწერლის სემუელ რიჩარდსონის რომანიდან „კლარისა პარლოუ“ მომდინარეობს „სარას“, როგორც სიუჟეტური მოტივი, — იქაც სათნო მდაბიო ქალიშვილი (კლარისა) ხდება გარყვნილი არისტოკრატის (ლოველასის) მსხვერპლი, — ისე რიგი სახელიც: არაბელა ანუ ბელა, ნორტონი, პანა, ბელფორდი და ფსევდონიმი ლედისოლმსი; XVII საუკუნის უქანასენელი და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დრამატურგის უილიამ კონგრივის დრამებში კი ვხვდებით „სარას“ სხვა მოქმედ პირთა სახელებს: „მათურში“ (The Double-Dealer) მიქნურს ჰქვია მელეფონტი და „სიყვარულში სიყვარული სათვის“ (Love for Love) მამას — სერ სამსონი, ხოლო „მადალი საზოგადოების გზაში“ (The Way of the World) ჩნდებიან მისტრის მარკუდი და უაიტუელი და დამლაგებელი ბეტი.

მაგრამ ეს გარეგნობა სულაც არ ართმევს „სარას“ ორიგინალობასა და დამოუკიდებლობას. ჭერ ერთი, მის მოქმედ პირთა როლები როდი ემთხვევა მათი ინგლისელი სენიების როლებს. მთავარი კი ის არის, რომ უცხოურ ლიტერატურულ მასალას ლესინგი გამსჭვალავს ახალი, საკუთარი იდეურ-მხატვრული შინაარსით, რომელიც, ერთის მხრივ, უშუალოდ ეხმაურება მაშინდელი გერმანული ცხოვრების საკიბორტო პრობლემებს, ხოლო, მეორეს მხრივ, სავსე თოდ ევროპული მასშტაბით აქცევს „სარას“ ახალი, განმანათლებლური დრამის ერთ-ერთ უთვალსაზიროეს პირველ-ნიმუშად.

თავისი ორგანულ-გერმანული თვითარსობის ძალით „სარას“ გმირები თვითონ იქცევენ გერმანული კლასიკური ლიტერატურის რიგი ცნობილი პერსონაჟის ლიტერატურულ პროტოტიპებად. კერძოდ, როგორც იგივე ოელკე მართებულად აღნიშნავს, მელეფონტის სახით შეგვიძლია ვიცნოთ გოეთეს „გოეც ფონ ბერლიხინგენის“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის — ვაისლინგენის წინაპარი, ხოლო მარკუდისა და სარას შტრინები აშკარად ემჩნევა შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ ქალთა, — ლედი მილფორდისა და ლუიზა მილერის, — სახეებს.

„სარას“ უაღრესად დიდი წარმატება ხვდა XVIII საუკუნის გერმანულ სცენაზე: თითქმის ყველა მაშინდელმა დასმა წარმოადგინა იგი. ოდერის ფრანკფურტში 1755 წლის 10 ივლისს მისი პირველი დადგმა ლესინგის უშუალო მონაწილეობით განახორციელა გამოჩენილმა მსახიობმა და ანტრეპრენერმა კონრად აკერმანმა, რომელმაც შეასრულა მელეფონტის როლი; მანეთი (ცხენების საწრთენელი დარბაზი), სადაც ეს წარმოდგენა გაიმართა, გაქედილი იყო მაყურებლებით, რომლებიც, პოეტ კარლ ვილჰელმ რამლერის მოწმობით, „სამხანგვარ საათს“ ისე უსმენდნენ მსახიობებს, რომ

„ქანდაკეებივით უძრავად ისხდნენ და ტიროდნენ“. მელეფონტის როლი შეუსრულებია ცნობილ კონრად ეკჰოფსაც, გერმანულ სამსახიობო ხელოვნებაში რეალიზმის ფუძემდებელს.

• • •

გვ. 77. ...თავს ისე მოგაჩვენებთ, გეგონებთ შედივებ ბრძენი ერთად ალაპარაკდოდო.— შეიდი ბრძენი: ძველი წელთაღრიცხვის VII—VI ს-თა ნახევრად ლეგენდარული ბერძენი მოღვაწენი,— კლეობულე ლინდოსელი, პერიანდრე კორინთელი, პიტაკე მიტილენელი, ბიას პრიენელი, თალეს მილეთელი, ქილონ ლაკედემონელი და სოლონ ათენელი,— რომელთაც მიეწერება მთელ ელადაში მრავლად გავრცელებული პრაქტიკული, საყოფაცხოვრებო სიბრძნის შემცველი გამონათქმეები (მაგ., „შვიცან თავი შენი“ და მისთანანი). ახალი წელთაღრიცხვის I-II ს-თა ცნობილი ბერძენი მწერლის პლუტარქეს მიერ დამუშავებული ერთი ნოველა (Moralia, „შვიდი ბრძენის ნადიმი“) შეიღსავე ბრძენს უყრის თავს კორინთოში პერიანდრესთან, სადაც ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ სიბრძნეს. ხოლო ამაზე ბევრად ადრე, ქრისტემდე დაახლ. 300 წელს, ბერძენმა მწიგნობარმა დემეტრიოს ფალერელმა შეადგინა მათი გამოთქმების კრებული, რომელიც შემდეგში ჰარზად იქნა გამოყენებული ნაკვეთებისა და ანდაზების ბერძნულს და ლათინურ კრებულთა შემდგენლების მიერ. ამ წყაროთა მეშვეობით ეანდერჰა შეიდი ბრძენის სახელებთან დაკავშირებული ძველბერძნული ხალხური სიბრძნის მარგალიტები შუასაუკუნეებრივსა და ახალ ევროპას.

გვ. 78. კვაკერი — წვერი მეწაღე ჯორჯ ფოქსის მიერ 1650 წელს ინგლისში დაარსებული და შემდეგ მეტადრე ჩრდ. ამერიკაში გავრცელებული პროტესტანტული რელიგიური სექტისა, რომელიც თავის თავს „მეგობართა საზოგადოებას“ უწოდებდა. „კვაკერები“, რაც ინგლისურად „მოცახცახებს“ ნიშნავს (quake — ცახცახი, კანკალი) ამ სექტანტებს დაცივით ეწოდა „ღვთაებრივ ხილვათა“ გამოხატვის მათი ექსტატურ-აღზნებული მანერის გამო. კვაკერები რწმენის უმაღლეს გამოვლენად თვლიდნენ „შინაგან სინათლეს“ — სათნობას და უარყოფდნენ ოფიციალურ საეკლესიო ორგანიზაციასა და გარეგან წეს-ჩვეულებებს, ჰგობდნენ ფუფუნებასა და არ სცნობდნენ სამხედრო ბეგარას.

გვ. 86. ხედავდე ჩემში ახალ მედეას. — „ძველმა“ მედეამ, კოლხეთის ლეგენდარული მეფის აეტის გრძნეულმა ასულმა, იმით იძია შური თავის ქმარზე — ოქროს საწმისის მომტაცებელ არგონავტ იაზონზე, რომელმაც მისი მიტოვება და კორინთოს მეფის კრეონტის ასულის, მშვენიერ გლავკას, შერთვა განიზრახა, რომ მოკლა იაზონისაგან შეძენილი თავისი ორი ვაჟი.

გვ. 108. თუკი ზეცამ რამდენიმე უცოდველის გამომთელი ცოდვილ ქალაქს მიუტევა უკვე გამოტანილი სასჯელი... ბიბლიური ლეგენდის თანახმად, როცა ღმერთმა გადასწყვიტა მოესპო ძველი პალესტინის ქალაქები სოდომი და გომორი, რომელთა მოსახლენი გარყვნილების ლაფში ჩაფლულიყვნენ, აბრაამმა სთხოვა მას დაენდო წაწყდომისაგან სოდომი, თუკი მის მცხოვრებთა შორის თუნდაც ათი უცოდველი კაცი აღმოჩნდებოდა, და ღმერთმაც აღუთქვა: „არა წარვსწყმიდო ათთა მათთისო“ (დაბადება, 18, 22). — თუმცა საბოლოოდ სოდომს, მსგავსად გომორისა,

შინც არ ასცდა ღვთის რისხვა, რადგან მის მოსახლეებს შორის არავინ აღმოჩენილა მართალი, გარდა ა ბ რ ა ა მ ი ს ქ მისწულ ლ ო თ ი ს ა, მისი ცოლისა და ორი ასულისა, რომლებიც ღვთის ნების აღმსრულებელმა ორმა ანგელოსმა მანამდე გაიყვანეს სოდომიდან, ვიდრე მას, გომორთან ერთად, გოგირდისა და ცეცხლის წვიმას მოუვლენდნენ (იქვე, თავი 19).

გვ. 135. .... ი მ ა ნ გ ე ლ ო ს ი ს მ ს გ ა ვ ს ი, რ ო მ ე ლ ი ც ძ ლ ი ე რ ს გ ა ს ა ძ ლ ი ე რ ე ბ ლ ა დ ე ჩ ვ ე ნ ა. — სახარების თანახმად, თავისი მოახლოვებული აღსასრულის წინაგარძობით წამიერ შემფოთებულ და შემდრკალ ე ე ს ო ქ რ ი ს ტ ე ს გასამხნეველად ანგელოზი მოველინა ზეციდან: „და ეჩუენა მას ანგელოზი ზეით, განაძლიერებდა მას“ (ლუკა, 22, 43).

გვ. 137. მ ე ლ ო უ ე ე რ ი ს გ ზ ა ს ვ ა დ გ ე ე ა რ. — დ ო უ ე ე რ ი ქ ა ლ ა ქ ი ა ე. წ. „ახალ ინგლისში“ — ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო-აღმოსავლეთით, კანადის მეზობლად მდებარე მხარეში (დღევანდელი მენის, ნიუ-ჰემპშაირის, ვერმონტის, მასაჩუსეტის, როდ-აილენდისა და კონექტიკუტის შტატები), სადაც XVII ს-ის დასაწყისში ჩასახლდნენ ინგლისელი პურიტანები.

### მინა ფონ-ბარნჰელმი

„მინასა“ უძებნიან ლესინგოვები ლიტერატურულ „წყაროებს“: ასახელებენ ხოლმე XVII — XVIII საუკუნეთა სხვადასხვა, მეტ-ნაკლებად ცნობილ დრამატურგებს, რომელთა თხზულებებიდან შეედლო „ამოეკიბა“ ლესინგს თავისი კომედიის „შემადგენელი ნაწილები“. მაგალითად, როგორც ო ე ლ ე ა დ ნ ი შ ნ ა ე ს, „მინას“ ცალკეული დეტალები „მოგვაგონებენ“ მ ო ლ ი ე რ ი ს „ტარტიუსას“ და ე ა ნ - ფ რ ა ნ ს უ ა რ ე ნ ი ა რ ი ს „მოთამაშეს“, ვ ო ლ ტ ე რ ი ს „შოტლანდიელ ქალს“, კ ა რ ლ ო გ ო ლ დ ო ნ ი ს „მიკიტან ქალსა“ და „სახირო შემთხვევას“, ხოლო ინგლისელ თ ო მ ა ს ო ტ ვ ე ი ს პეისიდან „ჩარისკაციის ბედი“ (The Soldier's Fortune) „წარმოსდგება“ მისი ქვესათურა „ჩარისკაციის ბედნიერება“ (das Soldatenglück.)

მაგრამ „მინას“ მთავარ წყაროს წარმოადგენს ცოცხალი სინამდვილე, ლესინგის უშუალო, პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა 1760 — 63 წლებში ლესინგის სამსახური ბრესლაუს გუბერნატორის, გენერალ-ლეიტენანტ თ ა უ ე ნ ც ი ნ ი ს მდივნად. სხვათა შორის, ლესინგი ახლდა თაუენცინს შეილნიცის ციხის ბლოკადისას (1762) და ზავის დადების შემდეგ ფ რ ი დ რ ი ხ თ ა ნ პოტლანდში გამგზავრებისას (1763), რამაც მას, ოელებს თქმისამებრ, შესაძლებლობა მისცა უშუალოდ დაეკრებოდნენ „ომის უკვე ქრობად ხანძარს“, რომლის „უქანასკნელი წარმავალი არილი“ „მინას“ შორეულ პორიზონტზე შეიგარძნობა“ (პიესის მოქმედება ხომ უშუალოდ პუბერტსბურგის ზავის შემდეგ წარმოებს, რომლითაც დასრულდა შეილნიციანი ომი). მაგრამ კიდევ უფრო სასარგებლო იყო მდივნის ყოველდღიური პრაქტიკა. როგორც ნ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი ამბობს, „მინას“ საგანგებოდ ემჩნევა, რომ ლესინგს „ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონია ადამიანებთან არა როგორც ლიტერატორს, არამედ როგორც მდივანს, რომლის ხელთ გადიოდა სამხედრო, სამოქალაქო და ფინანსიური საქმეები“, რომ მას „განუცდია ცხოვრება... აგრეთვე როგორც იმ მრავალგვარ მდგომარეობათა ადამიანს, რომლებშიც კაცს პროზაული კარიერა აყენებს“ და რომელთა წყალობითაც მწერალი „მისი მთელი სიმართლით შეიცნობს ცხოვრებას“. თუ რამდენად ახლოს დგას „მინა“ რეალურ ცხოვრებასთან, უკვე ის მოწმობს, რომ „სარასაგან“ განსხვავებით

მის მოქმედ პირთ ლიტერატურული გმირები კი აღარა ჰყავთ პროტოტიპებად, არამედ ყოვლად კონკრეტული, ისტორიული პიროვნებანი. ასე მაგალითად, ტელაჰაიმის ხასიათს თავისი საკუთარი პიროვნების რიგ თვისებასთან ერთად ლესინგმა მიაკუთვნა თავისი მეგობრის მამორ ევალდ ქრისტიან ფონ-კლაისტის, — თავად თვალსაჩინო პოეტისა და ცნობილი რომანტიკოსი მგოსნის, ჰაინრიხ ფონ-კლაისტის პაპისძმის, — მრავალი ზნეობრივი თვისება; კლაისტის საცოლეს, ვილჰელმინა ფონ-გოლცს, უნდა „ეჩუქებინოს“ თავისი სახელი მინასათვის, ხოლო ვახმისტრი პაულ ვერნერი, რომელიც ათ წელიწადში გავეწერლებას აპირებს („ათი წლის შემდეგ ან გენერლის ცოლი იქნებით, ან ქვრივიო“, ეუბნება იგი ფრანცისკას), თავის სახელს უმადლის გენერალ-ლეიტენანტ პაულ ფონ ვერნერს, რომელიც ავსტრიის ჯარში 29 წლის მანძილზე სამსახურისას როტმისტრობას ვერ გასცილდა, ხოლო თავბრუდამხვევი სისწრაფით ამალდა მას შემდეგ, რაც 1751 წელს პრუსიის მეფის სამსახურში გადავიდა. აღბათ თავის ამ წინამორბედს გულისხმობს ლესინგის ვერნერი, როცა ტელაჰაიმს ეუბნება: „მე კარგი ვახმისტრი ვარ. შეიძლება ცული როტმისტრი გამოვსულიყავი და, უეჭველია, უფრო უარესი გენერალი. რამდენი მაგალითია ასეთი“ (III, 7); ყოველ შემთხვევაში ამ „წარჩინებულ“ პროტოტიპის ხათრითა თუ შიშით იყო, რომ ჰამბურგში, სადაც „მინა“ მეორედ დაიდგა (1767 წლის 30 სექტემბერს; პირველი დადგმა კი ლაიპციგში განხორციელდა), ვერნერს ეელფერი გადააჩქევს.

„მინას“ წარმატება ქვეშაირტად უზარმაზარი იყო. ჰამბურგის შემდეგ იგი დაიდგა ვენაში (1767 წ. 14 ნოემბერს), ისევე ლაიპციგში (18 ნოემბერს), ბერლინში (1768 წ. 21 მარტს), რის შემდეგაც დიდი ხნით მოიხვეჭა იმ დროისათვის გაუგონარი პოპულარობა. რამლერის მოწმობით, 1771 წელს იგი ზედიზედ ოცჯერ წარმოუდგენიათ ბერლინში, მინას სახელი კალენდარში ჩაუწერიათ, ხოლო მისი სურათი თუ სპილენძზე, თუ პუნშის თასებზე ამოუქრიათ და დაუხატაუთ. ო ელკეს ცნობით, „მინას“ გამოქვეყნებიდან 50 წლის მანძილზე დაიწერა 260 დრამა, რომელსაც მისი პირდაპირი ზეგავლენა ემჩნევა.

„მინამ“ სწრაფად გაიკაფა გზა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებშიც: ითარგმნა და დაიდგა საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში, რუსეთში, — თანაც ისე, რომ სხვადასხვა „შესწორებებს“ განიცდიდა და სათაურსაც კი იცვლიდა ხოლმე. კერძოდ, 1779 წელს გამოქვეყნებულ რუსულ თარგმანში მას ეწოდა „Солдатское счастье“ ანდა 1786 წელს დაიდგა ლონდონში სათაურით „The disbanded officer, or the Baroness of Bruchsal“ (გადამღარი ოფიცერი ანუ ბარონესა ბრუხზალი), ხოლო 1799 წლის მეორე ინგლისურ თარგმანში შეერქვა: „The School for Honour, or the Chance of War“ (ღირსების სკოლა ანუ ომის შესაძლებლობანი).

„მინას“ ქართული თარგმანი 1946 წელს გამოქვეყნდა პირველად.



გვ. 142. მამორი — უფროსი ოფიცრის პირველი (უმდაბლესი) წოდება, რომელსაც, ჩვეულებრივ, ბატალიონის მეთაური ატარებს. — ვახმისტრი — გერმანულად: Wachmeister — უმცროსი ოფიცრის უკანასკნელი (უმადლესი) წოდება კავალერიაში, რომელსაც ქვეით ჯარში შეესაბამება ფელდფებელი (Feldwebel). — ფელდიგერი — სამხედრო (საველე) შიკრიკი.

გვ. 145. ორმაგი „ორაგული“ — ორიგინალში: doppelter Lachs — ორმაგი სიმაგრის ლიქიორი, რომლის ეტიკეტზე ეხატა ორაგული (Lachs)



და რომელსაც ამზადებდა დანციგის ქარხანა „Zum Lachs“. — ტალერი — XVI საუკუნიდან ხმარებული გერმანული მსხვილი ვერცხლის ფული, რომელსაც მხოლოდ XIX საუკუნის შუაში დაუმკვიდრდა მტკიცე ღირებულება — სამი მარკის რაოდენობით. — ჰელერი — ძველგერმანული უწყვილესი (დაახლოებით ნახევარი კაპიკის ღირებულების) სპილენძის ფული.

გვ. 147. ლუიდორი — „ოქროს ლუი“ (Louis d'or) — ფრანგული ოქროს ფული, პირველად მოიქრა მეფე ლუი XIII-ის დროს, 1640 წელს. უდრიდა 5 ტალერს.

გვ. 149. პისტოლი — XVII—XIX საუკუნეთა ესპანეთში, საფრანგეთში და გერმანიაში გავრცელებული ოქროს ფული, 5 ტალერისა თუ 1 ლუიდორის ღირებულების მქონე. — როტმისტრი — გერმანულად: Rittmeister — კავალერიის ოფიცრის წოდება, ესკადრონის მეთაური. შტაბროტმისტრი — შტაბის როტმისტრი.

გვ. 152. ფენიგი — უმცირესი გერმანული მონეტა, მარკის მეასედი ღირებულებისა. — გროში — მცირე ვერცხლის ფული (ხმარებაშია 1300 წლიდან), უდრიდა 10 — 12 ფენიგს. — ლივჩეა — მსახურის (ლაქის) საღარბაზო, სირმებიანი ტანსაცმელი.

გვ. 155. ფრიდრიხსლორი — 1750 — 1871 წლებში ხმარებული პრუსიული ოქროს ფული (5 ტალერის ღირებულებისა), რომელზედაც გამოსახული იყო პრუსიის მეფე ფრიდრიხ I.

გვ. 155 — 156. იუსტ, ხომ არაფერი გაგიგია პრინც ერეკლეზე (ორიგინალში: ...von dem Prinzen Heraklius)? — ნუთუ არაფერი იცი აღმოსავლეთის დიდგმირზე? — შეკაიკაცო, ჩანს გაზეთებსაც ისევე იშვიათად კითხულობ, როგორც ბიბლიას, მაშ არ იცნობ პრინც ერეკლეს? იმ მაშაც ვაეჟაცს, რომელმაც სპარსეთი დაიპყრო და დღეს თუ ხვალ ოტომანთა პორტაში („პორტა“ ძველი ოსმალეთის იმპერიის სახელწოდება იყო) შეიქრება? — როგორც ეს თავის დროზე კუნოფიშერმა აღნიშნა (შრომში: G. E. Lessing als Reformator der deutschen Literatur, I Th., 1881, S. 114 — 115), ისტორიასა და გეოგრაფიაში გაუწაფავი ვერნერი აქ ამახინჯებს სინამდვილეს: ჭერ-ერთი, „მინას“ მოქმედების დროს (1763 წ.) ერეკლე „პრინცი“ კი აღარ არის, არამედ დიდი ხნის მეფეა კახეთისა (1744 წლიდან) და ახლად (1762 წლიდან) გამეფებული ქართლში; მეორეს მხრივ, მან კი არ „დაიპყრო“ სპარსეთი, არამედ სპარსეთისაგან გაათავისუფლა თავისი ქვეყანა და 60-იან წლებში მისი შინაგანი განმტკიცება-გაძლიერებისათვის ილწვოდა ლეკთა თარეშის მოგერიებისა და განჯისა და ერევნის სახანოთა დამორჩილების შემდეგ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერეკლეს პიროვნებითა და საქმეებით ვერნერის აღფრთოვანება კარგად გამოხატავს იმ რეზონანსს, რომელიც ჰქონდა დასავლეთ ევროპაში პატარა კახის სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეობას სპარსეთსა და ამიერკავკასიაში. ამ რეზონანსს მიუთითებს ვერნერის რწმუნებაც, რომ სპარსეთზე გამარჯვებული ერეკლე „დღეს თუ ხვალ ოტომანთა პორტაში შეიქრება“: თუმცა ოსმალეთს ერეკლემ მხოლოდ 1770 წელს შეუტია, მაგრამ, როგორც იქვე აღნიშნავს, ევროპაში უკვე 60-ნი წლებიდან დარხეულა ხმები, რომ „აღმოსავლეთის გმირი“ სადაცაა-და გაილაშქრებს თურქთა წინააღმდეგ.

თავად ლესინგს შეეძლო მრავალი წყაროს მიხედვით ცოდნოდა ჩვენი სახელოვანი მეფის ამბავი. ერეკლეს საგმირო საქმეებისა და ბრძნული

პოლიტიკის შესახებ მხოლოდ გაზეთები კი არ იუწყებოდნენ, რომელთა წაუკითხველობას ვერანერი იუსტუს უსაყვედურებს, არამედ მრავალი პერიოდული ჟურნალიც, — მაგ., ფრანგული ჟურნალები: „Mercure historique et politique“, „Minerva“, „Nouvelles Litteraire“ — სისტემატურად აღწობდნენ ევროპელ მკითხველს საინტერესო ამბებს საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური ცხოვრებიდან. ამავე დროს, ერეკლეზე მდიდარ ცნობებს შეიცავდა ბევრი ცალკეული წიგნიც, როგორც, მაგალითად, ფრანგულ ენაზე Jean Otter-ის Voyage en Turquie et en Perse, 2 vol; Paris, 1748 (მოგზაურობა თურქეთსა და სპარსეთში), ინგლისური ენაზე J. Hanway-ს An historical account of the British trade over the Caspian Sea, with a Journal of travels from London through Russia into Persia, 1-IV, London 1753 (კასპიის ზღვაზე ბრიტანეთის ვაჭრობის ისტორია, ლონდონიდან რუსეთზე გავლით სპარსეთს მოგზაურობის დღიურითურთ) ანდა J. Emin-ის The life and adventures of Joseph Emin an Armenien written in English by himself, London, 1763 (სომეხი იოსებ ემინის ცხოვრება და თავგადასავალი, მის მიერვე დაწერილი ინგლისურად). მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერთი ანონიმური, 1755 წელს შინის ფრანკფურტში გერმანულად გამოცემული, როგორც ჩანს, ფრანგულ და ინგლისურ წყაროთა მიხედვით შედგენილი წიგნაკი (შეიცავს 102 გვერდს), რომელშიც მეფე ერეკლე — ისევე, როგორც ლესინგის კომედიაში — მოიხსენება „Prinz Heraclius“-ად. მისი სათაურია: Geschichte der Unruhen in Persien und Georgien woriner zugleich die richtige Genealogie des Prinzen Heraclius und die vornehmsten Thaten desselben enthalten — სპარსეთისა და საქართველოს მდელვარებათა ამბავი, რომელიც ამბავე დროს შეიცავს პრინც ჰერაკლიუსის მართალ გენეალოგიასა და მისსავე უმნიშვნელოვანეს საქმეებსა. მომაქვს ამ საინტერესო წიგნის სარჩევის თარგმანი:

#### პირველი ნაწილი

I თავი. საქართველოს გეოგრაფიული დაყოფა.

II თავი. სამეგრელოს სამთავროს შესახებ.

III თავი. იმერეთის (Imereta) სამეფოს შესახებ.

IV თავი. კახეთის (Caket) სამეფოს შესახებ აღექსანდრეს მეფობიდან მოკიდებული ვიდრე უკანასკნელი უძლეველი მეფის — თეიმურაზის სიკვდილამდე.

V თავი. ქართლის (Carduel) სამეფოს შესახებ ლუარსაბიდან მოკიდებული ვიდრე შაჰნავაზის სიკვდილამდე. ეს სახელმწიფო ექვემდებარება კახეთის (სამეფო) სახლს.

VI თავი. ქართლის ტახტის მემკვიდრენი შაჰნავაზის სიკვდილიდან ვიდრე ვახტანგ-ხანამდე (Vachtan-khan).

VII თავი. კახეთის ამბების გაგრძელება ერეკლეს მიერ არჩილის გაქვემდებარებულ მუხომდელ ყული-ხანამდე.

VIII თავი. მუხომდელ ყული-ხანის ცილობა ვახტანგთან. ქართლის მთავართა (პრინცთა) სრული ამოწყვეტა. მუხომდელ ყული-ხანის სიკვდილი.

IX თავი. მუხომდელ ყული-ხანის სიკვდილიდან ვიდრე ჭერ კიდევ ცოცხალი თეიმურაზის სრულიად საქართველოს ვიცემეფედ დაყენებამდე.

I თავი. ადილ-შაჰის ტახტზე ასვლა 1747 წელს. სამ-მირზას (Sam-Mirza) აჯანყება. ხაზართა დამარცხება.

II თავი. ემირი არსლან-ხანი და იბრაჰიმის აჯანყება. ადილ-შაჰის სიკვდილიდან — 1748 წლის დასასრულამდე.

III თავი. ემირ არსლან-ხანის სიკვდილი. 1749 წელს იბრაჰიმი იღებს მეფის წოდებულებას; ცოლად ირთავს თავისი ძმის ქვრივს. შაჰ-რუხი ცხადდება მეფედ. იბრაჰიმის სიკვდილი. შაჰ-რუხი ბრუნდება ხორასანს.

IV თავი. ავღანელთა დასახლება აზერბაიჯანში; მღელვარება ბახტრიელებში; ისმაილ-შაჰი იღვამს გვირგვინს 1750 წელს. ერეკლე ამარცხებს ავღანელებს. ისინი აოხრებენ ერევნისა და ნახიჩევანის პროვინციებს. შაჰ-რუხს დათხარეს თვალები.

V თავი. ერთი ჯგუფის გეგმა მეფის არჩევის შესახებ. თეიმურაზი ტყუვდება ამ გეგმის განხორციელებისას. ლეკები ამარცხებენ ერეკლეს ლაშქარს; მაგრამ შემდეგ თავად მარცხდებიან და საბოლოოდ განიდევნებიან ამ პრინციის მიერ. ავღანელები ზავს დებენ ერეკლესთან.

VI თავი. სპარსეთისა და საქართველოს მდგომარეობა 1753 წელს<sup>1</sup>.

გვ. 156. კარგად ვიცნობ აღმოსავლეთის მოგვებს, რომელთაც ახალწლის დამეს ხელში ვარსკვლავები ეუქირავთ და კარდაკარ დაეხეტებიან (ორიგინალშია: ...mit dem Sterne herumlaufen). — იუსტი გულსხმობს ძველგერმანულ (წარმართობის დროიდან მომდინარე) ხალხურ ჩვეულებას — Sternsingen-ს (ვარსკვლავთა ხოტბას), რომლის მიხედვით ახალწლის დღეებში ახალგაზრდები მოგვების ტანსამოსში გამოეწყობოდნენ ხოლმე, ხელში ქოგრებს დაიქვრდნენ, რომლებზედაც ვარსკვლავი იყო მიმაგრებული, და შესაფერისი სიმღერებით ჩამოუვლიდნენ მებოძლებს. — მგონი არც შენიქნები ისეთი უგუნური, რომ მშვენიერი კარმიდამო მიატოვო. — „კარმიდამო“-ს ნაცვლად ორიგინალშია Schulzengericht — გლეხის თავისუფალი მამული, რომელიც დაკავშირებულია სოფლის სასამართლოს წარმოებასთან. — დუკათი. — ძველი იტალიური, ავსტრიული, პოლანდიური ოქროს მონეტა. გერმანიაში — სახელმწიფო მონეტა 1557 — 1857 წლებში (უდრიდა 3 ტალერს).

გვ. 157. კაცენჰოიზერი — რუქაზე: კოცბახი. საქსონიის სოფელი, სადაც 1760 წელს გაიმართა ბრძოლა პრუსიელებსა და ავსტრიელებს შორის. — ვისპელი — ძველგერმანული ხორბლეულის საწყაო (12 — 24 ჰექტოლიტრი).

გვ. 158. კაპრალი — ოფიცრის უმდაბლესი ხარისხი.

გვ. 161. ...„ეს სპანეთის მეფესთან“ დაბინავდნენ. — „ესპანეთის მეფე“ ეწოდება სასტუმროს, სადაც „მინას“ მოქმედება წარმოებს. კომენტარები ფიქრობენ, რომ ამ სასტუმროს „პროტოტიპი“ უნდა ყოფილიყო ბერლინის ბურგმეტრასზე მდებარე ოტელი „ოორტუგალიის მეფე“, რომელიც, სხვათაშორის, „უკვდავქმნილია“ სხვა გერმანელი მწერლების თხზულებებითა და სახელებითაც (ვილჰელმ ჰაუფის „მოტიკვაე“, ფრიდრიხ-

<sup>1</sup> ცნობები ერეკლეს შესახებ დას. ევროპაში არსებულ ლიტერატურაზე, რომელიც მეტადრე XVIII ს.-ის 80-90-იან წლებში იზრდება, მომარწოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელმა ბეჟან გიორგაძემ, რისთვისაც ვუხდი მას მადლობას.

ტერის „ბელივენს მოვზაურობა“, ე. თ. ჰოფმანის მხიარული შეხვედრები ვილიბალდ ალექსისთან, ჰაუფთან და იულიუს პოტიცთან; იმათაც კი ვარაუდობენ, რომ ლესინგი ამ სასტუმროს პატრონსაც იცნობდა, რომელსაც, 1766 წლის აქტების თანახმად, ერქვა ფრიდრიხ ციზე.

გვ. 162. კამერფრაუ — გათხოვილი მოახლე; კამერაიუნგფერ — ვაუჰხოვარი მოახლე.

გვ. 178. კამერდინერი — ოთახის მსახური, პირისფარეში არისტოკრატულ სახლში. — იევერი — 1. მონადირე; 2. მსახური, რომელიც ნადირობის დროს ახლდა ხოლმე დიდებულთ.

გვ. 195. რიკო: ... შეეცდი... არ შეეშეცდარვარ. — ორიგინალში რიკო, ვითარცა ფრანგი, ამტკრევს გერმანულს: ...Ik bin unrichtig ...Ik bin nikt unrichtig და ა. შ. თარგმანში მისი მეტყველების ეს ნიუანსი არ არის გადმოცემული.

გვ. 198. სან-მარინოს რესპუბლიკა — შუა იტალიაში მდებარე „ჯუჯა“ რესპუბლიკა: მისი ტერიტორია 59 კვ. კმ-ს უდრიდა, ხოლო ჯარი 950 მხედრისაგან შესდგებოდა. — გენერალური შტატები — ნიდერლანდია. — ობერსტი — უფროსი ოფიცრის წოდება, უდრის ჩვენი ჯარის პოლკოვნიკს. — ლივრი — ძველი (1796 წლამდე მოქმედი) ფრანგული ვერცხლის ფული, რომელიც უდრიდა 20 სუს ანუ დაახლოებით 1 ფრანკს.

გვ. 207. წოდებათა წარმომადგენლებმა თამასუქი მომცეს... — „წოდებანი“ ერქვა შუასაუკუნეებში თავადაზნაურობის, სამღვდულოებისა და შეძლებულ მოქალაქეთა ფენებსა თუ გაერთიანებებს, რომელთაც პრავილეგიები ჰქონდათ ქალაქისა და სოფლის დანარჩენი მოსახლეობის (პლეზისა და გლეხობის) წინაშე.

გვ. 208.... თუნდაც ისეთი შავი დამახინჯი ყოფილიყავით, როგორც ვენეციელი მავრი — იფულისხმება ოტელო.

გვ. 221. ობერსტლოიტენანტი — უფროსი ოფიცრის წოდება (მაიორსა და ობერსტს შუამდგომი), უდრის ჩვენს პოლპოლკოვნიკს.

გვ. 229. ფუხტელი — ობიერი ხმალი, რომელსაც მაშინდელ გერმანიაში ჯარისკაცთა საცემად იყენებდნენ.

## ემილია ბალოტი

ლესინგამდეც და მის შემდეგაც ბევრ ევროპელ დრამატურგს დაუმუშავებია ტიტელივიუსის ცნობილი სიუჟეტი, — რომელი პლებეი ქალის, სათნო ვირგინიას ტრავიკული სიკვდილის ამბავი. ჯერ კიდევ 1530 წ. რენესანსის გამოჩენილმა გერმანელმა პოეტმა პანსსაქსმა დაწერა ტრაგედია „ვირგინია“. შემდეგ ამავე სახელწოდების პიესებს წერენ: ესპანეთში — აუგუსტინო დემონციანო ილუიანდო (1750), ინგლისში — ჰენრი სემუელ კრისპი (1754), იტალიაში — უდიდესი იტალიელი ტრაგიკოსი ვიტორიო ალფიერი (1777 — 83). განსაკუთრებული პოპულარობა ხვდა წილად ამ სიუჟეტს საფრანგეთში; აქ „ვირგინია“ დაწერეს ჟან დე-მარემ (1628), მიშელ ლეკლერკმა (1645), ჟან ვალბერ დე-კამპისტრონმა (1685), ლაბომელმა (1769), მიშელ გი დე-შაბანონმა (1769), ჟან ფრანსუა დე-ლაპარკმა (1786), ანტუან ლებლან დიუ-გიიემ

(1786), ალექსანდრ გირომ (1827), ლატურ სენტ-იბარმა (1845) და სხვებმა. მაგრამ ვერც ერთი „ვირგინია“, — თვით ალფიერის ტრაგედიაც კი, რომელიც მიჩნეულია ძველ-რომაული ცხოვრების შესახებ ახალ დროში დაწერილ დრამებს შორის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ქმნილებად, — ვერ გაუტოლდა თავისი ძალითა და ცნობილებით ლესინგის „ემილიას“.

50-იან წლებში ლესინგი გატაცებულია რომაული თემატიკით. იგი ადგენს „გმირული“ დრამების — „კორდუსი“-ს, „სენეკა“-ს და „კლეონი“-ს და ტრაგედია „ფილოტასი“-ს მონახაზებსა და განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს ლივიუსის სიუჟეტს: აქვეყნებს ესპანელ ლუიანდოსა და ინგლისელ კრისპის „ვირგინიების“ ნაწყვეტთა თარგმანს და თავადაც აპირებს ამ სიუჟეტზე ტრაგედიის შექმნას, წერს ფრაგმენტს „განთავისუფლებული რომი“. მაგრამ ეს ფრაგმენტი, — ისევე, როგორც მისი დანარჩენი „რომაული“ პიესების მონახაზები, — ფრაგმენტად რჩება, რამდენადაც ლესინგი, როგორც დრამა რეალისტი, სწორად ასკვნის, რომ ესა და სხვა რომაული სიუჟეტებიც, რომელთაც მადალი სამოქალაქო შეგნება და სულსკვეთებანი გამსჭვალავდნენ, თავისი უშუალო, საკუთრივ-რომაული სახით ძალზე დაშორებული იყო ჩამოჩენილ, ფილისტერული „უსულობით“ დაძაბუნებულ გერმანელთა ცნობიერებას. კერძოდ, ერთი თანამედროვე ლესინგოლოგის, ვალტერ ჰოიერი, თქმისამებრ, უკანონობის წინააღმდეგ სახალხო აჯანყების მოტივით დაგვირგვინებული ვირგინიას სიუჟეტი შეესაბამებოდა „ხალხს, რომელსაც ჯერ კიდევ შეგნებული ჰქონდა თავისი უფლებანი“ და არა გერმანიის მიკროსკოპიულ სამთავროთა „უმწეო ქვეშევრდომთ, რომელთაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ თავიანთ აღამიანურ და სამოქალაქო, ჯერ კიდევ დაუწერელ უფლებებზე“, რის გამოც ლესინგმა მართებულად არჩია ისე გადაეკეთებინა ეს სიუჟეტი, რომ აესახა ის „თითქმის გამოუსავალი ვითარება, რომელშიც მშინ გერმანელი ხალხი იმყოფებოდა და „აღედარა მასურებლის შინაგანი ძალები“ ამ ვითარების წინააღმდეგ.

„ემილიას“ ძალის, ქმნილობის მთავარ მიზეზს ის წარმოადგენს, რომ განსხვავებით ლივიუსის სიუჟეტის სხვა დამმუშაებელთაგან, რომლებიც თავიანთ ლიტერატურულ წყაროს ფარგლებს ნაკლებ სცილდებოდნენ, ლესინგმა აქაც, — როგორც „მინაში“, — ახალი, უშუალოდ ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული მასალით გააცოცხლა ძველი სიუჟეტი. თუმცა „ემილიას“ მოქმედება იტალიაშია გაშლილი, ნამდვილად იგი მთლიანად მაშინდელი გერმანული ყოფა-ცხოვრების ანარეკლს წარმოადგენს. თუ რამდენად ზუსტად ასახავს აქ ლესინგი მშობლიურ გარემოს, ამას თუნდაც პრინცი გონზაგა მოწმობს, რომელიც მხოლოდ ტიპიურ პლანში კი არ წარმოგვიდგენს გერმანიის ჯუჯა-ტირანებას, არამედ ინდივიდუალურ ასპექტშიც გვევლინება მათ ორეულად. იმდროინდელი პოლიტიკური მოღვაწე გრაფი მანტოიფელი ანუ ახასიათებს XVIII ს-ის გერმანულ ხელისუფლად: „გერმანია აღსავსეა მთავრებით, რომელთა სამი მეოთხედი თითქმის მოკლებულია საღ აღამიანურ გონებას და გვევლინება კაცობრიობის სირცხვილად და ჭირად. რაოდენ მცირეც არაა მათი სახელმწიფოები, მათ ჰგონიათ, კაცობრიობა მათთვისაა შექმნილი და უნდა წარმოადგენდეს მათ სულელურ საქციელთა ობიექტს“. სწორედ ამგვარი მთავრები იყვნენ ბრაუნშვაიგის ჰერცოგი კარლი და მემკვიდრე პრინცი კარლ ვილჰელმ ფრ დინანდი, რომელთა უშუალო ხელქვეითად გაატარა ლესინგმა, ვითარცა გოლფენბიუტელის ბიზლიოთეკარმა, თავისი ცხოვრების უკანასკნელი და უმძიმესი ათი წელი. კერძოდ, კარლმა თავისი 5700 თანამემამულე მიჰყიდა ინგლისელებს აშერიუს ომში გასამწესებლად და 7 მილიონი ტალერის ვალი დაუტოვა ხაზინას თავისი სიკვდი-

ლის შემდეგ. იმ დროის ისტორიკოსი ე. დ. ბეზე თავის „გერმანულ სამეფო კართა ისტორიაში“ მას ახასიათებს, როგორც „ბრწყინვალეს, ხელოვნების მოყვარულს, ვნებიანს, მოუსვენარს, დაუღვარასა და თავქარიანს“. და ყველა ეს თვისება „ამჟობს“ პრინც პეტორე გონზაგასა<sup>1</sup>.

მისი ამგვარი, — უშუალოდ ცხოვრებისეული, — რეალიზმით აიხსნება ის გარემოება, რომ „ემილიას“ წარმატება დასაწყისში (პირველად დაიდგა ბრაუნშვაიგში 1772 წლის 13 მარტს) არცთუ მაინცდამაინც დიდი იყო: გერმანელი მაცურებელი და მკითხველი ჯერ კიდევ მოუმწიფებელი აღმოჩნდა ამ რეალიზმის სრული სიღრმით აღსაქმელად. თავად ქაბუჯი. გოეთეც კი, რომელიც ეს იყო სათავეში უნდა ჩადგომოდა ტირანისის წინააღმდეგ ამბონებულ „ბობოქარ გენიათ“, თავდაპირველად ვერ ჩასწვდა ჯეროვნად „ემილიას“ რევოლუციურ პათოსს; 1772 წლის ივლისის იგი წერს თავის მასწავლებელსა და მეგობარს ჰერდერს, რომ „ემილია“ იმდენადაა „მხოლოდ მოფიქრებული“ ნაწარმოები, რომ „არასრულფასოვანი კაცის გონებაც კი მიუხედავად მისი ყოველი სცენის, სულაც ყოველ სიტყვის „რატომ“-სო“ და დასძენს: „სწორედ ამიტომ არ მიმდის გული ამ პიესასზე, მიუხედავად იმისა, რომ სხვაგვარი იგი ოსტატური კმნილებაა“. მაგრამ „ემილიას“ რეალიზმის ძალამ მალე გაჟანტა გუგუბრობის ეს ბურუსი და, საბოლოოდ, მით უფრო ღრმა და ხანგრძლივი აღმოჩნდა მისი ცხოვრებულყოფილი ზეგავლენა პროგრესულ ახალგაზრდობაზე, რაც კარგად აღნიშნა იმავე — მაგრამ უკვე მოხუცმა — გოეთემ: „ემილია გალოტის“ წარმოქმნამ „გაგვაშხენვა ჩვენ, ახალგაზრდებო“, წერს იგი ერთ თავის მეგობარს, მუსიკოს ცელტერს, და ასკვნის: „ჩვენ დიდად დავრჩით ლესინგისაგან დაეალებულნიო“.



გვ. 232. პეტორე გონზაგა, გვასტალას პრინცი. — გონზაგა ცნობილი ისტორიული გვარია, იტალიელ მთავართა (ტირანთა) დინასტია, რომლის ერთ-ერთი შტოს საფლობელოს წარმოადგენდა გვასტალა, რეჯიო ემილიას — მდ. პოს მარჯვენა ნაპირზე მდებარე ჩრდილო-იტალიურ პროვინციის — ქალაქი. მაგრამ პეტორე გონზაგა ისტორიული პიროვნება არაა, მას არასოდეს უცხოვრია: გვასტალას მფლობელი გონზაგების სახლი 1746 წელს ამოწყდა, ხოლო 57 — 72 წლებში დაწერილ „ემილიას“ მოქმედება თუმცა არაა ქრონოლოგიურად ლოკალიზებული, მაგრამ აშკარად უფრო გვიან წარმოებს, აწმყოს პლანში ვითარდება. პეტორეს ტიტულს — „პრინცი“-ს რაც შეეხება, იგი აქ იტალიურ „Principe“-ს აზრით იხმარება ანუ „ხელისუფალს“, „მთავარს“ იმნავეს და არა — როგორც ჩვეულებრივ — ტახტის მემკვიდრე უფლისწულს. — მარინელი, პრინციის კამერჰერი ეწოდებოდა მონარქის თუ მთავრის საკარო საბჭოს „დარბაზის“ (Hofkammer) წევრს (თავდაპირველად კი ერქვა ფეოდალის უშუალო, პირად მსახურს).

გვ. 233. მარკიზი, გრაფი — მაღალი არისტოკრატიის მემკვიდრეობით გარდამავალი ტიტულებია.

<sup>1</sup> გერმანელი დესპოტის ტიპიური ნიმუშის უშუალოდ გაცნობის გარდა ბრაუნშვაიგის პერსოგთან სამსახურმა კიდევ ერთი სარგებლობა მოუტანა ლესინგს: ვითარცა კარლის მეორე შეილის — ფრანც ლეოპოლდის მხლებელმა, მან 1775 წ-ს 10 თვემდე გაატარა კლასიკური და რენესანსული ხელოვნების ქვეყანაში, — იტალიაში, — რომლის ნახვა მისი მთელი ცხოვრების იმპო, საკუთარი ძალით განუხორციელებელი ოცნება იყო.

გვ. 236. ...თვით გრაციასაც დაამახინჯებს. — გრაცია ძველ-რომაულ მითოლოგიაში სილამაზის ერთ-ერთი ღმერთქალია; სულ სამი გრაცია იყო: აგლაია („ბრწყინვალება“), ეეფროსინე („სიმხიარულე“) და თალია („ყვეილობა“).

გვ. 237. საბიონეტა — ჩრდილოეთ იტალიის პროვინციის — მანტუას თემი.

გვ. 240. მასსა — მასსა ეკარარას, ლიგურიის ზღვის სანაპიროზე მდებარე ტოსკანური პროვინციის დედაქალაქი.

გვ. 241. პიემონტი — საფრანგეთისა და შვეიცარიის მოსაზღვრე მხარე ზემო იტალიისა.

გვ. 244. დოზალო — სინამდვილეში: დოზოლო — მდ. პოს გაღმა (მარცხენა) ნაპირზე მდებარე მაპული.

გვ. 245. დომინიკელები — წევრები ბერთა კათოლიკური ორდენისა, რომელიც 1216 წელს დააარსა ესპანელმა მქადაგებელმა დომინიკემ ე. წ. ალბიგოელთა ერესის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით და რომელსაც შემდეგში რომის პაპმა დააკისრა ინკვიზიციის ხელმძღვანელობა ამ ორდენის წიაღიდან გამოვიდა შუასაუკუნეთა მრავალი გამოჩენილი, როგორც კათოლიკური, ისე ანტიკათოლიკური მოაზროვნე. მაგ. ერთის მხრივ — სქოლასტიკოსები ალბერტი დიდი და თომას აკვინელი, ხოლო მეორეს მხრივ — მისტიკოსები მაისტერ ეკჰარტი, ზოიზე და თაულერი.

გვ. 248. პიზა — ტოსკანური პროვინციის — პიზას დედაქალაქი, თავისი შუასაუკუნებრივი არქიტექტურული ძეგლებით ერთ-ერთი უცნობილესი ქალაქი იტალიისა; განსაკუთრებითაა განთქმული მისი ტაძარი და დახრილი კოშკი.

გვ. 249. ფორეიტორი — უფრო სწორად: ფორრაიტერი — ცხენით (ეტრის) წინ მავალი მსახური.

გვ. 251. კანცლერი — კარლოს დიდის (VIII ს.) დროიდან — სახელმწიფოს უმაღლესი მოხელის ტიტული; XVI საუკუნიდან — სამეფო კანცელარიისა და არქივის უფროსის სახელწოდება.

გვ. 290. ...ოდესმე ბახუსის ქურუმ ქალებად... რომ გადავიქცეოდეთ. — ძველ-ბერძნულ მითოლოგიაში ბახუსი ანუ დიონისე არის ღვინის, მეღვინეობისა და მხიარულების, ღრეობის ღმერთი.

გვ. 299. სიბილა — ძველს საბერძნეთსა და რომში ეწოდებოდა წინასწარმეტყველ, მარჩიელ ქალს. ყველაზე ცნობილი იყო ქვემო-იტალიელი კუმფლი სიბილა; მას მიაწერენ ე. წ. რომის სიბილურ წიგნებს — წინასწარმეტყველებათა კრებულს, რომელიც კაპიტოლიუმის ტაძარში ინახებოდა და რომლის რჩევებისათვის გამოყენება მხოლოდ სენატის ბრძანებით შეეძლო ქურუმთა კოლეგიას.

გვ. 303. ოდესდაც მამაცმა მამამ თურმე თავის ქალი-შვილს ხანჭლით გაუგმირა გული, რათა ეხსნა შერაცხვენი-საგან... — ემლია ლაპარაკობს რომაელ ვირგინიუსზე და მის ასულ ვირგინიაზე.

## ნათან ბრძენი

აღმოსავლური წარმოშობის იგავი სამი ბექდის შესახებ, რომლის ნათანსე-ული ვარიანტი ლესინგის ამ დრამის იდეურ კენცტესენციას გამოხატავს, ევროპულს ლიტერატურაში პირველად გვხვდება ადრე შუასაუკუნეთა ქრისტიან-

ნელ-დიდაქტიკური ნოველების ცნობილ ლათინურ კრებულში „Gesta Romanorum“ (რომაული საქმენი). აქ ერთ ნოველაში მოთხრობილია, რომ მაჰამ თავის სამ ვაჟს თითო-თითო ბეჭედი უანდერძა, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო ნამდვილად ძვირფასი. განკურნების სასწაულებრივი ძალით აღქურცილი, ეს ნოველა, როგორც მთელი კრებული, ქრისტიანობის აპოლოგიას ემსახურებოდა: ნამდვილა ბეჭედი აქ ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლო იყო, ხოლო ორი ყალბი ბეჭედი ებრაულ და მაჰმადიანურ რელიგიებს გამოხატავდა. — მეორედ სამი ბეჭდის იგავი დამუშავებულია XIII—XIV ს-თა მიჯნაზე წარმომდგარ იტალიურ კრებულში „ნოველინო ანუ ასი ძველი მოთხრობა“. აქ სულ-თანო მისგან ფულის გამოსატყუებლად ეკითხება მდიდარ ებრაელს, თუ რომელი სარწმუნოებაა უკეთესი — ებრაული თუ სარკინოზებისა (ე. ი. მაჰმადიანური); ჩემო, რომ ეპასუხნა ებრაელს, სულთანო მას მაჰმადიანურის შეუარაცხუფისათვის დასჯიდა, ხოლო მაჰმადიანური რომ ეთქვა, მაშინ იმას გამოედევებოდა, ებრაულს რათ მისდევო. ამ მიმე მდგომარეობას ებრაელი იმით აღწევს თავს, რომ სამი ბეჭდის ამბავს ყვება, რის შემდეგაც ასკენის: „და არავინ იცოდა ნამდვილი ბეჭედი, გარდა მამისა, და ამასვე გეტყვი სარწმუნოებათა შესახებაც, რომელთა რიცხვი სამია. მაჰაზეციერმა უწყის, რომელია უკეთესი; შვილებს კი, ე. ი. ჩვენ, ყველას გვგონია, რომ ჩვენია კარგი“. ამრიგად აქ უკვე ახლებურად, — მოახლოებული რენესანსის სულისკვეთებათა შესაბამისად, — წყდება საკითხი: ყველას აქვს უფლება თავისი სარწმუნოება მიიჩნიოს კარგად; მაგრამ რელიგიათა არათანაბრობის შუასაუქუნებრივი თვალსაზრისი მთლიანად ჯერ კიდევ ვერაა მოხსნილი: რომელიც სარწმუნოება თავისთავად, პრინციპულად მაინც უკეთესია, და ეს ღმერთმა უწყის. — მესამედ ამ იგავს ჯოვანი ბოკაჩო ამუშავებს „დეკამერონში“ (პირველი დღის მესამე ნოველა). აქ სულთანსა და ებრაელს უკვე სახელები აქვთ შერქმეული — სალადინი და მეღმეღი, ხოლო რელიგიათა თანასწორუფლებიანობის იდეა უფრო გარკვეულად და კატეგორიულადაა გამოხატული: „მას შემდეგ, რაც ყველა ბეჭედი იმდენად მსგავსი აღმოჩნდა, რომ ვერ გაარჩიეს, რომელი იყო ნამდვილი, საკითხი, თუ რომელი შვილია მამის ჰეშმარიტი მემკვიდრე, დიდად არაა დაახლოებული და იბრუნდა, ამბობს მეღმეღი და დასძენს: სარწმუნოებათა საკითხიც ისეთივე საკითხია, როგორც სამი ბეჭდისაო“. — „ცხადია, მართალია და მე არც ერთი ჩემი მეგობრისათვის არ დამიძალავს, რომ ნათანის იდეა პირველად ბოკაჩოს „დეკამერონში“ ეპოვიო“, — აღიარებს ლესინგი და თანაც აზუსტებს: „დეკამერონის“ პირველი წიგნის მესამე ნოველა იყო „ჩანასახი, საიდანაც განვითარდა ჩემი ნათანო“ (კურსიეი ჩემია — ო. ჯ.). მართლაც, ლესინგი არსებით მოტივებით ამდიდრებს ნასესხებ სიუჟეტს. ჯერ ერთი, თუკი „დეკამერონში“ (მსგავსად „ნოველინოსი“) სალადინი მახის დასაგებად უსვამს მეღმეღს ძნელ კითხვას, ლესინგის დრამაში იგი ამ კითხვას უანგაროდ აყენებს — ჰეშმარტების დასადგენად და ნათანის სიბრძნის გამოსაცდელად (ებრაელისაგან ფულის გამოტყუების მოსურნედ აქ ზიტა გვევლინება, სალადინის და). მაგრამ მთავარი მეორეა: თუკი ბოკაჩოს ნოველაში შუასაუქუნებრივი საკითხი, რომელია „ნამდვილი“ რელიგია, ასე ეთქვათ, მხოლოდ გაურკვევლობის ასპექტში იხსნება, — ნათანის იგავში იგი უკვე პოზიტიურ და, თანაც, პრინციპულად ახალ — არსებითად ათვისტურ — პლანში წყდება: არც ერთ რელიგიას, არ გაიჩნია თავისთავადი, საკუთრივი ძალა და ღირებულება, ყოველი რელიგის რაობა მთლიანადაა დამოკიდებული იმ კონკრეტული მოვალეობის შენარსი-ხაგან, რომელიც მორწმუნეთა პრაქტიკულ ქცევასა და საქმიანობაში ჩნდება;



მხოლოდ ეს შინაარსი წარმოადგენს ყოველი ბეჭდის სასწაულთმოქმედი ძალის წყაროსაც და მისი ფლობის პირობასაც. —

ნათანის, რეხას, რაინდისა და სალადინის ურთიერთობის ამბავი მთლად ლესინგის შეთხზულია. ხოლო ლესინგის დამოკიდებულება ისტორიულ სინამდვილისადმი, — რომლის წიაღიდან სალადინის, ზიტა ალ-შამისა და პატრიარქის სახეებია აღებული, — მეტად თავისუფალია. — „პოეტს უფლება აქვს ყველაფერში, რაც კი ხასიათებს არ ეხება, იმდენად დასცილდეს ისტორიულ სიმართლეს, რამდენადაც კი ამას მოისურვებს; მხოლოდ ხასიათებია მისთვის წმიდათა წმიდაო“, — წერს ლესინგი „ჰამბურგის დრამატურგიაში“ (წერ. XXIII) და „ნათანშიც“ ამ პრინციპს მისდევს: მხოლოდ ხასიათთა განსახიერებაში რჩება ისტორიული სიმართლის ერთგული.

გეგობტის სულთანის ეიუბიანთა დინასტიის დამაარსებელი სალადინი ედ-ინ („სიყვარულსარწმუნებისა“) იუსუფ იბნ-ეიბი, (სალადინის მას დასავლეთ-ეთროპელები ეძახდნენ), ჭვაროსნულ ლაშქრობათა ეპოქის ფრიად კოლორიტული ფიგურაა. მესოპოტამიის ქუთ ფეოდალთა შთამომავალი, იგი ხანგრძლივი შინაბრძოლების შემდეგ 1171 წ. ხელთ იგდებს ეგვიპტის სულთნის ტახტს, ხოლო 1174-ს იერთებს სირიის სამეფოს, რის შემდეგ წარმატებით ეომება ჭვაროსნებს აღმოსავლეთიდან მათი მთლად გაძევების განზრახვით; კერძოდ, იგი სასტიკად ამარცხებს მათ პალესტინაში ჰიტინთან (ტიბერიის ტბის რაიონში) და 1187 წ. იღებს იერუსალიმს, რითაც კარგახნით უღებს ბოლოს პირველი ჭვაროსნული ლაშქრობის შედეგად 1099 წ. დაარსებულ იერუსალიმის ქრისტიანულ სამეფოს. ჭვაროსნებს შორის მან, — მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთის დესპოტისათვის ჩვეული სიყვარავ და სისასტიკე არ ჰქვებია, — კეთილშობილებითა და სამართლიანობით, სიმაჰაიკითა და სიბრძნით გაითქვა სახელი; მაგალითად, 70-ნი წლების შუაში ტირელი ეპისკოპოსი წერს, რომ „იერუსალიმის სამეფო მთლადაა გარშემორტყმული ერთი განმგებლის (სალადინის) გაერთიანებული ძალებით, რომელიც თანაც ხელისუფალის ყველა სათნოებითაა შემკული — ჰკუთხო, სიმაჰაიკითა და გულუხვობით“. და ლესინგიც, — დრამის იდეური კონცეპციის შესაბამისად, — მხოლოდ ამ ასპექტში რჩება „ისტორიის ერთგული“: წინა პლანზე აყენებს სალადინის წინააღმდეგობრივი პიროვნების იმ მხარეს, — მის სულიერ დახვეწილობას, ზნეობრივ კეთილშობილებას, ამაღლებულ აზრთა წყობას, — რომელიც მას ვითარცა ადამიანს და არა როგორც მაჰმადიანსათუ ხელისუფალს ანიჭებს უპირატესობას ქრისტიანთა, პატრიარქისა თუ მეტაძრე რაინდის წინაშე. სხვა მხრივ კი იგი ნაკლებად უწევს ანგარიშს ისტორიულ ფაქტებს, დროისა და ადგილის გარემოებებს. თუ როგორ უვლის გვერდს ლესინგი ყოველივეს, რაც მის იდეას უშუალოდ არ ეხება, თუნდაც იქედან ჩანს, რომ მას საესეებით „დაუნახავი“ დაურჩა სალადინი-მაჰა, რომელსაც ჩეიდმეტი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავდა. „ისტორიულ მასალაში, რომელიც დრამას საფუძვლად უდევს, — აღიარებს თავათ ლესინგი, — მე უკუვადვ ყოველგვარა ქრონოლოგია და ცალკეული სახელებიც კი შეეცვალე ჩემი საკუთარი სურვილისამებრ. ისტორიულ ამბებზე ჩემს მინიშნებებს მხოლოდ პიესის მსვლელობის მოტივირება ევალებოდა“. და მართლაც „ნათანში“ ბევრია ქრონოლოგიური შეუსაბამოება, თუ ანაქრონიზმები. დრამის მოქმედება დაახლოებით 1192 წ. ვითარდება, მას შემდეგ, რაც ჭვაროსნები იძულებულნი გახდნენ დროებით დაზავებოდნენ სალადინს (ამ ზავის თანახმად, რაც ფაქტობრივად ჭვაროსანთა კაპიტულაციას უდრიდა, იერუსალიმი არაბების ხელთ რჩებოდა, ხოლო ქრისტიანები

უფლებას იღებდნენ მოძღვრები დაენიშნათ „უფლის ტაძარში“ და ხარკის გადაუხდელად ეელოთ სამომლოცაოდ; ამ დროისათვის კი სალადინის მამა ეიუბი, რომელსაც დრამის მიხედვით სალადინის „დიდი ხაზინა“ აბარია ლიბანში, უკვე დიდი ხნის მკვდარია; ანდა, ამ დროს იერუსალიმში არავითარი კათოლიკე პატრიარქი არ შეიძლება ყოფილიყო: სალადინმა, რომელიც საკმაოდ რბილად ეკიდებოდა საერთოდ ქრისტიანებს, მაგრამ სასტიკად მტრობდა კათოლიკე სამღვდლეობასა და (როგორც ეს „ნათანიდანაც“ ჩანს) სარაინდო ორდენებს, დაანგრია რიგი კათოლიკური ეკლესია და მონასტერი, ხოლო ლათინური პატრიარქია მეჩეთად აქცია, ისე რომ კათოლიკე პატრიარქი ირაკლი იძულებული გახდა თავისი მღვდლებითურთ გაქცეულიყო ქალაქიდან; ანდა კიდევ: რეზა თვრამეტი წლის ქალადა გამოყვანილი და ამავე დროს თქმულია, რომ იგი ჩვილი ბავშვი იყო, როდესაც მამა ასკალონთან ბრძოლაში, ე. ი. 1187 წელს დაღუპა. —

„ნათანი“ პირველად 1783 წ. წარმოადგინეს ბერლინში, მაგრამ ამ დადგმას წარმატება არ ჰქონია. გერმანულ სცენაზე იგი მხოლოდ მას შემდეგ დამკვიდრდა, რაც შილერმა და გოეთემ 1801 წელს ვაიმარის თეატრში დადგეს. ამ დადგმის გამო გოეთე წერდა: „დაე ბელნიერად წარმოდგენილი ცნობილი მოთხრობა მუდამ ასხენებდეს გერმანულ საზოგადოებას, რომ მას მხოლოდ საიშისოდ კი არ მოუხმობენ თეატრში, რომ უყუროს, არამედ მოსამყენდაც და აღსაქმელადაც. დაე აგრეთვე სამარადისოდ დარჩეს ხალხთათვის წმიდა და ძვირფასი მასში გამოხატული შემწყნარებლობისა და შეცოდების გრძნობა“.

„ნათანს“, რომელიც თითქმის ყველა კულტურულ ენაზე ითარგმნა, ყურადღებით მოეკიდა XIX ს-ის ჩვენი მოწინავე ინტელიგენციაც. იგი უთარგმნიათ ნიკონიკოლაძის ძმის ვლადიმერს, თერგდალელ პუბლიცისტს სამსონ აბაშიძეს (იხ. მისი „ნაწერები“, 1957 წ. ს. ხუთიშვილის რედაქციით გამოცემული, გვ. 17 და 128 — 129) და პოეტ მაჰიმა გურიელს (ილიას ნივერიამ 1886 წლის № 1-ში იტყობინება, „ჩვენ შევიტყუეთ სარწმუნო კაცისაგან, რომ ჩვენი ნიჭიერი პოეტი თ. მამია გურიელი სთარგმნის ქართულად ჰომეროსის „ილიადას“ და უკვე გადაუთარგმნია კიდევ სახელგანთქმული დრამა ლესინგისა „ნათან-ბრძენი“-ო). მაგრამ არც ერთი ეს თარგმანი არ გამოქვეყნებულა. არა ერთგზის ქცეულა „ნათანი“ ლიტერატურული მსჯელობის საგნადაც; კერძოდ, არც თუ მთლად სწორი, მაგრამ საყურადღებო აზრი აქვს გამოთქმული „ნათანის“ გამო ჩვენი ფილოლოგიის მამამთავარს ალექსანდრე ცაგარელს 1870 წლის „დროები“ 2 — 7 ნომერებში დაბეჭდილ ვრცელ წერილში „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ სუეტენში“. იგი ავითარებს აქ თავისთავად საესებთი მართებულ დებულებას, რომ „პოეზიაში, რასაკვირველია, როგორც ყველა ქვეიანურ საქმეში, ჰაზრი და მსჯელობა უნდა იყვეს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ არასოდეს, რომ პირველი და უმთავრესი, განსაკუთრებითი სფერა პოეზიისა არის „გრძნობა“, ანუ უკეთ „მგრძნობელობა“...“, და შექსპირს, როგორც „გრძნობისა და ენებათ-მოძრაობის მოგვს“ უპირისპირებს ლესინგს „რომელიც უფრო ფილოსოფოსი და მსჯელი იყო, ვიდრე ნამდვილი პოეტი“, რომელიც თავის თხზულებებში, მეტადრე კი „ნათანიელ ბრძენში“ მეტათ „თხელ“, გამჭვირვალე „პოეტურ სამოსელში“ ახვევდა ხოლმე თავის „ჰაზრებს“, „კარგად ვერა მალავდა თავის სურვილსა“ და ამიტომაც „მკითხველის, ანუ მსმენელის გულს კი არ ელაპარაკებოდა, როგორც პოეტის ადათი და წესია, არამედ თავსა“. აქ, უთუოდ, გადაპარბეზულია „ნათანის“ მხატვრული

ნაკლოვანება, მთლადაა უარყოფილი მასში „გამომსახველობის ძალა“, მაგრამ, ამავე დროს, ცაგარელი ჟერონად აფასებს ლესინგის ამ „უკეთესი დრამის“ იდეურ მნიშვნელობას, მის „ღიდ კატმოყვრულ ჰაზრს“, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ მასში „საზოგადოთ ადამიანური, ბუნებითი გრძნობა, სისხლისა და ხორცის კავშირი სთურგნის უმეტრებისაგან წარმოშობილ ცრუმორწმუნეობით ხალხების გაყრა-განსხვავებასა და სიმტერესა“.

თუ როგორ იბრძვის თავისი ამ „ღიდი კატმოყვრული ჰაზრის“ ძალით „ნათანი“ დღესაც, ამას ორი ფაქტი მოწმობს: ერთი — „ნათანია“ გერმანული კლასიკური ლიტერატურის პირველი ძეგლი, რომელიც ნაციზმზე გამარჯვების შემდეგ დაიდგა ბერლინში; და მეორეც — ამას წინათ დიუსელდორფში, დასავლეთ გერმანიაში, სადაც ნაციტებს ისევ უღგებათ ამინდი, ერთ-ერთი გიმნაზიის დირექტორმა იმ საბუთით აუკრძალა მოწაფეებს „ნათანის“ სპექტაკლზე ბილეთების შეძენა, რომ „ეს ნაწარმოები“ მათ „მსოფლმხედველობას შეურყენის“ და „უწინააღმდეგება იმ რელიგიურ მოძღვრებას“, რომელიც ვიმნაზიაში ისწავლება.

• • •

გვ. 306. გ ე ლ ი უ ს ი, ა ვ ლ უ ს ი — ა. წ. ა. II ს-ის რომელიც მწერალი, რომლის 20 წიგნისაგან შემდგარი თხზულება „ატოკური დამეგებო“ წარმოადგენს ბერძენ და ლათინ ავტორთა შრომების მიხედვით შედგენილ კომპილაციას და ეხება ფილოსოფიის, ისტორიის, სამართლის, ბუნებისმეტყველების, მედიცინის და ცოდნის სხვა დარგთა საკითხებს. — მეტაძრეთა ანუ ტამპლიერების ორდენი — 1119 წ. იერუსალიმში დაარსებული სასულიერო-სარაინდო ორდენია, რომლის თავდაპირველი დანიშნულება იყო ქრისტიანი მლოცველების „ურწმუნოთა“ თავდასხმებისაგან დაცვა და „წმიდა ადგილები-სათვის“ ბრძოლა; „მეტაძრეთა“ ანდა კიდევ „სოლომონის ტაძრის მთლ აშქრეთა“ სახელწოდება ამ ორდენის რაინდებმა მიიღეს თავიანთი პირვანდელი ადგილსამყოფელის მიხედვით, რომელიც მდებარეობდა სოლომონის ტაძრის გვერდით; ადრინდელი მეტაძრენი სდებდნენ ალთქმას ანგარების წინააღმდეგ და მონაზნურ წესსა თანახმად ცხოვრებისა და პატრიარქისადმი მორჩილების შესახებ, მაგრამ დროთა ვითარებაში ძლიერ გამდიდრდნენ და, პატრიარქატს ჩამოცილებულნი, უფრო პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, ვიდრე მონაზნურს. — დავრიში — მუსლიმანი ბერი, სუფიზმის, — ისლამის მისტიკურ-ასკეტური მიმართულების, — მიმდევარი; დავრიშთა „ქმობების“ (ორდენების) შექმნა დაიწყო XI ს-ში; დავრიშები განიყოფებოდნენ დამრიგებელ-შეიხის მეთაურობით სავანეებში მცხოვრებლებად და მოხეტიალეებად; მოხეტიალენი, რომელთა კატეგორიას ალ-ჰაფი ეკუთვნის, ეწოდნენ ხოლმე ექიმბაშობას, მკითხაობასა და ჭადოსიტყვაობას. — ემირი — არაბ. „უფროსი“ — დამოუცილებელი მამულიანის, გვარის მეთაურის, მაღალი მოხელის და თავადის ტიტულია. — მამელუკები — არაბ. „ნაყიდი მონები“ — ეგვიპტეში ერქვა თურქული და კავკასიური (ქართული, ჩერქეზული) წარმოშობის მეომრებს — მონებს, რომლებიც თავდაპირველად შეადგენდნენ ეიუბიანთა დინასტიის მეფეთა პირად გვარდიას; 1250 წ. მამელუკთა მეთაურებმა დაამხეს ეიუბიანთა ძალაუფლება და დააარსეს თავიანთი დინასტია, რომელმაც იარსება 1517 წლამდე, ვიდრე ეგვიპტე თურქეთის იმპერიას არ დაემორჩილა; თურქთა ბატონობის ხანაშიც დიდი რჩებოდა მამელუკთა ძალა და გავლენა, ვიდრე 1811 წ. სულთანმა მეჰმედ ალიმ ისინი ერთიანად არ ამოეცილა.

გვ. 307. ბაბილონი ამ ქალაქიდან (იერუსალიმიდან) და შორებულის არის კაი ორასი მილით. ბაბილონს შუასაუკუნეებში ეგვიპტეს და ქაიროს ეძახდნენ; მილი — ხმელეთისა = ეკვატორის გრადუსის  $1/15$ -ს ანუ 7421,6 მეტრს; ზღვისა = ეკვატორის გრადუსის  $1/60$ -ს ანუ 1852,3 მეტრს.

გვ. 309. დამასკო — სირიის დედაქალაქი. ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძველესი, ჭერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის XV ს-დან ცნობილი სავაჭრო და კულტურული ცენტრი.

გვ. 313. აღარ წვევია მწვანე პალმებს, ..ჩრდილს რომ ჰფენენ მაკხოვრის საფლავს. — სახარების გადმოცემით, იესო ქრისტე ჭვარს აცევს გოლგოთაზე, — იერუსალიმის დასავლეთ გარეუბანში მღვარ მთაზე, — და დასაფლავებს აქვე მდებარე ბაღში. ჭერ კიდევ რომის პირველმა ქრისტიანმა იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა 326 — 35 წლებში აღმართა ამ ადგილზე დიდებული ბაზილიკა, ხოლო XII ს-ში აქ აშენდა ტაძარი, რომელიც იქცა უდიდეს სათაყვანო ადგილად ყველა ქრისტიანთათვის.

გვ. 315. იორდანე — მდინარე პალესტინაში, ერწყმის მკვდარ ზღვას; ეფრათი — წინა აზიის უდიდესი მდინარე, მიედინება თურქეთსა, სირიასა და ერაყში; ტიგრი — თურქეთისა და ერაყის მდინარე, ნაწილობრივ მიმდინარეობს სირიის ჩრდილო საზღვარზეც; ეფრათისა და ტიგრის დაბლობი წარმოადგენდა ძველი ბაბილონური კულტურის ცენტრს.

გვ. 320. ისფრანკი გახლავთ. — ფრანკები შეადგენდნენ ერთ-ერთ ძველ-გერმანულ ტომს, რომლის შერწყმამ გალურ-რომანულ ეთნიკურ ვლემენტთან (V — IX ს-ში) თანამედროვე ფრანგებს მისცა დასაბამი; შუასაუკუნეთა აღმოსავლელეები ფრანკს ეძახდნენ ყველა ევროპელს.

გვ. 326. განგი — ინდოეთის სიდიდით მეორე მდინარე, რომელსაც ინდოელები ეთაყვანებიან ვითარცა წმიდას.

გვ. 333. ..და სინას მთაზე ამეყვანა მლოცველი ღვთისა. — გავრცელებული წარმოდგენის საწინააღმდეგოდ სინა წარმოადგენს არა ერთ მთას, არამედ მთელ მასივს, — კლდოვანი და ხრიოკი, ვიწრო და უწყლო ხეობებით დასერილ ჭგუფს მთებისას, — განლაგებულს სუეცისა და აკაბას ყურეებით შექმნილი ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში. ბიბლიური გადმოცემის თანახმად, ამ მასივის ერთი მთის ძირას, რომელსაც მერე არაბებმა ჭებელ-მუსა ანუ „მოსეს მთა“ უწოდეს, მოსე წინასწარმეტყველს უხილავს ცეცხლმოკიდებული, მაგრამ დაუწველი მაცულოვანი, საიდანაც ღმერთს მიუმართავს მისთვის: „წარიხადენ ხამლნი ფეხთაგან შენთა, რამეთუ ადგილი ეგე, რომელსა შენ სდგა, ქუეყანა წმიდა არს“ (გამოსვლათა, 3, 5) და უბრძანებია ასულიყო მთაზე და მიეღო „ათი მცნების“ შემკველი „კილობანი სჯულისა“. ჭერ კიდევ IV ს-ში აქ დასახლებულმა ქრისტიანმა ბერებმა მთის ძირას დადგეს დაუწყავი მაცულოვანის სამლოცველო, ხოლო მთაზე ააგეს წმ. ეკატერინეს მონასტერი, რომელნიც იქცნენ სინას ნახევარკუნძულის უწმინდეს სალოცავ ადგილებად.

გვ. 334. ...ბარათი განკუთვნილია.. მეფე ფილიპესათვის. — იგულისხმება მესამე ჭვარსოვლი ლაშქრობის ერთ-ერთი მეთაური — საფრანგეთის მეფე ფილიპე II ავეგუსტი.

გვ. 335. მარონიტი. — მარონიტები შეადგენდნენ განსაკუთრებულ საეკლესიო გაერთიანებას სირიასა და ლიბანში, რომელიც VII ს-ში გამოეყო

აღმოსავლურ-მართლმადიდებლურ ეკლესიას, ხოლო სახელწოდებას იღებს თავის მეთაურისაგან — ბერ იოჰანე მაროსაგან. ჭვაროსანთა ლაშქრობების ხანაში მარონიტები ემხრობოდნენ დასავლურ-კათოლიკურ ეკლესიას და რაინდები ცდილობდნენ მაჰმადიანთა წინააღმდეგ მათ გამოეყენებას.

გვ. 336. იგი ფიქრობს, რომ ფილიპე მეფე, პტოლემემაისს გამაგრებელი, დაგეხმარებათ. — პტოლემემაისი ანუ იკა, აკონი, აკრა პალესტინის პატარა სანაპირო ქალაქია, რომელიც ჭვაროსნიდან 1104 წლიდან აქციეს თავიანთ ციხე-სიმაგრედ. 1187-ს იგი სალადინმა აიღო, მაგრამ ხანგრძლივი, თითქმის ორწლიანი ალყის შემდეგ (1191-ის 12 ივლისს) იგი კვლავ დაიბრუნეს ქრისტიანებმა. — აქაც პიესისათვის დამახასიათებელ ანაქრონიზმთან გვაქვს საქმე: „ნათანის“ მოქმედების დროისათვის ფილიპე უკვე აღარ იყო პტოლემემაისში, რადგან მისი ალუბის შემდეგ მალე გაბრუნდა საფრანგეთში თავისი ლაშქრის უდიდესი ნაწილით.

გვ. 339. ჩემი მეუღლე იშპერატორ ფრიდრიხის ქარში იყო მსახური. — იგულისხმება გერმანელი იშპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა, რომელიც აგრეთვე უღვა სათავეში მესამე ჭვაროსნულ ლაშქრობას, მაგრამ ხანმოკლედ, რადგან 1190-ის 10 ივნისს დაიხრჩო მთის პატარა მღინარე სელეფში, რის შემდეგაც მისი დიდი (თითქმის 100 ათასიანი) ლაშქარი ნაწილობრივ უკან გაბრუნდა, ნაწილობრივ კი ეპიდემიისაგან ამოწყდა სირიაში. — ერთ მდიდარეში დაიღუპნენ იგი და მეფე. — აქაც უხეში ქრონოლოგიური შეუსაბამობაა: დაიღუპნენ იგი და მეფე — დროიდან და ამავე დროს — მას შემდეგ, რაც ქმარი დაეღუპა ფრიდრიხ ბარბაროსასთან ერთად, ე. ი. 1190 წელს.

გვ. 340. მე კი უხეში შვაბი გახლავართ. — შვაბები წარმოადგენენ შუასაუკუნეებში სხვადასხვა გერმანულ ტომთა, მათ შორის სვევეების, — აქედან მოდის მისი სახელწოდებაც, — აღრევის „შედგად წარმოქმნილ სამხრეთ-დასავლურ ეთნიკურ ჯგუფს გერმანელი ხალხისა, უმთავრესად დასახლებულს ვიურტემბერგში, ბადენში, ბავარიაში, ელზასში და ავსტრიისა და შვეიცარიის ცალკეულ რაიონებში.

გვ. 344. იმამს რომ ვეთამაშებოდე, ეს კიდევ მესმის. — იმამს — მაჰმადიან სამღვდელს; — არ აქვს სამღვდიო ფიგურებით თამაშის უფლება.

გვ. 344 — 5. სალადინი: ...სიხარულით ვიშოვიდი დაუყოვნებლივ ჩემ ზიტასთვის კარგ მეუღლეს; და, რათქმუნდა, ეს იქნებოდა რიჩარდის ძმა. — პოდა, ჩემი ძმა მელექიცი რომ ცოლად რიჩარდის დას შეერთავდეს, რაკარგოჯახს შეექმნიდით მაშინ... — სინამდვილეში კი პირიქით იყო: ანგლისის მეფე რიჩარდ ლომგული, — მესამე ჭვაროსნული ლაშქრობის მთავარი მონაწილე, — ეძიებდა სალადინთან დანათესაუებას. 1191-ის შემოდგომაზე იგი იძულებული გახდა საზავო მოლაპარაკება დაეწყო და ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის მარადიული ზავის საწინდრად თავის დასიონას ატანდა ცოლად სალადინის ძმას მელექ ალადილს (მხოლოდ იმ პირობით, თუკი იგი ქრისტიანობას მიიღებდა); მაგრამ ეს გეგმა ჩაიფუშა, ხოლო დაზავება მხოლოდ წლიან გვიან, 1192-ის სექტემბერს შედგა.

გვ. 346. აკა — იგივე პტოლემემაისი. იხ. 336-ე გვერდის შენიშვნა.

გვ. 354. პარსი. — წარმომადგენელი პარსების ანუ დერბებისა, სპარსელთა მცირერიცხოვანი, უპირატესად ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილ-

ში მოსახლე ტომისა, რომელმაც, სხვა სპარსულ ტომთაგან განსხვავებით, შეინარჩუნა თავისი უძველესი, VII ს-ში არაბების მიერ ძალით ისლამის დაშვიდრებაამდე მთელ სპარსეთში გავრცელებული, სარწმუნოება — ზოროასტრიზმი; ვინაიდან პარსებს ცეცხლის თაყვანისცემა ახასიათებთ, მათ ჩვეულებრივ ცეცხლთაყვანისმცემლებს ეძახიან.

გვ. 355. ვით შეიძლება არაფერი გაგეგო... კაცის შესახებ, ...ვინც აკლდამები და ვითის და სოლომონისა აღმოაჩინა და სასწაულთმოქმედი სიტყვით მათ ბეჭედსა ხსნის. — დავითი, — ებრ. ნიშნავს „საყვარელს“, — ებრაელთა მეორე მეფე (ტახტზე იჯდა 1004 — 965 წლებში), მამამთავარი დავითიანთა დინასტიისა, რომელიც მართავდა ქვეყანას ძვ. წ-ალრ. 586 წლამდე; ლეგენდა მიაწერს მას ქნარზე დავის ოსტატობასა და ავტორობას ე. წ. ფსალმუნისა, გენიალურ, სასულიერო ჰიმნთა კრებულისა, რომელიც შეადგენს ძველი აღთქმის ერთ-ერთ წიგნს. — სოლომონი, — ებრ. ნიშნავს „მშვიდობის კაცს“, — დავითის ძე, ებრაელთა მესამე მეფე (ტახტზე იჯდა 965 — 925 წლებში); მან განამტკიცა ისრაელის სახელმწიფო, აღაშენა დავითის მიერ სატახტო ქალაქად ქცეული იერუსალიმი და, თუმცა ისე ყველგადა ხალხს, რომ იგი აჩანყდა კიდევ, დაიმკვიდრა მშვიდობისა და კეთილსეუობის ბრძენი მოამაგის სახელი; თავის წიგნებში, მეტადრე „ეკლესიასტე“-ში, იგი წარმოგვიდგება კაცად, რომელსაც ბოლომდე შეუსვამს ცხოვრების სიამეთა თასი, მაგრამ, საბოლოოდ დაუკმაყოფილებელს, მიანიც აღმოხდომია: „ამაოება ამოთა, ყოველივე ამოა“; „აჰა ყოველნი ამოება და აღრჩევა სულისა“. თქმულების თანახმად, სოლომონის ბეჭედი სულელებზე მბრძანებლობის უნარს სძენდა იმას, ვინც მას ამოხსნიდა.

გვ. 380. ის ადგილი, სადაც მოსე უფლის წინ წარსდგა. — ახ. 333-ე გვერდის შენიშვნა.

გვ. 391. იგი რომ იყო ს ძველი მონეტა. — ე. ი. გაცვეთილი, არასრულფასოვანი რომ იყო.

გვ. 418. pro et contra. — ლათინურად: „პო და არა“.

გვ. 420. შეთანხმების დედანი აქ გვაქვს... — იგულისხმება სალადინის მიერ ჯვაროსნებთან 1192-ს დადებული შეთანხმება, რომლითაც იგი კისრულობდა ქრისტიან მლოცველთა იერუსალიმში მფარველობას.

გვ. 422. პილიგრიმი — მომლოცველი, ყარიბი.

გვ. 437. იერიქონი. — იერუსალიმის მახლობლად მდებარე ერთ-ერთი უძველესი ქალაქი პალესტინისა; ბიბლიური გადმოცემით, პალესტინაში შემოსევისას, ებრაელებმა მხოლოდ მას შემდეგ აიღეს და დაარბიეს იგი, რაც სასწაული მოხდა და მისი კედლები თავისით დაირღვა წმიდა საყვირთა ხმისაგან. — თაბორი. — პალესტინის მთა (560 მ.), რომელიც უკვე ბიბლიაში მოიხსენიება, როგორც კულტურული ცენტრი; ლეგენდის თანახმად, წარმოადგენს ქრისტეს ფერისცვალების ადგილს, რის გამოც მასზე უკვე VI ს-ში აშენდა ეკლესიები და მონასტრები.

გვ. 438. დაზა. — სამხრეთ-დასავლეთ პალესტინის ქალაქი, ძველი კულტურული ცენტრი, სადაც, სხვათა შორის, მოღვაწეობდა V ს-ის დიდი ქართველი მოაზროვნე პეტრი იბერიელი.

გვ. 439. ასკალონი. — პალესტინის ერთ-ერთი უძველესი (ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრ. XV ს-დან ცნობილი) ქალაქი, რომელიც ჯვაროსანთა ომების დროს მრავალგზის გადასულა ხელიდან ხელში.

გვ. 440. გ ა თ ი. — პალესტინაში გავრცელებული ტოპონიმიური სახელი (ებრაულად: „საწინახელი“). ყველაზე ცნობილი იყო დავითის მიერ დაპყრობილი და დევგმობი გ ო ლ ი ა თ ი ს სამშობლოდ მიჩნეული გათი, რომლის ადგილსამყოფელად ვარაუდობენ ა ს კ ა ლ ო ნ ი ს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე დღევანდელ დ ი კ რ ი ს.

გვ. 449. თ ე ბ ე. — ზემო ეგვიპტის ძველი ქალაქი.

## ფ ა უ ს ტ ი

ლესინგის საგანგებო ყურადღება მიიქცია XVI ს-ში წარმომდგარმა გერმანულმა ხალხურმა თქმულებამ დ ო კ ტ ო რ ფ ა უ ს ტ ი ს შესახებ, რომელმაც „არწივის ფრთები გაიზარდა და ცისა და მიწის ყველა საიღუმლოს წვდომა და შესწავლა მოიწადინა“. როგორც მისი მიმოწერიდან ჩანს, ლესინგს 1755 — 75 წლებში დაუმუშავებია ფაუსტის სიუჟეტზე აგებული დრამის ორი ვარიანტი, მაგრამ ორთავე დაუმთავრებელი დარჩენია; ერთი თანამედროვის, — მისობ ლ ა ნ კ ე ნ ბ უ რ გ ი ს — ცნობით კი მას სულაც დასაბუქდალ გამზადებული „ფაუსტი“ დაჰკარგვია შემთხვევით.

ლესინგის ფაუსტს, როგორც ამას მის შესახებ შემონახული მასალა მოწმობს, მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფაუსტის სიუჟეტის საერთო განვითარებაში. XVI — XVII ს-თა ე. წ. „ხალხურ წიგნებში“, რომელთა ავტორებიც ჩვეულებრივ კლერიკალურ-ლუთერანულ თვალსაზრისზე დგანან, შებღალულია ფაუსტის ქვეშარტიად ხალხური, რენესანსულ-ჰუმანიტური სახე: ფაუსტის ცოდნის წყურვილი აქ წარმოიდგინება ვითარცა დანაშაულებრივი მისწრაფება, რომელმაც თავისი დროის მეცნიერებით დაუკმაყოფილებელი სწავლული ღმერთს მოსწყვიტა და საჭოჯონეთოდ განწირა. „მისი ვანდღოშილება, — წერს პირველი, 1587 წ. გამოცემული „ხალხური წიგნის“ ანონიმური ავტორი, — სხვას არაფერს ამელავენს, თუ არა მზავაბრობას, სასოწარკვეთილებას, კანდიერებასა და შემმართებლობას, იმ ტიტანთა მსგავსს, რომელთა გამო პოეტები მოგვიტობრობენ, რომ ისინი მთებს მთებზე ახროვებდნენ და ღვთის წინააღმდეგ ბრძოლას ლამობდნენ, ანდა იმ ბოროტი ანგელოსის მგავარს, რომელმაც თავისი თავი ღმერთს დაუპირისპირა, რისთვისაც კიდეცა იქნა ღვთისაგან დამხობილი ვითარცა კანდიერი და პატივმოყვარი“. ლესინგმა გერმანულს ლიტერატურაში პირველმა სცადა კლერიკალურ-რეაქციული მსჯავრისაგან ხალხური გმირის განთავისუფლება. როგორც ბლანკენბურგისა და ენგელის წერილებიდან ჩანს, ლესინგის დრამა მთავრდებოდა ჯოჯონეთის ძალთა მარცხითა და ფაუსტის, როგორც „კაცობრიობისა და მეცნიერების“ სიმბოლოს, ზემოთ. მართალია, ლესინგის დრამაში ეს ჯერ კიდევ საკმაოდ მარტივად ხდება: გარეშე ძალის, — „ზესკურლის“, „განგების“, — ჩარევით; მაგრამ ამისდა მიუხედავად ლესინგის „ფაუსტი“ უკვე არსებითად ენათესავენა გ ო ე თ ე ს გენიალურ ქმნილებას, რომელშიც ფაუსტის სახის რევოლუციურ-ჰუმანიტური შინაარსის რეაბილიტაცია და აპოლოგია სრულყოფილ ხასიათს იძენს; — სადაც ფ ა უ ს ტ ი თავიდანვე შინაგან წინააღმდეგობას უწევს მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ე ს, ვითარცა რელატივიზმისა და ნიჰილიზმის სულს, საბოლოოდ კი თავისი ინტელექტუალურ-მორალური სრულქმნის გზით არათუ მხოლოდ თავისუფლდება მისი ნეგატიური ზეგავლენისაგან, არამედ კიდეცა აქცევს მის თავისთავად უნაყოფო ძალას თავისი შემოქმედი ნების იარაღად.

გვ. 485. მე-17 წერილმა უახლესი გერმანული ლიტერატურის შესახებ, რომელშიც ლესინგმა თავისი „ფაუსტის“ ნაწყვეტი ჩართო, უაღრესად დიდი გავლენა მოახდინა გერმანული ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე; მასში გამოთქმულ ლიტერატურულ-ლესინგურ იდეათა, — კერძოდ, ფრანგული საკარო-კლასიციზტური დრამისადმი ინგლისური მაღალრენესანსული დრამის, კორნელისადმი შექსპირის დაპირისპირების, — ნიშნის ქვეშ განვითარდა ე. წ. „ქარიშხლის და შეტევების“ მიმდინარეობა და ახალგაზრდა პერდერის, გოეთესა და შილერის შემოქმედება.

— ირწმუნებიან „ბიბლიოთეკის“ ავტორები. — იგულისხმება ჟურნალი „მშენებელი მეცნიერებათა და თავისუფალ ხელოვნებათა ბიბლიოთეკა“, რომლის ავტორი, ე. ი. თანამშრომელი ლესინგიც ყოფილა ხოლმე. — პროფესორი გოტშედი, იოჰან-ქრისტოფი (1700 — 66) — გერმანული აღრინდელი განმანათლებლობის მეთაური. მისადმი ლესინგის დამოკიდებულების შესახებ იხ. წინამდებარე წიგნის შესავალი ნარკვევის 13 — 14 გვები. — ქალბატონი ნოიბერი, ფრიდრიკ-კეკაროლინე (1697 — 1760), თვალსაჩინო მსახიობი და მოგზაური დასის პატრონი, გოშტედისეული კლასიციზმის მიმდევარი; კაბუკ ლესინგსაც გაუწევია მისთვის სამსახური — მისი დასისათვის აქვს დაწერილი თავისი პირველი კომედიები.

გვ. 486. — არლეკინი — ე. წ. „კომედია დელ-არტეს“, — XVI — XVII ს-თა იტალიური ნიღაბთა კომედიის, — ერთ-ერთი პერსონაჟი — მსახურის — ნიღაბი; ჩვეულებრივ ატარებდა მრავალფერი აბრეშუმის სამკუთხედებისაგან შეკერილ კოსტუმს და შავ ნიღაბს. — არლეკინა და — არლეკინის მონაწილეობით გათამაშებული პანტომიმა; გადატანილი მნიშვნელობით — მსხარაობა. — ადისონი, ჯოზეფი (1672 — 1719) — ინგლისელი განმანათლებელი, რომლის ტრაგედია „კატონი“ საკარო კლასიციზმის ყაიდაზეა დაწერილი. — შექსპირი, უილიამი (1564 — 1616), ჯონსონი, ბენი (1573 — 1637), ბომონტი, ფრენსისი (1584 — 1616) და ფლეტჩერი, ჯონი (1579 — 1625) — ალორძინების ხანის ინგლისელი დრამატურგები. — კორნელი, პიერი (1606 — 84) და რასინი, ჟანი (1639 — 99) — ფრანგული საკარო-კლასიციზტური ტრაგედიის უდიდესი წარმომადგენლები. — „ზედმიწვენით ჰყავდა შესწავლილი ძველები. — „ძველებში“ იგულისხმებიან ანტიკური — ბერძენი და რომაელი — დრამატურგები და დრამის თეორეტიკოსები.

გვ. 487. — სოფოკლე (497 — 406) — გენიალური ბერძენი ტრაგედო-გრაფი. — ვოლტერი, ფრანსუა-მარი (1694 — 1778) — გამოჩენილი ფრანგი განმანათლებელი, რომლის ბევრი თხზულება ლესინგმა თვითონ თარგმნა და რომელსაც ერთხანს, 1751 წლის დასაწყისში, კიდევაც ხვდებოდა ბერლინში. — ოროსმანი — ვოლტერის ტრაგედიის „ზაირას“ გმირი.

— პროლოგისა და პირველი მოქმედების გეგმა ლესინგის არქივში აღმოჩნდა და კარლ ლესინგმა გამოაქვეყნა 1786 წელს მის მიერ გამოქვეყნებულ თავისი ძმის „თეატრალური მექვიდრეობის“ გამოცემაში.

— ბელზეზული — ანუ იგივე სატანა, ლუციფერი, — ლეთისა-



გან განმდგარი და ღვთის მიერ ჯოჯობეთს შთანთქმული ანგელოსი, ეშმაკთა მთავარი.

გვ. 488. ა რ ის ტ ო ტ ე ლ ე (384 — 322) — უდიდესი ძველი ბერძენი მოაზროვნე; ე ნ ტ ე ლ ე ქ ი ა — არისტოტელეს ფილოსოფიური ტერმინი, რომელიც გამოხატავს ერთგვარ სულიერ „სწრაფვას“, როგორც განხორციელებას იმისა, რაც პოტენციურად მოცემულია თავისთავად პასიურ მატერიაში.

გვ 489. — ხ ო მ ა რ გ ა ხ ს ო ვ ს რ ა ი მ ე წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა, რ ო მ ე ლ ი ო ც წ ი ნ უ ს წ რ ე ბ დ ა შ ე ნ ს ა მ ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ს ა და ი მ ე ა მ ი ნ დ ე ლ, ი მ ბ უ ნ დ ო ვ ნ ა დ შ ე ე ნ ო ბ ი ლ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ს? — ფაუსტის ეს კითხვა და გამოხმობილ სულთან მისი „წინანდელი“ ვინაობისა და მდგომარეობის შესახებ მთელი საუბარი ემყარება პ ი თ ა გ ო რ ე ლ თ ა ძველ-ბერძნული ფილოსოფიური სკოლის მოძღვრებას მეტამფისიქოზზე ანუ სულთა გადასახლებაზე, რომლის თანახმად სული ერთი სხეულიდან — ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ — მკვიდრდება სხვა სხეულში, იცვლის თავის მატერიულ „ჩარჩოებას“ და კონკრეტულ, ინდივიდუალურ სახეს.

გვ. 490. — „მ ე ო რ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს მ ე ს ა მ ე ს ც ე ნ ა“, — უახლესი გერმანული ლიტერატურის შესახებ მე-17 წერილებში ჩართული ნაწყვეტი, — არის ლესინგის „ფაუსტის“ ერთადერთი ნაწილი, რომელიც მწერლის სიცოცხლეში გამოქვეყნდა.

გვ. 492. — ო რ კ უ ს ი — რომაული მითოლოგიის ქვეყნელი, მიცვალებულთა სასუფეველი, რომლის განმგებელია პ ლ უ ტ ო ნ ი.

— კ ა პ ი ტ ა ნ ფ ო ნ -ბ ლ ა ნ კ ე ნ ბ უ რ გ ი ს წ ე რ ი ლ ო დაიბეჭდა 1784 წელს გამოცემულ იოჰან ვილჰელმ არქენპოლციუს თვიური ჟურნალის „ლიტერატურა და ხალხთმცოდნეობის“ მე-V ტომში.

— ... რ ო დ ე ს ა ც გ ე რ მ ა ნ ი ი ს ყ ო ვ ე ლ ი კ უ თ ხ ი დ ა ნ ი ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ო დ ნ ე ნ ა ხ ა ლ ი „ფაუსტების“ შესახებ. — 1774 — 75 წლებში ჰაბუკი გოეთე მუშაობდა თავის ე. წ. „პ რ ა ფ ა უ ს ტ ზ ე“, რაც მაშინდელ ლიტერატურულ წრეებში ცნობილი იყო; 1775-ს ვენის მსახიობმა ე ა ი დ მ ა ნ მ ა დასწერა (ანონიმურად) ალეგორიული დრამა „ი ო ჰ ა ნ ფ ა უ ს ტ ი“; 1778-ს ფ რ ი დ რ ი ხ მ ა ლ ე რ -მ ი უ ლ ე რ მ ა გამოაქვეყნა „ფ ა უ ს ტ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა“.

გვ. 494. „თ ე ა ტ რ ა ლ უ რ ი მ ე მ კ ე ი დ რ ე ო ბ ი ს“ გ ა მ ო მ ც ე მ ე ლ ს — ე. ი. ლესინგის უმცროს ძმას კარლს, რომელმაც „თეატრალურს მეგვიდრეობაში“ ფაუსტის გეგმასთან ერთად ეს წერილიც გამოაქვეყნა 1786 წელს.

გვ. 497. ე ნ გ ე ლ ი, ი ო ჰ ა ნ ი ა კ ო ბ ი (1741 — 1802) — გერმანელი განმანათლებელი მწერალი, ლესინგის პრინციპთა მიხედვით შედგენილი დრამებისა და ესთეტიკური და კრიტიკული შრომების და აგრეთვე იმ დროს პოპულარული რომანის „ბ-ნ ლორენც შტარკ“-ის ავტორი.

## ს კ ა რ ტ ა ქ ი

1770 წლის 16 დეკემბერს ლესინგი წერს კარლ ვილჰელმ რამელერს, რომ მუშაობს „ანტიტირანიულ ტრაგედიაზე“ სპარტაკის შესახებ და დასძენს, „ევიმედოვნებ, რომ სპარტაკისაგან გამოვიყვან გვირს, რომელიც სხვა იქნება, ვიდრე რომაელების მიერ წარმოდგენილ სპარტაკთა შორის საუკეთესო“. წინასწარ ლესინგი სწავლობს მდიდარ ისტორიოგრაფიულ მასალას,

კერძოდ ეცნობა ახალი წელთაღრიცხვის II ს-ის რომაელი ისტორიკოსის პლუტარქის ანთიუს ფლორუსის ცნობებს სპარტაკის პიროვნებისა და აჯანყების შესახებ და ფრანგი განმანათლებელი დრამატურგის ბერნარ სი-რენის 1760 წ-ს გამოქვეყნებულ ტრაგედია „სპარტაკს“. როგორც მისი ძმა კარლი მოწმობს, ლესინგს ჯერ კიდევ 1775 წ-ს არ აქვს ხელი აღებული ამ სიუჟეტის დამუშავებაზე.

მოდწეული ფრაგმენტები, მართალია, თითქმის არაფერს გვეუბნება ლესინგის ამ ტრაგედიის აღნაგობაზე და, მით უფრო, კონკრეტულ შინაარსზე, მაგრამ სამაგიეროდ სრულ წარმოდგენას გვიქმნის მის ძირითად კონცეპტიაზე, რომელიც ნათლად გამოხატავს ლესინგის ჰუმანიზმის რევოლუციურ-დემოკრატიულ არსს. თუკი ფლორუსი ცდილობს დაამყაროს სპარტაკი, — რომის მონათა მესამე, 73 — 71 წლებში მომხდარი, დიდი ომის გმირი, — რისთვისაც მას, გლადიატორად თავისი ნებით ქცეულს და არა მონას, დებერტირად და ყაჩაღად წარმოკვდივს, — ლესინგი, პირიქით, მიზნად ისახავს წარმოადგინოს სულიერი კეთილშობილებითა და თავისი ღირსების ამაყი შეგნებით აღსავსე მეთაური ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული სახალხო აჯანყებისა. ამავე დროს, თუკი სორენს, რათა კონფლიქტი შეარბილოს, არისტოკრატად გამოჰყავს სპარტაკი, — ლესინგი, პირიქით, სწორედ — მას ჩვეულებრივ, პლუბურ, ხალხურ წარმოშობას უსვამს ხაზს, იმას, რომ სპარტაკი, — „სადა, უბრალო კაცი“, რომელსაც „ამაყი გული უყვამს“, — მხოლოდ ერთი იმთავანია, „ვისაც ბუნება უსასრულოდ, ყოველდღიურად, ყოველ საათში ასობით ქმნის თავისი ხელით“. ამ ასპექტში ლესინგს იშვიათი სიმკვეთრით, ჰუმანიტად რევოლუციური პირდაპირობით ყავს დაპირისპირებული ტირანი მონათმფლობელები, რომელთაც, მსგავსად კრასუსისა, მხოლოდ „პირადი მიზეზები“, მდაბალი ანგარება და ეგოიზმი, ამოძრავებენ, და ხალხის ამაყი შვილი, რომლის მრწამსი ისაა, რომ აღამიანს „უნდა რტყენოდეს იმ თავისუფლებისა, რომელიც მოითხოვს, რომ მას აღამიანს ჰყავდეს მონად“.



გვ. 498. — ი ნ ს ი გ ნ ი ე ბ ი და ფ ა ს ც ე ბ ი, — „ნიშნები“ და „წინელების კონა“ — ძველს რომში უზენაესი ხელისუფლების ემბლემები იყო. — პ რ ე ტ ო რ ი — თავდაპირველად: მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც შინაგანი წესრიგისა და საშარტლის დაცვის საქმეში ენაცვლებოდა კონსულს — არჩევით დანიშნულ უმაღლეს ხელისუფალს რესპუბლიკისა (სულ 2 კონსული ირჩეოდა თითო წლით); შემდეგ: უმაღლესი სასამართლო ძალაუფლების წარმომადგენელი. — კ რ ა ს უ ს ი, მ ა რ კ უ ს ლ ი ც ი ნ ი უ ს ი — II — I ს-თა რომაელი მხედართმთავარი, რომელმაც 72 წ-ს დაამარცხა სპარტაკი აპულიაში. — ლ ი ქ ტ ო რ ი — უმაღლეს თანამდებობის პირთა მხლებელი საპატიო ფეშაგი, (ჩვეულებრივ, განთავისუფლებული მონა), რომელსაც ხელთ ეყვრა ფასცები — წნელის კონა, რომელშიც ომიანობის დროს ტული იყო გარკობილი; აქედან: „ერთი ტული ნაკლები“ ნიშნავს ერთი ლექტორით ნაკლებს. — გ ა ი უ ს კ ა ს ი უ ს ი — ძე. წ. ა. I ს-ის თვალსაჩინო რომაელი პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი; ადრე მიუღია მონაწილეობა კრასუსის ლაშქრობებში, ბოლოს — ი უ ლ ი უ ს კ ე ი ს რ ი ს წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ერთ-ერთი მოთავე.

გვ. 499. — ... რ ო გ ო რ ც პ ლ უ ტ ა რ ქ ე ა მ ბ ო ბ ს. — პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიების“, — გამოჩენილი ბერძენი და რომაელი მოღვაწეების

ცხოვრებათა განთქმული კრებულის, — ერთ-ერთი ბიოგრაფიაა „კ რ ა ს უ ს ი“, სადაც მოთხრობილია სპარტაკის შესახებაც.— პ ი ა ნ ე — ახ. წ. ა. II ს-ის ბერძენი მწერალი, „რ ო მ ი ს ი ს ტ ო რ ი ი ს“ ავტორი. — პ ო მ პ ე უ ს ი, გ ნ ე უ ს მ ა გ ნ უ ს ი — სახელგანთქმული რომაელი მოღვაწე და მხედართმთავარი, რომელიც ცხოვრობდა 106—48 წწ.— ლ უ კ ა ნ ი ა — მთიანი მხარე სამხრეთ იტალიაში.— პ ო ტ ე ნ ც ი ა — ქალაქი ლუკანიაში. — ა ტ ე რ ნ უ მ ი — ქალაქი შუა იტალიაში, — ს ი ლ ა რ უ ს ი — პატარა მდინარე სამხრეთ იტალიაში, დღევანდელი ს ე ლ ე.— ბ რ ა დ ა ნ უ ს ი — მდინარე ქვემო იტალიაში, საზღვრავს ლუკანიასა და აპულიას და ერთვის ტარენტის უბეს. — ა პ უ ლ ი ა — მხარე სამხრეთ-აღმოსავლეთ იტალიაში.

გვ. 500. — ბ რ უ ნ დ ი ზ ი უ მ ი — ქალაქი და ნავთსადგური იტალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე. — კ ა ლ ა ბ რ ი ა — იტალიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი.

მ. ჯ.

შეჩინებულ შეცდომათა განსწორება

გვერდი	სტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
50	ზემოდან 23	დესპოტიზმისა	დესპოტიზმითა
52	ზემოდან 5	სალადინსა	სალადინსა
90	ზემოდან 13	გოგონას გულისათვის, ვინც	იმ გოგონას გულისათ- ვის, ვინც
91	ქვემოდან 15	მიყვარხართ	გიყვარვართ
102	ზემოდან 16	როგორი შიში მაქვს!	როგორი შიში მაქვს!
108	ზემოდან 2	შებოკილ	შებოკილი
125	ზემოდან 8	სამსახური	სამსახური;
130	ქვემოდან 10	დაფარული	დაფარულ
137	ქვემოდან 10	შეუნდობ	შეეუნდობ
173	ქვემოდან 7	სამსახურიდან	სამსახურიდან
189	ქვემოდან 5	შენთვის ის ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა	შენთვის ჩვენს ქვე- ყანაში ჩამოსვლა
241	ზემოდან 10	უმანკობისა	უმანკობითა
255	ქვემოდან 10	გამაჩნია,	გამაჩნია
266	ქვემოდან 5	მისი სიკვდილი (შეა- რხვეს ქისას ბელში) მეთხედით მიდიდებს ამას.	მისი სიკვდილი მეთხე- დით მიდიდებს ამას
282	ქვემოდან 4	გვერდით ჩაუვლის დარბაზზე და	გვერდით ჩაუვლის და
294	ზემოდან 13	აქვს, შეუძლია, რასაც	აქვს, რასაც
303	ზემოდან 10	მიმიხვდით	მიგიხვდით
368	ზემოდან 19	ფილნეკი	ფილნეკი
487	ქვემოდან 8	მეც, ეგ მინდა!	მეც ეგ მინდა!
500	ქვემოდან 4	უძვირფასესია, რაც კი მქონია!	უძვირფასესისა, რაც კი მქონია!
512	ქვემოდან 22	გვასტალას	გვასტალის

## ს ა რ ჩ ე ვ ი

მებრძოლი ჰუმანისტი (შესავალი ნარკვევი ო. ჭინორიასი)	5
მის ხარა სამსონი (თარგმანი ე. ზოშარელისა)	57
მინა ფონ-ბარნჰელმი (თარგმანი გ. ნადირაძისა)	141
ემილია გალოტი (თარგმანი ვ. ბეწუკელისა)	231
ნათან ბრძენი (თარგმანი ვ. ბეწუკელისა)	305
ფრაგმენტები (თარგმანი ო. ჭინორიასი)	483
კომენტარები (შედგენილი ო. ჭინორიას მიერ)	501

---

Г. Э. Лосцил

Драмы

(На грузинском языке)

Издательство  
«Сабчота Мцрალი»

19 Тбилиси 58

გამ.-ბის რედაქტორი თ. კობლატაძე  
მხატვარი ი. დივანაგორცევა-გრიგოლია  
ტექნიკური რედაქტორი შ. დემეტრაძე  
კორექტორი ტ. ხურუშოვა

გადაეცა წარმოებას 9.VII.1957 წ.; ხელმოწერილია  
დასაბეჭდად 5. III. 1958 წ. ანაწყოების ზომა 6×10.  
ნაბეჭდი თაბახი 33. საგამომცემლო თაბახი 27,45.  
ქალაქის ზომა 60×92. ტირაჟი 18 000.  
შეკ. № 783. უე 01843.  
ფასი 21 მან. 40 კაპ.

---

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს  
მთავარბოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.  
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

1-я типография Главполиграфиздата  
Министерства культуры Грузинской ССР.  
Тбилиси, ул. Орджоникидзе, № 50.